

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო ძამუკაშვილი

რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის ტიპოლოგიური
მიმართებანი ქართულ და ინგლისურ ენებში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ფილოლოგიის
დოქტორის (1005) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელები: მანანა ღარიბაშვილი - პროფესორი
ნუნუ გელდიაშვილი - პროფესორი

თელავი

2016 წ.

შინაარსი

შესავალი	4
----------------	---

თავი 1.

რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის ფონეტიკური და მორფოლოგიური შესაძლებლობები

§ 1. რიტმული პროზა, როგორც თხრობის ერთ-ერთი სახეობა	9
§ 2. რიტმულობის შექმნის ფონეტიკური შესაძლებლობები	17
§ 3. რიტმულობის შექმნის მორფოლოგიური შესაძლებლობები	28

თავი 2.

რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის სინტაქსური შესაძლებლობები

§ 1. მარტივი წინადადება და რიტმულობა	42.
§ 2. შერწყმული წინადადება და რიტმულობა	53
§ 3. რთული წინადადება და რიტმულობა	63
§ 4. წინადადების წევრთა განკერძოება რიტმულობისთვის	70
§ 5. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები რიტმულობისთვის	74

თავი 3.

რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის ლექსიკური მახასიათებლები

§ 1. რიტმული პროზის გამომსახველობითი ენა (ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, გაპიროვნება, „მხატვრული“ ხატები, სიმბოლო)	81
§ 2. ლექსიკური გამეორება და გრადაცია	94

§ 3. სინონიმია და ანტონიმია	103
§4. არქაიზმები, დიალექტიზმები და უცხოენოვანი სიტყვები	114

თავი 4.

თარგმანში გამოვლენილი მსგავსებები და განსხვავებები	118
---	------------

§1. რიტმული პროზის ქართულიდან ინგლისურად თარგმნის ნიშანდობლიობები (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის დონეზე)	119
--	-----

§1.1. სინონიმის და ანტონიმის, არქაიზმების, დიალექტიზმების და უცხოენოვანი სიტყვების თარგმანისათვის	138
--	-----

§1. 2. ლექსიკური გამეორებისა და გრადაციის თარგმნის ზოგი ასპექტისთვის	147
--	-----

§2. რიტმული პროზის ინგლისურიდან ქართულად თარგმნის ნიშანდობლიობები (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის დონეზე)	152
--	-----

დასკვნა	186
---------------	-----

გამოყენებული ლიტერატურა	193
-------------------------------	-----

საანალიზო წყაროები	197
--------------------------	-----

დანართები	199
-----------------	-----

შესავალი

რიტმი და რიტმულობა მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოების ნიშან-თვისება არ არის. ზოგადად, რიტმი მოძრაობის, ანუ სიცოცხლის გამომხატველია. მთელი სამყარო გარკვეულ, უწყვეტ რიტმში არსებობს; რიტმულად მოძრაობენ ციური სხეულები და რიტმულად მონაცვლეობენ წელიწადის დრონი. რიტმულობა გულისხმობს ერთი და იმავე მოქმედების, მოვლენის თანაბარ დროში გამეორებას ან მოხდენას. მეტყველებასთან და დამწერლობასთან კავშირში რიტმი, უპირველეს ყოვლისა, ასოცირდება პოეზიასთან, პოეტურ პროზასთან. რიტმი ოდითგანვე იყო და არის სახალხო მთქმელის, ორატორისა თუ მწერლის ერთ-ერთი ხერხი სათქმელის მიმზიდველად თუ ორიგინალურად გადმოცემისა. რიტმი არ არის მხოლოდ მკითხველის გულის მოსაგებად და მის გასამასპინძლებლად. კარგმა მთხრობელმა იცის, რომ კარგ პროზას, რომელიც „წყალივით მიედინება“ შეუძლია მკითხველი მონუსხოს, იგი თითქმის ჰიპნოზის ტოლფასია [Di Tempora, N., ინტ. წყარო. №1].

უხსოვარი დროიდან მოყოლებული, გარკვეული რიტუალების შემსრულებელი ქურუმები თუ შამანები სხვადასხვა რიტმული ფრაზების უწყვეტად გამეორებით ცდილობდნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. ყურადღება იმდენად ტექსტის მნიშვნელობაზე არ მახვილდებოდა, რამდენადაც მთავარი იყო სათქმელის გარკვეულ რიტმულ ნახაზში ჩასმა. მიზანი ხშირად მიიღწეოდა ერთი და იმავე ფრაზის მრავალგზის გამეორებით, მუსიკალური საკრავების თანხლებით.

რიტმული პროზა უძველესი დროიდან იღებს სათავეს და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ის მაინც ყოველთვის თანამედროვე და აქტუალურია. იგი თავის თავში ერთგვარად აერთიანებს როგორც პოეზიის, ისე პროზის ყველაზე არსებით ნიშნებს. თანამედროვე ავტორები მას ხშირად მიმართავენ, როგორც გამოხატვის მეტად მოხერხებულ საშუალებას. რამდენადაც რიტმული პროზა თავისუფალია ვერსიფიკაციის კანონებისგან, თავისი მრავალგვარი რიტმული მონახაზის წყალობით იგი თანამედროვე, მრავალხმიანი, მრავალფეროვანი სამყაროს შესაფერის ჟღერადობას იძენს.

ნაშრომის მიზანია რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის მიმართებანის კვლევა ტიპოლოგიურ ჭრილში ქართულ და ინგლისურ ენებში. საკითხი,

ვფიქრობთ, მეტად აქტუალურია, რადგან, მიუხედავად სიმკვლეისა, რიტმული პროზა ნაკლებად შესწავლილია. კვლევა განხორციელებულია ინგლისურთან, ანუ იმ ენასთან შეპირისპირებით, რომელიც მსოფლიოში უპირველესია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციური გავრცელების თვალსაზრისით. აქდან გამომდინარე გამოიკვეთა ნაშრომის ძირითადი ამოცანებიც:

- ქართული და ინგლისურენოვანი რიტმული პროზის ნიმუშების შედარება-შეპირისპირების მეშვეობით ენობრივი მასალის კლასიფიცირება გამომდინარე სტრუქტურული და ფუნქციური თვისებებიდან;
- ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ და ლექსიკო-სემანტიკურ დონეზე მოძიებული მასალის შედარება-შეპირისპირება და ამის საფუძველზე იზომორფიზმებისა და ალომორფიზმების დადგენა;
- რიტმული პროზის მონაკვეთების ფუნქციის განსაზღვრა ტექსტში და მათი ტიპოლოგიური ანალიზი;
- არსებული და ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანის მეშვეობით იმის წარმოჩენა, თუ რამდენად ადეკვატურად გადადის პროზის რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველი ენობრივი მოცემულობები მეორე ენაზე.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ საკვლევი საკითხი მონოგრაფიულად და სიღრმისეულად არაა დამუშავებული ქართულ სამეცნიერო-კვლევით წრეებში, საანალიზო ენებში მით უფრო. შეიძლება ითქვას, რომ საკითხი თითქმის შეუსწავლელია ტიპოლოგიურ ჭრილში; არ არსებობს ქართულ და ინგლისურენოვანი რიტმული პროზის შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი. ამრიგად, ჩვენ ვერ შევძლებთ კვლევის ამ ტრადიციის გაგრძელებას და ვერც წინა ნაშრომებთან შევძლებთ შედარებას.

მიუხედავად დარგის სიმკვლეისა, არ არსებობს რიტმული პროზის თვალსაზრისით ამგვარი ტიპოლოგიური კვლევა. ამდენად, დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს რომ, ჩვენი აზრით, მან შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საკითხის კვლევის შემდგომ გაღრმავებაში. ნაშრომი ხელს შეუწყობს ფილოლოგიის, როგორც დარგის განვითარებას; უდავოდ, გააფართოებს რიტმული პროზის ექსპრესიით დაინტერესებულ პირთა წრეს; გაამდიდრებს ქართული და ინგლისური ენების

მიხედვით შესრულებული ტიპოლოგიური კვლევების რიცხვს და, ასევე, გარკვეულწილად, მოკრძალებულ წვლილს შეიტანს რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის საშუალებების თარგმნის თეორიისა და პრაქტიკის სფეროში. შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო.

ჩამოთვლილი მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდი. ესენია: ტიპოლოგიური, შეპირისპირებითი, რაოდენობრივ-თვისობრივი, აღწერითი და ე. წ. „სამყაროს სურათის“ (Weltbild) მეთოდები.

ჩამოთვლილი მეთოდებიდან ჩვენი კვლევისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ტიპოლოგიურ და შეპირისპირებით (კონტრასტულ) მეთოდებს, რადგან საქმე გვაქვს ორ სრულიად განსხვავებულ ენასთან, რომლებიც არც ენათა ჯგუფის, არც საერთო გეოგრაფიული არეალისა და არც ისტორიული განვითარების კუთხით არ გადაიკვეთებიან. სწორედ ამ განსხვავებულობაში, ამ მეტად კონტრასტულ ფონზე უფრო საინტერესოა მათ შორის როგორც საერთო, მსგავსი, ისე განსხვავებული ფორმების დაძებნა.

კონტრასტულ ლინგვისტიკას კონფრონტაციულ ლინგვისტიკასაც უწოდებენ, რადგან ენათა მსგავსების დადგენა უნდა მოხდეს არა მხოლოდ შედარების (კონტრასტულ) არამედ შეპირისპირების (კონფრონტაციულ) საფუძველზე. „კონტრასტული ლინგვისტიკის მიზანია, აღმოაჩინოს, დაადგინოს მსგავსებები და განსხვავებები ენათა ფონეტიკურ-ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ-სემანტიკურ დონეებზე“ [ბახტაძე, 2010:25].

შეპირისპირებითი მეთოდი (არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ შეპირისპირება გულისხმობს არა მარტო განსხვავებულობის, არამედ მსგავსი ფორმების დაძებნას ენებს შორის) უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ტექსტის შინაარსის (სემანტიკა) მხარეს, ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობას, ვიდრე გამოხატულებისას (ფორმა), როგორც ეს ხდება ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შემთხვევაში. „ენათა კონტრასტული შესწავლისას...პირველ ადგილზეა ჰიპოთეზა მათი სემანტიკური ერთიანობის შესახებ, ხოლო ენობრივი გამოხატვის თავისებურებანი მეორე ადგილზე ინაცვლებს. ენათა შეპირისპირებითი შესწავლისას გამოხატულების პლანში დამთხვევები ყოველთვის შემთხვევითია“ [მეგრელიძე, 2009:53].

შედარება და შეპირისპირება, როგორც შესასწავლ მოვლენათა შორის მსგავსება-განსხვავების გამოვლენის მეთოდი, კვლევის ძირითადი საშუალებაა არა მარტო ისტორიულ -შედარებით ენათმეცნიერებაში, არამედ ტიპოლოგიაში.

კვლევის ტიპოლოგიური მეთოდი წარმოაჩენს განმასხვავებელ, დამახასიათებელ სტრუქტურულ-ფუნქციონალურ ნიშან-თვისებებს, რაც ენებს ჯგუფებად აერთიანებს. „ტიპოლოგიისათვის არ კმარა ყველა ენისათვის დამახასიათებელი, ნიშანდობლივი მაქსიმალურად ზოგადი ნიშნები, არც ცალკეული ინდივიდუალური ნიშნები, რითაც ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. მას აინტერესებს ის ნიშნები, რითაც ენები ტიპოლოგიურ ჯგუფებად დანაწილდებიან“ [ბახტაძე, 2010:20]. ორი ენის ტიპოლოგიური შეპირისპირებისას, როდესაც ვაპირებთ გამოვავლინოთ ყველა შესაძლო იზომორფიზმი და ალომორფიზმი ენის ყველა დონეზე, რა თქმა უნდა, უფრო ღირებული და ყოვლისმომცველი, ამომწურავი იქნება, თუ ერთმანეთს შევუდარებთ და შევუპირისპირებთ ორივე ობიექტის მთლიან ენობრივ სისტემებს. თუმცა, ვინაიდან ჩვენი კვლევის მიზანი რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის ტიპოლოგიური მიმართებანის კვლევაა, შემოვიფარგლეთ მხოლოდ იმ მოცემულობების ანალიზით ქართულსა და ინგლისურ ენებში, რომლებიც ნაწარმოების რიტმულ ქსოვილს ქმნიან. „ენათა შეპირისპირებითი შესწავლა უშუალოდ დაკავშირებულია ენობრივი ტიპოლოგიისა და ლინგვისტური უნივერსალიების პრობლემატიკასთან. ტიპოლოგიური შესწავლა წარმოაჩენს ენის არა მარტო ზოგად, არამედ საყოველთაო თვისებებსაც, რომლებიც შეიძლება გენეტიკური, არეალური და ტიპოლოგიური დამთხვევების შედეგს წარმოადგენენ“ [კოდუხოვი, 1982:378].

ჩვენი კვლევა კონტრასტული ლინგვისტიკის იმ მიმართულებით მიმდინარეობს, რომელიც ენებს იკვლევს მათ შორის ალომორფიზმისა და იზომორფიზმის დადგენის მიზნით.

რაც შეეხება რაოდენობრივ-თვისობრივ მეთოდს, იგი გვეხმარება სხვადასხვა დონის სისტემების და ენობრივი ერთეულების შედარებისას, იქნება ეს მაგ. ინვერსიული წყობა თუ რიტმის შემქმნელი ფონეტიკური მოვლენები. რაოდენობრივი კვლევის მეთოდით დგინდება ლინგვისტური უნივერსალიებიც ყველა დასახელებულ დონეზე.

რაოდენობრივ-თვისობრივი მეთოდი გამოგვადგა ორიგინალების თარგმანთან შესადარებლად: არის თუ არა დაცული ორიგინალის რიტმული პროზის სიხშირის ხარისხი; ხომ არ ხდება რიტმის დაკარგვა და რიტმული სტრუქტურების უფლებელყოფა მთარგმნელის მიერ რიტმული პასაჟის არასათანადოდ გადმოტანის შემთხვევაში; რამდენად შესაბამისობაშია ორიგინალისა და თარგმანის რიტმულობის ხარისხი; ორიგინალის რომელი რიტმული სტრუქტურები გადმოვიდა უფრო მომგებიანად და ადეკვატურად სამიზნე ენაზე; სად მივიღეთ თარგმანისათვის ხშირად დამახასიათებელი „დანაკარგი“ და სხვა.

აღწერითი მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს, აღვწეროთ ცალკე ქართული და ცალკე ინგლისურენოვანი რიტმული პროზის შემცველი მონაკვეთები ტიპოლოგიურ ჭრილში იერარქიული პრინციპით—ენათა სტრუქტურული ერთეულების ყველა დონის შესაბამისად და, ასევე, მათი მხატვრული ღირებულებები და თავისებურებანი, მათი ემოციური ექსპრესიის გათვალისწინებით.

თარგმანის სფეროში უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა კვლევის „სამყაროს სურათის“ (გერმ. *Weltbild*) მეთოდი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მიზანია ქართული და ინგლისური ენების „სემანტიკური კულტურების, ანუ მათში მოცემული „სამყაროს სურათის“ სისტემური შეპირისპირება [ნათაძე, 1986:5]. ხსენებული მეთოდი „გულისხმობს ენათა შეპირისპირებას, როგორც სისტემისა სისტემასთან, თუმცა დღევანდელ ეტაპზე არა მთლიანად, არამედ მათ ცალკეულ სტრუქტურებში“ [ნათაძე, 1986;195].

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის **საანალიზო წყაროებს** წარმოადგენს მეოცე საუკუნის ქართველი და ინგლისურენოვანი მწერლების ნაწარმოებები. ქართულ ენაზე: ვასილ ბარნოვის, კონსტანტინე გამსახურდიას, ლადო კოტეტიშვილის, ნიკოლორთქიფანიძის, გრიგოლ რობაქიძის, ხოლო ინგლისურ ენაზე: შერვუდ ანდერსონის, სემუელ ბეკეტის, ჯერომ დ. სელინჯერის, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის, ჯეიმზ ჯოისის მოთხრობები და მათი თარგმანები.

სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს შესავალს, ოთხ თავსა და დასკვნას და შეადგენს 192 ნაბეჭდ გვერდს. ნაშრომს თან ახლავს გამოყენებული ლიტერატურისა და საანალიზო წყაროების სია და დანართი.

თავი 1. რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის ფონეტიკური და მორფოლოგიური შესაძლებლობები

§ 1. რიტმული პროზა, როგორც თხრობის ერთ-ერთი სახეობა

რიტმული პროზა, რომელიც პოეზიასა და ჩვეულებრივ პროზას შორის მოიაზრება, არსებობს იმ დაუწერელი, მოუხელთებელი კანონებით, რომლებიც სწორედ მის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას უსვამს ხაზს. პროზა ხომ სწორედ იმით განსხვავდება პოეზიისგან, რომ ის არ ექცევა რითმისა და რიტმის ჩარჩოში. რიტმული პროზისაგან განსხვავებით, ლექსის ფორმა თვალნათელია; ვიზუალურადაც, იგი პირდაპირ გვიხიბვებს რითმულად, რიტმში წავიკითხოთ პოეტური ნაწარმოები. თვალის გრძნობს და ხედავს პოეზიას; პროზაულ ქსოვილში გაბნეული რიტმი კი ჩვენს შინაგან ყურს ან გულისცემას ეხმიანება და მისგან ელოდება ამოცნობას. რიტმული პროზა ეძებს თავის რიტმს და პოულობს სიტყვათა წყობაში. როდესაც პოეტსა და რიტმული პროზის ავტორს შორის განსხვავებაზე საუბრობს, ენათმეცნიერი აბრამ ლიპსკი (Abram Lipsky) შენიშნავს: „განსხვავება მათ შორის ისაა, რომ პოეტს თავისი რიტმი უკვე დასახული აქვს, როცა ის წერას იწყებს. მაშინ, როცა პროზაიკოსის რიტმი წერისას ვითარდება. მან მხოლოდ მიახლოებით იცის, რა ფორმას მიიღებს მისი ნაწერი. დანამდვილებით კი მხოლოდ ის იცის, რომ ნაწერი არ უნდა იყოს არარიტმული. რიტმი, რომელიც ნააზრევს გააჩნია და მისგან მომდინარეობს, ისევე უნდა განვიხილოთ, როგორც ფონეტიკური საშუალებებით შექმნილი რიტმი. მწერალი სახავს თავისი სათქმელის შესაფერის რიტმს და მერე მიჰყვება მას. ნააზრევისთვის, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, დამახასიათებელია რიტმულობა. მას თავისი საკუთარი პულსაცია გააჩნია. ყოველ წინადადებას სულ მცირე ორი დარტყმა გააჩნია-ქვემდებარე და შემასმენელი“ [Lipsky, A., ინტ. წყარო №2].

განსხვავებით პოეტური ნაწარმოების შეზღუდული რიტმულ-რიტმული ჩარჩოსგან, პროზაში შეიძლება მრავალფეროვან რიტმს შევხვდეთ. მკვლევარ რობერტ რეი ლორანტის (Robert Ray Lorant) აზრით, „სულ ახალმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს [პროზა] არის ყველაზე რიტმული და თანაც მრავალფეროვანი რიტმული ფორმა მწერლობისა“ [Lorant, R. R., ინტ. წყარო №3]. ე. ი. პროზა შეიძლება კიდევ უფრო მეტად რიტმულიც იყოს, ვიდრე პოეზია.

ყველა ფიქრს თავისი რიტმი აქვს. როგორც ერთი ძალიან კარგი პოეტი და მუსიკოსი ბულატ ოკუჯავა ამბობდა, უფრო სწორედ მღეროდა, ყველა „როგორც სუნთქავს, ისე წერს“ („Как он дышит, так и пишет,“) [ინტ. წყარო №4], ანუ მათი სუნთქვის რიტმი ფიქრის რიტმს უტოლდება. ამდენად, პროზის რიტმი თითქმის ზუსტად იმეორებს ავტორის ნაფიქრს [ინტ. წყარო №2]. რაც უფრო კარგია პროზა, მით უფრო რიტმულია ის. ყველა ნაფიქრს თავისი დამახასიათებელი რიტმი აქვს, იმიტომ რომ ფიქრი პროცესია და სადღაც მიედინება, სადღაც მივყავართ.

ბერძნულად „რიტმი“ (*rhythmos*) „მოზომილ დინებას“ ნიშნავს, ხოლო ლათინურად—(*rhythmus*) „დროში მოძრაობას“. რიტმულ პროზას ჯერ კიდევ არისტოტელემ მიაქცია ყურადღება თავის „რიტორიკაში“, სადაც ის რჩევას აძლევს ორატორებს სიტყვის წარმოთქმის ხელოვნებაში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სიტყვას ანუ მეტყველებას ჰქონდეს თავისი შესაფერი რიტმი: „სიტყვას არ უნდა ჰქონდეს არც ლექსის სახე და არც ურიტმო უნდა იყოს, რადგან პირველ შემთხვევაში დამაჯერებელი არ იქნება და ხელოვნური გამოჩნდება. გარდა ამისა, დააზნევს მსმენელის ყურადღებას, რომელიც ელის მსგავსი მარცვლების განმეორებას, თუ როდის შეხვდება იგივე მარცვალი...ურიტმო სიტყვა დაუსრულებელია, თუმცა საჭიროა, რომ სიტყვას დასრულებული სახე ჰქონდეს, ოღონდ არამეტრული. განუსაზღვრელი კი არც სასიამოვნოა და არც გასაგები. ყოველივე რიცხვით იზომება. სიტყვის სახეც რიცხვია, ანუ რიტმი, რომლის ზომას მისი ნაწილები შეადგენს. მაშასადამე, საჭიროა, რომ სიტყვას რიტმი ჰქონდეს, მაგრამ არა მეტრი, რადგან მაშინ ის ლექსი იქნებოდა. რიტმიც სავსებით ზუსტი არ უნდა ჰქონდეს. რიტმი ზუსტი იქნება მაშინ, თუ მას გარკვეული საზღვარი ექნება“ [არისტოტელე,1981:180].

ბევრი მკვლევარი, მაგ. რობერტ რ. ლორანტი, ქრის ბრეჩენი (Robert R. Lorant, Chris Brechen) ფიქრობს, რომ სწორედ რიტმულობა განასხვავებს კარგ პროზას ჩვეულებრივი პროზისგან [ინტ. წყარო №5]. მკითხველი „ეზმევა“ ავტორის მიერ გადასროლილ ბადეში და მიჰყვება რიტმის დინებას. კარგ ნაწარმოებში ფორმა და შინაარსი ერთმანეთთან ჰარმონიაშია. რადგან მნიშვნელობის (სემანტიკის) ფუნქციას ამყარებს და აძლიერებს გამოხატვის (ექსპრესიის) ფუნქცია. ქართულ ენაზე არსებული (თუნდაც თარგმანის სახით) უძველესი ნიმუში რიტმული პროზისა, არის

წმინდა წიგნი-ბიბლია. მისი მთლიანი ტექსტი და არა მხოლოდ ფრაგმენტები წარმოგვიდგება, როგორც უბადლო და უზადო ნიმუში რიტმული პროზისა და საუცხოო მაგალითი იმისა, თუ როგორ უნაკლოდ გადავიდა ტექსტის რიტმი სხვა ენებზე. მოვიხმოთ მცირე ფრაგმენტი „*ეკლესიასტედან*“:

1. *ყოველივეს თავის დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.*
2. *ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა; ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგულის აღმოფხვრისა.*
3. *ჟამი მოკვდინებისა და ჟამი განკურნებისა; ჟამი ნგრევისა და ჟამი შენებისა.*
4. *ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა; ჟამი გლოვისა და ჟამი ღებინისა.*
5. *ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა; ჟამი მიჯნურთა პაემანისა და ჟამი მათი გაყრისა (ეკლ. 3; 1-5).*

რიტმული პროზის ფუნქციიდან გამომდინარე, შეიძლება, არსებობდეს რამდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ მიმართავს მწერალი რიტმულ პროზას: ა) ავტორი გაუცნობიერებლად მიმართავს მას, ანუ თხრობის პროცესში გაუცნობიერელად გადადის რიტმულ პასაჟებზე; ბ) ავტორი შეგნებულად მიმართავს მას და ტვირთავს მას რაიმე ფუნქციით; ეს შეიძლება ემსახურებოდეს გარდატეხის მომენტის ხაზგასმას, კვანძის გახსნას, ამაღლვებელ და ამაღლებულ ფინალს, თხრობის ახალი ხაზის შემოტანას, ახალი მთხრობელის შემოყვანას და მისი „ხმის“ გამოკვეთას და სხვ.

მკვლევარი აბრამ ლიპსკი თავის ნაშრომში „*რიტმი პროზაში*“ (Abram Lipsky, *Rhythm in Prose*, 1908) განასხვავებს ორი სახის რიტმს. ერთს უწოდებს მარცვალთა რიტმს და მიიჩნევს სუფთა ფონეტიკურ, მექანიკურ მოვლენად. ეს არის რეგულარული მონაცვლეობა მახვილიანი და უმახვილო მარცვლებისა. ამგვარი რიტმი ახასიათებს პოეზიას და არა მარტო მას. მეორე სახის რიტმს ა. ლიპსკი პროზაში გამოარჩევს; ეს ის რიტმია, რომელიც თავისი შინაგანი წყობით მისდევს და შეესაბამება, ორგანულადაა შერწყმული იმ აზრთან, რომლის გადმოცემის იარაღადაც იგი გვევლინება. ასეთ რიტმს ის უკვე უწოდებს ფრაზისა და წინადადების რიტმს, რომელიც ძირითადად ემყარება „გაწონასწორებულ“ ნათქვამს ან ფრაზას, რომელიც მიიღწევა ძირითადად ამა თუ იმ ენობრივი ერთეულის გამეორებითა და პარალელიზმებით [Lipsky, A., ინტ.წყარო №2].

ჩვენ აბრამ ლიპსკის აზრს ასე განვავითარებთ: ტექსტის რიტმულობა, მისი რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვა შეიძლება ორგვარად განვიხილოთ: პირველი–შინაგანი რიტმი, რაც ლექსიკო-სემანტიკური საშუალებებით მიიღწევა და შინაარსის დონეზე ხორციელდება, ვგულისხმობთ ტექსტის გამომსახველობას და გამომხატველობას, მის ემოციურ შინაარსს; და გარეგანი რიტმი, რომელიც ფორმასთან არის დაკავშირებული და ტექსტის რიტმულად ნაგებ სტრუქტურას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ტექსტის რიტმულობა შეიძლება მიღწეული იყოს, როგორც ფონეტიკური და მორფოლოგიური და სინტაქსური (გარეგანი–სტრუქტურული რიტმის შემქმნელი ენობრივი საშუალებები), ასევე, ლექსიკური (შინაგანი–ლექსიკო-სემანტიკური, სტილისტური) მოცემულობებით. ზემოთ ჩამოთვლილი ლინგვისტური საშუალებები უზრუნველყოფს ტექსტის რიტმულობის სხვა ნიშნებსაც. მკვლევარ ჯეიკ შორს (Jake Shore) მიაჩნია, რომ რიტმულ პროზას უნდა გააჩნდეს შემდეგი კომპონენტები: ტემპი, მთხრობელის ხმა და ტონალობა [Shore, J., ინტ. წყარო №6]. მართლაც, თუ ნაწერი გამსჭვალულია სიმსუბუქითა და კომიზმით და უცხად მწერალი გადადის დრამატულ ან ავისმომასწავებელ ტონალობაზე, ნაწარმოების მთელი რიტმი იცვლება. მაგ: ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობში“ ტექსტის „ხმა“ რამდენჯერმე იცვლება და ეს ხდება ბუნებრივად. ტონალობა ჰარმონიულად ეხამება აღწერილ ამბავს. ინგლისურენოვან ანალოგიურ მაგალითსაც მოვიხმობთ: ჯეიმზ ჯოისის მოთხრობა „მიცვალებულნი“ (James Joyce, *The Dead*) იწყება მეტად მხიარული საშობაო ვახშმით და მთავრდება მეტად სევდიან, თითქმის ტრაგიკულ ნოტაზე.

რიტმის წარმოქმნის უმთავრესი შემადგენელი ნაწილია ნაწარმოების ტემპი. ყველა რიტმულ ტექსტს თავისი ტემპი გააჩნია. თუ შევადარებთ ერთმანეთს შემდეგ ორ წინადადებას, დავინახავთ რიტმული პროზის ტემპის შექმნაში რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს წინადადების აგებულება, სასვენი ნიშნები და მაკავშირებელი კავშირები. მაგ: „შემოიჭრა მთავარი სირბილითა და ქოშინით დარბაზში, ჰკრა წიხლი მაგიდასა და სკამებს, მრისხანე მზერა ესროლა მდუმარე მსახურებსა და ქვეშევრდომებს“ და მეორე „ერთის მხრივ ახალი ცხოვრება, ახალგაზრდა ხალხით, ახალი ხერხებით, შრომით, ინდუსტრიით, ძალიან ბევრი ინდუსტრიით“ (კოტეტიშვილი.2012:12). პირველში რიტმს ქმნის პარალელური სტრუქტურები,

პარალელური წყვილები, უკავშირო გადაბმა, ინვერსია. მეორეში–ჩამონათვალი, სიტყვის „ახალი“ მრავალგზის გამეორება, ბგერა „ხ-ს“ ალიტერაცია.

ნაწარმოების რიტმის შემადგენელი ნაწილია **მთხრობელის ხმა**. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ე.წ. „პოლიფონიურ პროზაში“, სადაც რამდენიმე მთხრობელია და ყველას თავისი საკუთარი „ხმა“ გააჩნია [ინტ. წყარო №7]. მათი ხასიათის დამახასიათებელი ნიშნები, ფსიქოლოგიური თუ ემოციური პორტრეტი კარგად ჩანს არა მარტო იმაში, თუ როგორ აფასებენ და აღიქვამენ, მაგალითად, ერთსა და იმავე მოვლენას, არამედ რა ლექსიკას იყენებენ, როგორია მათი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ტონი, სტილისტიკა. სხვადასხვა მთხრობელის „ხმის“ მონაცვლეობა უკვე საკმარისი წინაპირობაა ნაწარმოებში ერთი ზოგადი, თუმცა, ცვალებადი, მრავალფეროვანი რიტმული ქარგის შესაქმნელად. მაგალითისთვის გამოდგება ოთხი წიგნისაგან შემდგარი ლორენს დარელის „*ალექსანდრიის კვარტეტი*“ (Lawrence Durrell, *The Alexandria Quartet*).

ზემოთ ჩამოთვლილი რიტმულობის კომპონენტები შეიძლება რიტულობის შემქმნელ შიდა საშუალებებს მივაკუთვნოთ. რაც შეეხება რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვის გარე საშუალებებს, რიტმული მონაკვეთების „აგება“ იწყება ასობგერების, (ფონეტიკა), მარცვლების, სიტყვების (მორფოლოგია) დონეზე და ეს შემდეგ ვითარდება ფრაზის, წინადადების და აზვაცის (სინტაქსი) დონეზე. ზოგჯერ რიტმულია მთლიანი ტექსტი და კვლავ: რიტმულობა მარტო მახვილიანი და უმახვილო მარცვლებით კი არ მიიღწევა, ან წინადადებების გართმული დაბოლოებებით, არამედ მთლიანად ტექსტის სემანტიკითაც. ღრმა ემოციური ექსპრესიით დატვირთული ტექსტი უმეტესად რიტმულია. რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვას აქ უკვე ლექსიკის დონეზე განვიხილავთ. მორფოლოგიისა და ლექსიკის თვალსაზრისით მსჯელობისას არ უნდა გამოგვრჩეს ტექსტის **მოდალობის** გათვალისწინება: სრულიად განსხვავებული იქნება ტონალობა და ემოციური შეფერილობა ტექსტებისა მათი მოდალობის მიხედვით.

რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვის თვალსაზრისით ჩვენ გვინტერესებს ობიექტურ-მოდალური პლანი, როგორც საშუალება რიტმის გადმოცემისა თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი თუ ძახილის წინადადებების ერთმანეთზე მიყოლებული დაჯგუფებით; ხოლო სუბიექტური მოდალობა ანუ სუბიექტურ-მოდალური პლანი,

შინაგანი მონოლოგების სახით, რომელიც გამოხატავს მთქმელის დამოკიდებულებას აღსანიშნი სიტუაციისადმი. წინადადებაში ყოველთვის იგულისხმება ან გამოიხატება მოქმედების (მდგომარეობის) სუბიექტი, რომელიც აუცილებლად შეეფარდება მთქმელს [სერგია, 1989:255-256]. ლექსიკის დონეზე ჩვენ მოგვიწევს არა მარტო ცალკეული წინადადებების, არამედ ზეფრაზული ერთეულების ანალიზიც; მხატვრულ ტექსტს კი მხოლოდ სუბიექტური მოდალობა გააჩნია. იგი თავს იჩენს მაშინ, როდესაც ავტორი გადმოგვცემს თავისი თუ მისი პერსონაჟების განწყობას, ემოციურ ფონს, შეფასებასა და დამოკიდებულებას გარე სამყაროსადმი, მსჯელობასა და დასკვნებს. „სუბიექტური მოდალობა–ეს ტექსტის მთავარი და არსებითი თავისებურებაა, მისი ლინგვისტიკური სემანტიკა“ [სერგია, 1989:258].

მოდალობა, როგორც სემანტიკური კატეგორია, შეიძლება გადმოიცეს შემდეგი ენობრივი საშუალებებით: მოდალური სიტყვები და მოდალური წინადადებები, ნაწილაკები და შორისდებულებები, ჩართული სიტყვები და გამოთქმები, ზმნის დროისა და კილოს ფორმები, გამეორებები. თუმცა, „შეუძლებელია განვსაზღვროთ ყველა ხერხი და სტატუსი, რომლებიც მოდალობის ლინგვისტური სტატუსის აქტუალიზებას ახდენენ, რადგანაც კონკრეტულ ტექსტში შეიძლება მოხდეს ემოციური, ხატოვანი და ესთეტიკური ტრანსფორმაცია ნებისმიერი ენობრივი ერთეულისა, რომელიც, ავტორის განსაზრახვისა და კონტექსტის მიხედვით, შეიძლება მოდალურებად იქცნენ, ე.ი. გამოხატონ ავტორის მიმართება აღწერილი სინამდვილისადმი“ [მიქაძე, 2014:26].

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ რიტმულობის ექსპრესია ვერ შეიქმნება, თუ **ფორმასა** და **შინაარსს** შორის ჰარმონია არ არსებობს. ამის უზრუნველსაყოფად კი საჭიროა მისი ორი აუცილებელი კატეგორია **გაბმულობა** (იგივე მთლიანობა, იგივე „აზრობრივი უწყვეტობა“ ანუ კოჰერენტულობა) და **თანმიმდევრობა**, რაც ქმნის ტექსტის მთლიანობას. კოჰერენტულობა ტექსტის ყველაზე მთავარი კატეგორიაა, რადგან იგი ერთმანეთთან აკავშირებს ტექსტის ყველა, ნებისმიერ ასპექტს. „ტექსტის კოჰერენტულობა ეფუძნება ტექსტის სამყაროს აზრობრივ უწყვეტობას. არ არის აუცილებელი, რომ ტექსტის სამყარო ემთხვეოდეს რეალურ სამყაროს: საქმე ეხება სამყაროს, რომელიც ტექსტის საფუძველშია ჩადებული მეტყველი პირის მიერ“ [თევდორაძე, 2011:113]. რაც შეეხება თანმიმდევრობას, იგი საფუძველად უდევს

რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველ ისეთ მძლავრ საშუალებას, როგორცაა ლექსიკური გრადაცია, ვინაიდან „ტექსტის ამ კატეგორიაში ვლინდება ცნობილიდან უცნობისკენ, თემიდან რემისკენ ინფორმაციის მოძრაობის, ცვლილების წესი“ [სერგია, 1989:245].

რიტმის წარმოჩენაში დიდი როლი ენიჭება როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე სიტუაციურ ფაქტორს. წინასწარი განწყობა ძლიერად მოქმედებს იმაზე, თუ როგორ წავიკითხავთ ტექსტს. მაგ: ერთგვარად ვერ წავიკითხავთ ნიკოლოზ ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცს“ და მითითებებს, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ხანძრის შემთხვევაში. არანაკლები მნიშვნელობა აქვს ტექსტის ვიზუალურ მხარეს. ნაწერის ტიპოგრაფია, არასრული ხაზები, სასვენი ნიშნები უკვე განგვაწყობს პაუზისაკენ, ლოგიკური და ემოციური მახვილისაკენ. ნაწარმოების ემოციური შინაარსი და დატვირთვა შეიძლება ტექსტს უფრო მეტ რიტმულობას ანიჭებდეს, ვიდრე გარკვეული რიტმული მონახაზი. ნიმუშად მოვიყვანოთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას მოთხრობიდან „ქუჩი“: *მზეო, დამხედე! წვიმავ, დამნამე! კლდეო მაღალო, შეინახე ჩემი ფესვები, სიცოცხლეს ნუ დაუკარგავ, ნუ ამომთხრი, ნუ ამომადგებ! პირიმზევ, ტურფავ, ლამაზო! შენის სილამაზის მზეს, ათასში ერთხელ მაინც გადმომხედე, მაღირსე შენი ღიმილი! საწყალი, ბერავი ქუჩი ვარ, შემებრალე! ნიავო მთისავ, ბუნების მაცოცხლებლო სულო! დამბერე, გააგრილე ჩემი მხურვალე გული! არწივო, მედიდურო ფრინველო! თუ გწამს ღმერთი, ეცადე, რომ ჩემს თვალებს არ აჩვენო, როცა უცოდველად სულდგმულთა სისხლს აქცევ; ...დამბადებლო, დამიფარე, შემინახე უნაყოფო კლდეზე დაკიდებული ქუჩი!...* (ვაჟა-ფშაველა. 2010:106).

ანალოგიური ემოციურად დატვირთული ფრაგმენტი მოვიყვანოთ ინგლისურენოვანი რიტმული პროზიდან:

Most of the big shore places were closed now and there were hardly any lights except the shadowy, moving glow of a ferryboat across the Sound. And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world. Its vanished trees, the trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams; for a transitory enchanted moment man must have held his breath in the presence of this continent, compelled into an aesthetic

contemplation he neither understood nor desired, face to face for the last time in history with something commensurate to his capacity for wonder (Fits.1984:127) (სანაპიროზე გაშენებული ყველა დიდი აგარაკი უკვე გამოეკეტათ, სინათლე არსაიდან მოჩანდა, ოდნავ ბჟუტავდა მხოლოდ ბორანი, რომელიც სრუტეს გარდიგარდმო სერავდა ხოლმე. მთვარე მალა და მალა მიცურავდა. თანდათან უჩინარდებოდა შენობები, ვით რაღაც უმნიშვნელო რამ და მე წარმოვიდგინე ეს კუნძული უკაცრიელი, ვით იმ უძველეს დროს, როცა ჰოლანდიელ მეზღვაურთა თვალწინ პირველად გადაიშალა იგი, როგორც ახალი სამყაროს მწვანე, ლორთქო გულმკერდი. აწ გარდასულ ხეთა ჩრდილში, იმ ხეთა ჩრდილში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს, მათ ჩურჩულ-შრიალში, იფურჩქნებოდა საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა. ამ მიწის ხილვით წამიერად მოხიბლულ ადამიანს, რომელიც, ისტორიაში უკანასკნელად, პირისპირ იდგა რაღაც ისეთთან, რაც შეესაბამებოდა გაცეცხისა და აღფრთოვანების მისეულ უნარს, უთუოდ სულთქმა შეეკვროდა და დაემორჩილებოდა მშვენიერების ჭვრეტის მომნუსხავ ძალას, თუმც არც ესმოდა იგი და არც ენატრებოდა (ფიცჯერალდი, 1985:147).

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ „რიტმს ცალკე არავითარი ობიექტური მნიშვნელობა არ ენიჭება, გარდა იმ იდეასთან კავშირში, რომელსაც ის გამოხატავს. ის, უბრალოდ, ხაზს უსვამს და მინიშნებებით ტვირთავს რომელიმე კონკრეტულ აზრს“ [ინტ. წყარო №8]. ამით კიდევ ერთხელ გამოიკვეთება, თუ რამდენად გადამწყვეტია ტექსტის ფორმასა და შინაარსს შორის შეთანხმებულობის არსებობა.

ზემოთ თქმულის საფუძველზე, შეგვიძლია გამოვკვეთოთ შემდეგი:

1. რიტმულ პროზად შეიძლება ჩაითვალოს პოეტური, ლირიკულობისაკენ მიდრეკილი პროზა, რომელიც ჟღერს, როგორც ლამის პოეზია, თუმცა, მისი ვიზუალური ფორმა -ტიპოგრაფიული-არის პროზაული.
2. რიტმულ პროზად შეიძლება ჩაითვალოს პროზის ისეთი ნიმუში, რომელიც არა მხოლოდ სტრუქტურულად, არამედ სემანტიკურადაც აღწევს რიტმულობას, ემოციურად შეფერილი ლექსიკის ხარჯზე.
3. რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვა ხდება სხვადასხვა ლინგვისტური საშუალებით: ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური.
4. პროზის რიტმულობის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობა ტექსტის ფორმისა და შინაარსის ასპექტებს შორის ჰარმონიული ურთიერთშეთანხმებაა.

§ 2. რიტმულობის შექმნის ფონეტიკური შესაძლებლობები

ყველა ენობრივი სისტემის ამოსავალი წერტილი მათი ფონეტიკური აგებულებაა. ქართული და ინგლისური ენები არა მარტო სრულიად განსხვავებულ ენათა ოჯახებს მიეკუთვნებიან, არამედ ფონეტიკურად განსხვავებულ სტრუქტურებს წარმოადგენენ.

„ერთი რომელიმე ენის აღსაწერად ზოგჯერ საკმარისია მხოლოდ ორი ხარისხის - მოკლე და გრძელი ბგერების გარჩევა, სხვა ენაში შეიძლება მეტი დეტალიზაცია დაგვჭირდეს, მაგალითად: გრძელი, ნახევრად გრძელი, მოკლე, ნახევრად მოკლე ბგერები და ა. შ.“ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია. 2008:88]. ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ ინგლისურ ენაში, ქართული ენისაგან განსხვავებით არსებობს როგორც გრძელი ხმოვნები (sheep, Pete [i:], moon [mu:n], door [dɔ:], car [ka:], ისე-მონოფთონგები (day [ei], boy [oi], light [ai] და ა.შ.). მსგავსი გრძელი ხმოვნის ეფექტი ქართულ ენაში მხოლოდ ორი ერთი და იმავე ხმოვნის თავმოყრის შემთხვევაში იქმნება (მაგ. ლექსიკურ ერთეულში: საათი; უფრო ხშირად ეს ხდება გრამატიკული ფლექსიის ხარჯზე: დღეები, გადაადგილება, გაათავისუფლა და სხვ.).

ინგლისური ენის ინტონაციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მახვილი. მისი მთავარი ფუნქციაა სიტყვაში მახვილით გამოკვეთილი მარცვალი უფრო წარმოაჩინოს, ვიდრე უმახვილო. ინგლისურსაც და ქართულსაც დინამიკური მახვილები გააჩნია. თანამდებდროვე ქართულ ენაში მახვილი სუსტია და დინამიკური. „იგი განსაზღვრულია: ორმარცვლიან სიტყვაში მახვილი მეორე მარცვალზეა ბოლოდან...ხუთ და მეტმარცვლიან სიტყვებში, გავრცელებული შეხედულების თანახმად, მახვილია მესამე მარცვალზე ბოლოდან, თანამახვილი - პირველზე, თავში: აღმაშენებელი“ [კვაჭაძე, 2001:60].

მახვილიანი და უმახვილო მარცვლების მონაცვლეობით რიტმი იქმნება, რაც უკეთესად შეიგრძნობა ხმამაღლა კითხვისას. „ინგლისური ენის რიტმი ერთი და იმავე ინტერვალის შენარჩუნებაა მახვილიან მარცვლებს შორის. მნიშვნელობა არა აქვს უმახვილო მარცვლების რაოდენობას, ვინაიდან, რაც უფრო მეტია უმახვილო მარცვალი, მით უფრო სწრაფად ხდება მათი წარმოთქმა. მახვილიანი მარცვლები უმახვილო მარცვლებთან ერთად ქმნის რიტმულ ჯგუფს. იმისათვის, რომ ინტერვალები იყოს ერთნაირი, უნდა ვეცადოთ, უმახვილო მარცვლები მივამაგროთ

მახვილიანს და წარმოვთქვით მახვილიანთან ერთად. ინგლისურ ენას მახვილზე აგებული რიტმი ახასიათებს. ქართულ ენაში რიტმი არ არის დამოკიდებული მახვილზე, არამედ დამოკიდებულია მარცვლებზე, მიუხედავად იმისა, მახვილიანია თუ არა ეს მარცვლები. ქართულ ენას აქვს მარცვალზე აგებული რიტმი“ [შელია, მ., ინტ. წყარო №9]. საილუსტრაციოდ იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მახვილი რიტმულობისათვის ინგლისურ ენაში, მოვიშველიოთ მკვლევარ აბრამ ლიპსკის ექსპერიმენტი ჩატარებული პროზაში მარცვალთა რიტმის გამოსავლენად. კვლევისთვის მან შეარჩია ორი განსხვავებული მწერლის ჯ. ფ. კუპერისა და რ. ლ. სტივენსონის პროზაული ნაწარმოებები. ორივეში დათვალა დასაწყისიდან ათას-ათასი სიტყვა და, შესაბამისად. ჯერ ერთი, შემდეგ მეორე ფრაგმენტი წაიკითხა ბუნებრივი, ძალდაუტანებელი ტემპით და ორივეგან მონიშნა როგორც მახვილიანი, ისე უმახვილო მარცვლები და დათვალა ისინი. შემდეგ მკვლევარმა გამოთვალა უმახვილო მარცვალთა რაოდენობა ორ მეზობელ მახვილიან მარცვალს შორის. პირველ მწერალთან უმახვილო მარცვლების რაოდენობა ტექსტში გარკვეულწილად აღემატებოდა იგივე მაჩვენებელს მეორე მწერლთან. ლიპსკიმ ეს ექსპერიმენტი სხვა მწერალთა ტექსტებზეც ჩაატარა და საბოლოო შედეგი იყო ის, რომ რაც უფრო მაღალი იყო მაჩვენებელი, მით უფრო მძიმე, ერთგვარად მოუქნელი იყო იმ ნაწარმოებთა სტილი, იმ დროს, როცა მცირე მაჩვენებლიანი ტექსტები წასაკითხად უფრო სასიამოვნო და მსუბუქი იყო. ამდენად, აშკარაა, რომ ტექსტი, სადაც მახვილიანი და უმახვილო მარცვლების მონაცვლეობით შექმნილი სქემა უფრო გაწონასწორებულია, ანუ სადაც ერთ მახვილიან მარცვალზე თითქმის ერთი უმახვილო მოდის და არა მეტი, ის ტექსტი უფრო რიტმული და დინამიკურია [Lipsky, A., ინტ. წყარო №2].

ტექსტის რიტმულობა დიდად არის განპირობებული ავტორის მიერ შერჩეული და გამოყენებული ენის ფონეტიკური მოცემულობებით, რომლებიც ანიჭებენ რა ნაწარმოებს კეთილხმოვანებასა და ექსპრესიულობას, ტექსტის შინაარსსაც უფრო ემოციურს და მკითხველისათვის ესთეტიკურად სასიამოვნოდ აღსაქმელს ხდიან. ვასილ ბარნოვის სიტყვით, „რიტმი ანუ ფრაზათა მუსიკალობა ერთნაირად საჭიროა ლექსისათვისაც, პროზისათვისაც“ და, ამავე დროს, აუცილებლობითაა გამოწვეული. „როცა პიროვნების მთელი არსება მწყობრად არის ღელვილი, მისი სიტყვაც,

მხატველი ამ დღევისა, უნებლიედ შეიქმნება რიტმულ-მუსიკალური“ [კოშორიძე,2005:165]. იქვე ვკითხულობთ: „ვასილ ბარნოვს მიაჩნია, რომ უაღრესად განვითარებული პროზის ენა აუცილებლად რიტმულ-მუსიკალურია, და თუ ახლა არ არის, მომავალში მაინც იქნება“ [კოშორიძე,2005:165]. მწერლის განკარგულებაშია სხვადასხვა ფონეტიკურ - სტილისტური ხერხი, როგორცაა: ალიტერაცია, კონსონანსი, ასონანსი, შინაგანი რითმა.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფონეტიკური საშუალება, რომელიც ქმნის რიტმული ექსპრესიის მძლავრ განცდას პროზაში არის *ალიტერაცია*. ალიტერაცია (ლათ. *litera*, ანბანის ასო) „ლექსის ტაეპში ერთი და იმავე თანხმოვნის რამდენჯერმე გამეორება“ [ჭაბაშვილი.1989:31]. ალიტერაციასთან მეტად ახლოსაა მეორე ფონეტიკური მოვლენა *კონსონანსი* (ლათ. *consonantia*, ჰარმონია, შეთანხმება), რაც გულისხმობს „რამდენიმე ბგერის ჰარმონიულ შეხამებას; კეთილხმოვანებას“ [ჭაბაშვილი.1989:249]. კონსონანსი არა სიტყვის პირველი თანხმოვნის, არამედ სხვა ნებისმიერი თანხმოვნის და თანხმოვანთა კომპლექსის გამეორებაა ერთმანეთის ახლო მყოფ სიტყვებში. ქვემოთ მოყვანილი წინადადებები ადასტურებს, რომ ქართულ რიტმულ ტექსტებში ალიტერაცია და კონსონანსი ხშირად ერთმანეთის გვერდით არსებობს:

მწყაზარ ლოყებზედ ვარდი უყვავდა ხვარამზეს (ბარნოვი,1943:331); მეტად საინტერესო მაგალითია- [ყ] [ვ] [რ] [ზ] ბგერების კონსონანსს აძლიერებს შინაგანი რითმა, რომელსაც გვაძლევს შემდეგი მარცვლები: ზარ-ვარ-ვარ, ბზე-მზე, მწყაზარ-ხვარამზე. მსგავსი შემთხვევა მრავალი დაიძებნება.

დათლილი თითები და კრიალოსნები-ქარვის და გიშერის. ყველგან ჰაშიში (რობაქიძე,1989: 12); აქ სამი რიტმული ჯგუფია. პირველი ჯგუფის „და“ კავშირი ერთმება პირველი სიტყვის საწყის მარცვალს და ასევე გვევლინება *კრიალოსნები*-ს პროკლიტიკად. მეორე რიტმული ჯგუფის „და“ ენკლიტიკია ლექსემა *ქარვის*-თვის. ალბათ ამიტომ არჩია მწერალმა, დაეწერა „გიშერის“ კუმშვის გარეშე. შედეგად პირველი რიტმული ჯგუფი იყოფა ორ თანაბარმარცვლოვან ნაწილად: და-თლი-ლი-თი-თე-ბი (6) და-კრი-ა-ლოს-ნე-ბი (6). მეორე რიტმული ჯგუფი: ქარ-ვის-და (3) გი-შე-რის(3). მესამე რიტმულ ჯგუფში არ არის მარცვალთა თანაბარი რაოდენობა, მაგრამ არ იქმნება დისონანსი, თანაც გვაქვს მიახლოებითი და მოულოდნელიც,

გართმევა გიშერის და ჰაშიში-ს (თუმცა, ეს განცდა შეიძლება ჩვენგან სუბიექტური იყოს);

მწვანე ქოშები წითური ქუსლებით (რობაქიძე,1989:14)- მეტად საინტერესო ჯვარედინი ალიტერაციაა [წ-ქ / წ-ქ]; *მდორე მდინარე (რობაქიძე,1989:26)*; მდო-მდი, რე-რე რითმები; *ბზრიალით, წრიალით, რიალით აფრინდნენ ჰაერში ჩონგურის ფერადი სადაფები, როგორც პეპლები ქარისაგან დაფეთებულნი (გამსახურდია,1959:9)*; არაჩვეულებრივად ფერადოვანი რიტმის წინადადება, გაფორმებული ბზრ-წრ-ფრ თანხმოვანთა კომპლექსებით, [ფ][რ] ბგერების ალიტერაციით; *ბრდღვინავდა, მიმოხტოდა, ღრღნიდა ლაგამსა (ბარნოვი,1943:235)*; [რ][დ][ღ]-ს ალიტერაცია და კონსონანსი, ბრდღვინავდა, ღრღნიდა ხმაბაძვითი სიტყვებია; *დედის სიტყვაზედ ქალს ყაყახო აუყვავდა მწყაზარ ლაწვებზედ (ბარნოვი, 1943:250)*; [ყ]-ს ალიტერაცია, [წ][ყვ] კონსონანსი; *ტბა ატორტმანდა (ლორთქიფანიძე,1958:223)*; [ტ] ალიტერაცია; *ჩრდილების ჩურჩული და ჩრდილების ლოცვალა დარჩა ძველ ტფილისში (კოტეტიშვილი, 2012:12)*; [ჩ] ალიტერაცია, [ჩრ-რჩ-ლ] კონსონანსი; *დარდები დიდ ცოდვებით დატვირთულ ახალ თაობაზე (კოტეტიშვილი,2012:12)*; [დ] ალიტერაცია, [თ] კონსონანსი (იხ.დანართი № 1.1.).

ქართულენოვანი ნიმუშების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკნათ, რომ ცალკე ალიტერაცია იშვიათია. იგი უმეტესად გაძლიერებულია კონსონანსის საშუალებით და ეს ორივე ფონო-სტილისტიკური მოვლენა ერთად, თავისთავად, უფრო მეტ ექსპრესიას ჰმატებს რიტმულ პროზას. მოძიებული ნიმუშების სიუხვემ დაგვარწმუნა, რომ ინგლისურენოვან ტექსტებშიც ალიტერაციასა და კონსონანსს, როგორც ტექსტის რიტმულობის წარმოქმნის ფონეტიკურ საშუალებას, უმთავრესი ადგილი უკავია:

She had been left a large fertile farm when her father died (Anderson,1981:33); [l-l/f-f] სიმეტრიული ალიტერაცია;

stuffed scraps of paper (Anderson,1981:34); [s][p];

For hours she sat in silence listening as he talked to her (Anderson,1981:35); [s][l];

He saw the squalid tract of her vice, miserable and malodorous (Joyce,1982:128); [s][m][l];

He stood still to listen (Joyce,1982:129); [st]-თანხმოვანთა ორგზის კომპლექსი;

It passed slowly out of sight (Joyce,1982:129); [s];

She craves for sundown to end and to stray freely again in the long afterglow (Beckett,1985:1); [l];

The old sunlit face (Beckett,1985:1); [l][s];

Slow fade of afterglow (Beckett,1985:1); [l][f];

Distinguished nothing except a single green light (Fitzgerald,1984:27); [ŋ];

Romances that were not musty and laid away in lavender (Fitzgerald,1984:107); [l][m]

The bored, sprawling, swollen towns beyond the Ohio 126(Fitzgerald,1984:107); [b][s]

I had fair years to waste, years that I can't honestly regret, in seeking the eternal Carnival by the Sea (Fitzgerald,1965:62); [s] [eternal- Carnival] რითმა; (იხ. დანართი № 1.1.).

მეტად საინტერესოა შემდეგი შემთხვევა, რომელიც დასტურდება ზოგიერთ ზემოთ მოყვანილ ნიმუშში; რიტმულობის შესაქმნელ საშუალებებს შორის სახეზეა თანხვედრა: მასში მონაწილე ელემენტები ერთდროულად ფონეტიკური საშუალებებიც არის -ალიტერაციისა და კონსონანსის შემქმნელ თანხმოვანთა გამეორება და მორფოლოგიურიც. ხსენებულ ურთიერთკავშირზე ბევრი მეცნიერი მიუთითებს: „მჭიდრო კავშირია ფონეტიკასა და მორფოლოგიას შორისაც: ბგერა ცალკე არ არსებობს, იგი სიტყვაშია, ბგერითი ცვლილებაც სიტყვაში ხდება, რაც გავლენას ახდენს სიტყვის ფორმაზე. ფონეტიკის გარეშე გაუგებარი და აუხსნელი იქნებოდა ბევრი რამ მორფოლოგიიდან“ [კვაჭაძე,2001:15]. მოვიყვანოთ მაგალითი, სადაც ალიტერაციული ან კონსონანსური s თანხმოვანი, თავის მხრივ, ზოგჯერ მრავლობითის მაწარმოებელი - s ან კუთვნილებითი ბრუნვის აღმნიშვნელი აპოსტროფიანი 's-ია: *They look like the knuckles of Doctor Reefy's hands*. ამ წინადადებაში რიტმულობა იქმნება არა მარტო ბგერების [l] და [k]-ს გამეორებით, არამედ ბგერა -[z]-ის გამეორებითაც, სადაც ეს [z] მრავლობითი რიცხვის ნიშანიცაა (knuckles, hands) და კუთვნილებითი ბრუნვისაც (Doctor Reefy's). ასევე, რიტმს ქმნის შემდეგ მაგალითში *which set the rhythm of the year, summing up the sadness and suggestiveness of life in new tunes* თანხმოვანი [s] ალიტერაცია გაძლიერებულია დერივაციული არსებითი სახელის სუფიქსის -ness-ის გამეორებით. იგივე შეგვიძლია ვთქვათ, როდესაც მეორდება ზმნის -ing -იანი ფორმები (გერუნდივი ან აწმყო მიმდებარეობა) ან წესიერი ზმნების მეორე ან მესამე ფორმების -ed-იანი დაბოლოებები. მათი და აგრეთვე მსგავსი თანხმოვნების გამეორებით იქმნება განსაკუთრებით

ექსპრესიული რიტმული ქსოვილი. მაგ. *One runs from tree to tree over the frosted ground picking the gnarled, twisted apples and filling his pockets with them* (Anderson,1981:34). ამ უაღრესად რიტმული წინადადების შესაქმნელად მრავალი ფაქტორი მონაწილეობს: **t, f, g, p** თანხმოვნების ალიტერაცია, **fr, tr, gr, st, ck** თანხმოვანთა კონსონანსური კომპლექსები, **ed, ing** -ით და **one runs**-თ და **from tree to tree**-ით შექმნილი შინაგანი რითმები. მსგავსი ხშული და ფრიკატივ ბგერათა დახვავება ჰარმონიაშია ზამთრისპირის სურათის დახატვასთან.

ერთი შეხედვით, ან უფრო სწორედ, ერთი წაკითხვით, შემდეგი წინადადება, თითქოს, არ არის განსაკუთრებულად რიტმული, მაგრამ თუ ყურადღებით წავიკითხავთ, აშკარა გახდება, რამდენი ფონეტიკურ-სტილისტიკური საშუალება მონაწილეობს მის რიტმულობაში. *The solid world itself, which these dead had one time reared and lived in, was dissolving and dwindling* (Joyce,1982:219). **s, l, d** თანხმოვანთა ალიტერაცია, **z** ბგერის კონსონანსი (**these, was, dissolving**) და ასევე **dead-had , reared-lived** და **in-ing-ing**-ის შინაგანი რითმა ქმნის რიტმულობას.


ზემოთ ვახსენეთ, რომ პროზის რიტმულობის შემჩნევას მზაობა სჭირდება. ხანდახან შეიძლება მკითხველმა რომელიმე ემოციური პასაჟი განსაკუთრებულად რიტმულად აღიქვას. ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება ჩვენეული შეფასება წინადადებისა, რომელიც ჯეიმზ ჯოისის მოთხრობის „მკვდრები“ (*The Dead*) ბოლო აკორდია, რომელიც ასრულებს სევდიანი ამბის მეტად ამაღელვებელ კოდას. წინადადების ევფონიურობა, რაც რიტმულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა, ეყრდნობა მრავალგვაროვან და მრავალფეროვან ფონეტიკურ საშუალებებს. *His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead* (Joyce,1982:219); **s, l, f, d** თანხმოვანთა ალიტერაცია, **nd, nt** კონსონანსური კომპლექსები, **ent-end-dead** -ის შინაგანი რითმა, **falling faintly - faintly falling**-ის სიმეტრიული სრული ალიტერაცია ქმნის მეტად დასამახსოვრებელ რიტმულ მონაკვეთს, რომელიც ჟღერადობითაც არ ჩამორჩება მის მეტად ემოციურ შინაარსს.

ალიტერაციისა და კონსონანსის კვალდაკვალ, შემდეგი მნიშვნელოვანი ფონეტიკური მოცემულობა პროზაში რიტმის შესაქმნელად არის *ასონანსი* (ფრ. *assonance*–თანახმიანობა, თანაჟღერადობა; ხმოვნების (უპირატესად მახვილიანი)

თანახმოვანება, განსაკუთრებით არაზუსტ რითმაში) [თეზელიშვილი.2007:108]. ასონანსი უფრო დამახასიათებელია პოეზიისთვის. თუმცა, სწორედ ეს შინაგანი რითმები და განმეორებით გაჟღერებული ხმოვანთა ევფონია არის ის, რასაც რიტმული პროზა ეყრდნობა. ასონანსი უფრო ხშირია ინგლისურენოვან ნაწარმოებებში. ეს აიხსნება დიფთონგების არსებობითაც ამ ენაში, რაც განსაკუთრებულ მელოდიურობას ანიჭებს ტექსტს (იხ. სქემა №1). ხმოვანთა ასეთი დახვავება ტექსტს კეთილხმოვანებას, სიმსუბუქეს მატებს და აადვილებს როგორც მის აღქმას, ასევე, მის დამახსოვრებას.

სქემა №1.

პროზის რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველი ფონეტიკური საშუალებები



ირინა არნოლდს თავის წიგნში „*Стилистика современного английского языка*“, მაგალითად მოჰყავს მაქსიმ შასტენის (Maxime Chastaing) მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი რომელიც სტუდენტთა ოცკაციან ჯგუფს ჩაუტარეს იმის გამოსაკვლევად, თუ რომელი ხმოვნის შემცველი მარცვალი მოეჩვენებოდათ მათ ყველაზე უფრო კეთილხმოვნად (ნათლად) და ყველაზე ნაკლებად კეთილხმოვნად (მუქად). მათ უნდა არჩევანი გაეკეთებინათ ხუთი მარცვლიდან: kig, keg, kag, kog, kug. პირველ კატეგორიაში–„ყველაზე ნათელი“ ოცი სტუდენტიდან თხუთმეტმა ხმა მისცა ხმოვან „ი“-ს შემცველ მარცვალს, არც ერთი ხმა არ მიუღია „kug“-ს, ხოლო მეორე

კატეგორიაში–„ყველაზე ბნელი“ თორმეტმა ამოირჩია „უ“-ს შემცველი, არც ერთმა kig. მსგავსი სხვა ცდები თითქმის იმავე შედეგით დასრულდა [Арнольд И.В.1973:256].

პირველად მოვიყვანოთ ასონანსის ნიმუშები ინგლისურენოვანი ნაწარმოებებიდან. წინადადებათა კეთილხმოვანებას აძლიერებს არა მარტო ცალკეულ ხმოვანთა, არამედ დიფთონგთა გამოვლენა:

She had been left a large fertile farm when her father died (Anderson,1981:33); [ai][a:];

It is delicious, like the twisted little apples (Anderson,1981:33); [i];

He was found lying on the ground (Beckett,1985:1); [au];

It happened so long ago (Beckett,1985:1); [ou];

She makes haste to gain the fields (Beckett,1985:1); [ei];

He felt their presence all about the house, pervading the air with the shades and echoes of still vibrant emotions (Fitzgerald,1984:107); [au][ei][ou];

A sharp wild brace came suddenly into the air (Fitzgerald,1984:110); [ei]; (იხ. დანართი № 1.1.):

ასონანსის თვალსაზრისით, ქართული ტექსტისთვის დამახასიათებელი ის არის, რომ ასონანსის შემქნელი ხმოვანი ბგერა ძირითადად ერთი და იმავე თანხმოვანთან წყვილში გვხვდება. სახეზეა მსგავსი კომბინაციები ხმოვანთა და თანხმოვანთა; ხშირია შემთხვევა, როცა მიყოლებით განლაგებულ სიტყვებში გვხვდება ერთი და იგივე სტრუქტურა, რაც უდავოდ ჰმატებს ნაწერს დინამიკურობას და ექსპრესიას. თუმცაღა, მაინც უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ქართული რიტმული პროზა რიტმიკულ აქცენტებს მაინც უფრო თანხმოვანზე აკეთებს. განვიხილოთ ასონანსის შემდეგი მაგალითი: „*არეულია. ამრეზილი. აღრენილი*“ (რობაქიძე,1989:18). ზედიზედ სამი მოკლე, გაუვრცობელი, თითო სიტყვისაგან შემდგარი წინადადებაა. სამივე სიტყვა იწყება ასო-ბგერათი „ა“, რომელიც ორ შემთხვევაში ზმნისწინის ფუნქციას ასრულებს და ერთვის ზმნის საწყის ფორმებს რევა, ღრენა, მესამე შემთხვევაში ემთხვევა საწყისის ა-ს (ამრეზვა) და სამივე შემთხვევაში საწყისზე ბოლოსართ ულ-ის და ილ-ის დართვით მიღებულია მიმღეობა. ხმოვანთა სქემა, რომელსაც ამ წინადადებათა რიტმულობა ეყრდნობა, შემდეგნაირად გამოიყურება : ა+ე+უ+ი+ა, ა+ე+ი+ი, ა+ე+ი+ი. მათი მსგავსება იმითიც ძლიერდება, რომ სამივეში გვხვდება ნარნარი ბგერები რ და ლ. მსგავსი შემთხვევა გვაქვს შემდეგ მაგალითშიც:

„ასე მოგზაურობდნენ ძველად ჰებრაელთა ტომები: ხალხი: უსახლო-უკარო-ულოგინო“ (რობაქიძე, 1989:119). ამ წინადადებაში მეორდება როგორც ხმოვანი „ე“, ასევე, ერთმანეთის მიჯრით გვაქვს სამი არქონის უ- პრეფიქიანი და ო- სუფიქსიანი ზედსართავი უ-სახლო-ო - უ-კარ-ო - უ-ლოგინ-ო. რიტმულობა იქმნება ასონანსის წყალობით - მეორდება თავკიდური უ და ბოლოკიდური ო. ჟღერადობას აფერადებს და აძლიერებს ასევე ნარნარი თანხმოვნების /ნ, რ/ მონაწილეობა ამ რიტმულ მონაკვეთში.

მოვიყვანოთ ასონანსის სხვა მაგალითებიც, სადაც ცალკეულ ხმოვანთა გამეორებასთან ერთად ხშირად დასტურდება იგივე - მეტი რიტმულობისათვის ერთი და იგივე ხმოვანი ერთსა და იმავე თანხმოვანთან ან მარცვალთან მეორდება, ანუ გვაქვს მარცვლური რიტმი:

მექარავენე არჩევს ზარებს (რობაქიძე, 1989:57) [არ] [ე];

აქ ნახა უკანასკნელად ირანის ჯეირანი-ირაჰმანდა (რობაქიძე, 1989:112) [ირა][ა];

ხეტიალი გროვების თუ ხროვების (რობაქიძე, 1989:187) [ვე];

კლდეებში კვდება აქლემი ბეხან (რობაქიძე, 1989:133) [დე-დე-ლე-ბე];

ფარდულებში ფარჩასა და აბრეშუმს ჰყიდიან (რობაქიძე, 1989:171) [ფარ-ფარ][ა];

ისმის სპარსული ბაასი (რობაქიძე, 1989:171) [ის][ა];

ქალაქი მაინც ქანაობს (რობაქიძე, 1989:219) [ქა][ა]; (სრულად იხ. დანართი № 1.1.).

რიტმული ექსპრესიის გამაძლიერებელ საინტერესო ფონეტიკურ საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს სხვათა სიტყვის დაბოლოების „ო“-ს ხშირი გამოყენება. ბოლოკიდური, მხოლოდ ხმოვნისაგან შედგენილი მარცვალი განსაკუთრებულ რიტმულ ეფექტს ქმნის, რადგან იგი მოგვაგონებს ისევ და ისევ ძველ ქართულ ხალხურ სიმღერებს, სადაც ხშირად ყოველი სტრიქონი „ო“-ზე მთავრდება. მაგ.

„გადი-გამოდი გუთანო,

ღირღიტავ ბანი უთხარო,

სახნის საკვეთო გაუსვი,

რომ კლანჭას ძირი ვუთხარო“ („ოროველა“) [ინტ. წყარო №10]

ან კიდევ:

„ ლომო, შე ლომის მოკლულო, ბუსნი-ჭალაის პირსაო,

ვინ შაგიღება წითლადა, მხარ-ბეჭი პერანგისაო.

ვინ გაგიმეტა სათოფედ, პატრონი ბევრი ცხვრისაო,
დაგიკრეფია გულზედა, ტოტები ალვის ხისაო.
ლამაზად დაგიტირებდი, ხათრ რომ არ მქონდეს ქმრისაო,
ლომო, შე ლომის მოკლულო, ბუსნი-ჭალაის პირსაო“ („ლომო, შე ლომის
მოკლულო“) [ინტ. წყარო №11].

ასევე, „ო“-ზე დაბოლოებით წინადადება თუ ფრაზა სინტაქსურადაც შეკრული, თითქოს, დახურული ხდება. იგი წარმოადგენს ფინალურობის, აზრის მკვეთრად და დაწურულად გამოხატვის ფორმას, რაც ასეა დამახასიათებელი ისევე და ისევე ქართული ფოლკლორისათვის, ამ შემთხვევაში ხალხური ანდაზებისათვის, სადაც ბოლოკიდური -„ო“, მართლაცდა, სხვათა სიტყვის, მრავალ თაობას შორის გამოღწეული და გადარჩენილი, ჩვენამდე მოტანილი ნათქვამის მარკერია. და რა არის ანდაზის მთავარი თვისება, თუ არა აზრის გამოთქმის სისხარტე, დინამიურობა, ექსპრესია და რიტმულობა, რაც მას ამრიგად ადვილად დასამახსოვრებლად ხდის? ქართულ ანდაზათა უმრავლესობა სწორედ ო-ზე ბოლოვდება.

ქართული ფოლკლორისაგან განსხვავებით, სხვათა სიტყვის დაბოლოების მატარებელი -ო, არა მარტო წინადადების ბოლოში, არამედ წინადადების შუაში ან სულაც თავში გვხვდება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს ნიშანი მეტი დინამიკურობისთვის უმეტესად ზმნა-შემასმენლს ერთვის, როგორც წინადადების პრედიკაციის ბირთვის, ან როგორც ფინალური აკორდი-ბოლო სიტყვას. ამ ერთგვარი მახვილისა თუ აქცენტის ამგვარად გამოყენება განსაკუთრებულ რიტმულ ექსპრესიას ანიჭებს თ ხ რ ო ბ ა ს. მაგ.: *აცნობეს ნინოს, დედოფალი მობრძანდებო* (ბარნოვი,1943:303);

მოხერხებული ყმაწვილი არ არღვევდა მათ შეცდომას, იქნებ ნამდვილ მიჯნურს ავაცთინო მოლაყბეთა გესლიანი ენაო. (ლორთქიფანიძე,1958:95); *ჯერ დიაცთან დალაპარაკებულიც არ გვინახავსო ტახტის მემკვიდრე* (გამსახურდია,1959:125); *ეგებ მახლობელნი არ მოსწონდეს, შორიელის ტრფიალი აწუხებდესო ჭაბუკს* (გამსახურდია,1959:125);

მე ვიციო სეფეწულის დარდიანობის წამალი (გამსახურდია,1959:125); *თავგადადებული მონადირე იყო როსტომ მეფე, ამაშიაც მას ემგვანებო მემკვიდრე* (გამსახურდია,1959:126);

*ეს მე ვარო მზეჭაბუკი, სამეზის გაუმეორა სეფეწულმა ბერიკაცს
(გამსახურდია, 1959:138);*

და ბოლოს, ეს შეიძლება მწერლის თვითმიზანია, ან, სულაც, შეუცნობელი სურვილი შემოქმედისა, როცა არა ცალკეული წინადადება, არამედ ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული რამდენიმე სტრიქონი პოეზიას ემსგავსება და პირდაპირ ლექსივით იკითხება. აქ მონაწილეობს არა მარტო ფონეტიკური საშუალებანი, არამედ რიტმულობის განცდას ქმნის მწერლის მიერ მოხმობილი სხვა ლინგვისტური ხერხებიც. თუმცა, რაკი ამგვარი წაკითხვის ეფექტი, უპირველესად, ტექსტის პოეზიამდე მიღწეულ ჟღერადობაზეა დამყარებული, ამ ქვეთავში უფრო შესაფერისად მივიჩნიეთ მათი ციტირება. ნაწარმოების მთლიანი ქსოვილიდან ამგვარად გამოყოფილი ფრაგმენტები უფრო გამოკვეთილია და მკითხველიც უფრო მეტ ყურადღებას აქცევს აგრერიგად გამორჩეულ ნათქვამს. უფრო მეტი სიცხადისათვის ვარჩიეთ ტექსტის დაყოფა რიტმულ მონაკვეთებად და მას ლექსის ფორმა მივეციტ:

პირველ ყოფილის სიმშვენიერით სავსე ბუნება/

უფროდაუფრო მკაცრის სახით ევლინებოდათ. /

უფროსკულნი ხეენი, უღრანი ტყე ღრუბელთ საყრდნობი./

სახიფათო წავარნები, სად მთის ნადირს /

მხოლოდ ეძლო ლაღი რონინი./

მიმხლტომის მტკვარის ქაფავარდნილ ჩანჩქერების ხრიალს/

ამრავლებდა სალ კლდეების მოძახილი ფერადახმიანი (ზარნოვი, 1943:261);

ინგლისურენოვან რიტმულ პროზაშიც არის ისეთი მონაკვეთები, როდესაც მკითხველს ეუფლება განცდა, რომ პოეზიას კითხულობს. თუმცა, აქ არის სწორედ მნიშვნელოვანი განსხვავება. ინგლისურ რიტმულ პროზაში პოეტურობის შეგრძნებას ქმნის უპირველესად სემანტიკა, ლექსიკური ერთეულები, რადგან, ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისური რიტმი მარცვლური არ არის, არამედ მახვილიანია. ზემოთ მოყვანილი ქართულენოვანი „პოეტური“ ფრაგმენტები კი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ეყრდნობა რითმას და მარცვალთა თანაბარ რაოდენობას. ამდენად, უფრო შესაფერისად მიგვაჩნია, რომ ინგლისურენოვანი პოეტურად კეთილხმოვანი სტრიქონები რიტმულ ლექსიკაზე მსჯელობისას მოვიყვანოთ.

§ 3. რიტმულობის შექმნის მორფოლოგიური შესაძლებლობები

ჩვენი ინტერესის საგანია ის მორფოლოგიური კატეგორიები, რომლებსაც გააჩნიათ რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვის პოტენციალი. ამოსავალი წერტილი მათ შორის როგორც მსგავსების, ისე განსხვავების დაძებნაა. კონტრასტული ანუ კონფრონტაციული მეთოდით ხელმძღვანელობისას ვითვალისწინებთ, რომ „შეპირისპირების საფუძველი ცნებათა კატეგორიებია ანუ განყენებული ზოგადი მნიშვნელობები, რომლებიც შესაპირისპირებელ ენებში ამა თუ იმ გამოხატულებას პოულობს“ [მეგრელიშვილი,1986:12].

მორფოლოგიური კატეგორიების ოპოზიციური ფორმებიდან (მაგ. მრავლობითი რიცხვის ნართან-იანი ფორმა ქართულში) ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ის ფორმები, რომლებიც უფრო ხშირად მონაწილეობენ რიტმულობის შექმნაში.

მორფემას ქართულ ენაში ასე განმარტავენ: „ძირსა თუ ფუძეზე დართულ ელემენტს მორფემას ანუ ფორმატს უწოდებენ. ყოველგვარ მორფემას აფიქსი ჰქვია. აფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია სართი [კვაჭაძე,2001:89]. ინგლისურში კი მორფემა ეწოდება სიტყვის შემადგენელ მნიშვნელობის მქონე უმცირეს ენობრივ ერთეულს [ინტ. წყარო №12]. ორივე ენაში არსებობს ძირეული და თავისუფალი მორფემები. მორფოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით ქართული ენა სინთეზურ ენებს მიეკუთვნება, ინგლისური–ანალიზურს. თუმცა, ბევრ ინდო-ევროპულ ენას, მათ შორის ინგლისურსაც, გააჩნდა უფრო მკვეთრად გამოვლენილი ფლექსიური ბუნება და დიდი დრო დასჭირდა, რომ უფრო ანალიზური ენა გამხდარიყო [ინტ. წყარო №13].

ერთ-ერთი უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი ენათა ამ ორ ჯგუფს შორის სუბიექტისა და ზმნა-შემასმენლის შეთანხმებას ეხება; სინთეზურ ენებში სუბიექტი, მოქმედი შეიძლება იყოს როგორც სახელობით, ისე მოთხრობით ბრუნვაში (ერგატივში), განსხვავებით ანალიზური ინგლისურისგან, სადაც სუბიექტი ყოველთვის სახელობით ბრუნვაშია, მსგავსად უმეტესობა ინდო-ევროპული ენებისა. ე. ი. ქართული ერგატიულ-სინთეზურ ენას წარმოადგენს, ინგლისური კი– ნომინატიურ-ანალიზურს.

რიტმულობის უმთავრესი და ძირითადი საყრდენი მორფოლოგიურ დონეზე, ისევე როგორც ყველა ლინგვისტურ საფეხურზე, არის გამეორება; იქნება ეს ერთი და

იმავე თუ მსგავს ერთეულთა გამეორება, დაწყებული ყველაზე მცირეთი–ცალკეული მორფემით და დამთავრებული სტროფული პარალელიზმით.

ვინაიდან მორფოლოგიის დონეზე სწორედ ერთი და იმავე ან მსგავსი პრეფიქსების, სუფიქსებისა თუ ძირეული მორფემების გამეორებით იქმნება რიტმი, ამრიგად, აფიქსაცია არის უმთავრესი საშუალება რიტმულობის ექსპრესიის შესაქმნელად: მრავლობითის მაწარმოებელი ნიშნები, ბრუნების ნიშნები, ზედსართვისა თუ მიმღობის მაწარმოებელი დაბოლოებანი, თანდებულები, ზმნისწინები, ნაწილაკები. რაც შეეხება შორისდებულს, მას განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი შეიძლება გამოხატული იყოს, როგორც ცალკეული მორფემით– ერთი მორფემისაგან შედგენილი სიტყვით, ასევე, მთელი ფრაზით.

პირველ რიგში, განვიხილოთ მრავლობითის მაწარმოებელი სუფიქსი -ებ. ქართულ ენაში იგი შეიძლება დაერთოს როგორც არსებით სახელს, ასევე, ზედსართავს, რიცხვით სახელსა და მიმღობას. მაგ. *მდინარეები, ლამაზები, პირველები, დახატულები, მორბენალები* და სხვ. მრავლობით რიცხვში დასმული არსებითი სახელების გამეორება ქმნის დინამიკას, განსაკუთრებით კი როცა სახეზეა მრავლობითის წარმოების არქაული, ნარ-თანიანი ფორმა, რომელსაც თანამედროვე მწერლობაში, განსაკუთრებით კი, პოეზიაში, უმეტესად სტილისტიკური დატვირთვა აქვს და ის, რაც ადრეული ტექსტსთვის ბუნებრივი ფორმა იყო, ამჟამად იძენს ამაღლებულ, ზეაწეულ ტონს; ხოლო თუ კონტექსტი შესაფერისი არ არის, შეიძლება ირონიული ან კომიკური ეფექტიც მივიღოთ. მაგ. „ხანძრის შემთხვევაში, პირველ რიგში, გაყვანილი იქნებიან ბავშვნი და მოხუცებულნი“. ინგლისურშიც არსებობს მრავლობითი რიცხვის წარმოების ოპოზიციური ფორმა, მაგ. *კბილი- tooth, კბილები- teeth. კაცი- man, კაცები- men, ფოთოლი- leaf, ფოთლები- leaves*. თუმცა, არაწესიერი მრავლობითის ფორმის გამოყენებას არავითარი სტილისტიკური დატვირთვა არ გააჩნია.

მოვიყვანოთ ქართულენოვანი მაგალითები, სადაც რიტმულობა იქმნება მრავლობითი რიცხვის ფორმაში ჩაყენებული არსებითი სახელების, ზედსართავების, მიმღობების ჩამოთვლით:

ღუქნები. ფარდულები. ...ფარჩეული. აბრემუმეული...ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები. მოხაზულები...სირმები. სამკედები. არშიები. გრებილები.

თვალისმომჭრელნი...ნოხები...ხალები; ფარდაგები. ფლასები. ჭილობები.
...ხორასანის რკინები. შაჰაბაზის ხმალები. შუბები. შვილდები. ისრები. უნაგირები.
მოსართავები. ღვედები. თასმები. ამულეტები (რობაქიძე,1989:13);

კიდევ უფრო შთამბეჭდავი და დინამიკურია რიტმი ნართან-იანი მრავლობითისა:

გრძელნი ფლორენციულნი ფეხნი თეთრი ნაკადულის ორ მაგარ ტევრად
ჩამოხეთქილნი (რობაქიძე, 1989:32); ქიმერების თავები ირხევინ როგორც
შექანებულნი თაველნი (რობაქიძე,19889:57); ბზრიალით, წრილით, რიალით
აფრინდნენ ჰაერში ჩონგურის სადაფები, როგორც პეპლები ქარისაგან დაფეთებულნი
(გამსახურდია,1959:9) (იხ. დანართი № 1.2.).

ქართულისაგან განსხვავებით, ინგლისურ ენაში მრავლობით რიცხვში
შეიძლება შეგვხვდეს, როგორც წესი, მხოლოდ არსებითი სახელი და იშვიათად
რიცხვითი სახელი. მაგ. *The guests came in twos and threes* (სტუმრები ორ-ორნი და
სამ-სამნი მოდიოდნენ). მრავლობით რიცხვშია რიცხვითი სახელი „ორი“ და „სამი“.
Hundreds of swallows were flying over the bridge (ასობით მერცხალი დაფრინავდა
ხიდის თავზე)- მრავლობითშია რიცხვითი სახელი „ასი“. მრავლობით რიცხვში
იშვიათად შეიძლება იყოს ფერთა აღმნიშვნელი ზედსართვი, ის იძენს არსებითი
სახელის ფუნქციას, გაარსებითებულია და წინადადებაში ქვემდებარის როლი
აკისრია. მაგ. *The whites of his boots were now black with mud* (მისი ჩექმების თეთრი
ნაწილები ახლა ტალახს გაეშავებინა).

ინგლისურ ენაში არსებით სახელს მხოლოდ ორი ბრუნვა გააჩნია: სახელობითი
(ნომინატიური) და ნათესაობითი (პოზესიური). დანარჩენი ბრუნვების ფუნქციათა
ჩანაცვლება ხდება დამხმარე სიტყვების-თანდებულების მეშვეობით. მაგრამ
წინადადებაში ისინი უმახვილონი არიან და, ასე ვთქვათ, „ეკედლებიან“ წინა ან
შემდეგი სიტყვის მახვილიანობას. ე.ი. გვევლინებიან პროკლიტიკებად და
ენკლიტიკებად [ჟღენტი,1963:61]. მაგ. *He ran out | into the garden | for some flowers* (ის
გაიქცა გარეთ ბაღ-ში ყვავილების-თვის). ამ წინადადებაში სამი რიტმული ჯგუფია.
პირველში **out** გვევლინება, როგორც ენკლიტიკი, მეორეში და მესამეში **into the** და **for
some** პროკლიტიკებია. ისინი იზიარებენ მათ წინ ან შემდეგ მდგომი
სრულმნიშვნელოვანი სიტყვის მახვილს. მაგ. *All the lights were on | in the house. What
are you staring at? I gave my new photos to Nick | to look at.*

ქვემოთ მოყვანილი ინგლისურენოვანი მაგალითებიდან ცხადი გახდება, რომ წინადადების რიტმიზაცია ხდება სწორედ მრავლობით რიცხვში მყოფი არსებითი სახელების სიმრავლითა და მათი ახლოს განლაგებით. უფრო მეტიც, ინგლისურენოვანი წინადადების რიტმულობა, უპირველესად, მახვილიანი და უმახვილო მარცვლების განლაგებით იქმნება. არსებით სახელს კი ყოველთვის დაესმის მახვილი.

წყვილ-წყვილად ან ერთმანეთის ახლოს განლაგებული, ერთი და იმავე დაბოლოების მქონე მრავლობით რიცხვში მყოფი არსებითი სახელები რიტმულ მახვილებს სვამენ, ეხმიანებიან ერთმანეთს და წინადადების მელოდიკას არა მარტო აძლიერებენ, არამედ აწონასწორებენ კიდევ. ჩვენი აზრით, მახვილიანი არსებითი სახელები იქცევიან ქართული წინადადების ზმნა-შემასმენელის მსგავსად, რომელიც როგორც წინადადების სინტაქსური-სემანტიკური ღერძი და ხერხემალი თავისთავზე იღებს და შემდეგ მთელ წინადადებაზე ანაწილებს ან სვამს რიტმულ მახვილს (მახვილებს): *The **knuckles** of the doctor's **hands** / were extraordinarily large. When the **hands** were closed / they looked like **clusters** of unpainted wooden **balls** / as large as **walnuts** / fastened together by steel **rods*** (Anderson, 1981:33);

*They have been put in **barrels** /and shipped to the **cities** /where they will be eaten in **apartments** / that are filled with **books**,/ **magazines**, / furniture,/ and people/* (Anderson, 1981:34);

*On the papers were written **thoughts**,/ **ends** of **thoughts**,/ beginnings of **thoughts**/* (Anderson, 1981:34);

*It lay thickly drifted on the crooked **crosses** and **headstones**, / on the **spears** of the little **gate**, / on the barren **thorns** /* (Joyce, 1982:219);

***Buttons** / of all **shapes** and **sizes**.* (Beckett, 1985:1);

*In his blue **gardens** / men and **girls** came and went like **moths** /among the whisperings/ and the champagne / and the **stars**.* (Fitzgerald, 1984:38) (იხ. დანართი 1.2.).

რიტმულობას ემსახურება ერთი და იმავე ბრუნვაში ჩასმული არსებითი სახელებისა თუ მიმღეობების გამეორებაც:

უწყვეტი რიგი ბალებ-ის და მდელოებ-ის (რობაქიძე, 1989:8);

ჰკოცნის ტუჩებ-ით - თითებ-ით - ლოყებ-ით - მკერდ-ით (რობაქიძე, 1989:290);

თაყვან-სა სცემენ ქვა-თა თუ ხე-თა, ზვარაკებ-ად კაც-თა სწირავენ
(რობაქიძე, 1989:290);

იქნება ბრძოლა ნება-თა, სურვილ-თა, ძალ-თა და უფლება-თა
(ლორთქიფანიძე, 1958:219);

ცილინდრული ქვები პერსეპოლის ფიგურებ-ით და წარწერებ-ით (რობაქიძე, 1989:11);
იქ, კი, ჩემო შვილო, მხოლოდ ცხოვნება არის გლახაკ-თა, დავრდომილ-თა და უძღურ-
თა (კოტეტიშვილი. 2012:11);

მე ვარ უფალი ღმერთი შენი, შენ-თვის და მრავალთათვის ჯვარცმული,
ნეტარებდეთ!“ (კოტეტიშვილი. 2012:11) (იხ. დანართი 1.3.).

რიტმულობის შექმნის თვალსაზრისით მიმღეობას ინგლისურ ენაშიც დიდი პოტენციალი გააჩნია. აწმყო დროის მიმღეობას (present participle), მსგავსად ქართული მოქმედებითი გვარის მიმღეობისა, მოქმედების გამოხატვის ფუნქცია გააჩნია. ფორმით ყველა აწმყო დროის მიმღეობა ერთგვარია, ბოლოვდება სუფიქსი -ing-ით, რომელიც ნაზალური ჟღერადობისაა [17] და რამდენიმე მიმღეობის გამოჩენა ერთ წინადადებაში უკვე ფონეტიკურადაც თავისებურ ხმოვანებას ანიჭებს ტექსტს. უნდა აღინიშნოს, რომ სუფიქსი -ing გერუნდივის ნიშანიცაა. ასევე ზმნის -ing ფორმა დამხმარე ზმნასთან to be (ყოფნა) ერთად კომპლექსში აწარმოებს ყველა განგრძობით დროს ინგლისურ ენაში. ამრიგად, შეიძლება ერთ წინადადებაში რამდენიმე -ing-იანი ფორმა დაგროვდეს, ფუნქციით განსხვავებული, მაგრამ ფორმით ერთნაირი. მაგ. *Talking and playing with the child who was now sitting next to him on the park bench made the trembling and shaking old man remember some exciting and thrilling moments from his own childhood, the years that seemed mercilessly galloping and vanishing from his memory* (საუბარმა და თამაშმა ბავშვთან, რომელიც ახლა მის გვერდის იჯდა პარკის სკამზე, აკანკალებულ მოხუც კაცს მოაგონა რამდენიმე ამაღელვებელი და ჟრუანტელის მომგვრელი წუთი საკუთარი ბავშვობიდან, იმ წლებიდან, რომლებიც უმოწყალოდ მიჰპროდნენ და ქრებოდნენ მისი მეხსიერებიდან). ამ წინადადებაში რამდენიმე -ing-იანი ფორმაა, ერთი პირიანი, დანარჩენი კი უპირო. talking და playing გერუნდივებია, was sitting წარსული განგრძობითი (პირიანი ფორმა) trembling და shaking , exciting და thrilling, galloping და vanishing აწმყო დროის მიმღეობები. წინადადების რიტმულობას ზრდის ისიც, რომ ყველა -ing-იანი ფორმა წყვილშია წარმოდგენილი

ერთის გარდა. რიტმული სქემით რომ წარმოვადგინოთ ეს წინადადება, იგი ასეთ სახეს მიიღებს:

Talking and playing with the child | who was now sitting next to him | on the park bench | made the trembling and shaking old man | remember some exciting and thrilling moments | from his own childhood | the years | that seemed mercilessly galloping and vanishing from his memory|. წინადადება დაყოფილია რიტმულ ეთეულებად, გამუქებული სიტყვები მახვილიან სიტყვებს წარმოადგენს. დანარჩენი უმახვილო სიტყვები ენკლიტიკები და პროკლიტიკებია და იღებენ მათთან მყოფი მახვილიანი სიტყვის მახვილს. ენკლიტიკური და პროკლიტიკური კავშირები ხაზგასმითაა წარმოდგენილი. ხმამაღლა წაკითხვისას კარგად წარმოჩინდება, თუ რამდენად რიტმულს ხდის წინადადებას ძლიერი მახვილის ქვეშ მყოფი -ing-იანი ფორმათა გამეორება. კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ რიტმულ მონაკვეთებად დაყოფა ინდივიდუალურია და მკითხველის მიერ წაკითხულის ლოგიკურად დანაწევრებას და, ასევე, მისი სუნთქვის რიტმს ექვემდებარება.

ქვემოთ მოყვანილ ინგლისურენოვან მაგალითებში, სადაც რიტმულობის შექმნაში სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად აწმყო დროის ერთგვარ დაბოლოებიანი მიმღებებიც მონაწილეობს; გამუქებულია ასევე წარსული დროის (ვნებითი გვარის) მიმღებებიც (past participle), რომლებიც ერთგვარი დაბოლოების გამო რიტმულობას ქმნიან (სუფიქსი -ed, ოღონდ მხოლოდ წესიერი ზმნების შემთხვევაში; არაწესიერ ზმნებს სხვადასხვაგვარი წარსული დროის მიმღება გააჩნიათ და როგორც ერთგვარი წევრების გამეორება, რიტმულობისათვის არ გამოვადგება).

*One runs from tree to tree over the **frosted** ground **picking** the **gnarled, twisted** apples and **filling** his pockets with them (Anderson,1981:34);*

*Mr. Duffy sat on his stool and gazed at them, without **seeing** or **hearing** them (Joyce,1982:128);*

*The proprietor sprawled on the counter **reading** the Herald and **yawning** (Joyce,1982:128);*

*Aunt Kate would be sitting beside him, **crying** and **blowing** her nose and **telling** him how Julia had died (Joyce,1982:218);*

*He imagined he saw the form of a young man **standing** under a **dripping** tree*
(Joyce,1982:219);

*I was within and without, simultaneously **enchanted and repelled** by the inexhaustible
variety of life* (Fitzgerald,1984:36);

*The **thrilling, returning** trains of my youth* (Fitzgerald,1984:126);

*Those **gleaming, dazzling** parties of his were with me so vividly* (Fitzgerald,1984:127);

რიტმულია ერთგვარი ზმნისწინით ნაწარმოები ერთგვარი სიტყვები. „უფრო რიტმულ-მუსიკალურია ფრაზა, როცა მეორდება ზმნისწინები, რადგანაც ისინი, როგორც თავკიდური ელემენტები, მახვილიან მარცვლებს წარმოადგენენ“ [კოშორიძე, 2005:203]. ამასთან, რიტმულობას აძლიერებს ისიც, რომ თავსართიანი და ზმნისწინიანი სიტყვები უმეტესად სინონიმურ ან ანტონიმურ წყვილებად გვევლინება. მათთან ხშირია სიტყვაწარმოების (უმეტესად მიმღობის) მაწარმოებელი აფიქსის გამეორებაც და ესეც რიტმულობის ხარისხს ზრდის. რაკი მიმღობებზე ვსაუბრობთ, აქვე აღვნიშნოთ, რომ რიტმულია ერთგვარ ან მსგავს ბოლოსართიან მიმღობათა ჩამონათვალიც:

გა-ლატაკებ-ული და გა-ტრიზავებ-ული (კოტეტიშვილი.2012:8);

ძველი ოსტატები როცა იგონებენ ამათ ათასჯერ ჩა-წვნას, ჩა-კონებას
(კოტეტიშვილი.2012:10);

გადა-მჭრ-ელი და გადა-მწყვეტი (კოტეტიშვილი.2012:14);

ა-სწორებდა და ა-ფართოებდა (კოტეტიშვილი.2012:14);

მაშინათვე მივარდა ზარს მეტის სი-ბრაზით და სი-ყვარულით
(კოტეტიშვილი.2012:15);

საშინელი სი-სასტიკ-ე და უმძაფრესი სი-ტკბო (რობაქიძე,1989:16);

და და-ანარცხა ტრაპეზის ქვას, და-ანაჭუჭა (ბარნოვი,1943:352);

გამო-შრა მიწა, გა-ხმა, და-იმაშრა, და-სქდა (ბარნოვი,1943:342);

და-ხნავს, და-ფარხცავს. და-სთესს და გა-ამოროდებს...(ლორთქიფანიძე,1958:213);

*ხალხი: უცხო ცეცხლით ა-მწვ-არი: მო-უსვენ-არი და და-უდეგ-არი. ნიადაგს ვერ-მი-
თვისებ-ული თუ ვერ-შე-თვისებ-ული* (რობაქიძე,1989:120) (იხ. დანართი №1.4.).

რიტმულია ერთი და იმავე მწკრივის ზმნების გამეორება, სადაც რიტმულობა იქმნება ერთი და იმავე თემის ნიშნიანი ზმნების გამეორებითაც. სემანტიკურად ზმნა-

შემასმენელი მოქმედების, მოძრაობის, დინამიკურობის გამომხატველია. „ქართული წარმოთქმის ძირითად აქცენტუაციურ ბირთვს წარმოადგენს ზმნა შემასმენელი“ (ჟღენტი,1963:14). მხატვრულად რომ ვთქვათ, ზმნა-შემასმენელი წინადადების მფეთქავი გულია. ერთმანეთის ახლოს განლაგებული რამდენიმე ასეთი „გული“ წინადადებას ავსებს რიტმითა და სიცოცხლის ენერგიით:

ითრევს გულს სადღაც შორს: ... სწეწავს..გლეჯავს.. ისვრის ნაკვთა-ნაკვთად...
(რობაქიძე,1989:49);

მოახტება თეთრ ტაიჭს.გააჭენებს.ცხენით მომავალ ცოლს ბეჭედს გადაუგდებს. ცოლი მიდიან. მირბიან (რობაქიძე,1989:104);

ჩაქნულ ბაგეს სევდა გარჩენია. სევდას ირონია წამოცმია. ჩაქცეული მკერდი კიდევ უფრო ჩაქცეულა (რობაქიძე,1989:104);

ბეხან აღარ ზღავის. ბეხან აღარ ღმუის. ბეხან არც ტირის. ბეხან იხედება თვალებით...(რობაქიძე,1989:132);

თაიგულს სრესავს და აზნევს (რობაქიძე,1989:261);

დახნავს, დაფარხცავს. დასთესს და გაამოროდებს...(ლორთქიფანიძე,1958:213);

(იხ.დანართი №1.5.).

ერთი და იმავე დროის ფორმაში ჩასმული ზმნების გამეორება ინგლისურენოვან ტექსტებშიც ქმნის რიტმულობას, მით უმეტეს, რომ ერთი დროის ფორმებს უმეტესად მსგავსი სუფიქსი ახლავთ:

*Mr. Duffy **raised** his eyes from the paper and **gazed** out of his window on the cheerless evening landscape* (Joyce,1982:127);

*When he **gained** the crest of the Magazine Hill he **halted** and **looked** along the river towards Dublin* (Joyce,1982:129);

*The solid world itself, which these dead had one time **reared** and **lived in**, was **dissolving** and **dwindling*** (Joyce,1982:219).

მეტად რიტმულია ერთი და იმავე შედარებით ან აღმატებით ხარისხში ჩასმული ზედსართავი სახელი, რომელიც სემანტიკურ დონეზეც უკვე გამორჩეული ფორმაა და ამიტაც უკვე ზრდის წინადადების გამომსახველობის ხარისხს. მაგ.:

ხშირად უთქვამს: არ არის ხილვა უნათლესი სინაისა. არ არის გახელება უფიცხელესი მცნებათა დაფის დამსხვრევისა. არ არის ხალხის დაურვება უძლიერესი

ორმოცი წლის უდაბნოში ხეტიალისა. არ არის წყევა უსაშინელესი ისრაელისა. არ არის წინახილვა უუშურდულესი მესსიის აღთქმისა (რობაქიძე,1989:87).

ექსპრესიული დატვირთვა იზრდება ინგლისურენოვან ტექსტშიც, როცა სახეზეა შედარებით ან აღმატებით ხარისხში ჩასმული ურთიერთ სიახლოვეს განლაგებული ზედსართავი სახელები. მეტყველების ამ ნაწილს განსაკუთრებით დიდი დატვირთვა აქვს წინადადებაში- იგი არის მთავარი აღმწერი და გამომსახველი წინადადებაში სახელდებული სახისა, ხატისა, სუბიექტია იგი თუ ობიექტი.

*The lights grow **brighter** as the earth lurches away from the sun, and now the orchestra is playing yellow cocktail music, and the opera of voices pitches a key **higher**. Laughter is **easier** minute by minute, spilled with prodigality, tipped out at a cheerful word (Fitzgerald,1984:39);*

*His heart beat **faster** and **faster** as Daisy's white face came up to his own (Fitzgerald,1984:84);*

*The trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to **the last and greatest** of all human dreams (Fitzgerald,1984:127);*

*But it was all going by too fast now for his blurred eyes and he knew that he had lost that part of it, **the freshest** and **the best**, forever (Fitzgerald,1984:111);*

*Tomorrow we will run **faster**, stretch out our arms **farther** (Fitzgerald,1984:127);*

*We drank wood alcohol and every day in every way grew **better** and **better**... (Fitzgerald,1965:19).*

სემანტიკურად ექსპრესიული უქონლობის გამომხატველი პრეფიქსიან-სუფიქსიანი ზედსართავისა თუ ზმნიზედის გამოვლენა ასევე უწყობს ხელს რიტმულობის შექმნას:

იშვის ქვეყნის მეორე პირი: უსახლო-უსხეულო-ხელუხლები-ორალი (რობაქიძე,1989:15);

ასე მოგზაურობდენ ძველად ჰებრაელთა ტომები: ხალხი: უსახლო-უკარო-ულოგინო (რობაქიძე,1989:119);

უსაზღვრო და უნაპირო (კოტეტიშვილი.2012:11);

არნახული და არგაგონილი კარნავალები (კოტეტიშვილი.2012:11).

ინგლისურ ენას რამდენიმე ალომორფული პრეფიქსი გააჩნია უარყოფითი მნიშვნელობის გამოსახატავად. ყველაზე გავრცელებულ უარყოფითი პრეფიქსი un-ს ალომორფებია il, im, in, ir. ქართულ ენაში მათ შეესაბამებათ თავსართი -უ ან -არ(ა). dis, mis, mal ასევე უარყოფითი მნიშვნელობის გამომხატველი პრეფიქსებია, ოღონდ ამ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება არასწორობაზე, შეცდომაზე, არასასურველობაზე. უარყოფით პრეფიქსებიან სიტყვებთან ერთად ჩვენ აქვე მოვიყვანეთ მაგალითები, რომლებიც მოიცავენ ერთგვარ სუფიქსიან ზმნიზედებს და არსებით სახელებს:

*Only the dead dream fought on as the afternoon slipped away, trying to touch that was no longer tangible, struggling **unhappily, undespairingly**, toward that lost voice across the room (Fitzgerald,1984:99);*

***Unutterably** aware of our identity with this country for one strange hour before we melted **indistinguishably** into it again (Fitzgerald,1984:126);*

*The lights of which burned **redly** and **hospitably** in the cold night (Joyce,1982:129);*

*A goods train winding out of Kingsbridge Station, like a worm with a fiery head winding through the darkness, **obstinately** and **laboriously** (Joyce,1982:129);*

***Slenderly, languidly**, their hands set lightly on their hips, the two young women preceded us out onto a rosy-colored porch (Fitzgerald,1984:21);*

*And orchestras which set the rhythm of the year, summing up the **sadness** and **suggestiveness** of life in new tunes (Fitzgerald,1984:109).*

ტექსტს მეტად დიდ რიტმულობას ანიჭებს ავტორის მხრიდან სიტყვებისადმი თავისუფალი დამოკიდებულება; კეთილხმოვანებისათვის მწერალი იჩენს სიტყვათა მიმართ თავისებურ დამოკიდებულებას: მთელ რიგ შემთხვევებში მიიჩნევს, რომ საჭიროა სიტყვის დამოკლება ან პირიქით, დაგრძელება, რომელიმე ასო-ბგერის გამოკლება ან პირიქით დამატება. ჩვენი აზრით, ეს უფრო მეტია, ვიდრე კვეცა ან კუმშვა, რადგან ხშირად ვიღებთ თითქმის ახალ ორიგინალურ, თავისუფლად ნაწარმოებ სიტყვის ფორმას. მაგ.:

*ალაღებულო მაყვლის ბუჩქი თალარად **თხზილი**...ზედ ესვენა წალმის ჯვარი ნაწნავით **კრული** (ბარნოვი,1943:303) ნაცვლად „შეთხზული“ და „შეკრული“;*

*ვადა ხმალისა და ქარქაში სპეკალ **ნაჭარბი** (ბარნოვი,1943:308) ნაცვლად „ჭარბი“;*

ყვავილები გარდემშლათ ახალნორჩ გულში (ბარნოვი,1943:242) ნაცვლად „გარდემშლათ“;

მთვარე ჰფენს ბადეთა ჭვირვალ ქსელებს... (რობაქიძე,1989:49) ნაცვლად „გამჭვირვალე“;

დარბაზში-აუზი აშადრევანებული (რობაქიძე,1989:59) მეტად თავისუფლად ნაწარმოები სიტყვაა, ნაცვლად „შადრევნით“ (იხ. დანართი № 1.6).

ამგვარი თავისუფალი დამოკიდებულება სიტყვებისადმი თითქმის არ გვხვდება ინგლისურენოვან რიტმულ ტექსტებში. ეს გამოწვეულია ქართული ენის ფლექსიური ბუნებით. ინგლისურ ენაში სიტყვათა მარაგის 55% პროცენტს ერთმარცვლიანი სიტყვები შეადგენენ და თითოეული სიტყვა ამიტომ ერთ, ცალკეულ მორფემას წარმოადგენს.

მეტად რიტმულია ასევე ერთი და იმავე ან მსგავსი ფუძის შეკავშირება მნიშვნელობით ან ფორმით მიმსგავსებულ თავსართთან:

აქ იჭერენ თვალღია ზმანებას. აქ არის საიდუმლო აღმოსავლეთის თანაყოფისა თუ ერთყოფისა (რობაქიძე,1989:12);

მაგიური ძალა თავგახსნის თუ თავდახსნის (რობაქიძე,1989:13);

ვერავინ და ვერაფერი ვერ აკავებდა უცნაურ ხალხს ერთ ადგილზე (რობაქიძე,1989:120);

ნიადაგს ვერმითვისებული თუ ვერშეთვისებული (რობაქიძე,1989:120).

ერთი და იმავე ან მსგავსი ფუძის კომბინაცია ინგლისურენოვან ნაწერებშიც ანალოგიურად ახდენს ფრაზისა თუ წინადადების რიტმიზაციას.

*She craves for **sundown** to end and to stray freely again in the long **afterglow*** (Beckett,1985:1);

*He lay face **downward** and arms **outspread*** (Beckett,1985:1);

*We went about opening the rest of the windows downstairs, filling the house with **gray-turning, gold-turning** light* (Fitzgerald,1984:110);

*I was **within** and **without*** (Fitzgerald,1984:36).

რიტმულობა პროზაში მიიღწევა საერთო თანდებულიანი სიტყვების გამეორებითაც. მაგ.

ითრევს გულს სადღაც შორს: ზმანებულში თუ მოჯადოებულში... (რობაქიძე,1989:49);

ფერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება რუ (ლორთქიფანიძე,1958:212);

საათები ბინის კედლებზე, საათები მოედნებზე, საათები რკინის გზის სადგურებზე,
საათები ეკლესიის გუმბათებზე და სატრიუმფო ჭიშკრებზე (გამსახურდია,1959:7);

ჩემს ხანგრძლივ უძილარ ღამეებში, მარტოობაში და უცხოობაში ისინი რეკავენ,
რეკავენ...(გამსახურდია,1959:7);

უკვე ქალაქში ვარ, უკვე სინათლეში ვარ (გამსახურდია,1959:15).

რიტმულობის შექმნის საკმაოდ დიდი პოტენციალი გააჩნია არქაული
ქლრადობის თანდებულს:

ინავლებოდა გუნდრუკი ქვაზედ (ბარნოვი,1943:303);

შუბლამდინ ჩამოფარებულ თავსაბურიდან ყელ-ყური არ უჩანდა (ბარნოვი,1943:303);

კვარცხლბეკზედ იდგა არმაზ ბრწყინვალე (ბარნოვი,1943:308);

თეთრივ სარტყელი თითქმის მკერდზედ მარგალიტად უხვად ფრქვეული. მას
ზევიდან მუხლებამდინ სამოსელი ფირუზის ფერი (ბარნოვი,1943:346).

მსგავსი თანდებულების გამოვლენა აძლიერებს ტექსტის რიტმულობას
ინგლისურ ნაწერებშიც. მოვიძიეთ შემდეგი მაგალითები:

In the fall one walks in the orchards (Anderson,1981:34);

*They talked to her of passion and there was a strained eager quality in their voices and in
their eyes when they looked at her* (Anderson,1981:35);

*It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, on the spears of the little gate,
on the barren thorns* (Joyce,1982:219).

იმ მორფოლოგიური საშუალებებიდან, რომლებიც ფრაზის რიტმულ-
მელოდიკურობაში მონაწილეობენ, აღსანიშნავია ზმნის პირის ნიშანთა თავისებური,
ნორმის დარღვევით, ხმარება. ეს ფაქტი არა მარტო აძლიერებს ხმოვანობას, არამედ
უფრო გამომსახველს ხდის რიტმულობას. მაგ.

ესა თქვა, გადაჰკრა და დაჯდა (კოტეტიშვილი.2012:8);

ამავე ბაიათებს ჩაჰლილინებდნენ (კოტეტიშვილი.2012:10);

პირჯვარი გადასწერა (კოტეტიშვილი.2012:11);

არმაზის წყაროსაკენ ჰქმნეს პირი: მიზნადა ჰქონდათ, შეჰყოლოდნენ წავარნას და
ასულიყვნენ იმ საღვთო ნაძვთან, ქართველები წმიდად რომ ჰხადდნენ
(ბარნოვი,1943:316);

სჭექდა ცითგამო, ცეცხლებს ჰფანტავდა (ბარნოვი,1943:352);

ლანდები მალე გაჰქრებიან (რობაქიძე,1989:27);

ნაპრალში შხუის, სჩქევს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958:212).

ინგლისურენოვან ნაწერებში მსგავსი შემთხვევა არ გვხვდება, რადგან ინგლისურში (გამონაკლისების გარდა) ნაცვალსახელის გარეშე შეუძლებელია ზმნა-შემასმენელის პირის იდენტიფიცირება.

რიტმულობა იქმნება მაშინაც, როდესაც ავტორი ზედსართავს სრულად ან ნაწილობრივ ათანხმებს საზღვრულთან; თითქოსდა, გართიმვის მიზნით, ზედსართავზე ს- ბოლოსართის დართვით ჟღერადობით ამსგავსებს მას მის თანმხლებ სიტყვასთან:

იგონებს ძველს ->მამულს (რობაქიძე,1989:104);

„აღლან“ უყევს ქალს რაყიფის-> ყეფით (რობაქიძე,1989:53);

ცა იმტვრეოდა შესაზარის ->ხმით (ბარნოვი,1943:352);

ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის-> შეხედვით (ბარნოვი,1943:353).

რიტმულობის შესაქმნელად მეტად საინტერესო ხერხია **პარონომასია**, რომელიც ფორმით მორფოლოგიური, ჟღერადობით ფონოლოგიურია, რადგან იგი გულისხმობს ერთმანეთის სიახლოვეს საერთო ან მსგავსი ფუძიანი ან ძირიანი სიტყვების განლაგებას. ე. ი. ერთი და იგივე მორფემა მეორდება ერთმანეთთან ახლოს მდებარე მეტყველების სხვადასხვა ნაწილში, რომელთაგან ერთ-ერთი უმეტეს შემთხვევაში ზმნას წარმოადგენს:

ძალა შესწევდა ქადაგის ქადილს (ბარნოვი,1943:311);

უკრავდნენ საკრავთ (ბარნოვი,1943:347);

ძულვითა სძულდათ დასავლეთი, სად მფლობელობდა რომი უძლები (ბარნოვი,1943:338);

იყო იმათ შორის უსიტყვო სიტყვა სიყვარულისა (ბარნოვი,1943:326);

უფრო ძლიერდება პარონომასია, როდესაც ერთგვარ ფუძიანი/ძირიანი სიტყვები დაშორებულია ერთმანეთისგან, ანუ როცა სახეზეა გათიშული **პარონომასია**:

სასიკეთოდ ირჩეოდა განზრახ რჩეულ რაინდთა ჯგუფში (ბარნოვი,1943:242);

ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით (ბარნოვი,1943:353);

„აღლან“ უყევს ქალს რაყიფის ყეფით (რობაქიძე, 1989:53).

ჩვენ მიერ მოძიებული ინგლისური რიტმული ტექსტები არ აღმოჩნდა მდიდარი პარონომასიის მაგალითებით. თუმცა, მაინც შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთი ნიმუში:

*...I only wanted absolute quiet to think out why i had developed a **sad** attitude towards **sadness**, a melancholy attitude towards melancholy, and a **tragic** attitude towards **tragedy*** (Fitzgerald, 1965:51) (სრული სიწყნარე მჭირდებოდა, რათა დავფიქრებულიყავი იმაზე, თუ რატომ გამჩენოდა სევდიანი განწყობა სევდისადმი, მელანქოლიური-მელანქოლიისადმი და ტრაგიკული-ტრაგედიისადმი).

მოძიებული მაგალითების საშუალებით დასტურდება, რომ მორფოლოგიურ კატეგორიებს გააჩნიათ პროზის რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვის საკმარისი პოტენციალი, როგორც ქართულ, ისე, ინგლისურ ენებზე. პროზის რიტმიზაციის ძირითადი საყრდენი მორფოლოგიურ დონეზე არის აფიქსაცია.

უმნიშვნელოვანესია ის ფაქტი, რომ ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებულ ორ ენას რიტმული პროზის ექსპრესიის მორფოლოგიურ დონეზე გამოხატვის მხრივ უფრო მეტი საერთო ფორმა აღმოაჩნდა, ვიდრე განსხვავებული.

თავი 2. რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის სინტაქსური შესაძლებლობები

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეთმობა წინადადების სტრუქტურის შესწავლას ქართულ და ინგლისურენოვან რიტმულ პროზაში. გამოვავლინეთ მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებების ის სინტაქსური ვარიაციები და მოცემულობანი, რომლებიც ტექსტში სტრუქტურულ დონეზე ქმნის რიტმულობის ექსპრესიას; ასევე, გავარკვიეთ, თუ რომელი ტიპის წინადადებას გააჩნია უფრო მეტი პოტენციალი ნაწარმოებში რიტმის შესაქმნელად აგებულებისა თუ შინაარსის მიხედვით. მით უმეტეს, რომ, ჩვენი აზრით, სწორედ სინტაქსს გააჩნია ყველაზე დიდი პოტენციალი ტექსტში რიტმის შესაქმნელად.

§ 1. მარტივი წინადადება და რიტმულობა

სტრუქტურულად, სინტაქსის დონეზე, რიტმული პროზა ეყრდნობა სხვადასხვა სინტაქსურ ხერხს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მარტივი, სახელდებითი, შერწყმული, რთული უკავშირო და ელიფსური წინადადებების ხშირი გამოყენება, სინტაქსური პარალელიზმები და ცალკეული ენობრივი ერთეულების დაბეჭდვით და მიზნობრივი გამეორება. რიტმული პროზა გაცილებით უფრო დინამიკურია, უფრო სწრაფმეტყველი და „ხმამაღიანია“ ვიდრე ჩვეულებრივი პროზა [კოშორიძე, 2005:206]. ავტორი მიმართავს რიტმულ პროზას, რათა უფრო სწრაფად, სიტყვათა ეკონომიით, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნაკლებად შთამბეჭდავად, მოგვითხროს ამბავი.

ტექსტის რიტმულობის სინტაქსურ მოცემულობებზე საუბრისას თავიდანვე უნდა გამოვკვეთოთ ის მომენტი, რომ ქართულს, როგორც სინთეზურ ენას, სიტყვათა უფრო თავისუფალი წყობა გააჩნია, ვიდრე ანალიზურ ინგლისურს. არადა, სწორედ სიტყვათა წყობაა ერთ-ერთი ის მოცემულობა, რასაც თხრობის რიტმულობა ეყრდნობა. ქართული ენის მტკიცებითი წინადადებისთვის დამახასიათებელია შემდეგი სიტყვათა წყობა SVO (S-სუბიექტი, ქვემდებარე, V - ზმნა-შემასმენელი და O- ობიექტი, დამატება), რომელიც შედის სიტყვათა წყობის იმ სამ ძირითად წყობაში, რომლებიც მსოფლიოს ენათა დიდ უმრავლესობას ახასიათებს. ესენია: SVO, SOV,

VSO [ინტ. წყარო №13]. ანალიზური ინგლისური ენის წყობაც SVO-ა, თუმცა, ეს ბევრად უფრო შეზღუდული და ფიქსირებულია. როდესაც ინგლისურ ენაში სახეზეა ჩვეული წყობის დარღვევა, აშკარაა, რომ ეს ხდება ემფაზისათვის, სტილისტური მიზნით. მაგ. *Seldom had he read such a good book* (იშვიათად თუ წაეკითხა მას ასეთი კარგი წიგნი). წინადადების წევრთა წყობა დარღვეულია და მივიღეთ VSO.

მარტივი წინადადება წარმოადგენს რიტმის შექმნის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს პროზაში. „მარტივ წინადადებათა დიდი უმრავლესობა რიტმული პროზის სრულყოფაა“ [კოშორიძე, 2005: 112].

საანალიზო წყაროებიდან მოვიძიეთ ის მარტივი წინადადებები, რომლებიც თავიანთი სტრუქტურული მონაცემების წყალობით რიტმული პროზის „საშენ მასალად“ გვევლინებიან. მოვიხმოთ რამდენიმე მათგანი:

მივიდნენ არმაზს. / ღია იყო ქალაქის კარი./ გაიმართა დარბაზობა. / უხმეს. / მოვიდა./ უწყოდედოფალმა გამოკითხვა. / დაფიქრდა ერთ ხანს იმპერატორი. / დააფიქრა პონტოელის წერილმა მირიანი. / ვრცელი ტაშირი ყვავილოვანი. / გაიარეს კარსანი. / შემოდგომის დღე იყო წყნარი. / და იგზნებოდა საბრძოლველად გამზადებული. / შეჰყვნენ ისევ მტკვარს. / ვერ სდევდა თვალი თვით მტკვრის სადინელს. / ზვარაკებად კაცთა სწირავენ (ვასილ ბარნოვი, „არმაზის მსხვერვა“).

სადამოყამს ბერლინიდან გავედი. / ამოვისუნთქო. / შევისვენო. / ვფიქრობ. / გადავიჩრდილო ამ საშინელ სიციხეებში. / გარეუბნის პარკებს გავსცილდი. / ბნელდება. / ვუახლოვდები კორტოხს. / დაბნელდა თითქმის. / სად მიგვესწრაფვის სული? / ჩემი ოთახის კედლებს შევაფარე თავი. / როგორ მეამა იატაკის სივრცე! / იწყება მუხნარი. / გამავდნენ ხის სილუეტები (კონსტანტინე გამსახურდია, „მკვდართან შეხვედრა“).

მოწყენა. / დაბალი ჭერი. / გაულაქავი იატაკი. / ნაცრისფერი კედლები. / მიულაგებელი მაგიდა.../ მბჟუტავი ლამფის მკრთალი სინათლე. / ღია ფანჯარაში შემოდის ნოტიო. / წვრილათ სწვიმს. / სიჩუმეა. / მოისმის მხოლოდ წვეთების ჭყაპა-ჭყუპი. / ქალს არ შეუძლია ბარათის დაწერა! ქალს არ შეიძლება ბარათი მისწეროს კაცმა! / ასეთ ნობათს განაკლამით ეუბნებიან პასუხს? / შენ გიძღვნი./ განა თოვლი პირველად შენ სახელს არა სწერს თეთრი ზოლებით? / ხეებით დაფარული მთები ხვეულის ხელით ხატავს ასოებს შენის სახელისას (ნიკო ლორთქიფანიძე, „უფერულობა“, „საიდუმლო ბარათი“, „სიონის მტრედო!“, „ფეოდალები“, „დაგვიანებული ყვავილები“, „ოცნების მორევში“, „ბუნება“, ქართული მინიატურული პროზა).

განაგრძობს ვლას. / ჰგონია უკან მიდის. ჰკარგავს მიმართებას. გაიხდის ტანსაცმელს. გადააბრუნებს. ჩაიცვამს გადაბრუნებულს. გონზე მოდის. უბრუნდება გზნება მიმართების. გზას გაუდგება. არის დაცდილი თქმულება ასეთი. / წამოვარდება. ცხენს მოევლება. გააჭენებს. ესმის თქარა-თქური. / უბრალო ლანდშაფტი. სიცხით ამწვარი ველი. ფართო მდინარე მოთეთრო. მდინარის პირას შავი ხარები მრავალი. წყალს დაწაფებიან მწყურვალენი. / ქოლის ხეების ჩრდილები. გძლად გაშლილი სუფრა. / ფარდულები. პატარა ფარდულები. / ჭიანჭველათა ბუდე უზარმაზარი. ასფეხათა კარნავალი (გრიგოლ რობაქიძე, „გველის პერანგი“). (იხ. დანართი № 2.1):

ერთ-ერთი ვიწრო ქუჩის ჩიხში, ერთი ნახევრად დანგრეული ქოხი იდგა. / მთელი დღის განმავლობაში მოწიწებით უვლიდა გარშემო, კვნესით და სინანულით. / გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო. / დაღარული სახეები, ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული. / იმის წინ იყო გადაშლილი მთელი ტფილისი, უზარმაზარი, უნაპირო. / ხელახლა დგება დღე მყუდრო, შრომის, სიამოვნებისა და სიხარულის. / მველი ამ დროს მოჭრილი მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი (ლადო კოტეტიშვილი, „გოჩმანა“).

ჩამოვთვალეთ მარტივი წინადადებებისა და სინტაქსური სტრუქტურების დომინანტური, რიტმული პროზისთვის დამახასიათებელი ნიშნები:

ა) სახელდებითი წინადადება: უღრანი ტყე ღრუბელთ საყრდნობი; ყვავილებად რთული ქალ-რძალი (ბარნოვი,); მალლობი. (გამსახურდია,); ნაცრისფერი კედლები; (ლორთქიფანიძე,); ჭიანჭველათა ბუდე უზარმაზარი (რობაქიძე,); სახლებზე ჩიტებივით შეფრენილი აივნები; (კოტეტიშვილი,);

ბ) უსრული წინადადება: შეჰყვნენ ისევ მტკვარს (ბარნოვი,); საღამოჟამს ბერლინიდან გავედი (გამსახურდია,); შენ გიძღვნი (ლორთქიფანიძე,); გზას გაუდგება (რობაქიძე,);

გ) უსრულ წინადადებებში, მეტი რიტმულობისა და ექსპრესიისათვის შემასმენელს ხშირად უკავია თავკიდური პოზიცია. ამასთან ერთად, ქვემდებარის გამოტოვება (განსაკუთრებით ნაცვალსახელით გამოხატული ქვემდებარისა) წინადადებათა შედგენილობას ხდის უფრო სხარტს, მოქნილსა და ეკონომიურს, ხოლო მნიშვნელობას უფრო დაწურულსა და მრავლისდამტევს. მაგ. გაიარეს კარსანი (ბარნოვი,); გადავიჩრდილო ამ საშინელ სიცხეებში (გამსახურდია,); ჰკარგავს მიმართებას (რობაქიძე,);

დ) ერთწევრიანი, მხოლოდ ზმნა-შემასმენლისგან შემდგარი წინადადება. ხშირად ისეთი ზმნებით, რომლებიც გამოხატავს მოძრაობას, დინამიკას, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას. მაგ. უხმეს; მოვიდა; აალაპლაპა (ბარნოვი,)

შევისვენო; ამოვისუნთქო; ბნელდება (გამს); გააჭენებს; წამოვარდება; გადააბრუნებს (რობაქიძე);

ე) ინვერსია ქვემდებარესა და ზმნა-შემასმენლს შორის: ქვემდებარე ხშირად არ იწყებს წინადადებებს, რაც საერთოდ ქართულისთვის დამახასიათებელია. თანამედროვე ქართულის ნორმად ასევე მიიჩნევა ზმნა-შემასმენლის ბოლოკიდურობა [აფრიდონიძე, 1986:14]. ქვემდებარის შუაში გადანაცვლება კი (რაც დამახასიათებელია ქართული რიტმული პროზისთვის) აძლიერებს ექსპრესიას, აჩენს მოლოდინის შეგრძნებას. მაგ. შევადართო ერთმანეთს შემდეგი ორი წინადადება: „*იძახის ბნელში ღობემძვრალა*“ (როგორც ტექსტშია) ნაცვლად „*ღობემძვრალა იძახის ბნელში*“ (როგორც მოსალოდნელი იყო). ზმნის გადანაცვლება წინადადების თავში განპირობებულია შემდეგით: „უფრო ძლიერია ზმნის სწრაფვა ბოლოკიდურობისადმი, მაგრამ ამას მეორე მხარეც ახლავს—რიტმიკულ-ინტონაციური სიძნელე, რომელიც თან სდევს ზმნით დამთავრებული გრძელი წინადადების წარმოთქმას“ [აფრიდონიძე, 1986:15]. ქვემდებარეს არ უკავია თავკიდური პოზიცია: *გაიმართა დარბაზობა; უწყო დედოფალმა გამოკითხვა; დაფიქრდა ერთ ხანს იმპერატორი; დააფიქრა პონტოელის წერილმა მირიანი; და გაუძღვა ნინო ქალი თვის თანამგზავრებს;*

ვ) ინვერსია მსაზღვრელ-საზღვრულს შორის: საზღვრულის მიმართ პოსტპოზიციურად მოთავსებული მსაზღვრელი გაცილებით უფრო გამოკვეთილი, მახვილიანი და ექსპრესიულია. „ინვერსიის დროს როგორც საზღვრულის, ისე მსაზღვრელის წარმოთქმის ტემპი თანაბრდება, თითოეულ მათგანს მოეპოვება საკუთარი ინტონაციური ტალღა. ამიტომ გამონათქვამი დანაწევრებული და რიტმულად ორგანიზებული ხდება, მაშინ როცა პირდაპირი წყობისას ეს სინტაგმა ერთიანად რეალიზდება, შესაბამისად, წარმოდგენაც უფრო მთლიანია, რიტმულად კი ასეთი გამონათქვამი უფერულია“ [აფრიდონიძე, 1986:93]. მსაზღვრელის როლში უმეტესად გვხვდება ზედსართავი სახელი და მიმღეობა. მაგ. *ქვის წინ შილა მეწამული. / ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული. მიუყრდა ბრძოლა საზარელი (ბარნოვი); საღამო აუქმებული (ლორთქიფანიძე); ჰამადანის თავზე ალიონია მტრედისფერი. / მიზგითი ძველი. / კოშკები ნგრეული./ ღამეა მთვარით განათებული (რობაქ);*

ზ) სტროფული პარალელიზმი პროზის რიტმიზაციის ერთ-ერთი სინტაქსური საშუალებაა. რამდენიმე წინადადება ან ფრაზა-შეიძლება მთელი აზრაციც უცვლელად ან მცირეოდენი ცვლილებით გამეორდეს. მწერლის მიერ ხდება მათ შორის იმხელა ინტერვალის შენარჩუნება, რამდენიც საჭიროა იმისათვის, რომ მკითხველის გონებაში მოხდეს გამეორებული ფრაგმენტის „დალექვა“. ამგვარი გამეორებანი „აძლიერებენ, ამკვეთრებენ განწყობილებას, თვისებას და ა.შ“ [კოშორიძე, 2005:206] მაგ. შემდეგი ფრაგმენტი გარკვეული ცვლილებით ათგვერდიან მოთხრობაში ექვსჯერ მეორდება: „,,კარები გადამირაზეს! მასხრად მიგდებენ? ჰა, გოჩმან, ფრთხილად, აქ სხვა რამე არ გამოვიდეს? ჰა-ჰა, აბა არ გამასხარავდეს კარგად გაკეთებული საქმე“ (კოტეტიშვილი.2012:13). რითია ეს ფრაზა საინტერესო? აქ გამოყენებულია რიტმიზაციის რამდენიმე ხერხი ერთდროულად: ერთმანეთის მიყოლებით ძახილისა თუ კითხვითი წინადადებები; შორისდებულების გამოყენება; მეტად ემოციური ხასიათის შინაგანი მონოლოგი, რომელიც მიმართულია საკუთარი თავისადმი. მსგავს სტროფულ პარალელიზმს ვხვდებით გრ. რობაქიძესთანაც. მეორდება მთელი აზრაციები, ასევე ცალკეული წინადადებები, რომლებიც ლაიტმოტივის ფუნქციას ატარებს: „*ტყით მოდის ვინმე. უცნაურ ბალახს ფებს დააბიჯებს. წამსავე გონება აერევა. განაგრძობს სვლას. ჰკარგავს მიმართებას. გაიხდის ტანსაცმელს. გადააბრუნებს. ჩაიცვამს გადაბრუნებულს. გონს მოდის. უბრუნდება გზნება მიმართების. გზას გაუდგება. არის დაცდილი თქმულება ასეთი“* (რობაქიძე,1989:27). ნაწყვეტი სიმბოლურად გამოხატავს მთავარი გმირის ძიებას საკუთარი თავისა და გზისა.

თ) ცალკე უნდა აღინიშნოს კიდევ ტექსტის მოდალობა რიტმულობისათვის. კითხვითი და ძახილის წინადადებების თუ რიტორიკული შეკითხვების ერთიმეორეს მიყოლებით განთავსება აძლიერებს მთლიანი ნაწარმოების რიტმულობას. მაგ. *სად მიგვესწრაფვის სული? / როგორ მეამა იატაკის სიგრილე! (გამსახურდია,); / ქალს არ შეუძლია ბარათის დაწერა! ქალს არ შეიძლება ბარათი მისწეროს კაცმა! / განა თოვლი პირველად შენ სახელს არა სწერს თეთრი ზოლებით? / განა ცა მკერდზე არ ამოიჭედს ვარსკვლავებით შენს სახელს? / ტალღათა ტორტმანში განა შენი სახელი არ მოისმის? (ლორთქიფანიძე,); მზე მზადაა დაჰკაფოს არე. რა*

შეჩერებს?! რა გაუძლებს?! / რა მძაფრ ნაჭვლად ეწვეთება მის გულს თარის ხმა?! ვინაა ეს გული?! ეგებ ისაა-ბაღში რომ იღვრება სისხლით?! (რობაქიძე,)

ი) ყოველთვის რიტმულია მარტივ სახელდებით წინადადებათა თანმიმდევრული წყობა, განსაკუთრებით თუ ის ჩამონათვალს შეიცავს. მით უფრო, თუ მათ შორის რიცხვშიაც შეთანხმებაა. მაგ. *ქიშმიში. ზეთიხილი. ნუში. თხილი. ნიგოზი; / ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები (რობაქიძე,). გეგმები. აღმშენებლობის დაკვრითი გეგმები. / შეშინებული სახლები. სახლებზე ჩიტებივით შეფრენილი აივნები. მზისგან დამწვარი მოაჯირები (კოტეტიშვილი,).*

კ) რიტმულობას ქმნის ასევე ერთწევრიანი წინადადება, როდესაც შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი გამოხატულია მეშველი ზმნით „ყოფნა“. მაგ. *მარტო ვარ (გამსახურდია,). მოწყენაა; სიჩუმეა (ლორთქიფანიძე,).*

ლ) ელიფსური ანუ არასრული წინადადებები უმეტესად რიტმულია. მაგ. *ზარის რეკა უნაზეს ხმად არის მიჩნეული; მოხუცი მნათეს ჩიფჩიფი-უმწვერვალეს ჭეშმარიტებათ (ლორთ);*

მ) რიტმულია ის წინადადებაც, სადაც შედგენილ შემასმენელს უკავია თავკიდური პოზიცია და გამოხატულია მეშველი ზმნით „ყოფნა“. მაგ. *მძაფრია მარტოობა მზის დაყუდების ხანს; მარტოა არჩიბალდ მეკეში (რობაქიძე,).*

ნ) რიტმულია წინადადება, რომელიც იწყება „და“ კავშირით, რომელსაც ამ დროს ორ საგანს ან ორ მოვლენას შორის მაკავშირებელი ფუნქცია კი არ გააჩნია, არამედ თითქოს აგრძელებს უწყვეტი თხრობის ძაფს. ამგვარ წინადადებას ბიბლიის რიტმული ტექსტების სურნელიც დაჰკრავს. მაგ. *და იგზნებოდა საბრძოლველად გამზადებული; და გაუძღვა ნინო ქალი თვის თანამგზავრებს (ბარნოვი,).*

ო) რიტმული პროზის ექსპრესიას აძლიერებს აგრეთვე უსრული ასპექტის ხშირი გამოყენება, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში შემოაქვს დაუმთავრებლობის, მოლოდინისა და ფორიაქის განცდა. მაგ. *და იგზნებოდა საბრძოლველად გამზადებული; ემზადებოდა კეისარი ლაშქარში წასასვლელად (ბარნოვი,). ბნელდება; ჩამი-ჩუმი არ ისმის; მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე; კაცი სდგას თავჩაქინდრული; ადამიანი ადამიანს ეძებს ტყეში; თეთრ სილუეტს ვიღაც თაღხიანი მისდევს (გამსახურდია,). ღია ფანჯარაში შემოდის ნოტიო; წვრილათ სწვიმს; სიჩუმეა; მოისმის მხოლოდ წვეთების ჭყაპა-ჭყუპი (ლორთქიფანიძე,). განაგრძობს ვლას*

(რობაქიძე,) დრო გადიოდა; წელიწადი წელიწადს მისდევდა; არ ბერდებოდა მხოლოდ ცხოვრება (კოტეტიშვილი.);

პ) განკერძოებული სიტყვები ყოველთვის ქმნიან რიტმულობას და ამლიერებენ წინადადების იმ წევრის ექსპრესიას, რომელსაც ისინი დაერთვიან. მაგ. *ალარებული მაცვლის ბუჩქი, თალარად თხზილი (ბარნოვი,); ხის ქვეშ რაღაც შავი მოსჩანს, პატარა ხის ქვეშ (გამსახურდია,);* განსაკუთრებით რიტმულია ის შემთხვევები, როდესაც განკერძოება თავად არის შერწყმული. *გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო. / დაღარული სახეები, ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული (კოტეტიშვილი.);*

ჟ) მეტად რიტმულია პარალელური სტრუქტურები და ისევ უნდა აღინიშნოს შემდეგი: უარყოფითი ზმნის სართებითა და ნაწილაკებით გაფორმებული პარალელური სტრუქტურები კიდევ უფრო რიტმულია. მაგ. *ბავშვთა ალერსით ვერ დატკბა. ყვავილთა სურნელება ვერ იგრძნო. ტრედების ლულუნი ვერ გაიგონა. ხუჭუჭი კრავები ვერ დაინახა. / (ლორთქიფანიძე,); არ უნახავთ.. არც იქაა ცნობა..არ მოსულა..არ ყოფილა.../ აღარც წყევა. აღარც კრულვა. აღარც შურვა. აღარც ნდომა (რობაქიძე,);*

რ) კიდევ ერთი სინტაქსური ხერხი რიტმიზაციის- ანადიპლოზისია. მეორდება წინა წინადადების ბოლო და შემდეგი წინადადების პირველი სიტყვა. მაგ. *აქლემები მილაგდებიან. მილაგდებიან გამყოლნიც. / თიხისაგან ნაშენი მინგრეული კედლები. ამ კედლების რიგებით შედიხარ ქალაქში. / არჩიბალდ ნათელშია. ნათელს იჭვი სერავს (რობაქიძე,); არ ბერდებოდა მხოლოდ ცხოვრება. ცხოვრება ამ დროს საოცარ სასწაულებს ამზადებდა. / შეშინებული სახლები. სახლებზე ჩიტებივით შეფრენილი აივნები (კოტეტიშვილი.);*

ფ) რიტმულობას ქმნის პერიფრაზის გამოყენებაც: *მდინარეს მიაქვს ქალაქის სიბინძურე. ჰამადანს არ ეშინია უკანასკნელის (რობაქიძე,).*

ქართულისგან განსხვავებით, ინგლისურ ენას არ გააჩნია ერთწევრიანი, ზმნა-შემასმენელით გამოხატული წინადადება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის ძახილისაა, ბრძანებითი ან ელიფსური. სამაგიეროდ, უხვადაა უშემასმენლო სახელდებითი წინადადებები. საინტერესოა, რომ ერთ-ერთ საანალიზო მოთხრობაში -სემუელ ბეკეტის „ერთ საღამოს“ (Samuel Beckett, *One Evening*) სწორედ კულმინაციის

მომენტის აღსაწერად ავტორი იყენებს სახელდებით წინადადებებს და სწორედ იმ ადგილას ხდება მათი აკუმულაცია.

როდესაც საქმე მარტივ წინადადებას ეხება რიტმულ პროზაში, სახეზეა ძირითადად ორი სახის წინადადება, უშემასმენლო და ზმნა-შემასმენლის შემცველი.

ჩვენი მასალაც ასე დავყავით:

ა) უშემასმენლო წინადადებები:

Yellow only (ყვითლები მხოლოდ);

Somewhere on his feet before? (ადრე თუ შეხვედრია?);

The deserted fields (მიტოვებული მინდვრები);

The old woman all in black stockstill (მოხუცი ქალი შავებში მთლად უმოძრაო);

ბ) ზმნა-შემასმენლის შემცველი წინადადებები:

He was found lying on the ground (კაცი მიწაზე მწოლიარე ნახეს);

No one had missed him (არავის მოენაკლისებინა ის);

No one was looking for him (არავინ ეძებდა მას);

An old woman found him (მოხუცმა ქალმა იპოვა ის);

It happened so long ago (ეს ისე დიდი ხნის წინ მოხდა) (იხ. დანართი №2.1.).

ზემოთ მოყვანილი მაგალითების საშუალებით გამოვლინდა რიტმული პროზის მარტივი წინადადებისთვის დამახასიათებელი სინტაქსური სტრუქტურები:

ა) დადასტურდა, რომ ნომინატიურ ერთშემადგენლიან წინადადებებს რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვის დიდი პოტენციალი გააჩნია. ისინი ძირითადად გამოიყენება აღწერის დროს, დინამიკური თხრობისას. „არსებითი სახელი, როგორც მათი მთავარი წევრი თავის თავში მოიცავს საგნის ხატს და მისი არსებობის იდეას“ [Арнольд. И.В. 1973: 226]. *The white hair in the grass (თეთრი თმა ბალახზე); Not a single lamb (ერთი კრავიც კი არა); The deserted fields (მიტოვებული მინდვრები) (Beckett,);*

ბ) ინვერსიული წყობა ქვემდებარესა და შემასმენლს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოცემულობაა რიტმულობისთვის. მაგ. *Into a little round place at the side of the apple has been gathered all of its sweetness (Anderson,);*

გ) წინადადებებში, სადაც სახეზე არ გვაქვს ზმნა-შემასმენლის მიერ გამოხატული მოქმედება, სახელდებითი წინადადების არსებითი სახელით გამოხატული ბირთვი

ძირითადად ზედსართავებთან და ზმნიზედებთან ერთად შექმნილი ექსპრესიით ავსებს ფრაზას და ქმნის რიტმულობის განცდას. პოსტპოზიციურად მოთავსებული მსაზღვრელი ყოველთვის უფრო ექსპრესიულია: *The old woman all in black stockstill* (Beckett,)-*მოხუცი ქალი შავებში ← მთლად უმოძრაო. The body stockstill on the ground* (Beckett,)-*სხეული ← მთლად უმოძრაო მიწაზე. Sky overcast all day till evening*(Beckett,) *ცა ← მოღუმული მთელი დღე საღამომდე.*

დ) რიტმული პროზის ექსპრესია და დინამიკა უფრო მატულობს, როდესაც წინადადებაში, აწმყო განგრძობითი დროის გამომხატველი ზმნის ფორმის ნაცვლად გვაქვს მისი, ასე ვთქვათ, შეკვეცილი აწმყო მიმღეობით გამოხატული კომპლექსი. სწორედ ამგვარი მიმღეობიანი კომპლექსებით „შექმნილი სინტაქსური პარალელიზმი აყალიბებს ბეკეტის სტილის განუმეორებელი ინდივიდუალურობის ერთ-ერთ თავისებურებას – რიტმულობას, რომელშიც პროზა პოეზიას ერწყმის“ [კირვალიძე.2005:106]. ამასთან, ახლანდელი დროის გამოყენება თხრობისას მკითხველს თითქოს უშუალო თანაზიარს ხდის მოვლენისას, რადგან მის თვალწინ „აქ და ახლა“ ხდება მოქმედება. ამგვარი სტრუქტურების ქართულად თარგმანისას ხშირად იძულებული ვართ, ქართულში ზმნა-შემასმენელი მოვიშველიოთ, რადგან მიმღეობით მისი გადმოცემა ყოველთვის ვერ ხერხდება. მაგ. *The east foundering in night* (Beckett,). *აღმოსავლეთი, რომელიც იძირება ღამეში ან Feverishly seeing the imminence of night* (Beckett,) *სიციხიანივით (მზირალი) ხედავს ღამის მოახლოებას.*

ე) ნაწარმოების რიტმული ქსოვილის შექმნაში დიდ როლს ასრულებს შინაგანი მონოლოგი, რომელსაც კიდევ ერთი ნაბიჯით გადავყავართ ტექსტის სიღრმეში. შინაგანი მონოლოგი ძირითადად აგებულია ძახილის წინადადებებით. ასევე, მოდალური ზმნებით გამოხატული რთული ზმნური შემასმენლებით, რომლებიც გმირის დამოკიდებულებას გამოხატვს მომხდარისადმი. ეს არის შოკი, შეძრწუნება - *What an end! (Joyce) რა აღსასრულია! Just God, what an end! (Joyce) ოღონდაც, ღმერთო, რა აღსასრულია! მცდელობა ირონიის საშუალებით გამოეყოს ქალის თავს დატეხილ ტრაგედიას–His soul's companion! (Joyce) მისი სულიერი მეგობარი!* თავის გამართლების მცდელობა–*He could not have carried on a comedy of deception with her (Joyce); ვერ მოაწყობდა თვალთმაქცობის კომედიას ქალთან; He could not have lived with her openly (Joyce); ქალთან დაუფარავად ვერ იცხოვრებდა; How was he to blame?*

(Joyce) რა მისი ბრალი იყო? და შემდეგ დგება ჭეშმარიტების მომენტი, როდესაც გმირი იაზრებს თავის წილ დანაშაულს მომხდარ ტრაგედიაში – *Why had he withheld life from her?* (Joyce) რატომ არ გაიმეტა სიცოცხლე ქალისთვის? *Why had he sentenced her to death?* (Joyce) რატომ გამოუტანა ქალს სასიკვდილო განაჩენი? ამგვარი წინადადებები ცალკ-ცალკე გაბნეულები თუ ერთმანეთს მიყოლებულნი აძლიერებენ ტექსტის საერთო განწყობას და ამტკიცებენ კავშირს ფორმასა და შინაარსს შორის, რაც რიტმულობის ერთ-ერთ წინაპირობად გვესახება.

ვ) ცალკეული წინადადებები ან ფრაზები ხშირად მეორდება ნაწარმოებში უცვლელი ან მცირედ შეცვლილი სახით. ამგვარი სტროფული პარალელიზმები ასრულებენ ზოგჯერ ლაიტმოტივის ფუნქციას და გარკვეული სიმბოლური მნიშვნელობის მატარებლები არიან. მაგ. თითქმის ერთგვერდიან მოთხრობაში შემდეგი წინადადება მცირეოდენი ცვლილებით სამჯერ მეორდება: *That seems to hang together*; ორ-ორჯერ მეორდება შემდეგი: *It happened so long ago; Not too fast; ერთმანეთის მიყოლებით ორი უარყოფითი მნიშვნელობის წინადადება ამ სახით ორჯერ გვხვდება* *No one had missed him. No one was looking for him. არავინ...არავინ* უარყოფითი ნაცვალსახელის ასე დაბეჯითებით, ანაფორული გამეორება- აძლიერებს რიტმულ ექსპრესიას.

ზ) ანალოგიური ქართული მაგალითების მსგავსად, აქაც ზმნა-შემასმენელი ძირითადად ნამყო დროშია. მოკლე, სხარტი, მარტივი წინადადებებით გადმოცემული, სრული ასპექტით გამოხატული მოქმედებები თავისებურ რიტმს ქმნის. რიტმულობის განცდას ზრდის პარალელური, ხშირი გამეორება შედგენილი შემასმელის ზმნური ნაწილის, რომელიც „ყოფნა“ ზმნის ნამყო დროით არის გადმოცემული. ერთი და იმავე დროში ჩასმული ზმნა შემასმენლები გვხვდება ბოლო სამ წინადადებაში, რომლებიც ნაწარმოებში ერთად, მიყოლებით გვხვდება: ***She took the spot out of the skirt of her beige suit. She moved the button on her Saks blouse. She tweezed out two freshly surfaced hairs in her mole*** (Salinger.). რიტმულობა იქმნება სწორედ მარტივი წინადადებებით, რომლებიც თავიანთი თანმიმდევრული განლაგებით, იდენტური სიტყვათა წყობით (მდედრობითი სქესის მესამე პირის ნაცვალსახელით გამოხატული სუბიექტი + ნამყო დროში მოცემული მარტივი ზმნა-

შემასმენელი, სრული ასპექტით+პირდაპირი დამტება+ადგილის გარემოება) დიდად ზრდის და აძლიერებს რიტმულობის ექსპრესიას.

თ) რიტმული პროზისთვის ასევე დამახასიათებელია მოკლე, ეკონომიური, ხშირად მხოლოდ არამთავარი წევრებისაგან შედგენილი წინადადება, რომლის სიტყვებიც უმეტესად ერთი მორფემისაგან შედგება. მაგ ერთ-ერთ მოთხრობის ბოლო წინადადება ჟღერს, როგორც ნამდვილი საფინალო აკორდი: *But no more about it (Beckett,)* (მაგრამ ამაზე მეტი აღარაფერი).

ი) თავისებური რიტმი შეაქვს წინადადებაში განკერძოებას, როგორც დაზუსტებას, დამატებით ინფორმაციას: *He watched sleepily the flakes, silver and dark, falling obliquely against the lamplight (Joyce); Gravely the men turn in at a house—the wrong house (Fitzgerald,);* პირველ მაგალითში განკერძოება შერწყმულია, ერთგვარი განსაზღვრებებით.

კ) პარალელური სტრუქტურები ყოველთვის რიტმულობას ემსახურება. მაგ. *No one had missed him. No one was looking for him (Beckett,); / Why had he withheld life from her? Why had he sentenced her to death? / He could not have carried on a comedy of deception with her. He could not have lived with her openly (Beckett,);* მეორდება როგორც წინადადების პირველი ასევე ბოლოს სიტყვებიც, ე.ი. სახეზეა სემპლოკა. კიდევ: *A few drops if you will. A few drops in the morning if you will (Beckett,).*

ლ) საანალიზო წყაროებში არ შეგვხვდა სრული ანადიპლოზისის მაგალითი მარტივ წინადადებებს შორის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ინგლისური რიტმული პროზისთვის ეს დამახასიათებელი არ არის. ამის მტკიცების საშუალებას გვაძლევს ის შემთხვევები, რაც გვხვდება: *The sun disappears at last and with it all shadow. All shadow here (Beckett,).* თუმცა, ამ ორი წინადადებიდან, პირველი შერწყმულია.

ნ) პერიფრაზსაც გააჩნია რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვის პოტენციალი: *But there were no lambs. She could see none (Beckett,).* პირველი წინადადების „არც ერთი (არავითარი) კრავი“ (*no lambs*) ჩანაცვლებულია უარყოფითი განუსაზღვრელი ნაცვალსახელო -არც ერთი (*none*);

ამრიგად, მარტივ წინადადებას გააჩნია ის სინტაქსური მოცემულობები, რომელთა გამოყენებითაც იქმნება რიტმული პროზა. ეს განსაკუთრებით ნათლად

იგრძნობა სიტყვათა წყობის თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია, რომ საანალიზო ენებს მსგავსება უფრო მეტი აღმოაჩნდათ, ვიდრე განსხვავება.

§ 2. შერწყმული წინადადება და რიტმულობა

გამეორება–რიტმის მთავარი მოცემულობაა. შერწყმულ წინადადებაში ხდება სწორედ „ერთგვარი წევრების დაწყვილება, რაც ექსპრესიას კიდევ უფრო აძლიერებს, ვინაიდან ექსპრესიულობა თვით შერწყმული წინადადების ბუნებაშია“ [კოშორიძე,2005:124]. უფრო მეტიც, მისი „მეშვეობით ხდება აზრის დეტალიზაცია, ჩანს მოქმედების დინამიკა. თხრობა ამაღლებულია, ემოციურია, შთამბეჭდავია [სანიკიძე,1999:298]. აზრის დეტალიზაცია უფრო თვალსაჩინოა ნარევი სახის შერწყმულ წინადადებაში [კვაჭაძე,1988:229]. მაგ. *ბიჭები და გოგონები ჩანთებსა თუ აბგებში ალაგებდნენ წიგნებს, რვეულებსა და საგზაოს*. ამ წინადადებაში სამი წყება ერთგვარი წევრებია (*The boys and girls were putting their books and notebooks and food into their bags and satchels*). რამდენიმე წყვილი ერთგვარი წევრების საშუალებით იზრდება არა მარტო თხრობის დინამიკა, არამედ რიტმულობის ხარისხიც. ერთგვარი წევრები უმეტეს შემთხვევაში სინონიმებს წარმოადგენს, ხშირად მიახლოებულ სინონიმებსაც, რომლებიც ერთი და იმავე მოვლენაზე მიუთითებენ ოღონდ მეტ-ნაკლები ინტენსივობით.

ჩვენი აზრით, ქართული შერწყმული წინადადება რიტმულად უფრო ექსპრესიულია თუ მასში ერთგვარი წევრები უკავშიროდ არის გადაბმული ვიდრე კავშირით. შევადაროთ: *ბიჭი თავის თავთან რიკტაფელს თამაშობდა, ყიოდა, ყიჟინებდა, გაიხარებდა (გამსახურდია,1959:9)* და *ბიჭი თავის თავთან რიკტაფელს თამაშობდა და ყიოდა და ყიჟინებდა და გაიხარებდა*; ვფიქრობთ, რომ პირველ, ავტორისეულ ვარიანტში რიტმულობის უფრო მეტი ხარისხია, თუმცა, აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ რიტმულობის განცდა მეტ-ნაკლებად სუბიექტურია.

ცნობილი ენათმეცნიერი ი. არნოლდი სხვაგვარად ფიქრობს ინგლისური ენის შერწყმული წინადადების შესახებ. მისი აზრით, თუ ჩამონათვალში ყველა ელემენტის წინ დავსვამთ კავშირს „და“, ჩამოთვლილი ელემენტები გახება უფრო გამოკვეთილი, მთლიანი წინადადება კი–უფრო რიტმული. თუ მხოლოდ

ჩამონათვლის ბოლო წევრთან დავსვამთ მაკავშირებელ კავშირს „და“, ჩამონათვალი გახდება უფრო დასრულებული და მთელი განაცხადი უფრო მშვიდი ტონალობის [არნოლდი.1973:217]. მოვიყვანოთ მაგალითი: *He lent her books, provided her with ideas, shared his intellectual life with her (Joyce: 124). კაცი ქალს წიგნებს ათხოვებდა ხოლმე, იდეებით ამარაგებდა, თავის ინტელექტუალურ ცხოვრებას აზიარებდა.* შეგვიძლია შევადაროთ იმავე წინადადებას, ოღონდ „და“ კავშირიანს: *კაცი ქალს წიგნებს ათხოვებდა ხოლმე და იდეებით ამარაგებდა და თავის ინტელექტუალურ ცხოვრებას აზიარებდა.* ჩვენი აზრით, უკავშირო შეერთება უფრო დინამიური, შთამბეჭდავი და რიტმულია.

უფრო მეტი სიცხადისათვის მოძიებული მასალა დავახარისხეთ ერთგვარი წევრების მიხედვით, გავაანალიზეთ ისინი და შედეგად მივიღეთ ის დამახასიათებელი ნიშნები, რის საფუძველზეც პროზაში რიტმულობა იქმნება შერწყმული წინადადების მეშვეობით. ქართულენოვანი მაგალითები:

ა) ერთგვარშემასმენლიანი:

ბიჭი თავის თავთან რიკტაფელს თამაშობდა, ყიოდა, ყიჟინებდა, გაიხარებდა (გამსახურდია,1959:9); იცოდა ნინომ ვაჟკაცთ ფიქრები და აფსებდა სეფე ქალთა მისკენ მიქცევას (ბარნოვი,1943:315); შეანათებდა ქალი თვალებს, გულს უშუქებდა ეშხით დადაგულს (ბარნოვი,1943:315); ამ დროს მსმნელებში უხილავი ჯადო იჯდა და უხმოდ ქვითინებდა; აწრიალებული თვალები ხან ემღვრეოდნენ, ხან უბრწყინავდნენ (კოტეტიშვილი.2012:8);

ბ) ერთგვარქვემდებარიანი:

ისევ სიმღერა, ისევ ლურჯი ცა, ისევ სიცოცხლე და სიხარული! (ლორთქიფანიძე,1992:101); მაღალი ზღვის ნაპირი...თვალუწვდენელი ჰორიზონტი და შენზე ოცნება! (ლორთქიფანიძე,1992:107); შეუწყვეტლად მოდიოდნენ ახლოველნი თუ შორეულნი (ბარნოვი,1943:344);

გ) ერთგვარდამატებიანი:

ხელებზე ხტილებსა და ძარღვებს დაითვლი (რობაქიძე,1989:104); თაყვანსა სცემენ ქვათა თუ ხეთა (ბარნოვი,1943:261); მთელი დღის განმავლობაში მოწიწებით უვლიდა გარშემო, კვნესით და სინანულით (კოტეტიშვილი.2012:15); ცრემლიანი თვალებით და აჩუყებული გულით მოისმინა გოჩმანამ ეს წინადადება (კოტეტიშვილი.2012:14);

მაგრამ შემდეგ-სცენა მეორდება მეტის ავსილობით და მეტის გახელებით (რობაქიძე,1989:102); გედევანი ხალისით და გამაგებით იბრძოდა (ლორთქიფანიძე,1958:98);

დ) ერთგვარგანსაზღვრებიანი:

წელში წვრილი, ბეჭებში სქელი; ტლუ, უხეში ცხვრის მწყემსი (ლორთქიფანიძე,1922:122); რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა! (ლორთქიფანიძე,1922:123); იგი ყვავილის ყელივით ნაზია და სიფრიფანა (გამსახურდია,1959:27); თეთრ ტაიჭზედ, თეთრად მორთული, მარგალიტით მოქარგული თვით მარგალიტი! (ბარნოვი,1943:348); ქალაქი ხომალდი ამრეზილია და აღრენილი (რობაქიძე,1989:224);

ე) ერთგვარგარემოებიანი:

ამღვრეულ თვალებიდან უხილავი ცრემლები გულისკენ მოგორავდნენ, გულიდან-ტვინში, ტვინიდან მარღვებში (კოტეტიშვილი.2012:8); დაღარული სახეები ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული (კოტეტიშვილი.2012:12); „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, შენთვის და მრავალთათვის ჯვარცმული, ნეტარებდეთ!“ (კოტეტიშვილი.2012:11), (იხ. დანართი №2.2.).

შერწყმული წინადადებების შესწავლამ ნათლად გამოაჩინა რიტმული პროზისთვის დამახასიათებელი წინადადებების და სინტაქსური სტრუქტურების დომინანტური ხასიათი. გამეორება, როგორც რიტმულობის ერთ-ერთი ძლიერი საყრდენი, ამ შემთხვევაში ერთგვარი წევრების გამეორებით იქმნება. შესაბამისად, უფრო მატულობს რიტმული პროზის ექსპრესია, თუ ერთგვარი წევრები ერთნაირად ან მსგავსად არიან გავრცობილნი ან გაფორმებულები. ქართულენოვან რიტმულ პროზაში შერწყმულ წინადადებას ახასიათებს შემდეგი:

1. შემასმენლის ხშირი თავკიდური პოზიცია: მიუძღოდნენ მესაკრავენი, მგალობელნი ცისფერ კვართებში (ბარნოვი,1943:347); უვლიან ბაღჩას ზღვა, მთის მწვერვალნი(ლორთქიფანიძე,1992:101); აკრებს ყლორტებს და ფოთლებს ჰკოცნის სათვითაოდ (რობაქიძე,1989:261);
2. უსრული წინადადება: ააყენა მირიანი და წინ გაუძღვა (ბარნოვი,1943:347); თაყვანსა სცემენ ქვათა თუ ხეთა, ზვარაკებად კაცთა სწირავენ (ბარნოვი,1943:261); მსწრაფლ ჩაიხსნა კრეტსაბმელი და გადიწია (ბარნოვი,1943:260);

3. ინვერსიული წყობა ზმნა-შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის: *აჩნდნენ დედოფალი, ხვარამზე, სეფე ქალნი (ბარნოვი,1943:340); მთისკენ ვიდოდნენ ქადაგი და მის მოწაფენი (ბარნოვი,1943:316); შეწყდა შემდეგ ხმაურობა და ცეცხლთა ფრქვევა არმაზის მხარეს (ბარნოვი,1943:342); შეუწყვეტლად მოდიოდნენ ახლოველნი თუ შორეულნი (ბარნოვი,1943:344); მოსდევდნენ მას სეფე-ქალნი, შინმუვარნი, მოახლენი, მხევალთ სიმრავლე (ბარნოვი,1943:347);*

4. ქვემდებარის/ ქვემდებარეთა ბოლოკიდური პოზიცია: *ნაპრალში მხუის, სჩქევს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958:212); შეუწყვეტლად მოდიოდნენ ახლოველნი თუ შორეულნი (ბარნოვი,1943:344).*

5. უსრულ წინადადებებში ექსპრესია მატულობს განსაზღვრებების მეშვეობით: *წელში წვრილი, ბეჭებში სქელი; ტლუ, უხეში ცხვრის მწყემსი (ლორთქიფანიძე,1992.123); მოღუნული და ვიწრო ქუჩები; გამხმარი, ბებერი ხეები ამ ქუჩებში; დაკვრითი ტემპები, სოციალისტური შეჯიბრი, გაუთავებელი იდუსტრიალიზაცია (კოტეტიშვილი.2012:11).*

6. მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობა: *მოაქვთ მტევნები ყვითელი და მომავო (რობაქიძე, 1989:138); ყველგან ეზო დიდი და მორჩილი (რობაქიძე,1989:152).*

7. მაკავშირებელი ზმნა „ყოფნა“ ხშირად პირველი პრედიკატული განსაზღვრების შემდეგ გვხვდება: *თავადი ფიცხი იყო და ამაყი (რობაქიძე,1989:89); თმაგაწეწილი იყო, ფეხშიშველი, ავადყოფი (ლორთქიფანიძე,1958:165);*

8. მაკავშირებელი ზმნა „ყოფნა“ უმეტესად შერწყმულია შედგენილი შემასმენლის პირველ სახელად ნაწილთან: *მეტი წილი ქალია და ბავში (რობაქიძე,1989:138); იგი ყვავილის ყელივით ნაზია და სიფრიფანა (გამსახურდია,1959:27); წყალი ანკარაა და გრილი (რობაქიძე,1989:139).*

9. ერთგვარწევრებიანი სახელდებითი წინადადებების სიუხვე: *უფრსკულნი ხენი, უღრანი ტყე ღრუბელთ საპყრობი (ბარნოვი,1943:261); მაღალი ზღვის ნაპირი...თვალუწვდენელი ჰორიზონტი და შენზე ოცნება! (ლორთქიფანიძე, 1992:107); მიყრილ-მოყრილი პაპიროსის ნამწვები და ფერფლი (ლორთქიფანიძე,1992:118); სიცხე და თავბრუ; სიამოვნებით სიცოცხლე, სიამოვნებით შრომა და სიკვდილი (კოტეტიშვილი.2012:11).*

10. სიმრავლე ერთგვარგანსაზღვრებიანი შერწყმული წინადადებების: *უყურებს საღი, ძლიერი, ჯანმრთელი მწყემსი ჩამავალ მზეს (ლორთქიფანიძე,1959:212); მოღუნული და ვიწრო ქუჩები (კოტეტიშვილი.2012:11); ეს ჩვენი გოჩმანაც გადატაკებული და გატრიზავებული ძმა იყო (კოტეტიშვილი.2012:8); გაბერილი და გაბუყებული სხეული მთლად უკანკალებდა (კოტეტიშვილი.2012:10).*
11. ერთგვარი წევრები ხშირად გავრცობილია მსგავსი ან ერთი და იმავე სიტყვით: *თეთრ ტაიჭზედ, თეთრად მორთული, მარგალიტით მოქარგული თვით მარგალიტი! (ბარნოვი, 1943:347); რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა! (ლორთქიფანიძე,1992:123); დიდი საფლავი დრომოჭმულ მიცვალებულ გრძნობათა, დრომოჭმულ ფერადებისა და რითმების (გამსახურდია,1959:29); კედლებზე უთვალავი ობობა და უთვალავი ქსელი (რობაქიძე,1989:143);*
12. ერთი და იმავე თავსართით ნაწარმოები ერთგვარ წევრთა წყვილები: *არნახული და არგაგონილი კარნავალები მუშათა ახალგაზრდობის (კოტეტიშვილი.2012:14); ეს ჩვენი გოჩმანაც გადატაკებული და გატრიზავებული ძმა იყო (კოტეტიშვილი.2012:15); დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს, დააკლა თავი (ბარნოვი,1943:353);*
13. ერთგვარ წევრთა შესაერთებლად უმეტესად გამოყენებულია მაჯგუფებელი კავშირი „და“ ან სახეზეა უკავშირო გადაბმა: *გადადიოდნენ დრტვინვის ზვირთნი უდაბნოდან უდაბნოებში, ქვეყნიდან ქვეყნად (ბარნოვი,1943:264); ხომალდი იდგა მორთული და მოკაზმული პირადპირადად (ბარნოვი,1943:265); წნელის ღობე, კვინძები და ყორე გადახლართულია მაყვლით (ლორთქიფანიძე,1992:126); სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია (გამსახურდია,1959:13);*
14. ერთგვარ წევრთა ჩამონათვლის რიტმულობის ექსპრესიულობა უფრო იზრდება, თუ ჩამონათვლის წევრებს წინ უარყოფითი ნაწილაკი უძღვის: *არ მინდა არც შენი სიახლოვე, არც შენი სიყვარული, არც თანაგრძნობა ... (ლორთქიფანიძე,1992:107); მაგრამ ვერც მოლოხის კერპები-ვერც ბაბილონის ორგიები-ვერც მოაბის კახპა ქალები: ვერავინ და ვერაფერი ვერ აკავებდა უცნაურ ხალხს ერთ ადგილზე (რობაქიძე,1989:120);*
15. ერთგვარ წევრთა პარალელური სტრუქტურები, მით უმეტეს, თუ სახეზეა ინვერსია: *გული ყელში ჰქონდა ამოჩრილი, ნერწყვი გამშრალი, სახე აელვარებული და ალექილი (კოტეტიშვილი. 2012:13); მხოლოდ ამ ფიცრების ყრუ რახუნნი და*

მსხვილი ბელტების გრიალი იყო მართალი მთელ ამ საქმეში (კოტეტიშვილი.2012:13); ჩვენს დიდ სიყვარულსა და ჩვენს დიდ ნუგეშს, ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბედნიერებას (გამსახურდია,1959:8);

16. მსაზღვრელ-საზღვრულის მრავალგზის პარალელური სტრუქტურა: (1) პატარა ფიცრების (2)ყრუ რახუნში ქრებოდა ეს ლეგენდა (3)საუკუნო მყუდროების და (4) მწვანელოვან ადგილების (კოტეტიშვილი.2012:13).

17. სინონიმური თუ ანტონიმური წყვილები ერთგვარ წევრებად (ზოგჯერ მოულოდნელი წყვილებიც). ამგვარი ერთგვარი წევრები შეიძლება იყვნენ დამატებები, განსაზღვრებები, შემასმენლები და ა.შ. ასე დაღონებული და მოშხამული შევიდა თავის სახლში (კოტეტიშვილი.2012:10); მის ნაცვლად სუფრაზე ვხედავ ტლანქ, უხემ, ევროპულ ფაბრიკაციის ჩაის ჭურჭელს (გამსახურდია,1959:27); მაგრამ შხამი კი, მაგრამ მალამო კი უცვლელად, შეუსუტებლად დარჩება (ლორთქიფანიძე,1992:110); ჩვენს დიდ სიყვარულსა და ჩვენს დიდ ნუგეშს, ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბედნიერებას; ჩვენს დარდსა და ჩვენს გულის ჭირს; ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს (გამსახურდია,1959:28); ფერად-ფერადი ბუმტები უჩნდებოდა და უქრებოდა თვალებში (კოტეტიშვილი.2012:14);

18. ნარევი წინადადება: მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით (კოტეტიშვილი.2012:12); შეხარის გამაძღარს, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება გაიშხლართოს ღრმა, მშვიდი ძილისთვის (ლორთქიფანიძე,2012:212); ხალხი კი ახლა უხდიდა მადლობას და უცხადებდა აღტაცებას და სიყვარულს (ლორთქიფანიძე,1958:214);

19. რიტმის გულისთვის მსაზღვრელ-საზღვრულის სრული ან ნაწილობრივი შეთანხმება: სასახლის ტურფანი თავის-თავს მიაწერდენ გედევანის აღტაცებულს, გაბრწყინვებულს სახეს და კრილა შემოძახილს ბაიათისას (ლორთქიფანიძე,1958:95).

20. ერთგვარი წევრები ხშირად ერთფუძიანია ან ერთნაირად ნაწარმოებ-გაფორმებული: აქ არის საიდუმლო აღმოსავლეთის თანაყოფისა თუ ერთყოფისა (რობაქიძე,2012:12); მაგიური ძალა თავგახსნის თუ თავდახსნის (რობაქიძე,1989:13);

21. ნართან-იანი მრავლობითი ფორმით ნაწარმოები ერთგვარი წყვილები: გაწოლილნი და გადახნექილნი, როგორც უზარმაზარ მამონტების უზარმაზარნი ხერხემალნი (რობაქიძე,1989: 127);

22. საგანგებოდ შერჩეული და შეხამებული მსაზღვრელ-საზღვრული: უღრან ხევებში გადაჩეხილი ათი ათასი ბებერი დედაკაცივით არის ჩამოკიდებული დაბერებული და ხავსმოდებული სახლები (კოტეტიშვილი.2012:9-10); ბოლოს, იქ იყო ტკბილი დუდუკების ჰანგები და მალა დაძახებული ბაიათის სიტკბო (კოტეტიშვილი.2012:10);

23. ანადიპლოზისი შეგვხვდა შერწყმულ წინადადებაშიც: ვიწრო და შეკუმშული ფილტვების ხიხინი გამხმარ ყელში. ყელზე დაკეცილი და დანაოჭებული ტყავები (კოტეტიშვილი.2012:12); მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით. ამავე თვალების მოხუჭვა სიონის ღვთისშობლის ხატის წინ და გაუთავებელი ლოცვები სიონის მაღალთაღიანი გუმბათის ქვეშ (კოტეტიშვილი. 2012:12).

24. ეპიფორა: მოღუნული და ვიწრო ქუჩები. გამხმარი, ბებერი ხეები ამ ქუჩებში (კოტეტიშვილი.2012:11);

25. ელიფსური წინადადება: ვაიმე, შენმა სიყვარულმა ჩემი გული ისევე დაამსხვრია, როგორც ჩემდამი სიყვარულმა შენი მტირალა ჩონგური (გამსახურდია,1959:10); მირიანის მარჯვნივ იჯდა თურანელი, მარცხნივ ხატაველი ოქროთი და სპეკალით ალაპლაპებულ ტანისამოსში (ბარნოვი,1943:331);

26. დასაზუსტებელ-ასახსნელი სიტყვის შემცველი წინადადება: ტყისნაცოფი ჯერ ისევ მწიფდა: პანტა, მაჟალო, შინდი, ხუთყურა (ბარნოვი,1943:316); სპარსეთში სამი ქვაა ბატონი: ლალი და ფირუზი და ზურმუხტი (რობაქიძე,1989:59); ფულიცა სჩანდა: ქართული თეთრი, ოქრო სპარსული, ბიზანტიური (ბარნოვი,1943:344);

ქართულ მაგალითებთან შედარებით, ინგლისურენოვან რიტმულ პროზაში შერწყმული წინადადებები უფრო მცირე რაოდენობისა აღმოჩნდა. მათი რიტმულობა უმეტესად ეყრდნობა ნორმიდან მეტ-ნაკლებად გადახვევას, რაც გამოწვეულია სწორედ გამომსახველობისა და გამომხატველობის, ანუ ექსპრესიის გასაძლიერებლად. მოძიებული მასალა კვლავ ერთგვარი წევრების მიხედვით დავახარისხეთ და შევისწავლეთ:

ა) ერთგვარქვემდებარიანი:

The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach (Joyce,1982: 127-128);

Black and green of the garments touching now (Beckett,1985:1);

The sun disappears at last and with it all shadow (Beckett,1985:1);

Shadow and rustle irksome (Beckett,1985:1);

On the papers were written thoughts, ends of thoughts, beginnings of thoughts (Anderson,1981:34);

The girl and Doctor Reefy began their courtship on a summer afternoon (Anderson,19821:34);

ბ) ერთგვარშემასმენლიანი:

This union exalted him, wore away the rough edges of his character, emotionalised his mental life (Joyce,1982:124);

Mr. Duffy sat on his stool and gazed at them, without seeing or hearing them (Joyce,1982:128);

He lent her books, provided her with ideas, shared his intellectual life with her (Joyce,1982:123);

But no one knows the woman's name, and no one cares (Fitzgerald,1984:126);

გ) ერთგვარდამატებიანი:

He had neither companions nor friends, church nor creed (Joyce,1982:122);

She washed her comb and brush (Salinger,1982:27);

Night without moon or stars (Beckett,1985:1);

Little by little he entangled his thoughts with hers (Joyce,1982:123);

ერთგვარ რთულ დამატებიანი :

At moments he seemed to feel her voice touch his ear, her hand touch his (Joyce,1982:129);

He could not feel her near him in the darkness nor her voice touch his ear (Joyce,1982:129);

ერთგვარ თანდებულიან დამატებიანი:

From his aunt's supper, from his own foolish speech, from the wine and dancing, the merry-making when saying good-night in the hall, the pleasure of the walk along the river in the snow (Joyce,1982:218);

He was an old man with a white beard and huge nose and hands (Anderson, 1981:33);

It had gone beyond her, beyond everything (Fitzgerald,1985:74);

დ) ერთგვარგანსაზღვრებიანი:

The night was cold and gloomy (Joyce,1982:129);

Those venal and furtive loves filled him with despair (Joyce,1982:129);

Buttons of all shapes and sizes (Beckett,1985:1);

ე) ერთგვარგარემოებიანი:

ადგილის გარემოებიანი:

It was falling on every part of the dark central plain, on the treeless hills, falling softly upon the Bog of Allen and, farther westward, softly falling into the dark mutinous Shannon waves.

It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, on the spears of the little gate, on the barren thorns (Joyce,1982:219);

ერთგვარვითარების გარემოებიანი:

At once on its brim and crown (Beckett,1985:1);

He lay face downward and arms outspread (Beckett,1985:1);

They were gone, without a word, snapped out, made accidental, isolated, like ghosts, even from our pity (Fitzgerald,1985:108);

The proprietor sprawled on the counter reading the Herald and yawning (Joyce,1982:128);

ნარევი შერწყმული წინადადება: სინონიმური და ანტონიმური წყვილებით:

He lent her books, provided her with ideas, shared his intellectual life with her (Joyce,1982:123);

I was within and without, simultaneously enchanted and repelled by the inexhaustible variety of life (Fitzgerald,1985:36);

In his blue gardens men and girls came and went like moths among the whisperings and the champagne and the stars (Fitzgerald,1985:38);

ინგლისურენოვანი შერწყმული წინადადებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მახასიათებელი ნიშნები:

1. ზმნა-შემასმენლის და ქვემდებარის ინვერსიული წყობა: *On the papers were written thoughts, ends of thoughts, beginnings of thoughts (Anderson,1981:33).*

2. მსაზღვრელის და საზღვრულის ინვერსიული წყობა: *Shadow and rustle irksome* (Beckett,1985:1).

3.ერთგვარი ზმნა-შემასმენლები ძირითადად წარსულ მარტივ დროშია: *He lent her books, provided her with ideas, shared his intellectual life with her* (Joyce,1982:123); *This union exalted him, wore away the rough edges of his character, emotionalised his mental life* (Joyce,1982:124);

4. ერთგვარ წევრებს დიდ ექსპრესიულობას ანიჭებს წინ დართული უარყოფითი ნაწილაკები: *He had neither companions nor friends, church nor creed* (Joyce,1982:122);

5.ინგლისურში გვხვდება ერთგვარი რთული დამატებები: *At moments he seemed to feel her voice touch his ear, her hand touch his.* (Joyce,1982:129);

6. სახელდებითი წინადადებების სიმრავლე: *Night without moon or stars* (Beckett,1985:1); *Buttons of all shapes and sizes* (Beckett,1985:1).

7. რამდენიმე წყვილი ერთგვარი წევრებისა ანუ ნარევი შერწყმული წინადადება, სინონიმური თუ ანტონიმური წყვილებით: *In his blue gardens men and girls came and went like moths among the whisperings and the champagne and the stars* (Fitzgerald,1984:38).

8. შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრები გადაბმულია უკავშიროდ ან სასვენნი ნიშნით: *He was an old man with a white beard and huge nose and hands* (Anderson,1981:33); *On the papers were written thoughts, ends of thoughts, beginnings of thoughts* (Anderson,1981:34);

9. პარალელური კონსტრუქციები:

He lent her books, provided her with ideas, shared his intellectual life with her (Joyce,1982:123); *At moments he seemed to feel her voice touch his ear, her hand touch his* (Joyce,1982:129);

10. ერთგვარ წევრებს შეიძლება მოსდევდეს ერთგვარწევრებიანი, შერწყმული განკერძოება: *Mr. Duffy sat on his stool and gazed at them, without seeing or hearing them* (Joyce,1982:128).

დადასტურდა, რომ შერწყმული წინადადება უდავოდ ღირებული მასალაა წინამდებარე კვლევისთვის, რადგან იგი „მოხდენილი სინტაქსურ-სტილისტიკური საშუალებაა აზრის გადმოსაცემად: ერთგვარი წევრები უფრო სრულად, ამომწურავად

გადმოსცემენ გადმოსაცემის შინაარსს, აძლიერებენ წინადადების სემანტიკურ მხარეს, მის ექსპრესიულობასა და ემოციურობას” [კვაჭაძე, 1988:227].

§ 3. რთული წინადადება და რიტმულობა

ჩვენი ძირითადი საკვლევი კითხვა რთულ წინადადებასთან დაკავშირებით მდგომარეობს შემდეგში:

1. რამდენად დამახასიათებელია რთული წინადადება რიტმული პროზისთვის, თავისი რთული სინტაქსური ბუნებიდან გამომდინარე;
2. რომელს უფრო მეტი პოტენციალი გააჩნია ტექსტში რიტმულობის რეალიზაციის თვალსაზრისით, თანწყობილს თუ ქვეწყობილს?
3. ენობრივი უნივერსალები დადგენა ორ ენას შორის.

ვინაიდან რთული თანწყობილი წინადადება ორი მარტივი ან შერწყმული დამოუკიდებელი წინადადებისაგან შედგება, სავსებით მოსალოდნელია, რომ მას ტექსტის რიტმიზაციის მაღალი ხარისხი გააჩნდეს, რადგან როგორც მარტივი, ასევე შერწყმული წინადადება ტექსტის რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვის ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა. თავის მხრივ, ჩვენი აზრით, რთულ ქვეწყობილსაც, განსაკუთრებით უკავშიროს და, ამდენად, ერთგვარად დაწურულს და დამუხტულს, გააჩნია რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის პოტენციალი. მათ შორის განსხვავება მხოლოდ სტრუქტურაში არ გამოიხატება: ისინი „განსხვავდება ინტონაციურადაც. თანწყობილისათვის დამახასიათებელია ჩამოთვლისა და დაპირისპირების ინტონაცია, ქვეწყობილისათვის-დაქვემდებარებისა...” [კვაჭაძე, 1988:454].

საანალიზო წყაროებში მოძიებულმა და შესწავლილმა მასალამ გამოავლინა რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებებისთვის ის საერთო და განსხვავებული სტრუქტურული ნიშნები, რომლებიც ამა თუ იმ სინტაქსური მოცემულობით ხელს უწყობენ რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვას. მოძიებული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია გამოვავლინოთ ენობრივი უნივერსალები ამ საფეხურზე.

ქართულენოვანი თანწყობილი წინადადებები :

ტყე იდუმლათ, შავათ გაქვავებულიყო და ხეების, მთა-გორაკების ყოველი მოხაზულობა ნათლად ირკვეოდა (ლორთქიფანიძე,1958:188); მე კი არავის ვეძებ, არავინ მეძებს (გამსახურდია,1959:12);

გაიწევ უნებურ ლამაზისაკენ და ჩვენება ჰქრება სიზმარივით სადღაც ბრბოს ხრიალში (რობაქიძე,1989:14); წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი, ბევრს გული გაუხეთქა ამ საზარელმა სანახაობამ (კოტეტიშვილი.2012:11), (იხ. დანართი №2.4.).

რთული თანწყობილი წინადადებისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა შემდეგი:

1. ქვემდებარის ხშირი გამოტოვება: *ამ სიტყვებით ტახტის წინ დაჩოქება სურდა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა და პირქვე დასცა (ლორთქიფანიძე,1958:98);*
2. ნაცვალსახელის ხშირი გამოტოვება: *ყელში გაჩრილი ბურთი სადღაც გაჰქრა, სუნთქვა გაეხსნა, გული გაუმსუბუქდა და ისევ ფიქრს მისცა თავი (კოტეტიშვილი.2012:10);*
3. ინვერსია ზმნა-შემასმენელს შორის: *მიდიოდა გოჩმანა წინ და უკან მისდევდა ამდენი მთავარი და მღვდელი (კოტეტიშვილი.2012:13); დუდუკებმა დაჰკრეს საარი და ამ მომაჯადოებელ ხმებზე დაიძრა ხალხი დანგრეულ სამრეკლოსაკენ (კოტეტიშვილი.2012:16);*
4. ერთი წინადადება ხშირად შერწყმულია: *კიდევ რამდენიმე ხანი და საშინელი გრგვინვით დაიმსხვრა ზღუდე და ბორკილი, გაცეცხელებული ლავასავით მოედო შავი მასა ტფილისის ქუჩებს (კოტეტიშვილი.2012:11);*
5. ორივეში უმეტესად ერთი დროა: *ფოთოლი სქელდება და ფოთოლზე მატლი მილოდავს ზმორით (რობაქიძე,1989:268);*
6. უარყოფითი ნაწილაკები ზმნების წინ: *ჩრდილით ვერ გვაგრილებს, ფიჩხს არ გვაძლევს, ხარბი ფესვები უკანასკნელ ნოყიერებას ართმევს ნიადაგს და ირგვლივ მცენარეთ აღარ ახარებს(ლორთქიფანიძე,1992:103);*
7. ორზე მეტი წინადადების შემთხვევაში კავშირი ჩნდება ბოლოს წინ (უმეტესად „და“ კავშირი): *ყელში გაჩრილი ბურთი სადღაც გაჰქრა, სუნთქვა გაეხსნა, გული გაუმსუბუქდა და ისევ ფიქრს მისცა თავი (კოტეტიშვილი.2012:10);*

8. უკავშირო გადაბმის სიხშირე რიტმულობისთვის: *წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი, ბევრს გული გაუხეთქა ამ საზარელმა სანახაობამ (კოტეტიშვილი.2012:11);*
9. პარალელური სტრუქტურები: *აქვე საფლავთან ბევრი ღვინო დაილია, ბევრი სადღეგრძელო ითქვა, ბევრი იტირეს დუდუკებმა და კარგად რომ შემოლამდა მდუმარედ დაბრუნდნენ უკან (კოტეტიშვილი.2012:13);*
10. ზმნა-შემასმენელი ხშირად სემანტიკურად ერთსა და იმავე ან მსგავს ცნებას გამოხატავს: *მე კი არავის ვეძებ, არავინ მეძებს (გამსახურდია,2012:12);*
11. თემა ვითარდება მეორე წინადადებაში: *ასე ეჩურჩულებოდა გოჩმანა თავის თავს გადარაზულ კარებს უკან და სიბრაზის და ნაღვლის ბურთები უგორავდნენ გამხმარ ყელში(კოტეტიშვილი.2012;13);*

ინგლისური ნიმუშები

One nibbles at them and they are delicious (Anderson,1981:34); Not merely had she degraded herself; she had degraded him (Joyce,1982:128); No one wanted him; he was outcast from life's feast (Joyce,1982:129); The quiet lights in the houses were humming out into the darkness and there was a stir and bustle among the stars (Fitzgerald,1984:84), (იხ. დანართი№ 2.3.).

გამოვლინდა შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები:

- 1.ინვერსია ზმნა-შემასმენელს შორის: *Not merely had she degraded herself; she had degraded him (Joyce,1982:128);*
- 2.ზმნა-შემასმენლები ხშირად სემანტიკურად ერთსა და იმავე ან მსგავს ცნებას გამოხატავს: *One human being had seemed to love him and he **had denied her life and happiness: he had sentenced her to ignominy, a death of shame (Joyce,1982:129);***
- 3.თემა ხშირად ვითარდება მეორე წინადადებაში: *No one wanted him; he was outcast from life's feast (Joyce,1982:129); In the fall one walks in the orchards and the ground is hard with frost underfoot (Anderson,1981:34);*
4. ერთი დრო ორივე მხარეს: *One nibbles at them and they are delicious (Anderson,1981:34);*
5. უკავშიროდ გადაბმა უფრო რიტმული: *Not merely had she degraded herself; she had degraded him (Joyce,1982:128);*

6. პარალელური სტრუქტურები: *It was an age of miracles, it was an age of art, it was an age of excess, and it was an age of satire* (Fitzgerald, 1965:10);

7. ორზე მეტი წინადადების შემთხვევაში კავშირი ჩნდება ბოლოს წინ (უმეტესად „და“ კავშირი): *It was an age of miracles, it was an age of art, it was an age of excess, and it was an age of satire* (Fitzgerald, 1965:10);

8. სიტყვის ანაფორული გამეორება: *It was an age of miracles, it was an age of art, it was an age of excess, and it was an age of satire* (Fitzgerald, 1965:10).

9. ერთ-ერთი წინადადება ხშირად შერწყმულია: *The quiet lights in the houses were humming out into the darkness and there was a stir and bustle among the stars* (Fitzgerald, 1984:84).

ორივე ენის საანალიზო წყაროებში შესამჩნევია თანწყობილი წინადადებების სიმცირე მარტივ წინადადებასთან შედარებით. და მთავარი–ქართულ და ინგლისურენოვან თანწყობილ წინადადებებს შორის მეტად მცირე სხვაობა გამოვლინდა.

ქართულენოვანი ქვეწყობილი წინადადებები:

აცნობეს ნინოს, დედოფალი მობრძანდებაო (ბარნოვი, 1943:303); *მხატვრის ირგვლივ, როცა ფრინველი ფრთას-ფრთას შემოკრავდა, ცვარი ობოლ მარგალიტით სცვიოდა* (ლორთქიფანიძე, 1958:222); *სიტყვა თუ სახელი მეხის ნატეხია ხის დიდ მუცელს რომ გარუჯავს* (რობაქიძე, 1989:121); *აუარებელი ხალხი უვლიდა გარს ამ ზარს, რომელიც უზარმაზარ ნადირით ეგდო მიწაზე, დამარცხებული და დამცირებული* (კოტეტიშვილი, 2012:15); (იხ. დანართი №2.3.):

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მახასიათებლები:

1. ქვემდებარის ხშირად გამოტოვება. მაგ. *ქუჩაში რომ გამოვიდა, გოჩმანას აღარ უხაროდა, ისე იყო დაღლილი და მშვიერი, აბუზული და მოწყენილი გაჰყვა ტფილისის ქუჩებს სირაჯხანისკენ* (კოტეტიშვილი, 2012:13); *ჭრილობებს და სისხლისგან დაცლას თითქოს ვერ გრძნობდა, სანამ დედოფალს არ მოხვდა ტყვია* (ლორთქიფანიძე, 1958:98);

2. ერთ-ერთი წინადადება უმეტესად შერწყმულია. მაგ. *რას ეტყვიან ეს მებვედრანი და ეს გაცილებანი პატარა გულს, რომელიც სუსხდასხმული ჩიტივით ფართქალობს ქალის აზიდულ მკერდში?! (რობაქიძე,1989:47);*

3. პარალელური სტრუქტურები. მაგ. *ვერავინ გაიგო, რამდენი ჭრელი პეპლა გაჰქრა; რამდენ ყაყაჩოს, მინდვრის დამამშვენებელს, გადაეფარა სილა; რამდენი ქორბუდიანი ირემი და სიამაყე კლდისა, ჯიხვი, ყელგადახბვევით მიარიყა მილეწ-მოლეწილს, დასახიჩრებულ ტბის დედოფალს-ჭანდარს; რამდენი ორბის და არწივის კვერცხი გასკდა, ჩალპა დამტვრეულ მუხის ნაფლეთებში, ნემოში (ლორთქიფანიძე,1958:225);*

4. ხშირად კავშირის „რომელიც“ ნაცვლად, გამოყენებულია „რომ“, რაც უფრო ექსპრესულს და დაწურულს ხდის წინადადებას. მაგ. *აღბათ დუდუკები გრძნობდნენ მხოლოდ ამას, წაჩოქილები რომ ჩასტიროდნენ და ჩაჰკვნესოდნენ ცხოვრებისაგან გატრიზავებულ მოქალაქეს (კოტეტიშვილი.2012:13);* *სიტყვა თუ სახელი მეხის ნატებია ხის დიდ მუცელს რომ გარუჯავს (რობაქიძე,1989:121);* შევადაროთ: *სიტყვა თუ სახელი მეხის ნატებია, რომელიც ხის დიდ მუცელს გარუჯავს.*

5. ინვერსიული წყობა მსაზღვრელ-საზღვრულისა. მაგ. *მათ ეგონათ, რომ მათი ხმა ესმოდა ესმოდა მხოლოდ ჩუმ კედლებს გალავანისას, სიოზე მოშრიალე ცაცხვებს და ბულბულს მიძინებულს, რომელიც სტვენით ამჟღავნებს მიჯნურთა საიდუმლოს, მაგრამ უმეტესობისათვის გაუგებარ ენაზე გალობს (ლორთქიფანიძე,1958:166).*

6. უკავშირო გადაბმა უფრო რიტმულია. მაგ. *ვუსმენ იადონს, არავის ეგონოს, სტვენა მხიბლავდეს, არა-ყურს ესმის სხვა სანეტარო ტკბილი ხმა(ლორთქიფანიძე,1992:111);* *აცნობეს ნინოს, დედოფალი მობრძანდებაო (ბარნოვი,1943:303).*

7. შეინიშნება წინადადების ორივე მხარეს მოცემულ მოქმედების დროში, როგორც ერთიანობა, ასევე სხვაობა. მაგ. *ყოველ დილით მიწა რომ ინძრევა, სახლები რომ ზრიალებენ შიშითა და სიყვარულით, ყველამ იცის, რომ ეს სიონის ზარია (კოტეტიშვილი.2012:10);* *დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლისაკენ თუ აღმოსავლის ქარმა დასავლისაკენ - ტფილისმა არ იცის (რობაქიძე,1989:219);*

საგულისხმოა, რომ ქართული ნიმუშების მსგავსად, რთული ქვეწყობილი წინადადებები ინგლისურშიც ბევრად აღემატება რთულ თანწყობილებს:

When they met again, two days later, it was Gatsby who was breathless, who was somehow betrayed (Fitzgerald,1984:108); The dark discreet room, their isolation, the music that still vibrated in their ears united them (Joyce,1982:219); After the tall dark girl came to know Doctor Reefy it seemed to her that she never wanted to leave him again (Anderson,1981:35); She is wearing the black she took on when widowed young (Beckett,1985:1), (იხ. დანართი №2.3.).

ინგლისურენოვანი რიტმული პროზის ქვეწყობილი წინადადების შესწავლამ გამოავლინა შემდეგი:

1. ერთ-ერთი წინადადება ხშირად შერწყმულია. მაგ. *The dark discreet room, their isolation, the music that still vibrated in their ears united them (Joyce,1982:219);*
2. უკავშიროდ გადაბმა. მაგ. *He turned back the way he had come, the rhythm of the engine pounding in his ears (Joyce,1982:219);*
3. პარალელური სტრუქტურები. მაგ. *But never again as during that all too short period **when** he and I were one person, **when** the fulfilled future and the wistful past were mingled in a single gorgeous moment- **when** life was literally a dream (Fitzgerald,1965:62);*
4. ინვერსიული წყობა ქვემდებარესა და ზმნა-შემასმენელს შორის. მაგ. *Should she now move away into the east her shadow would go before (Beckett,1985:1);*
5. ანტითეზის შემცველი. მაგ. *Better pass boldly into that other world, in the full glory of some passion, than fade and wither dismally with age (Joyce,1982:219);*
6. უმეტესად სხვადასხვა გრამატიკული დრო მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში, მთავარში მოცემულია უმეტესად თემა, რომელიც შემდეგ ვითარდება და ახსნილია დამოკიდებულ წინადადებაში მოცემული რემით. მაგ. *They have been put in barrels and shipped to the cities where they will be eaten in apartments that are filled with books, magazines, furniture, and people (Anderson, 1981:34);*
7. „და“ კავშირის თავკიდური პოზიცია ერთმანეთთან ახლოს განლაგებულ რამდენიმე წინადადებაში, რომელიც იმდენად კავშირი აღარაა, რამდენადაც რიტმული აქცენტი, რომელიც ამ შემთხვევაშიც ძველი ტექსტების, უპირველეს ყოვლისა „ბიბლიის“ რიტმულ წყობას გვახსენებს. მაგ. ***And** as the moon rose*

higher... And as I sat there brooding on the old, unknown world... And one fine morning—(Fitzgerald,1984:129);


8. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ინვერსიული წყობა. მაგ. *My own happiness in the past often approached such an ecstasy that I could not share it even with the person dearest to me (Fitzgerald,2. 55);*

ჩატარებული კვლევის შედეგად მეტად საინტერესო სურათი მივიღეთ: რთული ქვეწყობილი წინადადების დონეზეც საკვლევ ენებს შორის უფრო მეტი მსგავსება, გამოვლინდა, ვიდრე განსხვავება. რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის თვალსაზრისით, ორივე ენაში ძლიერ საშუალებად წარმოჩინდა შემდეგი: სინტაქსური პარალელიზმი, ქვემდებარე/ზმნა-შემასმენლის, მსაზღვრელ/საზღვრულის ინვერსიული წყობა, შერწყმული ტიპის წინადადების ან მრავალი ერთგვარი წევრის არსებობა როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ წინადადებაში და უკავშიროდ გადაბმის სიუხვე.

ამდენად, სინტაქსურ დონეზე ქართულ და ინგლისურ ენებს შორის დადასტურდა

შემდეგი ენობრივი უნივერსალიები: სამივე ტიპის წინადადებას ხელსაყრელი სტრუქტურა აღმოაჩნდა რიტმულობის გამსახატავად. ორივე ენაში ყველაზე მეტად ამ მხრივ გამოირჩევა მარტივი წინადადება, მას მოჰყვება შერწყმული და რთული ქვეწყობილი. ბოლო ადგილზეა რთული თანწყობილი (იხ. სქემა № 2).

სქემა № 2 რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვა სინტაქსურ დონეზე



§ 4. წინადადების წევრთა განკერძოება რიტმულობისთვის

პროზის რიტმულობაში დიდ როლს ასრულებს წინადადების წევრთა განკერძოება. განკერძოებული წევრები იმით გამოირჩევა, რომ ისინი ერთგვარად მოწყვეტილები არიან წინადადების ძირითად ნაწილს და არ აღიქმებიან წევრებად. თუმცა, სწორედ მათი განსაკუთრებული ადგილი და ფუნქცია, როგორც სემანტიკურად, ასევე, ინტონაციურადაც გამოკვეთავს, ხაზს უსვამს მათ მიერ აღნიშნულ თვისებას და აძლიერებს მთელი წინადადების ექსპრესიულობასა და გამომსახველობას. „განკერძოებული წევრი არ ქმნის სიტყვათა შეკავშირებას იმ წევრთან, რომელსაც ის ახლავს, და ახასიათებს უფრო მეტი აზრობრივი დამოუკიდებლობა და გამომსახველობითი ძალა, ვიდრე ამავე სახელწოდების განუკერძოებელ წევრს“ [კვაჭაძე, 1988:261]. განკერძოებული წევრი „სემანტიკური თვალსაზრისით ყოველთვის არამთავარი, მეორადი მნიშვნელობისაა, თუმცა სტრუქტურულად მას გააჩნია მთავარი წევრის ყველა თვისება. განკერძოებული ფრაზების სწორედ ეს დაპირისპირება მათ სტრუქტურულ და სემანტიკურ ასპექტებს შორის ქმნის სასურველ ეფექტს—აიძულოს მკითხველი, რომ გაარკვიოს ლოგიკური კავშირები წინადადების შემადგენელ ნაწილებს შორის“ [ინტ. წყარო № 14].

განკერძობებული გამოთქმა ნამდვილად არ არის სწორხაზოვანი პირდაპირი განსაზღვრება ან გარემოება. ჩვენი აზრით, განკერძობება თავის თავში ახალი, განსხვავებული რიტმის მომცველია. მოვიყვანოთ მოძიებული ნიმუშები განკერძობებისა ჯერ ქართულენოვანი წყაროებიდან:

შავი თვალები აქვს, დიდი მეტყველებით სავსე, ცეცხლისმფრქვეველი (ლორთქიფანიძე, 1992:122);

თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჭკნარი სახე, თეთრი მთვარესავით მრგვალი და ბრტყელი (გამსახურდია, 1959:7); ხევში პატარა რუკ – ნაღველივით შავი (რობაქიძე, 1989:143), (იხ. დანართი №2.4.).

მოძიებული ნიმუშების შედეგად დადასტურდა, რომ განკერძობებული წევრი ან ფრაზა წინადადებისა განსაკუთრებულად გამომხატველია რიტმული ექსპრესიისა, როდესაც:

1. განკერძობება თავად არის შერწყმული და წარმოდგენილია სინონიმური ან ანტონიმური წყვილით: *ძველი ამ დროს მოჭრილი მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი;*
2. აქვს დამაზუსტებელი ფუნქცია: *ფერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება რუ;*
3. განკერძობებულ ფრაზაში მეორდება წინადადების წევრი: *ხის ქვეშ რაღაც შავი მოჩანს, პატარა ხის ქვეშ;*
4. განკერძობებული ფრაზა სიტუაციურ სინონიმს ქმნის წინადადების რომელიმე წევრთან: *მთელი დღის განმავლობაში მოწიწებით უვლიდა გარშემო, კვნესით და სინანულით;*
5. განკერძობებული ფრაზის წყვილი ერთგვარი ფორმითაა ნაწარმოები მორფოლოგიურად, მაგ. არქონის პრეფიქს-სუფიქსით: *უ-ო, გახარებული ხალხის დენა, უ-საზღვრ-ო და უ-ნაპირ-ო;*
6. განკერძობებული ფრაზა ერთბაშად ოთხი ერთგვარი წევრისგან შედგება, რაც სინონიმთა პარადიგმატულ ჯაჭვად ვითარდება: *ყოველი ქვა ტაძარის ქალწულია თვითონ: ნელი-ლბილი-ნაზი-თვინიერი;*
7. ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე განკერძობების მომცველი წინადადებაა: *ხელში კრიალოსანი: ქარვის თუ გიშერის. მუსაიფი: ნელი და ჩუმი;*

8. შერწყმული სახის განკერძოებაში გამავრცობელი სიტყვა ერთი და იგივეა: *ქალის თვალბში-ათასი თვალი: ყველა ელამი და ყველა ამღვრეული;*
9. მთავარი ემოციური ბირთვი სწორედ განკერძოების ფრაზაშია: *აუარებელი ხალხი უვლიდა გარს ამ ზარს, რომელიც უზარმაზარ ნადირივით ეგდო მიწაზე, დამარცხებული და დამცირებული; ხევში პატარა რუკ - ნაღველივით შავი;*
10. განკერძოებული სიტყვა იმეორებს იმ სიტყვის მორფოლოგიურ ფორმას, რომელსაც ის დაერთვის: *ფერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება;*
11. განკერძოებული ფრაზა გამორჩეულია ალიტერაციული თუ ასონანსური კეთილხმოვნებით: *გოგო მიჰყვება: აწითლული და ალექილი; ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი;*
12. განკერძოებული ფრაზის ერთგვარი წევრები უმეტესად კავშირითაა გადაბმული: *დაღარული სახეები, ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული ; თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჰკნარი სახე, თეთრი მთვარესავით მრგვალი და ბრტყელი.*

განკერძოების მაგალითები ინგლისურენოვანი წყაროებიდან:

Laughter is easier minute by minute, spilled with prodigality, tipped out at a cheerful word (Fitzgerald,1984:39);

Soon, perhaps, he would be sitting in that same drawing-room, dressed in black, his silk hat on his knees (Joyce,1982: 218);

Beyond the river he saw a goods train winding out of Kingsbridge Station, like a worm with a fiery head winding through the darkness, obstinately and laboriously (Joyce,1982:129);

Mr. Duffy sat on his stool and gazed at them, without seeing or hearing them (Joyce,1982:128);

One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: he had sentenced her to ignominy, a death of shame (Joyce,1982:128);

He turned back the way he had come, the rhythm of the engine pounding in his ears (Joyce,1982:129);

His life would be lonely too until he, too, died, ceased to exist, became a memory—if anyone remembered him (Joyce,1982:129);

*But it was all going by too fast now for his blurred eyes and he knew that he had lost that part of it, **the freshest and the best, forever** (Fitzgerald,1984:111);*

*I spent my Saturday nights in New York because those gleaming, dazzling parties of his were with me so vividly that I could still hear the music and the laughter, **faint and incessant**, from his garden and the cars going up and down his drive (Fitzgerald,1984:129);*

*Its vanished trees, **the trees that had made way for Gatsby's house**, had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams(Fitzgerald,1984:129);*

*And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a **fresh, green breast of the new world** (Fitzgerald,1984:129), (სრულად იხ. დანართი№2.4.):*

მოძიებული ინგლისურენოვანი ნიმუშების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

1. განკერძოების ფრაზის ერთგვარი წევრები უმეტესად კავშირითაა გადაბმული: *Mr. Duffy sat on his stool and gazed at them, **without seeing or hearing them**;*
2. განკერძოება, როგორც დაზუსტება, მოიცავს დამატებით ინფორმაციას: *Gravely the men turn in at a house—the **wrong house**;*
3. შერწყმული წინადადების ერთგვარი წევრებით შექმნილ რიტმულობას აძლიერებს ასევე შერწყმული განკერძოება ერთგვარი თანდებულიანი ვითარების გარემოებებით: *Mr. Duffy **sat** on his stool and **gazed** at them, **without seeing or hearing them**;*
4. წინადადებაში დაწყებული ემოციური აზრი კულმინაციას აღწევს განკერძოებაში: *One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: **he had sentenced her to ignominy, a death of shame**;*
5. წინადადებაში დაწყებული ემოციური აზრი დაღმავალი გრადაციით მიდის დუმილამდე განკერძოებაში: *His life would be lonely too until he, too, died, ceased to exist, became a memory—if **anyone remembered him**.*
6. განკერძოებაში მოცემული ერთგვარ განსაზღვრებათა წყვილი აღმატებით ხარისხშია: *But it was all going by too fast now for his blurred eyes and he knew that he had lost that part of it, **the freshest and the best, forever**;*
7. ნაწარმოების ყველაზე ემოციურ მონაკვეთში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხატი განკერძოებითაა ხაზგასმული: *And as the moon rose higher the inessential houses began*

to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world;

8. განკერძოების წყვილი ერთგვარი ფორმითაა ნაწარმოები მორფოლოგიურად, მაგ. ზმნიზედები ერთნაირი სუფიქსით: *He saw a goods train winding out of Kingsbridge Station, like a worm with a fiery head winding through the darkness, obstinately and laboriously;*

9. განკერძოების ფრაზა გამორჩეულია ალიტერაციული თუ ასონანსური კეთილხმოვნებით: *And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world; [ou-ai-au-ei-ei-ou-ai-au-ei-ai] [r-r-r].*

10. განკერძოების ფრაზაში მეორდება ის წევრი (და მეორდება უფრო მეტი ემფაზით), რომლის განკერძოებაც ხდება: *Its vanished trees, the trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams;*

11. განკერძოება თავად არის შერწყმული და წარმოდგენილია სიტუაციური სინონიმური ან ანტონიმური წყვილით: *He watched sleepily the flakes, **silver and dark**, falling obliquely against the lamplight.*

§ 5. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები რიტმულობისთვის

იმ გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმებიდან, რომლებიც წინადადებასა და, საერთოდ, ტექსტში რიტმულობის შექმნას ემსახურებიან, ყველაზე შესამჩნევი და საყურადღებო, ჩვენი აზრით, შორისდებულია.

შორისდებულის ფუნქცია პროზაში მნიშვნელოვანია, როგორც ტექსტის რიტმულობის შემქმნელი ერთ-ერთი კომპონენტისა. მისი უპირველესი ფუნქცია ადამიანის გრძნობებისა და ემოციების გამოხატვაა. „იგი დაუნაწევრებელი ენობრივი ერთეულია და ამა თუ იმ გრძნობასა და ნება-სურვილს გამოხატავს ზოგადი სახით, თვით გრძნობისა და ნება-სურვილის დაუსახელებლად. ამიტომ შორისდებულს ხშირად ახლავს წინადადება, რომელიც მის მნიშვნელობას უფრო მეტი გარკვეულობითა და სიცხადით გადმოგვცემს“ [კვაჭაძე, 1988:299].

იმის გასარკვევად, თუ როგორი დატვირთვა აქვს, როგორ „მუშაობს“ შორისდებული ტექსტში, გასათვალისწინებელია ისევ მისი გავრცელების სიხშირე და განფენილობა. ჩვენი ინგლსურენოვანი საანალიზო წყაროები დაახლოებით 250 გვერდს მოიცავს, ქართული–თითქმის ორჯერ მეტს. ინგლისური წყაროები არ აღმოჩნდა მდიდარი შორისდებულებით და წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმებით, ანუ არ აღმოჩნდა იმ რაოდენობით და გავრცელების ხარისხით, რომ რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვისთვის უპირველესი მოცემულობა გამხდარიყო.

შორისდებულები, ჩართულები, მიგებითი ნაწილაკები უხვად შეგვხვდა ლადო კოტეტიშვილის მოთხრობაში „გოჩმან“, რომელიც რვა გვერდს მოიცავს. უმეტესობა მათგანი შეგვხვდა გოჩმანას შინაგან მონოლოგებში, როდესაც ის „ეტუტუნება“ თავის თავს. ჩვენი კვლევისთვის ეს მონაკვეთები, უპირველესად, იმითია საინტერესო, რომ ისინი პერიოდულად, გარკვეული ინტერვალებით ჩნდება ტექსტში და რამდენადაც მათი შინაარსი თითქმის ანალოგიურია, ისინი შეიძლება ჩავთვალოთ სტროფულ პარალელიზმებად, რიტმულობის შემქმნელ ერთ-ერთ ძლიერ სინტაქსურ საშუალებად. მათი მეშვეობით აღწერილია მოთხრობის გმირის განწყობა: ადამიანი, რომელსაც ბევრი სიმწარე, დამცირება და იმედგაცრუება უნახავს ცხოვრებაში, ვერ იჯერებს, რომ როგორც იქნა, რეგულარული სამუშაო იშოვნა. ის ეჭვით უყურებს ყველას და წარამარა შემდეგნაირად მოუწოდებს საკუთარ თავს სიფხიზლისაკენ:

„ვაი თუ აღარ მიმიღონ, ვაი თუ აღარ დამაგვეინონ? მერე ხომ ხალხში ვეღარ გამოვჩნდები, ხომ უფრო მასხარად ამიგდებენ“ (კოტეტიშვილი.2012:8); „ არა, არა, აქ რაღაც ისე არ არის, როგორც მე მგონია. ჰა! გოჩმან, ფრთხილად იყავი, ესეც ხომ პოხრუა მიკიტნის სარდაფი არ არის, რომ მასხარად ავიგდონ“ (კოტეტიშვილი.2012:9); „არა, აქ რაღაც ისე ვერ არის, აქ რაღაც სხვა რამეა, თორემ ამოდენა კაცს ისე პატარა სეფისკვერს როგორ შემომბედავდნენ. აქ ვიღაც მასხარად ვიგდებს, გოჩმან, მაშ“ (კოტეტიშვილი.2012:10);

გოჩმანას მეტყველებაში შეიმჩნევა მიგებითი ნაწილაკების რამდენჯერმე, მიყოლებით ხმარება. წინადადება ხშირად მთავრდება შორისდებულით „მაშ!“ „წინადადების ექსპრესიულობა შესაძლებელია გაძლიერებულ იქნეს შორისდებულის

ორმაგად ხმარებით ან მისი გამეორებით“ [ჟღენტი,1963:53]. ამგვარად, ის უფრო უახლოვდება სალაპარაკო სტილს და უფრო ბუნებრივად ჟღერს. გოჩმანა ხმარობს მონაცვლეობით ხან „არა-ს“, ხან „ვერ-ს“. მისი შინაგანი მონოლოგები არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, ხატოვნებით და ჰგვანან ერთმანეთს (სრულად იხ. დანართი №2.6.):

„როგორ, ამოდენა მუშაობა და ეს ერთი ნამცეცა სეფისკვერი? არა, არა, აქ რაღაც ისე არ არის, ფრთხილად, გოჩმან, აქ ვიღაც უნდა გიგდებდეს მასხრად. მაშ ამოდენა კაცს ის ერთი ბეწვა ლუკმა გამაძლობდა? და განა რა ძალა ჰქონდა ისეთი იმ პატარა თეთრი პურის ნაჭერს, რომ მეტი ვეღარ გაიმეტეს. არა, აქ რაღაც ისე არ არის, მაშ. აქ რაღაც ისე არ არის, მაშ“ (კოტეტიშვილი.2012:11);

უბირი და უწიგნური გოჩმანას მეტყველებაში ჭარბობს რიტორიკული შეკითხვები, ერთი და იმავე სიტყვებისა და შორისდებულების გამეორება. ვინაიდან მსმენელი ბევრი არ ჰყავს, უმეტესად თავის თავს მიმართავს ან კიდევ მისდამი თანაგრძნობით განწყობილ მოქეიფეებს დუქანში, ვისი ემოციური მეტყველებაც, თავის მხრივ, შეფერილია მიმართვით და შორისდებულებით (იხ. დანართი №2.5.):

„ძმებოჯან! მადლობელი ვარ, მაშ! მადლობელი ვარ, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:8);

„ოჰო! ცხოვრება!“ (კოტეტიშვილი.2012:8); „ძმებოჯან! ვისაც რომა გაუგია ადამიანი,ეს ადამიანი ორგვარია“ (კოტეტიშვილი.2012:8);

შორისდებულისა თუ მიმართვის მუხტის გარეშე ნამდვილად დაიკარგებოდა დიდი ნაწილი რიტმული ექსპრესიისა. „თუ შორისდებული სინტაქსურად დამოუკიდებელია და არაა გრამატიკულ კავშირში წინადადების სხვა წევრებთან, მელოდიკურად ის მჭიდროდ არის დაკავშირებული წინადადების, ფრაზის ინტონაციასთან და ერთიან მელოდიკას აძლიერებს“ [ჟღენტი, 1963:52].

ინგლისურენოვან ნაწერებში ყველაზე ხშირად შეგვხვდა შორისდებული *Oh*, რასაც ქართულში *ოჰ, უჰ, აჰ, ო*, შეესაბამება. საინტერესოა, რომ უფრო ადრეულ ტექსტში, როგორცაა ჯეიმს ჯოისის მოთხრობა „მკვდრები“ (James Joyce, *The Dead*, 1914), ყველაზე ხშირად გვხვდება შორისდებულ *Oh*-ს არქაული ფორმა *O*. მაგ:

O, on the Continent, murmured Aunt Julia, nodding her head slowly. / O, here's Mr Bergin and Mr Kerrigan, said Mary Jane. / O, do go, Gabriel, she cried. I'd love to see Galway again.

იმავე შორისდებულს იყენებს ნაწარმოების ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მონაკვეთის აღწერისას მწერალი ფ. ს. ფიცჯერალდი, როდესაც შედარებით ადრეულ პერიოდს იხსენებს: *Come back, come back, O glittering and white!* (Fitzgerald,1965:31); *დაბრუნდი, დაბრუნდი, ო, მოციაგევ და ქათქათავ!* ფრაზის რიტმულობის ექსპრესიას აძლიერებს რედუპლიკაცია ფრაზისა, რომელსაც მოსდევს შორისდებული.

ასევე, შორისდებულთან და მიმართვასთან ერთად, იგივე ავტორი იყენებს სემანტიკურად წარმოთქმის ერთ-ერთ ყველაზე ინტენსიურ ფორმას „დრიალი“, როცა აღწერს თავის ემოციურ შეხვედრას მეგობართან: *“Oh, Bunny,” I yelled . “Bunny!”* (Fitzgerald,1965:20); „*ო, ბანი!*“, *დავიდრიალე. „ბანი!“*

უდიდესი სასოწარკვეთის წუთებში ღმერთს მიმართვენ ადამიანები. უბედური შემთხვევით თავზარდაცემული უილსონის გაბმული გოდება შემდეგნაირად აღწერა ავტორმა: *“Oh, my Ga-od! Oh, my Ga-od! Oh, my Ga-od! Oh, my Ga-od!”* (Fitzgerald,1984:102); რიტმულობა იქმნება შორისდებულისა და ღმერთისადმი მიმართვის მრავალჯერადი გამეორებით: „*ო, ღმეერთო ჩემო!ო, ღმეერთო ჩემოო, ღმეერთო ჩემო! ო, ღმეერთო ჩემო!*“ შორისდებული შერწყმულია მომდევნო ფრაზასთან, მიმართვასთან და ერთ მთლიანობას წარმოადგენს. „შორისდებული ხშირად დამოუკიდებელი კი არ არის,... არამედ შედის წინადადების შედგენილობაში და აძლევს მას ემოციურ იერს. ამ მნიშვნელობით ნახმარი შორისდებული განეკუთვნება წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვა-გამოთქმებს“ [კვაჭაძე,1988:300]. ბუნებრივია, ზემოთ მოყვანილი საშუალებები, ასევე, გამოყენებულია ნაწარმოების ყველაზე კულმინაციურ თავში, კვანძის გახსნის მომენტში: *“Oh, you want too much!” she cried to Gatsby* (Fitzgerald,1984:98); „*ოო, ნამეტანს მოითხოვ ჩემგან!*“ –*შესტირა გეტსბის*“ (ფიცჯერალდი,1985:108); *“God! You ought to hear Walter on the subject of you!* (Fitzgerald,1984:99); „*ღმერთო დიდებულო, ერთი მოგასმენინათ რას ჰყვება თქვენზე*“ (ფიცჯერალდი,1985:109).

და ბოლოს, მიუხედავად შედარებით სიმწირისა, განკერძოებული გამოთქმებიც და წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები, დიდ მნიშვნელობას იძენენ ტექსტის რიტმიზაციის მიზნით. ისინი არა მარტო ემსახურებიან ნაწარმოების პერსონაჟთა ემოციური მხარის წარმოჩენას, არამედ

იმისდა მიხედვით, თუ როგორია მათი გამოჩენის სიხშირე და ინტერვალები, გარკვეულ რიტმულობას მატებენ ტექსტს მთლიანად. ჩვენი აზრით, ნათლად გამოიკვეთა სინტაქსის, სინტაქსური წყობის თავისებურებანის დიდი როლი რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვაში. „ერთი შეხედვითაც კი ცხადია, რომ ამ შემთხვევაში რიტმულობას ძირითადად წინადადების წევრთა წყობა გამოხატავს...ყოველი წინადადება ერთმანეთთან კავშირშია, რიტმით შეკრულია“ [კოშორიძე,2005:109].

თავი 3.

რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის ლექსიკური მახასიათებლები

მესამე თავში გამოკვლეულია რიტმული პროზის წარმომქმნელი ლექსიკური შესაძლებლობები. ფონეტიკური და გრამატიკული საშუალებების კვალდაკვალ, რიტმული პროზის ექსპრესია არანაკლები სიძლიერით გამოიხატება ლექსიკოსემანტიკურ დონეზე. „პროზაულ ნაწარმოებში რიტმს ვპოულობთ შინაარსისა და ენობრივი მასალის დონეზე. შინაარსში იგულისხმება ის, რასაც ესა თუ ის ნაწარმოები სიტყვების საშუალებით აღწერს, მაგ., რომანის წარმოსახვითი სამყარო... ენობრივი მასალა კი ნაწარმოების სიტყვებსა და მარცვლებს ეხება“ [O'Callaghan, T. M. B., ინტ. წყარო №15].

წინადადების სემანტიკური მხარე არის ის, რასაც უპირველესად აღვიქვამთ აზრი, შინაარსი; ამას მოსდევს უკვე ის, თუ როგორ და რა საშუალებებით არის ეს აზრი გადმოცემული. როგორც ცნობილია, „წინადადების აგებას სამი მთავარი ასპექტი აქვს: (1) გამოხატულების საშუალებები (სიტყვათა რიგი, მორფოლოგიური მახასიათებლები); (2) სტრუქტურული სინტაქსი, რომელიც სიტყვებს შორის არსებულ იერარქიულ დამოკიდებულებას ასახავს და (3) მნიშვნელობა (სემანტიკა)“ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2008:251].

შინაარსის დონეზე რიტმულობის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს სივრცითი თუ დროის განზომილებათა მონაცვლეობაც. მაგ. გრ. რობაქიძის რომანის - „*გველის პერანგი*“ გეოგრაფია შემდეგნაირია: ირანი-საქართველო (იმერეთი)-ირანი-საქართველო (თბილისი, იმერეთი). შინაარსის ტემპორალური ჩარჩოები იცვლება შერვუდ ანდერსონის ორგვერდიან მოთხრობაში „*ქაღალდის ბურთულები*“ (Sherwood Anderson, *Paper Pills*). ინგლისურენოვან მოთხრობაში მწერალი ხანშიშესული პერსონაჟის ცხოვრებიდან ერთ ისტორიას იხსენებს, რომელიც დიდი ხნის წინ, ზაფხულის ერთ დღეს დაიწყო, გაგრძელდა შემოდგომაზე, ზამთარში და გაზაფხულზე დასრულდა. „შენაცვლების ეს მომენტიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაწარმოების დინამიკურობის შექმნაში - უპირველეს ყოვლისა კი, სწორედ ეს მომენტი აპირობებს...შ ი ნ ა ა რ ს ო ბ რ ი ვ დ ი ნ ა მ ი კ ა ს [კიკნაძე, 1957: 241]. ჩვენი აზრით, ზემოთ მოყვანილ ციტატაში, სიტყვა „რიტმულობა“ შეიძლება

თავისუფლად ჩაენაცვლოს ფრაზას „შ ი ნ ა ა რ ს ო ბ რ ი ვ დ ი ნ ა მ ი კ ა“, ვინაიდან მოქმედების ადგილისა თუ დროის საზღვრების სწრაფი მონაცვლეობა, თხრობის რიტმულობის წინაპირობაცაა.

ჩვეულებრივი ნარატივისაგან განსხვავებით, რიტმული პროზის ექსპრესია ბევრად უფრო ძლიერია, ვინაიდან მის ერთ-ერთ მთავარ საყრდენს სწორედ შინაარსობრივი, სემანტიკის მხარე წარმოადგენს; რიტმული პასაჟები გაჯერებულია სხვადასხვა, დადებითი თუ უარყოფითი ემოციებისა და ინტენსიური გრძნობების გამომხატველი ლექსიკით. ემოციური თხრობა კი თითქმის ყოველთვის რიტმულია. ექსპრესია მიიღწევა ასევე ერთი შეხედვით ჩვეულებრივი სიტყვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და დატვირთვის მიცემით.

სიტყვა–როგორც ერთობა ფორმისა და მნიშვნელობისა–ენის ძირითადი ერთეულია. „სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობაში იგულისხმება ცნების, ემოციის თუ ურთიერთობის რეალიზაცია ენობრივი სისტემების საშუალებებით“ [Арнольд И.В. 1973:102].

იმისათვის, რომ რიტმულობა შეიქმნას ლექსიკური ერთეულების საშუალებით, ისე როგორც ნებისმიერ სხვა დონეზე, საჭიროა, რომ ტექსტი გაჯერებული იყოს შესაფერისი ლექსიკური ერთეულებით: ემოციური, ექსპრესიული ლექსიკა იქნება ეს, სიმონიმური თუ ანტონიმური რიგი, ტროპული მეტყველება თუ არქაული ლექსიკა. მათი გავრცელების სიხშირე და ტექსტში განფენილობა აღქმადი უნდა იყოს მკითხველისთვის [Бойчук, Е., И., ინტ. წყარო №16]. ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა შემდეგი მოსაზრება: „ლიტერატურულ კრიტიკაში პროზის რიტმის დასახასიათებლად ჩვეულებისამებრ ორ სტანდარტს იყენებენ: ეს არის ერთიანობის არსებობა მრავალფეროვნებაში და მეორე–ექსპრესიულობა...როდესაც ეს სტანდარტი (ერთიანობის არსებობა მრავალფეროვნებაში) გამოიყენება პროზის რიტმის მიმართ, იგულისხმება, რომ მწერალი ერთგვაროვნებისა და კონტრასტულობის მონაცვლეობას თავისი ნაწარმოების რიტმულობის გამოსაკვეთად გამოიყენებს. ...ენობრივ მასალასთან მიმართებით უფრო ადვილია შევამოწმოთ შეხედულება მრავალფეროვნებაში ერთიანობის შესახებ, ვიდრე შეხედულება ექსპრესიულ თვისებებზე, ვინაიდან პირველი შეხედულება თავადვე გულისხმობს ტექსტის სტრუქტურის აგებას

ერთგვაროვნებისა და კონტრასტის რიტმულ ურთიერთმიმართებაზე. გარდა ამისა, პროზის რიტმის ექსპრესიული თვისებები გამომდინარეობს სწორედ ამ ერთგვაროვნებისა და კონტრასტის ურთიერთმონაცვლეობაზე. მათ აღსაქმელად, მკითხველმა უნდა შეძლოს სხვადასხვა რიტმების განსხვავება უპირველესად კონცეფციის–„ერთიანობა მრავალფეროვნებაში“ მიხედვით [O'Callaghan, T., M., B., ინტ. წყარო №15].

მაგ. მწერალი, რომელიც ტექსტს წარმოგვიდგენს სამი მთხრობელის პერსპექტივიდან, გვთავაზობს არა მარტო სამ განსხვავებულ პერსონაჟს და ხასიათს, არამედ თხრობის მანერისა და მთხრობელის ლექსიკის სამგვარ არჩევანს, თხრობის სამგვარ სტილისტიკას, რომელიც გაერთიანებულია და შეკრულია ერთი სიუჟეტის, ერთი ნაწარმოების ჩარჩოში. ე.ი. სახეზეა ერთიანობა მრავალფეროვნებაში. სხვადასხვა თხრობის მანერათა მონაცვლეობა უკვე ქმნის რიტმულობას. რიტმულობას ქმნის თხრობის თითოეული მანერის ექსპრესიულობის ხარისხის ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ო ბ ა.

§ 1. რიტმული პროზის გამომსახველობითი ენა

რიტმულ პროზას, როგორც ემოციურ პროზას, უპირველესად, აინტერესებს სიტყვის სტილისტური პოტენციალი, მისი კონოტაციური შრეები, რადგან სწორედ ის არის ექსპრესიის გამოხატვის საუკეთესო საშუალება. კონოტაცია მოიცავს სიტყვის „მნიშვნელობის ემოციურ, შეფასებით, ექსპრესიულ და სტილისტურ კომპონენტებს“ [Арнольд И.В. 1973:105]. რიტმული პროზის ექსპრესიას, კონოტაციურად შეფერილ სიტყვებთან ერთად, გამოხატავს ტროპული მეტყველება. ორიგინალური მხატვრული სახეეებით აზროვნებას და გადმოცემას შეუძლია პროზა მეტად რიტმული გახადოს. „ტროპები წარმოადგენენ მეტყველების ხატოვანებისა და მისთვის გამომხატველობის მინიჭების მიზნით ენობრივ ერთეულთა გადატანითი მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებს“ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელია, 2008:362]. ზმნები და ზედსართავი სახელები, ასევე, სახელზმნები ლექსიკო-სემანტიკურ დონეზეც არ კარგავენ თავიანთ გამორჩეულ ექსპრესიულობას. მათი

წყობა და რიგი, განლაგება, ფონოლოგიური ფონი დიდწილად განაპირობებს მათ გამომსახველობას. მაგ.:

ვიწრო ქუჩები. მიხვეულმოხვეულები. მიკიბულმოკიბულები (რობაქიძე,1989:11); აჭრელებულ ზმანებას ხშირად პირი ეხსნება. მესამე საიდის მოიგონებს შაირით. მეოთხე შირაზის ვარდებს გადაჰყენს. მეხუთე ისპაჰანის ბულბულს ააფრენს (რობაქიძე,1989:13);

გრძელნი ფლორენციულნი ფეხნი თეთრი ნაკადულის ორ მაგარ ტევრად ჩამოხეთქილნი (რობაქიძე,1989:32); სიონის კაჟისფერ ტანს ეხლაც ახსოვს ლორწიანი ხვევნა მტარვალის. სიონის ხსოვნას უფრო სწვავს ტირილი ვაზის-მის კედლებში ჯვარად დასვენებულის (რობაქიძე,1989:220);

შემდეგი სიტყვები, თქმული ნიკო ლორთქიფანიძის პოეტური პროზის შესახებ, ვფიქრობთ, თავისუფლად მიესადაგება ჩვენ მიერ მოხმობილი რიტმული პროზის ნებისმიერ ნიმუშს: „ნიკო ლორთქიფანიძის პოეტური პროზის პოეტიკა, მხატვრული ოსტატობით მოხმობილი ტროპები არა მარტო ემოციურ დატვირთვას მატებს, არამედ მეტ სიცხოველესა და მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას ანიჭებს მის ლირიკულ მინიატურებს [კოჭლოშვილი, 2013:221].

ეპითეტი

რიტმულობის განცდას შემდეგ ნიმუშებში ქმნის როგორც ჩამოთვლა, ასევე ოსტატურად შერჩეული ეპითეტები:

არია დიდი მყუდროება პლატოსი. ჰაერი ხალასი როგორც კრისტალი წყაროს სარკის ფსკერზე. სივრილე: ხავსიან სიპების. ცა: თითქო ინდოეთის ზურმუხტის მანდილი: უკიდო: უბოლოვო (რობაქიძე,1989:42); სახელები: როგორც ცხელი დაღები და ცხელი მურდულები (რობაქიძე,1989:21); დედის სიტყვაზედ ქალს ყაყაჩო აუყვავდა მწყაზარ დაწვებზედ (ბარნოვი,1943:250); და შეხვდნენ თვალნი გაღიმებულ თვალებს ვარდისა (ბარნოვი,1943:250), (იხ. დანართი №3.1).

რიტმულობის შექმნაში დიდი როლს ასრულებენ ზუსტად მორგებული ეპითეტები ინგლისურენოვან ნიმუშებშიც:

*If that was true he must have felt that he had lost the **old warm** world, paid a high price for loving too long with a **single** dream (Fitzgerald,1984:116); The night was **cold and gloomy***

(Joyce,1982:129); *It is delicious, like the **twisted little** apples that grow in the orchards of Winesburg* (Anderson,1981:34), (იხ. დანართი №3.1).

მეტაფორა და შედარება

ორიგინალურად და ემოციურად სათქმელის გადმოსაცემად მწერალი იყენებს ამა თუ იმ მხატვრულ ხერხს, ეძებს სიტყვის იმ მნიშვნელობას, რომელიც უფრო შესაფერისი და გამომსახველია, ექსპრესიულია. „ტროპული მეტყველების ნიმუშები– ეპითეტი, მეტაფორა, შედარება, დიალოგი, გამეორება, ჰიპერბოლა–იმდენად რიტმულია, მათი გამომსახველობითი ძალა კულმინაციას აღწევს–იქმნება დინამიკის (მოძრაობის) ეფექტი და ტექსტს ემოციით ავსებს“ [გელდიაშვილი,2013:10].

რაც უფრო გაჯერებულია პროზაული ტექსტი სტილისტური ხერხებით, მით უფრო თვალშისაცემია რიტმულობის ექსპრესია შინაარსის დონეზე. არსებობს კი ის საზომი, რითაც ლექსიკური ერთეულების გავრცელების სიხშირე დგინდება? „არანაკლებ მნიშვნელოვანი და მეტად რთულია ლექსიკო-სტილისტური საშუალებების გამოყენების სიხშირის დადგენა ტექსტის რიტმულ ერთეულთან მიმართებით“ [Бойчук, Е., И., ინტ. წყარო №16]. რაც უფრო ორიგინალური, უჩვეულო და მოულოდნელია მწერლის მიერ შემოთავაზებული მხატვრული სახეები, იმდენად მეტი ემოცია და ექსპრესია გროვდება. დაუვიწყარია შემდეგი ორიგინალური მეტაფორები და შედარებანი. მათი საშუალებით ხდება რიტმის გადანაწილება რიტმის შემქმნელი გრამატიკული საშუალებებიდან ლექსიკურ ხერხებზე:

სდის სისხლი ხერხემალს (რობაქიძე,1989:218); მზეს თმებშიაც დაუტოვების ცხელი ფოთლები (რობაქიძე, 1989: 64); რუსთაველის პროსპექტი მზეშია გაშხვართული (რობაქიძე,1989:215); ტახტზე ქალის ტანია გაშხვართული. თვალეებზე ორი იისფოთოლი გადაჰკვრია ჩალურჯებული. თმები ბალიშზე ჩამოშლილან მზის გასუდრულ შეერებად (რობაქიძე, 1989: 265); ნაბიჯები ამ დროს გულს უთუთქავენ მიწას (რობაქიძე, 1989: 267); გაშლილი იყო იმათ შორის უსიტყვო სიტყვა სიყვარულისა (ბარნოვი,1943:326); მწყაზარ ლოყებზედ ვარდი უყვარდა ხვარამზეს (ბარნოვი, 1943:331); ხევში პატარა რუკ-ნაღველივით შავი. მხოლოდ-კრიალა (რობაქიძე, 1989: 143); ხმა გაიკრიალებს ვით წყალგადავლებული ამეთვისტი (რობაქიძე, 1989: 160). (იხ. დანართი №3.2):

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

*Little by little he **entangled his thoughts with hers** (Joyce,1982:124); **In a real dark night of the soul it is always three o'clock in the morning, day after day** (Fitzgerald,1965:46); **One by one, they were all becoming shades** (Joyce,1982: 218); **Better pass boldly into that other world, in the full glory of some passion, than fade and wither dimly with age** (Joyce,1982: 218), (იხ. დანართი №3.2).*

გაპიროვნება

განსაკუთრებული ემოცია მოაქვს გაპიროვნების შემთხვევებს. თავად ამ კონკრეტული სტილისტური საშუალების დუალიზმი–ერთი ქმნილება მეორე ქმნილების თვისებას იღებს, უკვე ერთგვარი რიტმის მომცველია, რადგან ანტონიმური წყვილისა არ იყოს, აქაც კონტრასტი არის ყურადღების ცენტრში მოქცეული; დაპირისპირებულია უმეტესად ადამიანური და მატერიალური ან სულიერი და უსულო, ანდა კიდეც, ადამიანური და ანიმალური სამყაროები. ცხოველები თუ საგნები ადამიანის რაიმე თვისებითა თუ უნარით შემოსილნი, მას ემსგავსებიან და მისი განცდის თანაზიარნი ხდებიან. განსაკუთრებით ემოციური და რიტმულია გავრცობილი გაპიროვნება, როდესაც ერთ „ადამიანურ“ თვისებას მეორე ემატება და უფრო სრული ხდება მხატვრული სახე:

აქ-იქ კლდეებში ბუმბერაზ ხეებს ადგილი ემოვათ და ცალ-ცალკე მოსახლეობივით გაბაღრულიყვნენ (ლორთქიფანიძე,1958:222); ეს გუნებაა გალხობილი მესოპოტამიაში. გაბრუებული ბელტი. მიყურებული ქვა. მდორე მდინარე. მთვლემარე ჩირგვი. მოწყენილი კენჭი. ფრთებდახრილი ტოტი. განაბული ნიბლია. სველთვალებიანი უშობელი (რობაქიძე,1989:26); არაჩვეულებრივი კვნესით დაიგუგუნა ზარმა(კოტეტიშვილი.2012:15), (იხ. დანართი №3.3).

ანალოგიური ნიმუშები მეორე საკვლევ ენაზე:

*Only wind in the street, which blew the wires and made the lights go off and on again as if **the house had winked** into the darkness (Fitzgerald,1984:64); **But with every word she was drawing further and further into herself, so he gave that up, and only the dead dream fought on** as the afternoon slipped away, trying to touch that was no longer tangible, struggling unhappily, undespairingly, toward that lost voice across the room (Fitzgerald,1984:99).*

სიმბოლო, „მხატვრული ხატები“

ტექსტის რიტმულობაში დიდ როლს ასრულებს სიმბოლური, ან ე.წ. „მხატვრული ხატების“ [კიკნაძე, 1957:238] მნიშვნელობის მატარებელი სიტყვების გამეორება. ისინი სვამენ არა მარტო აზრობრივ, არამედ ძლიერ ემოციურ აქცენტებსაც და ორივე ფაქტორიდან გამომდინარე, ამგვარი ერთეულების ექსპრესია ლექსიკო-სემანტიკურ დონეზე, ჩვენი აზრით, ყველაზე ძლიერია. რამდენჯერმე გამეორების შემდეგ მკითხველი უკვე ქვეცნობიერად ელოდება ტექსტში მის კვლავ გამოჩენას, უკვე თავადაც გარკვეულ დატვირთვას ანიჭებს მას. ამგვარად გამეორებული სიტყვა თუ ერთი ან რამდენიმე წინადადება, შეიძლება ნაწარმოების რეფრენად, ლაიტმოტივად იქცეს და მისი მთავარი იდეის გამოხატვაც დაეკისროს. ამგვარი ლექსიკური გამეორებანი ერთ-ერთი ყველაზე მყარი და საიმედო საფუძველია, რასაც ტექსტის **მთლიანობა და გადაბმულობა** ეყრდნობა. სიმბოლოდ შერჩეული სიტყვა პირველად შეიძლება მოულოდნელი აღმნიშვნელი აღმოჩნდეს აღსანიშნისა, მაგრამ რამდენჯერმე გამეორების შემდეგ უკვე ხდება მათი ერთ ხატად, ერთ მხატვრულ სახედ გააზრება.

მაგ.: სიტყვა „**ხომალდი**“, როგორც თბილისის სიმბოლო, რამდენჯერმე მეორდება ნაწარმოებში (გრ. რობაქიძის „გველის პერანგი“). მას ამყარებს სხვა ისეთი ლაიტმოტივები, როგორიცაა: **ქარისგან გარიყული ქალაქი**. მაგ.: *დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლისაკენ თუ აღმოსავლის ქარმა დასავლისაკენ - ტფილისმა არ იცის. იცის მხოლოდ: შეყენებულა იგი ერთ ალაგას...ათასი ქარი ეხეთქება: თითქოს ქვეყნის გზა ჯვარედინია. აღმოსავლეთს მოსცილდა და დასავლეთს ვერ მიაღწია, შუაზე გარჩა. ტორტმანობს ქალაქი ხომალდი (რობაქიძე,1989:219); დიდი ქალაქი-ბუდე სხვადასხვა ოჯახის ჭიანჭველებისა (მასსა: როგორც ჭიანჭველები სხვადასხვა ბუდიდან (რობაქიძე,1989:11); ქალაქი-მტრისგან სისხლდადენილი და „მოცეცხლილი“: შვიდგზის მოცეცხლა დიდმა მეომარმა ტფილისი და სრულიად ამერი (რობაქიძე,1989:220), (იხ. დანართი №3.4).*

მუდმივად მოგზაური ტომების მხატვრული სახეც პირდაპირ უკავშირდება „ხომალდის“ ხატს, რომელიც მუდმივად გზაშია: *ასე მოგზაურობდენ ძველად ჰებრაელთა ტომები: ხალხი: უსახლო-უკარო-ულოგინო (რობაქიძე,1989:119);*

ამავე ნაწარმოების არანაკლებ აქტიური სიმბოლოა **მზე**. მზე, როგორც სიცხოველისა და ნაყოფიერების სიმბოლო: *მატასი თითქო მზის მარცვლების აჯეჯილებაა (რობაქიძე,1989:171); კირში - მზის ხურუში და სილაში-მზის თესლები. ქვის ლოდი ფარია ქლაქის. სპარსეთის ტიტველ ნაპრალებიდან, საცა გახელებული მზე ავხორცობის ჟინს იკლავს (რობაქიძე,1989:14); მზე მზადაა დაჰკაფოს არე. რა შეაჩერებს?! რა გაუძლებს?! (რობაქიძე,1989:124);*

მზე, როგორც ზმანებათა და ხილვათა მოგვრის წყარო: *უნდა აიცრე ირანის მზე ტანზე... უნდა იხილო მზისგან ამწვარი ტიტველი კლდეები... უნდა გაიგუდო მყუდროებით...უნდა გადახვიდე ყოფილში...მხოლოდ შემდეგ გაიგებ თარის ხმას (რობაქიძე,1989:49);*

მზე, როგორც სალოცავი კერპი: *მკერდის შუაგულზე მასაც ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი. ამბობდა: მისი გვარი მზის თესლისაა: მზესავით ცხელი-მზესავით ნათელი-მზესავით გახელებული-მზესავით მართალი (რობაქიძე,1989:91);*

ქლაქისა და მზის ხატები ერთმანეთშია შერწყმული შემდეგ წინადადებაში: *რუსთაველის პროსპექტი მზეშია გაშვართული (რობაქიძე,1989:120).*

რომანი სავსეა სხვა მხატვრული სახეებითაც. ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განხილვისას გრ. კიკნაძე ამგვარი სტილისტური საშუალებების ერთ ნაწილს „მხედველობით ხატებს“ უწოდებს: „ამ სიტყვებისა და გამოთქმების სტილისტური ფუნქცია ნათელია: ისინი კიდევ უფრო ათვალსაჩინოებენ ისედაც თვალსაჩინო შინაარსის ზემომოყვანილ ხატებს: მათი შემწეობით კიდევ უფრო ესმება ხაზი ვაჟას პროზაული სტილის მხედველობითს საფუძველს, იმას, რომ ვაჟას სტილის ხატოვანება, პირველ ყოვლისა, მხედველობითი ხატების სიუხვეში მდგომარეობს“ [კიკნაძე, 1957: 238]. კიკნაძის კვალდაკვალ ე. კოშორიძე გამოყოფს „სმენით“ და „გრძნობად ხატებს“ [კოშორიძე, 2005:154]. რიტმულობის გამოხატვას მეტად ხელს უწყობს ამგვარი ხატების გამეორება, ვინაიდან მათში მოთავსებულია მრავალგვარად და მრავალგზის აღქმული, განცდილი თუ დანახული მხატვრული სახე.

ჩვენს მოძიებულ ნიმუშებში ჭარბობს „თვალი“, როგორც სულიერებისა და გონის სიმბოლო და „გული“, ვნებათა და განცდათა ნავთსაყუდელის სიმბოლო. ტექსტი პირდაპირ რიტმულად „ფეთქავს“ ამ მხატვრული სახეებით იმდენად ხშირადაა ისინი მასში გაბნეული. მაგ.: *რას ეტყვიან ეს შეხვედრანი და ეს გაცილებანი*

პატარა გულს რომელიც სუსხდასხმული ჩიტით ფართქალობს ქალის აზიდულ მკერდში?! ან რაღას ეტყვის ამიერ პატარა გულს მზის ამოსვლა ან მისი ჩასვლა?! (რობაქიძე, 1989:48); გული ხის „გულს“ ხვდება (რობაქიძე, 1989:284); უცრად თვალები გამოანათებენ: ათასში–ერთხელ. ათას ქალებში ათას თვალებში გამოიციან ამ თვალებს. ივერიის ქალწულის თვალები. რასა შეურეველი და ხალასი. სიამაყე და დარცხვენა–ერთად. ჩაივლის ქალწული. მიიმალევა გროვაში. რომელი თვალი დაივიწყებს?! (რობაქიძე, 1989:214);

კიდევ უფრო ექსპრესიულია გრძნობადი ხატების „გულის“ და „თვალის“– ერთად მოხსენიება: **გულებში გულია არჩიბალდის. თვალები არჩიბალდის ყველას თვალებშია** (რობაქიძე, 1989:246); ერთი ბალი ეგულება. იქ წაიღებს ტანს: ტანს განძრევა უნდა. იქ გაახელს თვალებს: ცრემლებს გადმოშვება უნდა. იქ დაიჭერს პატარა ჩიტს: **გულს მოფერება უნდა** (რობაქიძე, 1989:110).

ლ. კოტეტიშვილის, მოთხრობის („გოჩმანა“) რიტმულობას გარკვეულწილად ხაზს უსვამს რამდენიმე ხატი, რომელიც თხრობისას რამდენჯერმე მეორდება. მაგალითად, აღსანიშნავია სიტყვის „წითელი“ ხშირი გამეორება, რომელიც ქმნის საკუთარ რიტმულ ხაზს, ერთგვარ ლაიტმოტივს, ანუ **„მხედველობით ხატს“**, აგრესიულ, შემტევ სიმბოლოს ახალი დროების:

წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი; წითელი დროშების ტყე; წითელი ვარსკვლავები წითელ ქარხნებზე; წითელი ფერის საყვირები და გუგუნნი;

ამავე მოთხრობაში, სხვადასხვა მსაზღვრელთან ერთად, ხშირად მეორდება სიტყვა „თვალი“. „წითლისაგან“ განსხვავებით, რომელიც უფრო მხედველობითი, ვიზუალური ხატია, „თვალი“ თითქმის ყოველთვის დაკავშირებულია გოჩმანას სულიერ განცდებთან, ამდენად ის უფრო „გრძნობადი ხატია“ :

წვიმიანი თვალებით ეკლესიის იატაკს ჩასჩერებოდა; ღვინისაგან გაწითლებული თვალები აბრიალდნენ; ამღვრეულ თვალებიდან უხილავი ცრემლები გულისკენ მიგორავდნენ; თვალებში ცეცხლები გაუჩნდა; ცხელი წყლით ევსებოდა თვალები.

აქვე არ უნდა გამოგვრჩეს კიდევ ერთი საინტერესო სახე–„სმენითი ხატი“. ამ მოთხრობაში (ლ. კოტეტიშვილის „გოჩმანა“) ეს არის ხატი დუდუკებისა–ესეც ძველი თბილისის თანმდევი, განუყოფელი ხმოვანი სიმბოლო, რომელიც თავისი სევდიანი და ტკბილი ჟღერადობით გასდევს მთელს მოთხრობას და როგორც

ნამდვილი ლაიტმოტივი (სიმბოლური დატვირთვით) პერიოდულად ამოიკვნესებს (რადაც უცნაურად, ამ დუდუკების პერიოდული თუ რეგულარული ამოკვნესა ანტიკური ქოროს კომენტარებს ეხმიანება, ისიც ხომ ერთგვარი რიტმულობით ასრულებდა თავის ფუნქციას) და ნაწარმოების სტრუქტურულ და ხმოვან რიტმს ამლიერებს, ხაზს უსვამს ნაწარმოების ტრაგიკულ ჟღერადობას. აი, რამდენიმე მაგალითი:

ამ დროს ორმა დუდუკმა ტკბილად ჩაუღლიღინა...პირში დაგუბებულმა ბოლმამ ყბები გაჭბერა და დუდუკის ვიწრო ყელიდან იწყო დენა წვეთ-წვეთად; ღიღინებდნენ დუდუკები, ნაღვლიანად არხევდნენ ბგერებს, ზმუოდნენ, კვნესოდნენ, ჭირვეულობდნენ; იქ იყო ტკბილი დუდუკების ჰანგები; დუდუკების დასტა, რომელებიც მეტად გულსაკლავად და ნესტიანად ღიღინებდნენ და კვნესოდნენ;

ქალაქი, როგორც სიმბოლო, მთელს მოთხრობაშია განფენილი (F.S. Fitzgerald, *The Crack-up with Other Pieces and Stories, 1965*), მაგრამ კულმინაციას აღწევს აბზაცში, სადაც კონცენტრირებულია ის განცდა, რასაც ეს ქალაქი წარმოადგენს ავტორისათვის:

*It was three years before we saw **New York** again. As the ship glided up the river, the city burst thunderously upon us in the early dusk—the white glacier of lower **New York** swooping down like a strand of a bridge to rise into uptown **New York**, a miracle of foamy light suspended by the stars. A band started to play on deck, but the majesty of the city made the march trivial and tinkling. From that moment I knew that **New York**, however often I might leave it, was home (Fitzgerald,1965:27);*

კიდევ სამი წელი გავიდა, სანამ **ნიუ-იორკი** კვლავ ვიხილეთ. ადრეულ ბინდ-ბუნდში გემი მდინარეზე რომ ასრიალდა, ამ დროს ქალაქი, როგორც ჭექა-ქუხილი ისე დაგვატყდა თავს—ქვედა **ნიუ-იორკის** ქათქათა მწვერვალები დაკიდული ხიდივით მიექანებოდა ჩვენს თვალწინ, რამდენიმე წამში კვლავ ზედა **ნიუ-იორკში** რომ აღმართულიყო. თითქოს ვარსკვლავებს ეჭირათ ეს გაბრწყინებული, აზავთებული სასწაული. გემბანზე ორკესტრმა დაიწყო დაკვრა, მაგრამ ქალაქის დიდებულებამ მარში გადაჰვარა, უბრალო ჟღარუნადღა ისმოდა. იმ წუთას მივხვდი, რომ **ნიუ-იორკი**, რაც არ უნდა ხშირად მიმეტოვებინა ის, მაინც ჩემი სახლი იყო (თარგმანი ჩვენია).

„მხატვრული პროზაული ტექსტის რიტმიკისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია გარკვეული მნიშვნელობის მქონე, საკვანძო სიტყვების გამეორებას, რომელთა დახმარებითაც ნაწარმოების ლექსიკური ტონი იქმნება. ლექსიკური, სემანტიკური, თემატური გამეორებებისგან აიგება თემატური (სემანტიკური) ველები, რომელთა მეშვეობითაც ტექსტის თემატური კარკასი (ჩონჩხი) ანუ ქსელი იქსოვება“ [Boჩუკ, E., II., ინტ. წყარო №16].

სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სიტყვების ტექსტში გამოჩენა რიტმულ ხასიათს ატარებს, რადგან, როგორც წესი, დაკავშირებულია რაიმე მოვლენასთან, რითაც ისინი სიმბოლოდ ან რეფერენად იქცევიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სიმბოლოდ შეიძლება ყველაზე „ჩვეულებრივი“ ანუ ნეიტრალური სიტყვები იქცნენ, თუ ისინი „არაჩვეულებრივ“ ანუ განსაკუთრებულად ემოციურ დატვირთვას იძენენ ტექსტში.

შერვუდ ანდერსონის მოცულობით პატარა მოთხრობა „ქალაქის ბურთულები“ (Sherwood Anderson, *Paper Pills*) უაღრესად რიტმულად ექსპრესიულია, პირველ რიგში, სწორედ ლექსიკური საშუალებებით. მათ მიეკუთვნება სიმბოლური დატვირთვის სიტყვები და ფრაზებიც, რომლებიც მრავალგზის მეორდება ტექსტში და სემანტიკურად დაკავშირებულია მოთხრობის მთავარ ემოციურ ხაზთან. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, „ვაშლები“, რომლებიც მოთხრობაში ათჯერ მეორდება, მათ შორის სამჯერ ნაცვალსახელური რეფერენცია გვაქვს. მთავარი დატვირთვა, რასაც ეს „დაკოჭრილი, მომცრო ვაშლები“ (the twisted little apples) ატარებენ გაცხადებულია მათი პირველივე ხსენებისას: ნაწარმოებში აღწერილი სასიყვარულო ისტორია „უაინსბურგის პატარა ნამცვრევი ვაშლივით გემრიელია“ (ანდერსონი, 1969:199); *It is delicious, like the twisted little apples that grow in the orchards of Winesburg* (Anderson, 1981:34). და ბოლოს, ამგვარადაა შეჯამებული: „მან დაგვაღული ვაშლის სიტკბოება აღმოაჩინა“ (but she was like one who has discovered the sweetness of the twisted apples (Anderson, 1981:36).

სათაურში გამოტანილი „ქალაქის ბურთულები“ (*Paper Pills*), რომელიც ამჯერად დაკავშირებულია არა გრძნობისმიერ, არამედ გონისმიერ ხაზთან, ხუთჯერ მეორდება. მთავარი გმირი ექიმი რიფი, ფიქრის დროს ქალაქის ნაკუწებზე აზრებს წერს. ეს ნაკუწები შემდეგ ექიმის ჯიბეში ხვდებიან და დროთა განმავლობაში

ქალაქის მაგარ ბურთულეზად იქცევია. ეს აზრები კი როგორც ავტორი ამბობს „ჭეშმარიტების პატარა პირამიდებს“ ჰგავდა. მოთხრობაში *scraps of paper* - ქალაქის ნაგლეჯები ხუთჯერ მეორდება, სამჯერ უცვლელად, ორჯერ მხოლოდ მისი მთავარი სტრუქტურული კომპონენტი - *paper* (*the papers, the bits of paper* -ქალაქები, ქალაქის ნაკუწები). ბოლო აბზაცში ეს ორი სიმბოლური ფრაზა კიდევ ერთხელ მეორდება და რაღაცნაირად უახლოვდება ერთმანეთს.

სიმბოლური დატვირთვა ენიჭება ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების გამეორებას მეტად ძუნწად დაწერილ მოთხრობაში „ერთ საღამოს“ (Thomas Beckett, *One Evening*). მცირე მოცულობის მოთხრობაში „შავი“ ცხრაჯერ, „ყვითელი“-ოთხჯერ, „თეთრი“ -სამჯერ, „მწვანე“ კი ორჯერ მეორდება. ამ უდაბურ და ხრიოკ ალაგას ფერების პერიოდულად, განმეორებით და უწყვეტად გამოჩენა ტექსტს რიტმულობას ანიჭებს. თხრობა დღე-ღამის გასაყარზე მიმდინარეობს, ამიტომ შესაბამისად სჭარბობს შემდეგი სემანტიკურად შეპირისპირებული ლექსემები, რომელთა ანტონიმური წყვილებიც ასევე რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველია: *დილა/დღე/მზე* (რვაჯერ) და *ჩრდილი/საღამო/ღამე/ მთვარე* (თორმეტჯერ). ასევე ძუნწად აღწერილ პეიზაჟში სჭარბობს შემდეგი სიტყვების გამეორება „ყვავილი“(6-ჯერ) და „კრავი“ (4-ჯერ). ამ ორი უკანასკნელი ლექსემის საფუძველზე ტექსტში სახეზეა რამდენიმე გზის ნაცვალსახელური რეფერენციაც.

რიტმულად ჩნდება და 33-ჯერ მეორდება პერსონაჟის მეტყველებისათვის დამახასიათებელი გამოთქმა “*old sport*” („ძმაკაცო“). გეტსბის ეს აკვიატებული ფრაზა სიმბოლურადაც გამოხატავს მის ფამილარულ დამოკიდებულებას, როგორც ძველი, ისე ახალი ნაცნობებისადმი. ამ გამოთქმას ლექსიკური მნიშვნელობის ოთხივე კომპონენტი გააჩნია: დადებითი (შემფასებლური), ემოციური, ექსპრესიული და სტილისტური (ჟარგონი). ნაწარმოების ერთ ადგილას იგი თითქოს უნდა დაიკარგოს, მაგრამ გრძელდება და რიტმულ მახვილებს სვამს რომანში (F. S. Fitzgerald, *The Great Gatsby*).

მისტერ დაჯის (James Joyce, *A Painful Case*) უსიხარულო და ერთფეროვანი ცხოვრების აღსაწერად მწერალი იყენებს შესაფერის ლექსიკას, რომლითაც გაჟღენთილია მოთხრობა და ისინი ისეთი პერიოდულობით, რიტმულად ჩნდებიან, რომ მკითხველი ელის მათ გამოჩენას და იმდენად არიან გადაწული პერსონაჟის

შიდაბუნებასთან, რომ მათ სიმბოლური დატვირთვა ეძლევათ და რაკი ისინი სწორედ ადამიანის განცდებს აღწერენ, იზრდება ამ ლექსიკური ერთეულების ექსპრესიულობაც.

მაგალითად, მისტერ დაფი ცხოვრობდა ძველ, პირქუმ სახლში (*an old sombre house*), ყოველთვის სადილობდა ზომიერად ერთი და იმავე ადგილას (*dined moderately in George's*), მთელი მისი არსებობა მიედინებოდა ერთფეროვნად, თავგადასავლების გარეშე (*his life rolled out evenly*). მოთხრობაში აღწერილი „თავგადასავლის“ შემდეგ, იგი ისევ დაუბრუნდა თავის მოზომილ სამყაროს (*Mr. Duffy returned to his even way of life*).

მაშინაც კი, როცა თითქოს რაღაც უნდა შეცვლილიყო მისი და მისის სინიკოს ურთიერთობაში, და განსაკუთრებით შემდგომ, ფინალისკენ, სჭარბობს ისეთი სიტყვები, რომლებიც თითქოს წინასწარ გვამცნობენ მათი ურთიერთობის სწრაფ დასასრულს. მეორდება შემდეგი ლექსიკური ერთეულები: ცივი, სიცივე, წყნარი ადგილები, სიჩუმე, მდუმარება, მარტოსული, მარტო, უსიხარულო, პირქუმი, უფერული, ბნელი, სიბნელე.

პერსონაჟები ყოველთვის არჩევდნენ ყველაზე წყნარ ადგილებს სასეირნოდ (*the most quiet quarters*); ესენია უფერული ხეივნები (*the bleak alleys*); უმზერენ უსიხარულო საღამოს პეიზაჟს (*cheerless evening landscape*) და წყნარ (ჩუმ) მდინარეს (*The river lay quiet*); შედიან წყნარ (ჩუმ) სასაუზმეში (*The shop was very quiet.*); გაყუჩებული დგანან სიბნელეში (*He stood still ...She seemed to be near him in the darkness*); არ გაურბიან სიბნელეს (*Many times she allowed the dark to fall*) და საუბრობენ ჩაბნელებულ ოთახში (*The dark discreet room*).

და მაინც, სიტყვები, რომლებიც ყველაზე ხშირად მეორდება არის–„ცივი, სიცივე“ (ხუთჯერ), „მარტო, მარტოსული, სიმარტოვე“ (შვიდეჯერ), „სიჩუმე, მდუმარი“ (მ-ჯერ). ეს სიტყვები, სემანტიკურადაც უკვე სიმბოლოებად ქცეულები, ყველაზე უკეთ გამოხატავენ მთავარი გმირების შინაგან მდგომარეობას და ტექსტში მრავალგზის გაბნეულები ხაზს უსვამენ და ამძაფრებენ თხრობის რიტმულობის ექსპრესიას: შემოდგომის ცივი ამინდი (*cold autumn weather*); სიცივე (*the cold*); ცივი ჰაერი (*the cold air*); ცივი და პირქუმი ღამე (*the night was cold and gloomy*); ცივი ღამე (*cold night*); საღამოების მარტო გატარება (*often they spent their evenings alone*); უკაცური,

მარტოსული გზა (ორჯერ)(the *lonely road*); მარტოსული ყოფა (ორჯერ) (*lonely* life); მარტო (ორჯერ) (*alone* in that room), (He felt that he was *alone*); სულის უკურნებელი სიმარტოვე (*soul's incurable loneliness*); სიჩუმეში (*in silence*); სრული მდუმარება (ორჯერ) (perfectly *silent*).

იმისათვის, რომ შექმნას ელემენტური, სევდიანი, ამაღლებული განწყობა, ავტორი მოიხმობს შესაფერის ლექსიკურ ერთეულებს და უქმნის ისეთ კონტექსტს, რომ მათი სიმბოლურობამდე მისული დატვირთვა უფრო შესამჩნევი იყოს. რადგან „მხოლოდ ლექსიკონში გვხვდებიან სიტყვები კენტად...ავტორის მიერ შერჩეული სიტყვები და მათი წყობა წინადადებაში ქმნის განსხვავებულ სურათს...აზრის სწორად გამოსახატავად მწერალს ევალება „შესაფერისი“ სიტყვის შერჩევა. თუმცა, მეორე მხარეც არსებობს იმისი, თუ როგორ უნდა იყოს სიტყვა „შესაფერისი“: აქ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ჯდება ესა თუ ის სიტყვა რიტმში და იმ წინადადების დინებაში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან“ [ინტ. წყარო №17].

მოთხრობა „მიცვალებულნი“ (James Joyce, *The Dead*) ფინალი გამოირჩევა დიდი რიტმულობით. ლექსიკურ დონეზე რიტმულობას ქმნის გარკვეული სიტყვების გამეორება რომელთაც ერთიანი სემანტიკური ველი გააჩნიათ; ამ შემთხვევაში—**მიცვალებულნი**. თოვლის საფარველი არა მარტო მთელს ქვეყანას ეფინება, არამედ გმირის სულშიაც თოვს. სიტყვა „თოვლი“ მეორდება ხუთჯერ, „ბარდნა“ - შვიდჯერ, „ჩრდილი/აჩრდილი“—სამჯერ, „მილი“—ორჯერ, „სიკვდილი /გარდაცვალება/ სასაფლაო/ მიცვალებულნი“—შვიდჯერ. აი, როგორი რიტმულობა იქმნება ამგვარი ლექსიკური ერთეულებით: *His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead*” (Joyce, 1982:219); *სმენას სწვდებოდა მსუბუქი ჩქამი და სული მისი ნელ-ნელა ინთქმებოდა თოვლის შრიალში. თოვლი ათოვდა მთელ დედამიწას, როგორც მოახლოება აღსასრულის ჟამისა; წყნარად ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც*“ (ჯოისი, 1984:205-206), (იხ. დანართი №3.4). ამგვარი, ერთგვარი თემატური ველის სიტყვების გამოყენებით იქსოვება ის ბადე, რომელიც საბოლოო ჯამში ტექსტის რიტმულობის ექსპრესიას გამოხატავს ლექსიკო-სემანტიკურ დონეზე.

რიტმულობის შექმნაში უმნიშვნელოვანესი როლი სწორად შერჩეულ ლექსიკას ეკუთვნის. დადებითი თუ უარყოფითი განცდებით გაჯერებული მონაკვეთები, რომლებიც უხვად გაბნეული, საგანგებოდ შეთხზული თუ მიგნებული, ორიგინალური სიტყვათშეხამებანის და კომპოზიტების წყალობით აღწევს არაჩვეულებრივ ექსპრესიას. სწორედ მათი საშუალებით იგება ძლიერი ემოციურობით აღბეჭდილი რიტმული პასაჟები, რომლებიც ხანგრძლივ გაჰყვება მკითხველს:

ბევრგან სახლები კი არ დგანან, დაჩოქილები არიან და ქანაობენ, ბებერი მკლავებივით არიან გაშვერილები აივნები მზისკენ, ბევრგან ეს სახლები წელამდის სხედან მიწაში, მაშინ ეს აივნები პირდაპირ ქუჩაზე აწყვია მოწიწებით (კოტეტიშვილი.2012:10); სარდაფის კიბეებთან რომ მივიდა, უზარმაზარი სინანული დახვდა წინ და შეაჩერა (კოტეტიშვილი.2012:10); მთელმა ტაძარმა შვებით ამოიგმინა (კოტეტიშვილი.2012:13).

ანალოგიური სურათი დასტურდება ინგლისურ ენაზე მოძიებულ მსგავს მაგალითებში: ზუსტად მიგნებული სიტყვა თუ ფრაზა ასევე წარმოშობს ემოციას, რომელიც თავის მხრივ წარმოშობს რიტმს:

The dark discreet room, their isolation, the music that still vibrated in their ears united them (Joyce,1982:124); After the tall dark girl came to know Doctor Reefy it seemed to her that she never wanted to leave him again. She went into his office one morning and without her saying anything he seemed to know what had happened to her (Anderson,1981:35).

განცდით სავსე მონაკვეთი იქნება ეს თუ ნაწარმოების კულმინაცია, მწერალი არჩევს, რომ ყველაზე ემოციური, გარდამტეხი ადგილი თუ ამაღლებული ფინალი–კოდა რიტმულად მოუთხროს მკითხველს:

ტფილისი ხედავს: ათას თვალებში–თვალებს–ივერიის ქალწულის თვალებს. ხალასს და რასსაშეურვეელ. თვალებს: საცა მედიდურობა და დარცხვენა ერთი და იგივეა. თვალებს: რომლებშიც დაინახავ გაჩენის პირველ დღეებს. ხომალდი მაგრად შეჩერდება- ტფილისი უყურებს ივერიის ქალწულის თვალებს. საცაა–მზე ამოვა (რობაქიძე, 1989:225), (იხ. დანართი №3.5.).

შემდეგი ნიმუშები საუცხოო მაგალითია იმისა, თუ რამდენად შთამბეჭდავად აღწერს ავტორი ძველი თბილისის ძველ ქუჩებს შემორჩენილ, ახალი დროის მიღმა

დარჩენილ მოხუცებულებს სწორედ ემოციურად გაჯერებული ლექსიკური ერთეულებით და ზუსტად მოძებნილი „ჩვეულებრივი“ სიტყვებით:

მოხუცებული ხალხი, ... თვალებში მიმქრალი სიცოცხლე და სათნოება. დაღარული სახეები ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული. ნელი სიარული და სიარულში გაორება. მოხუცებული მუხლების კანკალი და თრევა დანგრეულ ფილაქანზე (კოტეტიშვილი.2012:11-12);

ჩრდილების ჩურჩული და ჩრდილების ლოცვა და რჩა ძველ ტფილისში. მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით. ამავე თვალების მოხუჭვა სიონის ღვთისშობლის ხატის წინ (კოტეტიშვილი.2012:12);

ინგლისურ რიტმულ პროზაშიც, განსაკუთრებულად გამორჩეული და საგანგებოდ შერჩეული ლექსიკით იგება კოდა - ნაწარმოების ყველაზე ევფონიური და ემოციური, ხშირად ტრაგიზმით შეფერილი მონაკვეთი. მაგ.

After Gatsby's death the East was haunted for me like that, distorted beyond my eyes' power of correction. So when the blue smoke of brittle leaves was in the air and the wind blew the wet laundry stiff on the line I decided to come back home (Fitzgerald,1984:127);

He turned back the way he had come, the rhythm of the engine pounding in his ears. He began to doubt the reality of what memory told him. He halted under a tree and allowed the rhythm to die away. He could not feel her near him in the darkness nor her voice touch his ear (Joyce,1982:129);

§ 2. ლექსიკური გამეორება და გრადაცია

როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნეთ, პროზის რიტმულობა ეყრდნობა გამეორებას. გამეორებული ერთეულები უცვლელად ან მეტ-ნაკლები ცვლილებით მეორდებიან. ამჯერად, გამეორება გვანტერესებს ლექსიკის დონეზე, ლექსიკური გამეორების ფუნქციით. „ლექსიკური გამეორება ეწოდება სიტყვის ან სიტყვათა შეხამების გამეორებას, ერთი წინადადების, აზრისა თუ მთლიანი ტექსტის შემადგენლობაში. გამეორებად ერთეულებს შორის ინტერვალი ან მათი გამეორების

სიხშირე შეიძლება სხვადასხვა იყოს, ოღონდ აუცილებლად იმგვარი, რომ მკითველს არ გამოერჩეს“ [Арнольд.1973:125]. ლექსიკური გამეორება არა მარტო რიტმულობის, არამედ ტექსტის მთლიანობის საფუძველია; გამეორებული ელემენტები ტექსტს კრავს და აერთიანებს. ე.ი. „ნებისმიერი ტიპის გამეორება მრავალფუნქციური მოვლენაა: ეს ტექსტის ფარგლებში გადაბმულობის ფაქტორიცაა და, ამავე დროს, საშუალება, რომელიც მნიშვნელობის გამაძლიერებელ-გამომკვეთავ ფუნქციას ასრულებს“ [Бойчук, Е., И., ინტ. წყარო №16].

გამეორების სახეებიდან რიტმულობისათვის მეტად საინტერესოა სიტყვის ან ფრაზის ანაფორული გამეორება, ეპიფორული გამეორება და ეპანალექსისი-სიტყვის ან ფრაზის გამეორება ერთმანეთის ახლოს განლაგებულ წინადადებებში.

ლექსიკური გამეორება მონაწილეობს რიტმული გრადაციის შექმნაშიც. გრადაცია, დაღმავალიც და აღმავალიც, რიტმული ექსპრესიის გამოვლინების შესანიშნავი საშუალებაა, ვინაიდან აზრის, ემოციის ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით განვითარება ხდება ერთი და იმავე ლოგიკური სუბიექტისა თუ ობიექტის მომატებული თუ შენელებული ინტენსივობით აღწერით.

ა) ლექსიკურ გამეორებათა ფუნქციას ძირითადად ასრულებენ არსებითი სახელები, ნაცვალსახელები, ზმნები, ზმნიზედები. ისინი შეიძლება უცვლელად გამეორდეს ან გარკვეული ცვლილებით: *მკერდის შუაგულზე მასაც ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი. ამბობდა: მისი გვარი მზის თესლისაა: მზესავით ცხელი-მზესავით ნათელი-მზესავით გახლებული-მზესავით მართალი (რობაქიძე, 1989:91);*

მომდევნო მონაკვეთში იკვეთება ოთხგზის განმეორებადი წყვილი:

1) ქვეყნის ბრუნვა და ყაყანი ვერ აღბობდა ამ სიცივეს. ვერ სწვდებოდა მაღალ თალებს. ვერაფერს ცვლიდა. (2) ძველებურად იდგა წირვა-ლოცვა. ძველებურად შედიოდა და გადიოდა მოხუცებული მორწმუნე ხალხი ძველ ტაძარში. ძველებურად ისმოდა სიონის ზარის გუგუნი თითქმის ყოველდღე. (3) ამ გაჩუმებულ პირისპირ დგომაში ნელ-ნელა იჭიმებოდა ძარღვი და კუნთი. ნელ-ნელა მოუთმენლად ხდებოდა (4) ეს გაჩუმება, ეს სიცივე და სიმაღლე, ეს უზარმაზარი ზარის გუგუნი (კოტეტიშვილი. 2012:14-15), (იხ. დანართი №3.6).

ინგლისურენოვან მაგალითებშიც მეორდება ერთმანეთის სიახლოვეს განლაგებული სიტყვები. სახეზეა როგორც ანაფორა და ეპიფორა, ასევე ეპანალექსისი:

*He realised that **she** was dead, that **she** had ceased to exist, that **she** had become a memory...Now that she was gone he understood how **lonely** her life must have been, sitting night after night **alone** in that room. His life would be **lonely** too until he, too, **died, ceased to exist, became a memory**—if anyone remembered him (Joyce, 1982:129).* „მარტოსული“-ს (lonely) გამეორებას ეხმიანება „მარტო“ (alone). ასევე ერთ და იმავე სუბიექტთან დაკავშირებული სამი ზმნა მეორდება ერთმანეთის მიყოლებით და იქვე შემდეგ წინადადებაში იგივე ზმნები მეორდება მეორე სუბიექტთან: *she was dead, that she had ceased to exist, that she had become a memory... until he, too, died, ceased to exist, became a memory.*

ბ) როგორც აღვნიშნეთ, სიტყვა ან ფრაზა შეიძლება უცვლელად ან შეცვლილი ფორმით გამეორდეს. ქართულში ცვლილება ხშირად ნაცვალსახელების საშუალებით ხდება: გამეორების მთლიან სტრუქტურას „შემდეგი შემადგენელი კომპონენტები გააჩნია: ამოსავალი ელემენტი და განმეორებადი ელემენტები“ [ინტ. წყარო №16].

განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

გული მარტოა ყოველთვის. თუ სიყვარულით არის გამთბარი?! მაშინ გული შიშია მარტო: არ გასქდეს მეორე გული. თუ დაშორებულია ამ გულს?! მაშინ გული სევდაა მარტო...არჩიბალდ მეკეში ყაზვინის ბაზრის ფარდულებშია. გული კი-შორს. ფარდულებში ათი ათასი გულია: ათი ათასი სურვილით. ეს გული მათ არ ეკარება. (რობაქიძე, 1989:172), (იხ. დანართი №3.6); ამოსავალი ელემენტი აქ „გულია“, რომელიც რამდენჯერმე მეორდება უცვლელად და შემდეგ ორჯერ ნაცვალსახელთან და რიცხვით სახელთან ერთად.

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

*On the papers were written **thoughts, ends of thoughts, beginnings of thoughts** (Anderson, 1981:34). პირველად იყო მხოლოდ „ფიქრები“ (thoughts), მას დაემატა „ფიქრთა დასასრული“ (ends of thoughts) და „ფიქრთა დასაწყისი“ (beginnings of thoughts); It was **falling** on every part of the dark central plain, on the treeless hills, **falling softly** upon the Bog of Allen and, farther westward, **softly falling** into the dark mutinous Shannon waves. It was **falling**, too, upon every part of the lonely churchyard on the hill where Michael Furey lay buried...His soul swooned slowly as he heard the snow **falling faintly** through the universe and **faintly falling**, like the descent of their last end, upon all the living and the dead*

(Joyce, 1982:219). *falling* => *falling softly* => *softly falling* => *falling* => *falling faintly* => *faintly falling* ამგვარ გარემოებას შეიძლება სიტყვის გრადაციული გამეორება ეწოდოს.

გ) ინგლისურისგან განსხვავებით, მოძიებული ქართულენოვანი მაგალითების რიტმულობა იმითაც არის უფრო გამორჩეული, რომ მცირე მონაკვეთში ვხვდებით როგორც ანაფორას, ისე ეპიფორას და ეპანალექსისსაც. მაგ.:

აქ არის გულის დაფერფვლა... აქ არის თვითონ გული: ამოვარდნილი და ცხელ ქვიშაზე სისხლად დაღვარული... აქ არის ნაღველი...მარტო ნაღველი...ყველაფერი ისვენებს...მხოლოდ გული არ ისვენებს. მაგრამ არის წამი: როცა ისიც ჩერდება ვით ჩიტი გაბრუებული (რობაქიძე, 1989:49); აქ არის-ანაფორა, ისვენებს/არ ისვენებს, ნაღველი-ეპიფორა, გული- ეპანალექსისი. აქვე გვხვდება პერიფრაზაც: გული=>ისიც (იხ. დანართი №3.6).

დ) ინგლისურენოვანი მაგალითებისთვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელი აღმოჩნდა არა ერთი სიტყვის, არამედ ფრაზის, როგორც ფიქსირებული ერთეულის გამეორება. მაგ,

the tall dark girl (მაღალი შავგვრემანი გოგო) ორგვერდიანი მოთხრობის განმავლობაში შვიდჯერ მეორდება. პირველად იგი ასე შემოჰყავს ავტორს: *The girl was quiet, tall, and dark, and to many people she seemed very beautiful* (Anderson, 1981:33)- გოგო იყო წყნარი, მაღალი და შავგვრემანი და ბევრი მას ძალიან ლამაზად თვლიდა. ეს პერსონაჟი უსახელოდ რჩება ბოლომდე და მოხსენიებულია ან როგორც *the tall dark girl* ან *the girl* ან უბრალოდ ნაცვალსახელით (*she, her*). ამავე მოთხრობაში *scraps of paper* - ქაღალდის ნაგლეჯები ხუთჯერ მეორდება, სამჯერ უცვლელად, ორჯერ მხოლოდ მისი მთავარი სტრუქტურული კომპონენტი - *paper* (*the papers, the bits of paper* -ქაღალდები, ქაღალდის ნაკუწები): *In the office he wore also a linen duster with huge pockets into which he continually stuffed scraps of paper. After some weeks the scraps of paper became little hard round balls, and when the pockets were filled he dumped them out upon the floor* (Anderson, 1981:34); *He was forty-five then and already he had begun the practice of filling his pockets with the scraps of paper that became hard balls and were thrown away* (Anderson, 1981:34).

აქვე შვიდჯერ მეორდება *the apples*- ვაშლები. პირველად: *It is delicious, like the twisted little apples that grow in the orchards of Winesburg* (Anderson, 1981:34)- ეს ამბავი

უაინსბურგის პატარა ნამცვრევი ვაშლივით გემრიელია. შემდეგ მეორდება როგორც *the apples => a few gnarled apples => the apple => the gnarled, twisted apples => the twisted apples => the twisted apples.*

გრადაცია, როგორც რიტმულობის წარმომქმნელი ლექსიკო-სემანტიკური საშუალება, იმდენად ცალკეული ლექსემის გამეორებას არ გულისხმობს, როგორც აზრის გრადაციულ განვითარებას, შეფერილს გარკვეული ემფაზითა და ემოციით. დაღმავალი და აღმავალი გრადაცია ეყრდნობა აზრობრივ, სემანტიკურ რიტმს. სწორედ ამას გულისხმობს მკვლევარი, როდესაც აცხადებს: „პროზაულ ნაწარმოებში, რიტმს ვპოულობთ შინაარსის დონეზე და ენობრივი მასალის დონეზე. შინაარსში იგულისხმება სიტყვები, ნაწარმოის წარმოსახვითი სამყარო... ენობრივი მასალა კი ეხება ნაწარმოების სიტყვებსა და მარცვლებს“ [O'Callaghan, T., M., B., ინტ. წყარო №15].

დიდი რიტმული ექსპრესიით გამოირჩევა შემდეგი მონაკვეთი. აღმავალი გრადაცია მიიღწევა მოძრაობის, სწრაფი ქმედების გამომხატველი ზმნების გამოყენებით. წინადადებები ისეთი მეტყველი და დამუხტულია, რომ ჩვენ თვალწინ ცოცხლდება თითოეული მათგანი, როგორც სურათი: *მცხეთაში მეფემ ქორი ააფრინა. ქორი ხოხობს გაედევნა. მეფე უცდის: აღარც ქორია და აღარც ხოხობი. მიდის საძებრად . მიადგება ხევს. ხევში ღვარია გოგირდის ფერის. ღვარში ხოხობი დამხრჩვალა. ქორიც თან გადაჰყოლია. მეფე ფუძეს დებს ქალაქისას (რობაქიძე, 1989:208);*

ასეთივე შეგრძნებას იწვევს შემდეგი პასაჟები. ავტორი მოსხეპით, სწრაფად ამბობს სათქმელს. ლექსიკურად შერჩეულია, ერთი მხრივ, აგრესიულობის, მეორე მხრივ, კი თავდაცვის გამომხატველი ზმნები, ასევე, დიდი ხმაურის გამომხატველი ფრაზები. ფორმა და შინაარსი სრულ ჰარმონიაშია, ეს ფაქტორი კი რიტმულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ამ ყველაფერს აგვირგვინებს ბგერწერის გამომხატველი ლექსიკით შექმნილი ფონი:

საყვით ზახილი. დაბდაბთ, ნაღარათ გრიალ-ტკრციალი. სასახლის წინ ხალხი მრავალი. ელოდნენ მეფე-დედოფლის გამობრძანებას. ცხენოსანთ ჯგუფი წინამსვლელი სწრაფად დაიდრა. გაქუსლეს გზაგზა. სწმენდავდნენ სავალს, ხალხს არ ინდობდნენ. სცემდნენ მათრახით. ცხენის მკერდით მთარღვევდნენ გახირულ

ჯელგებს. გარბოდა ხალხი, გზას უთმობდა, საფარს ეძებდა (ბარნოვი,1943:347), (იხ. დანართი №3.7).

მეტად საინტერესოა შემდეგი პასაჟი, სადაც აღმავალი გრადაცია რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. რიტმის მატება შეგვიძლია შემდეგნაირად გამოვსახოთ:

1.ახალი ტფილისი ივსებოდა ქარხნებით, შუქით, ახალი ხალხით... შრომა როგორც ზეიმი. დასვენება კლუბებში. კლუბებში კიდევ ზეიმი. კინო. რადიო. სიმღერები. დაკვრითი ტემპები, სოციალისტური შეჯიბრი, გაუთავებელი იდუსტრიალიზაცია. 2. კიდევ ტემპები. გაგიჟება შრომით და შრომაში. დემონსტრაციები. წითელი დროშების ტყე. გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო. 3. აღმშენებლობა. გეგმები. აღმშენებლობის დაკვრითი გეგმები. ხუთწლიანი გეგმა ინდუსტრიალიზაციისა ოთხ წელიწადში. სამ წელიწადში. ორ წელიწადში... კოტეტიშვილი.2012:11), (იხ. დანართი №3.7).

შემდეგი გრადაციაც დიდი ექსპრესიით გამოირჩევა, მაგრამ ჩვენი აზრით, გრადაციის „დატეხვა“ საფეხურებად ამ შემთხვევაში მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან რიტმი იშლება ერთი სუბიექტისგან და ერთი მიმართულებით ვრცელდება და ერთ გრძელ წინადადებას წარმოადგენს: *ლეიბი, საბანი, ბალიში და მუთაქს დაარღვია, მატყლი დაწეწა, ბამბა გაპენტა, შალითები, მითელი, სარჩული და საპირეები, საცვლები, თეთრეული, ხალათები დარეცხა, ზოგი გადააბრუნა, ზოგი გამოცვალა, გალამბა, დააგვირისტა, წინდები განემსა, შარვალი ჩაის წყლით გაწმინდა, წაღები სასწრაფოდ შეაკეთებინა, ქუდი და ნახმარი პალტო უყიდა, (ლორთქიფანიძე,1958:265), (იხ. დანართი №3.7).*

თითქმის მთლიანად რიტმული პროზით დაწერილ ტექსტში თვალში მოსახვედრია ჩვეულებრივი არარიტმული მონაკვეთები. თუმცა, ჰარმონიულად ხდება მათი მონაცვლეობა. ამის მაგალითია შემდეგი აბზაცი, რომელიც რიტმულად იწყება, შემდეგ მიდის ჩვეულებრივი თხრობა და ბოლო წინადადებები ისევ დინამიკურად ვითარდება. გრადაციული მრუდი ასე შეიძლება გამოისახოს: დაღმავალი-მდორე-აღმავალი:

1.დაიბერტყეს ფერხთა მტვერი, გაუდგნენ გზასა. 2. ტბიდან გამომავალ მდინარეს მოსდევდნენ. შეჰყვნენ ისევ მტკვარს. წინ აჰყუდებოდათ უზარმაზარი მთები. ხეს ველარ მოეკიდნა ფეხი მათ თხემზედ. ზაფხული იყო; თოვლიანი ხევთ ფსკერები

თეთრ ზოლებად ჩაჰყოლოდნენ მთებს. **3. მიყრილიყვნენ უზარმაზარნი, სავალსა ჰხშავდნენ. ვერ სდევდა თვალი თვით მტკვრის სადინელს. ეს უვალი ადგილები ბნელის ხალხით დასახლებულნი. თაყვანსა სცემენ ქვათა თუ ხეთა, ზვარაკებად კაცთა სწირავენ (ბარნოვი, 1943:261).**

რიტმული და არარიტმული მონაკვეთების მონაცვლეობაც თავისთავად უკვე რიტმის შემქმნელია. ამგვარი შერეული რიტმი გვაქვს შემდეგ ნაწყვეტებშიც: *შემოდგომის დღე იყო წყნარი. ხილი მიღვეაზედ მიმდგარიყო. ყურძენი დაეკრიფათ. ტყისნაყოფი ჯერ ისევ მწიფდა: პანტა, მაჟალო, შინდი, ხუთყურა. მთისკენ ვიდოდნენ ქადაგი და მის მოწაფენი. გასცდნენ ხიდს. არმაზის წყაროსაკენ ჰქმნეს პირი: მიზნადა ჰქონდათ, შეჰყოლოდნენ წავარნას და ასულიყვნენ იმ საღვთო ნაძვთან, ქართველები წმიდად რომ ჰხადდნენ (ბარნოვი, 1943:316), (იხ. დანართი №3.7).*

შემდეგი პასაჟის რიტმულობა არ არის მკვეთრად თვალშისაცემი, მაგრამ შედარებით მშვიდი გრადაცია მისი რიტმულობის გამომხატველია. რიტმის მშვიდი მდინარება და მშვიდი გრადაცია მიღწეულია ბავშვის თვალთ აქტიური „მშვიდი კადრებით“, რომლებსაც გამომსახველობას მატებს არა მარტო ისეთი ლექსემები და ფრაზები, როგორცაა: *მაგრამ, რაც მთავარი იყო; პირველად აქ, ამ ეზოში; აქ, არამედ გაზაფხულის სურათის აღწერა, ხეხილის და ყვავილთა სახელების დადებითი მუხტი:*

ბავშვი, კი, პარმენი, ვერ დაშორდებოდა ამ საუცხოო გადასახედს: მწვანეში მიმაღულ ქუთაისის სახლებს, მოსირმულ მთებს, შორიდან რომ სჩანდნენ, დაკლაკნილ რიონს, ბოლოს რომ ტბებად ედებოდა დაფენილ ჭალას... მაგრამ, რაც მთავარი იყო, ამ ეზოს თითქმის მუდამ ეფრქვეოდა ღობეში ჩატანებული ატმის, ტყემლის დ ბროწეულის ყვავილები, პირველად აქ, ამ ეზოში, ამოყოდა თავს ია და აქ კედლებს, ღობეებს, სახურავსა და კიბეებს გადახლართოდა სურო, გლიცინია და იასამანი (ლორთქიფანიძე, 1958:262).

დადმავალ გრადაციას, ჩვეულებისამებრ, მოჰყვება პაუზა, გაყუჩება. „ტექსტის მხატვრულ მეტყველებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს რიტმული პაუზა, როგორც განმუხტვის შესანიშნავი საშუალება. ასეთი პაუზები აქტიურ ეპიზოდებს აცალკევებს... და მსუბუქ (არარიტმულ, არაემოციურ) ეპიზოდებს გვთავაზობს. თუმცა, ამავედროულად, ისინი უფრო მეტად მუხტავენ მკითხველს შემდგომი ამბის

გაგებისათვის“[გელდიაშვილი,2013:7-8]: *შეწყდა შემდეგ ხმაურობა და ცეცხლთა ფრქვევა არმაზის მხარეს. ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული. ცხოვრებამ ისევ ჩვეულებრი სახე მიიღო (ბარნოვი,1943:342); ეხლა ბრმაა. ველარ ხედავს. ძველად კი ფეერიულ სანახევებს აფენდა. ვინ არ ახსოვს მას?! რა არ იცის კულისების მესაიდუმლემ?! რამდენ არტისტულ გამარჯვების მონაწილე ყოფილა?! ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214).*

ჩვენი აზრით, შემდეგი ნიმუში იმის მაჩვენებელია, რომ აღმავალ გრადაციასაც შეიძლება მოსდევდეს დუმილი: *ამდენი ვაჟი. ამდენი ქალი. ამდენი შვილი. ამდენი შვილიშვილი. ამდენი შვილიშვილიშვილი. ამდენი გათხოვილი. მათი შვილები და შვილიშვილები. მოხუცი ილიმება: ბედნიერია (რობაქიძე, 1989:141)*

გრადაციების ნიმუშებს ვხვდებით ინგლისურენოვან რიტმულ პროზაშიც. ნაბიჯ-ნაბიჯ, საფეხურებად რაიმე განცდისა თუ მოვლენის გადმოცემა აღმავალი თუ დაღმავალი მიმართულებით, ხშირად გვირგვინდება კულმინაციით ან დუმილით. აღმავალი გრადაციის ნიმუში: გრადაციისთვის ერთგვარად უკვე გვამზადებს დასაწყისი *And* (და), რომელიც წმინდა წიგნებს მოგვაგონებს, რომელთაც ასევე ახასიათებთ რიტმული პროზა. აქაც ვარჩიეთ საფეხურებად გვეჩვენებინა გრადაცია:(1). *And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually (2) I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—(3) a fresh, green breast of the new world. Its vanished trees,(4) the trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams; (5) for a transitory enchanted moment man must have held his breath in the presence of this continent, (6) compelled into an aesthetic contemplation he neither understood nor desired, (7) face to face for the last time in history with something commensurate to his capacity for wonder (Fitzgerald,1984:129);*

შემდეგ პასაჟში გრადაცია მიღწეულია ერთგვარი ანტითეზის საშუალებით. გრადაცია მიემართება ორი საპირისპირო მიმართულებით: ავტორი ერთი მხრივ აღწერს თავის თითქოსდა გარეგნულად უდარდელ ცხოვრებას (მდიდრული ლაუნჯი პლაზა ჰოტელში, ქალაქის პრესტიჟულ უბნებში ბაღში გამართული ჩინებული წვეულებები და ბილტმორის ბარში პრინსტონელებთან ერთად ღვინის გადაკვრა); მეორე მხრივ, არ ასვენებს ის, რაც რეალურად ხდება მის თავს (საკუთარი უღიმღამო

ოთახი, მთელი დღე წუხილი და ლოდინი შეყვარებულის წერილისა, გაცვეთილი კოსტუმები, სილატაკე და ბოლოს–სიყვარული); საზრუნავის და პრობლემების ჩამონათვალს მიყვავართ მის მთავარ საფიქრალამდე: *As I hovered ghost-like in the Plaza Red Room of a Saturday afternoon, or went to lush and liquid garden parties in the East Sixties or tumbled with Princetonians in the Biltmore bar, I was haunted always by my other life- my drab room in the Bronx, my square foot of the subway, my fixation upon the day's letter from Alabama-would it come and what would it say?- my shabby suits , my poverty, and love (Fitzgerald,1965:22).*

შემდეგ ნაწყვეტში განვითარებული აღმავალი გრადაცია ხორციელდება პარალელური ფორმების გამეორებით (*Why had he withheld life from her? Why had he sentenced her to death?*), გმირის მორალურ პრინციპებსა და არსებულ რეალობას შორის კონტრასტის ჩვენებით (*He felt his moral nature falling to pieces, Those venal and furtive loves filled him with despair. He gnawed the rectitude of his life*); სინდისის ქეჯნის საშინელი გრძნობით (*One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: he had sentenced her to ignominy, a death of shame*) და იმის გააზრებით, რომ „სრულიად ზედმეტია“ (*he felt that he had been outcast from life's feast; No one wanted him; he was outcast from life's feast*) (Joyce,1982:129), (იხ. დანართი № 3.7).

ზემოთ მოცემულ აღმავალ გრადაციას უშუალოდ მოსდევს დაღმავალი გრადაცია. მინორული, უსასოო განწყობა შექმნილია მრავალგზის უარყოფითი ნაწილაკების გამეორებით (*He could not feel her near him in the darkness nor her voice touch his ear. He could hear nothing*), სრული სიჩუმისა და მდუმარების დასადგურებით და უსაშველო სიმარტოვის განცდით (*He could hear nothing: the night was perfectly silent. He listened again: perfectly silent. He felt that he was alone*) (Joyce,1982:129);

მეტად შთამბეჭდავია შემდეგი დაღმავალი გრადაცია, რომელიც აგებულია ისეთი ლექსიკით, რომელიც სემანტიკურად სიჩუმის, გაყუჩების (*All is silent from now on*) უმოძრაობის (*For as long as she cannot move*), დაბნელების (*Night without moon or stars*) გამომხატველია. ნაწარმოების ბოლო წინადადება კი მოწოდებაა დუმბილისკენ

(But no more about it-მაგრამ ამაზე მეტი აღარაფერი)(Beckett,1985:1), (იხ. დანართი № 3.7.).

შემდეგი ნიმუში დადმავალი გრადაციისა რამდენიმე ხაზისგან შედგება, მაგრამ მთელ წელიწადს მოიცავს ერთი ზაფხულიდან მომდევნო გაზაფხულის ჩათვლით. რიტმულობა აქ იქმნება თხრობის განფენილობით წელიწადის დროების მიხედვით (ეს ის რიტმია, რომელსაც „ვპოულობთ შინაარსის დონეზე...შინაარსში იგულისხმება სიტყვები, ნაწარმოის წარმოსახვითი სამყარო“ [ინტ. წყარო №15]. რიტმს ქმნიან წელიწადის დროები, ის სეზონური საზღვრები, როცა მოქმედება ხდება). ბოლო შემაჯამებელ აბზაცში კვლავ მეორდება და ერთიანდება მთავარი მოტივები: *ნამცვრევი ვაშლების სიტკბო (the sweetness of the twisted apples), ქალაქის ნაგლეჯებზე დაწერილი ფიქრები (thoughts he had scribbled on the bits of paper), რომლებიც მალე ქალაქის ბურთულებად იქცეოდა (round hard balls)* და რა თქმა უნდა, წელიწადის დრონი, რომელიც, ასე ვთქვათ, წრეს კრავს (*Anderson,1981:36*), (იხ. დანართი № 3.7.).

ჩვენი აზრით, ნათელად წარმოჩინდა ლექსიკური გამეორებისა და გრადაციის დიდი როლი პროზის რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვაში. ამასთანავე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ პროზაული ტექსტის რიტმულობა მაინც კომპლექსური მოვლენაა. ტექსტის რიტმიზაცია მეტად იშვიათად ხდება ერთი რომელიმე ენობრივი საშუალების მიხედვით, ერთ რომელიმე ენობრივ დონეზე, რიტმიზაციის ფონეტიკურ საშუალებებს ამყარებს მორფოლოგიური საშუალებები, ლექსიკურს სინტაქსური და ა.შ.

§ 3. სინონიმია და ანტონიმია

შერწყმული წინადადების განხილვისას ხაზი გავუსვით სწორედ იმ ნიშანს, რაც რიტმულობის ყველაზე დიდ პოტენციალს ქმნის ამ ტიპის წინადადებაში: ეს არის ორი ან ორზე მეტი ერთგვარ წევრთა არსებობა. ერთგვარ ერთეულთა გამეორება კი რიტმულობის მთავარი საფუძველია. აქედან გამომდინარე, ლექსიკურ დონეზე რიტმის წარმოქმნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად **სინონიმებისა და ანტონიმების** გამოყენებაა.

ორივე მოვლენა თავის თავში უკვე რიგს ან წყვილს გულისხმობს: მსგავსი შინაარსის სინონიმთა რიგს ან დაპირისპირებულ ანტონიმთა წყვილს. მათი უპირველესი ფუნქცია ის არის, რომ „ისინი მეტ გამომსახველობას, ექსპრესიულობას ანიჭებენ ენას“ [ლლონტი, 1988:59].

„ლექსიკური სინონიმები ქმნიან მიკროსისტემებს - სინონიმურ რიგებს. ლექსიკურ ერთეულთა ეს მცირე დაჯგუფებები გამოიყოფა პარადიგმატული მიმართებების, კერძოდ თანაბარმნიშვნელიანობის საფუძველზე. ომონიმის შემთხვევაში განმსაზღვრელია გამოხატულება, აქ-შინაარსი“ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2008:366];

მიჩნეულია, რომ ორი აბსულუტურად მსგავსი სინონიმი არ არსებობს. სინონიმთა პარადიგმატულ რიგს, როგორც წესი, აერთიანებს „საერთო დენოტაცია, ანუ საერთო დენოტაციური კომპონენტი და განსხვავდებიან კონოტაციურად, ანუ კონოტაციური კომპონენტით“ [Tevdoradze, N., ინტ. წყარო №18]. იგივე ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს სინონიმთა დუალისტურ ბუნებას, რითაც ტექსტის რიტმულობის ექსპრესია კიდევ უფრო იზრდება: კონტექსტის წყალობით შეიძლება უფრო განსხვავებულები მსგავსებად წარმოჩინდნენ, და უფრო მსგავსნი განსხვავებულებად [Tevdoradze, N., ინტ. წყარო №18].

ტექსტის რიტმულობის თვალსაზრისით, სინონიმურ რიგში უფრო მეტად გვინტერესებს სტილისტური სინონიმები, როგორც უფრო მეტი კონოტაციის მატარებლები, რადგანაც „დენოტაციური მნიშვნელობის მიღმა რჩება ენის შინაარსობრივი მხარის უზარმაზარი ექსპრესიულ-ემოციური ასპექტი, რის გარეშეც არც ერთი ცოცხალი ენა არ არსებობს და რის გარეშეც გაურკვეველი დარჩებოდა სინონიმთა განმასხვავებელი ნიშნები. ამგვარი დამატებითი მნიშვნელობები განსაკუთრებით ნათლად ვლინდება სხვადასხვა ფორმის ერთი და იმავე დენოტაციური მნიშვნელობის შემთხვევაში. ფორმათა მნიშვნელობის სწორედ ამ ასპექტს განიხილავს შენდელსი, როგორც კონოტაციურს. მისი განმარტებით, კონოტაცია გულისხმობს სხვადასხვა სახის სუბიექტურ შრეებს - გარკვეულ მნიშვნელობათა ექსპრესიულობას და ინტენსიფიკაციას, გრამატიკულ ხატოვანებას (მეტაფორულობას), ემოციურ ეფექტს და ა. შ. [ნიჟარაძე.2005:191].

ვინაიდან სინონიმთა თვალსაზრისით ქართულ და ინგლისურ ენებშიც

სემანტიკურად და ფუნქციურად მსგავსი მდგომარეობაა, გადავწყვიტეთ ამჯერად ორივე ენაზე მოძიებული ნიმუშები პარალელურად წარმოვადგინოთ.

ა) მოძიებულ მასალაში, როგორც მოსალოდნელი იყო, სინონიმების როლში უმეტესად გვევლინება არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და მიმღეობა: *ხომალდი იდგა მორთული და მოკაზმული პირადპირადად* (ბარ. 1943:265); *დიდი მოძრაობა იყო ახალ სასახლეში: ლაშქრის სარდალნი, თემთ თუ ხალხთა წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი, მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი, ქურუმნი* (ბარნოვი, 1943:265), (იხ. დანართი №3.8).

ინგლისური მაგალითები:

She washed her comb and brush (Saling. 1982:27); *He had neither companions nor friends, church nor creed* (Joyce, 1982:122); *Buttons of all shapes and sizes* (Beckett, 1985:1);

ბ) რიტმულობის ექსპრესიას კიდევ უფრო კარგად გამოხატავს წინადადების სინონიმურ წევრთა ჩამოთვლა, განსაკუთრებით, თუ ეს უკავშიროდ ხდება:

დუქნები. ფარდულები. ..უთვალავი ქსოვილი. ფარჩეული. აბრეშუმეული. ქაშემირი. ... ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები...ნოხები...ხალები. ...ფარდაგები. ფლასები. ჭილობები (რობაქიძე, 1989:13); *მოხაზულები და მოხატულები. არშიები. თასმები. გრებილები. ზორტები. სირმები* (რობაქიძე, 1989:54); *სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია* (გამსახურდია, 1959:13); *ჭექა, ქუხილი, ელვა, მეხი ერთმანეთში ირეოდა* (ლორთქიფანიძე, 1958:223);

ანალოგიური ინგლისური ნიმუშები:

The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach (Joyce, 1982:127-128); *He lent her books, provided her with ideas, shared his intellectual life with her.* (Joyce, 1982:123).

გ) სინონიმური წყვილის რიტმულობას კიდევ უფრო ხაზს უსვამს და გამოკვეთავს მათი საერთო მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც კიდევ უფრო აახლოებს მათ სემანტიკურად:

რომელი საქმრო კიდევ?! ყველა ყალბი?! ყველა ცრუ?! ეგებ თვითონ არის ყალბი!? ეგებ თვითონ არის ცრუ!? (რობაქიძე, 1989:220), (იხ. დანართი №3.8). ეს წინადადებები კიდევ იმით არის ჩვენთვის საინტერესო, რომ ა) ლექსიკურის გარდა სინტაქსური

პარალელიზმიც არის, მეორდება შეკითხვები: *ეგებ თვითონ არის ყალბი!?* *ეგებ თვითონ არის ცრუ!?* ბ) მეორდება ელიფსური წინადადებების პარალელური წყვილი *ყველა ყალბი?! ყველა ცრუ?!* გ) ოთხივე წინადადება კითხვა-მახილისაა. *ბეხან აღარ ბლავის. ბეხან აღარ ღმუის. ბეხან არც ტირის* (რობაქიძე, 1989:132) მეტად საინტერესო მაგალითია: საერთო ლოგიკურ-საგნობრივი კომპონენტი (ბეხან); სამივე ზმნა-შემასმენელს უარყოფითი ნაწილაკი ახლავს. სინონიმთა რიგის მნიშვნელობების დაღმავალი გრადაცია: *ბლავის-ღმუის-ტირის*. ოღონდ აქაც დუალიზმს ვაწყდებით: სხვა კუთხიდან თუ შევხედავთ, აღმავალი გრადაციაა. სინონიმთა რიგის ბოლოში მოთავსებული, სემანტიკურად უფრო ნეიტრალური და სუსტი „ტირის“ ცხოველთან მიმართებით ყველაზე ექსპრესიულია.

ანალოგიური ინგლისურენოვანი ნიმუშები:

He realised that she was dead, that she had ceased to exist, that she had become a memory. (Joyce, 1982:128); *მან გაიაზრა, რომ ქალი მკვდარი იყო, რომ მას არსებობა შეეწყვიტა, რომ ის მოგონებად ქცეულიყო.* ზემოთ მოცემულ ორ წინადადებაში, გარდა იმისა, რომ სინონიმია იქმნება მსგავსი შინაარსის ფრაზებით (გამეტა სასიკვდილოდ=მიუსაჯა სიკვდილი; მკვდარი იყო=არსებობა შეეწყვიტა=მოგონებად ქცეულიყო), კიდევ უფრო დიდი რიტმულობის ექსპრესიაა იმის შედეგად, რომ წინადადებებს აერთიანებთ ერთი და იგივე დამხმარე ზმნები ერთ დროში, ერთი და იმავე კითხვითი სიტყვით და ერთი და იმავე ნაცვალსახელით.

The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach (Joyce, 1982:127); მსგავს მსაზღვრელად აქ გვევლინება განსაზღვრული არტიკლი.

დ) ზოგჯერ მთელი წინადადებები სინონიმურ ერთეულებს წარმოადგენს:

არეულია. ამრეზილი. აღრენილი (რობაქიძე, 1989:18); *ლხინობენ. მღერიან. ლაღობენ* (რობაქიძე, 1989:70); *დროსტარება და ქეიფი* (რობაქიძე, 1989:20); *სწეწავს...გლეჯავს...* (რობაქიძე, 1989:49); *მიტოვებული. გარიყული. დაგდებული* (რობაქიძე, 1989:153).

ჩვენს ინგლისურენოვან საანალიზო წყაროებში მსგავსი მაგალითები არ დადასტურდა.

ე) სინონიმების რიტმულობას ასევე აძლიერებს საერთო ზმნისწინი, დერივაციული პრეფიქსები თუ სუფიქსები: *ასე მოგ ზაურობდენ ძველად ჰებრაელთა ტომები: ხალხი:*

უსახლო-უკარო-ულოგინო (რობაქიძე,1989:119), (იხ. დანართი №3.8). მეტი ექსპრესიისთვის, მწერალს ერთი შედგენილი სიტყვა „უსახლო-უკარო“ გაყოფილი აქვს ორ დამოუკიდებელ მარტივ სიტყვად *უსახლო-უკარო* და მათი რიგი და რიტმი გამყარებული აქვს მესამე სიტუაციურად, კონტექსტურად მსგავსი სიტყვით „ულოგინო“. ამგვარად სამჯერ მეორდება უქონლობის პრეფიქს-სუფიქსი „უ-ო“-ც.

ინგლისური ნიმუშები: *His own identity was fading out into a grey impalpable world: the solid world itself, which these dead had one time reared and lived in, was **dissolving and dwindling*** (Joyce,1982:219); *I spent my Saturday nights in New York because those **gleaming, dazzling** parties of his were with me so vividly* (Fitzgerald,1984:129).

ვ) ჩვენ ვიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ რიტმულობა იქმნება არა მარტო თანხვედრილი, არამედ ნაწილობრივი სინონიმების მონაწილეობითაც. მათი საშუალებით ხდება სათქმელის რიტმული აქცენტუაცია და ხაზგასმა, რადგან „სინონიმებს ყოველთვის აქვთ არამსგავსი კომპონენტებიც ან საგნობრივ-ლოგიკური მნიშვნელობით, ან კონოტაციებში. ამდენად, სინონიმური გამეორება საშუალებას იძლევა უფრო სრულად და ყოველმხრივად გაიხსნას და აღიწეროს საგანი“ [Арнольд, 1973:129]. მაგ.: *ნაპრალში შხუის, სჩქევს და ხტის მდინარე* (ლორთქიფანიძე,1958:212) *შხუის=სჩქევს =ხტის*; ამ წინადადებაში სამივე ზმნას სინონიმებად მივიჩნევთ, მით უმეტეს, რომ მათ საერთო ლოგიკურ-საგნობრივი კომპონენტი ახლავთ „მდინარე“. იგივე შეიძლება ითქვას სხვა არაერთ ნიმუშზე (იხ. დანართი № 3.8.).

ინგლისურენოვანი მაგალითები:

*He was conscious of, but could not apprehend, their **wayward and flickering** existence* (Joyce,1982:219); *The quiet lights in the houses were humming out into the darkness and there was a **stir and bustle** among the stars* (Fitzgerald,1984:84)

ზ) განსაკუთრებული რიტმული ექსპრესია იქმნება, თუ სინონიმურ რიგსა თუ წყვილში ერთი მათგანი მაინც არის ემოციურად შეფერილი გამოთქმა, ვინაიდან „ფართო გაგებით, ერთმანეთის სინონიმური შეიძლება იყოს ლექსემები და ფიგურალური გამოთქმები, მაგალითად: *იაფად-ჩაღის ფასად*“ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2008:368]; სტილისტურად დაშორებულ სინონიმურ წყვილში შეიძლება უფრო მეტი მუხტი გაჩნდეს და მივიღოთ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ აღმავალი ან დაღმავალი გრადაცია. მაგ: *ოჰ, ეს თვალები! მთხოვნელნი სიცოცხლის-*

პატარა სიცოცხლის-ერთი პეშვი სიცოცხლის (რობაქიძე,1989:132); აღარ მესმოდა თხელი, ბუმბულივით მსუბუქი ჩაის სერვიზის ნაზი წვრიალი (გამსახურდია, 1959:27); ეს ორმაგი კვნესა კი რაღაც სხვანაირად აბრაზებდა გაბოროტებულ და ცოფმოდებულ სმენას (კოტეტიშვილი.2012:15); ღრიალებდა, გრგვინავდა, გარბოდა გამშაგებული, ყალყზე დგებოდა ფერმკრთალი სტიქიონი (ლორთქიფანიძე,1992:124); მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით; (კოტეტიშვილი.2012:12);

ინგლისურენოვანი მაგალითები:

*Better pass **boldly** into that other world, **in the full glory of some passion**, than **fade and wither** dismally with age (Joyce,1982:219); He had sentenced her to **ignominy**, a **death of shame** (Joyce,1982:129); Now that she was gone he understood how **lonely her life must have been, sitting night after night alone in that room** (Joyce,1982:128); He realised that **she was dead, that she had ceased to exist, that she had become a memory** (Joyce,1982:128);*

თ) მეტად ნიშანდობლივია, როცა „შთაბეჭდილების მოსახდენად მწერალი ხშირად გვთავაზობს კომპოზიციის გზით მიღებულ ტოლადმერწყმულ სინონიმებს“ [გელდიაშვილი, 2010:15]. ამგვარ შემთხვევებს განსაკუთრებით დიდი რიტმულობის ექსპრესია მოაქვთ ტექსტში, რადგან ისინი ხშირად, ამავე დროს, გართიმულიც არიან და ესეც რიტმულობის სასარგებლოდ მოქმედობს:

*მაშ რისთვის არის **მოწყენილ-გაჩუმებული** ყოფილი ენა-ტკბილ მოუბარი, **მომღერალ-მოცეკვავე?** (ლორთქიფანიძე,1958:95); მეტად საინტერესო ნიმუში ორი სინონიმური წყვილით: **მოწყენილ=გაჩუმებული** და **მომღერალ=მოცეკვავე**. მწვანით მოსილი **მთა-გორაკები** (ლორთქიფანიძე,1958:212), (იხ. დანართი №3.8).*

ინგლისურში გვხვდება მსგავსი კომპოზიტები, მაგრამ ისინი სინონიმური წყვილები კი არ არის, არამედ ხმოვნის ცვლილებით მიღებული მსგავსი ჟღერადობის სიტყვებია, რომლებიც ქართულ ფუძე-გაორკეცებულ სიტყვებს შეესაბამება. მაგ.: *flip-flop, pitter-patter, chit-chat, tick-tock, click-clack, splish-splash- რაკა-რუკი, ტარ-ტარი, წიკ-წიკი, შხაპა-შხუპი*. თუმცა, მოძიებულ ინგლისურ მასალაში შეიძლება, ზემოთ მოყვანილი ქართულენოვანი კომპოზიტი სინონიმების ანალოგად ჩავთვალოთ შემდეგი წყვილები (უმეტესადად -და კავშირით გადაბმული, რომლებსაც ერთგვარი მნიშვნელობის გარდა აერთიანებთ ასევე მსგავსი ჟღერადობა ან რითმა: **stir and bustle**

- ფუსფუსი და ფორიაჟი; *The quiet lights in the houses were humming out into the darkness and there was a **stir and bustle** among the stars (Fitzgerald, 1984: 84); **fade and wither**- ჭკნობა და ხმობა; *Better pass boldly into that other world, in the full glory of some passion, than **fade and wither** dismally with age (Joyce, 1982: 219);**

რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის თვალსაზრისით, სინონიმებზე კიდევ უფრო მეტად საინტერესოა **ანტონიმები**. მათ კიდევ უფრო მეტი გამომსახველობა ახასიათებთ. „ანტონიმების არჩევა რიტმის შესაქმნელად დაფუძნებულია თავად ამ საშუალების ბუნებაზე, რომელიც გამოხატავს ანტითეზას, როგორც სტრუქტურის, ისე აზრის მხრივ. ტექსტის რიტმულობის ხარისხი, რომელიც ანტონიმების გამოყენებით არის შექმნილი, დამოკიდებულია ანტონიმური წყვილების რაოდენობაზე და მათი ეს დამოკიდებულება ურთიერთპროპორციულია. ამას გარდა, ანტონიმების გამოჩენას ტექსტში თან ახლავს ფონეტიკური რიტმის შემქმნელი საშუალებები, კერძოდ კი, ის განსაკუთრებული მელოდიკა, რომლის პერიოდული გამეორებაც სრულყოფილ რიტმულ სურათს ქმნის [ინტ. წყარო №16]. ანტონიმური წყვილების უმეტესობა ზედსართავებზე მოდის, შემდეგ მოდიან ზმნები, არსებითი სახელები და ზმნიზედები [ინტ. წყარო №18].

როგორც სინონიმების შემთხვევაში, აქაც ვარჩიეთ, რომ ორივე საკვლევ ენაზე მოძიებული მაგალითები პარალელურად წარმოვადგინოთ. მით უმეტეს, ან იქიდან გამომდინარე, რომ „ანტონიმები ყველა ენაში გვხვდება და ერთნაირი ფუნქციით გამოიყენება...საპირისპირო სიტყვათა დაწყვილება საყოველთაოდ გავრცელებული ზოგადენობრივი პროცესია. მასში თვალნათლივ გამოსჭვივის სიტყვის განმაზოგადებელი ბუნება. მეტყველებაში ანტონიმი ანტითეზაა, უმდიდრესი საშუალება მხატვრული გამომსახველობისა“ [ღლონტი, 1988:64]. ჩვენი აზრით, ანტონიმურ წყვილში, შეიძლება ითქვას, კონცენტრირებულია წინადადების ემოციური მუხტის უდიდესი ნაწილი.

ა) ანტონიმური წყვილების განხილვა დავიწყით მეტად ექსპრესიული და დინამიკური მაგალითით, რომელშიც შესანიშნავად ჩანს ანტონიმის ანტითეზური ბუნება:

„**ახალი** ტფილისი ივსებოდა **ქარხნებით**, **შუქით**, **ახალი** ხალხით; **ერთის მხრივ** **ახალი** ცხოვრება, **ახალგაზრდა** ხალხით, **ახალი** ხერხებით, **შრომით**, **ინდუსტრიით**,

ძალიან ბევრი ინდუსტრიით. მეორეს მხრივ კი ძველი ტფილისი, ძველი ხალხით, ძველი ხერხებით, ლოცვით, ბევრი ლოცვით და სინანულით“ (კოტეტიშვილი.2012:12); ნაწყვეტის ექსპრესიულობას ამყარებს არა მარტო მრავალჯერ განმეორებადი ანტონიმური წყვილი: „ახალი/ძველი“, არამედ ანტითეზისთვის ტიპური, დაპირისპირების, კონტრასტის გამომხატველი ფრაზები: „ერთის მხრივ / მეორეს მხრივ“. ანგრევდა ძველს და აშენებდა ახალ სახლებს (კოტეტიშვილი. 2012:14), ორმაგი ანტონიმური წყვილი ორმაგად ზრდის რიტმულობის ექსპრესიას. ახალი და ძველი თბილისი ისე დგანან ერთმანეთის პირისპირ, როგორც ბუზი და ლომი (კოტეტიშვილი. 2012:12);

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

*Even when the East excited me most, even when I was most keenly aware of its superiority to the bored, sprawling, swollen towns beyond the Ohio, with their interminable inquisitions which spared only **the children and the very old**—even then it had always for me a quality of distortion (Fitzgerald,1984:126); I was **within** and **without**, simultaneously **enchanted** and **repelled** by the inexhaustible variety of life (Fitzgerald,1984:36).*

ბ) განსხვავებით ინგლისური ენისგან, ქართულში უფრო იშვიათად გვხვდება აბსოლუტური ანტონიმური წყვილები: ძველებურად შედიოდა და გადიოდა მოხუცებული მორწმუნე ხალხი ძველ ტაძარში (კოტეტიშვილი.2012:15); ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბედნიერებას;...ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები...(გამსახურდია,1959:7);

მირიანის მარჯვნივ იჯდა თურანელი, მარცხნივ ხატაველი ოქროთი და სპეკალით ალაპლაპებულ ტანისამოსში (ბარნოვი,1943:331); „აი, შენც, გლახაკი ხარ, სულითაც და ხორცილთაც“ (კოტეტიშვილი.2012:11); წელში წვრილი, ბეჭებში სქელი; (ლორთქიფანიძე,1992:123);

ანალოგიური მაგალითები ინგლისურ ენაზე:

*His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the **living and the dead** (Joyce,1982:219);*

*I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going **up and down** his drive (Fitzgerald,1984:126); When he and I were one person,*

*when the fulfilled **future** and the wistful **past** were mingled in a single gorgeous moment—when life was literally a dream (Fitzgerald,1965:62); Only wind in the street, which blew the wires and made the lights **go off** and **on** again as if the house had winked into the darkness (Fitzgerald,1984:64).*

გ) ანტონიმები წყვილებად გვხვდება, განსხვავებით სინონიმებისგან, რომლებიც შეიძლება სამიც და მეტიც შეგვხვდეს ერთად. „ანტონიმები ქმნიან ჩაკეტილ მიკროსისტემებს, რომლებსაც ანტონიმური წყვილების სახე აქვთ [გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია, 2008:369]: *საშინელი სისასტიკე და უმძაფრესი სიტკბო (რობაქიძე,1989:16); ტფილისი გოგირდის აბანოთი იწყება და გოგირდის აბანოთი თავდება (რობაქიძე,1989:208); თვალებით თითქოს გეუბნება: მე ვიცი და შენ არ იცისაიდუმლო (რობაქიძე, 1989:11);*

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

*I was **within** and **without**, simultaneously **enchanted** and **repelled** by the inexhaustible variety of life (Fitzgerald,1984:36); ანტონიმების ორ-ორი წყვილი: **within /without, enchanted /repelled;***

*In his blue gardens **men** and **girls came** and **went** like moths among the whisperings and the champagne and the stars (Fitzgerald,1984:38); კვლავ ორ-ორი წყვილი: **men /girls , came /went.***

დ) სინონიმების დარად, საერთო სიტყვით გაერთიანებული ანტონიმებიც უფრო მეტ ექსპრესიას გამოხატავენ და ამგვარად, კონტრასტიც უფრო მკვეთრია: *ჩვენს დიმილსა და ჩვენს ცრემლებს; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები (გამსახურდია,1959:7); რას ეტყვიან ეს შეხვედრანი და ეს გაცილებანი პატარა გულს რომელიც სუსხდასხმული ჩიტივით ფართქალობს ქალის აზიდულ მკერდში?! (რობაქიძე, 1989:48); მაგრამ შხამი კი, მაგრამ მალამო კი უცვლელად, შეუსუტებლად დარჩება (ლორთქიფანიძე,1992:110).*

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

*His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219); The bored, sprawling, swollen towns beyond the Ohio, with their interminable inquisitions which spared only **the children** and **the very old** (Fitzgerald, 1984:126).*

ე) რიტმულობის ექსპრესიას ზრდის მორფოლოგიურად ერთნაირად გაფორმებული ანტონიმური წყვილები. ამას გარდა, „ანტონიმურ და სინონიმურ კონსტრუქციებს ხშირად ახლავს სინტაქსური პარალელიზმი...ისინი ერთ გრამატიკულ ფუნქციასაც ასრულებენ, რადგან წინადადების ერთგვარი წევრები არიან“ [ინტ. წყარო №16].

ან რაღას ეტყვის ამიერ პატარა გულს მზის ამოსვლა ან მისი ჩასვლა?! (რობაქიძე, 1989:48);

რას ეტყვიან ეს შეხვედრანი და ეს გაცილებანი პატარა გულს რომელიც სუსხდასხმული ჩიტივით ფართქალობს ქალის აზიდულ მკერდში?! (რობაქიძე, 1989:48); ფარულათ გედევანი ცთილობდა აღედგინა სამეფო, გაედევნა მტერი, ტახტზე აეყვანა მის გრძნობათა და აზრთა დედოფალი (ლორთქიფანიძე, 1958:96); ფერად-ფერადი ბუმტები უჩნდებოდა და უქრებოდა თვალებში (კოტეტიშვილი. 2012:11); ჯერ ისიც შენელებული. შემდეგ გაქანებული. შემდეგ ქედ-გა-ზნეილი. ბოლოს ქედ-ა-მართული (რობაქიძე, 1989:37).

ამგვარი ინგლისური ნიმუშები მცირეა: *I was **within** and **without**, simultaneously **enchanted** and **repelled** by the inexhaustible variety of life (Fitzgerald, 1984:36); Like the descent of their last end, upon all **the living** and **the dead** (Joyce, 1982:219).*

ვ) სინონიმთა დარად, ანტონიმური წყვილიც რაც უფრო სხვადასხვა შეფერილობისაა სტილისტურად, ემოციური მუხტიც და ექსპრესიაც უფრო მეტია. განსაკუთრებით თუ ანტონიმური წყვილები ფრაზებით არის გადმოცემული. ჩვენ მიერ მოძიებულ ქართულენოვან მაგალითებში ასე მხატვრულად გაფორმებული ანტონიმური წყვილი არ შეგვხვდა, რაც იმას არ ნიშნავს, რომ მსგავსი რამ არ არსებობს. აღსანიშნავია შემდეგი ინგლისურენოვანი მაგალითი, რომელიც მთლიანად ანტითეზას წარმოადგენს:

*Better pass **boldly** into that other world, **in the full glory of some passion**, than **fade and wither** **dismally** with age (Joyce, 1982:219).* უმჯობესია, ვაჟკაცურად დასტოვო საწუთრო და ვნებით გულაგზნებული წახვიდე იმ ქვეყნად, ვიდრე წლიდან წლამდე დაჰკნე, საწყალობლად დაჩაჩანაკდე (ჯოისი 1984: 205). ამ წინადადებაში ორი-ორი სინონიმური წყვილია, მაგრამ ერთმანეთთან მიმართებაში ანტონიმებს ანუ მთლიანობაში ანტითეზას წარმოადგენენ: ვაჟკაცურად =ვნებით გულაგზნებული / დაჰკნე=დაჩაჩანაკდე.

ანტონიმების შემთხვევაშიც გვხვდება ე.წ. კონტექსტუალური ანტონიმები:

საშინელი სისასტიკე და უმძაფრესი სიტკბო (რობაქიძე, 1989:16); სიამაყე და დარცხვენა-ერთად (რობაქიძე, 1989:214); დუღუკებმა ამ დროს ბრაზიანი და გამამხნევებელი საჭიდაო დაჰკრეს (კოტეტიშვილი.2012:16);

მაგალითები ინგლისურენოვანი წყაროებიდან:

*I see it as a night scene by El Greco: a hundred houses, at once **conventional and grotesque**, crouching under a sullen, overhanging sky and a lustreless moon (Fitzgerald,1984:126); The bored, sprawling, swollen towns beyond the Ohio, with their interminable inquisitions which spared only **the children and the very old** (Fitzgerald,1984:126).*

ზ) ანტონიმურ წყვილში, კონტრასტიდან გამომდინარე, ინტონაციის ხაზი უფრო მკვეთრია, მელოდიურია, ვიდრე სინონიმებთან, რადგან ამ უკანასკნელის შემთხვევაში ერთ სემანტიკურ სიბრტყეზე მიდის თხრობა, „ანტონიმური კონსტრუქციებისთვის დამახასიათებელია გარკვეული მელოდიკა, რომლის გამეორებაც ფონეტიკურ დონეზე ტექსტის რიტმის აღქმას აძლიერებს“ [ინტ.წყარო №16]. მაგ.: *აწრიალებული თვალები ხან ემღვრეოდნენ, ხან უბრწყინავდნენ (კოტეტიშვილი.2012:8);* მეტად საყურადღებო მაგალითია. რიტმულობის განცდას ხელს უწყობს სემანტიკა (თვალები ემღვრეოდა, მერე უბრწყინდებოდა, მერე ისევ ემღვრეოდა და ა. შ.) და ფორმითაც (მაცალკევებელი კავშირები „ხან-ხან“); *ფერად-ფერადი ბუმტები უზნდებოდა და უქრებოდა თვალებში (კოტეტიშვილი.2012:11); ქსელებში გახლართული წარმოუდგენელ ტანჯვასა ვგრძნობ და უტკბეს ნეტარებას (ლორთქიფანიძე,1992:109);*

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

*I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going **up and down** his drive (Fitzgerald,1984:129); Only wind in the street, which blew the wires and made the lights **go off and on** again as if the house had winked into the darkness (Fitzgerald,1984:64).*

თ) ქართულენოვან მაგალითებში, ანტონიმების შემთხვევაშიც გვხვდება კომპოზიტები:

დღესასწაული თან ალებ-მიცემის ადგილი იყო (ბარნოვი,1943:344); გედევანმა დაიჩოქა, აიღო ცოცხალ-მკვდრათ მუხლებზე დაყრილი ხელი დედოფლისა

(ლორთქიფანიძე,1958:98); *მიყრილ-მოყრილი* პაპიროსის ნამწვები და ფერფლი (ლორთქიფანიძე,1992:118); *მაშ* რისთვის არის *მოწყენილ-გაჩუმებული* ყოფილი ენატკბილ მოუბარი (ლორთქიფანიძე,1958:95).

ჩვენი აზრით, ამგვარ ქართულ მაგალითებს შეიძლება შევუფარდოთ შემდეგი:

*I was **within** and **without**, simultaneously enchanted and repelled by the inexhaustible variety of life (Fitzgerald,1984:36); In his blue gardens men and girls **came** and **went** like moths among the whisperings and the champagne and the stars (Fitzgerald,1984:36); Only wind in the street, which blew the wires and made the lights **go off and on** again as if the house had winked into the darkness (Fitzgerald,1984:64); I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going **up and down** his drive (Fitzgerald,1984:129).*

ზემოთ თქმულის შესაჯამებლად, როგორც გამოვლინდა, სინონიმური და ანტონიმური წყვილები ორივე საკვლევ ენაში მეტად ხელსაყრელი ლექსიკო-სემანტიკური საშუალებაა რიტმულობის ექსპრესიის გამოსახატავად. მათ შორის თითქმის სრული დამთხვევაა ამ საშუალებათა როგორც მნიშვნელობის, ისე ფუნქციის მხრივ. ჩვენი აზრით, სინონიმური და ანტონიმური მწკრივები ერთ-ერთ ყველაზე თავისუფალი, მოქნილი ნაწილებია წინადადების. ისინი თითქოსდა გარკვეული ავტონომიით სარგებლობენ. რა თქმა უნდა ისინი სინტაქსურად, ვალენტური კავშირებით დაკავშირებულნი არიან წინადადების დარჩენილ წევრებთან/ნაწილთან, მაგრამ როგორც დეტალიზაციის, დაპირისპირების, ექსპრესიის გამოხატვის ჩინებული ხერხი, ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით შეიძლება თავისუფლად გაიზარდოს (სინონიმური მწკრივი) ან რამდენიმე ანტონიმური წყვილით წარმოჩინდეს (რომელთა შორის სინონიმური დამოკიდებულება იქნება).

§ 4. არქაიზმები, დიალექტიზმები და უცხოენოვანი სიტყვები

რიტმული პროზის ექსპრესიის გამოსახატავად გარკვეულ როლს ასრულებენ სტილისტურად შეფერილი ისეთი სიტყვები, როგორიცაა: **არქაიზმები, დიალექტიზმები, უცხოენოვანი სიტყვები**. მათ არა მარტო უცხო ელფერი და „სურნელი“ შემოაქვთ ტექსტში, არამედ თავიანთი პერიოდული გამოჩენით

გარკვეულ რიტმსაც ქმნიან. რაც უფრო ხშირია მათი გავრცელება ნაწარმოებში, უფრო მეტია მათ მიერ შექმნილი რიტმულობის ხარისხიც. საყურადღებოა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ინგლისურენოვანი ტექტები არ გამოირჩევა არქაული ლექსიკის გამოყენებით. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ყველა ავტორს შერჩეული აქვს მათი თანამედროვე ეპოქის აღწერა და, ამდენად, არ სჭირდებათ ისტორიული მოვლენების გასაცოცხლებლად არქაული ლექსიკონის გამოყენება. არც დიალექტიზმები და უცხო სიტყვები შეგვხვდა.

ქართულენოვანი საანალიზო წყაროებიდან მსგავსი ლექსიკური საშუალებებიდან ყველაზე ხშირად გვხვდება, როგორც არქაიზმები, ასევე დასავლეთ საქართველოსთვის დამახასიათებელი **დიალექტიზმები**. გვხვდება ასევე ძველი თბილისისათვის დამახასიათებელი **სალაპარაკო ენის** ნიმუშები. ზოგი მწერალი (მაგ., გრ. რობაქიძე) ცდილობს ქართულში დამკვიდრებული უცხო სიტყვები (განსაკუთრებით სპარსული და ევროპული ენებიდან შემოსული) თავდაპირველი ჟღერადობით მოიხსენიოს. ნეიტრალურ ქართულ სალიტერატურო ენაში მრავალფერი შეფერილობისა და ჟღერადობის სიტყვების გამოყენება რიტმულობის ექსპრესიას მეტად აძლიერებს.

არქაიზმები—მრავალ არქაულ სიტყვას წმინდა წიგნების ან ძველი ქართული ტექსტების სურნელი დაჰკრავს, ზოგიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ ლექსთან გვაბრუნებს. მწერლის არჩევანი, გამოიყენოს არქაიზმები, განპირობებულია ისევ და ისევ ნათქვამის გამოსაკვეთად და ხაზგასასმელად. საგანგებოდ შერჩეული არქაული ლექსიკა არა მარტო სემანტიკურად შეესაბამება ტექსტის შინაარსს, არამედ ჟღერადობითაც სათქმელი სხვა, ამაღლებულ განზომილებაში გადაჰყავს. ნიმუშები: *ტაიჭნი ძვირფასად იყვნენ შეკაზმულნი, სხვადასხვა ფერად (ბარნოვი, 1943:235); ტილოს კვართი უსახელო, შალის ვარმანდი, შალისავე თავსარქმელი კალთებიანი, ხამლები ფეხზედ (ბარნოვი, 1943:265); დავკრძალოთ იქვე წიგნთა სიმრავლე (ბარნოვი, 1943:340); ქიმერების თავები ირხევიან როგორც შექანებულნი თაველნი (რობაქიძე, 1989:57), (იხ. დანართი №3.9).*

დიალექტიზმები—ჩვენს შემთხვევაში დასავლეთ საქართველოსთვის და ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი მეტყველება—ნეიტრალური სალიტერატურო

ქართული ენის ფონზე გაჟღერებული კუთხური მეტყველება თავისებურ რიტმულ-მელოდიკურ ელფერს აძლევს ნაწარმოებს:

- წელს ციცქამ უფრო ივარგა. აბა ნახე...
- კრახუნა რას შობა?! (რობაქიძე, 1989:139);
- საფერე რას გიშობა?!
- კვიმატიანია...ამ ადგილს არავინ ევარება (რობაქიძე, 1989:154), (იხ. დანართი №3.10).

შემდეგი მაგალითები კი გაჟღენთილია ძველთბილისური, ზოგჯერ ე.წ. „ყარაჩოღლური“ მეტყველებით:


„კარები გადამირაზეს! მასხრად მიგდებენ? ჰა, გოჩმან, ფრთხილად, აქ სხვა რამე არ გამოვიდეს? ჰა-ჰა, აბა არ გამასხარავდეს კარგად გაკეთებული საქმე“ (კოტეტიშვილი. 2012:13); „ძმებოჯან! ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ყისმათს, რომელი ყისმათიც რომა კაცს არ დაკარგავს. ...ძნელი ყოფილა ძმებოჯან ყისმათის აცდენა. რომელი ყისმათიც რომა კაცს ასცდება. მაგრამ ყისმათის პოვნას სულ მუდამ გაუკეთებია კაცი. გაუმარჯოს გოჩმანას და იმის ყისმათს!“ (კოტეტიშვილი. 2012:8), (იხ. დანართი №3.10).

შეიძლება ითქვას, რომ რიტმულად ჩნდებიან ნაწარმოებში უცხო ენებიდან შემოსული სიტყვები. ოღონდ, საყურადღებო ის არის, რომ ისინი უცხოური ჟღერადობით შემოაქვს ავტორს: *რასსა შეურეველი და ხალასი* (რობაქიძე, 1989:214); *ვაჟი აქეთ-იქით იხედება: არავინაა-(ევროპიელს ეშინია სხვისი თვალის)* (რობაქიძე, 1989:157); *სპლინმორეული მეეზოვე ვარსკვლავებს ითვლის* (რობაქიძე, 1989:216), (იხ. დანართი №3.11).

შეჯამებისთვის: არქაიზმებიც, დიალექტიზმებიც და უცხო სიტყვებიც ასრულებენ თავიანთ ძირითად სემანტიკურ ფუნქციას–სახელდებას, აღნიშვნას განსხვავებული ფორმით. სტილისტურად კი–თავიანთი განსხვავებული ბგერწერის და ემოციური ელფერის წყალობით ტექსტში გაბნეული ამგვარი სიტყვები თავისებურ რიტმულ აქცენტებს სვამენ და ამგვარად ავსებენ ნაწარმოების მთლიან რიტმულ ქსოვილს.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ორივე საკვლევ ენაში დაახლებით თანაბარი რაოდენობით გამოვლინდა ყველა ზემოთ ნახსენები ლექსიკური საშუალება (იხ. სქემა № 3).

სქემა № 3 რიტმულობის შემქმნელი ლექსიკური მოცემულობები



თავი 4

თარგმანში გამოვლენილი მსგავსებები და განსხვავებები

წინამდებარე თავში ჩვენი მიზანია თარგმანების მეშვეობით წარმოვაჩინოთ, რამდენად შესაძლებელია ორიგინალში არსებული რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის საშუალებების გადმოტანა თარგმანში ა დ ე კ ვ ა ტ უ რ ა დ ე ნის სხვადასხვა–ფონეტიკურ, მორფოლოგიურ, სინტქსის და ლექსიკის დონეზე.

თარგმანის ბევრი თეორეტიკოსი თვლის, რომ სრულყოფილი თარგმანი შეუძლებელია, მით უმეტეს, თუ საქმე პოეზიის თარგმნას ეხება. რიტმული პროზა კი მეტად ახლოსაა პოეზიასთან, როგორც სტრუქტურულად, ისე შინაგანი ინტონაციებითა და ემოციური მუხტით. მთავარი ეჭვი და საზრუნავი ამ თეორეტიკოსებისა მდგომარეობს შემდგომში: ხომ არ იკარგება რაიმე მნიშვნელოვანი სათარგმნი ტექსტიდან? მოხდა თუ არა ადეკვატურად გადატანა იმ მხატვრული ხერხებისა, რაც ქმნის დედნის უნიკალურობას და ორიგინალობას? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოვიყენეთ შედარება–შეპირისპირების, ანალიზის და, რა თქმა უნდა, „ველთბილდის“ (გერმ. *Weltbild* „სამყაროს სურათი“) მეთოდები. ჩვენი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს უკანანსკნელი მეთოდი, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი მიზანია ქართული და ინგლისური ენების „სემანტიკური კულტურების, ანუ მათში მოცემული „სამყაროს სურათის“ სისტემური შეპირისპირება“ [ნათაძე, 1986:5].

დედნისეული და თარგმანის რიტმული მონაკვეთების შედარება–შეპირისპირებისას ამოსავალი წერტილი იყო შემდეგი: რამდენად არის შესაძლებელი რიტმულობის შემქმნელი ერთი დონის ენობრივი ერთეულების ერთი ენიდან მეორეზე იმავე ან სხვა დონის ერთეულებით გადათარგმნა, ვინაიდან „ენების სამყაროს სურათი „ველთბილდი“ გულისხმობს სამყაროს, ანუ ერთი და იმავე გარე სინამდვილის, თავისებურ, ამ ენებისათვის სპეციფიკურ სეგმენტაციას–რა მნიშვნელობებს და მნიშვნელობათა რა და რა ნიუანსებს არჩევს ენა სხვა ენების მსგავსად ან მათგან განსხვავებით. ეს სეგმენტაცია ანუ დანაწევრება ხდება უსასრულო რაოდენობის განზომილებებში, რომელთაგან თითოეული ცალკეულ „სტრუქტურას“ ქმნის. ზოგჯერ უბრალოდ დაჯამებული, ზოგჯერ სტრუქტურულად

შეკავშირებული ასეთი „სტრუქტურების“ ერთობლიობა შეადგენს სწორედ ენაში მოცემულ „სამყაროს სურათს“ [ნათამე, 1986:6].

თარგმანის შედეგის შეფასება მოგვიწია რიტმულობის ხარისხის და რიტმულობის გავრცელების თვალსაზრისით. ჩვენს შემთხვევაში, სწორედ რიტმულობა წარმოადგენს ტექსტის გამორჩეულ ნიშანს, რაც ყველაზე მეტად იყო თარგმანის დროს გასათვალისწინებელი. რამდენადაც მხატვრული თარგმანი შემოქმედებითი პროცესია, თანაც მეტად რთული პროცესი, მისი შეფასებისას იგივე კანონები უნდა გამოვიყენოთ, რაც ორიგინალის შემთხვევაში [ფანჯიკიძე, 1980:8].

§1. რიტმული პროზის ქართულიდან ინგლისურად თარგმნის ნიშანდობლიობები (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის დონეზე)

თავიდანვე ხაზგაგასმელია ის ფაქტი, რომ სათარგმნ ნიმუშებად შერჩეულია გამორჩეულად რიტმული პროზის ნიმუშები, რათა უფრო თვალსაჩინო ყოფილიყო თარგმანში რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველი ამა თუ იმ ლინგვისტური საშუალების თავისებურებათა წარმოჩენა. საანალიზო წყაროებად რჩება იგივე ნაწარმოებები, რომლებზეც წინა თავებში ვიმუშავეთ. შევეცადეთ, რიტმული პროზის ექსპრესიის თარგმანში გადატანის შესაძლებლობები გვეჩვენებინა, როგორც ცალკეული წინადადების, ასევე მთელი აბზაცის დონეზე.

ფონეტიკის დონეზე დაკვირვებამ ცხადყო. რომ თარგმანში შენარჩუნებულია რიტმულობის შემქმნელი იგივე ფონეტიკური საშუალებები (და არა ზუსტად იგივე ბგერის ან ხმოვნის ალიტერაცია ან ასონანსი). პროზის რიტმულობის ექსპრესია გამოხატულია ფონეტიკური საშუალებებით:

მწყაზარ ლოყებზედ ვარდი უყვოდა ხვარამზეს (ბარნოვი, 1943:331); სახეზეა [ყ][მ][ზ][ვ] ბგერების ალიტერაცია, [ა] ხმოვნის ასონანსი, *ზარ-ვარ*, *ბზე-მზე* შინაგანი რითმა.

There was a rose blooming on the lovely cheeks of Khvaramze. ალიტერაცია [z][l], ასონანსი [o], *there was -a rose* [ðɛər wɒz- ə rəʊz] სარკისებური ალიტერაცია, ასევე *there was-a rose-aramz* შინაგანი რითმა;

მწვანე ქოშები წითური ქუსლებით (რობაქიძე, 1989:14); [წ-ქ-წ-ქ] ბგერების ჯვარედინი ალიტერაცია;

Green slippers with red heels. შენარჩუნდა სხვა ბგერების ჯვარედინი ალიტერაცია (ამჯერად სამგზის) [r-l-z-r-l-z]. კეთილხმოვანება შეავსო გრძელი და მოკლე [i]-ს ასონანსმაც [gri:n - hi:l] [slɪpərz - wið], (იხ. დანართი №4.1.).

როგორც აღვნიშნეთ, ქართულის რიტმი მარცვლურია, ხოლო ინგლისური ენისა დამოკიდებულია მახვილზე. აქედან გამომდინარე, მეტად საინტერესო იყო შემდეგი რიტმული მონაკვეთის თარგმანი, რომელიც ლამის პოეზიას აღწევს შინაგანი რითმის, ალიტერაციის, კონსონანსისა და ასონანსის მეშვეობით:

*პირველ ყოფილის სიმშვენიერით სავსე ბუნება/
უფროდაუფრო მკაცრის სახით ევლინებოდათ./
უფსკრულნი ხევნი, უღრანი ტყე ღრუბელთ საყრდნობი,/
სახიფათო წავარნები, სად მთის ნადირს/
მხოლოდ ეძლო ლალი რონინი./
მიმხლტომის მტკვარის ქაფავარდნილ ჩანჩქერების ხრიალს/
ამრავლებდა სალ კლდეების მოძახილი ფერადხმიანი (ბარნოვი, 1943:261).
They found the **nature full of beauty as on the first day of creation**/ [n][f][ei]
Yet, **growing more and more morose**/ [r][mor][ou]
With **abysses and gorges and dense woods where clouds used to settle**./ [s][z]
Hazardous slopes where mountain animals alone./ [z][s][m][l][n][ou]
Could freely roam./
Where the **roar of the foamy waterfalls of the wild river**/[r][w]
Was **echoed by the multihued cry of the cliffs**./ [k].*

მორფოლოგიის დონეზე მრავალი გრამატიკული კატეგორიის გამოყენება იძლევა რიტმის შექმნის საშუალებას. მაგ. მრავლობითი რიცხვის ფორმაში ჩასმული არსებითი სახელების, ზედსართავების, მიმღეობების უბრალო ჩამოთვლაც კი აძლიერებს რიტმულობის ექსპრესიას და ეს რიტმული დინამიკა თარგმანშიც შენარჩუნებულია:

დუქნები. ფარდულები ...უთვალავი ქსოვილი. ფარჩეული. აბრეშუმეული. ქაშემირი.
... ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები. ...ნოხები...ხალები. ... ფარდაგები. ფლასები.
ჭილობები (რობაქიძე,1989:13)

*Inns, stalls...numerous fabrics. Brocade, silk, cashmere...cups, bowls, jugs, pitchers...carpets,
rugs, mats, covers.*

სამწუხაროდ, თარგმანში იკარგება ის ექსპრესია, რაც ნართან-იან მრავლობითში ჩასმულ არსებით სახელებს, მიმღებებს გააჩნიათ. თარგმანში რიტმულობის ექსპრესიის შესანარჩუნებლად მივმართეთ სხვადასხვა საშუალებას. მაგ.:

გრძელნი ფლორენციულნი ფეხნი თეთრი ნაკადულის ორ მაგარ ტევრად ჩამოხეთქილნი (რობაქიძე, 1989:32). *Long Florentine legs like two mighty torrents of a white river.* ალიტერაციის [l] [r] [t] და ასონანსის ხარჯზე [o] [ai].

არნახული და არგაგონილი კარნავალები (კოტეტიშვილი. 2012:11); *Unseen and unheard carnivals*—ქართულ არქონის მაწარმოებელ პრეფიქსს წარმატებით ჩაენაცვლა ანალოგიური ინგლისური პრეფიქსი და ამ მხრივ სიზუსტით მოხდა თარგმანში მორფოლოგიური კატეგორიის გადაატანა; *არეულია. ამრეზილი. აღრენილი* (რობაქიძე,1989:18); *He is unsettled, unfriendly, unhappy.* ორიგინალის სამი საერთო პრეფიქსიანი მიმღებობის რიტმის გადატანა მოხერხდა შესაბამისი იდენტური უარყოფითი პრეფიქსით.

გოგო მიჰყვება: აწითლული და ალექილი (რობაქიძე,1989:243); *The girl is following him: aflame and afire.* მეტად საინტერესო მაგალითი: ერთგვარად ნაწარმოები მიმღებობების წყვილი გადაითარგმნა ანალოგიურად ნაწარმოები მდგომარეობის გამომხატველი სიტყვებით, რომლებსაც დაერთვით პრეფიქსი *a*. რიტმულობას აძლიერებს [f] ბგერის ალიტერაციაც.

გამოშრა მიწა, გახმა, დაიშაშრა, დასქდა (ბარნოვი,1943:342); *The ground grew dry, barren, parched, cracked.* დანაკარგის გარეშე გადავიდა მეორე ენაზე ეს წინადადებაც. წყვეტილის სერიაში მყოფი ზმნა-შემასმენლების მწკრივი შესაბამისად ითარგმნა მარტივ წარსულ დროში ჩასმული ზმნებით.

ნაპრალში შხუის, სჩქევს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958: 212); *Rushing, splashing and leaping runs the river in the crevice.* რიტმს ქმნის სემანტიკურად მეტად

დინამიკური ზმნა-შემასმენლები ერთ დროში, ერთნაირი სუფიქსით (-ing) გაფორმებულები.

ლხინოზენ. მღერიან. ლაღობენ (რობაქიძე, 1989:70); *They are **feasting, singing, having fun.*** იგივე შეიძლება ითქვას ამ წინადადებაზეც. ზმნა-შემასმენლები აწმყო დროში შესაბამისად აწმყო განგრძობით დროში ითარგმნება; ჩამოთვლის რიტმი შენარჩუნებულია (იხ. დანართი №4.2.).

თარგმნისას ვერ ხერხდება ადეკვატურად გადატანა ისეთი ხშირი შემთხვევებისა, როდესაც რიტმულობის შექმნის გულისთვის ავტორი იჩენს სიტყვათა მიმართ თავისებურ დამოკიდებულებას; აქ რიტმულობა უნდა შენარჩუნდეს სხვა ლინგვისტურ დონეზე. მაგ.:

მოზრდილი ადგილი ტოტთა კარავ ქვეშ (ბარნოვი, 1943:303); *A large place below the shadow of the branches.* თარგმანში რიტმულობას ამყარებს [l] ბგერის ალიტერაცია და [ou] დიფთონგის ასონანსი; *ყვავილები გარდემალათ ახალნორჩ გულში* (ბარნოვი, 1943:347);

The flowers blossomed in their young hearts. თარგმანში რიტმულობის ექსპრესია ალიტერაციამ გამოხატა [l].

რიტმულობა ორიგინალშიც, ასევე თარგმანშიც შექმნილია ჩამოთვლით და თანდებულის გამეორებით: *საათები ბინის კედლებზე, საათები მოედნებზე, საათები რკინის გზის სადგურებზე, საათები ეკლესიის გუმბათებზე და სატრიუმფო კიშკრებზე* (გამსახურდია, 1959:7); *The clocks on the house walls, the clocks on the squares, the clocks on the railway stations, the clocks on the church domes and on the triumphal arches, ჩემს ხანგრძლივ უძილარ ღამეებში, მარტოობაში და უცხოობაში ისინი რეკავენ, რეკავენ ...* (გამსახურდია, 1959:7);

They are ringing and ringing in my endless, sleepless nights, in solitude and in separation from home-Anderson, რიტმულობას აძლიერებს თარგმანის ალიტერაციაც [l] [s]. *უკვე ქალაქში ვარ, უკვე სინათლეში ვარ* (გამსახურდია, 1959:13); *Already I am in town, already I am in light* (იხ. დანართი №4.3.).

შედარებით უფრო რთულად გადადის თარგმანში რიტმულობის ხელისშემწყობი ხერხი პარონომასია. მათგან იმავე სახით მხოლოდ ცალკეული შემთხვევების

გადატანა მოხერხდა, დანარჩენის რიტმულობის შენარჩუნება კი სხვა გზით ვარჩიეთ. მაგ.:

ძალა შესწევდა ქადაგის ქადილს (ბარნოვი,143:311); The preachings of the preacher were influential; There spoke a wordless speech of love between them. თარგმანში ზუსტად ვერ გადავიდა უსიტყვო სიტყვა მაგრამ ნაცვლად გაჩნდა ახალი პარონომასიული წყვილი ინგლისურენოვან წინადადებაში. **spoke** და **speech**-ს საერთო ფუძე აქვთ (იხ. დანართი №4.4.).

სინტაქსის დონეზე სხვადასხვაგვარ რიტმულობას ქმნიან სახელდებითი, მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებები. თითოეული მათგანის თარგმნისას მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ სინტაქსური მოცემულობებით შექმნილი რიტმი ადეკვატურად და იმავე საშუალებებით გადასულიყო სამიზნე ენაზე. მოვიყვანოთ მარტივი და სახელდებითი წინადადებების ნიმუშები:

ულრანი ტყე ღრუბელთ საყრდნობი (ბარნოვი, 1943:261); Dense woods, dwellings of clouds. ამ შემთხვევაში სახელდებითი წინადადება შენარჩუნდა და ფონეტიკური საშუალებებიც. ჩვენი ყურადღების საგანი ამჯერად სინტაქსური სტრუქტურებია, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიეთ, აღგვინიშნა, რომ ექსპრესიის გამოხატვა გაძლიერებულია ფონეტიკურადაც (იხ. დანართი №4.5.).

ქართული რიტმული პროზისთვის ესოდენ დამახასიათებელი უსრული წინადადება ვერ გადავა ინგლისურ ენაზე უცვლელად, რადგან ანალოგი არ არსებობს ამ ენაზე. ქართული წინადადებიდან გამომდინარე, თარგმანში გაჩნდება ქვემდებარე, არსებითი სახელით ან უმეტესად ნაცვალსახელით გამოხატული. მაგ. *შეჰყვნენ ისევ მტკვარს (ბარნოვი,1943:261); Again they went up along the Mtkvari.* ქვემდებარე გაჩნდა, მაგრამ დაიკარგა ექსპრესია რასაც სწორედ უქვემდებარობა იწვევდა. *საღამოჟამს ბერლინიდან გავედი (გამსახურდია,1959:11); I left Berlin in the twilight.* წინადადების რიტმულობა ნაწილობრივ შეავსო საღამოჟამის უფრო ემოციურმა ეკვივალენტმა twilight (ბინდი), ე.ი. ექსპრესია გაჩნდა ლექსიკურ და ასევე ფონეტიკურ დონეზე; [1] ბგერის ალიტერაცია.

ქართული ერთწევრიანი, მხოლოდ ზმნა-შემასმენლისგან შემდგარი წინადადება, ასევე, ვერ პოულობს ზუსტ ანალოგიურ სტრუქტურას ინგლისურში. ერთწევრიანი წინადადების თარგმნისას რთულია სხვა ენობრივ დონეზე გამოვხატოთ

რიტმულობა, მაგ. *უხმეს; They summoned him. მოვიდა; He came. (ბარნოვი, 1943:311)*
შევსვენო; I need to have a rest. ბნელდება; It is getting dark (გამსახურდია, 1959:11)
და სხვ. ამდენად, უნდა შევეგუოთ დანაკარგს და რიტმულობის ექსპრესია სხვა
წინადადებების ხარჯზე შევავსოთ.

თუმცა, ინგლისურ ენაშიც ხშირია ქვემდებარისა და ზმნა-შემასმენლის
ინვერსიული წყობა, ქართული ენიდან მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციების
თარგმანი გარკვეულ ცვლილებებს საჭიროებს, რაც ნიმუშებითაც დადასტურდა. მაგ.:
ემზადებოდა კეისარი ლაშქარში წასასვლელად (ბარნოვი, 1943:265);

In preparation to join the army was the Ceasar. მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება
გრამატიკულად სწორია, მაინც ცოტა ხელოვნურად გამოიყურება მისი წყობა. *უწყო
დედოვალმა გამოკითხვა (ბარნოვი, 1943:250); Began the Queen to inquire.* ინვერსიით
გამოხატულ ექსპრესიას აძლიერებს [n] [k] ბგერების ალიტერაციაც.

ცას მოჰშორდა ვეშაპი შავი (ბარნოვი, 1943:352); Off went the black monster from the sky.
ინვერსია შევინარჩუნეთ, მაგრამ თარგმანში დაიკარგა ინვერსია მსაზღვრელ-
საზღვრულს შორის. როგორც ცნობილია, ინგლისურ ენაში მსაზღვრელ-საზღვრულს
შორის პოსტპოზიცია უმეტესად მაშინ გვხვდება, როცა მსაზღვრელი
მრავალმარცვლიანია. მაგ. *The envoy extraordinary* ან ორი მრავალმარცვლიანი
მსაზღვრელის შემთხვევაში. მაგ. *The envoy extraordinary and plenipotentiary.*
კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება „შავისთვის“ „შესაზარიც“ დაგვემატებინა
და მით რიტმულობისატვის საჭირო ის დამატებითი მარცვლი ამგვარად შეგვეძინა.
მაშინ თარგმნილ წინადადებას ასეთი სახე ექნებოდა: *Off went the monster, black and
dreadful, from the sky.* ან: *Off went from the sky the monster, black and dreadful.* (იხ.
დანართი №4.6.).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ინვერსია მსაზღვრელ-საზღვრულს შორის
ყოველთვის ვერ გადადის თარგმანში წარმატებულად. შევეცადეთ
შეძლებისდაგვარად გამოგვეკვეთა ამ გზით შექმნილი რიტმულობა. სადაც ეს ვერ
მოხერხდა, რიტმულობის გამოხატვა სხვა ენობრივ დონეზე ვცადეთ. მაგ.:

აღმოსავლეთ მხარეს ლოდი ვეება (ბარნოვი, 1943:303); To the west a rock enormous;

ჩაღდა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული (ბარნოვი,1943:342); *And returned to its bed the river Aragvi serene once again;* [r] ბგერის ალიტერაცია და [i] ხმოვნის ასონანსი.

მიუჭდა ბრძოლა საზარელი (ბარნოვი,1943:352); *And over was the fight frightening and dreadful;* რიტმულობის აქცენტის გადაწევის მიზნით, თავს უფლება მივეცით, ეპითეტი „საზარელი“ გაგვეორმაგებინა, მით უმეტეს, რომ ნაწარმოებში აღწერილი, მართლაც, შესაზარი ბრძოლის სურათი ამის საშუალებას იძლევა; ამას ემატება [f] ალიტერაცია [ai] ასონანსი [fait- frait] შინაგანი რითმი (იხ. დანართი №4.7.).

წარმატებულად გადავიდა თარგმანში რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველი ის საშუალებები, რომლებიც ტექსტის მოდალობის მაჩვენებელია; ერთიმეორის მიყოლებით განლაგებული კითხვითი და ძახილის წინადადებები თუ რიტორიკული შეკითხვები: *ასეთ ნობათს განა კალმით ეუბნებიან პასუხს?! ქალს არ შეუძლია ბარათის დაწერა! ქალს არ შეიძლება ბარათი მისწეროს კაცმა! (ლორთქიფანიძე,1992:110); They do not usually respond to such a gift with a letter, do they? A woman may not write a card! A man may not write a card to a woman! ვინ არ ახსოვს მას?! არტისტი: ქალი თუ ვაჟი?! რა არ იცის კულისების მესაიდუმლომ?! მესაიდუმლომ?! რომელი კაპრიზი არ ახსოვს და რომელი ტემპერამენტი?! რამდენ არტისტულ გამარჯვების მონაწილე ყოფილა?! (რობაქიძე,1989:214); Is there anybody who he does not remember?! Any artist, a woman or a man? Is there anything that he, the confidant in the backstage, does not know? Is there any caprice or emotional character that he does not remember? And he has contributed to so many artistic victories!* (იხ. დანართი №4.8.).

განსაკუთრებული სირთულეები არ შეგვხვედრია ქართულიდან ინგლისურ ენაზე იმ დროის კატეგორიების გადატანისას, რომლებიც გაცილებით უფრო მძლავრად გამოხატავენ რიტმული პროზის ექსპრესიას, რადგან ნამყო უწყვეტელსა თუ წყვეტილს, ახლანდელ უსრულ ასპექტსაც მოეძებნება ანალოგი სათარგმნი ენის დროთა სისტემაში: *მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე; ...ადამიანი ადამიანს ეძებს ტყეში; სიკვდილის უშველებელი ფრთა აწევს ამ კაცს სახეზე; თეთრ სილუეტს ვიღაც თალხიანი მისდევს (გამსახურდია, 1959:11-12); I am treading my dark path alone;...A*

human being is looking for another human in the forest; A vast wing of death is lying on the face of the man; The white silhouette is followed by somebody dressed in dark clothes (იბ. დანართი №4.9.).

რიტმულობის შემქმნელი ისეთი მნიშვნელოვანი სინტაქსური საშუალება, როგორცაა პარალელური სტრუქტურები, წარმატებულად გადავიდა ქართულიდან ინგლისურად. მაგ. *ბეხან აღარ ბლავის. ბეხან აღარ ღმუის. ბეხან არც ტირის. ბეხან იხედება თვალებით...*(რობაქიძე,1989:132); *Bekhan is not bellowing any more. Bekhan is not howling any more. Bekhan is not even crying...* *ისევ ქარავანი. ისევ გზა. ისევ კლდეები./* (რობაქიძე,1989:130); *Again the caravan. Again the road. Again the rocks.*

შედარებით რთული აღმოჩნდა ანადიპლოზისის გადატანა. მაგ. *აქლემები მილაგდებიან. მილაგდებიან გამყოლნიც* (რობაქიძე, 1989:127); *The camels kneel down to have a rest. Kneel down to have a rest the guides as well. თიხისაგან ნაშენი მინგრეული კედლები. ამ კედლების რიგებით შედიხარ ქალაქში.* (რობაქიძე,1989:10); *Built with clay, now half-ruined walls. These walls in rows lead you to the city.* შემინებული სახლები. სახლებზე ჩიტებივით შეფრენილი აივნები (კოტეტიშვილი.2012;11); *The frightened houses. The balconies, perched like birds on these houses.* თარგმანში ანადიპლოზისის ნაცვლად ეპიფორა მივიღეთ.

რაც შეეხება შერწყმულ წინადადებას, განსაკუთრებით ვეცადეთ იმ დედნისეული სტრუქტურების შენარჩუნებას, რომლებიც არსებით დატვირთვას იღებენ რიტმულობის ექსპრესიის გადმოსაცემად. განვიხილოთ ეს შემთხვევები: ინგლისურ ენაზე ცვლილებებით გადავიდა ქართული რიტმული პროზისთვის დამახასიათებელი რამდენიმე სახის შერწყმული წინადადება. კერძოდ ისინი, სადაც შემასმენელს თავკიდური პოზიცია უკავია და ასევე ქვემდებარე გამოტოვებული წინადადება. აქ ვერ მოხერხდა ამ წყობის შენარჩუნება და რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვით „დავტვირთეთ“ მარტოოდენ თავად ერთგვარი წევრების გამეორება. მაგ. *მიუძღოდნენ მესაკრავენი, მგალობელნი ცისფერ კვართებში* (ბარნოვი,1943:347); *The musicians and the choir singers dressed in light blue robes were taking the lead in the procession. უვლიან ბაღას ზღვა, მთის მწვერვალნი*(ლორთქიფანიძე,1992:101); *The sea, the mountain peaks take care of of the garden. აკრებს ყლორტებს და ფოთლებს*

ჰკოცნის სათვითაოდ (რობაქიძე,1989:261); *She is picking up young branches and kissing each of the leaves.*

უქვემდებარო წინადადება: *აყენა მირიანი და წინ გაუძღვა (ბარნოვი,1943:348); He helped Mirian to his feet and led him. თავყანსა სცემენ ქვათა თუ ხეთა, ზვარაკებად კაცთა სწირავენ (ბარნოვი,1943:261); They worship stones and trees and sacrifice human beings to them.*

ასევე ყოველთვის ვერ მოხერხდა ზმნა-შემასმენელსა და ქვემდებარეს შორის ინვერსიული წყობის და შესაბამისად ქვემდებარის/ ქვემდებარეთა ბოლოკიდური პოზიციის შენარჩუნება. მაგ.: *ახნდნენ დედოფალი, ხვარამზე, სეფე ქალნი (ბარნოვი,1943:340); Into the sight came the queen, Kvaramze, maids of honour; მთისკენ ვიდოდნენ ქდაგი და მის მოწაფენი (ბარნოვი,1943:316); Towards the mountain headed the preacher and her disciples (იხ. დანართი №4.10.).*

ადეკვატურად და დანაკარგის გარეშე გადავიდა თარგმანში ისეთი ერთგვარწევრებიანი წინადადებები, სადაც ერთგვარი წევრები ხშირად გავრცობილია მსგავსი ან ერთი და იმავე სიტყვით: *რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა! (ლორთქიფანიძე, 1992:123); What a beautiful, what a majestic thing is the sea; კედლებზე უთვალავი ობობა და უთვალავი ქსელი (რობაქიძე,1943:143); Numerous spiders and numerous cobwebs on the walls.*

შენარჩუნდა ორიგინალის წყობა შერწყმული ნარევი წინადადების თარგმნისასაც: *მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით (კოტეტიშვილი. 2012:13); **Kneeling to the earth and peering in the earth with senile and lackluster eyes; შეხარის გამაძღარს, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება გაიმხლართოს ღრმა, მშვიდი ძილისთვის (ლორთქიფანიძე,1958:212); He is looking proudly at his **nourished, contented** flock and slowly he is getting ready to sprawl for a **sound, peaceful** sleep;***

ხალხი კი ახლა უხდიდა მადლობას და უცხადებდა აღტაცებას და სიყვარულს (ლორთქიფანიძე,1958:214); *And the people were now **expressing their gratitude and declaring their admiration and love** (იხ. დანართი №4.11.).*

კარგად გადაითარგმნა ანადიპლოზისი, ეპიფორა ერთგვარწევრებიან წინადადებაშიც:

ვიწრო და შეკუმშული ფილტვების ხიხინი გამხმარ ყელში. ყელზე დაკეცილი და დანაოჭებული ტყავები (კოტეტიშვილი.2012:13); *Wheezing of narrow and strunk lungs in the dried throat. The throat covered by folded and wrinkled flesh.* მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით. ამავე თვალების მოხუჭვა სიონის ღვთისშობლის ხატის წინ და გაუთავებელი ლოცვები სიონის მაღალთაღიანი გუმბათის ქვეშ (კოტეტიშვილი. 2012:13); ამ წინადადებაში კიდევ ერთი გამეორება გვაქვს, რაც ანაფორად შეიძლება ჩაითვალოს, რაკი ორი პარალელური ფრაზის თავშია, თუმცა მან თარგმანში ეპიფორის სახე მიიღო. *Kneeling to the earth and peering in the earth with senile and lackluster eyes. Closing these eyes in front of Virgin Mary icon of Sioni Cathedral and endless praying beneath the high dome of Sioni.*

ელიფსური წინადადება: ვაიმე, შენმა სიყვარულმა ჩემი გული ისევე დაამსხვრია, როგორც ჩემდამი სიყვარულმა შენი მტირალა ჩონგური (გამსახურდია, 1959:10); *Oh, my love for you has broken my heart like your love for me your weeping guitar.*

მირიანის მარჯვნივ იჯდა თურანელი, მარცხნივ ხატაველი ოქროთი და სპეკალით ალაპლაპებულ ტანისამოსში (ბარნოვი,1943:331); *The owner of Turani was sitting on Mirian's right and the one from Khatavi on the left in the clothes sparkling with gold and precious gems.*

როგორც მოველოდით, განსაკუთრებულ და ახალ სირთულეებს არ წავწყდომივართ რიტმული პროზის რთული თანწყობილი წინადადების თარგმნისას. მთავარი წინააღმდეგობა დაკავშირებული იყო ქვედებარე და ნაცვალსახელ გამოტოვებულ წინადადებებთან. არა და, ეს ნიშნებია ექსპრესიის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებათაგანი. თარგმანში აღდგა როგორც ქვემდებარის, ასევე ნაცვალსახელით გამოხატული წევრის აღდგენა, რამაც გარკვეულწილად შეასუსტა რიტმულობის მუხტი, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ კომპენსაცია სხვა გზით მოგვეხდინა. მაგ.: *ამ სიტყვებით ტახტის წინ დაჩოქება სურდა, მაგრამ სიკვდილმა არ დააცალა და პირქვე დასცა (ლორთქიფანიძე,1958:98);*

With these words he wanted to kneel at the throne but the death was faster than him and felled him down. თარგმანში გაჩნდა ალიტერაცია [w][f]. *ყელში გაჩრილი ბურთი*

სადღაც გაჰქრა, სუნთქვა გაეხსნა, გული გაუმსუბუქდა და ისევ ფიქრს მისცა თავი (კოტეტიშვილი. 2012:10); *The ball of resentment stuck in his throat disappeared somewhere, his breathing became easier, the heart grew lighter and he was in deep thoughts again.* რიტმულობა მიღწეულია, როგორც მოქმედებათა ჩამოთვლის ხარჯზე, ასევე ალიტერაციის [s] [b] და ასონანსის [ei] წყალობით.

ადეკვატურად გადავიდა თარგმანში ისეთი შენელებული რიტმული ეფექტი, რასაც იწვევს ორივე წინადადებაში აწმყო უწყვეტელის სერიის გამოყენება (თარგმანში შესაბამისად the Present Continuous Tense) უმეტესად ერთი დროა. მაგ. ფოთოლი სქელდება და ფოთოლზე მატლი მიღოდავს ზმორით (რობაქიძე, 1989:268); *The leaf is growing thick and on the leaf a worm is crawling idly.*

რაც შეეხება, რთულ ქვეწყობილ წინადადებას, მისი ინგლისურად თარგმნის დროს ადეკვატურად გადავიდა ქვეწყობის სტრუქტურა. მაგ.: *ქუჩაში რომ გამოვიდა, გოჩმანას აღარ უხაროდა, ისე იყო დაღლილი და მშიერი, აბუზული და მოწყენილი გაჰყვა ტფილისის ქუჩებს სირაჯხანისკენ* (კოტეტიშვილი. 2012:9); *When he came out in the street, Gochmana was not happy any more for he was so listless and hungry he went along Tiflis streets towards a wine pub looking shriveled and cheerless.*

ბევრის მთქმელია ის ფაქტი, ალბათ, რომ ქართული ნიმუშების მსგავსად, რთული ქვეწყობილი წინადადებები ინგლისური რიტმული პროზიდან ბევრად აღემატება რთულ თანწყობილებს:

რთული ქვეწყობილი წინადადებაც, თანწყობილის მსგავსად, ითარგმნება მისთვის დამახასიათებელი წყობის პრინციპის გათვალისწინებით. რიტმულობის ექსპრესიის თვალსაზრისით, ქვეწყობილ წინადადებებში გამოირჩევა ისეთი წინადადებები, რომლებშიც კავშირის „რომელიც“ ნაცვლად, გამოყენებულია „რომ“, რაც უფრო ექსპრესულს და დაწურულს ხდის წინადადებას. მაგ.: *ალბათ დუდუკები გრძნობდნენ მხოლოდ ამას, წაჩოქილები რომ ჩასტიროდნენ და ჩაჰკვნესოდნენ ცხოვრებისაგან გატრიზავებულ მოქალაქეს* (კოტატი. 2012:13); *Probably the duduks alone were aware of this, lamenting and moaning on the citizen deceived by life;* *სიტყვა თუ სახელი მეხის ნატეხია ხის დიდ მუცელს რომ გარუჯავს* (რობაქიძე, 1989:121); *A word or a name is a chunk of the lightning bolt that will char the large belly of the tree.*

ქვეყნობილ წინადადებაში უკავშირო გადაბმა უფრო რიტმულია. მაგ. *ვუსმენ იადონს, არავის ეგონოს, სტვენა მხიბლავდეს, არა-ყურს ესმის სხვა სანეტარო ტკბილი ხმა* (ლორთქიფანიძე,1958:95); *I am listening to the canary, do not think I am enchanted by its singing, no, the ear catches another heavenly sweet voice*; *აცნობეს ნინოს, დედოფალი მობრძანდებაო* (ბარნოვი,1943:303); *They informed Nino that the queen was coming*. თარგმანში ამჯერად არ მოხერხდა უკავშირო გადაბმის შენარჩუნება. შეიძლებოდა, თარგმანში გამოგვეტოვებინა კავშირი სასვენი ნიშნის ხარჯზე, მაგრამ მაშინ ვიღებდით ორი დამოუკიდებელი წინადადებისგან შემდგარ რთულ თანწყობილ წინადადებას: *They informed Nino: the queen was coming*. ან იგივე წინადადება, ოღონდ ერთი ზმნა შემასმენელი ვნებით გვარშია: *Nino was informed: the queen was coming*. ინგლისურისთვის სრულიად ბუნებრივი იქნებოდა ამ წინადადების მარტივად ქცევა: *Nino was informed about the queens coming/ They informed Nino about the queen's coming* („ნინოს აცნობეს დედოფლის მოსვლის შესახებ“, რაც ქართულად სრულიად განმარცვულია რიტმულობის ექსპრესიისგან).

სირთულე არ შეუქმნია ისეთი წინადადებების თარგმანსაც, სადაც შეინიშნება წინადადების ორივე მხარეს მოცემულ მოქმედების დროში, როგორც ერთიანობა, ასევე სხვაობა. მაგ. *ყოველ დილით მიწა რომ ინძრევა, სახლები რომ ზრიალებენ შიშითა და სიყვარულით, ყველამ იცის, რომ ეს სიონის ზარია* (კოტეტიშვილი.2012:10); *Every morning when the ground is being shaken, when the houses are vibrating with fear and love, everybody knows that this is the Sioni Cathedral bell tolling*; *დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლისაკენ თუ აღმოსავლის ქარმა დასავლისაკენ - ტფილისმა არ იცის* (რობაქიძე,1989:219); *Whether it was the Western wind that hurled the city East or the Eastern wind to the West, Tiflis does not know this*.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სინტაქსური საშუალება, რომელიც პროზაში რიტმულობას განაპირობებს და ორივე საკვლევ ენაში უხვად დადასტურდა, არის წინადადების წევრთა **განკერძოება**. განკერძოებული სიტყვები ყოველთვის ქმნიან რიტმულობას და აძლიერებენ წინადადების იმ წევრის ექსპრესიას, რომელსაც ისინი დაერთვიან. ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ისინი დანაკარგის გარეშე გადავიდეს სათარგმნ ენაში. იქიდან გამომდინარე, რომ განკერძოებულ სიტყვებს საკვლევ ენებში აქვთ საერთო დამახასიათებელი ლინგვისტური ნიშნები-

აღწერილობა და ფუნქციები, მათი გადათარგმნა რთული არ აღმოჩნდა; შენარჩუნდა განკერძოების სტრუქტურა: ხალხი: უცხო ცეცხლით ამწვარი: მოუსვენარი და დაუდეგარი (რობაქიძე,1989:120); *The people—burnt by the unfamiliar fire: restless and reckless*; წარმატებულად გადაითარგმნა შერწყმული აგებულების განკერძოება, კიდევ უფრო დიდი რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველი: გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო (კოტეტიშვილი,2012:11); *The flow of the rejoicing people, limitless and boundless.*

რიტმულობისთვის მეტად საინტერესო შემთხვევა—ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე განკერძოების მომცველი წინადადება ასევე კარგად გადმოსცა ინგლისურმა ენამ:

ხელში კრიალოსანი: ქარვის თუ გიშერის. მუსაიფი: ნელი და ჩუმი (რობაქიძე,1989:8);

He is holding the beads of patience in his hand: of amber and jet. Conversation: unhurried and quiet (იხ. დანართი №4.12.).

თარგმანში შესაძლებელი აღმოჩნდა დედნისეული ალიტერაციითა თუ ასონანსით მდიდარი განკერძოებული ფრაზის შენარჩუნება. მაგ. გოგო მიჰყვება: აწითლული და ალექილი (რობაქიძე,1989:243); *The girl is following him: aflame and afire; [e][f]*; ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი (რობაქიძე,1989:208); *The temple is a virgin itself: a pagan virgin to be slain as a sacrifice [i][ei][s].*

თარგმანში შევინაჩუნეთ შემდეგიც: შერწყმული სახის განკერძოებაში გამავრცობელი სიტყვა ერთი და იგივეა: ქალის თვალებში-ათასი თვალი: ყველა ელამი და ყველა ამღვრეული (რობაქიძე,1989:65); *A thousand eyes in the woman's eyes: all of them squinting and all of them blurred.*

განკერძოებულ სიტყვების კვალდაკვალ, პროზის რიტმული ექსპრესიის გამოსახატავად დიდი მნიშვნელობა ენიჭება შორისდებულებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ქართული შორისდებულის „ოჰ“-ის ანალოგიურად მის შესაბამის ინგლისურ “Oh”-ს მრავალგვარი, მათ შორის ურთიერთსაპირისპირო განცდების (მაგ. ბრაზი და აღტაცება, შიში და სიხარული) გამოხატვა შეუძლია. წინადადებაში ადგილის მიხედვითაც ორივე ენაში ისინი შეიძლება შეგვხვდეს, როგორც თავში, ისე

ბოლოში. განვიხილოთ რამდენიმე შემთხვევა: „**ოჰო! ცხოვრება!**“ (კოტეტიშვილი.2012:8); **“Oh! The life!”** „დავრეკე, **მაშ**, დავრეკე, **მაშ!** ამხელა ქალაქის ზარი რომ ჩამორეკო, ხუმრობა ხომ არ არის, **მაშ!** ყოჩაღად იყავ, გოჩმანავ, **მაშ!** ყოჩაღად იყავ, **მაშ!**“ (კოტეტიშვილი. 2012:12); **“There! I rang the bell, yes, I did! There, I can tell you, not a mere joke to be allowed to ring the main bell of town! Sure it is not! So, Gochmana, be brave, yes! Be brave, do!”** ქართულ „მაშ“ -ს ცვლის ინგლისური *There, sure* და *yes*. ინგლისურ ტექსტს, ჩვენი აზრით დაამძიმებდა „მაშ“-ის მხოლოდ ერთი სიტყვით გადატანა. „**გადავდივარ, მაშ, გადავდივარ, მაშ!** იქ მნათედ დამაყენეს, **მაშ!** იქ ზარი უნდა ვრეკო, **მაშ!**“ (კოტეტიშვილი.2012:14); **“I am moving, yes! to a new place, yes, I am! I have been appointed there as a sexton, yes, sure, I have! I am to ring the bell there. Yes, sure, I am!** ქართული „მაშ!“ იმდენად ბევრის მომცველი და ბევრის მეტყველია, რომ ჩვენი აზრით, მის გადათარგმნას ამ შემთხვევაში მთელი სამ ნაწილიანი კომპონენტი დასჭირდა - *Yes, sure, I am!* რაც სიტყვა-სიტყვით შემდეგს ნიშნავს: „დიახ, რასაკვირველია + დამხმარე ზმნის ნაწილი“, რომლის ნაწილობრივ გამეორებაც ამტკიცებს სათქმელს (იხ. დანართი №4.13.).

„სამყაროს სურათის“ ანუ „ველთბილდის“ მეთოდი ყველაზე მეტად გამოგვადგა რიტმულობის გამომხატველი **ლექსიკური** ერთეულების თარგმანის დროს, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ენაში არსებული სტრუქტურებიდან სათარგმენლად ერთ-ერთი ყველაზე მოუხელთებელი და ტიპოლოგიური ჭრილში საანალიზოდ ღირებული-ლექსიკური ერთეულებია; მათ შორის კი უპირველესად სტილისტიკურად შეფერილი მასალა, ვინაიდან „ერთი ენის რესურსებით გამოხატული შინაარსების მეორეს საშუალებით გამოხატვის, ანუ თარგმნის, ერთ-ერთი არსებითი მომენტი არის სიტყვათა, შესიტყვებათა, ფორმათა, სინტაქსურ კონსტრუქციათა სტილისტური ელფერის გადმოცემა“ [ნათაძე,1986:13]. მით უმეტეს, რომ „მეტაფორული („სპონტანური“) სტილისტური ელფერის დამთხვევა და თარგმანში გადმოცემა ჩვენი ფიქრით მეტ-ნაკლებად სისტემურ შესწავლას არ ექვემდებარება, ისე რომ აქ ყოველი ცალკეული შემთხვევა ცალკე პრობლემაა, რომელიც კერძო გადაჭრას მოითხოვს-სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარს-სხვა ლექსიკური ერთეულების მსგავსად“ [ნათაძე,1986:13].

ორივე საკვლევი ენის საფუძველზე დადასტურდა, რომ რიტმულობა ლექსიკური ერთეულებით რიტმულობის შესაქმნელად საჭიროა ტექსტი გაჯერებული იყოს შესაფერისი ლექსიკური ერთეულებით: ემოციური, ექსპრესიული ლექსიკა იქნება ეს, სიმონიმური თუ ანტონიმური რიგი, ტროპული მეტყველება თუ არქაული ლექსიკა. ორივე ენაზე არსებობს და თითქმის თანაბარი სიხშირით გამოიყენება დასახელებული ლექსიკური საშუალებანი. ჩვენი ამოცანის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ვაჩვენოთ, რამდენად ადეკვატურად გადადის ლექსიკური საშუალებანი, ყველა ლინგვისტურ საშუალებას შორის ყველაზე მეტად ორიგინალური, სუბიექტური და საგანგებოდ მოძიებულ/შერჩეული მეორე ენაზე. ეს ხდის მათ სწორედ „უთარგმნელს“.

შევეცადეთ, გვეთარგმნა ყველა ის ლექსიკური საშუალება, რომლებიც პროზის რიტმულობას გამორჩეულად განაპირობებს. როგორც მოსალოდნელი იყო, სირთულე არ შეიქმნა ეპითეტების თარგმნისას. ძირითადი სირთულე წყობასთან, სტრუქტურასთანაა დაკავშირებული. მაგ. ხშირად ვერ ხერხდება ინვერსიული წყობის შენარჩუნება: *ტაბა ტაბა ორსულ მთვარეს უცქერს: თითქო გველი უნდა ხელით დაიჭიროს. არია დიდი მყუდროება პლატოსი. ჰაერი ხალასი როგორც კრისტალი წყაროს სარკის ფსკერზე. სიგრილე: ხავსიან სიბების. ცა: თითქო ინდოეთის ზურმუხტის მანდილი: უკიდო: უბოლოვო. ვარსკვლავები: თითქო კვერცხისოდენა ბრილიანტები: რომელთა გულები ხალისით სკდებიან (რობაქიძე,1989:42); *Tabai Taba is watching the pregnant moon: as if wishing to catch a snake by hAnderson, The great calm of the plateau has been jarred. The air is pure like a crystal in the depth of a transparent water spring. The cool as if coming from the smooth mossy stones. The sky is like a scarf of an Indian emerald, endless, boundless. The stars as if egg-sized diamonds, their hearts bursting with joy;* და *შეხვდნენ თვალნი გაღიმებულ თვალებს ვარდისა (ბარნოვი,1943:250); And the eyes caught the smiling eyes of the beloved's face.**

ადეკვატურად გადაითარგმნა მონაკვეთები, სადაც უმნიშვნელოვანესი იყო დახვავებული ზმნა-შემასმენლების სხარტად გადმოცემა, რომელთა უმეტესობა სემანტიკურად მძაფრი, მკვეთრი მოძრაობის, უკიდურესად სასოწარკვეთილი ქმედების გამომხატველია: *ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა*

ყელზედ გვარი და გადასტყორცნა. მოეჭდო ჭაბუკს. გაიურჯოლა ამზაილმა ქალის მკლავებში და გაითანგა. დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს, დააკლა თავი (ბარნოვი,1943:353); *The woman looked at Nino the preacher with a hard gaze, then unclasped the cross on her neck and flung it off. She embraced the youth tightly. A thrill ran through Amzail and he fainted enveloped in the woman's arms. The woman seized the youth's dagger and killed herself.*

ჭექა, ქუხილი, ელვა, მეხი ერთმანეთში ირეოდა. გრიგალი ქარი დააფორიაქებდა წვიმას. ტბა ატორტმანდა. ღვარებმა თქრიალი დაიწყეს. ღელე აღრიალდა (ლორთქიფანიძე, 1958:223);

Thunder, storm, lightning, bolts were all sounding at once. The gale was driving the rain in an insane way. The lake began heaving. The torrents started gushing. The creek ran roaring.

რიტმული პროზა გაჯერებულია ტროპული მეტყველების სახეებით, რადგან სწორედ ისინი გამოხატავენ ყველაზე მეტად თხრობის ექსპრესიას სემანტიკის დონეზე. ამდენად, ორიგინალის რიტმულობის ექსპრესიის შესანარჩუნებლად მაქსიმალურად შევეცადეთ, ავტორის მიერ შეთხზული ხატების სამყარო დანაკარგის გარეშე გადმოგვეცა. მით უმეტეს, რომ რაც უფრო ორიგინალური, უჩვეულო და მოულოდნელია მწერლის მიერ შემოთავაზებული მხატვრული სახეები, იმდენად მეტი ემოცია და ექსპრესია გროვდება. მაგ.: *მზეს თმებშიაც დაუტოვებია ცხელი ფოთლები (რობაქიძე, 1989: 64); The sun has left its hot leaves in her hair as well; ტახტზე ქალის ტანია გაშხვართული. თვალებზე ორი იის ფოთოლი გადაჰკვრია ჩალურჯებული. (რობაქიძე, 1989: 265); The woman's body is stretched on the couch. Her closed eyelids are deep blue as if covered with two violet petals; სტეპკო ქალის ღიმილს ისუნთქავს ვით ველურ ვარდს...(რობაქიძე, 1989:34); Stepko is inhaling the woman's smile as if it were a wild rose....ბაღის ირგვლივ ალვისხეები: ტანწერწეტ მცველებად მაღლა ატყორცნილნი (რობაქიძე, 1989: 59); Poplars around the garden: shot upwards like slender sentinels. ხევში პატარა რუპ-ნაღველივით შავი. მხოლოდ - კრიალა (რობაქიძე, 1989:143); A small creek in the ravine - black as sorrow. Only it is crystal clear; ხმა გაიკრიალებს ვით წყალგადავლებული ამეთვისტი (რობაქიძე, 1989:160); Her voice sounds as clear as a newly rinsed amethyst (იხ. დანართი №4.14.).*

განსაკუთრებული სიფრთხილით მოვეკიდეთ **გაპიროვნების** შემცველი წინადადებების თარგმნას: *აქ-იქ კლდეებში ბუმბერაზ ხეებს ადგილი ემოვათ და ცალ-ცალკე მოსახლეობით გაბაღჟულიყვნენ* (ლორთქიფანიძე, 1958:222); *The huge trees had found places here and there in the rocks and had expanded their territories like real settlers; ეს გუნებაა გალხობილი მესოპოტამიაში. გაბრუებული ბელტი. მიყუჩებული ქვა. მდორე მდინარე. მთვლემარე ჩირგვი. მოწყენილი კენჭი. ფრთებდახრილი ტოტი. განაბული ნიბლია. სველთვალეზიანი უშობელი...*(რობაქიძე, 1989:26); *This mood is dissolved in Mesopotamia. A stupefied clod of earth. A stilled stone. A slow river. A dazing bush. A sad pebble. A crestfallen twig. A hushed finch. A wet-eyed calf. აგესლილ მზერას ქაშვეთი მოვირჩენს. ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი* (რობაქიძე, 1989:214); *Your embittered gaze will be soothed by Kashveti church. The temple is a virgin itself: a pagan virgin to be slain as a sacrifice* (იხ. დანართი №4.15.).

ცალკეულ წინადადებასა თუ ფრაზასთან მათთან შედარებით, ბუნებრივია, ბევრად მეტი ექსპრესია მოაქვს აზნაცს ან ზეფრაზულ მონაკვეთს. წინა თავებში ჩვენ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ავტორის მიზანი, როდესაც რიტმული ექსპრესიით ამგვარად დატვირთული ტექსტის გრძელ მონაკვეთს გვთავაზობს. ასეთი პასაჟის თარგმანის დროს, უპირველესი მიზანი უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად და მომგებიანად გადავიტანოთ მეორე ენაზე ის ლინგვისტური საშუალებანი, რომლებიც რიტმულობის შექმნას უწყობს ხელს. მით უმეტეს, როცა ასეთი რიტმული პროზითაა დაწერილი ნაწარმოების ფინალი თუ კულმინაციის ადგილი. განხილული მაგალითების საფუძველზე გამოვლინდა, რომ უმეტეს შემთხვევებში შესაძლებელი იყო ან ზუსტად იმავე ენობრივი საშუალებით (მაგ. ფონეტიკურის ფონეტიკურით, სინტაქსურის სინტაქსურით), ან სხვა ლინგვისტური ხერხებით (მაგ. მორფოლოგიურის ფონეტიკურით და ა. შ.) რიტმულობის კომპენსაცია. განვიხილოთ შემდეგი ნიმუშების თარგმანი:

„ტფილისი ხედავს: ათას თვალეებში - თვალეებს - ივერიის ქალწულის თვალეებს. ხალასს და რასსაშეურეველ. თვალეებს: საცა მედიდურობა და დარცხვენა ერთი და იგივეა. თვალეებს: რომლებშიც დაინახავ გაჩენის პირველ დღეებს. ხომალდი მაგრად

შეჩერდება- ტფილისი უყურებს ივერიის ქალწულის თვალებს. საცაა - მზე ამოვა”(რობაქიძე, 1989:225).

“Tiflis sees: those eyes among the thousands of pairs of eyes-the eyes of the virgin of Iveria. The eyes, clear and of pure breed. The eyes where pride and modesty are the same. The eyes where you see the first days of the birth. The boat stops steadily - Tiflis is watching the eyes of the virgin of Iveria. The sun is about to rise”.

ნაწყვეტის რიტმულობა განპირობებულია, პირველ რიგში, ემოციური შინაარსით, ლექსიკური გამეორებებით („თვალი“, „ივერიის ქალწულის თვალები“), სინონიმური (ხალასს და რასსაშეურეველ) და ანტონიმური (მედიდურობა და დარცხვენა) წყვილებით, მარტივი წინადადებების სიმრავლით, მთელი რიგი ბგერების ალიტერაციით, კონსონანსით და ასონანსით [ლ][რ][დ][მ][ა][ე], შინაგანი რითმით [ხალას-რასა]. ჩვენი აზრით, თარგმანში შენარჩუნდა ემოციური ტონალობა, ადეკვატურად გადავიდა ლექსიკური გამეორებანი და სინონიმური თუ ანტონიმური წყვილები, მარტივი წინადადების სტრუქტურა. დაიკარგა დედნისეული, მაგრამ მივიღეთ ახალი ალიტერაცია, კონსონანსი თუ ასონანსი [z][b][d][ai].

„წმ. გრიგოლ ხანძთელის დროს ცხოვრობდა ვინმე ირუბაქიძე. სახელად რადამე. კაცი ახოვანი, ფიცხი, გადამლახველი. ცოლი ჰყავდა ლამაზი. მტრები დაედევნენ ერთხელ. რადამე და მისი ცოლი ცხენებს მიაჭენებენ. ცოლი ორსული იყო. ვეღარ შესძლო ცხენის ჭენება. „მომკალ“. ეუბნება ვაჟს (სრულად იხ. დანართი №4.16.) (რობაქიძე, 1989: 88);

“In the time of Saint Grigol of Khandzta there lived a certain man of the Irubaqidzes family. His first name was Radame. He was tall and stately, short-tempered, strong-willed. He had a pretty wife. Once they were being chased by foes. Radame and his wife are galloping their horses. The woman was pregnant and could gallop no more. “Kill me”, she is asking the man (სრულად იხ. დანართი №4.16.).

ზემოთ მოყვანილი აბზაციც არა ნაკლებ რიტმულია; ექსპრესია გამოხატულია მრავალფეროვანი ლინგვისტური საშუალებით. ფონეტიკის დონეზე: ალიტერაცია, კონსონანსი და ასონანსი [ხ][ჭ][ლ][გ][ს][ც][დ][ა][ი][ო]. მორფოლოგიის დონეზე: ზმნისწინების გა-, მი-, და- ხშირი გამეორება, დროთა მონაცვლეობა: წარსული დროის ფორმები და ახლანდელი დროის ფორმები; სინტაქსის დონეზე: მოკლე,

სხარტი წინადადებები, ძირითადად მარტივი, ხშირად უქვემდებარო; ლექსიკა: მოძრაობის, მიმართულების, სწრაფი, დინამიკური მოქმედების გამომხატველი ზმნების სიუხვე (*დაედევნენ, მიაჭენებენ, იძრობს, ჩაჰკრავს. გადაისვრის, გარბის, მისდევენ, მოვა. დაინახავს, იკვილებს, მოახტება თეთრ ტაიქს. გააჭენებს, გადაუგდებს, დაიჭერს. შეაგდებს: ინთქება, გადაჰყვება*), ლექსემის „ჭენება“ გამეორება; საწინააღმდეგო კონცეპტების „ქმარი“ და „ცოლი“ მონაცვლეობით გამეორება. ზღაპრის რიტმული თხრობისთვის დამახასიათებელი წყვილები: „გადაუგდებს-დაიჭერს“, „ვაჟი გარბის-მტრები მისდევენ“. თარგმანი შეიძლება ითქვას, ადეკვატური მივიღეთ. შენარჩუნდა რიტმულობის ექსპრესიის გამომხატვის ყველა საშუალება, რამდენიმე გამონაკლისის გარდა: დაიკარგა ის მუხტი, რაც ახლავს უქვემდებარო წინადადებებს. ფონეტიკური საშუალებები შენარჩუნდა, თუმცა ალიტერაცია, კონსონანსი და ასონანსი სხვა ასო-ბგერების საშუალებით მივიღეთ: [t][st][h][d][f][s] [ai][ou].

„მოხუცებული ხალხი, ... თვალებში მიმქრალი სიცოცხლე და სათნოება. დაღარული სახეები ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული (იხ. დანართი №4.16.) (კოტეტიშვილი.2012:13); “The old people...faded vitality and virtue in their eyes. Lined faces adorned in yellow and green.

ნაკლები სირთულით გამოირჩევა სიმბოლოების, სიმბოლური ან ე.წ. „მხატვრული ხატების“ თარგმანი, რომლებსაც რიტმულად, პერიოდულად ტექსტში გამოჩენის გარდა უდუდესი ესთეტიკური, ემოციური, აზრობრივი თუ ფილოსოფიური დატვირთვა გააჩნიათ ხოლმე. ისინი უმეტესად ერთი ან რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარი ფრაზისგან შედგება, რომლებიც, როგორც წესი, არსებითი სახელებით (ან ზედსათავი/ნაცვალსახელი + არსებითი სახელი) გამოიხატება და მათი მეორე ენაზე გადატანა სტრუქტურულ ცვლილებებს თითქმის არ მოითხოვს. განხილულ ტექსტებში შეგვხვდა მსგავსი მრავალფეროვანი ხატები. მაგ. „ქალაქი ხომალდი“ (*boat city*), „მზე“ (*the sun*), „თვალი“ (*the eye*), „გული“ (*the heart*), „წითელი“ (*red*), „დუდუკები“ (*duduks*).

§ 1. 1. სინონიმის და ანტონიმის, არქაიზმების, დიალექტიზმების და უცხოენოვანი სიტყვების თარგმანისათვის

რიტმულობის უმთავრესი საფუძველი, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ერთგვარი ენობრივი ერთეულების გამეორებაა. სწორედ აქედან გამომდინარე, მესამე თავში განვიხილეთ იმ წინადადებათა რიტმული ექსპრესიის დიდი პოტენციალი, რომლებიც არ მარტო ერთგვარ წევრებს შეიცავენ, არამედ ეს ერთგვარი წევრები სინონიმურ ან ანტონიმურ დამოკიდებულებაში არიან ერთმანეთთან. სინონიმური და ანტონიმური წყვილების მხრივ იმდენი უნივერსალია გამოვლინდა საკვლევ ენებს შორის პროზის რიტმულობის თვალსაზრისით, რომ როგორც სავარაუდო იყო, ხსენებული წყვილების თარგმნისას სირთულები ნაკლებად წარმოიშვა.

თითქმის ყველგან, როგორც მოსალოდნელი იყო, შენარჩუნდა იგივე მეტყველების ნაწილები, რომლებიც დედანში გვხვდებოდა **სინონიმების** როლში. უმეტესად ეს იყო არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნა და მიმღეობა: *ხომალდი იდგა მორთული და მოკაზმული პირადპირადად* (ბარ. 1943:265); *The ship stood trim and decorated colourfully. გამოშრა მიწა, გახმა, დაიშაშრა, დასქდა* (ბარნოვი, 1943:342); *The ground grew dry, barren, parched, cracked.* ამ წინადადებაში არ დარღვეულა არც რიტმულობის ძლიერი ექსპრესია, კიდევ უფრო კარგად გამოხატული წინადადების სინონიმურ წევრთა ჩამოთვლით, განსაკუთრებით, თუ ეს უკავშიროდ ხდება. შემდეგი მაგალითებიც ამის დასტურია: *სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია* (გამსახურდია, 1959:13); *The pillow, the blanket, the sheet, everything is hot. ჭექა, ქუხილი, ელვა, მეხი ერთმანეთში ირეოდა* (ლორთქიფანიძე, 1958:223); *Thunder, storm, lightning, bolts were all sounding at once* (იხ. დანართი №4.17.). მაგრამ ნაწილობრივ დაიკარგა ექსპრესია შემდეგ უქვემდებარო წინადადებებში, სადაც მთელი წინადადებები სინონიმურ ერთეულებს წარმოადგენს. საჭირო გახდა ნაგულისხმევი ქვემდებარის აღდგენა: *არეულია. ამრეზილი. აღრენილი* (რობაქიძე, 1989:18);

(He is) upset. Displeased. Irritable; ლხინობენ. მღერაან. ლაღობენ (რობაქიძე, 1989:70); *(They are) feasting, singing, having fun. სწეწავს..გლეჯავს...* (რობაქიძე, 1989:49); *(She is) ripping, tearing it apart.* ამ შემთხვევაში კი მოგვიხდა არა მარტო ქვემდებარის

აღდგენა, არამედ სამპირიანი ქართული ზმნა-შემასმენლიდან გამომდინარე, თარგმანში გაჩნდა პირდაპირი დამატებაც.

უკეთესად გადავიდა თარგმანში სინონიმების შემცველი სახელდებითი წინადადებები. მაგ. *დროსტარება და ქეიფი* (რობაქიძე,1989:20); *Reveling and feasting. მიტოვებული. გარიყული. დაგდებული* (რობაქიძე,1989:153); *Abandoned. Outcast. Deserted.*

ასევე ადეკვატურად გადაითარგმნა სინონიმების საერთო მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც კიდევ უფრო ხაზს უსვამს და გამოჰკვეთავს სინონიმური წყვილის რიტმულობას: *ბეხან აღარ ბღავის. ბეხან აღარ ღმუის. ბეხან არც ტირის* (რობაქიძე,1989:132); მეტად საინტერესო მაგალითი: საერთო ლოგიკურ-საგნობრივი კომპონენტი (ბეხან); სამივე ზმნა-შემასმენელს უარყოფითი ნაწილაკი ახლავს. სინონიმთა რიგის მნიშვნელობების დაღმავალი გრადაცია: *ბღავის-ღმუის-ტირის*. ოღონდ აქაც დუალიზმს ვაწყდებით: სხვა კუთხიდან თუ შევხედავთ აღმავალი გრადაციაა. სინონიმთა რიგის ბოლოში მოთავსებული, სემანტიკურად უფრო ნეიტრალური და სუსტი „ტირის“ ცხოველთან მიმართებით ყველაზე ექსპრესიულია. *Bekhan is not bellowing any more. Bekhan is not howling any more. Bekhan is not crying either. ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ახალ წესწყობილებას* (კოტეტიშვილი. 2012:14); *It was forming a new life, a new order.* ჩვენი აზრით „ცხოვრება“ და „წესწყობილება“ სინონიმებია, რადგან მათ შეუძლიათ ერთმანეთის ჩანაცვლება, ეს კი „სინონიმურობის უაღრესად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რადგან მასში მდგომარეობს სინონიმის, როგორც მოვლენის არსი [ნიჟარაძე, 2005:194]. *აღარც წყევა. აღარც კრულვა. აღარც შურვა. აღარც ნდომა* (რობაქიძე,1989:265); ეს წინადადება კიდევ უფრო ექსპრესიულია, რასაც უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი განაპირობებს. *No more cursing. No more condemning. No more coveting. No more desiring* (იხ. დანართი №4.18.).

შემღებისდაგვარად მოხერხდა საერთო ზმნისწინიანი ან თავსართიანი სინონიმური წყვილის ინგლისურ ენაზე გადატანა. მაგ. *ასე მოგ ზაურობდენ ძველად ჰებრაელთა ტომები: ხალხი: უსახლო-უკარო-ულოვინო* (რობაქიძე,1989:119); სამჯერ მეორდება უქონლობის პრეფიქს-სუფიქსი „უ-ო“ რასაც თარგმანში შემდეგი სახე ეძლევა. *This was the way how the tribes of Jews used to travel in old days, the people who*

were *homeless, hearthless, comfortless*. გაჩნდა უარყოფის გამომხატველი სუფიქსი - less.

ანალოგიურად ვთარგმნეთ შემდეგი მსგავს სუფიქსებიანი სინონიმური წყვილები:

არნახული და *არგაგონილი* კარნავალები მუშათა ახალგაზრდობის (კოტეტიშვილი.2012:11);

Unseen and unheard carnivals; გახარებული ხალხის დენა, *უსაზღვრო* და *უნაპირო* (კოტეტიშვილი. 2012: 11); *The flow of the rejoicing people, boundless and limitless.*

გაბერილი და *გაბუყებული* სხეული მთლად უკანკალებდა; *His swollen and ennumbed body was shaking all over.* ცა: თითქო ინდოეთის ზურმუხტის მანდილი: *უკიდო: უბოლოვლ* (რობაქიძე,1989:42); *The sky is like a scarf of an Indian emerald: endless, boundless.*

გოგო მიჰყვება: *აწითლული* და *აღუწილი* (რობაქ, 1989:243); *The girl is following him: aflame and afire.* მიმართულების მაჩვენებელი ა- ზმნისწინი ზედმიწევნით ადეკვატურად გადავიდა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამომხატველი ფორმაუცვლელი სიტყვებით (statives=a(prefix) + root(noun/adj/verb). თუმცა ასეთივე შესატყვისი ვერ მოვუძებნეთ შემდეგ სინონიმურ წყვილს: *ქლაქი ხომალდი ამრეზილია და აღრენილი* (რობაქიძე,1989:18); *The boat-city is unfriendly and exasperated.*

ნაწილობრივი ანუ კონტექსტუალური სინონიმების თარგმანის დროს მოხერხდა მათი შესატყვისი წყვილით გადათარგმნა, იმდენად, რომ შენარჩუნდა მათ შორის არასრული სინონიმის განცდა. მაგ.: *ნაპრალში მზუის, სჩეფეს და ხტის მდინარე* (ლორთქიფანიძე,1958: 212) *მზუის=სჩეფეს =ხტის*; აქ სამივე ზმნას სინონიმებად მივიჩნევთ, მით უმეტეს, რომ მათ საერთო ლოგიკური-საგნობრივი მნიშვნელობის სიტყვა ახლავთ „მდინარე“; *The river is rushing, splashing and leaping in the crevice.* ყოველი ქვა ტაძარის ქალწულია თვითონ: *ნელი-ლბილი-ნაზი-თვინიერი* (რობაქიძე,1989:214); *Each stone of the temple is like a virgin: unhurried-soft-tender-loyal* (იხ. დანართი №4.19.).

ტექსტის რიტმულობის თვალსაზრისით, სინონიმურ რიგში უფრო მეტად გვაინტერესებს სტილისტური სინონიმები, რადგან თუნდაც ერთი ემოციურად

შეფერილი სინონიმის წყალობით კიდევ უფრო მეტი ექსპრესია იქმნება, ვინაიდან როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტილისტურად დაშორებულმა სინონიმურმა წყვილმა შეიძლება უფრო მეტი მუხტი მოგვცეს და თარგმანში სწორედ ეს მუხტი უნდა შევინარჩუნოთ. მაგ: *ოჰ, ეს თვალები! მთხოვნელნი სიცოცხლის- პატარა სიცოცხლის- ერთი პეშვი სიცოცხლის (რობაქიძე, 1989:132); Oh, these eyes! Begging for life-for just a little bit more life- just a handful of life. აღარ მესმოდა თხელი, ბუმბულივით მსუბუქი ჩაის სერვიზის ნაზი წკრიალი (გამსახურდია, 1959:27); I could no longer hear the gentle tinkling of the thin, feather-light tea set. ეს ორმაგი კვნესა კი რაღაცნაირად აბრაზებდა გაბოროტებულ და ცოფმოდებულ სმენას (კოტეტიშვილი.2012:15); This double moaning was irritating the embittered and furious ear in a peculiar way. ლილინებდნენ დუდუკები, ნაღვლიანად არხევდნენ ბგერებს, ზმუოდნენ, კვნესოდნენ, ჭირვეულობდნენ (კოტეტიშვილი.2012:8);*

The duduks were singing softly, emitting sorrowful sounds, they were moaning, groaning, complaining. მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით (კოტეტიშვილი.2012:12); To take a deep bow to the ground and stare into the ground with aged and lackluster eyes.

რიტმულ პროზას კიდევ უფრო მეტ რიტმულობას ანიჭებს კომპოზიტი სინონიმები, რომლებიც ხშირად ამავე დროს გარითმულიც არიან. რადგან ინგლისურში მსაგავსი შემთხვევები არ მოიძებნება, თარგმანისას დეფისით გაყოფილი წყვილი, ცალკ-ცალკე დამოუკიდებელ ლექსემებად ვაქციეთ: *მაშ რისთვის არის მოწყენილ-გაჩუმებული ყოფილი ენა-ტკბილ მოუბარი, მომღერალ-მოცეკვავე? (ლორთქიფანიძე,1958:95); And then why is this usually silver-tongued, ever singing and dancing now sad and quiet? ძველნი ეტრატნი; ფირფიტებზედ ნაწერ-ნახატნი (ბარნოვი, 1943:340); Ancient papyruses; writings and paintings on the plates. დაბდაბთ, ნაღარათ გრიალ-ტკრციალი (ბარნოვი,1943:347); Clattering and rattling of drums and trumpets. მწვანით მოსილი მთა-გორაკები (ლორთქიფანიძე, 1958:212); Mountains and hills adorned in green.*

სინონიმებთან ერთად უმნიშვნელოვანესია გავარკვიოთ ასევე ანტონიმების თარგმნის საკითხი მეორე საკვლევ ენაზე: გააჩნია იგივე რესურსები ინგლისურ ენას ანტონიმური წყვილების გამოხატვისას? მით უმეტეს, რომ ანტონიმურ წყვილში,

შეიძლება ითქვას, კონცენტრირებულია წინადადების ემოციური მუხტის უდიდესი ნაწილი. ნიმუშად მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი, მთლიანად ანტითეზა, თითოეული ნაწილი კი, თავის მხრივ, სინონიმური წყვილის შემცველი: რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. *ახლა მარტო ფერფლია და უდაბნო* (რობაქიძე, 1989:214); ცეცხლი=წვა და ფერფლი=უდაბნო. ეს ანტითეზა ფორმულით შეიძლება ასე გამოვხატოთ: (Syn=Syn) ≠ (Syn+Syn). *So much fire and so much burning and so much feasting. And now, there are only ashes and a desert inside him.*

მაგრამ შხამი კი, მაგრამ მალამო კი უცვლელად, შეუსუსტებლად დარჩება (ლორთქიფანიძე, 1992:110); *Yet the poison, yet the relief will remain changeless, undiminished.*

კიდევ ერთი მეტად ექსპრესიული და დინამიკური მაგალითი, რომელშიც შესანიშნავად ჩანს ანტონიმის ანტითეზური ბუნება: *ახალი ტფილისი ივსებოდა ქარხნებით, შუქით, ახალი ხალხით; ერთის მხრივ ახალი ცხოვრება, ახალგაზრდა ხალხით, ახალი ხერხებით, შრომით, ინდუსტრიით, ძალიან ბევრი ინდუსტრიით. მეორეს მხრივ კი ძველი ტფილისი, ძველი ხალხით, ძველი ხერხებით, ლოცვით, ბევრი ლოცვით და სინანულით* (კოტეტიშვილი. 2012:12); ინგლისურ ენაშიც არსებობს ზუსტი შესატყვისი ანტითეზისთვის ტიპური, დაპირისპირების, კონტრასტის გამომხატველი ფრაზების „ერთის მხრივ / მეორეს მხრივ“ ზუსტი შესატყვისი *on the one hand/on the other hand*Anderson,

The new Tiflis was getting full of factories, light, new people; on the one hand there was the new life, young people, new devices, labour, industry, very much industry. On the other hand, there was the old Tiflis, old people, old devices, prayers, lots of prayers and regret.

ანგრევდა ძველს და აშენებდა ახალ სახლებს (კოტეტიშვილი. 2012:14), *ორმაგი ანტონიმური წყვილით; It was destroying old houses and building new ones. ახალი და ძველი თბილისი ისე დგანან ერთმანეთის პირისპირ, როგორც ბუზი და ლომი; The new Tiflis and the old Tiflis stand facing each other like a fly and a lion.* საგულისხმოა, რომ თარგმანში გაჩნდა კიდევ ერთი ოპოზიცია, განსაზღვრული და განუსაზღვრელი არტიკლი სახით. *სიამაყე და დარცხვენა-ერთად* (რობაქიძე, 1989:214); *Pride and modesty—present at the same time.*

აბსოლუტური ანტონიმური წყვილები ქართულში უფრო იშვიათად გვხვდება განსხვავებით ინგლისური ენისგან: „*აი, შენც, გლახაკი ხარ, სულითაც და ხორცილთაც*“; (კოტეტიშვილი.2012:11); “*Here, you too are a poor man, both in soul and in body*”. საშინელი სისასტიკე და უმძაფრესი სიტკბო (რობაქიძე, 1989:16); *Awful cruelty and intense kindness*. ტფილისი გოგირდის აბანოთი იწყება და გოგირდის აბანოთი თავდება (რობაქიძე, 1989:208); *Tiflis begins with a sulphur bathhouse and ends with a bathing house*. ქსელებში გახლართული წარმოუდგენელ ტანჯვას ვგრძნობ და უტკბეს ნეტარებას (ლორთქიფანიძე,1992:109); *Tangled in the nets of emotions, I feel incredible suffering and sweetest of elations* (იხ. დანართი №4.20.).

კიდევ უფრო მატულობს ექსპრესია მორფოლოგიურად ერთნაირად გაფორმებული ერთგვარი წევრების შემთხვევაში, როგორც შემდეგ ნიმუშებშია. ამჯერად აბსოლუტური ანტონიმური წყვილიც გვხვდება: *რას ეტყვიან ეს შეხვედრანი და ეს გაცილებანი პატარა გულს რომელიც სუსხდასხმული ჩიტივით ფართქალობს ქალის აზიდულ მკერდში?! ან რაღას ეტყვის ამიერ პატარა გულს მზის ამოსვლა ან მისი ჩასვლა?!* (რობაქიძე, 1989:48); *What will these meetings and these departures tell the little heart that is shivering like a chill-stricken bird in the full bosom of the woman? Or what will these sunrises and sunsets tell this little heart?* ფარულათ გედევანი ცთილობდა აღედგინა სამეფო, გაედევნა მტერი, ტახტზე აეყვანა მის გრძნობათა და აზრთა დედოფალი (ლორთქიფანიძე,1958:96); *In a clandestine way, Gedevan was trying to restore the kingdom, to drive away the foes and to make the way to the throne for the queen of his heart and mind*.

შევინარჩუნეთ ანტონიმური წყვილის გამოკვეთილი მელოდიურობა. ეს ნათლად დასტურდება შემდეგი მაგალითებით: *აწრიალებული თვალები ხან ემღვრეოდნენ, ხან უბრწყინავდნენ* (კოტეტიშვილი.2012:8); *His agitated eyes would glitter at one time and then become blurred again*. თარგმანში შენარჩუნდა რიტმულობის განცდაც და ასევე ინტონაციის ცვალებადობა: აღმავალი–დაღმავალი. რიტმულობა მიღწეულია სემანტიკურადაც და ფორმითაც. ანტონიმების ბუნებაში რიტმი სემანტიკურადაც ჩანს (მოქმედებათა, მდგომარეობათა მონაცვლეობა: თვალები ემღვრეოდა, მერე უბრწყინდებოდა, მერე ისევ ემღვრეოდა, და ა. შ.): *ფერად-ფერადი ბუშტები*

უჩნდებოდა და უქრებოდა თვალებში (კოტეტიშვილი.2012:11); Multicoloured bubbles were appearing and disappearing in his eyes.

თარგმნის დროს, როგორც სინონიმების შემთხვევაში, ისე ანტონიმებთანაც, მოგვიხდა ტოლად-შერწყმული კომპოზიტების დაშლა: *დღესასწაული თან აღებ-მიცემის ადგილი იყო (ბარნოვი, 1943:344); The festival served also as an occasion for selling and buying goods.*

გედევანმა დაიჩოქა, აიღო ცოცხალ-მკვდრათ მუხლებზე დაყრილი ხელი დედოფლისა (ლორთქიფანიძე,1958:98); Gedevan knelt down and took hold of the Queen's hand that was more dead than alive (neither dead nor alive). მიყრილ-მოყრილი პაპიროსის ნამწვები და ფერფლი (ლორთქიფანიძე,1992:118); Cigarette stubs and ashes scattered here and there. თარგმანში მიყრილ-მოყრილი-ის განცდა შეცვალა ფრაზამ „აქა-იქ მიმოყრილი“. ინგლისური here and there სწორედ ამ მდგომარეობის გამოხატვაში გვეხმარება. მაშ რისთვის არის მოწყენილ-გაჩუმებული ყოფილი ენა-ტკბილ მოუბარი, მომღერალ-მოცეკვავე? (ლორთქიფანიძე, 1958:95);

And then why is this usually silver-tongued, ever singing and dancing now sad and quiet?

ამ წინადადებაში ანტონიმია კიდევ უფრო რიტმულად და გაშლილად არის გადმოცემული. ანტითეზა გაშლილია სამი წყვილი ტოლად შერწყმული სინონიმური წყვილის დაპირისპირების საფუძველზე, რასაც აძლიერებს ლექსემა „ყოფილი-ს“ ჩართვა: *მოწყენილ-გაჩუმებული≠ენა-ტკბილ მოუბარი=მომღერალ-მოცეკვავე*. ეს შეიძლება ფორმულით ასე გამოვსახოთ: (Syn-syn) ≠ (Syn-Syn-Syn).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ინგლისურენოვანი რიტმული პროზაული ტექსტები არ გამოირჩევა არქაიზმების, დიალექტიზმების, ევროპეიზმების გამოყენებით, ძალზე მნიშვნელოვანია მათი ადეკვატურად გადატანა თარგმანში, ვინაიდან ისინი გარკვეულ როლს ასრულებენ რიტმული პროზის ექსპრესიის გამოსახატვად თანმდევი უცხო ელფერისა და ჟღერადობის წყალობით. რაც უფრო ხშირია მათი გავრცელება ნაწარმოებში, უფრო მეტია მათ მიერ შექმნილი რიტმულობის ხარისხიც.

არქაიზმები-მწერლის მიერ მოხმობილი არქაული ლექსიკა ფორმითაც და შინაარსითაც შეეხამება ტექსტის შინაარსს. შეძლებისდაგვარად ქართულენოვან არქაულ ლექსიკას ჩაენაცვლა ინგლისურენოვანი არქაიზმები. მაგ.: **ტაიქნი**

ძვირფასად იყვნენ შეკაზმულნი, სხვადასხვა ფერად (ბარნოვი, 1943:235); *The steeds were adorned in a most expensive manner, in different colours. მყის განსჭვრეტდა საიდუმლოს, ყოველს დაფარულს განაცხადებდა* (ბარნოვი, 1943:308); *He would fathom any secret at once, would unveil all that was shrouded. კამითიქამად შეირხეოდა, ჟღრიალებდა ეყვანმრავალი* (ბარნოვი, 1943:347); *From time to time it would shake itself, jingling with bells galore* (იხ. დანართი №4.21.).

დიალექტიზმები- ალბათ ყველაზე უფრო რთული გადასათარგმნია მეორე ენაზე. მაგრამ მათი უგულებელყოფაც არ შეიძლება. რადგან განსხვავებული მეტყველება, (ჩვენი საანალიზო წყაროების შემთხვევაში დასავლეთ საქართველოსთვის და ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი მეტყველება) თავისებურ რიტმულ-მელოდიკურ ელფერს აძლევს ნაწარმოებს.

- *წელს ციცქამ უფრო ივარგა. აბა ნახე...*
- *კრახუნა რას შობა?! (რობაქიძე, 1989:139);*
- *This year Tsitsqa's harvest was better. Here, taste it...*
- *And what about Krakhuna?*
- *საფერე რას გიშობა?!*
- *კვიმატიანია...ამ ადგილს არავინ ეკარება (რობაქიძე, 1989:154);*
- *Is Sapere any good?*
- *It is very capricious...And this place is not very attractive to anyone.*
- *დარჩით კიდო ერთი დღე (რობაქიძე, 1989:171);*
- *რაა შე უბედურო სულ რომ ჭამ?! (რობაქიძე, 1989:280);*
- *You wretched soul, why are eating all the time?*
- *ი კაცი ვინ არი ნეტა?! (რობაქიძე, 1989:280);*
- *I am wondering who that man can be over there?*

შემდეგი მაგალითები კი მთლიანად გაუღენთილია ძველთბილისური, ზოგჯერ ე.წ. „ყარაჩოლური“ მეტყველებით: „დავრეკე, მაშ, დავრეკე, მაშ! ამხელა ქალაქის ზარი რომ ჩამორეკო, ხუმრობა ხომ არ არის, მაშ! ყოჩაღად იყავ, გოჩმანავ, მაშ! ყოჩაღად იყავ, მაშ!“ (კოტეტიშვილი. 2012:12); *“There! I rang the bell, yes, I did! There, I can tell you, not a mere joke to be allowed to ring the main bell of town! Sure it is not! So, Gochmana, be brave, yes! Be brave, do!”*

„კარები გადამირაზეს! მასხრად მიგდებენ? ჰა, გოჩმან, ფრთხილად, აქ სხვა რამე არ გამოვიდეს? ჰა-ჰა, აბა არ გამასხარავდეს კარგად გაკეთებული საქმე!“ (კოტეტიშვილი.2012:13);

“*They locked the door not to let me out! Are they making fun of me or what? Hey, Gochman, be careful, not to mess the things! Hey-hey, a good job ought not to get spoiled!*”
“ძმებოჯან! მადლობელი ვარ, მაშ! მადლობელი ვარ, მაშ!” (კოტეტიშვილი.2012:8);
“*My brothers! I am grateful, yes, I am! I am grateful, I am, yes!* „გადავდივარ, მაშ, გადავდივარ, მაშ! იქ მნათედ დამაყენეს, მაშ! იქ ზარი უნდა ვრეკო, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:14); “*I am moving, yes! to a new place, yes, I am! I have been appointed there as a sexton, yes, sure, I have! I am to ring the bell there. Yes, sure, I am!*”

ჩვეულებრივი სალაპარაკო ენის ფონზე რიტმულად გაჟღერებული უცხოენოვანი სიტყვების გადატანა ინგლისურ ენაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო ადვილი აღმოჩნდა.

ძველი რასის ნამდვილი ნიშანი (რობაქიძე, 1989:11); The true sign of an ancient race. რასა შეურეველი და ხალასი (რობაქიძე, 1989:214); The race, unadulterated and pure; ვაჟი აქეთ-იქით იხედება: არავინაა–(ევროპიელს ეშინია სხვისი თვალის) (რობაქიძე, 1989:157); The young man is looking around: nobody is there–(the European is wary of other people’s glances). ასსურეთი ახრჩობს ირანის ლომს (Assyria, Aššur) (რობაქიძე,1989:217); Assyria is strangling the Iranian lion. სპლინმორეული მეეზოვე ვარსკვლავებს ითვლის (რობაქიძე, 1989:216); The spleen-stricken groom is counting the stars. არის რაღაც საიდუმლო ჰებრაელის გამოხედვაში (რობაქიძე, 1989:11); There is some secret in the glance of a Hebrew man. თვალებს გადაუვლის ჰინდური მუქი ზურმუხტის წყალი (რობაქიძე, 1989:14); The eyes will sparkle with the water of Indian dark emerald.

§ 1. 2. ლექსიკური გამეორებისა და გრადაციის თარგმანის ზოგი

ასპექტისთვის

რიტმული პროზის შემთხვევაში, ჩვენი აზრით, უმნიშვნელოვანესია, თარგმანში არ დაიკარგოს რიტმულობის მთავარი საყრდენი–მსგავსი ერთეულების გამეორება. ლექსიკის დონეზე კი ეს, უპირველესად, ლექსიკური გამეორებით ხდება. მაგ.

ქალაქი: რომელიც პეტრე დიდის...გახელებამ ფინის ტბებიდან ამოატივტივა. ქალაქი: რომელიც დოსტოევსკის ეპილეფსიამ პოტმოსის კუნძულად გადმოანთხია. ქალაქი. ეს ქალაქი მას არაფერს ეუბნება (რობაქიძე, 1989:16); The city: which came to life from the Finnish lakes through the madness of Peter the Great. The city which was poured out as Potmos Island by Dostoevsky's epilepsy. The city. This city is not telling him anything.

მომდევნო წინადადება იმიტია საყურადღებო, რომ ცხადი ხდება, როგორ იცვლება გამეორებისას თარგმანში ერთი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი მეორეთი. ინგლისურ ენაში ჩამოთვლისას სიტყვა „ზოგი“ („some“) მრავალგზის, როგორც წესი, არ მეორდება. ამიტომ ქართული „ზოგი“ თარგმანში უკვე მესამედ ხსენებისას ჩანაცვლდება „others“ („სხვები“) ან „still others“ („კიდევ სხვები“): *მოაქვთ: ზოგს ხმალი. უთუოდ შაკაბაზის.*

*ზოგს სპილენძის თასი სხვადასხვანაირი./ ზოგს სპარსული ფარჩა./ ზოგს სპარსული მინიატურა./ ზოგს ბეჭედი თვალისანი./ ზოგს თვითონ თვალი პატიოსანი./ ზურმუხტი. იაგუნდი. ლალი. ფირუზი./ ზოგს სპილოს ძვალი./ ზოგს ძველი ფული./ ზოგს მედალიონი./ და ასე: დაუსრულებელ (რობაქიძე, 1989:63); Various things are brought: **Some** bring a sword, certainly of Shah Abbas./ **Some**–different kinds of copper bowls./ **Some**–Persian brocade./ **Others**–Persian miniature./ **Still others**–rings with stones./ **Some others**–only precious stones. Emerald. Sapphire. Ruby. Turquoise. / **Some** bring ivory./ **Some** medallions. And so on: endlessly. მკერდის შუაგულზე მასაც ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი. ამბობდა: მისი გვარი მზის თესლისაა: მზესავით ცხელი-მზესავით ნათელი-მზესავით გახელებული-მზესავით მართალი (რობაქიძე, 1989:91); He too had a birth mole in the middle of his chest: the sign of the sun. He used to say that his family originated from the sun's seed: hot like the sun, light like the sun, fierce like the sun, right like the sun. უნდა აიცრე ირანის მზე ტანზე...უნდა იხილო მზისგან ამწვარი ტიტველი კლდეები.. უნდა გაიგუდო მყუდროებით...უნდა გადახვიდე ყოფილში...მხოლოდ*

შემდეგ გაიგებ თარის ხმას (რობაქიძე, 1989:49); *You **have to get burnt by the sun of Iran...you **have to see sun-scorched cliffs...you **have to be smothered/strangled by the silence/quiet ...you **have to transcend into the past...only then you can hear the sound of the tar.*********

ლექსიკური გამეორებებით დატვირთულია შემდეგი აზრები, სადაც ოთხი სხვადასხვა წყვილი მეორდება. ასევე ფრაზა „ნელ-ნელა“, რომელიც ასეთივე ფუძე-გაორკეცებული ფორმით ინგლისურად ვერ გადაითარგმნება, გადავიდა როგორც *Slowly, very slowly* (ნელა, ძალიან ნელა), რაც ჩვენი აზრით კარგად გამოხატავს ამ პროცესის ხანგრძლივობას: 1) *ქვეყნის ბრუნვა და ყაყანი ვერ აღბობდა ამ სიცივეს. ვერ სწვდებოდა მაღალ თაღებს. ვერაფერს ცვლიდა. (2) ძველებურად იდგა წირვა-ლოცვა. ძველებურად შედიოდა და გადიოდა მოხუცებული მორწმუნე ხალხი ძველ ტაძარში. ძველებურად ისმოდა სიონის ზარის გუგუნის თითქმის ყოველდღე. (3) ამ გაჩუმებულ პირისპირ დგომაში ნელ-ნელა იჭიმებოდა ძარღვი და კუნთი. ნელ-ნელა მოუთმენლად ხდებოდა (4) ეს გაჩუმება, ეს სიცივე და სიმაღლე, ეს უზარმაზარი ზარის გუგუნის (კოტეტიშვილი. 2012: 14-15).1) *The fuss and riot of the world **could not thaw this cold. It could not reach the high arches. It **could not change anything. 2) The church services were held **in the old way. The old faithful people would enter and leave the old church **in the old way. You could hear the peals of the Sioni bell almost every day. 3) **Slowly, very slowly blood-vessels and muscles would strain in this silent face-to-face standing. **Slowly, very slowly, 4) this silence, this cold and height, this peel of the enormous bell was becoming unbearable.**************

სიტყვა ან ფრაზა შეიძლება უცვლელად ან შეცვლილი ფორმით გამეორდეს. ქართულში ცვლილება ხშირად ნაცვალსახელების ან რიცხვითი სახელების მეშვეობით ხდება, რაც თარგმანშიც არ უნდა დაიკარგოს: *გული მარტოა ყოველთვის. თუ სიყვარულით არის გამთბარი?! მაშინ გული შიშია მარტო: არ გასქდეს მეორე გული. თუ დაშორებულია ამ გულს?! მაშინ გული სევდაა მარტო...არჩიბალდ მეკეში ყაზვინის ბაზრის ფარდულებშია. გული კი-შორს. ფარდულებში ათი ათასი გულია: ათი ათასი სურვილით. ეს გული მათ არ ეკარება. (რობაქიძე, 1989:172); *The heart is alone, always. And if it is warm with love?! Then **the heart is fear alone lest the other heart should break. If it is far from the other heart?! Then the heart is sorrow alone...Archibald****

*Mekesh is in the market sheds of Kazvin. And **the other heart** is far away. There are **ten thousand hearts** in the sheds. **This heart** will not go near **them**.*

უეცრად **თვალები** გამოანათებენ: ათასში - ერთხელ. ათას ქალებში **ათას თვალებში** გამოიცნობ **ამ თვალებს**. **ივერიის ქალწულის თვალები**. რასსა შეურეველი და ხალასი. სიამაყე და დარცხვენა-ერთად. ჩაივლის ქალწული. მიიმალემა გროვაში. **რომელი თვალი დაივიწყებს?! (რობაქიძე, 1989:214); Suddenly a certain pair of the eyes will shine out: once in a thousand, You will recognize these eyes among thousand pairs, among thousand women. The eyes of the virgin of Iveria. The race unadulterated and pure. Pride and modesty - both in one. The virgin passes by. Will be lost in the crowd. Which eye will forget them?**

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ადეკვატურად ითარგმნოს სხვადასხვა სახის ლექსიკური გამეორებებით სავსე მონაკვეთები. ხშირად, ერთმანეთის სიახლოვეს გვხვდება როგორც ანაფორა, ისე ეპიფორა და ეპანალეპსისი. მაგ.: *აქ არის გულის დაფერფვლა...აქ არის თვითონ გული: ამოვარდნილი და ცხელ ქვიშაზე სისხლად დაღვარული...აქ არის ნალველი...მარტო ნალველი...ყველაფერი ისვენებს...მხოლოდ გული არ ისვენებს. მაგრამ არის წამი: როცა ისიც ჩერდება ვით ჩიტი გაბრუებული (რობაქიძე, 1989:49); აქ არის-ანაფორა, ისვენებს/არ ისვენებს, ნალველი-ეპიფორა, გული- ეპანალეპსისი. აქვე გვხვდება პერიფრაზაც: გული=>ისიც; **Here the heart turns into ashes...here is the heart itself: removed from its nest and spilt and bleeding on the hot sand...here is the sorrow...only the sorrow...everything is at a rest...the heart alone is restless. But there is a second when it stops/synonym like a bird enchanted.***

ლექსიკური გამეორების თარგმანში შენარჩუნების კვალდაკვალ უნდა ვახსენოთ გრადაცია, არა იმდენად, როგორც ცალკეული ლექსემის გამეორება, არამედ აზრის გრადაციული განვითარება, ვინაიდან გრადაცია, დაღმავალიც და აღმავალიც, რიტმული ექსპრესიის გამოვლინების შესანიშნავი საშუალებაა; აზრის, ემოციის ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათანობით განვითარება ხდება ერთი და იმავე ლოგიკური სუბიექტისა თუ ობიექტის მომატებული თუ შენელებული ინტენსივობით აღწერით. თარგმანში აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს სწორედ ეს ემოციური ზეასვლა ან დაღმასვლა, რაც გრადაციას ახასიათებს. თარგმანში არ უნდა დაიკარგოს აზრობრივი, სემანტიკური რიტმი, რასაც გრადაცია ეყრდნობა. შემდეგი მონაკვეთის დიდი

რიტმული ექსპრესიის შესანარჩუნებლად საჭიროა თარგმანში შევინარჩუნოთ ის მოძრაობის, სწრაფი ქმედების გამომხატველი ზმნები, მოკლე სხარტი წინადადებები, რომლითაც აღმავალი გრადაცია მიიღწევა: *მცხეთაში მეფემ ქორი ააფრინა. ქორი ხოხობს გაედევნა. მეფე უცდის: აღარც ქორია და აღარც ხოხობი. მიდის სამებრად. მიადგება ხევს. ხევში ღვარია გოგირდის ფერის. ღვარში ხოხობი დამხრჩვალა. ქორიც თან გადაჰყოლია. მეფე ფუძეს დებს ქალაქისას (რობაქიძე,1989:208); The king flies the falcon in Mtskheta. The falcon chased a pheasant. The king is waiting: neither the falcon nor the pheasant in sight. He goes to look for them. He reaches the ravine. There is a stream of sulphur colour. The pheasant has been drowned in the stream. The falcon has shared the pheasant's fate. The king sets the foundation of a city there.*

შემდეგ ნაწყვეტში კი საჭიროა არ დაიკარგოს ლექსიკით შექმნილი აღმავალი გრადაცია, რომელიც წრეზე მოძრაობას გამოხატავს, ის სრული ჰარმონია, რაც ფორმასა და შინაარსს შორისაა: *ყოველ კუთხეში ყავახანა სავსე ხალხით. დათლილი თითები და კრიალოსნები-ქარვის და გიშერის. ყველგან ჰაშიში. მოსწევს ერთი და გადასცემს მეორეს მოსაწევ ტარს. მეორეც მოსწევს და გადასცემს მესამეს. მასამე მეოთხეს. მეოთხე მეხუთეს. მეხუთე მეექვსეს. მეექვსე მეშვიდეს. ასე: სანამ ტარი პირველს არ დაუბრუნდება. ამ რიგით ჰქმნიან მაგიურ რკალს (რობაქიძე,1989:12);*

A coffee shop crowded with people in every corner. Carved fingers and beads of patience of jet and amber. Hashish everywhere. One smokes and passes the smoking pipe to another. He smokes and passes the pipe to the third. The third passes on to the fourth. Then to the fifth. The fifth to the sixth. The sixth to the seventh and so on: until the pipe gets back to the first one. So the magic circle is formed. კოკისპირულათ დაუშვა. ჭქეს, ქუხილი, ელვა, მეხი ერთმანეთში ირეოდა. გრიგალი ქარი დააფორიაქებდა წვიმას. ტბა ატორტმანდა. ღვარებმა თქრიალი დაიწყეს. ღელე აღრიალდა. მიწა იძრა. გუგუნნი მოისმა ტბის სიღრმიდან. ტბა აიმღვრა; ძლიერი ტალღები ეცემოდნენ ერთი ნაპირიდან მეორეს (ლორთქიფანიძე,1958:223-224); It began raining cats and dogs. Thunder, storm, lightning, bolts were all sounding at once. The gale was driving the rain to and fro. The lake began to heave. The torrents started gushing. The creek ran roaring. The earth shook. There sounded peals from the depth of the lake. The lake grew rough; mighty waves were breaking from one shore to the other.

განსაკუთრებულ რიტმს ქმნის ე.წ. შერეული რიტმი–რიტმული და არარიტმული მონაკვეთების მონაცვლეობაც, რაც აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ თარგმანში. რიტმული მონაკვეთის გასაძლიერებლად შევეცადეთ გამოგვეკვეთა ალიტერაცია, კონსონანსი: *შემოდგომის დღე იყო წყნარი. ხილი მიღევაზედ მიმდგარიყო. ყურძენი დაეკრიფათ. ტყისნაყოფი ჯერ ისევ მწიფდა: პანტა, მაჟალო, შინდი, ხუთყურა. მთისკენ ვიდოდნენ ქადაგი და მის მოწაფენი. გასცდნენ ხიდს. არმაზის წყაროსაკენ ჰქმნეს პირი: მიზნადა ჰქონდათ, შეჰყოლოდნენ წავარნას და ასულიყვნენ იმ საღვთო ნაძვთან, ქართველები წმიდად რომ ჰხადდნენ* (ბარნოვი,1943:316); *It was a quiet autumn day. The fruit was already scarce. Grapes had been harvested. The forest fruit – shrub-apples, crab-apples, cornels were still in full ripe. Up towards the mountain were proceeding the preacher and her disciples. They went past the bridge. They were heading for Armaz water spring. They had set the goal: to walk up the mountainous steep path and reach that divine fir tree that Georgians held holy.*

შემდეგი პასაჟის რიტმულობა სწორედ მისი მშვიდი, თითქმის შეუმჩნეველი გრადაციით გამოიხატება. აუცილებელია, თარგმანში რიტმული აქცენტების მატარებელი ფრაზების შენარჩუნება: *აქა-იქ, ცალ-ცალკე, ფრთას-ფრთას: თხემიდან მხტვარი დაჰყურებდა მიდამოს. გაღმა ნაპირზე მთა პირდაპირ ეშვებოდა. აქა-იქ კლდეებში ბუმბერაზ ხეებს ადგილი ეშვავათ და ცალ-ცალკე მოსახლეებივით გაბაღჟულიყვნენ. მხატვრის ირგვლივ, როცა ფრინველი ფრთას-ფრთას შემოკრავდა, ცვარი ობოლ მარგალიტივით სცვიოდა. სრულიად მოწმენდილ ცას მთას იქით მიმალული მზის სხივები სერავდნენ. ტბის იხვები შორს დასცურავდნენ* (ლორთქიფანიძე,1958:222); *The artist was looking over the area from the hilltop. There was a mountain straight on the opposite shore. **Here** and **there** the huge trees had found places in the rocks and had expanded their territories like real settlers. Around the artist, birds would clap the wings and the single drops of dew would fall down, pearl like. The rays of the sun that was itself hidden behind the mountain shot across the clear blue sky. The ducks of the lake sailed in the distance.*

თარგმანის დროს მნიშვნელოვანია, არ დაიკარგოს ასევე პაუზა, გაყუჩება, რაც დაღმავალ გრადაციას ხშირად მოჰყვება ხოლმე. მაგ: *შეწყდა შემდეგ ხმაურობა და ცეცხლთა ფრქვევა არმაზის მხარეს. ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული.*

ცხოვრებამ ისევ ჩვეულებრივ სახე მიიღო (ბარნოვი,1943:342); *The clamor and fire-shooting was over in the Armaz area. And returned to its bed the river Aragvi serene once again. Life was normal once again. ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ჯვარი და გადასტყორცნა. მოეჭდო ჭაბუკს. გაიჭრჯოლა ამზაილმა ქალის მკლავებში და გაითანგა. დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს, დააკლა თავი (ბარნოვი,1943:353); *The woman looked at Nino the preacher with a hard gaze, then unclasped the cross on her neck and flung it off. She embraced the youth tightly. A thrill ran through Amzail and he fainted enveloped in the woman's arms. The woman seized the youth's dagger and killed herself. ეხლა ბრმაა. ვეღარ ხედავს. ძველად კი ფეერიულ სანახავეებს აფენდა. ვინ არ ახსოვს მას?! რა არ იცის კულისების მესაიდუმლემ?! რამდენ არტისტულ გამარჯვების მონაწილე ყოფილა?! რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214); *He is blind now. He cannot see anymore. In the past he would display fairy shows. Is there anybody who he does not remember? Is there anything he, the confidant of the backstages knows not? He has contributed to so many artistic victories!/? So much fire and so much burning and so much feasting. **Now he is ashes and a desert alone.*****

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღმავალ გრადაციასაც შეიძლება მოსდევდეს დუმილი, რაც მაქსიმალურად უნდა იგრძნობოდეს თარგმანში: *ამდენი ვაჟი. ამდენი ქალი. ამდენი შვილი. ამდენი შვილიშვილი. ამდენი შვილიშვილიშვილი. ამდენი გათხოვილი. მათი შვილები და შვილიშვილები. მოხუცი იღიმება: ბედნიერია (რობაქიძე, 1989:141); *So many sons. So many daughters. So many grandchildren. So many grand-grandchildren. So many of them married with their own families. Their children and grandchildren. **The old man is smiling- he is happy.****

§2. რიტმული პროზის ინგლისურიდან ქართულად თარგმნის ნიშანდობლიობები (ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკის დონეზე)

წინამდებარე თავში შევეცადეთ პასუხები გაგვეცა შემდეგ კითხვებზე:

1. ჩვენ მიერ შერჩეული საანალიზო წყაროების არსებულ ქართულ თარგმანებში რამდენად არის შენარჩუნებული ის ლინგვისტური მოცემულობანი (ფონეტიკის,

მორფოლოგიის, სინტაქსისა და ლექსიკურ დონეზე), რომელთა მეშვეობითაც რიტმული პროზის ექსპრესია მიიღწევა;

2. ჩვენ მიერ ინგლისურიდან შესრულებულ თარგმანში (იმ ფრაგმენტების, რომლებიც გამოვიყენეთ საანალიზო წყაროებად და რომელთა თარგმანიც არ არსებობს) რამდენად შევძელით, ჩვენს ხელთ არსებული ენობრივი საშუალებების გამოყენებით, მაქსიმალურად შეგვენარჩუნებინა პროზის რიტმულობა და ექსპრესია.

3. გააჩნია თუ არა ქართულ ენას ყველა ის ენობრივი რესურსი, რომ ადეკვატურად გადმოვიდეს ინგლისური ენიდან რიტმულობისა და ექსპრესიის გამომხატველი ყველა ენობრივი საშუალება ენის ყველა დონეზე, თუნდაც ისე, რომ ერთი საშუალება ჩაენაცვლოს მეორეს.

საანალიზოდ გამოვიყენეთ ისეთი ნაწარმოებები, რომელთა თარგმანიც შესრულებულია ქართულ ენაზე. უფრო მეტიც, არსებობს მათი თარგმანის ორი სხვადასხვა ვერსია. ამასთან ერთად, ნაწილობრივ ექსპერიმენტის სახით ჩვენც ვთარგმნეთ აქამდე უთარგმნელი ერთი მოთხრობა და კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი ერთი ნაწარმოებიდან იმ მიზნით, რომ თარგმნისას ჩვენი ყურადღება განსაკუთრებულად ყოფილიყო კონცენტრირებული რიტმულობის შემქმნელი ენობრივი საშუალებების ერთი ენიდან მეორეზე გადმოტანაზე და, აგრეთვე, დაგვემტკიცებინა, რომ ქართულ ენას გააჩნია ყველა რესურსი პროზის რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველი მოცემულობების გადმოსატანად.

მოვიხმოთ ფრაგმენტი ჯეიმზ ჯოისის მოთხრობიდან „*უბედური შემთხვევა*“ (James Joyce, *A Painful Case*) და შემდგომ განვიხილოთ რა საშუალებით არის გამოხატული რიტმულობის ექსპრესია: *He went often to her little cottage outside Dublin; often they spent their evenings alone. Little by little, as their thoughts entangled, they spoke of subjects less remote. Her companionship was like a warm soil about an exotic. Many times she allowed the dark to fall upon them, refraining from lighting the lamp. The dark discreet room, their isolation, the music that still vibrated in their ears united them.* (Joyce, 1982:124), (იხ. დანართი №4.22.).

ფონეტიკის დონეზე რიტმულობის ექსპრესია გამოხატულია მრავალგზის: ალიტერაციის [s][l][d][s][k][p], კონსონანსის [t][f][l][s][n][l][s], ასონანსის [ou][ai][o][i][ou] [ai][e] შემთხვევებით (ხაზგასმული ბგერები); ფრაზეოლოგიური

ერთეულის რიტმულობით შექმნილი ფუძის გამეორებით little by little, more and more:

მორფოლოგიის დონეზე: ყველა ზმნა-შემასმენელი (გარდა ოთხი შემთხვევისა) არის ნამყო მარტივ დროში, თხრობის დროში; *im-personal, in-curable un-usual*- ერთმანეთის ახლოს განლაგებული ზედსართავები, უარყოფის გამომხატველი ალომორფული პრეფიქსებით.

სინტაქსის დონეზე კი რიტმულობა გამოხატულია ძირითადად რთული ქვეწყობილი და შერწყმული წინადადებებით, გვხვდება მარტივი წინადადებებიც. ასევე ინვერსიული წყობა მსაზღვრელ-საზღვრულს შორის (*subjects less remote*).

ლექსიკის დონეზე: აღმავალი გრადაცია-ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მოქმედებების აღწერა კულმინაციას აღწევს ბოლო წინადადებაში; ემოციური ლექსიკა (ყველა წინადადება ასეთია), ერთი შეხედვით თითქოსდა ჩახშობილი ფორმით გადმოცემული. ჩართული შინაგანი მონოლოგი (*We cannot give ourselves, it said: we are our own*).

მოვიხმით ამ მოთხრობის ორივე თარგმანი ქართულად (დ. აკრიანისეული „მძიმე შემთხვევა“ და ლ. იმერლიშვილისეული „უბედური შემთხვევა“) და შევადაროთ, რომელი უფრო ინარჩუნებს დედნისეულ რიტმულობას: *კაცი ხშირად სტუმრობდა ქალის პატარა კოტეჯს დუბლინის გარეთ. ხშირად ატარებდნენ საღამოებს მარტონი. ნელ-ნელა, რამდენადაც მათი აზრები ერთმანეთში იხლართებოდა, ნაკლებად შორეულ საგნებზეც აღაპარაკდნენ... ბნელი, მომცროსი ოთახი, მათი განმარტლება, მუსიკა, ჯერაც რომ ვიბრირებდა მათ ყურებში-ეს ყველაფერი აერთიანებდა ორ ადამიანს (ჯოისი, 2014:112-113), (იხ. დანართი №4.22.).*

მეორე თარგმანი: *მისტერ დაფი ხშირად დადიოდა ქალთან მის პატარა კოტეჯში, დუბლინის მახლობლად, და არც ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როცა საღამოობით მარტონი რჩებოდნენ. რაც უფრო მეტად ეთვისებოდნენ ერთმანეთს, მათი საუბარიც მით უფრო ინტიმურ ხასიათს იღებდა... ბევრჯერ კიდევ შემოჰლამებიათ, მაგრამ ქალი ლამპის ანთებას არ ჩქარობდა. ბნელი, მყუდრო ოთახი, მარტოობა, მუსიკა, რომელიც ჯერ კიდევ ჩაესმოდათ ყურში-ყველაფერი ეს მათ ერთმანეთთან აახლოებდა (ჯოისი, 1984:96), (იხ. დანართი №4.22.).*

ორივე თარგმანში შენარჩუნებულია დედნისეული რიტმულობა, რომლის ექსპრესიაც გამოხატულია თითქმის ყველა ენობრივ დონეზე. ფონეტიკის: ალიტერაცია, კონსონანსი და ასონანსი (გამუქებული და ხაზგასმული), პარონომასია *ეს ყველაფერი აერთიანებდა ორ ადამიანს, ხოლო ასეთი ერთიანობა ამაღლებდა კაცს / ყველაფერი ეს მათ ერთმანეთთან აახლოებდა. ეს სიახლოვე აღაფრთოვანებდა კაცს.* ორივე მთარგმნელი შინაგანი მონოლოგის ორივე შემთხვევას სხვათა სიტყვის -ო-ს დართვით გადმოსცემს: *ფიქრობდა, ქალის თვალში ანგელოსურ სიმაღლემდე ავალო; / ასე ეგონა, ქალის თვალში თვით ანგელოზის რანგამდე ავმაღლდიო.*

მორფოლოგიის დონეზე: ორივე მთარგმნელი არჩევს მრავლობითი რიცხვის მარკერად მეტი კეთილხმოვანებისთვის გამოიყენოს ნართან-იანი ფორმა *მარტონი*; პირველი ხშირად იყენებს ფუძე-გაორკეცებულ ფრაზებს: *ნელ-ნელა; უფრო და უფრო;*

სინტაქსის დონეზე: მეორე მთარგმნელი იყენებს სინტაქსურ პარალელიზმებს–*რაც უფრო მეტად ეთვისებოდნენ ერთმანეთს, მათი საუბარიც მით უფრო ინტიმურ ხასიათს იღებდა; რაც უფრო მეტად ეუფლებოდა თავისი ქალბატონის მგზნებარე გულს, მით უფრო ცხადად ჩაესმოდა ყურში უცნაური იდუმალი ხმა, რომელიც საკუთარ ხმად ერვინებოდა.* ორივე მთარგმნელი ინარჩუნებს რთულ ქვეწყობილ და შერწყმულ წინადადებებს. ორიგინალის ერთადერთი ინვერსიული წყობა (მსაზღვრელ-საზღვრულის) არც ერთგან არ შენარჩუნდა, რის საშუალებასაც ქართული ენა იძლევა: *Little by little, as their thoughts entangled, they spoke of subjects less remote.* ეს წინადადება შეიძლება ასე თარგმნილიყო: *რაც უფრო მეტად ეთვისებოდნენ ერთმანეთს, მათი საუბარიც სხვა ხასიათს იღებდა, უფრო ინტიმურს.*

ლექსიკის დონეზე: ორივე შემთხვევაში შენარჩუნებულია აღმავალი გრადაცია. ასევე, მეტად ემოციური ლექსიკა.

მოვიხმოთ მეორე ნიმუში იმავე მოთხრობიდან: *What an end! The whole narrative of her death revolted him and it revolted him to think that he had ever spoken to her of what he held sacred. The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach. (Joyce, 1982:128), (იხ. დანართი №4.23.).*

ზემოთ მოყვანილი პასაჟის რიტმულობა ემყარება:

ფონეტიკის დონეზე: ბგერათა კეთილხმოვნება შექმნილი ალიტერაციით და კონსონანსით [s][k][s][m][k][b][r][n][s][l][r][l][ei][i][i][o:], შინაგანი რითმა conceal the details of a commonplace.

მორფოლოგიის დონეზე: რიტმული პროზის ფრაგმენტი იწყება და მთავრდება ერთი და იმავე ძახილის წინადადებით, რომელიც ბოლოში კიდევ უფრო გამძაფრებული ფორმითაა მოცემული; უკავშიროდ შეერთებული მრავლობით რიცხვში მყოფი არსებითი სახელების ჩამონათვალი (*The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words*), კავშირით გადაბმული მორფოლოგიურად ერთნაირად გაფორმებული წყვილი (*cans and bottles*);

სინტაქსის დონეზე: ინვერსია–*Not merely had she degraded herself; she had degraded him*; განკერძოება, რომელიც შერწყმული ხასიათისაა და კონტექსტუალური სინონიმებისაგან შედგება *He saw the squalid tract of her vice, miserable and malodorous.* პარალელური სტრუქტურები: *Not merely had she degraded herself //she had degraded him.*

ლექსიკის დონეზე: ანადიპლოზისი *The whole narrative of her death revolted him and it revolted him to think...;* კონტექსტუალური სინონიმებისაგან შემდგარი რიგი *The threadbare phrases=the inane expressions of sympathy=the cautious words.* ასევე კონტექსტუალური სინონიმების წყვილი *miserable=malodorous.* ემოციური ლექსიკა: *revolt, sacred, the details of a commonplace vulgar death, degrade, the squalid tract of her vice, miserable and malodorous, His soul's companion! the hobbling wretches, Just God, what an end!*

პირველი თარგმანი: *აი, დასარული! მისი სიკვდილის ამბავმა კაცი ააჯანყა, ააჯანყა იმის გაფიქრებამ, რომ იმ ქალისთვის თავისი საკრალური კუნჭულები გაუმხელია. გაცვეთილმა ფრაზებმა, თანაგრძნობის უშინაარსო გამოხატულებებმა, კორესპონდენტის ფრთხილმა სიტყვებმა, გათვლილმა იმაზე, რომ მიჩქმალულიყო ბანალური და უღიმღამო სიკვდილის დეტალები, კაცს გულ-მუცელი ამოუტრიალა (ჯოისი, 2014:117), (იხ. დანართი №4.23.).*

მეორე თარგმანი: *როგორი ბოლო ჰქონია! მისი სიკვდილის გარემოებათა ასეთმა აღწერამ ძალიან აღაშფოთა. აღაშფოთა იმაზე ფიქრმა, რომ ოდესღაც ამ ქალს თავისი გულის წმიდათა წმიდა ხვაშიადს ანდობდა. გაცვეთილი ფრაზეები, ყალბი*

თანაგრძნობის სიტყვები, ფრთხილი გამოთქმები რეპორტიორისა, რომელიც აიძულეს დაემალა ამ ვულგარული სიკვდილის დეტალები - ყოველივე ეს გულს ურევდა (ჯოისი, 1984:99-100), (იხ. დანართი №4.23.).

ჩვენი აზრით, თარგმანის ორივე ვერსია ადეკვატურია რიტმულობის თვალსაზრისით. ფონეტიკის მხრივ ორიგინალის ალიტერაცია, კონსონანსი და ასონანსი შენარჩუნებულია თარგმანში, თუმცა სხვადასხვა ბგერით.

მორფოლოგიის თვალსაზრისით: მთარგმნელებმა შეინარჩუნეს უკავშიროდ შეერთებული მრავლობით რიცხვში მყოფი არსებითი სახელების ჩამონათვალის რიტმი (გაცვეთილმა ფრაზებმა, თანაგრძნობის უშინაარსო გამოხატულებებმა, კორესპონდენტის ფრთხილმა სიტყვებმა, / გაცვეთილი ფრაზები, ყალბი თანაგრძნობის სიტყვები, ფრთხილი გამოთქმები რეპორტიორისა), კავშირით გადაბმული მორფოლოგიურად ერთნაირად გაფორმებული წყვილი (ქილები და ბოთლები / ბოთლებსა და დოქებს); პირველი მთარგმნელი არჩევს ერთიანი რიტმის გულისთვის სამივე შემთხვევაში ებ-იანი მრავლობითის ფორმა გამოიყენოს: *კაცს თვალწინ დაუდგა კოჭლობით მოჩლახუნე ის საბრალოები, კონსერვის ქილები და ბოთლები რომ მიჰქონდათ ბარმენტან ასავსებად*. მეორე კი ამჯობინებს ერთი ფორმა მაინც უფრო კეთილხმოვანი ნართან-იანით გადმოსცეს: *ის უბედურები გაახსენდა, ფეხარეულნი ბარბაცით რომ მიათრევენ ცარიელ ბოთლებსა და დოქებს ბარისაკენ*.

სინტაქსის დონეზე: ორივეგან დაიკარგა ინვერსია ქვემდებარე-შემასმენელს შორის (*Not merely had she degraded herself; she had degraded him*); *ქალმა არა მხოლოდ თავისი თავი დაამდაბლა, არამედ თვით კაციც / ამ ქალმა მარტო თავისი თავი როდი შეურაცხყო, არამედ ისიც, მისტერ დაფიც ლაფში ამოსვარა*. ჩვენი აზრით შესაძლებელი იყო შემდეგი ვერსია: *არა მხოლოდ თავისი თავი დაამდაბლა ქალმა, არამედ თვით კაციც/ მარტო თავისი თავი როდი შეურაცხყო ამ ქალმა, არამედ ისიც, მისტერ დაფიც ლაფში ამოსვარა*. პირველში ადეკვატურად გადავიდა განკერძოება: *მან დაინახა ქალის მანკიერების უბადრუკი ტრაქტი, მყრალი და შესაბრალისი*. მეორე ვერსიაში კი, ამ ადგილის რიტმულობა შეიქმნა ორიგინალური მეტაფორის და კონსონანს-ასონანსის წყალობით: *ნათლად ხედავდა იმ სამარცხვინო, უწმინდურ გზას, რომლითაც მისმა ბიწიერებამ იარა*.

ლექსიკის დონეზე: ანადიპლოზისი წარმატებით შენარჩუნდა ორივე თარგმანში *მისი სიკვდილის ამბავმა კაცი ააჯანყა, ააჯანყა იმის გაფიქრებამ.../ მისი სიკვდილის გარემოებათა ასეთმა აღწერამ ძალიან აღაშფოთა. აღაშფოთა იმაზე ფიქრმა*. მეტად ნისანდობლივია, რომ კონტექსტუალური სინონიმებისაგან შემდგარი რიგი ორივეგან კვლავ კონტექსტუალურმა სინონიმებმა შეცვალა: *გაცვეთილმა ფრაზებმა, თანაგრძნობის უშინაარსო გამოხატულებებმა, კორესპონდენტის ფრთხილმა სიტყვებმა / გაცვეთილი ფრაზები, ყალბი თანაგრძნობის სიტყვები, ფრთხილი გამოთქმები რეპორტიორისა; შესაბამისად ითარგმნა მეტად ექსპრესიული ლექსიკა: საკრალური კუნჭულები გაუმხელია; კოჭლობით მოჩლახუნე ის საბრალოები; რა დასასრულია, ღმერთო! / თავისი გულის წმიდათა წმიდა ხვამიადს ანდობდა; თავისი თავი როდი შეურაცხყო, არამედ ისიც, მისტერ დაფიც ლაფში ამოსვარა; ნუთუ ეს ქალი მისი სულის სწორი იყო! ის უბედურები გაახსენდა, ფეხარეულნი ბარბაცით რომ მიათრევენ ცარიელ ბოთლებსა და დოქებს ბარისაკენ. ღმერთო, როგორი ბოლო ჰქონია;*

მესამე ფრაგმენტი: *The shop was very quiet. The proprietor sprawled on the counter reading the Herald and yawning. Now and again a tram was heard swishing along the lonely road outside. As he sat there, living over his life with her and evoking alternately the two images in which he now conceived her, he realised that **she** was dead, that **she** had ceased to exist, that **she** had become **a memory**. He began to feel ill at ease. He asked himself what else could he have done. (Joyce, 1982:128), (იხ. დანართი №4.24.).*

ამ მშვიდი, თითქმის ელეგიური მონაკვეთის რიტმულობის ექსპრესია გამოხატულია შემდეგნაირად: **ფონეტიკის** დონეზე: ალიტერაციით [p] [l] [l] [k] [l]; კონსონანსით [pr] [n] [m] [r]; ასონანსით [au] [i] [ai][ai] [ou];

მორფოლოგიის დონეზე: პარონომასიით: *living over his life, (ცხოვრებით ცხოვრება) he...became a memory—if anyone remembered him (მოგონებად იქცა—თუ ვინმეს მოაგონდებოდა იგი. პერსონაჟის ვარაუდები და ეჭვები გამოხატულია მოდალური ზმნური კონსტრუქციებით: *He asked himself what else **could** he have done. He could not have carried on a comedy of deception with her; he could not have lived with her openly...How **was** he to blame? Now that she was gone he understood **how** lonely her life must have been, sitting night after night alone in that room.**

სინტაქსის დონეზე: სინტაქსური პარალელიზმები: *he realised that she was dead // that she had ceased to exist // that she had become a memory; He could not have carried on a comedy of deception with her // he could not have lived with her openly. His life would be lonely too until he, too, died // ceased to exist // became a memory—if anyone remembered him.*

ლექსიკის დონეზე: მეორდება საკვანძო სიტყვები *lonely (3), life (2), live (2) exist (2)*; კონტექსტუალური სინონიმების რიგი: *she was dead=she had ceased to exist=she had become a memory*. ყოველი ფრაზა ძლიერი ემოციების გამომხატველია.

თარგმანის პირველი ვერსია: *პაპში უჩვეულო სიწყნარე იდგა. დახლზე გადმოწოლილი მეპატრონე „ჰერალდს“ კითხულობდა და ამთქნარებდა. დროდადრო ცარიელ ქუჩაზე ტრამვაი ჩაიგრიხინებდა. და როცა ასე იჯდა, მეხსიერებაში ფურცლავდა ამ ქალის გვერდით გატარებულ ცხოვრებას და რიგრიგობით გამოიხმობდა ორ სხვადასხვაგვარ სახებას, როგორცაც ამჟამად მას აღიქვამდა. კაცმა გააცნობიერა, რომ ეს ადამიანი მკვდარი იყო, რომ მან არსებობა შეწყვიტა, რომ მოგონებად იქცა. კაცმა უხერხულობა იგრძნო და თავის თავს ჰკითხა, კიდევ რა შემდეგლო მექნაო (ჯოისი, 2014:118), (სრულად იხ. დანართი №4.24).*

თარგმანის მეორე ვერსია: *ბარში სიწყნარე იყო. მეპატრონე დახლს მიყრდნობოდა, „ჰერალდს“ კითხულობდა და თან ამთქნარებდა. დროდადრო ტრამვაი თუ გაიქროლებდა ქუჩაში. ასე იჯდა. იხსენებდა მისის სინიკოსთან ერთად გატარებულ დღეებს და რიგრიგობით იწვევდა გონების თვალწინ იმ ორ ხატებას, რომლითაც ახლა ევლინებოდა ქალი. და უცებ ნათლად შეიგრძნო, რომ ის მოკვდა, არსებობა შეწყვიტა და მოგონებად იქცა. გული დაუძმძიმდა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავიო (ჯოისი, 1984:100-101), (სრულად იხ. დანართი №4.24).*

ორივე ვერსიაში სრულყოფილადაა გადასული დედნისეული რიტმი. ფონეტიკური საშუალებებიდან ეს მოხერხდა ალიტერაციის, კონსონანსის და ასონანსის საკმარისი შემთხვევებით; ორივეში შენარჩუნდა პარონომასია: *ხსოვნად იქცეოდა,- თუ ვინმეს ახსოვდა საერთოდ. / მოგონებად არ გადაიქცევა, თუკი მომგონებელი მაინც ეყოლება.*

მორფოლოგიის თვალსაზრისით ორივე თარგმანში, უფრო კი მეორეში ნაწილობრივ შენარჩუნდა მოდალური ზმნური კონსტრუქციებით გადმოცემული პერსონაჟის ვარაუდები და ეჭვები გაძლიერებული უარყოფის მაჩვენებელი ნაწილაკებით: *კაცმა უხერხულობა იგრძნო და თავის თავს ჰკითხა, კიდევ რა შემდეგო მექნაო. გაიძვერობის კომედიას ვერ გააგრძელებდა იმ ქალთან; დაუფარავად ვერ იცხოვრებდა მასთან; კაცი მიხვდა, როგორი მარტოხელა უნდა ყოფილიყო ქალის ცხოვრება; / საკუთარ თავს ეკითხებოდა, სხვანაირად როგორ უნდა მოვექცულიყავიო. მეტ თვალთმაქცობას ველარ შესძლებდა. მასთან აშკარად ვერ იცხოვრებდა; იგი მიხვდა რა აუტანელი უნდა ყოფილიყო ქალის ცხოვრება, რა სიმარტოვე უნდა განეცადა დაუსრულებელი საღამოების განმავლობაში იმ ოთახში გამომწყვდეულს. თვითონაც მარტოობაში გაღვეს თავის წუთისოფელს, ვიდრე მასავით არ მოკვდება, არ შეწყვეტს არსებობას და მოგონებად არ გადაიქცევა;* ორივეში შენარჩუნდა პარონომასია: *ხსოვნად იქცეოდა,- თუ ვინმეს ახსოვდა საერთოდ. / მოგონებად არ გადაიქცევა, თუკი მომგონებელი მაინც ეყოლება.* ასევე, ერთი და იმავე დროში მყოფი ზმნა-შემასმენელთა წყვილი: *კითხულობდა და ამთქნარებდა; / მიყრდნობოდა, „ჰერალდს“ კითხულობდა და თან ამთქნარებდა;* ფუძის გაორკეცებით მიღებული რიტმი: დროდადრო; რიგრიგობით; სხვადასხვაგვარ; ლამიდან ღამემდე; დროდადრო; რიგრიგობით;

სინტაქსის თვალსაზრისით, ორივე თარგმანში შენარჩუნდა ყველა სინტაქსური პარალელიზმი: *კაცმა გააცნობიერა, რომ ეს ადამიანი მკვდარი იყო, რომ მან არსებობა შეწყვიტა, რომ მოგონებად იქცა; კაცის ცხოვრებაც მარტოსულისა იქნებოდა, სანამ ისიც მოკვდებოდა, არსებობას შეწყვეტდა, ხსოვნად იქცეოდა; / მეტ თვალთმაქცობას ველარ შესძლებდა. მასთან აშკარად ვერ იცხოვრებდა; ვიდრე მასავით არ მოკვდება, არ შეწყვეტს არსებობას და მოგონებად არ გადაიქცევა;*

ლექსიკის თვალსაზრისით: თარგმანშიც მეორდება საკვანძო სიტყვები *lonely (3)- მარტოხელა; მარტო; მარტოსულისა ; / სიმარტოვე; მარტოობაში; life (2)-live (2)- exist (2) ცხოვრებას; არსებობა; იცხოვრებდა; ცხოვრება; ცხოვრებაც; არსებობას; / გატარებული დღეები; არსებობა; იცხოვრებდა; ცხოვრება; წუთისოფელი; არსებობას;* კონტექსტუალური სინონიმების რიგი: *კაცმა გააცნობიერა, რომ ეს ადამიანი მკვდარი იყო=რომ მან არსებობა შეწყვიტა=რომ მოგონებად იქცა; სანამ ისიც*

მოკვდებოდა=არსებობას შეწყვეტდა=ხსოვნად იქცეოდა; / და უცებ ნათლად შეიგრძნო, რომ ის მოკვდა=არსებობა შეწყვიტა=და მოგონებად იქცა; ვიდრე მასაკით არ მოკვდება=არ შეწყვეტს არსებობას=და მოგონებად არ გადაიქცევა; *she was dead=she had ceased to exist=she had become a memory.*

შემდეგი ფინალური პასაჟი წარმოადგენს კოდას–ნაწარმოების ყველაზე ამალეზულ, ამალეზებელ, დრამატულ და შესაბამისად ყველაზე რიტმულ ნაწილს, რომელიც აღწერს გმირის გამოღვიძებას, როცა ის აცნობიერებს თავის წილ პასუხისმგებლობას მომხდარ ტრაგედიაში:

*It was after nine o'clock when he left the shop. The night was cold and gloomy. He entered the Park by the first gate and walked along under the gaunt trees. He walked through the **bleak alleys** where they had walked **four** years before. She seemed to be near him in the darkness. At moments he seemed to feel her voice touch his ear, her hand touch his. He **stood still** to **listen**. Why had he withheld life from her? Why had he sentenced her to death? He felt his moral nature falling to pieces (Joyce, 1982:129), (იხ. დანართი №4.25).*

რიტმულობის ექსპრესია გამოხატულია შემდეგი ენობრივი მოცემულობებით: ფონეტიკის დონეზე: [l][s][w][g][r] ბგერების ალიტერაცია, [st][f][r][s][n] ბგერების კონსონანსი და [i] [o][i][o][ai][ei]-ხმოვნების ასონანსი.

მორფოლოგიის დონეზე: რიტორიკული შეკითხვები პარალელური სტრუქტურებით (*Why had he withheld life from her? Why had he sentenced her to death?*); ერთნაირად გაფორმებული ზმნიზედების წყვილი (*redly and hospitably; obstinately and laboriously*).

სინტაქსის დონეზე: უმეტესად რთული ქვეწყობილი წინადადებები; სინტაქსური პარალელიზმები (*At moments he seemed to feel her voice touch his ear //her hand touch his; Why had he withheld life from her?// Why had he sentenced her to death? He could not feel her near him in the darkness // nor her voice touch his ear*); განკერძოებები (*he had sentenced her to ignominy, a death of shame; Beyond the river he saw a goods train winding out of Kingsbridge Station, like a worm with a fiery head winding through the darkness, obstinately and laboriously*). სტროფული პარალელიზმი (*he felt that he had been outcast from life's feast//No one wanted him; he was outcast from life's feast;*

ლექსიკის დონეზე: მეტად ემოციური ლექსიკა, ყოველი წინადადება ღრმა განცდების მატარებელია. მხატვრული სახეები: *the bleak alleys; He felt his moral nature falling to pieces; Those venal and furtive loves filled him with despair. He gnawed the rectitude of his life; he felt that he had been outcast from life's feast; he had sentenced her to ignominy, a death of shame;* სინონიმური წყვილები: *The night was cold and gloomy; the lights of which burned redly and hospitably in the cold night; Those venal and furtive loves filled him with despair; he had denied her life and happiness.* სიმბოლური დატვირთვის სიტყვათა გამეორება: *cold (2); gloomy; night(2); bleak; darkness; still; outcast from life's feast; perfectly silent (2) alone.*

თარგმანის პირველი ვერსია: *პაბიდან რომ გამოვიდა, უკვე ცხრას გადაცილებული იყო. ცივი და ბნელი ღამე იწვა. ჰარკში პირველი კარბჭიდან შევიდა და აწოწილი ხეების ქვეშ გაისეირნა. იმ დაღვრემილი ხეივანებით იარა, ერთად რომ მოიარეს ოთხი წლის წინ. სიბნელეში ის თითქოს ახლოს იყო. რაღაც მომენტებში კაცი შეიგრძნობდა ქალის ხმას, რომელიც მის ყურს ეხებოდა, ქალის ხელიც ეხებოდა მისას. გაიყურსა და მიაყურადა. რატომ თქვა უარი მასთან თანაცხოვრებაზე? რატომ გაწირა სიკვდილისთვის? იგრძნო, რომ მისი ზნეობრივი არსება ნაწილებად იშლებოდა (ჯოისი, 2014, 118-119), (იხ. დანართი №4.25).*

მეორე ვერსია: *უკვე მეთათე საათი იყო, ბარიდან რომ გამოვიდა. ცივი ღამე იყო, მოქუფრული. ჰარკში შევიდა პირველივე ჭიშკრით და შიშველ ხეებქვეშ ხეტიალს მოჰყვა. დადიოდა გაძარცვულ ხეივანებში, სადაც ოთხი წლის წინ ერთად დასეირნობდნენ. სიბნელეში მის სიახლოვეს გრძნობდა. თითქოს ქალის ხმაც სწვდებოდა ყურს, ხელზე მისი ხელის შეხებას გრძნობდა. გაჩერდა და ყური მიუგდო. რატომ წაართვა სიცოცხლე? რატომ მიუსაჯა სიკვდილი? გრძნობდა, რომ ემსხვრეოდა მორალური პრინციპები (ჯოისი, 1984:101-102), (იხ. დანართი №4.25).*

ჩვენი აზრით, ორივე თარგმანში ძალიან კარგად არის „გადათარგმნილი“ ორიგინალის რიტმი, რომლის ექსპრესიის გამოხატვაც კომპლექსურად, მრავალი ენობრივი საშუალების წყალობით ხდება.

ფონეტიკის დონეზე: ალიტერაციათა, კონსონანსთა და ასონანსთა შემთხვევები ორივე თარგმანში (გამუქებული და ხაზგასმული). [პ][ხ][ყ][მ][ც][პ][ხ][ღ][მ][ტ][მ][ღ] ბგერების ალიტერაცია, [ხ][თ][გ][რ][ქ][ც][რ][ს][თ] ბგერების კონსონანსი და

[ე][ი][ა][ი][ო][უ][ი][ო][ა] ხმოვნების ასონანსი; შინაგანი რითმა: *გაიყურსა და მიაყურადა*;

მორფოლოგიის დონეზე: რიტორიკული შეკითხვები პარალელური სტრუქტურებით: *რატომ თქვა უარი მასთან თანაცხოვრებაზე? რატომ გაწირა სიკვდილისთვის? / რატომ წაართვა სიცოცხლე? რატომ მიუსაჯა სიკვდილი?* ერთნაირად გაფორმებული ზმნიზედების წყვილი: *იქ, ცივ ღამეში, სინათლეები წითლად და სტუმართმოყვრულად ციმციმებდა; / ქალაქის სინათლეები თბილად და გულლიად კიაფობდნენ ცივ წყვდიადში; ერთნაირი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული წყვილი–გაწირა უსახელობისთვის, სამარცხვინო სიკვდილისათვის; გასაყიდმა და მოპარულმა სიყვარულებმა სასოწარკვეთით აავსო; ფუძეგაორკეცებული ფრაზები: მოციმციმე; მარტოდმარტო/მოლაპლაპე; მარტოდმარტო; ნელ-ნელა (2-ჯერ); უარყოფითი სიტყვებით გაფორმებული წყვილები: აქ, სიბნელეში, ქალს ვერ გრძნობდა თავის გვერდით და არც მისი ხმა ჩაესმოდა ყურში. საერთოდ არაფერი ესმოდა; / ახლა აღარც ქალის სიახლოვეს გრძნობდა სიბნელეში, აღარც მისი ხმა სწვდებოდა ყურს. რამდენიმე წუთს იცდიდა, ყურგამახვილებული. აღარაფერი გაუგონია;*

სინტაქსის თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, თარგმანებში შენარჩუნდა სინტაქსური პარალელიზმები: *რატომ თქვა უარი მასთან თანაცხოვრებაზე? რატომ გაწირა სიკვდილისთვის? / რატომ წაართვა სიცოცხლე? რატომ მიუსაჯა სიკვდილი?*

განკერძოებები: *მან კი უარყო მისი ცხოვრება და ბედნიერება, გაწირა უსახელობისთვის, სამარცხვინო სიკვდილისათვის; / ცივი ღამე იყო, მოქუფრული; გვეგონებოდათ, სიბნელეში ცეცხლისთავიანი ჭიაყელა მოცოცავსო, ნელ-ნელა და დაჟინებით. სტროფული პარალელიზმი: იგრძნო, რომ განდევნილი იყო ცხოვრების დღესასწაულიდან; არავის სურდა ის - განდევნილი ცხოვრების დღესასწაულიდან; / ცხოვრების ფერხულიდან გაძევებულად იგრძნო თავი; არავის სჭირდებოდა იგი, ცხოვრების ფერხულიდან გაძევებული იყო;*

არც ერთ თარგმანში არ დაკარგულა მეტად ემოციური ლექსიკა, შთამბეჭდავი ხატები: *თითქოს შეიყვარა ერთმა ადამიანმა ამქვეყნად, მან კი უარყო მისი ცხოვრება და ბედნიერება, გაწირა უსახელობისთვის, სამარცხვინო სიკვდილისათვის; არავის სურდა ის–განდევნილი ცხოვრების დღესასწაულიდან; ღამე სრულყოფილად ჩუმი*

იყო. / ერთდერთმა ადამიანმა გაუხსნა გული, შეიყვარა, მან კი იმას სიცოცხლე და ბედნიერება მოუსწარაფა. შერცხვენა, სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა; არავის სჭირდებოდა იგი, ცხოვრების ფერხულიდან გაძევებული იყო; მდუმარება ღამე (იხ. დანართი №4.25).

თარგმანში შევინარჩუნეთ სინონიმური წყვილები, მათ შორის კონტექსტუალური წყვილებიც: *იქ, ცივ ღამეში, სინათლეები წითლად და სტუმართმოყვრულად ციმციმებდა; / რატომ წაართვა სიცოცხლე? რატომ მიუსაჯა სიკვდილი? ქალაქის სინათლეები თბილად და გულლიად კიაფობდნენ ცივ წყვდიადში; ამ ცოდვილი, ნაპარავი სიყვარულის ხილვამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო; ერთდერთმა ადამიანმა გაუხსნა გული, შეიყვარა, მან კი იმას სიცოცხლე და ბედნიერება მოუსწარაფა. შერცხვენა, სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა;*

საკვანძო, სიმბოლური დატვირთვის სიტყვებიც იმდენჯერ გამოვრდა, რამდენჯერაც დედანში: *ცივი და ბნელი ღამე იქვა; დაღვრემილი ხეივნებით სიბნელეში; განდევნილი იყო ცხოვრების დღესასწაულიდან; სიბნელეში; ღამე სრულყოფილად ჩუმი იყო. ისევ მიაყურადა: სრულყოფილად ჩუმი. /ცივი ღამე იყო, მოქუფრული; გამარცვულ ხეივნებში; სიბნელეში; ცივ წყვდიადში; ცხოვრების ფერხულიდან გაძევებულად იგრძნო თავი; სიბნელეში; მდუმარება ღამე. ისევ მიუგდო ყური-სრული მდუმარება სუფევდა ირგვლივ. და იგრძნო, რომ მარტოდმარტო იყო ქვეყანაზე.*

ასეთივე ემოციური და ამაღლებული ფინალი (ავტორი მათ ეპიფანიებს უწოდებდა) აქვს ჯოისის მეორე მოთხრობას „მიცვალებულნი“ (James Joyce “The Dead”). ის დიდებული ევფონია და მუსიკალობა რაც საფუძვლად უდევს ამ ფრაგმენტის რიტმულობას აქაც გმირის გამოღვიძების, მისი გონების განათების ასაღწერად აქვს მოხმობილი მწერალს. მთლიან ნაწარმოებში გაშლილია მნიშვნელოვანი ანტითეზა. აღწერილია დიდი კონტრასტი-სადღესასწაულო საშობაო ვახშიმიდან, რომელიც ტექსტის უდიდეს ნაწილს იკავებს, ფინალისკენ თხრობა გადაინაცვლებს მიცვალებულთა საუფლოში. მოვიყვანოთ საანალიზოდ ეს მონაკვეთი:

He wondered at his riot of emotions of an hour before. From what had it proceeded? ... It had begun to snow again. He watched sleepily the flakes, silver and dark, falling oblquely

against the lamplight. The time had come for him to set out on his journey westward. Yes, the newspapers were right: snow was general all over Ireland, It was falling on every part of the dark central plain, on the treeless hills, falling softly upon the Bog of Allen and, farther westward, softly falling into the dark mutinous Shannon waves. It was falling, too, upon every part of the lonely churchyard on the hill where Michael Furey lay buried. It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, on the spears of the little gate, on the barren thorns. His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce, 1982:219), (იხ. დანართი № 4.26).

ზემოთ ციტირებული პასაჟის რიტმულობის ექსპრესია გამოხატულია შემდეგი ენობრივი საშუალებებით:

ფონეტიკურ დონეზე: ალიტერაციით: [s][b][b][p][l][d][k][s][l][k][s][f][d][l]; კონსონანსით [dr][n][r][l][l][f][kr]; ასონანსით [a][ei][u:] [ei][ai][ou][ai][ei][i][a:] [ou][ei][ei][a:] [i][o]; შინაგანი რითმით *descent-end-dead*; ფრაზეოლოგიური ერთეულის რიტმულობით შექმნილი ფუძის გამეორებით *One by one*.

მორფოლოგიის დონეზე: ერთნაირად გაფორმებული ჩამონათვალით, ჯერ თანდებულის თანხლებით, რომელიც ამავე დროს ეპიფორულ გამეორებასაც წარმოადგენს, შემდეგ უთანდებულოდ: *From his aunt's supper, from his own foolish speech, from the wine and dancing; It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, on the spears of the little gate, on the barren thorns;*

სინტაქსის დონეზე: დიდწილად რთული ქვეწყობილი წინადადებები; განკერძოება - *It had begun to snow again. He watched sleepily the flakes, silver and dark, falling obliquely against the lamplight;* შინაგანი მონოლოგის ფრაგმენტები (From what had it proceeded? Poor Aunt Julia! Yes, yes: that would happen very soon; Yes, the newspapers were right: snow was general all over Ireland); იხვერსია - *His soul had approached that region where dwell* (ზმნა-შემასმენელი) *the vast hosts* (ქვემდებარე) *of the dead.*

ლექსიკის დონეზე: თითქმის ყოველი წინადადება და ყოველი ფრაზა ძლიერი ემოციისა თუ განცდის მატარებელია; მრავლადაა ტროპული მეტყველების ნიმუშები - მეტაფორები: *She, too, would soon be a shade with the shade of Patrick Morkan and his horse; He would cast about in his mind for some words that might console her, and would*

find only lame and useless ones; One by one, they were all becoming shades (იხ. დანართი №4.26).

ეპითეტები: *He had caught that haggard look upon her face for a moment when she was singing Arrayed for the Bridal; Generous tears filled Gabriel's eyes;*

სინონიმური წყვილები: *crying and blowing her nose; lame and useless ones; the solid world itself...was dissolving and dwindling* (იხ. დანართი №4.26).

ანტონიმური წყვილები: *Better pass boldly into that other world...than fade and wither dismally with age; the living and the dead.*

ლექსიკური გამეორება: მნიშვნელოვანი, საკვანძო სიტყვების გამეორება, რომელსაც ეპანალექსისის სახე შეიძლება ჰქონდეს და სიმბოლურიც—*a shade with the shade of Patrick Morkan and his horse; One by one, they were all becoming shades; His soul had approached that region where dwell the vast hosts of the dead; the solid world itself, which these dead had one time reared and lived in, was dissolving and dwindling; It had begun to snow again. He watched sleepily the flakes, silver and dark; snow was general all over IreAnderson, It was falling ... falling softly upon the Bog of Allen; It was falling, too, upon every part of the lonely churchyard on the hill; It lay thickly; His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead.*

თავად სიტყვა *falling* (აქ: ბარდნა, თოვთა) ამ ბოლო სტრიქონებში მრავალჯერ (7-ჯერ) მეორდება და თანმხლებ სიტყვასთან ერთად ორჯერ გვევლინება სარკისებურ გამეორებად: *He watched sleepily the flakes, silver and dark, falling obliquely against the lamplight...It was falling on every part of the dark central plain, on the treeless hills, falling softly upon the Bog of Allen and, farther westward, softly falling into the dark mutinous Shannon waves. It was falling, too, upon every part of the lonely churchyard on the hill where Michael Furey lay buried... His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead.*

თარგმანის პირველი ვერსია: ისევ თოვდა. ძილმორეული გაჰყურებდა ლამპიონის შუქზე ირიბად ვარდნილ ვერცხლისფერ და ჩაბნელებულ ფიფქებს...ათოვდა ბნელი ცენტრალური ვაკის თითოეულ გოჯს, შიშველ მთა-გორებს, რბილად ათოვდა

ალენის ჭანჭრობს და, კიდევ უფრო დასავლეთით, შანონის ბნელ, მოუსვენარ ტალღებს. ათოვდა მარტოხელა სასაფლაოს იმ ბორცვს, სადაც მაიკლ ფურიე იწვა. თოვლი სქლად ედო მოღუნულ ჯვრებს და საფლავის ქვებს, პატარა ჭიშკრის წვეტებს, უნაყოფო ეკლებს. გეიბრიელს სული მაშინ გაეთიშა ნელ-ნელა, როცა უსმენდა თოვლს, რომელიც შრიალით ცვიოდა სამყაროში და შრიალით ედებოდა - მათი საბოლოო დასასრულივით - ყველა ცოცხალს და ყველა მკვდარს (ჯოისი, 2014:231-232), (იხ. დანართი № 4.26).

მეორე ვერსია: ისევ დაიწყო თოვა. თვლემამორეული გასცქეროდა ვერცხლისფერ და მუქ ფიფქებს, ცერად რომ მოფრინავდნენ ფარნის სინათლეში...თოვდა ჩაბნელებულ ცენტრალურ ვაკეზე, ათოვდა უტყეო ბორცვებს, თოვლი ლბილად ევინებოდა ალენის ჭაობებს, უფრო შორს, დასავლეთით, მსუბუქად ეშვებოდა შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში. ათოვდა ეულ სასაფლაოს პატარა ბორცვზე, სადაც მაიკლ ფარეი განისვენებდა. თოვლი სქლად დასდებოდა წაფერდებულ ჯვრებსა და სამარის ქვებს, დაბალი ჭიშკრის ბოძებს, ეკლიან ბუჩქებს. სმენას სწვდებოდა მსუბუქი ჩქამი და სული მისი ნელ-ნელა ენთქმებოდა თოვლის შრიალში. თოვლი ათოვდა მთელ დედამიწას, როგორც მოახლოება აღსასრულის ჟამისა; წყნარად ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც (ჯოისი, 1984:205-206), (იხ. დანართი №4.26).

თარგმანებში რიტმულობის ექსპრესია გამოხატულია: ფონეტიკურ დონეზე: ალიტერაციით: [გ][მ][ს][მ][გ][მ][ს][წ][მ][მ][ვ][მ][ს][ქ][ს][გ][ს][დ][ს][მ][ბ][გ][ხ][მ][ხ] [ც][მ][მ][დ][ს]; ჯვარედინი ალიტერაციებიც გვხვდება: [გ-დ-გ-დ][მ-ს-მ-ს]; სარკისებური ალიტერაცია [მ-მ-ს-ს]; კონსონანსით: [ს][ლხ][ხლ][ხ][ლ][წ][რ][ლ][დ][წ][ბ][რ][ფ][ფ][ტ][შ][ქ][რ][წ][დ][დ][ც][ხ][ვ][წ][ქ][რ][ც][ქ][ფ][ბ][ლ][რ][წ]; ასონანსით: [ო][ე][ო][უ][უ][ე][ო][ე][ო][ო][უ][ა][უ][ა][ო];

პარონომასიით ცრემლებმა მზერა დაუბინდა და ამ ბინდში თვალწინ წარმოუდგა ხატება; თოვლი ათოვდა მთელ დედამიწას, მორფოლოგიის დონეზე: ფრაზეოლოგიური ერთეულის რიტმულობით, რომელიც მიღებულია ფუძის გაორკეცვით ნელ-ნელა; / წლიდან წლამდე; ნელ-ნელა; ერთნაირად გაფორმებული

ჩამონათვალით, ერთი და იმავე ბრუნვაში ან ერთი და იმავე თანდებულთ: *დეიდამისის ვახშიდან, ნადიმზე წარმოთქმული მისივე ტუტუცური სიტყვიდან, ღვინიდან და ცეკვიდან, ჰოლში დამშვიდობების მხიარულებიდან, მდინარის გაყოლებით თოვლში სიარულის სიამოვნებიდან.* სინტაქსის დონეზე: გვხვდება დიდწილად რთული ქვეწყობილი წინადადებები, რომლებიც თარგმანებშიც შენარჩუნებულია (სრულად იხ. დანართი №4.26).

სინტაქსური პარალელიზმები: *ისევ თოვდა; მთელი ირლანდიის ტერიტორიაზე თოვდა. ათოვდა ბნელი ცენტრალური ვაკის თითოეულ გოჯს, შიშველ მთა-გორებს, რბილად ათოვდა ალენის ჭანჭრობს და, კიდევ უფრო დასავლეთით, შანონის ბნელ, მოუსვენარ ტალღებს. ათოვდა მარტოხელა სასაფლაოს იმ ბორცვს, სადაც მაიკლ ფური იწვა;*

განკერძობა–თვით ეს მყარი სამყაროც-ოდესღაც ამ მკვდრებით აგებულ-დასახლებული –ლღვებოდა და პატარავდებოდა; / უფრო შორს, დასავლეთით, მსუბუქად ეშვებოდა შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში, (სრულად იხ. დანართი № 4.26).

ინვერსია - საინტერესოა შემთხვევა მეორე თარგმანში: მთარგმნელმა ინვერსიული წყობა შეინარჩუნა იმავე წინადადებაში, მაგრამ არა ქვემდებარე-შემასმენელს შორის, როგორც ორიგინალში, არამედ მსაზღვრელ-საზღვრულს შორის: *სული* (საზღვრული) *მისი* (მსაზღვრელი) *იმ ზღვარს მიეახლა, რომლის მიღმა საიქიოს ბინადარნი სუფევდნენ* (*His soul had approached that region where dwell* (ზმნა-შემასმენელი) *the vast hosts of the dead* (ქვემდებარე); *ცრემლებმა მზერა დაუბინდა და ამ ბინდში თვალწინ წარმოუდგა ხატება გაწუწული ხის ქვეშ ატუზული ბიჭისა.* ორი წყვილი ინვერსიაა შემდეგ წინადადებაში: *თვალეები თავისი მკვდარი სატრფოსი, თვალეები მაშინდელი, როცა ყმაწვილი სიცოცხლეზე ამბობდა უარს.*

ლექსიკის დონეზე ორივე თარგმანში შენარჩუნებულია მეტად ინტენსიური ემოციური ტონალობა. დედნის მსგავსად, თარგმანშიც მრავლადაა ტროპული მეტყველების ნიმუშები–მეტაფორები: *ემოციების ამბობს; სულ მალე ისიც აჩრდილად იქცეოდა; უმჯობესია გაბედული გადაბარგება იმ ქვეყნად, რომელიმე სწრაფვის სრულ ბრწყინვალებაში, ვიდრე ასაკთან ერთად ნაღვლიანად დაჰკნობა და ჩაქრობა; როგორ ატარა გულში თავისი შეყვარებულის თვალეების ხატი ამდენ*

წელიწადს; სული მისი იმ ზღვარს მიეახლა, რომლის მიღმა საიქიოს ბინადარნი სუფევდნენ. მისი საკუთარი არსება, მისი მეობა მთლიანად გაქრა, განქარდა, (იხ. დანართი №4.26).

ეპითეტები: საბრალო დეიდა ჯულია! ჩაბნელებულ ფიფქებს; შანონის ბნელ, მოუსვენარ ტალღებს; ათოვდა მარტოხელა სასაფლაოს; /უტყეო ბორცვებს; შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში; ეულ სასაფლაოს; მსუბუქი ჩქამი;

შენარჩუნდა სინონიმური წყვილები: კოჭლ, უსარგებლო გამოთქმებს; ერთად ნაღვლიანად დაჰკნობა და ჩაქრობა; / უსარგებლო და ფუჭი ფრაზები; ვაჟკაცურად დასტოვო საწუთრო=ვნებით გულაღვზნებული წახვიდე იმქვეყნად; წლიდან წლამდე დაჰკნე=საწყალობლად დაჩაჩანაკდე; მთლიანად გაქრა, განქარდა; ხილული, ხელშესახები სამყარო; ოდესღაც ქმნიდნენ და აშენებდნენ; თანდათანობით მქრქალდებოდა, იცრიცებოდა, და ბოლოს, სულ მთლად უჩინარდებოდა.

ადეკვატურად გადავიდა თარგმანებში საკმაოდ ვრცელი ანტითეზებიც: უმჯობესია გაბედული გადაბარგება იმ ქვეყნად, რომელიმე სწრაფვის სრულ ბრწყინვალებაში, ვიდრე ასაკთან ერთად ნაღვლიანად დაჰკნობა და ჩაქრობა; ყველა ცოცხალს და ყველა მკვდარს; / უმჯობესია, ვაჟკაცურად დასტოვო საწუთრო და ვნებით გულაღვზნებული წახვიდე იმქვეყნად, ვიდრე წლიდან წლამდე დაჰკნე, საწყალობლად დაჩაჩანაკდე; წყნარად ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც.

არც ერთ თარგმანში არ დაიკარგა მნიშვნელოვანი, საკვანძო სიტყვების გამეორებით გადმოტანა. ვახსენოთ მათ შორის ყველაზე მთვარი: აჩრდილად, აჩრდილთან, ჩრდილებად, მკვდრების, თოვდა, ფიფქებს, თოვდა, ათოვდა, ათოვდა, ათოვდა, თოვლი, თოვლს, ყველა ცოცხალს და ყველა მკვდარს; / ჩრდილად, ჩრდილად, ჩრდილებიც, საიქიოს ბინადარნი, მიცვალებულნი, თოვა, ფიფქებს, თოვდა, თოვდა, ათოვდა, თოვლი, ათოვდა, თოვლი, თოვლის, თოვლი ათოვდა, ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც.

შემდეგი საანალიზო ფრაგმენტი არის ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის რომანიდან „დიდი გეტსბი“ (Francis Scott Fitzgerald “The Great Gatsby”).

One autumn night, five years before, they had been walking down the street when the leaves were falling, and they came to a place where there were no trees and the sidewalk was white with moonlight. They stopped here and turned towards each other. Now it was a cool

night with that mysterious excitement in it which comes at the two changes of the year. The quiet lights in the houses were humming out into the darkness and there was a stir and bustle among the stars (Fitzgerald, 1984:84).

ზემოთ ციტირებულ აბზაცში არ არის განსაკუთრებული რთული სინტაქსური პარალელიზმები, ინვერსია, განკერძოება ან განსაკუთრებული ტროპული მეტყველების სახეები. თხრობა მშვიდია, მაგრამ ღრმად ემოციური. რიტმულობა ემყარება განსაკუთრებულ მელოდიურობას და სადა ლექსიკას. უხვად გვხვდება ასონანსი: [ai][i:][ei][ai][ai][a:], ალიტერაციის და კონსონანსის რამდენიმე შემთხვევა [t][m] [st].

თარგმანის პირველი ვერსია: *შემოდგომის ერთ ღამეს, ხუთი წლის წინ, ისინი ქუჩაში სეირნობდნენ ფოთოლმცვივანი ხეების ქვეშ და ბოლოს ერთ ადგილას მიაღწიეს, სადაც ხეები საერთოდ არ იდგა, ტროტუარი კი მთვარის შუქზე თეთრად ქაქაქებდა. ამ ადგილას შეჩერდნენ და ერთმანეთისკენ მოტრიალდნენ. უკვე სუსხიანი ღამე იყო და ის იდუმალი შფოთვა დგრძნობოდა, წელიწადის სეზონის ცვალებადობამ რომ იცის ხოლმე. სახლებიდან სუსტი სინათლე თითქოს ზუზუნით გამოდიოდა და სიბნელეში იკარგებოდა, ვარსკვლავებსაც ერთი ფაციფუცი გაჰქონდათ ცაში (ფიცჯერალდი, 2014:109);*

მეორე ვერსია: *ერთხელ, შემოდგომაზე, ფოთოლცვენისას, ამ ხუთიოდე წლის წინ, შუალამით, ქუჩა-ქუჩა რომ დასეირნობდნენ, უეცრად შედგნენ ერთმანეთის პირისპირ ისეთ ადგილას, სადაც ახლომახლო არც ერთი ხე არ იდგა და მთვარის შუქი თეთრად დაფენოდა ქვაფენილს. ღამე იყო გრილი და იდუმალი მღელვარებით აღსავსე, სწორედ ისეთი, როგორც იცის წლის ორივე ბუნიობისას; სახლების მშვიდი შუქი მკრთალად ბჟუტავდა ბნელში. ჩახჩახებდნენ მოციმციმე ვარსკვლავები (ფიცჯერალდი, 1985:90).*

ორივე თარგმანში „ერთგულადაა“ გადმოტანილი დედნისეული სისადავე, სიმშვიდე და ამავედროულად ღრმა ემოციური შინაარსი. ასონანსის სიუხვე თარგმანებში ჩაანაცვლა ალიტერაციისა [წ][თ][ს]/[შ][თ][ქ][ლ][მ][ბ] და კონსონანსის [კ][რ]/[ფ][ნ][ლ] კეთილხმოვანებამ, თუმც არის ასონანსის გამოკვეთილი შემთხვევებიც [ე][ე][ი][ი][უ]/[ე][ე][ე][ი][ა]; მეორე თარგმანში გვაქვს ორი ინვერსიული

წყობა, რაც არ გვხვდება ორიგინალში: *ღამე იყო გრილი და იდუმალი მღელვარებით აღსავსე; ჩახჩახებდნენ მოციმციმე ვარსკვლავები.*

მორფოლოგიის დონეზე, ორივე მთარგმნელი არჩევს მონაკვეთის ცვალებადობის გამომხატველი შინაარსი ფორმითაც და ჟღერადობითაც ფუძეგაორკეცებული სიტყვების სიმრავლით გამოხატოს: *ქათქათებდა; ზუზუნით; ფაციფუცი; / ქუჩა-ქუჩა; პირისპირ; ახლომახლო; ჩახჩახებდნენ; მოციმციმე;*

მეორე თარგმანში გვაქვს ორი ინვერსიული წყობა, რაც არ გვხვდება ორიგინალში: *ღამე იყო გრილი და იდუმალი მღელვარებით აღსავსე; ჩახჩახებდნენ მოციმციმე ვარსკვლავები.*

მომდევნო ფრაგმენტი გამსჭვალულია ღრმა ნოსტალგიით:

When we pulled out into the winter night and the real snow, our snow, began to stretch out beside us and twinkle against the windows, and the dim lights of small Wisconsin stations moved by, a sharp wild brace came suddenly into the air. ...That's my middle west—not the wheat or the prairies or the lost Swede towns but the thrilling, returning trains of my youth and the street lamps and sleigh bells in the frosty dark and the shadows of holly wreaths thrown by lighted windows on the snow. ... (Fitzgerald, 1984:126), (იხ. დანართი №4.27).

მოყვანილი ფრაგმენტის რიტმულობა ემყარება შემდეგს:

ფონეტიკის დონეზე—ალიტერაცია [s][d][w][w][m][l][l][d][k]; კონსონანსი [s][r][t] [n][l] [ŋ]; ასონანსი [i][ei][i][ei][i:] [i][ou][i][ei]; შინაგანი რითმა [win-win-wis-sin];

მორფოლოგიის დონეზე—ერთნაირად გაფორმებული წყვილები: უარყოფის თავსართიანი *un-utterab-ly, in-distinguishab-ly*; აწმყო მიმღეობის იდენტური ფორმები *thrill-ing, return-ing*.

სინტაქსის დონეზე—ორი აბზაცი შედგება ოთხი რთული ქვეწყობილი წინადადებისაგან. სახეზეა პარალელური კონსტრუქციები: *I am part of that, a little solemn with the feel of those long winters, a little complacent from growing up in the Carraway house in a city where dwellings are still called through decades by a family's name.*

ლექსიკის დონეზე—თითქოსდა, სადა ლექსიკით გადმოცემულია აჟრიაპულეზული, არდადეგების დაწყებით გახარებული მოზარდების განცდები.

შევადართოთ ორივე თარგმანი: როდესაც კარგად ჩამოხველდებოდა და ჩვენს მატარებელსაც ეღირსებოდა გასვლა, ჩვენებური, გვარიანი თოვლით ირგვლივ ყველაფერი გადაპენტილი იყო ხოლმე, დიდრონი ფანტელები ხილვადობას ამცირებდა და გზად უისკონსინის პატარა სადგურებიდან გამომავალი სინათლეებიც ძლივსღა ბჟუტავდა ფიფქებს მიღმა. (ფიცჯერალდი, 2014:170); (იხ. დანართი №4.27).

მეორე ვერსია: მატარებელი რომ დაიძვრებოდა და ქშენით შეუტევდა ზამთრის ღამეს, ვაგონის ფანჯრებში ალიცლიცდებოდა ნამდვილი თოვლით, ჩვენებური თოვლით დაფარული მიდამო. დროდადრო გაიქროლებდა ვისკონსინის პატარა სადგურების მბჟუტავი შუქი; (ფიცჯერალდი, 1985:143), (იხ. დანართი №4.27).

ორივე თარგმანში შენარჩუნებულია რიტმულობაგამოხატული როგორც ემოციური ლექსიკით, ასევე სხვადასხვა ენობრივი მოცემულობით.

ფონეტიკის დონეზე:

ალიტერაცია [ჩ][გ][გ-ს-გ-ს][ლ][ვ][შ][გ-ვ-გ-ვ][ს][ვ][ც][მ][ქ][ლ][ს];

კონსონანსი [ლ][ვს][გლ][რ][ნ][ს][ტ][ნ][ბ][ხ][ძ][ცნ-ნც][წ][რ][მ][ნ][ფ][ლ][ც][ლ][მ];

ასონანსი [ო][ე]უ[ე][ა][უ][ე][ი][ა][ე][ო][ა][ე][უ][ა][ა];

მორფოლოგიის დონეზე: მრავლობითი რიცხვის მარკერით ნაწარმოები არსებითი სახელები ერთმანეთის სიახლოვეს: *მატარებლები, ლამპიონები და ზანზალაკებიანი მარხილები სუსხიან ბინდბუნდში; / არა ყანები და მინდვრები, ან სადღაც ჩაკარგული შვედური ქალაქები, არამედ აი ეს თრთოლვის მომგვრელი მატარებლები;* ერთი და იმავე ბრუნვის ნიშნით გაფორმებული არსებითი სახელთა რიგი: *არც ხორბლეულით, არც პრერიებით და არც მიკარგული შვედური დაბებით; / პირველყოფილი სიწმინდითა და სიმსუბუქით;* ფუძის გაორკეცებით: *დიდი-დიდი, ათუხთუხებული, ბინდბუნდში; / ალიცლიცდებოდა, დროდადრო, თანდათან.* უარყოფითი ნაწილაკების დართვით: *არც ხორბლეულით, არც პრერიებით და არც მიკარგული შვედური დაბებით; / არა ყანები და მინდვრები, არამედ აი ეს თრთოლვის მომგვრელი მატარებლები.*

სინტაქსის დონეზე: რთული ქვეწყობილი წინადადებებით; პარალელური კონსტრუქციებით: *არც ხორბლეულით, არც პრერიებით და არც მიკარგული შვედური დაბებით.../ მეც ყოველივე ამის ნაწილი გახლავართ, ოდნავ დაღვრემილი-*

გრძელი ზამთრების გამო, **ოდნავ თავდაჯერებული** იმის გამო, რომ კაროების ოჯახში აღვიზარდე.

ლექსიკის დონეზე: ორივე თარგმანში შენარჩუნებულია რიტმულობის ექსპრესია, მიღწეული განსაკუთრებული ნოსტალგიის გამომხატველი ემოციური ლექსიკით: *ჩემს გონების თვალს სულ სხვა რამ ახარებს - ჩემი სიყრმისკენ მიმავალი ათუხთუხებული მატარებლები, ლამპიონები და ზანზალაკებიანი მარხილები სუსხიან ბინდბუნდში; / ჰაერი უეცრად გაიმსჭვალებოდა პირველყოფილი სიწმინდითა და სიმსუბუქით; ეს არის ჩემი შუა დასავლეთი..აი ეს თრთოლვის მომგვრელი მატარებლები, ჩემს ბავშვობაში სახლისაკენ რომ მიმაქროლებდნენ.* სინონიმური წყვილებით: *ყველაფერი მშობლიური და შინაურული; / პირველყოფილი სიწმინდითა და სიმსუბუქით; ყანები და მინდვრები;*

ლექსიკური გამეორებები: *ასეთ დროს, ზამთრის სპეტაკი ჰაერი თითქოს მხნეობით ივსებოდა და ავსებდა ყველაფერს. სწორედ ამ ჰაერს ვიყნოსავდით ღრმად; / ვაგონის ფანჯრებში ალიცლიცდებოდა ნამდვილი თოვლით, ჩვენებური თოვლით დაფარული მიდამო (იხ. დანართი №4.27.).*

შემდეგი ნაწყვეტი რომანის საფინალო ეპიზოდს წარმოადგენს და გამოირჩევა ყველაზე დიდი ემოციურობითა და რიტმულობით; მეგობრის სიკვდილით გულგატეხილი მთხრობელი ცდილობს წარმოიდგინოს გეტსბის განცდები, როცა ეს ადგილი მან პირველად იხილა:

*Gatsby believed in the green light, the **orgiastic** future that **year by year** recedes before us. It eluded us then, but that's no matter—tomorrow we will **run faster**, stretch out our **arms farther**.... **And one fine morning—***

*So we **beat on**, **boats against the current**, **borne back ceaselessly into the past** (Fitzgerald,1984:129), (იხ. დანართი №4.28).*

ნაწარმოების ბოლო ფრაგმენტის რიტმულობა შექმნილია შემდეგით:

ფონეტიკის დონეზე: ეს არის ალიტერაცია [s] [m-h-h-m] [f][m-m-h-h] [k][n] [k][r] [b]; კონსონანსი [d][r][n][mp][nst][t]; ასონანსი [ou][ei][ai][e][i:][ei][ai][i][i:][a][a:][i];

მორფოლოგიის დონეზე: აღმატებით ხარისხში ჩასმული ზედსართავების წყვილით *the last and greatest of all human dreams;* შედარებით ხარისხში ჩასმული ზმნიზედებით *tomorrow we will run faster, stretch out our arms farther.* ორჯერ

წინადადების თავში გვხვდება *and* (და) კავშირი, რომელიც არა კავშირის ფუნქციას ასრულებს, არამედ კიდევ ერთი დამატებითი მარცვალა რიტმულობისთვის; შინაგანი რითმა შექმნილი ფრაზეოლოგიური ერთეულის ფუძის გამეორებით; ***face to face, year by year***;

სინტაქსის დონეზე: რთული ქვეწყობილი წინადადებებით; განკერძოებით - *Its vanished trees, the trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams*; ინვერსია მსაზღვრელ-საზღვრულს: *face to face for the last time in history with something commensurate to his capacity for wonder*.

ლექსიკის დონეზე: გამორჩეულად ემოციური ლექსიკა, რომელიც როგორც წესი, ახასიათებს კოდას. ეპითეტები: *shadowy, moving glow of a ferryboat; the inessential houses; the old island; Its vanished trees; the last and greatest of all human dreams; an aesthetic contemplation; on the old, unknown world; the green light; a long way; and vast obscurity beyond the city; the dark fields; the orgiastic future; one fine morning*;

მეტაფორები: *the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world. for a transitory enchanted moment; this blue lawn*;

სინონიმური წყვილები: *a fresh, green breast of the new world; He did not know that it was already behind him, somewhere back in that vast obscurity beyond the city; there were hardly any lights except the shadowy, moving glow of a ferryboat*;

სიტყვა-სიმბოლოს გამეორებით: *a fresh, green breast of the new world; the green light; Gatsby believed in the green light*; ასევე მეორდება გამორჩეული მნიშვნელობის სიტყვა: *dream* (ორჯერ) და შესამედ ნაცვალსახელური რეფერენციით;

თარგმანის პირველი ვერსია:

გეტსბის მწვანე სინათლის სჯეროდა, თავაშვებული მომავლის სიმბოლოსი, რომელიც წლითი წლობით გვეცლება ხელიდან. დიახ, ეს ყველაფერი ხელიდან დაგვისხლტა, მაგრამ რა უჭირს - ხვალიდან ვეხს ავაჩქარებთ, ხელეებს გავიწვდენტ...და ერთ მშვენიერ დღესაც ... ნიჩბებს მთელი ძალით ვუსვამთ, დინების საწინააღმდეგოდ მივცურავთ და უკანვე ვშვებით შეუჩერებლად ჩვენს წარსულში (ვიცჯერალდი, 2014:175-176), (იხ. დანართი №4.28).

თარგმანის მეორე ვერსია:

გეტსბის სწამდა მწვანე შუქისა, სწამდა სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების, რომელიც ყოველ წელს სულ უკან-უკან მიიწევს ჩვენგან, მერე რა მოხდა, თუ ახლა გაგვისხლტა, ხვალ უფრო ჩქარა გავიქცევით, უფრო შორს გავიწვდით ხელეებს... და ერთ მშვენიერ დილას... ასე ვებრძვით დინებას და აღმა მიგვეყვას ჩვენი ხომალდი, მაგრამ ცხოვრება მიწვივ უკანვე გვრიყავს, წარსულისაკენ (ფიცჯერალდი, 1985:147-148), (იხ. დანართი №4.28).

ჩვენი აზრით, ორივე მთარგმნელმა შეძლო ფინალური კოდის შესაფერისად გადმოტანა ქართულ ენაზე. თითქმის უდანაკრგოდ გადმოვიდა რიტმულობის შემქმნელი ყველა ლინგვისტური საშუალება.

ფონეტიკის დონეზე:ალიტერაცია: [მ][ს][გ-გ-გ-მ-მ-მ][მ][ქ][ს-ქ-ს-ქ][მ-ს-ს-მ][ხ][ვ]/[გ][ზ]
 [მ][მ][მ][ს-მ-ს-ს-ს-მ][გ-ხ-გ-გ-ხ][გ][შ][გ][ხ];კონსონანსი:[რ][ნ][ძნ-
 ნმ][ლ][ლ][ა][ლ][ნ][ხ][დ][მ][ხ]/[კ][ლ][ხ][წ][ყ][ვ][ხ][ცნ][ლ]ასონანსი:[ე][ა][ა][ე][უ][ო][ი][
 ე][ო][ე][ე][უ]; / [ა][ე][უ][ო][ა][უ][ე][ა][ო];

მორფოლოგიის დონეზე: თარგმანში დაიკარგა აღმატებით ხარისხში ჩასმული ზედსართავების წყვილით შექმნილი რიტმი, *the last and greatest of all human dreams* ქართულად გადმოვიდა, როგორც *უდიდესი და უკანასკნელი ოცნების და საბოლოო და უდიდესი ოცნება*; ერთ თარგმანში შენარჩუნდა შედარებით ხარისხში ჩასმული ზმნიზედების მორფოლოგიური ნიშნით გაფორმება *tomorrow we will run faster, stretch out our arms farther*—ხვალ უფრო ჩქარა გავიქცევით, უფრო შორს გავიწვდით ხელეებს...ეს უკანასკნელი შემთხვევა შეგვიძლია სინტაქსურ პარალელიზმადაც მივიჩნიოთ. სამწუხაროდ, ორივე თარგმანში დაიკარგა *and* (და) კავშირი, რომელიც ორჯერ წინადადების თავში გვხვდება არა როგორც „და“ კავშირი, არამედ კიდევ ერთი დამატებითი მარცვალ რიტმულობისთვის. უხვადაა ფუძის გაორკეცებით შექმნილი ლექსიკური ერთეულები: *მოტივტივე, მოციმციმე, ლიცლიცებდა, ნელ-ნელა, პირისპირ, დამდამობით, წლითი წლობით; / გარდიგარდმო, მაღლა და მაღლა, ჩურჩულ-შრიალში, ლივლივებდნენ, უკან-უკან*; მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებულმა წინადადების წევრთა რიგით: *ჩამოსულმა ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა*; უარყოფითი მაცალკევებლი კავშირებით: *რომელსაც არც მოელოდა და არც ეძებდა; / თუმც არც ესმოდა იგი და არც ენატრებოდა*.

სინტაქსის დონეზე: უმეტესად რთული ქვეწყობილი წინადადებებით; პირველი მთარგმნელი ხშირად არჩევს მეტი რიტმულობისთვის კავშირით „რომ“ ჩაანაცვლოს „რომელიც“ : *ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს იმ კუნძულზე ვიყავი, პირველად ჩამოსულმა ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა რომ იხილეს-ახალი სამყაროს მწვანე, ნორჩი გულმკერდი; მისი ხეების შრიალი კი, გეტსბის კარ-მიდამოზე რომ ხარობდნენ;*

სინტაქსური პარალელიზმებით: *საოცარი სურათი გადაეშალა თვალწინ, რომელსაც არც მოელოდა და არც ეძებდა;/თანდათან უჩინარდებოდა შენობები, ვით რაღაც უმნიშვნელო რამ და მე წარმოვიდგინე ეს კუნძული უკაცრიელი, ვით იმ უძველეს დროს, როცა ჰოლანდიელ მეზღვაურთა თვალწინ პირველად გადაიშალა იგი; თუმც არც ესმოდა იგი და არც ენატრებოდა; გეტსბის სწამდა მწვანე შუქისა, სწამდა სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების; ხვალ უფრო ჩქარა გავიქცევით, უფრო შორს გავიწვდით ხელებს...;*

განკერძოებით-თითქოს იმ კუნძულზე ვიყავი, პირველად ჩამოსულმა ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა რომ იხილეს-ახალი სამყაროს მწვანე, ნორჩი გულმკერდი; / ასე ვებრძვით დინებას ...მაგრამ ცხოვრება მიწყევ უკანვე გვრიყავს, წარსულისაკენ.

ინვერსიით: თარგმანის მეორე ვერსიაში გვხვდება რამდენიმე ინვერსია მსაზღვრელ-საზღვრულს შორის: *მე წარმოვიდგინე ეს კუნძული უკაცრიელი, ვით იმ უძველეს დროს, როცა ჰოლანდიელ მეზღვაურთა თვალწინ პირველად გადაიშალა იგი; მათ ჩურჩულ-შრიალში, იფურჩქნებოდა საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა.*

ლექსიკის დონეზე: რიტმულობის ექსპრესია გამოხატულია ტროპული მეტყვევებების მრავალი ნიმუშით. ესენია, პირველ რიგში ეპითეტები და მეტაფორები. ეპითეტები: *მოციმციმე სინათლე; ახალი სამყარო; კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ოცნება; მომაჯადოებელი წამი; მწვანე სინათლე; / კუნძული უკაცრიელი; გარდასულ ხეთა ჩრდილში; საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა; მრუმე მინდვრები; ღამეული ცის; სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების;*

მეტაფორები: ახალი სამყაროს მწვანე, ნორჩი გულმკერდი; მისი ხეების შრიალი კი, გეტსბის კარ-მიდამოზე რომ ხარობდნენ, ოდესღაც კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ოცნების საგალობლად ხმიანობდა; მისი სანუკვარი ოცნება უკვე ღამის ცის ქვეშ გაწოლილი უკიდევანო ველ-მინდვრების საკუთრებად ქცეულიყო; / ახალი სამყაროს მწვანე, ლორთქო გულმკერდი; გრძელი გზა გამოიარა, ვიდრე ამ ლურჯ ბაღნარში დაივანებდა; სინონიმური წყვილებით: ახალი სამყაროს მწვანე, ნორჩი გულმკერდი; სანუკვარი ოცნება უკვე ღამის ცის ქვეშ გაწოლილი უკიდევანო ველ-მინდვრების საკუთრებად ქცეულიყო. / ახალი სამყაროს მწვანე, ლორთქო გულმკერდი; მათ ჩურჩულ-შრიალში; გაოცებისა და აღფრთოვანების მისეულ უნარს; ახლო და ხელშესახები ეჩვენებოდა; ყველაფერი უკვე განვლილი იყო, ჩამოტოვებული ჰქონდა; ასე ვებრძვით დინებას და აღმა მიგვყვავს ჩვენი ხომალდი , (იხ. დანართი №4.28).

ლექსიკური გამეორებით: მეორდება არა მარტო განსაკუთრებული დატვირთვის სიტყვა -სიმბოლოები, ასევე ცალკეული სიტყვები სათქმელის ემფაზისათვის: წყალზე მხოლოდ ყურეში მოტივტივე ბორნის მოციმციმე სინათლე ლიცლიცებდა ოდნავ შესამჩნევად; კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ოცნება; მწვანე სინათლე; მიუახლოვდა თავის ოცნებას; ოცნება უკან დარჩენილიყო; მისი სანუკვარი ოცნება; გეტსბის მწვანე სინათლის სჯეროდა; / ოდნავ ბეუტავდა მხოლოდ ბორანი; საბოლოო და უდიდესი ოცნება; ოცნებით ვხედავდი ძველ, უცნობ სამყაროს; თავისი ოცნება; გეტსბის სწამდა მწვანე შუქისა; აწ გარდასულ ხეთა ჩრდილში, იმ ხეთა ჩრდილში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს;

არქაული ჟღერადობის და ამაღლებული ტონალობის გამომხატველი სიტყვებით: გაინამქრა სივრცეში; ოცნების საგალობლად ხმიანობდა; სანუკვარი ოცნება; / თანდათან უჩინარდებოდა შენობები, ვით რაღაც უმნიშვნელო რამ და მე წარმოვიდგინე ეს კუნძული უკაცრიელი, ვით იმ უძველეს დროს; მშვენიერების ჭვრეტის მომნუსხავ ძალას; ვიდრე ამ ლურჯ ბაღნარში დაივანებდა; მრუმე მინდვრები ღამეული ცის ქვეშ ლივლივებდნენ; ცხოვრება მიწყვიტე უკანვე გვრიყავს, წარსულისაკენ.

ჩვენი კვლევის სრულყოფილი სახისთვის გადავწყვიტეთ, თავადაც გვეთარგმნა ფრაგმენტები ერთ-ერთი საანალიზო წყაროდან. მით უმეტეს, რომ ის არასოდეს

თარგმნილა ქართულად. ამით პასუხი გაეცემა ჩვენს ერთ-ერთ მთავარ კითხვას: გააჩნია თუ არა ქართულ ენას ყველა ის ენობრივი რესურსი, რომ ადეკვატურად გადმოვიდეს ინგლისური ენიდან რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველი ყველა ენობრივი საშუალება ენობრივი გამოხატვის ყველა დონეზე, მაქსიმალურად იმავე მოცემულობებით (ოღონდაც ისე, რომ ამით საბოლოო შედეგს სწორხაზოვნება არ დაეტყოს).

ჩვენს კვლევის ობიექტს ამჯერად წარმოადგენს ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის „მსხვრევა და სხვა ისტორიები“ (*Francis Scott Fitzgerald, The Crack-up with Other Pieces and Stories*).

მოვიხმობთ პირველ ფრაგმენტს:

And lastly from that period I remember riding in a taxi one afternoon between very tall buildings under a mauve and rosy sky; I began to bawl because I had everything I wanted and knew I would never be so happy again (Fitzgerald, 1965:26).

გარდა დიდი ემოციური ტონალობისა, რაც მიღწეულია ლექსიკო-სემანტიკური საშუალებებით *under a mauve and rosy sky-მოიისფრო-მოვარდისფრო ცის ქვეშ*; და მთელი ბოლო წინადადება- *I began to bawl because I had everything I wanted and knew I would never be so happy again- ღმუილი დავიწყე, რადგან ყველაფერი მქონდა, რაც კი მინდოდა და ვიცოდი, აღარასოდეს ვიქნებოდი ასეთი ბედნიერი*); ნაწყვეტის რიტმულობა განპირობებულია ფონეტიკური კუთხითაც, კერძოდ, ალიტერაცია[r][b][n]; კონსონანსი [r][n]; ასონანსი [ou]. მორფოლოგიურად: ზმნა-შემასმენლები მიყოლებით ყველა მარტივ ნამყო დროში (*began, had, wanted, knew*);

და ბოლოს, იმ ხანიდან მახსოვს, ერთხელ ნაშუადღევს ძალიან ძალაღ შენობებს შორის და მოიისფრო-მოვარდისფრო ცის ქვეშ ტაქსით მივდიოდი; ღმუილი დავიწყე, რადგან ყველაფერი მქონდა, რაც კი მინდოდა და ვიცოდი, აღარასოდეს ვიქნებოდი ასეთი ბედნიერი.

ქართულ ენაზე მოხერხდა რიტულობის შემქმნელი ყველა ენობრივი მოცემულობის გადატანა: ემოციური ტონალობა; ემოციური ლექსიკა; ალიტერაცია [შ][მ][მ]; კონსონანსი [ხ][ლ]; ასონანსი [ა][ე]; მიმსგავსებული სიტყვების რითმა: *მოიისფრო-მოვარდისფრო*; იდენტური თავსართ-ბოლოსართები: *მოიისფრო-მოვარდისფრო*;

შემდეგ მეტად ემოციურ აზრებში რიტმულობას ქმნის პირველ რიგში ემოციური ლექსიკა, ემოციური ტონალობა, საგანგებოდ შერჩეული ლექსიკა. მნიშვნელოვანი რიტმული აქცენტი შემოაქვს სიტყვა სიმბოლოს ნიუ-იორკის გამეორებას, რომელიც ზოგჯერ ნაცვალსახელით იცვლება (it), მაგრამ უმეტესად არსებითი სახელით (the city); ფონეტიკურ დონეზე ეს არის ალიტერაცია [m][t][m], ასონანსი [ʌ][au][ei] [i], შინაგანი რითმა [majesty-city] [knew-New]. სინტაქსის თვალსაზრისით: რთული ქვეწყობილი წინადადებები ჩართულებით.

*It was three years before we saw **New York** again. As the ship glided up the river, the city burst thunderously upon us in the early dusk—the white glacier of lower **New York** swooping down like a strand of a bridge to rise into uptown **New York**, a miracle of foamy light suspended by the stars. A band started to play on deck, but the majesty of the city made the march trivial and tinkling. From that moment I knew that New York, however often I might leave it, was home (Fitzgerald, 1965:27);*

კიდევ სამი წელი გავიდა, სანამ ნიუ-იორკი კვლავ ვიხილეთ. ადრეულ ბინდ-ბუნდში გემი მდინარეზე რომ ასრიალდა, ამ დროს ქლაქი, როგორც ჭექა-ჭუხილი ისე დაგვატყდა თავს-ქვედა ნიუ-იორკის ქათქათა მწვერვალები დაკიდული ხიდივით მეექნებოდა ჩვენს თვალწინ, რომ რამდენიმე წამში კვლავ ზედა ნიუ-იორკში აღმართულიყო. თითქოს ვარსკვლავებს ეჭირათ ეს გაბრწყინებული, აზავთებული სასწაული. გემბანზე ორკესტრმა დაიწყო დაკვრა, მაგრამ ქლაქის დიდებულებამ მარში გადაჰფარა, უბრალო ქლარუნა და ისმოდა. იმ წუთში მივხვდი, რომ ნიუ-იორკი, რაც არ უნდა ხშირად მიმეტოვებინა ეს, მაინც ჩემი სახლი იყო.

ქართულ თარგმანში შევინარჩუნეთ ემოციური ტონალობაც და ემოციური ლექსიკაც. ნიუ-იორკი გამეორდა იმდენჯერ რამდენჯერაც დედანში და მისი რეფერენციაც მოხდა როგორც ნაცვალსახელით (ის), ისე არსებითი სახელით (ქლაქი), ისე როგორც ორიგინალში. მორფოლოგიის დონეზე რიტმულობა შემოაქვთ კომპოზიტს ჭექა-ჭუხილი; ფუძეგაორკეცებულ სიტყვებს: ბინდ-ბუნდში, ქათქათა, მსგავს ბოლოსართიან მიმღეობათა წყვილს - გაბრწყინებული, აზავთებული; სინტაქსის თვალსაზრისითაც შენარჩუნდა რთული ქვეწყობილი წინადადებები ჩართულებითურთ.

შემდეგ მონაკვეთში, რომელიც მიგვაჩნია, რომ მთლიანად მეტად ემოციურ ფრაგმენტს წარმოადგენს, ექსპრესია გამოხატულია, როგორც ელემენტური განწყობით-წარსულის გახსენება, ასევე ემოციური ლექსიკით- *My own happiness, my happiness; an ecstasy; I could not share it even with the person dearest to me;* ფონეტიკური საშუალებებით: ალიტერაცია [p][l], კონსონანსი [l][t][st][ts][r], ასონანსი [ou][ei][i], შინაგანი რითმა *distil –little*.

My own happiness in the past often approached such an ecstasy that I could not share it even with the person dearest to me but had to walk it away in quiet streets and lanes with only fragments of it to distil into little lines in books- and I think that my happiness, or talent for self-delusion or what you will, was an exception (Fitzgerald, 1965:55).

თარგმანში მოხერხდა შენარჩუნებულიყო დედნისეული ემოციური ტონალობა და ასევე ყველა ის ლინგვისტური მოცემულობა, რაც ორიგინალის რიტმულობას განაპირობებს. ფონეტიკური: ალიტერაცია [გ][შ][მ], კონსონანსი [რ][ნ], ასონანსი [ა][ე][ი]. მორფოლოგიური: მსგავსი ბრუნვის- და მრავლობითის მაწარმოებელი ბოლოსართიანი წყვილები: *ვერავისთან, ყველაზე ძვირფას ადამიანთანაც კი ვერ ვახერხებდი; ქუჩებ-ისა და პარკებ-ისთვის;* სინტაქსური: რთული წინადადებები ჩართულობით. და რა თქმა უნდა ემოციური ლექსიკა.

წინათ ჩემი საკუთარი ბედნიერება ხანდახან ისეთ აღმაფრენას მომგვრიდა ხოლმე, რომ ვერავისთან, ყველაზე ძვირფას ადამიანთანაც კი ვერ ვახერხებდი მის გაზიარებას; გარეთ უნდა გავსულიყავი და ჩემი განცდები მშვიდი ქუჩებისა და პარკებისთვის შემეტოვებინა; მხოლოდ მათი ფრაგმენტებიღა თუ ახერხებდნენ ნაწერებში გაჟონვას; და მე მგონია, რომ ჩემი ბედნიერება თუ თავის მოტყუების ნიჭი ან რაც გინდათ ეს უწოდეთ, იშვიათი იყო.

შემდეგი პასაჟის რიტმულობა უმეტესწილად განპირობებულია მისი ემოციური შინაარსით, რომელიც ისევ ელემენტური ტონალობისაა. ლექსიკური გამეორებანი: *years, dreams;* ანტონიმური წყვილი: *the fulfilled future and the wistful past;* რიტმულობის ექსპრესიას გამოხატავს ასევე სინტაქსური პარალელიზმები *It was..., when...,* უმეტესად რთული ქვეწყობილი კონსტრუქციებით; ფრაგმენტი (სრულად იხ. დანართი №4.29.) ასევე მდიდარია რიტმულობის შემქმნელი ფონეტიკური

საშუალებებით: ალიტერაცია [s][t][r][m][p][l][f], კონსონანსი [tw][r][p][st][m][g], ასონანსი [i:] [i][ou][ai], შინაგანი რითმა *eternal-Carnival, mingled-single*.

I had fair years to waste, years that I can't honestly regret, in seeking the eternal Carnival by the Sea. Once in the middle twenties I was driving along the High Corniche Road through the twilight with the whole French Riviera twinkling on the sea below. It was not Monte Carlo I was looking at. It was back into the mind of the young man with cardboard soles who had walked the streets of New York. I was him again- for an instant I had the good fortune to share his dreams, I who had no dreams of my own (Fitzgerald, 1965:62).

კიდევ ბლომად წლები უნდა გამეფლანგა, წლები, რომელთაც მართლა არ ვნანობ, ზღვის პირას მარადიული დღესასწაულის ძიებაში. ერთხელაც, ოციანი წლების შუაგულში ხმელთაშუა ზღვის მაღლობი სანაპიროს შოსეზე შებინდებულზე მანქანით მივდიოდი, ქვევით კი მთელი ფრანგული რივეიერა წყალში არეკლილი ციმციმებდა. მონტე-კარლოს არ ვუცქერდი მაშინ. ჰრამედ იმ ახალგაზრდა კაცის გონებაში დავბრუნდი კვლავ, კარდონის ძირიანი ფეხსაცმლით ნიუ-იორკის ქუჩები რომ ჰქონდა შემოვლილი. ესევ იმად ვდექ - წამით ბედმა გამიღიმა და კვლავ მისი ოცნებების მოზიარე გავხდი, მე, რომელსაც უკვე აღარ გამაჩნდა სანუკვარი ოცნებანი.

ქართულ თარგმანში მოვახერხეთ გადაგვეტანა რიტმულობის ექსპრესიის გამოხატვის შემდეგი საშუალებები: ლექსიკის დონეზე: ემოციური ლექსიკა, ლექსიკური გამეორება: ოცნება, წლები; მეტაფორები: ზღვის პირას მარადიული დღესასწაულის ძიებაში; იმ ახალგაზრდა კაცის გონებაში დავბრუნდი; წამით ბედმა გამიღიმა და კვლავ მისი ოცნებების მოზიარე გავხდი; ჩუმად მივეპარები მას, გავაოცებ ხოლმე შემოდგომის რომელიმე დილით ნიუ იორკში ან გაზაფხულზე ღამით კაროლინაში; როცა იმედებით სავსე მომავალი და უკვე მონატრებული წარსული ერთ დიდებულ წუთად იქცა შედარებები: როცა ისეთი სიწყნარეა, მეზობელ საგრაფოში ძაღლის ყეფას გაიგებ; როცა სიცოცხლე ნამდვილ ოცნებას ჰგავდა; ანტონიმური წყვილი: იმედებით სავსე მომავალი და უკვე მონატრებული წარსული; მორფოლოგიის დონეზე: რიტმი ფუძეგაორკეცებული სიტყვისა ციმციმებდა; ერთი და იმავე ბრუნვის მაწარმოებელი მარკერები: შოსეზე შებინდებულზე; მიმლეობების მსგავსი სუფიქსები: მომავალი, მონატრებული, წარსული; ფონეტიკის დონეზე: ალიტერაცია [შ][მ][მ][ხ][მ], კონსონანსი

[ლ][მ][რ][ყ][ც], ასონანსი [ა][ო][ე]; სინტაქსის დონეზე: რთული ქვეწყობილი წინადადებები; სინტაქსური პარალელიზმი: *როცა მე და ის კვლავ ერთი პიროვნება ვიყავით, როცა იმედებით სავსე მომავალი და უკვე მონატრებული წარსული ერთ დიდებულ წუთად იქცა – როცა სიცოცხლე ნამდვილ ოცნებას ჰგავდა.*

შემდეგი ნაწარმოების (სემუელ ბეკეტის მოთხრობა „ერთ საღამოს“ (Samuel Beckett *One Evening*) რიტმულობა განსხვავდება ზემოთ მოყვანილი ნაწარმოების რიტმულობისგან. აქ ტონალობაც განსხვავებულია და განწყობაც. ხაზგასმულად არა-რომანტიკულ ტექსტში რიტმულობა მიღწეულია იმავე საშუალებებით, თუმცა, განსხვავება ის არის, რომ აქ თითქმის არ გვხვდება რთული წინადადებები და ძუნწ, თავშეკავებულ აღწერაში დიდი განცდები და ემოციები გამოსჭვივის, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს რიტმულობის ექსპრესიას:

One evening

*He was **found** lying on the **ground**. No one had missed him. No one was looking for him. An old woman found him. To put it vaguely. It happened so long ago. She was **straying** in **search** of wild flowers. Yellow only. With no eyes but for these she stumbled on him lying there. He lay face downward and arms outspread. He wore a greatcoat in spite of the time of year. Hidden by the **body** a long row of **buttons** fastened it all the way down* (Beckett, 1985:1), (იხ. დანართი №4.30).

მოკლედ ჩამოვთვალოთ ყველაზე უმთავრესი და თვალშისაცემი რიტმულობის ექსპრესიის გამომხატველი ენობრივი საშუალებანი; ფონეტიკის დონეზე: ალიტერაცია [s][b][s][h][f][s][g][l][l]]; მათ შორის ჯვარედინი *she strays feverishly in search of the wild flowers* [s-f-s-f]; კონსონანსი [k][l][nd][s][l][s][r]; ასონანსი [au][i][ai][ou][ei][ei][ei][ou][ai][ei]; შინაგანი რითმა: *found lying on the ground; Slow fade of afterglow*; პარონომასია: *It is to reflower the grave she strays in search of the flowers he had loved.*

მორფოლოგიის დონეზე: ადგილის თანდებულებით ნაწარმოები წყვილი ზმნიზედა *He lay face downward and arms outspread*; თანდებულ-თავსართიანი წყვილი არსებითი სახელი *She craves for sundown to end and to stray freely again in the long afterglow*; მრავლობითი რიცხვის მარკერით ნაწარმოები არსებითი სახელების წყვილი *Buttons of all shapes and sizes*; უარყოფით ნაწილაკებიანი და უარყოფითი ნაცვალსახელების

შემცველი წინადადების სიმრავლე: **No one had missed him. No one was looking for him; Not too fast; But there were no lambs. She could see none. No one abroad. Not a single lamb. No one had missed him.**

სინტაქსის დონეზე: ერთმანეთის მიყოლებით სახელდებითი წინადადებების სიმრავლე: *The deserted fields. The old woman all in black stockstill. The body stockstill on the ground. Yellow at the end of the black arm. The white hair in the grass.* ინვერსიათა სიმრავლე, როგორც ქვემდებარე-შემასმენელს შორის: *Should she now move away into the east her shadow would go before. Were a third party to chance that way theirs were the only bodies he would see;* ასევე მსაზღვრელ-საზღვრულს შორის: *Hidden by the body a long row of buttons fastened it all the way down. Buttons of all shapes and sizes. Worn upright the skirts swept the ground. Sky overcast all day till evening. The old woman all in black stockstill. The body stockstill on the ground. Cooped indoors all day she comes out with the sun. Any flower wide of her course she reaches sidelong. Shadow and rustle irksome,* (იხ. დანართი №4.30).

სინტაქსური პარალელიზმები: **No one had missed him. No one was looking for him; A few drops if you will. A few drops in the morning if you will;**

სტროფული პარალელიზმები; მეორდება მთელი წინადადებები, ზოგი სამჯერ: *No one had missed him. No one was looking for him; It happened so long ago; That seems to hang together; Not too fast;*

განკერძობა: *Her old friend her shadow irks her.*

ლექსიკის დონეზე: უპირველეს ყოვლისა, ეს არის ძუნწად, მაგრამ საგანგებოდ შერჩეული ლექსიკა, რითაც ავტორი გვიხატავს უდაბურ, თითქმის უსიცოცხლო პეიზაჟს, სადაც ჩამავალი მზის ფონზე ოთხიოდე ფერი გაიელვებს მხოლოდ მკვეთრად, რომლებიც მრავალგზის მეორდებიან ტექსტში - *yellow, green, white, black;* ლექსიკური გამეორებანი: *Hidden by the body a long row of **buttons** fastened it all the way down. **Buttons** of all shapes and sizes; The old woman all in black **stockstill**. The body **stockstill** on the ground. Surprised to have seen no one on the way she strays **feverishly** in search of the wild flowers. **Feverishly** seeing the imminence of night. The sun disappears at last and with it **all shadow**. **All shadow** here.*

მოთხრობის ქართულ ენაზე თარგმნისას ჩვენი მიზანი იყო, გვეჩვენებინა, თუ რამდენად მაქსიმალურად შეიძლება შევინარჩუნოთ თარგმანში რიტმული ექსპრესიის გამოხატვის ენობრივი მონაცემები ამჯერად განსხვავებული, ხაზგასმულად არა-რომანტიკული, არა-თვალშისაცემად ემოციური ტექსტისა. გთავაზობთ თარგმანს და შემდეგ ანალიზს:

ერთ საღამოს

კაცი მიწაზე მწოლიარე ნახეს. არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას. ერთმა მოხუცმა ქალმა იპოვა. თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს ისე დიდი ხნის წინ მოხდა. ქალი ველური ყვავილების მოსაძებნად დაეხეტებოდა. მარტო ყვითლების. თვალები მხოლოდ მათთვის ჰქონდა გაფაციცებული, როცა მწოლიარეს გადააწყდა. კაცი პირქვე იწვა მკლავებგამლილი. გრძელი პალტო ეცვა მიუხედავად სეზონისა. ბოლომდე შეკრული ღილების გრძელი მწკრივით, პირქვე მწოლიარე სხეულს რომ დაეფარა (იხ. დანართი №4.30).

მაქსიმალურად შევეცადეთ, გადმოგვეტანა რიტმულობის გამომხატველი საშუალებები ყველა დონეზე. თარგმანში არ დაიკარგა უმთავრესი, ის ემოციური ტონალობა, რასაც ქმნის ტექსტში აღწერილი უსასოობის, უიმედობის, სიცარიელის განცდა-მიტოვებული, უდაბური ველები და ცაც მთვარისა და ვარსკვლავების გარეშე. ფონეტიკის დონეზე: ალიტერაცია [მ][ლ][მ][დ][ლ][მ][ყ][ბ][შ][გ][მ][გ][მ], კონსონანსი [წ][ლ][ყვ][წ][ლ][ბ][კლ][ყვ][ხ][ვ][მ][შ] [[წვ] , ასონანსი [ო][ო][ო][ი][ა][ი][ე][ი] [ე][ა][ა][ე][ა].

მორფოლოგიის დონეზე: იდენტურად ნაწარმოები წყვილი მიმღეობა მზით განათებული, მოხუცებული სახე. უარყოფით ნაწილაკებიანი და უარყოფითი ნაცვალსახელების შემცველი წინადადების სიმრავლე: *არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას. კაცის შვილი არ ჩანს. არც ერთი ბატკანი. მაგრამ ამაზე მეტი აღარაფერი.* ფუძე გაორკვეცებისგან მიღებული რიტმულობა-ქვედაბოლოს ნაცნობი შარი-შური ემატება ბალახში. ქალი ნახევრად დახუჭული თვალებით მოძრაობს, თითქოსდა მზის კაშკაშა შუქსაა მიჯაჭვული. ჩრდილი და შარი-შური გამაღიზიანებელი.

სინტაქსის დონეზე: შევინარჩუნეთ ერთმანეთის მიყოლებით სახელდებითი წინადადებების რიგი. მაგ. *მიტოვებული მინდვრები. მოხუცი ქალი მთლად შავებში*

უძრავად. ჭაღარა თმა ბალახში; არც ერთი ბატკანი. ათასში ერთი ყვავილი. ჩრდილი და შარი-შური გამაღიზიანებელი; ცოცხალი სურათი, თუ გნებავთ. თავისებურად;

ინვერსიათა სიმრავლე, როგორც ქვემდებარე-შემასმენელს შორის- აღმოსავლეთისკენ რომ გადაენაცვლებინა ქალს, ჩრდილი წინ გაუძღვებოდა; ასევე მსაზღვრელ-საზღვრულს შორის: ცა მოღუშული მთელი დღე, საღამომდე. გამომწყვდელი მთელი დღე სახლში, ქალი მზესთან ერთად გამოდის გარეთ; ჩრდილი და შარი-შური გამაღიზიანებელი.

თარგმანში შევინარჩუნეთ როგორც სინტაქსური პარალელიზმები: *შემთხვევა. არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას; სადმე ადრე ხომ არ შეიძლებოდა ენახა ქალს იგი? სადმე ადრე ფეხზე მოსიარულე? რამდენიმე წვეთი, თუ ამას წვიმა ჰქვია. რამდენიმე წვეთი დილით, თუ ამას წვიმა ჰქვია*, ისე სტროფული პარალელიზმები; მეორდება მთელი წინადადებები—*არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას; ეს ისე დიდი ხნის წინ მოხდა; ეს უკვე მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს; ასე ძალიან ნუ ავჩქარდებით*; შევინარჩუნეთ განკერძოება: *ძველი მეგობარი, თავისი ჩრდილი თავს აბეზრებს*.

რაც შეეხება **ლექსიკურ** საშუალებებს, თარგმანში ადეკვატურად გადავიდა ლექსიკური გამეორებანი: *ბოლომდე შეკრული დიღების გრძელი მწკრივით, პირქვე მწოლიარე სხეულს რომ დაეფარა. დიღები—ყველა ზომის და ფორმის; თავთან ახლოს შლაპა იდო მიწაზე. მიწას ეხებოდა ქუდის ფარფლიცა და გვირგვინიც*;

და ბოლოს, შევინარჩუნეთ ის რაოდენობა, რამდენჯერაც ფერები—*ყვითელი, მწვანე, შავი და თეთრი* მეორდება.

დასკვნა

რიტმული პროზა, როგორც თხრობის ერთ-ერთი უძველესი სახე, პოეზიისა და ჩვეულებრივი პროზისგან განსხვავებით, არ თავსდება მკაცრად შემოფარგლულ ჩარჩოებში და სწორედ ამ უნიკალური თვისებით ერთგვარად აერთიანებს როგორც პოეზიის, ისე პროზის ყველაზე არსებით ნიშნებს. თანამედროვე ავტორები მას ხშირად მიმართავენ, როგორც გამოხატვის მეტად მოხერხებულ საშუალებას. ვერსიფიკაციის კანონებისგან თავისუფალი რიტმული პროზა, თავისი მრავალგვარი რიტმული მონახაზის წყალობით თანამედროვე, მრავალხმიანი, მრავალფეროვანი სამყაროს შესაფერის ჟღერადობას იძენს.

ტიპოლოგიურ ჭრილში რიტმული პროზის შესახებ მეცნიერული კვლევების თითქმის არარსებობიდან გამომდინარე, დღესდღეობით მეტად აქტუალურია მისი სიღრმისეული შესწავლა-ანალიზი.

ამდენად, ვფიქრობთ, მეტად საინტერესო იქნება შედეგები, რომელიც გამოიკვეთა ქართული და ინგლისურენოვანი რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის ტიპოლოგიური მიმართებების კვლევის საფუძველზე:

- რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის თვალსაზრისით, დადასტურდა, რომ ორივე საანალიზო ენას გააჩნია მეტად მრავალმხრივი და საინტერესო შესაძლებლობები ენის ყველა დონეზე (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური და ლექსიკური).
- როგორც ქართულ, ისე ინგლისურენოვან პროზაში, **ფონეტიკის** დონეზე, რიტმულობისა და ექსპრესიის შესაქმნელად მეტად აქტიური საშუალება აღმოჩნდა: ალიტერაცია, კონსონანსი და ასონანსი (იხ. სქემა №1, გვ.23).
- ინგლისურენოვანი რიტმული პროზა, გამომდინარე ამ ენაში არსებული დიფთონგების სიუხვიდან, გაცილებით უფრო გაჯერებულია ასონანსით.
- ქართულ ტექსტებში შეიმჩნევა ასონანსის შემდეგი ტენდენცია–განმეორებადი ხმოვნების არსებობა ერთსა და იმავე თანხმოვნებთან.
- ალომორფიზმად შეიძლება მივიჩნიოთ ქართული რიტმული პროზისთვის დამახასიათებელი სხვათა სიტყვის „ო“ დაბოლოებიანი წინადადებები, რაც არ დასტურდება შესაპირისპირებელ (ინგლისურ) ენაში.

- ვინაიდან ქართული ენის რიტმი მარცვლოვანია, რიტმულობა შეიძლება ადვილად იქნეს მიღწეული გართმევით, შინაგანი რითმებით, მარცვალთა თანაბარი რაოდენობით. ასე რომ, ტექსტს თუ ლექსის ფორმას მივცემთ, შესაძლებელი ხდება მისი, როგორც პოეტური ნაწარმოების წაკითხვა.
- **მორფოლოგიის** დონეზე ყველაზე ნიშანდობლივ უნივერსალიად ქართულ და ინგლისურენოვან რიტმულ პროზაში დადასტურდა აფიქსაცია, როგორც რიტმულობის შემქმნელი საშუალება: მრავლობით რიცხვში და ერთსა და იმავე ბრუნვაში (ინგლისურში თანდებულების მეშვეობით) ჩასმული არსებითი სახელებისა თუ მიმღებების გამეორება და ჩამონათვალი; ერთი და იმავე მწკრივის (ქართულში) და დროის ფორმის (ინგლისურში) გამომხატველი ზმნების გამეორება; შედარებით ან აღმატებით ხარისხში ჩასმული ზედსართავი სახელის გამეორება; უქონლობის გამომხატველი პრეფიქსიან-სუფიქსიანი ზედსართავისა თუ ზმნიზედის გამეორება; ერთი და იმავე ან მსგავსი ფუძის შეკავშირება მნიშვნელობით ან ფორმით მიმსგავსებულ თავსართთან; საერთო თანდებულიანი სიტყვების გამეორება; პარონომასია.
- ინგლისურისგან განსხვავებით, ქართულენოვან რიტმულ პროზაში დადასტურდა შემდეგი მნიშვნელოვანი ალომორფიზმები: ნართანიანი მრავლობითის ფორმის სტილისტიკური პოტენციალი რიტმულობისათვის; მრავლობით რიცხვში ჩასმული არა მარტო არსებითი სახელების, არამედ რიცხვითი სახელების, ზედსართავებისა და მიმღებების ჩამონათვალი; კეთილხმოვანებისათვის ავტორის მიერ სიტყვათა თავისუფალი ფორმაცვალებადობა; ზმნის პირის ნიშანთა ნორმის დარღვევით ხმარება; ზედსართავის ბრუნვაში სრული ან ნაწილობრივი შეთანხმება სახელთან.
- ქართული და ინგლისური რიტმული პროზის ენის ალომორფიზმად უნდა მივიჩნიოთ ინგლისურში აწმყო დროის მიმღებობის *-ing* დაბოლოებიანი და წარსული დროის მიმღებობის *-ed* დაბოლოებიანი (მხოლოდ წესიერი ზმნებისთვის) ფორმების გამეორება. (ქართული ენის მიმღებობისთვის დამახასიათებელია გაცილებით მრავალფეროვანი სუფიქსები: *-ულ, -ილ, -ელ, -ებ, -ავ, -არ, -არე, -ე*).

- სინტაქსის დონეზე საკვლევ ენებს შორის დადასტურდა შემდეგი ენობრივი უნივერსალები: სამივე ტიპის წინადადებას ხელსაყრელი სტრუქტურა აღმოაჩნდა რიტმულობის გამოსახატავად. ორივე ენაში ყველაზე მეტად ამ მხრივ გამოირჩევა მარტივი წინადადება, მას მოჰყვება შერწყმული და რთული ქვეწყობილი. ბოლო ადგილზეა რთული თანწყობილი (იხ. სქემა № 2, გვ.70).
- სინტაქსურ დონეზე დადასტურებული უნივერსალები საერთოა ყველა ტიპის წინადადებისთვის: ქვემდებარისა და ზმნა-შემასმენელის ინვერსიული წყობა; მსაზღვრელ-საზღვრულის ინვერსიული წყობა; ნამყო დროში სრული ასპექტით გამოხატული მოქმედებათა რიგი; სახელდებითი წინადადების სიუხვე, როგორც დამოუკიდებლად, ასევე, უფრო რთული წყობის წინადადების ნაწილად; წინადადების მოდალობა: ერთმანეთის გვერდით განლაგებული კითხვითი თუ ძახილის წინადადებები, მრავალი მათგანი გამლიერებული შორისდებულის ექსპრესიულობით; სინტაქსური პარალელიზმი; სტროფული პარალელიზმი; უარყოფითი თავსართებით თუ ნაწილაკებით გაფორმებული ერთგვარ წევრები; ერთგვარი წევრებით გამოხატული სინონიმური თუ ანტონიმური წყვილები; პერიფრაზი; წინადადების წევრების განკერძოება.
- საანალიზო ენებში გამოიკვეთა რთული წინადადების მეტად ხელსაყრელი წყობა დიდი განფენილობის საშუალებების, მაგ.: სინტაქსური პარალელიზმების, პარალელური სტროფების, გრადაციების უფრო დიდი მასშტაბით განსახორციელებლად; შედარებით მოზრდილ სინტაქსურ ერთეულში უკეთესად იკვეთება ის საშუალება, რომლის რეალიზაციასაც განფენილობა სჭირდება და არ არის ლოკალიზებული რამდენიმე ერთმანეთთან ახლოს მდებარე სიტყვაზე, როგორც ამას მაგ. ალიტერაცია ან ასონანსი მოითხოვს.
- ერთწევრიანი, მხოლოდ ზმნა-შემასმენლისგან შემდგარი წინადადება; წინადადებაში ქვემდებარის გამოტოვება; უსრულ რიტმულ წინადადებაში შემასმენელის თავკიდური პოზიცია მეტი დინამიკურობისთვისა და ექსპრესიისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან ალომორფიზმებს, დამახასიათებელს ოდენ ქართული ენისთვის.


- განკერძოება, რომელიც ორივე ენაში დადასტურდა, როგორც თითქმის თანაბარი სიხშირით გამოვლენილი უნივერსალია, თავის თავში მოიცავს რამდენიმე საინტერესო იზომორფიზმს: შერწყმული სახის განკერძოება წარმოდგენილია სინონიმური ან ანტონიმური წყვილით; განკერძოებულ ფრაზაში მეორდება წინადადების წევრი; განკერძოების წყვილი მორფოლოგიურად ერთგვარი ფორმითაა ნაწარმოები; განკერძოებას აქვს დამაზუსტებელი ფუნქცია; მთავარი ემოციური ბირთვი სწორედ განკერძოების ფრაზაშია; განკერძოების ფრაზა გამორჩეულია ალიტერაციული თუ ასონანსური კეთილხმოვნებით; განკერძოების ფრაზის ერთგვარი წევრები უმეტესად კავშირითაა გადაბმული.
- ინგლისურენოვანი რიტმული პროზის ალომორფიზმად შეიძლება მივიჩნიოთ აწმყო განგრძობითი დროით გამოხატული ზმნა-შემასმენელების გამეორება, რაც აძლიერებს დინამიკურობასა და ექსპრესიას. უფრო მეტიც, ინგლისურ სახელდებით წინადადებაში ექსპრესია კიდევ მატულობს, თუ სახეზეა აწმყო დროის მიმღობით გამოხატული კომპლექსი.
- **ლექსიკის** დონეზე დადასტურდა შემდეგი საერთო უნივერსალიები, როგორც რიტმული პროზის ექსპრესიის გამომხატველი ძალზე აქტიური მოცემულობები: ეპითეტი, შედარება, მეტაფორა, გაპიროვნება; „მხედველობითი“, „სმენითი“, „გრძნობითი“ ხატები და სიმბოლო; სინონიმია და ანტონიმია; ლექსიკური გამეორება (ანაფორა, ეპიფორა, ეპანალექსისი) და გრადაცია.
- ქართულენოვანი პროზის რიტმულობას აძლიერებს ტექსტში გაბნეული არქაიზმები, დიალექტიზმები და უცხოენოვანი სიტყვები, განსხვავებით ჩვენ მიერ მოძიებული ინგლისურენოვანი რიტმული პროზის ნიმუშებისგან.
- უაღრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ორივე საკვლევ ენაში დაახლოებით თანაბარი რაოდენობით გამოვლინდა ყველა ზემოთ ნახსენები ლექსიკო-სემანტიკური საშუალება (იხ. სქემა № 3, გვ.117).
- **თარგმანზე** დაკვირვებამ მეტად საინტერესო სურათი მოგვცა. როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენას, გააჩნია ყველა ენობრივი რესურსი საკუთარი

სტრუქტურულ-სემანტიკური მოცემულობებით გამოხატოს ორიგინალის რიტმული პროზის ექსპრესია.

- გამოკვეთილ ნიშანდობლიობად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ თარგმანში უმეტესად შენაჩუნდა ყველა ის ენობრივი მოცემულობა, რაც პროზის რიტმულობასა და ექსპრესიას გამოხატავს: *გოგო მიჰყვება: აწითლული და აღეწილი (რობაქიძე, 1989:243), (The girl is following him: aflame and afire);* შენარჩუნდა: ა) მარტივი წინადადება განკერძოებითურთ; ბ) შერწყმული სახის განკერძოება; გ) განკერძოება, რომელს ერთგვარი წევრებიც მორფოლოგიურად ერთნაირად არიან ნაწარმოები; დ) ალიტერაცია; ე) ემოციური ლექსიკა.
- ყველაზე მნიშვნელოვანი იზომორფიზმი, რაც გაწეულმა კვლევამ დაადასტურა, ალბათ, არის ის, რომ რიტმულობის შემქმნელი მრავალფეროვანი შესაძლებლობების თარგმანის პროცესის დროს ხდება ურთიერთჩანაცვლება. მაგ. ფონეტიკური მოვლენა შეიძლება ჩავანაცვლოთ მორფოლოგიურით, ან ერთი ლექსიკური გამეორება–ანაფორა შეიცვალოს ეპიფორით, როგორც ამას ტექსტი მოითხოვს. მაგ.: *მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალებით. ამავე თვალების მოხუჭვა სიონის ღვთისშობლის ხატის წინ და გაუთავებელი ლოცვები სიონის მაღალთაღიანი გუმბათის ქვეშ (კოტეტიშვილი. 2012:13), (Kneeling to the earth and peering in the earth with senile and lackluster eyes. Closing these eyes in front of Virgin Mary icon of Sioni Cathedral and endless praying beneath the high dome of Sioni).*
- გამომდინარე ინგლისური ენის ბუნებიდან, ყოველთვის ვერ მოხერხდა ქართულენოვანი ანადიპლოზისის გადატანა, მაგრამ შესაძლებელია გამეორებადი ერთეულის შენარჩუნება და ამით რიტმულობის არ დარღვევა. მაგ. *აქლემები მილაგდებიან. მილაგდებიან გამყოლნიც (რობაქიძე, 1989:127); The camels kneel down to have a rest. Kneel down the guides to have a rest as well.* ნაწილობრივ შენარჩუნდა ანადიპლოზისი და ინვერსიული წყობა ქვემდებარესა და ზმნა-შემასმენელს შორის.

- ჩვენი კვლევით დადასტურდა და, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება იმის განცხადება, რომ ქართულ ენაზე კიდევ უფრო სრულყოფილად გადმოვიდა შესაპირისპირებელი ენის რიტმულობის შემქმნელი ყველა ენობრივი მოცემულობა, რაც, უპირველესად, გამომდინარეობს ქართული ენის ბუნებიდან.
- შეუძლებელია, ზუსტად განისაზღვროს ქართულში ან ინგლისურში რომელიმე ენობრივი დონის საშუალებების უპირატესობა ან რიცხვობრივი სიჭარბე სხვა საშუალებებთან მიმართებით. მიუხედავად სინტაქსის მნიშვნელოვანი როლისა, მარტივიც, შერწყმულიც და რთული წინადადებებიც დარჩებოდნენ ოდენ მარტივ, შერწყმულ და რთულ წინადადებებად, თუ არ იქნებოდა მათი რიტმულობის შემქმნელი სინტაქსური სტრუქტურები გამყარებული კიდევ სხვა ენობრივი მოცემულობით, როგორც ფონეტიკური და მორფოლოგიური, ასევე, ლექსიკო-სემანტიკურით, რომელთაც, ასევე, დიდი წვლილი შეაქვთ ტექსტის რიტმიზაციაში, ვინაიდან პროზაული ტექსტის რიტმულობა მაინც კომპლექსური მოვლენაა (იხ. სქემა №4, გვ.191).

სქემა № 4 რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის საშუალებები



მართლაც, ტექსტის რიტმიზაცია ძალზე იშვიათად ხდება ერთ რომელიმე ენობრივ დონეზე; ფონეტიკურს საშუალებებს ამყარებს მორფოლოგიური, ლექსიკურს სინტაქსური და ა. შ. პროზის რიტმულობის ერთ-ერთი წინაპირობა რიტმულობის შემქმნელი საშუალებების ტექსტში გავრცელების ხარისხია; უმთავრესია ყველაზე ფართოდ გავრცელებული და აქტიური საშუალებანი და არა მცირე და იშვიათი.

- და ბოლოს, ენათა შეპირისპირებით დადასტურდა ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებულ ორ ენას (ქართული და ინგლისური) რიტმული პროზის ექსპრესიის გამოხატვის თვალსაზრისით, უფრო მეტი საერთო/მსგავსი ფორმა, ენობრივი უნივერსალია აღმოაჩნდა, ვიდრე განსხვავებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე, შ. (1986). სიტყვათა განლაგება ახალ ქართულში. თბილისი: გამომც. „მეცნიერება“.
2. არისტოტელე (1981). რიტორიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომც. თბილისი.
3. ბახტაძე, დ. (2010): ლინგვისტური ტიპოლოგიის საფუძველები. თბილისი: გამომცემლობა „მწიგნობარი“.
3. ბიბლია (2013). თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.
4. გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., და შენგელაია, ნ. (2008). თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი: გამომც. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
5. გელდიაშვილი, ნ. (2010). სინონიმური მწკრივები დავით კლდიაშვილის პროზის ენაში. დავით კლდიაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი. 14-16.
6. გელდიაშვილი, ნ. (2013). ნიკო ლორთქიფანიძის ზოგიერთი ენობრივი თავისებურების შესახებ („შელოცვა რადიოთი“). ნიკო ლორთქიფანიძისადმი მიძღვნილი თელავის სამეცნ. კონფ.-ის მასალები. 5-11.
7. თევდორაძე, ნ. (2011). ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. თეხელიშვილი. ს., (2007). უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: გამომც. „მერიდიანი“.
9. კვაჭაძე,ლ. (2001). ქართული ენა. თბილისი: გამომც. „რუბიკონი“.
10. კვაჭაძე, ლ. (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „ცოტნე“.
11. კიკნაძე, გრ. (1957). მეტყველების სტილის საკითხები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
12. კირვალიძე, ნ. (2005). ნომინალიზაცია როგორც ავტორისეული მოდალობის სინტაქსურ-სტილისტური გამოხატულების საშუალება ინგლისურენოვან ნარატიულ ტექსტში. თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო

უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული "ენა, თარგმანი, ლიტერატურა," ტომი X.101-114.

13. კოშორიძე, ე. (2005). მწერლის ენისა და სტილის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

14. კოჭლოშვილი, ნ. (2013). ნიკო ლორთქიფანიძის პოეტური პროზის ზოგიერთი საკითხისათვის, „კულტურათაშორისი დიალოგები“ II, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თელავი. 219-223.

15. მეგრელიშვილი, მ. (1986). ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში. თბილისი: გამომც., „განათლება“.

16. მეგრელიშვილი, მ. (2009). კონტრასტივიკა–კერძო ტიპოლოგიის დარგი: სამეცნიერო ჟურნალი „ენა და კულტურა“. ქუთაისი. 52-56.

17. მიქაძე, მ. (2014). კოჰეზიის შემთხვევები შიო არაგვისპირელის მოთხრობებში, შიო არაგვისპირელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი. 25-26.

18. ნათაძე, მ. (1986). ინგლისურ-ქართული და გერმანულ-ქართულის თარგმანის შეპირისპირების ლინგვო-სტილისტური პრობლემები. თბილისი: გამომც. „განათლება“.

19. ნიჟარაძე, ნ. (2005). სინტაქსური სინონიმის რაობა. საენათმეცნიერო ძიებანი, XIX. თბილისი.

20. სანიკიძე, თ. (1999). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

21. სანიკიძე, თ. სანიკიძე ი. (2009). ქართული ენის პრაქტიკული სტილისტიკა. თბილისი: გამომც. „ინტელექტი“.

22. სერგია, ა. (1989). ტექსტის ლინგვისტიკა. თბილისი: გამომც. „განათლება“.

23. ჟღენტი, ს., (1963). ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა. თბილისი: გამომც. „ცოდნა“.

24. ფანჯიკიძე, დ. (1980). წერილები. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.

25. ღლონტი, ალ. (1988). ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები. თბილისი: გამომც. განათლება.

26. ჭაბაშვილი, მ. (1989). უცხო სიტყვათა ლექსიკონი. თბილისი: „განათლება“.

27. ჭიკაძე, რ. (2014). ძალმოსილება ქართული სიტყვიერებისა. თბილისი: გამომცემლობა მერიდიანი.

28. Арнольд, И.В. (1973). Стилистика современного английского языка. Издательство «Просвещение». Ленинград.

ინტერნეტ წყაროები:

1. Nicolas Di Tempora, The Hypnotics of Prose Rhythm. <http://www.copywritinginaction.com.au/clear-writing/the-hypnotics-of-prose-rhythm>.

მოპოვებულია 23.03. 2014..

2. Abram Lipsky. Rhythm in Prose. <http://www.jstor.org/stable/27530906>.

მოპოვებულია 24/09/2014.

3. Robert Ray Lorant, The Rhythm of Prose, http://grammar.about.com/od/essaysonstyle/a/rhythmofprose_2.htm. მოპოვებულია 22. 03.

2014.

4. <http://lyricstranslate.com/en/bulat-okudzhava-lyrics.html> მოპოვებულია 16.05.2015.

5. Chris Brecheen, Prose Rhythm, chrisbrecheen.blogspot.com/2013/06/prose-rhythm.html, მოპოვებულია 23. 03. 2014.

6. Jake Shore, Narrative Rhythm. <http://classroom.synonym.com/narrative-rhythm-3398.html>, მოპოვებულია 17.11.2014.

7. <http://www.litencyc.com/php/stopics.php?rec=true&UID=876> მოპოვებულია 1.09.2016.

8. C. E. Andrews, The Rhythm of Prose and of Free Verse. <http://www.jstor.org/stable/27533104> მოპოვებულია 24/09/2014.

9. შელია, მ. ინგლისური ენის რიტმის თავისებურებანი, კულტურათაშორისი კომუნიკაციები 2012 №18. (<http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00--off-0period--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--...-4----4---0-11--11-en-10---10-preferences-50--00-3-help-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-1%20&cl=CL4.1&d=HASH01a099ba079f2564d0455cc6.1.4>=1>). მოპოვებულია

17.03.2016.

10. <https://www.facebook.com/xalxuri/photos/a.206421542824190.52828.205155946284083/457442621055413/?type=3&theater>); მოპოვებულია 10. 04. 2015.
11. (<https://www.facebook.com/xalxuri/photos/a.206421542824190.52828.205155946284083/221389617994049/?type=3&theater>); მოპოვებულია 10. 04.2015.
12. <http://www.ling.ohio-state.edu/~kdk/201/autumn01/slides/morphology-4up.pdf>;
მოპოვებულია 17.09.2015.
13. [https://www.uio.no/studier/emner/hf/ikos/EXFAC03-AAS/h05/larestoff/linguistics/Chapter%204.\(H05\).pdf](https://www.uio.no/studier/emner/hf/ikos/EXFAC03-AAS/h05/larestoff/linguistics/Chapter%204.(H05).pdf) მოპოვებულია 12.04.2014.
14. <http://estylistics.blogspot.com/2010/10/detached-construction.html>. მოპოვებულია 4.09. 2015.
15. Timothy M. B. O'Callaghan, Prose Rhythm: An Analysis for Instruction. <http://www.jstor.org/stable/3332678?origin=JSTOR-pdf>. მოპოვებულია 24/09/2014.
16. <http://www.dslib.net/roman-jazyki/foneticheskiy-leksiko-grammaticeskij-i-strukturno-kompozicionnyj-aspekty-analiza.html>]. მოპოვებულია 26.10.2015.
17. David Brown. The Rhythm of Words, http://www.dlbrown-inc.com/?page_id=92 მოპოვებულია 7.08.2014.
18. Nino Tevdoradze, English Lexicology, eprints.iliauni.edu.ge/.../English%20Lexicology%20. მოპოვებულია 22.09. 2015.
19. <http://www.thefreedictionary.com/dictionary.htm>
20. <http://www.merriam-webster.com/dictionary>
21. <http://www.dictionary.com>
22. <https://www.vocabulary.com/dictionary>
23. <http://dictionary.cambridge.org/>
24. <http://www.macmillandictionary.com>
25. <https://en.oxforddictionaries.com>
26. <http://www.collinsdictionary.com>

საანალიზო წყაროები:

1. ბარნოვი, ვ. (1943). არმაზის მსხვერვა. თბილისი: სახელმწიფო გამომცემლობა.

2. გამსახურდია, კ. (1959). რჩეული თხზულებანი, ტომი II. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.
2. ვაჟა-ფშაველა (2010). ბუნების მგოსნები. სერია „ქართული პროზის საგანძური“, ტომი 6. თბილისი: გამომც. პალიტრა L.
3. კოტეტიშვილი, ლ. (2012): გოჩმანა. ჟურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, თბილისი: გამომც. გაზეთ „კვირის პალიტრის“ ლიტერატურული დამატება, № 12. 7-16.
4. ლორთქიფანიძე, ნ. (1958). მოთხრობები, ლეგენდები, ზღაპრები. თბილისი: საბლიტგამი.
5. ლორთქიფანიძე, ნ. (1992). ქართული მინიატურული პროზა. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“.
6. რობაქიძე, გ. (1989). გველის პერანგი. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“.
7. ანდერსონი, შ. (1969). ქალაქის ბურთულები. (ვ. ჭკადუა, მთარგმნელი). ჟურნალი „ხომლი“. თბილისი: საბჭოთა საქართველო“. №2:198-200.
8. სელინჯერი, ჯ. დ. (1969). მოთხრობები. (ვ. ჭელიძე, მთარგმნელი). თბილისი: თბილისი.
9. ფიცჯერალდი, ფ. ს. (2014). დიდი გეტსბი. (ლ. ინასარიძე, მთარგმნელი). თბილისი: პალიტრა L.
10. ფიცჯერალდი, ფ. ს. (1985). დიდი გეტსბი. (პ. იაშვილი, მთარგმნელი). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
11. ჯოსი, ჯ. (2014). დუბლინელები. (დ. აკრიანი, მთარგმნელი). თბილისი: პალიტრა L.
12. ჯოსი, ჯ. (1984). დუბლინელები. (ლ. იმერლიშვილი, მთარგმნელი). თბილისი: საბჭოთა საქართველო.
13. Anderson Sh. (1981). Selected Short Stories. Moscow Progress Publishers.
14. Beckett S. (1985). One Evening, from The Complete Short Prose.
<http://tomclarkblog.blogspot.com/2012/05/samuel-beckett-one-evening.html>, Accessed on May 3, 2015.
15. Fitzgerald F.S. (1) (1984). The Great Gatsby. Moscow „VYSSAJA ŠKOLA“.
16. Fitzgerald F.S. (2) (1965). The Crack-up. Penguin Books.

17. Joyce J. (1982). Dubliners. Moscow Progress Publishers.
18. Salinger J.D. (1982). Nine Stories. Raduga Publishers. Moscow.

დანართები:

დანართი № 1. 1. ალიტერაცია, კონსონანსი

- მწვანე ქოშები წითური ქუსლებით (რობაქიძე, 1943:14)*-ჯვარედინი ალიტერაცია [წ-ქ/წ-ქ];
მზე მაგრად აცხუნებს. გვერდით ცხენი გარინდულა (რობაქიძე, 1943:18); [მ][გ] ალიტერაცია,
ცხუნ-ცხენ, გვერდ-გარინდ;
- მექრავნე აქლემს ზარს აზომებს ყელზე (რობაქიძე, 1989:57)*; მექ-მეზ, ქარ-ზარ-რითმები;
ხმალს ეხლა მეტი სითამამით ათამაშებს (რობაქიძე, 1989:82); ხმალს-ეხლა, თამამ-თამამ-
რითმები;
- მდორე მდინარე (რობაქიძე, 1989:26)*; მდო-მდი, რე-რე რითმები;
- დასავლით დიდი ქვის ბჭეა ქალაქის (რობაქიძე, 1989:96)*; სიმეტრიული [დ-დ / ქ-ქ];
ასტრალური ლანდები გალურსულნი და თვალეზდანილოლნი (რობაქიძე, 1989:119);
ნარნარი ლ, ნ, რ ხმოვანებითაც ძილის მომგვრელ, მომადუნებელ შეგრძნებას ქმნიან;
- ყრმა ყნოსავს ყვავილს-(ნესტოები ნადირისა აქვს) (რობაქიძე, 1989:122)*; [ყ-ყ / ნ-ნ];
- შეანათებდა ქალი თვალებს, გულს უშუქებდა ეშხით დადაგულს (ბარნოვი, 1943:316)*; [შ]-
ალიტერაცია, [ლ][ქ] კონსონანსი, გულს-დადაგულს რითმა;
- ხატველი ოქროთი და სპეკალით ალაპლაპებულ ტანისამოსში (ბარნოვი, 1943:331)*; [პ][ლ][ტ]
კონსონანსი;
- ჟამითიჟამდ შეირხეოდა, ჟღერიალებდა ეჟვანმრავალი (ბარნოვი, 1943:347)*; ჟ ალიტერაცია,
[რ][მ] კონსონანსი;
- თეთრ ტაიჭზედ, თეთრად მორთული, მარგალიტით მოქარგული თვით მარგალიტი!*
(ბარნოვი, 1943:347); [თ][მ] ალიტერაცია, [ტ][გ][რ] კონსონანსი, მორ-მარ-მოქ-მარ რითმა;
- ისწრაფიდა არმაზისკენ ხვარამზე ქალი (ბარნოვი, 1943:352)*; არმაზ-არამზ რითმა;
- ყოველ კუთხეში ყავახანა სავსე ხალხით (რობაქიძე, 1989:12)*; [ყ] ალიტერაცია, [ხ][ვ]
კონსონანსი
- რომელიც პეტრე დიდის...გახელებამ ფინის ტბებიდან ამოატივტივა. ქალაქი: რომელიც
დოსტოევსკის ეპილეფსიამ პოტმოსის კუნძულად გადმოანთხია (რობაქიძე, 1989:16)*;
[ტ][ფ][ლ][პ] კონსონანსი;
- ფერგიუს ურვოორ მილოლავს ხეივანში როგორც გალახული მუხლუხო (რობაქიძე, 1989:23)*;
[მ] ალიტერაცია, [ხ][ლ] კონსონანსი;
- ფორდი ხვნემის ხანდახან (რობაქიძე, 1989:31)* [ხ] ალიტერაცია, [ნ] კონსონანსი;
- მხეცის სმენა შორეულ შიშინს შეამჩნევს (რობაქიძე, 1989:65)*; [მ][შ] ალიტერაცია, [ნ]
კონსონანსი;
- ეს წალკოტი ოლგასათვის არის გულგადახსნილი (რობაქიძე, 1989:66)*; [ლგ] -ს კონსონანსი;

ლხინობენ. მღერიან. ლაღობენ (რობაქიძე,1989:70); [ლ] ალიტერაცია, [ლ][ბ] კონსონანსი;
სუნთქვა შეკრულ არეში ზარების რეკა გაისმის როგორც ნომადური სიმფონია
(რობაქიძე,1989:116); [ს][რ] ალიტერაცია;
მზე მზადაა დაჰკაფოს არე (რობაქიძე,1989:124); [მ] ალიტერაცია, [ზ] კონსონანსი;
მატასი თითქო მზის მარცვლების აჯეჯილებათ (რობაქიძე,1989:171); [მ] ალიტერაცია;
გახელება მ ფინის ჭაობებიდან გიგანტი ამოადო.გიგანტი გრანიტშია დაკავებული
(რობაქიძე,1989:172); [გ] ალიტერაცია, [ტ] კონსონანსი;
ფარდულებში ფარჩასა და აბრეშუმს ჰყიდიან (რობაქიძე,1989:174); [ფ] ალიტერაცია, [რ]
კონსონანსი;
ისმის სპარსული ბაასი. სპარსული ენით გველი ხვრელიდან ამოჰყავთ: ისე ტკბილია
(რობაქიძე,1989:174); [ს] ალიტერაცია, [სპ][რ] კონსონანსი;
გოგო მიჰყვება: აწითლული და ალექილი (რობაქიძე,1989:243); [წ][ლ] კონსონანსი;
არჩიბალდს მზერით მოაქვს მატასის ტანი (რობაქიძე,1989:269); [მ] ალიტერაცია, [ტ]
კონსონანსი;
ჩრდილების ჩურჩული და ჩრდილების ლოცვა და რჩა ძველ ტფილისში
(კოტეტიშვილი.2012:12); [ჩ] ალიტერაცია, [ჩრ-რჩ-ლ] კონსონანსი;
დარდები დიდ ცოდვებით დატვირთულ ახალ თაობაზე (კოტეტიშვილი.2012:12); [დ]
ალიტერაცია, [თ] კონსონანსი;
ხარფუხის ვიწრო ხეივნები, აბოს ხიდი და მეტეხის აღმართს შეუყვანენ
(კოტეტიშვილი.2012:13); [ხ] ალიტერაცია;
მორწმუნე ხალხმა მოწიწებით გადაიწერა პირველი (კოტეტიშვილი.2012:14); [მ]
ალიტერაცია, [წ][რ] კონსონანსი;
საყოველთაო მღელვარება ძალიან მაღალ თაღებს მოეჭიდა (კოტეტიშვილი.2012:13); [მ]
ალიტერაცია, [ღ] კონსონანსი;
ბრაზით მოკაკული მკლავი ჰაერში გაჰკრა და მაგრად მოკუმული კბილები გააკრაქუნა
(კოტეტიშვილი.2012:15); [მ][გ] ალიტერაცია, [კ][რ] კონსონანსი;
დანართი № 1. 1. ალიტერაცია, კონსონანსი
She had been left a large fertile farm when her father died (Anderson,1981:33); [l-l/f-f]
სიმეტრიული ალიტერაცია;
Everyone in Winesburg wondered why she married the doctor (Anderson,1981:33); [w][n] [wan];
When the hands were closed they looked like clusters of unpainted wooden balls as large as walnuts
(Anderson,1981:33); [c][l][k][w];
stuffed scraps of paper (Anderson,1981:34); [s][p];

For ten years he had but one friend, another old man named John Spaniard who owned a tree nursery (Anderson,1981:33); [n];

It is delicious, like the twisted little apples that grow in the orchards of Winesburg (Anderson,1981:34); [t][l][r];

In the fall one walks in the orchards and the ground is hard with frost underfoot (Anderson,1981:34); [r];

Only the few know the sweetness of the twisted apples (Anderson,1981:34); [s][w][t];

The practice of filling his pockets with the scraps of paper (Anderson,1981:34); [p][k][r];

Went slowly along country roads (Anderson,1981:34); [l];

She was in that condition because of a series of circumstances also curious (Anderson,1981:35); [c];

For hours she sat in silence listening as he talked to her (Anderson,1981:35); [s][l];

She could not get her mind fixed again upon the round perfect fruit that is eaten in the city apartments(Anderson,1981:36); [r];

He saw the squalid tract of her vice, miserable and malodorous (Joyce,1982:128); [s][m][l];

He walked through the bleak alleys (Joyce,1982:129); [l];

He stood still to listen (Joyce,1982:129); [st]-თანხმოდანთა ორგზის კომპლექსი;

Those venal and furtive loves filled him with despair (Joyce,1982:129); [l][f];

He felt that he had been outcast from life's feast (Joyce,1982:129); [f][t][st];

He turned his eyes to the grey gleaming river, winding along towards Dublin (Joyce,1982:129); [g][r][h];

It passed slowly out of sight (Joyce,1982:129); [s];

She was fast asleep (Joyce,1982:218); [s];

He watched sleepily the flakes, silver and dark, falling obliquely against the lamplight (Joyce,1982:219); [l][f];

She had been left a large fertile farm when her father died (Anderson,1981:33); [ai][a:];

It is delicious, like the twisted little apples (Anderson,1981:33); [i];

It became terrible and then faded away and the little thoughts began again (Anderson,1981:34); [ei];

A few light taps upon the pane made him turn to the window (Joyce,1982:219); [ei];

His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling (Joyce,1982:219); [ou][ei];

Like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219); [e]

He was found lying on the ground (Beckett,1985:1); [au];

It happened so long ago (Beckett,1985:1); [ou];

She makes haste to gain the fields (Beckett,1985:1); [ei];

She craves for sundown to end and to stray freely again in the long afterglow (Beckett,1985:1); [ei];

Slow fade of afterglow (Beckett,1985:1); [ou];

Young clerks in the dusk wasting the most poignant moments of night and life (Fitzgerald,1984:50); [ai];

A sharp wild brace came suddenly into the air (Fitzgerald,1984:110); [ei];

And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world (Fitzgerald,1984:129); [ou][ai][au][ei][e];

And as I sat there brooding on the old, unknown world, I thought of Gatsby's wonder when he first picked out the green light at the end of Daisy's dock (Fitzgerald,1984:129); [o][ou];

მექარავნე არჩევს ზარებს (რობაქიძე,1989:57) [არ] [ე];

აქ ნახა უკანასკნელად ირანის ჯეირანი-ირაჰმანდა (რობაქიძე,1989:112) [ირა][ა];

ხალხი: სულ ახალი და ახალი მხარის ნატრული. სულ უცხო და უცხო გზებით მავალი (რობაქიძე,1989:120) [ხალ-ხალ-ხალ-მხა][ა][უ];

ხეტიალი გროვების თუ ხროვების (რობაქიძე,1989:187) [ვე];

კლდეებში კვდება აქლემი ბეხან (რობაქიძე,1989:133) [დე-დე-ლე-ბე];

ფარდულეებში ფარჩასა და აბრეშუმს ჰყიდიან (რობაქიძე,1989:171) [ფარ-ფარ][ა];

ისმის სპარსული ბაასი (რობაქიძე,1989:171) [ის][ა];

ქალაქი მაინც ქანაობს (რობაქიძე,1989:219) [ქა][ა];

დანართი № 1. 2. მრავლობითი რიცხვი რიტმულობისთვის:

დუქნები. ფარდულები. ...ფარჩეული. აბრეშუმეული...ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები.
მოხაზულები...სირმები. სამკედები. არშიები. გრეხილები.
თვალისმომჭრელნი...ნოხები...ხალები.

ფარდაგები. ფლასები. ჭილობები. ...ხორასანის რკინები. შაკაბაზის ხმალები. შუბები.
შვილდები. ისრები. უნაგირები. მოსართავეები. ღვედები. თასმები. ამულეტები
(რობაქიძე,1989:13);

გრძელნი ფლორენციულნი ფეხნი თეთრი ნაკადულის ორ მაგარ ტევრად ჩამოხეთქილნი
(რობაქიძე, 1989:32);

უცაბედი გამოხედვა-და თვალები: ფართონი დიდრონი ნუშისებრ მოხაზულნი
(რობაქიძე,1989:14);

ქიმერების თავები ირხევიან როგორც შექანებულნი თაველნი (რობაქიძე,19889:57);

ბაღის ირგვლივ ალვისხეები: ტანწერწეტ მცველებად მაღლა ატყორცნილნი
(რობაქიძე,1989:59);

მისთვის არიან ასე დამძიმებულნი და გარინდებულნი (რობაქიძე,1989:125);

კლდენი დამცხრალნი. მაგრამ მაინც მძვინვარენი. ავხორცობით დაღეშილნი და სურვით
დაღველფილნი. გაწოლილნი და გადაზნექილნი როგორც უზარმაზარ მამონტების
უზარმაზარნი ხერხემალნი (რობაქიძე,1989:127);

დარხეულნი თაველნი (რობაქიძე,1989:128);

დედოფალია სასურვი?! საქმარო მრავალი ჰყოლია. ბიზანტიელნი. რომაელნი. თურქები.
სპარსები. ხორეზმელნი. სარაცინები. არაბები. ყივჩაყნი. მონგოლნი. რუსნი
(რობაქიძე,1989:219);

ასტრალური ლანდები გალურსულნი და თვალეზდანილულნი (რობაქიძე,1989:119);

აქლემების თავები მიელაგებიან ერთიმეორეს როგორც შერხეულნი თაველნი
(რობაქიძე,1989:128);

და შეხვდნენ თვალნი გაღიმებულ თვალებს ვარდისა (ბარნოვი,1943:250);

დიდი მოძრაობა იყო ახალ სასახლეში: ლაშქრის სარდალნი, თემთ თუ ხალხთა
წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი, მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი,
ქურუმნი (ბარნოვი,1943:265);

მიყრილიყვნენ უზარმაზარნი, სავალსა ჰხშავდნენ (ბარნოვი, 1943:261);

ფირფიტებზედ ნაწერ-ნახატნი (ბარნოვი,1943:340);

დანართი № 1. 6. მრავლობითი რიცხვი რიტმულობისთვის:

The knuckles of the doctor's hands | were extraordinarily large. When the hands were closed | they looked like clusters of unpainted wooden balls | as large as walnuts | fastened together by steel rods| (Anderson,1981:33);

It was frayed at the sleeves | and little holes had appeared at the knees |and elbows| (Anderson,1981:33);

They have been put in barrels |and shipped to the cities |where they will be eaten in apartments | that are filled with books,| magazines, | furniture,| and people| (Anderson,1981:34);

On the papers were written thoughts,| ends of thoughts,| beginnings of thoughts| (Anderson,1981:34);

During the winter| he read to her all of the odds and ends of thoughts | he had scribbled on the bits of paper| (Anderson,1981:36);

He thought of the hobbling wretches | whom he had seen carrying cans and bottles | to be filled by the barman (Joyce,1982:128);

It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, | on the spears of the little gate, | on the barren thorns | (Joyce,1982:219);

Buttons | of all shapes and sizes.| (Beckett,1985:1);

In his blue gardens | men and girls came and went like moths |among the whisperings| and the champagne | and the stars.| (Fitzgerald, 1984:38);

He felt their presence| all about the house, | pervading the air with the shades | and echoes |of still vibrant emotions | (Fitzgerald, 1984:107);

The street lamps | and sleigh bells | in the frosty dark | and the shadows of holly wreaths | thrown by lighted windows on the snow | 126(Fitzgerald, 1984:126);

I had to walk it away in quiet streets | and lanes |with only fragments of it| to distil into little lines |in books | (Fitzgerald, 1965:55);

უწყვეტი რიგი ბალებ-ის და მდელოებ-ის (რობაქიძე,1989:8);
 დაკვრა სოლისტებ-ის. ლექსებ-ი პოეტე-ბის, სმურებ-ი (რობაქიძე,1989:22);
 მეკეში უტეხია ნებ-ით და მზერ-ით (რობაქიძე,1989:83);
 ხელებზე ხტილებ-სა და ძარღვებ-ს დაითვლი (რობაქიძე,1989:104);
 უკოცნის შუბლ-ს - უკოცნის თვალე-ს - უკოცნის მხრე-ს - უკოცნის მკერდ-ს
 (რობაქიძე,1989:290);
 იქნება ბრძოლა ნება-თა, სურვილ-თა, ძალ-თა და უფლება-თა (ლორთქიფანიძე,1958:219);
 ფარულათ გედევანი ცთილობდა აღედგინა სამეფო, გაედევნა მტერი, ტახტზე აეყვანა მის
 გრძნობა-თა და აზრ-თა დედოფალი (ლორთქიფანიძე,1958:96);
 მაგრამ შემდეგ-სცენა მეორდება მეტის ავსილობ-ით და მეტის გახელებ-ით
 (რობაქიძე,1989:102);
 თუ ნატეხი არა-გაგძელება ხომ არის სინელ-ით - ხსოვნ-ით - წვ-ით - ზმანებ-ით
 (რობაქიძე,1989:125);
 ხომალდიდან გადაცვენილებ-მა და წყალში გაგუდულებ-მა ხშირად იციან დაბრუნება
 (რობაქიძე,1989:220);
 სასვენებელი ლტოლვილ-თა და გადახვეწილ-თა და მუდამ მავალ-თა (რობაქიძე,1989:120);
 მიმოდრამა-ს მოსდევენ სხვა სცენები: რასს-ის ნატეხები. გურულ-თა სიმკვირცხლე და
 კისკასი სიმღერა(რომელმაც მსგავსი არ იცის სამყაროში). მეგრ-თა დათასმული ძრაობა და
 შემპარავი მზერა (რომელსაც მოაქვს ზღვის ნაპირებ-ის სურნელი). სვანებ-ის დაკორძილი
 კუნთები და ჰიმნი „ლილე“(რომელიც შუბნაკრავი მზეა).ქართლელ-თა კამბეჩური უდრეკობა
 და გულის სიმართლე (რომელიც ნიშანია მძლეობ-ის თუ გამძლეობ-ის). კახ-თა როკვა და
 ხმალი (რომელიც ლხინია თვითონ). ფშავ-თა შაირობა (რომელიც ვაჟა-ს გამოისროლის).
 ხევსურ-თა ფარიკაობა (რომელიც ცდის უშიშარ მორკინალს). იმერ-თა რასსიული
 დახვეწილობა და სიდარბაისლე (რომელიც ედავება ყველა რასსებ-ს) (რობაქიძე,1989:246);
 იქ, კი, ჩემო შვილო, მხოლოდ ცხონება არის გლახაკ-თა, დავრდომილ-თა და უძლურ-თა
 (კოტეტიშვილი.2012:11);
 მე ვარ უფალი ღმერთი შენი, შენ-თვის და მრავალთათვის ჯვარცმული, ნეტარებდეთ!“
 (კოტეტიშვილი.2012:11).

დანართი № 1. 4. ზმნისწინები რიტმულობისთვის:

გა-ლატაკებ-ული და გა-ტრიზავებ-ული (კოტეტიშვილი.2012:8);
 ძველი ოსტატები როცა იგონებენ ამათ ათასჯერ ჩა-წენას, ჩა-კონებას (კოტეტიშვილი.2012:10);
 გა-მგელებ-ული და გა-შფოთებ-ული (კოტეტიშვილი.2012:15);
 და-კეც-ილი და და-ნაოჭებ-ული (კოტეტიშვილი.2012:12);
 გადა-მჭრ-ელი და გადა-მწყვეტი (კოტეტიშვილი.2012:14);
 ა-სწორებდა და ა-ფართოებდა (კოტეტიშვილი.2012:14);
 გა-ცეცხლებ-ული და გა-ოფლიანებ-ული (კოტეტიშვილი.2012:15);
 და-მარცხებ-ული და და-მცირებ-ული (კოტეტიშვილი.2012:15);
 შე-ზრდ-ილი და შე-სისხლხორცებ-ული (კოტეტიშვილი.2012:15);
 მაშინათვე მივარდა ზარს მეტის სი-ბრაზით და სი-ყვარულით (კოტეტიშვილი.2012:15);
 ეს სი-ცივ-ე და სი-მაღლ-ე (კოტეტიშვილი.2012:15);
 საშინელი სი-სასტიკ-ე და უმძაფრესი სი-ტკბო (რობაქიძე,1989:16);
 ყოფა სადღაც გადა-სხმ-ული თუ გადა-ღვეთ-ილი (რობაქიძე,1989:75);
 და და-ანარცხა ტრაპეზის ქვას, და-ანაჭუჭა (ბარნოვი,1943:352);
 გამო-შრა მიწა, გა-ხმა, და-იშაშრა, და-სქდა (ბარნოვი,1943:342);
 გა-იჭრჯოლა ამზაილმა ქალის მკლავებში და გა-ითანგა (ბარნოვი,1943:353);
 და-სწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს, და-აკლა თავი (ბარნოვი,1943:353);
 და-ხნავს, და-ფარხცავს. და-სთესს და გა-ამოროდებს...(ლორთქიფანიძე,1958:213);
 ამ სიტყვებით ტახტის წინ და-ჩოქება სურდა, მაგრამ სიკვდილმა არ და-აცალა და პირქვე და-
 სცა (ლორთქიფანიძე,1958:98);
 მი-ტოვებ-ული. გა-რიყ-ული. და-გდებ-ული (რობაქიძე,1989:153);
 ქალაქი ხომალდი ა-მრეზ-ილი-ა და ა-ღრენ-ილი (რობაქიძე,1989:224);
 გოგო მიჰყვება: ა-წითლ-ული და ა-ლექ-ილი (რობაქიძე,1989:243); ა-რე-ული-ა. ა-მრეზ-ილი.
 ა-ღრენ-ილი (რობაქიძე,1989:18);
 მღერიათ „მრავალჟამიერს“ ქართლ-ურს: რომელიც იღვრება როგორც ქართლის ველი მდორე.
 ჯერ ისიც შე-ნელებ-ული. შემდეგ გა-ქანებ-ული. შემდეგ ქედ-გა-ზნექ-ილი. ბოლოს ქედ-ა-
 მართ-ული (რობაქიძე,1989:37);
 ხალხი: უცხო ცეცხლით ა-მწვ-არი: მო-უსვენ-არი და და-უდეგ-არი. ნიადაგს ვერ-მი-თვისებ-
 ული თუ ვერ-შე-თვისებ-ული (რობაქიძე,1989:120);.
 დანართი № 1. 5. ზმნა-შემასმენლები რიტმულობისთვის:

ითრევს გულს სადღაც შორს: ... სწეწავს..გლეჯავს.. ისვრის ნაკვთა-ნაკვთად...
(რობაქიძე,1989:49);

მოახტება თეთრ ტაიქს.გააჭენებს.ცხენით მომავალ ცოლს ბეჭედს გადაუგდებს. ცოლი დაიჭერს. ქმარი ტაიქს ზღვაში შეაგდებს (რობაქიძე,1989:88);

მიდიან. მირბიან (რობაქიძე,1989:104);

ჩაქნეულ ბაგეს სევდა გარჩენია. სევდას ირონია წამოცმია. ჩაქცეული მკერდი კიდევ უფრო ჩაქცეულა (რობაქიძე,1989:104);

ბეხან აღარ ბღავის. ბეხან აღარ ღმუის. ბეხან არც ტირის. ბეხან იხედება თვალებით...(რობაქიძე,1989:132);

თაიგულს სრესავს და აზნევს (რობაქიძე,1989:261);

აკრებს ყლორტებს და ფოთლებს ჰკოცნის სათვითაოდ (რობაქიძე,1989:261);

ფერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება რუ. ნაპრალში შხუის, სჩქევს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958:212);

მზე ჩადის. ფრინველები იზუდებენ. ვერძები რქებგადაყრილი უსაქმოდ დადიან (ლორთქიფანიძე,1958:212);

უყურებს სადი, ძლიერი, ჯანმრთელი მწყემსი ჩამავალ მზეს; ისმენს ჟღურტულს ჩიტებისას; შეხარის გამაძღარს, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება გაიშხლართოს ღრმა, მშვიდი ძილისთვის (ლორთქიფანიძე,1958:212);

დახნავს, დაფარხცავს. დასთესს და გაამოროდებს...(ლორთქიფანიძე,1958:213);

ფარულათ გედევანი ცდილობდა აღედგინა სამეფო, გაედევნა მტერი, ტახტზე აეყვანა მის გრძნობთა და აზრთა დედოფალი (ლორთქიფანიძე,1958:96);

გედევანმა დაიჩოქა, აიღო ცოცხალ-მკვდრათ მუხლებზე დაყრილი ხელი დედოფლისა, მოწიწებით ეამბორა, შემობრუნდა და ხმამაღლა დაიძახა (ლორთქიფანიძე,1958:98);

ბავშვი შეკრთა, გაოცდა, თვალის უპეები გაუფართოვდა და დედას მიაშტერდა, (გამსახურდია,1959:9).

დანართი № 1. 6. თავისუფალი ფორმაწარმოება რიტმულობისთვის:

კარგი მოსჩანდა ამზაილ ნასიამოვნი (ბარნოვი,1943:242) ნაცვლად „ნასიამოვნების“;
განდეგილნი შემართებას მოინატრიდნენ! (ბარნოვი,1943:264) ნაცვლად „ნატრობდნენ“;
მოზრდილი ადგილი ტოტთა კარავ ქვეშ (ბარნოვი,1943:303) ნაცვლად „კარვის“;
ალაღებული მაყვლის ბუჩქი თალარად თხზილი...ზედ ესვენა წალმის ჯვარი ნაწნავით
კრული (ბარნოვი,1943:303) ნაცვლად „შეთხზული“ და „შეკრული“;
ვადა ხმალისა და ქარქაში სპეკალ ნაჭარბი (ბარნოვი,1943:308) ნაცვლად „ჭარბი“;
ამზაილი უმადოდ სჩანდა: ახლიჩა ლუკმა, მწარე ეჩვენა მგბარი საჭმელი (ბარნოვი,1943:327)
ნაცვლად „ნუგბარი“;
იქვე გამოიღებდნენ ლექსებს შესამკობს თუ მხასიათებელს (ბარნოვი,1943:345)-
„მხასიათებელს“;
ალტაცებაში მოჰყავდა მსმენი (ბარნოვი,1943:345) ნაცვლად „მსმენელნი“;
ხნიერი იყო: ძვირფას ჯილის ქვეშ თმა მოსჩანდა შეთეთრებული, შუბლი ნადარი -
(ბარნოვი,1943:347) ნაცვლად „დაღარული“;
ყვავილები გარდემალათ ახალნორჩ გულში (ბარნოვი,1943:242) ნაცვლად „გარდაემალათ“;
გაიწევ უნებურ ლამაზისაკენ და ჩვენება ჰქრება სიზმარივით სადღაც ბრბოს ხრიალში
(რობაქიძე,1989:14) ნაცვლად „ბრბოს“;
არავითარი კაზმულობა გარეგან (რობაქიძე,1989:59) ნაცვლად „გარეგანი“;
მთვარე ჰფენს ბადეთა ჰვირვალ ქსელებს... (რობაქიძე,1989:49) ნაცვლად „გამჰვირვალე“;
დარბაზში-აუზი აშადრევანებული (რობაქიძე,1989:59) მეტად თავისუფლად ნაწარმოები
სიტყვაა, ნაცვლად „შადრევნით“;
დედოფალია სასურვი?! (რობაქიძე,1989:219) ნაცვლად „სასურველი“;
სევდა უცნოს. ოხვრა უთქოს (რობაქიძე,1989:119) ნაცვლად „უცნობის“, „უთქმელის“;
ოდნავ პირახდა თითქო უნებლიე- და სახე: რბილი მარმარი რომელსაც ძვალის ფერი
გადაჰკრავს (რობაქიძე,1989:14) ნაცვლად „მარმარილო“;
აუარ ქაშვეთს (რობაქიძე,1989:214) ნაცვლად „აუვლი“.

დანართი 2.1. მარტივი წინადადება

შემძრუნდნენ ფრიად, გზათა სიძნელით. /და გაუძღვა ნინო ქალი თვის თანამგზავრებს. / ვარდობის თვიდან არ მოჟურა ჰაერმა წვეთი./ ღრუბელის ფთილა არ გადმოჩნდა ცის კამარაზედ./ ხალხი შემკრთალი შეჰლადადებდა ღრუბელთ წინამძღოლს./ მოსწონდა ბაქარს ახალგაზრდა. / ეკმეოდა საქართველოს სუნი ბრძოლისა./ მრავალთათვის აღსრულების ჟამი დგებოდა. / მოშორებით, ცოტა მარჯვნივ უზარმაზარი ლოდებისგან თხზილი სამსხვერპლო;/ აღარებული მაცვლის ბუჩქი, თალარად თხზილი. / მოზრდილი ადგილი ტოტთა კარავ ქვეშ. / ზედ ესვენა წალმის ჯვარი ნაწნავით კრული. / ქვის წინ შილა მეწამული. / ინავლებოდა გუნდრუკი ქვაზედ. / ჯილა წარბებ ქვეშ ქუფრი თვალები. / გამოჩნდა ოქროს ტახტრევანდი. / დედოფალი ბრძანდებოდა შიგ. / ამაყად იჯდა. / ხნიერი იყო: ძვირფას ჯილის ქვეშ თმა მოსჩანდა შეთეთრებული, შუბლი ნალარი. / ტაიჭნი ძვირფასად იყვნენ შეკაზმულნი, სხვადასხვა ფერად. / გამოცდილი კაცი იყო ქურუმი, მცოდნე./ ისწრაფიდა არმაზისკენ ხვარამზე ქალი (ვასილ ბარნოვი, „არმაზის მსხვერვა“).

ჩამი-ჩუმი არ ისმის. / ქალის ჟინის აღმძვრელი კვნესა გაისმის. /ორივენი ისევ იკარგებიან ტყის სიღრმეში. / მე მარტო ვარ ჩემს ფიქრებში. /მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე. /ხის ქვეშ რაღაც შავი მოსჩანს, პატარა ხის ძირას. /იგი არ იძვრის. /ორივე ხელი ჩამოშვებულია. /იმახის ბნელში ლობემძვრალა. /რად მიცდის ეს კაცი? /კაცი სდგას თავჩაქინდრული. / საათმა 12-ჯერ დაჰკრა. /ადამიანი ადამიანს ეძებს ტყეში. /სიკვდილის უშველებელი ფრთა აწევს ამ კაცს სახეზე. /თეთრ სილუეტს ვიღაც თალხიანი მისდევს. / მისი ფეხები ძლივს ეკარება ძირს დაფენილ მაღალ ბალახის ქოჩორს. /ეგებ ამ კაცს მოხუცი დედა ჰყავს სახლში. / ჰაეროვანი ხმა ძველი ჩინური კულტურისა. / თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჰკნარი სახე, თეთრი მთვარესავით მრგვალი და ბრტყელი (კონსტანტინე გამსახურდია, „მკვდართან შეხვედრა“, „საათები“, „პორცელანი“).

განა ცა მკერდზე არ ამოიჭედს ვარსკვლავებით შენს სახელს? / ალვის ხე შენს ნარნარ რხევას ჰბაძავს./ ტალღათა ტორტმანში განა შენი სახელი არ მოისმის? / ყოველი მიჯნურის ალერსს შენ აძლიერებ./ ტევრი თმასა გთხოვს თავის დასაბურავად. / საღამო აუქმებული. / სოფლის დამამშვიდებელი მიღამო. / მწვანით მოსილი მთა-გორაკები. / მზე ჩადის. / ფრინველები იბუდებენ. / ვერძები რქებგადაყრილი უსაქმოდ დადიან. / გაზაფხულია. / ჯერ კიდევ სველია მიწა. / ნაზი ჯეჯელი ამოდის. / მხვნელს გუთანი გამოუტანია. / ყვირის მეხრე. / მივარდნილი კუთხე; / დავიწყებული სოფელი. / საუკეთესო ხუროთმოძღვრების ნიმუში ხის ჩამონგრეული ეკლესიაა. / ზარის რეკა უნაზეს ხმად არის მიჩნეული; მოხუცი მნათეს ჩიფჩიფი-უმწვერვალეს ჭემმარიტებათ. / ერთ დღეს მოვიდნენ. / ბავშვთა ალერსით ვერ

დატკბა. ყვავილთა სურნელება ვერ იგრძნო. ტრედების ღულუნის ვერ გაიგონა. ხუჭუჭი კრავები ვერ დაინახა. / თხემიდან მხტვარი დაჰყურებდა მიდამოს. გაღმა ნაპირზე მთა პირდაპირ ეშვებოდა. სრულიად მოწმენდილ ცას მთას იქით მიმალული მზის სხივები სერავდნენ. ტბის იხვები შორს დასცურავდნენ. / გრიგალი ქარი დააფორიაქებდა წვიმას. / ტბა ატორტმანდა. / ღვარებმა თქრიალი დაიწყეს. / ღელე აღრიალდა. / შავი თვალები აქვს, დიდი მეტყველებით სავსე, ცეცხლისმფრქვეველი. / ფერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება რუ (ნიკო ლორთქიფანიძე, „უფერულობა“, „საიდუმლო ბარათი“, „სიონის მტრედო!“, „ფეოდალები“, „დაგვიანებული ყვავილები“, „ოცნების მორევში“, „ბუნება“, ქართული მინიატურული პროზა).

/ ქიშმიში. ზეთიხილი. ნუში. თხილი. ნიგოზი. ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები. / არშიები. თასმები. გრეხილები. ზორტები. სირმები. ხალები. ფარდაგები. ფლასები. სამკედები. / მოდიან ქუჩის ჯამბაზები. / მძაფრია მარტოობა მზის დაყუდების ხანს. / მარტოა არჩიბალდ მეკეში. / ჰამადანის თავზე ალიონია მტრედისფერი. / თიხისაგან ნაშენი მინგრეული კედლები. ამ კედლების რიგებით შედიხარ ქალაქში. / მიზგითი ძველი. ნატეხი ძველი ბაზრის. საფლავის ქვები. კოშკები ნგრეული. / ქუჩები. ვიწრო ქუჩები. მიხვეულმოხვეულები. მიკიბულმოკიბულები. ქუჩის ერთი პირიდან შესაძლოა გადახტე მეორეზე. ერთი სახლიდან - მეორეზე. / თვალები იცქირებიან უწვდენელ სიშორიდან. ძველი რასის ნამდვილი ნიშანი. აქა იქ კუთხეებში სემიტების პროფილებიც შეგეფეთებიან. / მათი მზერაც შორიდან მოდის. არის რაღაც საიდუმლო ჰებრაელის გამოხედვაში. / არჩიბალდ მეკეში წევს. ჯერ კიდევ ღამეა. მთვარე ჩასვლას აპირებს. ლანდები მალე გაჰქრებიან. არჩიბალდ მეკეშს არ ძინავს. მისი შეცნობა სიცხადეზეა გამოსული. იცის სად არის. არ იცის მხოლოდ მიმართება. არეულია. ამრეზილი. აღრენილი. ბაგდადიდან ჰამადანამდე მრავალია ასეთი ბალახი. / ჰამადანის თავზე ალიონია მტრედისფერი. / მარტო ცეცხლი. მარტო ატეხვა. მარტო სიგიჟე. / ვერხვს ავიწყდება ფოთოლი. ავიწყდება ტოტი. ავიწყდება ტანი. / არ უნახავთ.. არც იქაა ცნობა..არ მოსულა..არ ყოფილა.../ უნდა აიცრე ირანის მზე ტანზე..უნდა იხილო მზისგან ამწვარი ტიტველი კლდეები.. უნდა გაიგუდო მყუდროებით...უნდა გადახვიდე ყოფილში...მხოლოდ შემდეგ გაიგებთარის ხმას..აქ არის გულის დაფერფლა. არის ნაღვლი..მარტო ნაღვლი....ყველაფერი ისვენებს..მხოლოდ გული არ ისვენებს. / რა მძაფრ ნაჭვლად ეწვეთება მის გულს თარის ხმა?! / შიგნით სახლში-მრავალი ოთახი. შუაში - დიდი დარბაზი. დარბაზში-აუზი აშადრევანებული .მინები-შეფერილი ყველა. წითლად. მწვანედ. ლურჯად. / პატარა სახლები და ვიწრო ქუჩები. / აქა-იქ: ყავახანა. ინით შეღებილი წვერები. დაქნილი ფხილები-(ესეც ინით შეღებილი). ხელში კრიალოსანი: ქარვის თუ გიშერის. მუსაიფი: ნელი და ჩუმი. თვალები არავის ეძებენ-(თავის თავს თუ ეძებენ შორეთში). /

პოეტები რაღას შევებიან? ამ გოგონების თვალების ალერსს კიდევ სად იხილავ?! / ვიწრო
ოთახში პატარა ოთახია გამოსკუპული. ფანჯარა მცირე-ნახევრად გაღებული. პატარა მაგიდა
ოთახში. მაგიდაზე-პაწა ლამფა. მაგიდას ბავშვი უზის შვიდი წლის. ხელები ჩვილი და
თვალები ნაღვლიანი. (გრიგოლ რობაქიძე, „გველის პერანგი“).

ძაღვებიც კი ბერდებოდნენ ტფილისის ქუჩებში. არ ბერდებოდა მხოლოდ ცხოვრება.
ცხოვრება ამ დროს საოცარ სასწაულებს ამზადებდა. / გაცეცხლებულ ლავასავით მოედო შავი
მასა ტფილისის ქუჩებს. ტფილისი აბრუნდა. / მოღუნული და ვიწრო ქუჩები. გამხმარი,
ბებერი ხეები ამ ქუჩებში. / შეშინებული სახლები. სახლებზე ჩიტებივით შეფრენილი აივნები.
დრო გადიოდა. წელიწადი წელიწადს მისდევდა. / არ ბერდებოდა მხოლოდ ცხოვრება.
ცხოვრება ამ დროს საოცარ სასწაულებს ამზადებდა. / ძველი ტფილისი. შეშინებული
სახლები. სახლებზე ჩიტებივით შეფრენილი აივნები. მზისგან დამწვარი მოაჯირები. / შრომა
როგორც ზეიმი. დასვენება კლუბებში. კლუბებში კიდევ ზეიმი. კინო. რადიო. სიმღერები.
კიდევ ტემპები. გაგიჟება შრომით და შრომაში. მებრძოლი უღმერთოება. აქ ღმერთებს
ყოველდამ ასამართლებენ. / (ლადო კოტეტიშვილი, „გოჩმანა“).

დანართი № 2.1. ინგლისურენოვანი მარტივი წინადადება

The body stockstill on the ground (სხეული მთლად უმოძრაო მიწაზე);

Yellow at the end of the black arm (ყვითელი შავით შემოსილი მკლავის ბოლოში);

The white hair in the grass (თეთრი თმა ბალახზე);

The east foundering in night (აღმოსავლეთი, რომელიც იძირება ღამეში);

Not too fast (მეტისმეტად სწრაფად არა);

The weather (ამინდი);

Sky overcast all day till evening (ცა მოღუშული მთელი დღე საღამომდე);

Rain? (წვიმა?);

Feverishly seeing the imminence of night (სიცხიანივით მზირალი (ხედავს) ღამის მოახლოებისა);

No one abroad (არავინ თვალსაწიერზე);

Not a single lamb (ერთი კრავიც კი არა);

Scarcely a flower (მხოლოდ ერთი-ორი ყვავილი);

Chance (შემთხვევა);

In its way (თავისებურად);

All shadow here (ყველა ჩრდილი აქ);

Slow fade of afterglow (ნელი გაფერმკრთალება ბოლო სხივების);

But no more about it (მაგრამ ამაზე მეტი აღარაფერი); (Beckett);

What an end! (რა აღსასრულია!) (Joyce);

His soul's companion! (მისი სულიერი მეგობარი! (Joyce);

Just God, what an end! (ოღონდაც, ღმერთო, რა აღსასრულია!)(Joyce);

Almost five years! (თითქმის ხუთი წელი!) (Fitzgerald,)

She was straying in search of wild flowers (ქალი ველური ყვავილების მოსაძებნად დაეხეტებოდა);

He wore a greatcoat in spite of the time of year (კაცს პალტო ეცვა მიუხედავად სეზონისა);

That seems to hang together (ეს უკვე ფაქტებს ერთმანეთთან აკავშირებს);

It was lambing time (დოლის სეზონი იყო);

But there were no lambs (მაგრამ იქ ერთი ბატკანიც კი არ იყო);

She could see none (ქალი ვერც ერთს ვერ ხედავდა);

A few drops in the morning if you will (რამდენიმე წვეთი დილით და ეგ არის);

She makes haste to gain the fields (ქალი ჩქარობს მინდვრების შემოვლას);

All is silent from now on (ამ წუთიდან ყველგან სიჩუმე ისადგურებს);

All that seems to hang together (ყველაფერი ეს ფაქტებს ერთმანეთთან აკავშირებს) (Beckett);

Many times she allowed the dark to fall upon them, refraining from lighting the lamp (ქალის სურვილით ბევრჯერ შემოღამებიათ საუბარში გართულებს, ლამფის ანთებისგანაც თავს იკავებდა ხოლმე დიასახლისი) (Joyce);

He stood still to listen (ჩუმად იდგა დაყურადებული) (Joyce);

He could not have carried on a comedy of deception with her (ვერ მოაწყობდა თვალთმაქცობის კომედიას ქალთან) (Joyce);

He could not have lived with her openly (ქალთან დაუფარავად ვერ იცხოვრებდა);

How was he to blame? (რა მისი ბრალი იყო?);

Why had he withheld life from her? (რატომ არ გაიმეტა სიცოცხლე ქალისთვის?);

Why had he sentenced her to death? (რატომ გამოუტანა ქალს სასიკვდილო განაჩენი?) (Joyce)

She was fast asleep (Joyce); (ქალს ღრმად ეძინა);

It had begun to snow again ; (ისევ დაეწყო თოვა);

He watched sleepily the flakes, silver and dark, falling obliquely against the lamplight (Joyce); (ძილმორეული შეჰყურებდა ფიფქებს, ვერცხლისფერსა და მუქს, ირიბად რომ ათოვდნენ ლამპიონს) (Joyce);

Into a little round place at the side of the apple has been gathered all of its sweetness (ვაშლის ცალ მხარეს, პატარა მრგვალ ადგილას დაგროვილა მთელი მისი სიტკბო) (Anderson,);

There was first the ferry boat moving softly from the Jersey shore at dawn – the moment crystallized into my first symbol of New York (Fitzgerald,) (პირველი ეს ბორანი იყო, გამთენიისას ჯერსის სანაპიროს რომ ტოვებდა ლივლივით - ეს წამი სამუდამოდ იქცა ნიუ ირკის პირველ სიმბოლოდ ჩემთვის);

She took the spot out of the skirt of her beige suit.

She moved the button on her Saks blouse.

She tweezed out two freshly surfaced hairs in her mole (Salinger,); (ჩალისფერი კოსტუმიდან ლაქა ამოიყვანა. ბლუზზე დილი გადასვა. ხალიდან პინცეტით ორი ახლადამოწვერილი ბუსუსი ამოიგლიჯა);

დანართი №2.2. შერწყმული წინადადება

ა) ერთგვარშემასმენლიანი წინადადებები:

ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ჯვარი და გადასტყორცნა (ბარნოვი,1943:353); გაიჟრჯოლა ამზაილმა ქალის მკლავებში და გაითანგა. / დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს, დააკლა თავი (ბარნოვი,1943:315); თავყანსა სცემენ ქვათა თუ ხეთა, ზვარაკებად კაცთა სწირავენ (ბარნოვი,1943:261); მსწრაფლ ჩაიხსნა კრეტსაბმელი და გადიწია (ბარნოვი,1943:260); გამოშრა მიწა, გახმა,დაიშაშრა, დასქდა (ბარნოვი,1943:342); ხმაურობდნენ, ევაჭრებოდნენ, ყიდულობდნენ, ხანხან ჩხუბობდნენ; უფარდებდნენ საქონელს, წილსა ჰყრიდნენ, სწონვდნენ, სწყავდნენ (ბარნოვი,1943:347); ქურუმნი ბაბეგს ხელს აღუპყრობდნენ, სვლას უმტკიცებდნენ;/ ჟამითიჟამად შეირხეოდა, ჟღრიალებდა ეჟვანმრავალი; / მიუძლოდნენ მესაკრავენი, მაგალობელნი ცისფერ კვართებში;/ უკრავდნენ საკრავთ, ჰიმნებს გალობდნენ;/ გარბოდა ხალხი, გზას უთმობდა, საფარს ეძებდა (ბარნოვი,1943:347); ააყენა მირიანი და წინ გაუძღვა (ბარნოვი,1943:348); უყურებს საღი, ძლიერი, ჯანმრთელი მწყემსი ჩამავალ მზეს; ისმენს ჟღურტულს ჩიტებისას; შეხარის გამაძლარს, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება გაიშხლართოს ღრმა, მშვიდი ძილისთვის (ლორთქიფანიძე,1958:212); აკრებს ყლორტებს და ფოთლებს ჰკოცნის სათვითაოდ (რობაქიძე,1943:261); პირში დაგუბებულმა ბოლმამ ყბები გაჰბერა და დუდუკის ვიწრო ყელიდან იწყო დენა წვეთ-წვეთად; დიღინებდნენ დუდუკები, ნაღვლიანად არხევდნენ ბგერებს, ზმუოდნენ, კვნესოდნენ, ჭირვეულობდნენ; ჭიქას წამოავლო აკაკნკალებული ხელი, ნერწყვი ხმამაღლა გადაყლაპა და დაიძახა გამშრალი, ჩაგლეჯილი ხმით; ბრაზით მოკაკული მკლავი ჰაერში გაჰკრა და მაგრად მოკუმული კბილები გააკრაჭუნა; შლიდა და ანგრევდა კაცს შიგნიდან (კოტეტიშვილი.2012.7-16);

ბ) ერთგვარქვემდებარიანი

მაგრამ შხამი კი, მაგრამ მალამო კი უცვლელად,შეუსუტებლად დარჩება(ლორთქიფანიძე,1992:110); მიყრილ-მოყრილი პაპიროსის ნამწვები და ფერფლი (ლორთქიფანიძე,1992:118); წნელის ღობე, კვინძები და ყორე გადახლართულია მაყვლით (ლორთქიფანიძე,1992:126); მერე მოისმის ფეხის ხმა, გამხმარი შტოების მტვრევა და ტკრციალი (გამსახურდია,1959:11); სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია (გამსახურდია, „მკვდართან შეხვედრა“ (ლორთქიფანიძე,1959:13); მოსდევდნენ მას სეფე-ქალნი, შინმუვარნი, მოახლენი, მხევალოთ სიმრავლე; სამკლავები, ხელჯაგები, საბარკულ-საწვივეები. ვადა ხმალისა და ქარქაში სპეკალ ნაჭარბი (ბარნოვი,1943:308); ტყისნაყოფი ჯერ ისევ მწიფდა: პანტა, მაჟალო, შინდი, ხუთყურა (ბარნოვი,1943:316); მთისკენ ვიდოდნენ

ქადაგი და მის მოწაფენი (ბარნოვი,1943:316); აჩნდენ დედოფალი, ხვარამზე, სეფე ქალნი (ბარნოვი,1943:360); შეწყდა შემდეგ ხმაურობა და ცეცხლთა ფრქვევა არმაზის მხარეს. დაჩარდახული ურმები, დაყაჯრული ცხენები, კარავთ ნაირობა (ბარნოვი,1943:344); სპარსეთში სამი ქვაა ბატონი: ლალი და ფირუზი და ზურმუხტი (რობაქიძე,1989:59); ხსოვნას სდაღავენ უცხო სიტყვები და საქმენი (რობაქიძე,1989:96); მაგრამ ვერც მოლოხის კერპები-ვერც ბაბილონის ორგიები-ვერც მოაბის კახპა ქალები: ვერავინ და ვერაფერი ვერ აკავებდა უცნაურ ხალხს ერთ ადგილზე (რობაქიძე,1989:120); სიამაყე და დარცხვენა-ერთად (რობაქიძე,1989:214); რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214);

გ) ერთგვარდამატებიანი

ქსელებში გახლართული წარმოუდგენელ ტანჯვასა ვგრძნობ და უტკბეს ნეტარებას (ლორთქიფანიძე,1992:109); ყვავილები, ტრედები და კრავები მოყვადათ ძვირფას მასწავლებელთან (ლორთქიფანიძე,1958:214); ხალხი კი ახლა უხდიდა მადლობას და უცხადებდა აღტაცებას და სიყვარულს(ლორთქიფანიძე,1958:214); ჩვენს დიდ სიყვარულსა და ჩვენს დიდ ნუგეშს, ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბედნიერებას; ჩვენს დარდას და ჩვენს გულის ჭირს.; ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები, საათები ჩვენი ბინის კედლებზე, საათები ქალაქის მოედნებზე, საათები სიკვდილის სატრიუმფო ჭიშკრებზე (გამსახურდია,1959:7); ქალის ხელებისგანაა ეს სიამე თუ ცივი წყლისაგან?! (რობაქიძე,1989:139); უეცრად მოიხედავს და წამოიძახებს უეცარ სიტყვას და უეცარ სახელს (კოტეტიშვილი.1989:121); გასასყიდად გამოეტანათ ჭრელჭრელი ქსოვილები, თავსაბური, ფეხსამოსი სხვადასხვაგვარი, სამკაული თუ იარაღი, საციქველი (ბარნოვი,1943:344); ღვთის ვედრება მყუდროებისა და სათნოების დამკვიდრებაზე ამ ქვეყანაზე, ამ ხალხთა შორის (კოტეტიშვილი.2012:12); ანათებდა წყვილად და ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ახალ წესწყობილებას (კოტეტიშვილი.2012:14); გაუმარჯოს გოჩმანას და იმის ყისმათს! (კოტეტიშვილი.2012:14);

დ) ერთგვარგანსაზღვრებიანი:

ნაშუადღევს სიოს ქინძისა, პიტნისა და ომბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გადააქვს (ლორთქიფანიძე,1992:127); უყურებს საღი, ძლიერი, ჯანმრთელი მწყემსი ჩამავალ მზეს; შეხარის გამამდარს, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება გაიშხლართოს ღრმა, მშვიდი ძილისთვის (ლორთქიფანიძე,1958:212); მაშ რისთვის არის მოწყენილ-გაჩუმებული ყოფილი ენა-ტკბილ მოუბარი, მომღერალ-მოცეკვავე? (ლორთქიფანიძე,1958:95); სასახლის ტურფანი თავისთავს მიაწერდენ გედევანის აღტაცებულს, გაბრწყინვებულს სახეს და კრილა შემოძახილს ბაიათისას

(ლორთქიფანიძე,1958:95); იქნება ბრძოლა ნებათა, სურვილთა, ძალთა და უფლებათა (ლორთქიფანიძე,1958:219); ფარულათ გედევანი ცთილობდა აღედგინა სამეფო, გაედევნა მტერი, ტახტზე აყევანა მის გრძნობათა და აზრთა დედოფალი (ლორთქიფანიძე,1958:96); თვალეზანისლული და თავდავიწყებაში მთვლემარე (გამსახურდია,1959:7); აღარ მესმოდა თხელი, ბუმბულივით მსუბუქი ჩაის სერვიზის ნაზი წკრიალი (გამსახურდია,1959:27); მის ნაცვლად სუფრაზე ვხედავ ტლანქ, უხეშ, ევროპულ ფაბრიკაციის ჩაის ჭურჭელს(გამსახურდია,1959:27); დიდი საფლავი დრომოჭმულ მიცვალებულ გრძნობათა, დრომოჭმულ ფერადებისა და რითმების...(გამსახურდია,1959:28); ტილოს კვართი უსახელო, შალის ვარმანდი, შალისავე თავსარქმელი კალთებიანი, ხამლები ფეხზედ (ბარნოვი,1943:265); ფულიცა სჩანდა: ქართული თეთრი, ოქრო სპარსული, ბიზანტიური (ბარნოვი,1943:344); დაკვრითი ტემპები, სოციალისტური შეჯიბრი, გაუთავებელი იდუსტრიალიზაცია. არნახული და არგაგონილი კარნავალები მუშათა ახალგაზრდობის. გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო (კოტეტიშვილი.2012:11); ეს ჩვენი გოჩმანაც გადატაკებული და გატრიზავებული მმა იყო (კოტეტიშვილი.2012:8); კარგად დაღალულმა და გაოფლიანებულმა მიირბინა გოჩმანამ სიონთან (კოტეტიშვილი.2012:9); უღრან ხევებში გადაჩეხილი ათი ათასი ბებერი დედაკაცივით არის ჩამოკიდებული დაბერებული და ხავსმოდებული სახლები (კოტეტიშვილი.2012:10); ხელახლა დგება დღე მყუდრო შრომის, სიამოვნებისა და სიხარულის (კოტეტიშვილი.2012:10); გაბერილი და გაბუჟებული სხეული მთლად უკანკალებდა (კოტეტიშვილი.2012:10); მიდიოდა გოჩმანა მთლად დაბერტყილი და გატრიზავებული, ჩათუთქული (კოტეტიშვილი.2012:10); ასე დაღონებული და მოშხამული შევიდა თავის სახლში (კოტეტიშვილი.2012:10); ყველაფერი სუსტი, ბებერი და უნიათო დაიმსხვრა ამ ბრუნვაში; მოღუნული და ვიწრო ქუჩები. გამხმარი, ბებერი ხეები ამ ქუჩებში (კოტეტიშვილი.2012:11);

ვ) ერთგვარგარემოებიანი:

ნაშუადღევის სიოს ქინძისა, პიტნისა და ომბალოს სუნი ბოსტნიდან მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახში გადააქვს (ლორთქიფანიძე,1992:126); საათები ბინის კედლებზე, საათები მოედნებზე, საათები რკინის გზის სადგურებზე, საათები ეკლესიის გუმბათებზე, და სატრიუმფო ჭიშკრებზე; საათები ჩვენი ბინის კედლებზე, საათები ქალაქის მოედნებზე, საათები სიკვდილის სატრიუმფო ჭიშკრებზე(გამსახურდია,1959:7); მიწამდის დადაბლება და მიწაში ჩახედება დაბერებულ და ნაპერწკლებჩამქრალი თვალეზით (კოტეტიშვილი.2012:12); გადადიოდნენ დრტვინვის ზვირთნი უდაბნოდან უდაბნოებში, ქვეყნიდან ქვეყნად (ბარნოვი,1943.264);

დანართი № 2.3. რთული წინადადება

ყმაწვილი მიდიოდა, აღარ ჰქონდა მხარზე გადებული მძლეოთა-მძლე მშვილდ-ისარი, თითს არ უმშვენებდა ხვითო-ბეჭედი, გულში არ იმღეროდა სულის წარმტაცი იადონი(ლორთქიფანიძე,1958:167);

ტყე იდუმლათ, შავათ გაქვავებულიყო და ხეების, მთა-გორაკების ყოველი მოხაზულობა ნათლად ირკვეოდა (ლორთქიფანიძე,1958:188);

ტყეში სიჩუმეა, მხოლოდ ორიოდე ღობემძვრალა უმახის ბნელში ერთიმეორეს (გამსახურდია,1959:11);

მე კი არავის ვეძებ, არავინ მეძებს (გამსახურდია,1959:12);

მე მარტო ვარ ჩემს ფიქრებში, მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე (გამსახურდია,1959:12);

ხომ უნდა წავიდე აქედან, ხომ უნდა გამოვიდე ამ საშინელ სიზმრიდან! (გამსახურდია,1959:13);

გაიწევ უნებურ ლამაზისაკენ და ჩვენება ჰქრება სიზმარივით სადღაც ბრბოს ხრიალში (რობაქიძე,1989:14);

სპარსეთის ტიტველ ნაპრალებში ხანდახან ლომის გრგვინვა გადავარდება ხოლმე და გრიალი ცხელი შურდულივით გაიკლავნება ხახაგახსნილ ღრეში. (რობაქიძე,1989:128);

ფოთოლი სქელდება და ფოთოლზე მატლი მილოღავს ზმორით (რობაქიძე,1989:268);

წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი, ბევრს გული გაუხეთქა ამ საზარელმა სანახაობამ (კოტეტიშვილი.2012:11);

ასე ეჩურჩულებოდა გოჩმანა თავის თავს გადარაზულ კარებს უკან და სიბრაზის და ნაღვლის ბურთები უგორავდნენ გამხმარ ყელში(კოტეტიშვილი.2012:13);

დუდუკებმა დაჰკრეს საარი და ამ მომაჯადოებელ ხმებზე დაიდრა ხალხი დანგრეულ სამრეკლოსაკენ (კოტეტიშვილი.2012:16);

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

One nibbles at them and they are delicious (Anderson,1981:34);

Not merely had she degraded herself; she had degraded him (Joyce,1982:128);

The girl was quiet, tall, and dark, and to many people she seemed very beautiful (Anderson,1981:33);

In the fall after the beginning of her acquaintanceship with him she married Doctor Reefy and in the following spring she died (Anderson,1981:36);

One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: he had sentenced her to ignominy, a death of shame (Joyce,1982:129);

No one wanted him; he was outcast from life's feast (Joyce,1982:129)

Neither he nor she had had any such adventure before and neither was conscious of any incongruity (Joyce,1982:123);

In the fall one walks in the orchards and the ground is hard with frost underfoot (Anderson,1981:34);
He was conscious of, but could not apprehend, their wayward and flickering existence (Joyce,1982:219);

The quiet lights in the houses were humming out into the darkness and there was a stir and bustle among the stars (Fitzgerald,1984:84)

It was an age of miracles, it was an age of art, it was an age of excess, and it was an age of satire (Fitzgerald,1965:10);

ქართულენოვანი ქვეყნობილი წინადადებები

აცნობეს ნინოს, დედოფალი მობრძანდებო (ბარნოვი,1943:303);

ძულვითა სძულდათ დასავლეთი, სად მფლობელობდა რომი უძლები (ბარნოვი,1943:338);
მოხერხებული ყმაწვილი არ არღვევდა მათ შეცდომას, იქნებ ნამდვილ მიჯნურს ავაცთინო მოლაყბეთა გესლიანი ენაო (ლორთქიფანიძე,1958:95);

ვერავინ გაიგო, რამდენი ჭრელი პეკლა გაჰქრა; რამდენ ყაყაჩოს, მინდვრის დამამშვენებელს, გადაეფარა სილა; რამდენი ქორბუდიანი ირემი და სიამაყე კლდისა, ჯიხვი, ყელგადახვევით მთარია მილეწ-მოლეწილს, დასახიჩრებულ ტბის დედოფალს-ჭანდარს; რამდენი ორბის და არწივის კვერცხი გასკდა, ჩალპა დამტვრეულ მუხის ნაფლეთებში, ნეშოში (ლორთქიფანიძე,1958:225);

ჭრილობებს და სისხლისგან დაცლას თითქოს ვერ გრძნობდა, სანამ დედოფალს არ მოხვდა ტყვია (ლორთქიფანიძე,1958:98);

განმარტოებით, სალს კლდეზე, სად თვით ჯიხვიც კი ვერ მოიკიდებს ფეხს, მედიდურად აღმართ ულა მუხა (ლორთქიფანიძე,1992:103);

მაგრამ უბედურება მისი სწორეთ ის იყო, რომ ლურჯი ზღვა საითკენღაც ეწეოდა, პირქუში ტევრი საიდუმლოებას უფარავდა და წმინდა, ნაზი ცის კამარა სიყვარულს ჩასჩურჩულებდა (ლორთქიფანიძე,1958:159);

მათ ეგონათ, რომ მათი ხმა ესმოდა ესმოდა მხოლოდ ჩუმ კედლებს გალავანისას, სიოზე მოშრიალე ცაცხვებს და ბულბულს მიძინებულს, რომელიც სტვენით ამჟღავნებს მიჯნურთა საიდუმლოს, მაგრამ უმეტესობისათვის გაუგებარ ენაზე გალობს (ლორთქიფანიძე,1958:166);

მხატვრის ირგვლივ, როცა ფრინველი ფრთას-ფრთას შემოკრავდა, ცვარი ობოლ მარგალიტივით სცვიოდა (ლორთქიფანიძე,1958:222);

სიტყვა თუ სახელი მეხის ნატეხია ხის დიდ მუცელს რომ გარუჯავს (რობაქიძე,1989:121); მას გაეგონა, რომ ზემოთ მთაში ცხოვრობდა ადამიანი, სულით წმინდა და გონებით მაღალი (ლორთქიფანიძე,1958:155);

ლეიბი, საბანი, ბალიში და მუთაქა დაარღვია, მატყლი დაწეწა, ბამბა გაპენტა, შალითები, მითელი, სარჩული და საპირეები, საცვლები, თეთრეული, ხალათები დარეცხა, ზოგი გადააბრუნა, ზოგი გამოცვალა, გალამბა, დააგვირისტა, წინდები განემსა, შარვალი ჩაის წყლით გაწმინდა, წალები სასწრაფოდ შეაკეთებინა, ქუდი და ნახმარი პალტო უყიდა, ყველაფერი ზოგი მსხვილი ტილოდან მუთაქისებურ ახლადშეკერილ აბგაში ჩააწყო, ზოგი ხის ზანდუკში ჩაალაგა და, როცა პარმენი აკადემიას მიადგა, იგი არ ჰგავდა გაჭირვებულ, უარარაო მოხეტიალეს, არამედ სასწავლებლად მოსულ ხელმოკლეს, მაგრამ სუფთა და ყოველივე საჭირო ნივთით უზრუნველყოფილ ახალგაზრდას (ლორთქიფანიძე,1958:265);

ყველაფერი იყო ამ მდუმარებამდე, სიხარულიც, სიყვარულიც, გესლიც და შხამიც ადამიანის ბედზე და უბედობაზე, რომელსაც თითქმის ყოველი მკვდარი აგონებს ცოცხალ ხალხს, მაგრამ მაინც გულქვა ცხოვრება იმდღესვე გვავიწყებს (კოტეტიშვილი.2012:13); ზარის ქვეშ რომ აცვივდნენ, მაშინ ნახეს გაცეცხლებული და გაოფლიანებული გოჩმანა როგორის რწმენით დასდევდა უზარმაზარ ენას (კოტეტიშვილი.2012:15);

აუარებელი ხალხი უვლიდა გარს ამ ზარს, რომელიც უზარმაზარ ნადირივით ეგდო მიწაზე, დამარცხებული და დამცირებული (კოტეტიშვილი.2012:15);

ინგლისურენოვანი მაგალითები:

He gnawed the rectitude of his life; he felt that he had been outcast from life's feast (Joyce,1982:129);

The tears gathered more thickly in his eyes and in the partial darkness he imagined he saw the form of a young man standing under a dripping tree (Joyce,1982:124);

When they met again, two days later, it was Gatsby who was breathless, who was somehow betrayed (Fitzgerald,1984:108);

The dark discreet room, their isolation, the music that still vibrated in their ears united them (Joyce,1982:219);

After the tall dark girl came to know Doctor Reefy it seemed to her that she never wanted to leave him again (Anderson,1981:35);

Now that she was gone he understood how lonely her life must have been, sitting night after night alone in that room (Joyce,1982:128-129);

His life would be lonely too until he, too, died, ceased to exist, became a memory—if anyone remembered him (Joyce,1982:129);

He would cast about in his mind for some words that might console her, and would find only lame and useless ones (Joyce,1982:219);

Better pass boldly into that other world, in the full glory of some passion, than fade and wither dismally with age (Joyce,1982:219);

His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219);

Everyone in Winesburg wondered why she married the doctor (Anderson,1981:33);

The condition that had brought her to him passed in an illness, but she was like one who has discovered the sweetness of the twisted apples, she could not get her mind fixed again upon the round perfect fruit that is eaten in the city apartments (Anderson,1981:36);

During the winter he read to her all of the odds and ends of thoughts he had scribbled on the bits of paper (Anderson,1981:36);

So when the blue smoke of brittle leaves was in the air and the wind blew the wet laundry stiff on the line I decided to come back home (Fitzgerald,1984:127);

But it was all going by too fast now for his blurred eyes and he knew that he had lost that part of it, the freshest and the best, forever (Fitzgerald,1984:116);

I spent my Saturday nights in New York because those gleaming, dazzling parties of his were with me so vividly that I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going up and down his drive (Fitzgerald,1984:129);

And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world (Fitzgerald,1984:129);

დანართი №2.4. განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები:

ძველი ამ დროს მოჭრილი მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი (კოტეტიშვილი.2012:11); შავი თვალები აქვს, დიდი მეტყველებით სავსე, ცეცხლისმფრქვეველი (ლორთქიფანიძე,1992:122); თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჭკნარი სახე, თეთრი მთვარესავით მრგვალი და ბრტყელი (გამსახურდია,1959:7);

ხის ქვეშ რაღაც შავი მოჩანს, პატარა ხის ქვეშ (გამსახურდია,1959:11);

ფერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება რუ (ლორთქიფანიძე,1958:212);

მთელი დღის განმავლობაში მოწიწებით უვლიდა გარშემო, კვნესით და სინანულით (კოტეტიშვილი.2012:15);

ხნიერი იყო: ძვირფას ჯილის ქვეშ თმა მოსჩანდა შეთეთრებული, შუბლი ნადარი (ბარნოვი,1943:347);

არის ამ გრიალში რაღაც უცნაური სათავადე: ზვიადი-ქედმაღალი-უტეხი (რობაქიძე,1989:114);

გამოცდილი კაცი იყო ქურუმი, მცოდნე (ბარნოვი, 1943:259);

მძიმე იყო, საბუმბერაზო (ბარნოვი,1943:265);

გოგო მიჰყვება: აწითლული და ალუწილი (რობაქიძე,1989:243);

ყოველი ქვა ტაძარის ქალწულია თვითონ: ნელი-ლბილი-ნაზი-თვინიერი (რობაქიძე,1989:208);

ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი (რობაქიძე,1989:208);

ხელში კრიალოსანი: ქარვის თუ გიშერის. მუსაიფი: ნელი და ჩუმი (რობაქიძე,1989:8);

ხევში პატარა რუჰ - ნაღველივით შავი (რობაქიძე,1989:143);

ქალის თვალებში-ათასი თვალი: ყველა ელამი და ყველა ამღვრეული (რობაქიძე,1989:65);

დაღარული სახეები, ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული (კოტეტიშვილი.2012: 12);

და ეს იყო ბრძოლა იმათ შორის, განხეთქილება (ბარნოვი,1943:255);

ალარებული მაყვლის ბუჩქი, თალარად თხზილი (ბარნოვი,1943:303);

ვერხვის გრძნობა ფესვებშია გადასული ერთიანად: ტიტველ ფესვებში...(რობაქიძე,1989:42);

მიდიოდა გოჩმანა მთლად დაბერტყილი და გატრიზავებული, ჩათუთქული (კოტეტიშვილი.2012:10);

ვერავინ გაიგო, რამდენი ჭრელი პეპელა გაჰქრა; რამდენ ყაყაჩოს, მინდვრის დამამშვენებელს, გადაეფარა სილა; რამდენი ქორბუდიანი ირემი და სიამაყე კლდისა, ჯიხვი, ყელგადახვევით მიარიყა მილეწ-მოლეწილს, დასახიჩრებულ ტბის დედოფალს-ჭანდარს; რამდენი ორბის და

არწივის კვერცხი გასკდა, ჩაღპა დამტვრეულ მუხის ნაფლეთებში, ნემოში
(ლორთქიფანიძე,1958:225);

აუარებელი ხალხი უვლიდა გარს ამ ზარს, რომელიც უზარმაზარ ნადირივით ეგდო მიწაზე,
დამარცხებული და დამცირებული (კოტეტიშვილი.2012:15);

ინგლისურენოვანი წყაროები:

Laughter is easier minute by minute, spilled with prodigality, tipped out at a cheerful word
(Fitzgerald,1984:39);

Soon, perhaps, he would be sitting in that same drawing-room, dressed in black, his silk hat on his
knees (Joyce,1982: 218);

Beyond the river he saw a goods train winding out of Kingsbridge Station, like a worm with a fiery
head winding through the darkness, obstinately and laboriously (Joyce,1982:129);

Mr. Duffy sat on his stool and gazed at them, without seeing or hearing them (Joyce,1982:128);

One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: he had
sentenced her to ignominy, a death of shame (Joyce,1982:128);

He turned back the way he had come, the rhythm of the engine pounding in his ears
(Joyce,1982:129);

His life would be lonely too until he, too, died, ceased to exist, became a memory—if anyone
remembered him (Joyce,1982:129);

But it was all going by too fast now for his blurred eyes and he knew that he had lost that part of it,
the freshest and the best, forever (Fitzgerald,1984:111);

I spent my Saturday nights in New York because those gleaming, dazzling parties of his were with
me so vividly that I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden
and the cars going up and down his drive (Fitzgerald,1984:129);

Its vanished trees, the trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to
the last and greatest of all human dreams(Fitzgerald,1984:129);

And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became
aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the
new world (Fitzgerald,1984:129);

დანართი №2.5. წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-გამოთქმები:

„როგორ, ამოდენა მუშაობა და ეს ერთი ნამცეცა სეფისკვერი? არა, არა, აქ რაღაც ისე არ არის, ფრთხილად, გოჩმან, აქ ვიღაც უნდა გიგდებდეს მასხრად. მაშ ამოდენა კაცს ის ერთი ბეწვა ლუკმა გამაძლობდა? და განა რა ძალა ჰქონდა ისეთი იმ პატარა თეთრი პურის ნაჭერს, რომ მეტი ვეღარ გაიმეტეს. არა, აქ რაღაც ისე არ არის, მაშ. აქ რაღაც ისე არ არის, მაშ“ (კოტეტიშვილი.2012:11);

„დავრეკე, მაშ, დავრეკე, მაშ! ამხელა ქალაქის ზარი რომ ჩამორეკო, ხუმრობა ხომ არ არის, მაშ! ყოჩაღად იყავ, გოჩმანავ, მაშ! ყოჩაღად იყავ, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:12);

„როგორ, ამოდენა საქმე გავაკეთე და კიდევ მასხრად მიგდებენ? ხუმრობა ხომ არ არის ამხელა ზარის დარეკვა? და კიდევ დამცინიან? ჰა, გოჩმან, ფრთხილად, აქ სხვანაირად არ გამოვიდეს. ჰა, გოჩმან, აქაც მასხრად არ აგიგდონ“ (კოტეტიშვილი.2012:13);

„კარები გადამირაზეს! მასხრად მიგდებენ? ჰა, გოჩმან, ფრთხილად, აქ სხვა რამე არ გამოვიდეს? ჰა-ჰა, აბა არ გამასხარავდეს კარგად გაკეთებული საქმე“ (კოტეტიშვილი.2012:13);

„ძმებოჯან! მადლობელი ვარ, მაშ! მადლობელი ვარ, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:8);

„გადავდივარ, მაშ, გადავდივარ, მაშ! იქ მნათედ დამაყენეს, მაშ! იქ ზარი უნდა ვრეკო, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:14);

„ძმებოჯან! მე ვრეკავდი ზარს, მაშ! მე ვრეკავდი ზარს, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:16);

ამ მოქიფების ემოციური მეტყველებაც შეფერილია მიმართვით და შორისდებულებით:

„ძმებოჯან! მაშ ეს არის სამართალი? ეს არის კანონი, რომ სამრეკლოდან ზარი ჩამოხსნა, სამრეკლო დაანგრიო, ზარი გადმოაგდო, წაიღო და დაწვა? ოი, დადადადა!“ (კოტეტიშვილი.2012:16)

„ოჰო! ცხოვრება!“ (კოტეტიშვილი.2012:8);

„ძმებოჯან! ვისაც რომა გაუგია ადამიანი,ეს ადამიანი ორგვარია“(კოტეტიშვილი.2012:8).

დანართი 3.1. ეპითეტი:

მიმოდრამას მოსდევენ სხვა სცენები: რასსის ნატეხები. გურულთა სიმკვირცხლე და კისკასი სიმღერა (რომელმაც მსგავსი არ იცის სამყაროში). მეგრთა დათასმული ძრაობა და შემპარავი მზერა (რომელსაც მოაქვს ზღვის ნაპირების სურნელი). სვანების დაკორძილი კუნთები და ჰიმნი „ლილე“ (რომელიც შუბნაკრავი მზეა). ქართლელთა კამბეჩური უდრეკობა და გულის სიმართლე (რომელიც ნიშანია მძლეობის თუ გამძლეობის). კახთა როკვა და ხმალი (რომელიც ლხინია თვითონ). ფშავთა შაირობა (რომელიც ვაჟას გამოისროლის). ხევსურთა ფარიკაობა (რომელიც ცდის უშიშარ მორკინალს). იმერთა რასსიული დახვეწილობა და სიდარბაისლე (რომელიც ედავება ყველა რასსებს) (რობაქიძე,1989:246);

ხვითოში ქალის ტანი იკვეთება ალექსილი (რობაქიძე,1989:258);

უნდა აიცრე ირანის მზე ტანზე..უნდა იხილო მზისგან ამწვარი ტიტველი კლდეები.. უნდა გაიგუდო მყუდროებით...უნდა გადახვიდე ყოფილში...მხოლოდ შემდეგ გაიგებ თარის ხმას..აქ არის გულის დაფერფვლა..აქ არის თვითონ გული: ამოვარდნილი და ცხელ ქვიშაზე სისხლად დაღვარული..აქ არის ნაღვლი..მარტო ნაღვლი..ყველაფერი ისვენებს..მხოლოდ გული არ ისვენებს. მაგრამ არის წამი: როცა ისიც ჩერდება ვით ჩიტი გაბრუებული (რობაქიძე,1989:49);

სპარსეთის ტიტველ ნაპრალებში ხანდახან ლომის გრგვინვა გადავარდება ხოლმე და გრიალი ცხელი შურდულივით გაიკლაკნება ხახაგახსნილ ღრეში (რობაქიძე,1989:128);

სახელები: როგორც ცხელი დაღები და ცხელი შურდულები (რობაქიძე,1989:21);

დედის სიტყვაზედ ქალს ყაყაჩო აუყვავდა მწყაზარ დაწვებზედ (ბარნოვი,1943:250);

და შეხვდნენ თვალნი გაღიმებულ თვალებს ვარდისა (ბარნოვი,1943:250);

შეანათებდა ქალი თვალებს, გულს უშუქებდა ეშხით დადაგულს (ბარნოვი,1943:316);

ეპითეტები ინგლისურენოვან ნიმუშებში:

If that was true he must have felt that he had lost the old warm world, paid a high price for loving too long with a single dream. He must have looked up at an unfamiliar sky through frightening leaves and shivered as he found what a grotesque thing a rose is and how row the sunlight was upon the scarcely created grass (Fitzgerald,1984:116);

Later I realized that behind much of the entertainment that the city poured into the nation there were only a lot of rather lost and lonely people (Fitzgerald,1965: 25);

And lastly from that period I remember riding in a taxi one afternoon between very tall buildings under a mauve and rosy sky; I began to bawl because I had everything I wanted and knew I would never be so happy again (Fitzgerald,1965:26);

The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach (Joyce, 1982:127-128);

The night was cold and gloomy (Joyce (1982:129);

Those venal and furtive loves filled him with despair (Joyce, 1982:129);

He would cast about in his mind for some words that might console her, and would find only lame and useless ones (Joyce, 1982:218);

It is delicious, like the twisted little apples that grow in the orchards of Winesburg (Anderson,1981:34);

დანართი №3.2. მეტაფორა

სდის სისხლი ხერხემალს (რობაქიძე,1989:218);

მზეს თმებშიაც დაუტოვების ცხელი ფოთლები (რობაქიძე, 1989: 64);

პატარა კაცის სახე იეროგლიფია ხავსგადაკრული (რობაქიძე, 1989:56);

მატასი თითქო მზის მარცვლების აჯეჯილებაა(რობაქიძე, 1989:171);

ტყე აჯამეთის ხედ აჯეჯილი ზურმუხტი (რობაქიძე,1989:143);

რუსთაველის პროსპექტი მზეშია გაშხვართული (რობაქიძე,1989:215);

შვიდგზის მოცეცხლა დიდმა მეომარმა ტფილისი და სრულიად ამერი (რობაქიძე, 1989: 220);

ტახტზე ქალის ტანია გაშხვართული. თვალეზე ორი იისფოთოლი გადაჰკვრია ჩალურჯებული. თმები ბალიშზე ჩამოშლილან მზის გასუდრულ შქერებად (რობაქიძე, 1989: 265);

ნაბიჯები ამ დროს გულს უთუთქავენ მიწას (რობაქიძე, 1989: 267);

არჩიბალდს მზერით მოაქვს მატასის ტანი (რობაქიძე, 1989: 269);

არჩიბალდის მარჯვენას რაღაც შერჩა-ცხელი და მშრალი: მატასის ხელის თრთოლვა-ვით ბადეში გაბმული მიმინოსი (რობაქიძე, 1989: 252);

თვალეებს გადაუვლის ჰინდური მუქი ზურმუხტის წყალი (რობაქიძე, 1989: 14);

სტეპკო ქალის ღიმილს ისუნთქავს ვით ველურ ვარდს...(რობაქიძე, 1989: 34);

არჩიბალდს მზერით მოაქვს მატასის ტანი (რობაქიძე, 1989: 269);

არჩიბალდის სხეული ტანამომშრალი წყაროა საცა ფიქრები დახეტიალობენ თითქო მკვდარი ადამიანის (რობაქიძე, 1989: 293);

არჩიბალდ სუნთქავს არეს რომელიც მატასიმ შეარხია: სურნელი თუ დასტოვა ველური ყლორტის (რობაქიძე, 1989: 146);

ხმა გაიკრიალებს ვით წყალგადავლებული ამეთვისტი (რობაქიძე, 1989: 160).

გაშლილი იყო იმათ შორის უსიტყვო სიტყვა სიყვარულისა (ბარნოვი,1943:326)

მწყაზარ ლოყებზედ ვარდი უყვოდა ხვარამზეს (ბარნოვი, 1943:331).

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

Little by little he entangled his thoughts with hers (Joyce,1982:124);

Many times she allowed the dark to fall upon them, refraining from lighting the lamp (Joyce,1982:124);

In a real dark night of the soul it is always three o'clock in the morning, day after day (Fitzgerald,1965:46).

His heart beat faster and faster as Daisy's white face came up to his own...At his lips' touch she blossomed for him like a flower and the incarnation was complete (Fitzgerald,1984:84);

They were gone, without a word, snapped out, made accidental, isolated, like ghosts, even from our pity (Fitzgerald,1984:99);

Daisy, gleaming like silver , safe and proud above the hot struggles of the poor (Fitzgerald,1984:108);

A breeze blew through the room, blew curtains in at one end and out the other like pale flags, twisting them up toward the frosted wedding-cake of the ceiling , and then rippled over the wine-colored rug, making a shadow on it as wind does on the sea (Fitzgerald,1984:18);

One by one, they were all becoming shades (Joyce,1982: 218);

Better pass boldly into that other world, in the full glory of some passion, than fade and wither dismally with age (Joyce,1982: 218).

დანართი 3.3. გაპიროვნება

აქ-იქ კლდეებში ბუმბერაზ ხეებს ადგილი ეშვით და ცალ-ცალკე მოსახლეობით გაბაღრულიყვნენ (ლორთქიფანიძე,1958:222);

ეს გუნებაა გალხობილი მესოპოტამიაში. გაბრუებული ბელტი. მიყუჩებული ქვა. მდორე მდინარე. მთვლემარე ჩირგვი. მოწყენილი კენჭი. ფრთებდახრილი ტოტი. განაბული ნიბლია. სველთვალეზიანი უშობელი (რობაქიძე, 1989:26);

აგესლილ მზერას ქაშვეთი მოგირჩენს. ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი (რობაქიძე, 1989:214);

რუსთაველის პროსპექტი მზეშია გაშხვართული (რობაქიძე, 1989:215);

ნაბიჯები ამ დროს გულს უთუთქავენ მიწას (რობაქიძე, 1989:267);

ბაღის ირგვლივ ალვისხეები: ტანწერწეტ მცველებად მაღლა ატყორცნილნი (რობაქიძე, 1989:59);

კლდეები აყუდებულან ვით ასტრალური ლანდები და შინაგან იყურებიან გალურსულნი. იგონებენ ყოფილს და ზმანებულს?! უთუოდ: მისთვის არიან ასე დამძიმებულნი და გარინდებულნი (რობაქიძე, 1989:125);

კლდენი დამცხრალნი. მაგრამ მაინც მძვინვარენი. ავხორცობით დაღეშილნი და სურვით დაღველფილნი (რობაქიძე, 1989:127);

მზით ამეწამულ ტევრის ქოჩორზე ჭიჭინობელა სიცხის მაცრულს აბამს (რობაქიძე, 1989:137);

შაირი თითქო ხმალია სააკაძის: მოხვდება ტფილისს ხერხემალში და ქალაქი იკლავება როგორც წელკავიანი ცხენი. სდის სისხლი ხერხემალს (რობაქიძე, 1989:218);

ქალაქი ხომალდი ამრეზილია და აღრენილი (რობაქიძე, 1989:224);

მთელმა ტაძარმა შვებით ამოიგმინა (კოტეტიშვილი.2012:13);

არაჩვეულებრივი კვნესით დაიგუგუნა ზარმა (კოტეტიშვილი.2012:15);

სიონის ზარი არაჩვეულებრივი სიმძიმით რომ დაეშვა მიწაზე, ისეთი ხმით დაიკვნესა, რომ მიწაც კი იძვრა რისხით (კოტეტიშვილი.2012:15);

კარში გამოიბღერტა ათასი დარდი (კოტეტიშვილი.2012:15);

სიონის ზარს, რომელიც ამ ხალხისთვის ზარი კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი იყო (კოტეტიშვილი.2012:16);

ინგლისურენოვანი მაგალითები:

Only wind in the street, which blew the wires and made the lights go off and on again as if the house had winked into the darkness (Fitzgerald,1984:64);

But with every word she was drawing further and further into herself, so he gave that up, and only the dead dream fought on as the afternoon slipped away, trying to touch that was no longer tangible, struggling unhappily, undesperingly, toward that lost voice across the room (Fitzgerald,1984:99);
Even when the East excited me most, even when I was most keenly aware of its superiority to the bored, sprawling, swollen towns beyond the Ohio, with their interminable inquisitions which spared only the children and the very old—even then it had always for me a quality of distortion (Fitzgerald,1984:12

დანართი № 3.4. „მხატვრული ხატები“, სიმბოლო:

დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლისაკენ თუ აღმოსავლის ქარმა დასავლისაკენ - ტფილისმა არ იცის. იცის მხოლოდ: შეყენებულა იგი ერთ ალაგას...ათასი ქარი ეხეთქება: თითქოს ქვეყნის გზა ჯვარედინია. აღმოსავლეთს მოსცილდა და დასავლეთს ვერ მიაღწია, შუაზე გარჩა. ტორტმანობს ქალაქი ხომალდი (რობაქიძე,1989:219); შაირობს კიდევე პოეტი. ის სხვაა. ტფილისს შეაგდებს რემბოს „მთვრალ ხომალდზე“- (ტფილისიც ხომალდია: ტფილისიც მთვრალია) (რობაქიძე, 1989:218); ქალაქი მაინც ქანაობს (რობაქიძე,1989:219); ტორტმანობს ქალაქი ხომალდი (რობაქიძე,1989:219); ქანაობს ქალაქი ხომალდი (რობაქიძე,1989:220); ქალაქი ხომალდი ამრეზილია და აღრენილი (რობაქიძე,1989:224); ტფილისი ტორტმანობს: მთვრალი ქალაქი; ტფილისი ქანაობს: ბორგავს (რობაქიძე,1989:226). დიდი ქალაქი- ბუდე სხვადასხვა ოჯახის ჭიანჭველებისა (მასსა: როგორც ჭიანჭველები სხვადასხვა ბუდიდან (რობაქიძე,1989:11);

ქალაქი-მრავალი ერის საერთო სახლი:ათასი ხალხი. ათასი თემი. ათასი მოდგმა (რობაქიძე,1989:217); ქალაქი-მტრისგან სისხლდადენილი და „მოცეცხლილი“: შვიდგზის მოცეცხლა დიდმა მეომარმა ტფილისი და სრულიად ამერი (რობაქიძე,1989:220).

„ხომალდის“ ხატი:

ასე მოგზაურობდენ ძველად ჰებრაელთა ტომები: ხალხი: უსახლო-უკარო-ულოგინო (რობაქიძე,1989:119);

ხალხი: უცხო ცეცხლით ამწვარი: მოუსვენარი და დაუდეგარი. ნიადაგს ვერმითვისებული თუ ვერშეთვისებული (რობაქიძე,1989:120);

ხალხი: სულ ახალი და ახალი მხარის ნატრული. სულ უცხო დაუცხო გზებით მავალი.

ხალხი: რომლის იდუმალი ნდომა „ყველგან ყოფა“ (რობაქიძე,1989:120);

მაგრამ ვერც მოლოხის კერპები-ვერც ბაბილონის ორგიები-ვერც მოაბის კახპა ქალები: ვერავინ და ვერაფერი ვერ აკავებდა უცნაურ ხალხს ერთ ადგილზე (რობაქიძე,1989:120).

მზე, როგორც სიცხოველისა და ნაყოფიერების სიმბოლო:

მატასი თითქო მზის მარცვლების აჯეჯილებაა (რობაქიძე,1989:171);

კირში - მზის ხურუში და სილაში-მზის თესლები. ქვის ლოდი ფარია ქალაქის. სპარსეთის ტიტველ ნაპრალებიდან, საცა გახელებული მზე ავხორცობის ჟინს იკლავს, ხანდახან ლომის გრგვინვა გადავარდება სუნთქვა შეკრულ ხევებში (რობაქიძე,1989:14);

მზე მზადაა დაჰკაფოს არე. რა შეაჩერებს?! რა გაუძლებს?! (რობაქიძე,1989:124);

მზე, როგორც ზმანებათა და ხილვათა მოგვრის წყარო: უნდა აიცრე ირანის მზე ტანზე...
უნდა იხილო მზისგან ამწვარი ტიტველი კლდეები... უნდა გაიგუდო მყუდროებით...უნდა
გადახვიდე ყოფილში...მხოლოდ შემდეგ გაიგებ თარის ხმას (რობაქიძე,1989:49);

მზე, როგორც სალოცავი კერპი: მკერდის შუაგულზე მასაც ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი.
ამბობდა: მისი გვარი მზის თესლისაა: მზესავით ცხელი-მზესავით ნათელი-მზესავით
გახელებული-მზესავით მართალი (რობაქიძე,1989:91);

შუბებს სურთ თითქო მზეს ესროლონ ვაჟი. ხმლები ელვარებენ მზეზე: მზეს ფიცულობენ
(რობაქიძე,1989:237);

სვანების დაკორძილი კუნთები და ჰიმნი „ლილე“(რომელიც შუბნაკრავი მზეა)
(რობაქიძე,1989:246);

რას ეტყვიან ეს შეხვედრანი და ეს გაცილებანი პატარა გულს რომელიც სუსხდასხმული
ჩიტვით ფართქალობს ქალის აზიდულ მკერდში?! ან რაღას ეტყვის ამიერ პატარა გულს
მზის ამოსვლა ან მისი ჩასვლა?! (რობაქიძე,1989:48);

.აქ არის გულის დაფერფვლა...აქ არის თვითონ გული: ამოვარდნილი და ცხელ ქვიშაზე
სისხლად დაღვარული...აქ არის ნაღველი...მარტო ნაღველი...ყველაფერი ისვენებს...მხოლოდ
გული არ ისვენებს. მაგრამ არის წამი: როცა ისიც ჩერდება ვით ჩიტი გაბრუებული
(რობაქიძე,1989:49);

გული მარტოა ყოველთვის. თუ სიყვარულით არის გამთბარი?! მაშინ გული შიშია მარტო: არ
გასქდეს მეორე გული. თუ დაშორებულია ამ გულს?! მაშინ გული სევდაა მარტო...არჩიბაღდ
მეკეში ყაზვინის ბაზრის ფარდულებშია. გული კი-შორს. ფარდულებში ათი ათასი გულია:
ათი ათასი სურვილით. ეს გული მათ არ ეკარება. გულში არჩიბაღდ ოლგას წერილს
კითხულობს (რობაქიძე,1989:172);

გულს დაუბრუნდება თავისას. ვინაა ეს გული?! ეგებ ისაა- ბაღში რომ იღვრება სისხლით?!
აქაც კვნესა. აქაც ოხვრა (რობაქიძე,1989:110);

გული ხის „გულს“ ხვდება (რობაქიძე,1989:284);

ვარსკვლავები: თითქო კვერცხისოდენა ბრილიანტები: რომელთა გულები ხალისით
სკდებიან (რობაქიძე,1989:42); ერთი ბაღი ეგულება. იქ წაიღებს ტანს: ტანს განძრევა უნდა. იქ
გახელს თვალებს: ცრემლებს გადმოშვება უნდა. იქ დაიჭერს პატარა ჩიტს: გულს მოფერება
უნდა (რობაქიძე,1989:110).

წითელი, აგრესიული, შემტევი სიმბოლო ახალი დროების:

წითელი დროშების ელვარებამ ბევრს დაახუჭინა თვალი;

წითელი დროშების ტყე;

წითელი ვარსკვლავები წითელ ქარხნებზე;

წითელი ფერის საყვირები და გუგუნნი;

კიდევ წითელი ფერი, კიდევ კვილი წითელი საყვირების, მსოფლიო პროლეტარიატი და იმისი შტაბი წითელი კომინტერნი;

დუდუკები–ხმოვანი სიმბოლო:

ამ დროს ორმა დუდუკმა ტკბილად ჩაუღლინა...პირში დაგუბებულმა ბოლმამ ყბები გაჰბერა და დუდუკის ვიწრო ყელიდან იწყო დენა წვეთ-წვეთად;

ღიღინებდნენ დუდუკები, ნაღვლიანად არხევდნენ ბგერებს, ზმუოდნენ, კვნესოდნენ, ჭირვეულობდნენ;

დუდუკებმა ისევ ტკბილად ჩაუღლინეს;

იქ იყო ტკბილი დუდუკების ჰანგები;

დუდუკებმა დაჰკრეს საარი და ამ მომაჯადოებელ ხმებზე დაიძრა ხალხი დანგრეულ სამრეკლოსაკენ.

სიმბოლოები ინგლისურენოვან რიტმულ პროზაში:

A few light taps upon the pane made him turn to the window. It had begun to snow again. He watched sleepily the flakes, silver and dark, falling obliquely against the lamplight. The time had come for him to set out on his journey westward. Yes, the newspapers were right: snow was general all over IreAnderson, It was falling on every part of the dark central plain, on the treeless hills, falling softly upon the Bog of Allen and, farther westward, softly falling into the dark mutinous Shannon waves. It was falling, too, upon every part of the lonely churchyard on the hill where Michael Furey lay buried. It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, on the spears of the little gate, on the barren thorns.

His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead” (Joyce, 1982:219).

„მსუბუქმა შრიალმა ფანჯრისკენ მიახედა. ისევ დაიწყო თოვა. თვლემამორეული გასცქეროდა ვერცხლისფერ და მუქ ფიფქებს, ცერად რომ მოფრინავდნენ ფარნის სინათელში. მასაც უწია დაღმა სვლის ჟამმა. დიახ, გაზეთები მართალს წერდნენ: მთელ ირლანდიაში თოვდა. თოვდა ჩაბნელებულ ცენტრალურ ვაკეზე, ათოვდა უტყეო ბორცვებს, თოვლი ლბილად ეფინებოდა ალენის ჭაობებს, უფრო შორს, დასავლეთით, მსუბუქად ეშვებოდა შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში. ათოვდა ეულ სასაფლაოს პატარა ბორცვზე, სადაც მაიკლ ფარეი განისვენებდა. თოვლი სქლად დასდებოდა წაფერდებულ ჯვრებსა და სამარის ქვებს, დაბალი ჭიშკრის ბოძებს, ეკლიან ბუჩქებს.

სმენას სწვდებოდა მსუბუქი ჩქამი და სული მისი ნელ-ნელა ინთქმებოდა თოვლის შრიალში. თოვლი ათოვდა მთელ დედამიწას, როგორც მოახლოება აღსასრულის ჟამისა; წყნარად ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალეზულთაც“ (ჯოისი,1984:205-206).

დანართი № 3.5. კოდა:

ტფილისი ხედავს: ათას თვალებში–თვალებს–ივერიის ქალწულის თვალებს. ხალასს და რასსაშეურველ. თვალებს: საცა მედიდურობა და დარცხვენა ერთი და იგივეა. თვალებს: რომლებშიც დაინახავ გაჩენის პირველ დღეებს. ხომალდი მაგრად შეჩერდება– ტფილისი უყურებს ივერიის ქალწულის თვალებს. საცაა–მზე ამოვა (რობაქიძე, 1989:225);

წმ. გრიგოლ ხანძთელის დროს ცხოვრობდა ვინმე ირუბაქიძე,სახელად რადამე. კაცი ახოვანი, ფიცხი, გადამლახველი. ცოლი ჰყვავდა ლამაზი. მტრები დაედევნენ ერთხელ. რადამე და მისი ცოლი ცხენებს მიჰქენებენ. ცოლი ორსული იყო. ველარ შესძლო ცხენის ჭენება. „მომკალ“. ეუბნება ვაჟს. „როგორ“ მიუგებს ქალს. „უკეთესია მოგვკვდე, ვიდრე მტრებს ხელში ჩავუვარდე“. -„მერე?! - „შენ გადარჩები“. ვაჟი ყოყმანობს. შორიდან მოისმის ცხენების თქარათქური. ვაჟი იძრობს ხანჯალს. ჩაჰკრავს. დაჭრილს მდინარეში გადაისვრის. ვაჟი გარბის. მტრები მისდევენ. ვაჟი გადარჩება. გაივლის ხანი. რადამეს მოახსენებენ: სასიკვდილო ჭრილობა არ ყოფილა: ცოლი გადაურჩენიათ მეთევზეთ. რადამე გახარებულია. გამართავს ლხინს სავი ზღვის პირას. ცოლი მოვა. დაინახავს თუ არა შორიდან - რადამე იკვირებს საშინლად (ხომ გაიმეტებს მაინც ერთხელ!). ბედისწერას გრძნობს. მოახტება თეთრ ტაიჭს. გააჭენებს, ცხენით მომავალ ცოლს ბეჭედს გადაუგდებს. ცოლი დაიჭერს. ქმარი ტაიჭს ზღვაში შეაგდებს: ინთქება. ცოლი ჯერ გაოცებულია. შემდეგ - თვითონაც გადაჰყვება...(რობაქიძე, 1989: 88);

ყოველ დილით მიწა რომ ინძრევა, სახლები რომ ზრიალებენ შიშით და სიყვარულით, ყველამ იცის, რომ ეს სიონის ზარია. ამ დროს მოხუცებული დედაკაცები პირჯვარს იწერენ. პირში შებრუნებულ ტუჩებით რაღაცას ჩიფჩიფებენ. დანაოჭებული სახეები ღვეთივით ფითრდებიან. უწყლო, დაობებული თვალებით ზეცისკენ იყურებიან, ლოცულობენ ამ მედგარ ხმებზე. შუა ზაზრის ხელოსნები კი სულ სხვაგვარად ხვდებიან ამ გუგუნს. გაიგონებენ თუ არა სიონის ზარის ხმას, მაშინვე შიშვლდებიან ჭაღარა თავები. პრილა შუბლები და ჭაღარა თმები ელავენ მზეზე. თვალებით ყურებს ისინჯავენ. დაწყებული საქმე უშეშდებათ ხელში. სხედან და ყურს უგდებენ. ამ დროს მოხუცებული სისხლი და კუნთები ახალგაზრდავდებიან. მაგრამ თავდება ზარის გუგუნი და მასთან ერთად თავდება მოხუცებულთა ცნობისმოყვარეობაც. ნასიამოვნები თვალები ხელახლად დაჰყურებენ საქმეს. ხელახლად დგება დღე მყუდრო შრომის, სიამოვნებისა და სიხარულის (კოტეტიშვილი. 2012:10);

პატარა ფიცრები ყრუ რახუნში ქრებოდა ეს ლეგენდა საუკუნო მყუდროების და მწვანელოვან ადგილების. მხოლოდ ამ ფიცრების ყრუ რახუნი და მსხვილი ბელტების

გრიალი იყო მართალი მთელ ამ საქმეში. ალბათ მხოლოდ დუდუკები გრძნობდნენ ამას, წაჩოქილები რომ ჩასტიროდნენ და ჩაკვნივსოდნენ ცხოვრებისაგან გატრიზავებულ მოქალაქეს. იქვე გალავანთან გაშლილი ღვინო და პური თითქოს ადასტურებდა ამ ჩაკვნივსების დედააზრს. აქვე საფლავთან ბევრი ღვინო დაილია, ბევრი სადღეგრძელო ითქვა, ბევრი იტირეს დუდუკებმა და კარგად რომ შემოლამდა მდუმარედ დაბრუნდნენ უკან. ყველაფერი იყო ამ მდუმარებამდე, სიხარულიც, სიყვარულიც, გესლიც და შხამიც ადამიანის ბედზე და უბედობაზე, რომელსაც თითქმის ყოველი მკვდარი აგონებს ცოცხალ ხალხს, მაგრამ მაინც გულქვა ცხოვრება იმ დღესვე ავიწყებს. ასეთინ იყო ამ ბედის თუ უბედობის მეტად მარტივი აჩრდილი იმ ღამეს, იმ პეტრე-პავლეს ძველ სასაფლაოზე (კოტეტიშვილი.2012:13);

კოდა ინგლისურენოვან მოძიებულ რიტმულ პროზაში:

And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world. Its vanished trees, the trees that had made way for Gatsby's house had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams; for a transitory enchanted moment man must have held his breath in the presence of this continent, compelled into an aesthetic contemplation he neither understood nor desired, face to face for the last time in history with something commensurate to his capacity for wonder (Fitzgerald,1984:129);

And there are still times when I creep up on him , surprise him on an autumn morning in New York or a spring night in Carolina when it is so quiet that you can hear a dog barking in the next county. But never again as during that all too short period when he and I were one person, when the fulfilled future and the wistful past were mingled in a single gorgeous moment- when life was literally a dream (Fitzgerald,1965:62);

დანართი № 3.6. ლექსიკური გამეორება:

ქალაქი: რომელიც პეტრე დიდის...გახელება მ ფინის ტბებიდან ამოტივტივა. ქალაქი: რომელიც დოსტოვესკის ეპილეფსიამ პოტმოსის კუნძულად გადმოანთხია. ქალაქი. ეს ქალაქი მას არაფერს ეუბნება (რობაქიძე, 1989:16);

მოაქვთ: ზოგს ხმალი. უთუოდ შაჰაბაზის.

ზოგს სპილენძის თასი სხვადასხვანაირი.

ზოგს სპარსული ფარჩა.

ზოგს სპარსული მინიატურა.

ზოგს ბეჭედი თვალისანი.

ზოგს თვითონ თვალი პატიოსანი.

ზურმუხტი. იაგუნდი. ლალი. ფირუზი.

ზოგს სპილოს ძვალი.

ზოგს ძველი ფული.

ზოგს მედალიონი.

და ასე: დაუსრულებელ (რობაქიძე, 1989:63);

მკერდის შუაგულზე მასაც ხალი ჰქონდა: მზის ნიშანი. ამბობდა: მისი გვარი მზის თესლისაა: მზესავით ცხელი-მზესავით ნათელი-მზესავით გახელებული-მზესავით მართალი (რობაქიძე, 1989:91);

შუბებს სურთ თითქო მზეს ესროლონ ვაჟი. ხმლები ელვარებენ მზეზე: მზეს ფიცულობენ (რობაქიძე, 1989:237);

ერთი ბაღი ეგულება. იქ წაიღებს ტანს: ტანს განძრევა უნდა. იქ გაახელს თვალებს: ცრემლებს გადმოშვება უნდა. იქ დაიჭერს პატარა ჩიტს: გულს მოფერება უნდა (რობაქიძე, 1989:110);

უნდა აიცრე ირანის მზე ტანზე...უნდა იხილო მზისგან ამწვარი ტიტველი კლდეები.. უნდა გაიგუდო მყუდროებით...უნდა გადახვიდე ყოფილში...მხოლოდ შემდეგ გაიგებ თარის ხმას (რობაქიძე, 1989:49);

ინგლისურენოვანი მაგალითები

He realised that she was dead, that she had ceased to exist, that she had become a memory...Now that she was gone he understood how lonely her life must have been, sitting night after night alone in that room. His life would be lonely too until he, too, died, ceased to exist, became a memory—if anyone remembered him (Joyce, 1982:129). „მარტოსული“-ს (lonely) გამეორებას ეხმიანება „მარტო“ (alone). ასევე ერთ და იმავე სუბიექტთან დაკავშირებული სამი ზმნა მეორდება ერთმანეთის მიყოლებით და იქვე შემდეგ წინადადებაში იგივე ზმნები მეორდება მეორე

სუბიექტთან: she was dead, that she had ceased to exist, that she had become a memory... until he, too, died, ceased to exist, became a memory.

The story of Doctor Reefy and his courtship of the tall dark girl who became his wife and left her money to him is a very curious story (Anderson,1981:33). ეპანალექსისის საინტერესო ნიმუში. წინადადება იწყება და მთავრდება ერთი და იმავე სიტყვით.

Little pyramids of truth he erected and after erecting knocked them down again that he might have the truths to erect other pyramids. ასევე საინტერესო მაგალითი ეპანალექსისის, როდესაც გამეორებული სიტყვები სხვაგვარი წყობით გვევლინებიან. ქემმარიტების კატარა პირამიდებს აგებდა ხოლმე და შემდეგ ანგრევდა, ისე რომ კვლავ ჰქონოდა ქემმარიტებანი სხვა პირამიდების ასაგებად.

No one had missed him. No one was looking for him (Beckett,1985: 1) ანაფორული გამეორება აქ და შემდეგ მაგალითებში:

Neither he nor she had had any such adventure before and neither was conscious of any incongruity(Joyce,1982:129).

The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach. (Joyce,1982:129).

Thirty-the promise of a decade of loneliness, a thinning list of single men to know, a thinning briefcase of enthusiasm, thinning hair (Fitzgerald,1984:100);

I was haunted always by my other life- my drab room in the Bronx, my square foot of the subway, my fixation upon the day's letter from Alabama-would it come and what would it say?- my shabby suits , my poverty, and love (Fitzgerald,1965:22); Not merely had she degraded herself; she had degraded him (Joyce,1982:128); ეპიფორული გამეორება.

He could hear nothing: the night was perfectly silent. He listened again: perfectly silent (Joyce,1982:129); კვლავ ეპიფორა.

გული მარტოა ყოველთვის. თუ სიყვარულით არის გამთბარი?! მაშინ გული შიშია მარტო: არ გასქდეს მეორე გული. თუ დაშორებულია ამ გულს?! მაშინ გული სევდაა მარტო...არჩიბალდ მეკეში ყაზვინის ბაზრის ფარდულებშია. გული კი-შორს. ფარდულებში ათი ათასი გულია: ათი ათასი სურვილით. ეს გული მათ არ ეკარება. (რობაქიძე, 1989:172);

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

On the papers were written thoughts, ends of thoughts, beginnings of thoughts (Anderson, 1981:34). პირველად იყო მხოლოდ „ფიქრები“ (thoughts), მას დაემატა „ ფიქრთა დასასრული“ (ends of thoughts) და „ფიქრთა დასაწყისი“ (beginnings of thoughts).

One by one the mind of Doctor Reefy had made the thoughts. Out of many of them he formed a truth that arose gigantic in his mind. The truth clouded the world. It became terrible and then faded away and the little thoughts began again (Anderson, 1981:34). the thoughts=> the little thoughts; a truth =>the truth.

Should she now move away into the east her shadow would go before. A long black shadow (Beckett,1965:1) her shadow => a long black shadow

It was falling on every part of the dark central plain, on the treeless hills, falling softly upon the Bog of Allen and, farther westward, softly falling into the dark mutinous Shannon waves. It was falling, too, upon every part of the lonely churchyard on the hill where Michael Furey lay buried...His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219). falling =>falling softly => softly falling =>falling=>falling faintly=> faintly falling ამგვარ გარემოებას შეიძლება სიტყვის გრადაციული გამეორება ეწოდის.

აქ არის გულის დაფერფვლა... აქ არის თვითონ გული: ამოვარდნილი და ცხელ ქვიშაზე სისხლად დაღვარული... აქ არის ნაღველი...მარტო ნაღველი...ყველაფერი ისვენებს...მხოლოდ გული არ ისვენებს. მაგრამ არის წამი: როცა ისიც ჩერდება ვით ჩიტი გაბრუებული (რობაქიძე, 1989:49); აქ არის-ანაფორა, ისვენებს/არ ისვენებს, ნაღველი-ეპიფორა, გული- ეპანალეპსისი. აქვე გვხვდება პერიფრაზაც: გული=>ისიც;

გულს დაუბრუნდება თავისას. ვინაა ეს გული?! ეგებ ისაა- ბაღში რომ იღვრება სისხლით?! აქაც კვნესა. აქაც ოხვრა. აქაც სლოკინი. რად იღვრება სისხლით?! რაღაც დაჰკარგა?! აღარ შეიძლება დაბრუნება?! აღარც ნახვა?! არაოდეს?! (რობაქიძე, 1989:110);

მდინარის პირას დიდი ვერხვია. მდინარეს ნაპირი მიუნგრევია და ხის ფესვები გაუტიტივლებია. ფესვებს ეხერგება ხერგი. ვერხვს ავიწყდება ფოთოლი. ავიწყდება ტოტი. ავიწყდება ტანი. ვერხვის გრძნობა ფესვებშია გადასული ერთიანად: ტიტველ ფესვებში (რობაქიძე, 1989:42).

დანართი № 3.7. გრადაცია:

საყვირთ ზახილი. დაბდაბთ, ნაღარათ გრიალ-ტკრციალი. სასახლის წინ ხალხი მრავალი. ელოდნენ მეფე-დედოფლის გამობრძანებას. ცხენოსანთ ჯგუფი წინამსვლელი სწრაფად დაიძრა. გაქუსლეს გზაგზა. სწმენდავდნენ სავალს, ხალხს არ ინდობდნენ. სცემდნენ მათრახით. ცხენის მკერდით მიაღვევდნენ გახირულ ჯელგებს. გარბოდა ხალხი, გზას უთმობდა, საფარს ეძებდა (ბარნოვი,1943:347);

ყოველ კუთხეში ყავახანა სავსე ხალხით. დათლილი თითები და კრიალოსნები-ქარვის და გიშერის. ყველგან ჰაშიში. მოსწევს ერთი და გადასცემს მეორეს მოსაწევ ტარს. მეორეც მოსწევს და გადასცემს მესამეს. მასამე მეოთხეს. მეოთხე მეხუთეს. მეხუთე მეექვსეს. მეექვსე მეშვიდეს. ასე: სანამ ტარი პირველს არ დაუბრუნდება. ამ რიგით ჰქმნიან მაგიურ რკალს (რობაქიძე,1989:12);

აჭრელებულ ზმანებას ხშირად პირი ეხსნება. იწყებს რომელიმე საგმირო ამბავის თხრობას: „წავიდა რუსტან დღესა ერთსა და მივიდა ზორაბთან“...მეორე აგრძელებს. მესამე საიდის მოიგონებს შაირით. მეოთხე შირაზის ვარდებს გადაჰვეს. მეხუთე ისპაჰანის ბულბულს ააფრენს. ამ რიგად: სანამ სიმთვრალე სიტყვას ემორჩილება. თუმცა მისი უხილავი მხეცი უკვე იმრიზება და იგრუზება (რობაქიძე,1989:13);

კოკისპირულათ დაუშვა. ჭექა, ქუხილი, ელვა, მეხი ერთმანეთში ირეოდა. გრიგალი ქარი დააფორიაქებდა წვიმას. ტბა ატორტმანდა. ღვარებმა თქრიალი დაიწყეს. ღელე აღრიალდა. მიწა იძრა. გუგუნის მოსმა ტბის სიღრმიდან. ტბა აიმღვრა; ძლიერი ტალღები ეცემოდნენ ერთი ნაპირიდან მეორეს (ლორთქიფანიძე,1958:223-224);

დანართი № 3.7. აღმავალი გრადაცია

1.ახალი ტვილისი ივსებოდა ქარხნებით, შუქით, ახალი ხალხით... შრომა როგორც ზეიმი. დასვენება კლუბებში. კლუბებში კიდევ ზეიმი. კინო. რადიო. სიმღერები. დაკვრითი ტემპები, სოციალისტური შეჯიბრი, გაუთავებელი იდუსტრიალიზაცია. 2. კიდევ ტემპები. გაგიჟება შრომით და შრომაში. დემონსტრაციები. წითელი დროშების ტყე. გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო. 3. აღმშენებლობა. გეგმები. აღმშენებლობის დაკვრითი გეგმები. ხუთწლიანი გეგმა ინდუსტრიალიზაციისა ოთხ წელიწადში. სამ წელიწადში. ორ წელიწადში... 4. წითელი ვარსკვლავები წითელ ქარხნებზე. წითელი ფერის საყვირები და გუგუნის. ..კიდევ წითელი ფერი, კიდევ კვილი წითელი საყვირების, მსოფლიო პროლეტარიატი და იმისი შტაბი წითელი კომინტერნი. 5. სოციალიზმი. სოციალიზმის ქარიშხლები, გაჩენა, აღზრდა, შრომა დაკვრითი წესებით, სიხარულით. სიკვდილი მაინც სიხარულით. 6. ახალი ადამიანი, რომელიც ავად აღარ უნდა გახდეს, აღარ უნდა დაბერდეს.

ადარ უნდა დაიტანჯოს. 7. სიამოვნებით სიცოცხლე, სიამოვნებით შრომა და სიკვდილი. ასე ბრძანებს პროლეტარიატი. სმენა! ხალხს ასე უნდა. ეს ასე იქნება! (კოტეტიშვილი,2012:11);

ლეიბი, საბანი, ბალიში და მუთაქა დაარღვია, მატყლი დაწეწა, ბამბა გაკენტა, შალითები, მითელი, სარჩული და საპირეები, საცვლები, თეთრეული, ხალათები დარეცხა, ზოგი გადააბრუნა, ზოგი გამოცვალა, გალამბა, დაავიროსტა, წინდები განემსა, შარვალი ჩაის წყლით გაწმინდა, წაღები სასწრაფოდ შეაკეთებინა, ქუდი და ნახმარი პალტო უყიდა, ყველაფერი ზოგი მსხვილი ტილოდან მუთაქისებურ ახლადშეკერილ აბგაში ჩააწყო, ზოგი ხის ზანდუკში ჩაალაგა და, როცა პარმენი აკადემიას მიადგა, იგი არ ჰგავდა გაჭირვებულს, უარარაო მოხეტიალეს, არამედ სასწავლებლად მოსულ ხელმოკლეს, მაგრამ სუფთა და ყოველივე საჭირო ნივთით უზრუნველყოფილ ახალგაზრდას (ლორთქიფანიძე,1958:265);

შემოდგომის დღე იყო წყნარი. ხილი მიღვევად მიმდგარიყო. ყურმენი დაეკრიფათ. ტყისნაყოფი ჯერ ისევ მწიფდა: პანტა, მაჟალო, შინდი, ხუთყურა. მთისკენ ვიდოდნენ ქადაგი და მის მოწაფენი. გასცდნენ ხიდს. არმაზის წყაროსაკენ ჰქმნეს პირი: მიზნადა ჰქონდათ, შეჰყოლოდნენ წავარნას და ასულიყვნენ იმ საღვთო ნამვთან, ქართველები წმიდად რომ ჰხადდნენ (ბარნოვი,1943:316)

ივსებოდა არმაზის მთა მლოცავთ სიმრავლით. დაჩარდახული ურმები, დაყაჯრული ცხენები, კარავთ ნაირობა. ყვავილებად რთული ქალ-რძალი. ხმაურობა უწყნარებელი. შეუწყვეტლად მოდიოდნენ ახლოველნი თუ შორეულნი.

დღესასწაული თან აღებ-მიცემის ადგილი იყო. გასასყიდად გამოეტანათ ჭრელჭრელი ქსოვილები, თავსაბური, ფეხსამოსი სხვადასხვაგვარი, სამკაული თუ იარაღი, საციქველი. სანოვაგე გორებად იდგა. ხვადაგი ნახირნახირი, ფარები ცხვრისა. დაკმაყოფილება უნდოდა მოზღვავებულ ხალხს. ხმაურობდნენ, ევაჭრებოდნენ, ყიდულობდნენ, ხანხან ჩხუბობდნენ. ვაჭრობა უფრო გაცვლა-გამოცვლით სწარმოებდა. უფარდებდნენ საქონელს, წილსა ჰყრიდნენ, სწონავდნენ, სწყავდნენ. ფულიცა სჩანდა: ქართული თეთრი, ოქრო სპარსული, ბიზანტიური; სკვითური თუ ხაზარული ბეწვეული ფულის სადარი (ბარნოვი, 1943:344); ამ შემთხვევაში როტმულობის ექსპრესია მატულობს ფუძე-გაორკეცებული და შედგენილი სიტყვებით: ჭრელჭრელი, ნახირნახირი, ხანხან, გაცვლა-გამოცვლით, ქალ-რძალი.

თხემიდან მხტვარი დაჰყურებდა მიდამოს. გაღმა ნაპირზე მთა პირდაპირ ეშვებოდა. აქა-იქ კლდეებში ბუმბერაზ ხეებს ადგილი ეშოვათ და ცალ-ცალკე მოსახლეებივით გაბაღრულიყვნენ. მხატვრის ირგვლივ, როცა ფრინველი ფრთას-ფრთას შემოკრავდა, ცვარი ობოლ მარგალიტივით სცვიოდა. სრულიად მოწმენდილ ცას მთას იქით მიმალული მზის სხივები სერავდნენ. ტბის იხვები შორს დასცურავდნენ (ლორთქიფანიძე,1958:222);

ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ჯვარი და გადასტყორცნა. მოექდო ჭაბუკს. გაიჟრჯოლა ამზაილმა ქალის მკლავებში და გაითანგა. დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს, დააკლა თავი (ბარნოვი,1943:353);

გრადაცია- ინგლისურენოვანი ნიმუშები:

1.And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually (2) I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—(3) a fresh, green breast of the new world. Its vanished trees,(4) the trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams; (5) for a transitory enchanted moment man must have held his breath in the presence of this continent, (6) compelled into an aesthetic contemplation he neither understood nor desired, (7) face to face for the last time in history with something commensurate to his capacity for wonder (Fitzgerald,1984:129);

As I hovered ghost-like in the Plaza Red Room of a Saturday afternoon, or went to lush and liquid garden parties in the East Sixties or tumbled with Princetonians in the Biltmore bar, I was haunted always by my other life- my drab room in the Bronx, my square foot of the subway, my fixation upon the day's letter from Alabama-would it come and what would it say?- my shabby suits , my poverty, and love (Fitzgerald,1965:22);

He walked through the bleak alleys where they had walked four years before. She seemed to be near him in the darkness. At moments he seemed to feel her voice touch his ear, her hand touch his. He stood still to listen. Why had he withheld life from her? Why had he sentenced her to death? He felt his moral nature falling to pieces. When he gained the crest of the Magazine Hill he halted and looked along the river towards Dublin, the lights of which burned redly and hospitably in the cold night. He looked down the slope and, at the base, in the shadow of the wall of the Park, he saw some human figures lying. Those venal and furtive loves filled him with despair. He gnawed the rectitude of his life; he felt that he had been outcast from life's feast. One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: he had sentenced her to ignominy, a death of shame. He knew that the prostrate creatures down by the wall were watching him and wished him gone. No one wanted him; he was outcast from life's feast (Joyce,1982:129).

He turned back the way he had come, the rhythm of the engine pounding in his ears. He began to doubt the reality of what memory told him. He halted under a tree and allowed the rhythm to die away. He could not feel her near him in the darkness nor her voice touch his ear. He waited for some minutes listening. He could hear nothing: the night was perfectly silent. He listened again: perfectly silent. He felt that he was alone (Joyce,1982:129).

All is silent from now on. For as long as she cannot move. The sun disappears at last and with it all shadow. All shadow here. Slow fade of afterglow. Night without moon or stars. All that seems to hang together. But no more about it (Beckett,1985:1);

The condition that had brought her to him passed in an illness, but she was like one who has discovered the sweetness of the twisted apples, she could not get her mind fixed again upon the round perfect fruit that is eaten in the city apartments. In the fall after the beginning of her acquaintanceship with him she married Doctor Reefy and in the following spring she died. During the winter he read to her all of the odds and ends of thoughts he had scribbled on the bits of paper. After he had read them he laughed and stuffed them away in his pockets to become round hard balls (Anderson,1981:36).

დანართი № 3.8. სინონიმია:

ხომალდი იდგა მორთული და მოკაზმული პირადპირადად (ბარ. 1943:265); დიდი მოძრაობა იყო ახალ სასახლეში: ლაშქრის სარდალნი, თემთ თუ ხალხთა წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი, მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი, ქურუმნი (ბარნოვი,1943:265); ვარსკვლავთ მრიცხველნი =მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი =ქურუმნი; გამოშრა მიწა, გახმა,დაიშაშრა, დასქდა (ბარნოვი,1943:342) გამოშრა =გახმა, დაიშაშრა =დასქდა.

უფარდებდნენ საქონელს, წილსა ჰყრიდნენ, სწონვიდნენ, სწყავდნენ (ბარნოვი,1943:344) და დაანარცხა ტრაპეზის ქვას, დაანაჭუჭა (ბარნოვი,1943:352);

ინგლისური მაგალითები:

She washed her comb and brush (Saling. 1982:27);

Night without moon or stars (Beckett,1985:1);

The night was cold and gloomy (Joyce,1982: 129);

He had neither companions nor friends, church nor creed (Joyce,1982:122);

Buttons of all shapes and sizes (Beckett,1985:1);

Those venal and furtive loves filled him with despair (Joyce,1982: 129);

He would cast about in his mind for some words that might console her, and would find only lame and useless ones (Joyce,1982: 218);

His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219);

დუქნები. ფარდულები. ..უთვალავი ქსოვილი. ფარჩეული. აბრეშუმეული. ქაშემირი. ... ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები. ...ნოხები...ხალები. ... ფარდაგები. ფლასები. ჭილობები (რობაქიძე,1989:13);

მოხაზულები და მოხატულები. არშიები. თასმები. გრეხილები. ზორტები. სირმები (რობაქიძე,1989:54);

სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია (გამსახურდია, 1959:13);

ჭექა, ქუხილი, ელვა, მეხი ერთმანეთში ირეოდა (ლორთქიფანიძე,1958:223);

სასვენებელი ლტოლვილთა და გადახვეწილთა და მუდამ მავალთა (რონაქ.1989:120);

დანართი № 3.8. სინონიმია-საერთო მსაზღვრელი სიტყვა:

რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214);

რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა! (ლორთქიფანიძე,1992.123);

რომელი საქმრო კიდევ?! ყველა ყალბი?! ყველა ცრუ?! ეგებ თვითონ არის ყალბი!? ეგებ თვითონ არის ცრუ!? (რობაქიძე,1989:220

ბეხან აღარ ბღავის. ბეხან აღარ ღმუის. ბეხან არც ტირის (რობაქიძე,1989:132); აღარც წყევა. აღარც კრულვა. აღარც შურვა. აღარც ნდომა (რობაქიძე,1989:265);

ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ახალ წესწყობილებას;

ჩვენს დარდას და ჩვენს გულის ჭირს.; ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს ; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები,...(გამსახურდია,1959:7);

ინგლისურენოვანი ნიმუშები:

Why had he withheld life from her? Why had he sentenced her to death? (Joyce,1982:129);

რატომ გაიმეტა ქალი სასიკვდილოდ? რატომ მიუსაჯა სიკვდილი?

He realised that she was dead, that she had ceased to exist, that she had become a memory. (Joyce,1982:128); მან გაიაზრა, რომ ქალი მკვდარი იყო, რომ მას არსებობა შეეწყვიტა, რომ ის მოგონებად ქცეულიყო.

The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach (Joyce,1982:127);

დანართი №3.8. სინონიმია-მორფოლოგიურად ერთნაირად გაფორმებული წყვილები:

ასე მოგზაურობდენ ძველად ჰებრაელთა ტომები: ხალხი: უსახლლ-უკარლ-ულოგინლ (რობაქიძე,1989:119);

ნიადაგს ვერმითვისებული თუ ვერშეთვისებული (რობაქიძე,1989:120);

საწნეხელიდან მოსჩანს ვაზნარი დაზნექილ და დაფენილ სერზე (რობაქიძე, 1989:138);

აღნახული და არგაგონილი კარნავალები მუშათა ახალგაზრდობის (კოტეტიშვილი. 2012:11);

გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრლ და უნაპირლ (კოტეტიშვილი. 2012: 11);

გაბერილი და გაბუჟებული სხეული მთლად უკანკალებდა (კოტეტიშვილი.2012:10);

გაწოლილნი და გადაზნექილნი, როგორც უზარმაზარ მამონტების უზარმაზარნი ხერხემალნი (რობაქიძე,1989:127);

ცა: თითქო ინდოეთის ზურმუხტის მანძილი: უკიდლ: უბოლოვლ (რობაქიძე,1989:42);

გოგო მიჰყვება: აწითლული და ალექილი (რობაქიძე,1989:243);

ქალაქი ხომალდი ამრეზილია და აღრენილი (რობაქიძე,1989:18);

ყოფა სადღაც გადასხმული თუ გადაღვენთილი (რობაქიძე,1989:75);

ინგლისური ნიმუშები:

When he gained the crest of the Magazine Hill he halted and looked along the river towards Dublin, the lights of which burned redly and hospitably in the cold night (Joyce,1982:129);

The blinds would be drawn down and Aunt Kate would be sitting beside him, crying and blowing her nose and telling him how Julia had died (Joyce,1982:218);

His own identity was fading out into a grey impalpable world: the solid world itself, which these dead had one time reared and lived in, was dissolving and dwindling (Joyce,1982:219);

I spent my Saturday nights in New York because those gleaming, dazzling parties of his were with me so vividly that I could still hear the music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going up and down his drive (Fitzgerald,1984:129).

დანართი №3.8. სინონიმია- კონტექსტუალური სინონიმები:

ნაპრალში შხუის, სჩქეფს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958:212)

„უყურებს საღი, ძლიერი, ჯანმრთელი მწყემსი ჩამავალ მზეეს; ისმენს ჟღურტულს ჩიტებისას; შეხარის გამამდარს, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება გაიშხლართოს ღრმა , მშვიდი ძილისთვის“ (ლორთქიფანიძე,1958:212);

კარგად დაქანცული და გაოფლიანებული მიადგა სამრეკლოს კარებს, ბარგი ძირს დადო და კარები გააღო (კოტეტიშვილი.2012:14);

ჭიქას წამოავლო აკაკნკალეხული ხელი, ნერწყვი ხმამალა გადაყლაპა და დაიძახა გამშრალი, ჩაგლეჯილი ხმით (კოტეტიშვილი.2012:8);

შლიდა და ანგრევდა კაცს შიგნიდან (კოტეტიშვილი.2012:16);

მაგრამ შხამი კი, მაგრამ მალამო კი უცვლელად, შეუსუტებლად დარჩება (ლორთქიფანიძე,1992:110);

მიყრილ-მოყრილი პაპიროსის ნამწვები და ფერფლი (ლორთქიფანიძე,1992:118);

მერე მოისმის ფეხის ხმა, გამხმარი შტოების მტვრევა და ტვრციალი (გამსახურდია,1959:11); ტლუ, უხეში ცხერის მწყემსი (ლორთქიფანიძე,1992:123) ;

წყალი ანკარაა და გრილი (რობაქიძე,1989:139);

რასსა შეურეველი და ხალასი (რობაქიძე,1989:214);

ყოველი ქვა ტამარის ქალწულია თვითონ: ნელი-ლბილი-ნაზი-თვინიერი (რობაქიძე,1989:214);

ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214);

იგი ყვავილის ყელივით ნაზია და სიფრიფანა (გამსახურდია,1959:27);

კარგად დაღალულმა და გაოფლიანებულმა მიირბინა გოჩმანამ სიონთან (კოტეტიშვილი.2012:9);

მიდიოდა გოჩმანა მთლად დაბერტყილი და გატრიზავებული, ჩათუთქული (კოტეტიშვილი.2012:10);

ასე დაღონებული და მოშხამული შევიდა თავის სახლში (კოტეტიშვილი.2012:10);

ყველაფერი სუსტი, ბებერი და უნიათო დაიმსხვრა ამ ბრუნვაში (კოტეტიშვილი.2012:11);

გამხმარი, ბებერი ხეები ამ ქუჩებში (კოტეტიშვილი.2012:11);

თავისებური და საკვირველია ეს ბრძოლა (კოტეტიშვილი.2012:12);

ყველაფერი ბებერი და დრომოჭმული (კოტეტიშვილი.2012:11);

ვიწრო და შეკუმშული ფილტვების ხიხინი გამხმარ ყელში. ყელზე დაკეცილი და დანაოჭებული ტყავები (კოტეტიშვილი.2012:12);

„იქ, კი, ჩემო შვილო, მხოლოდ ცხონება არის გლახაკთა, დავრდომილთა და უძლურთა“;
(კოტეტიშვილი.2012:11);

მის ნაცვლად სუფრაზე ვხედავ ტლანქ, უხემ, ევროპულ ფაბრიკაციის ჩაის ჭურჭელს
(გამსახურდია,1959:27);

არის ამ გრიალში რაღაც უცნაური სათავადე: ზვიადი-ქედმაღალი-უტეხი (რობაქიძე,1989:14);

ითრევს გულს სადღაც შორს: ზმანებულში თუ მოჯადოებულში (რობაქიძე,1989:49);

ხალხი: უცხო ცეცხლით ამწვარი: მოუსვენარი და დაუდეგარი (რობაქიძე,1989:120);

ინგლისურენოვანი მაგალითები:

He was conscious of, but could not apprehend, their wayward and flickering existence
(Joyce,1982:219);

The quiet lights in the houses were humming out into the darkness and there was a stir and bustle
among the stars (Fitzgerald,1984:84)

When he gained the crest of the Magazine Hill he halted and looked along the river towards Dublin,
the lights of which burned redly and hospitably in the cold night (Joyce,1982:129);

The blinds would be drawn down and Aunt Kate would be sitting beside him, crying and blowing
her nose and telling him how Julia had died (Joyce,1982:219);

He would cast about in his mind for some words that might console her, and would find only lame
and useless ones (Joyce, 1982:218);

They have been put in barrels and shipped to the cities where they will be eaten in apartments that
are filled with books, magazines, furniture, and people (Anderson,1981:34);

And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became
aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the
new world (Fitzgerald,1984:129);

...later I realized that behind much of the entertainment that the city poured into the nation there
were only a lot of rather lost and lonely people (Fitzgerald,1965:25);

I see it as a night scene by El Greco: a hundred houses, at once conventional and grotesque, crouching
under a sullen, overhanging sky and a lustreless moon (Fitzgerald,1984:126);

My own happiness in the past often approached such an ecstasy that I could not share it even with
the person dearest to me but had to walk it away in quiet streets and lanes (Fitzgerald,1965:55);

დანართი № 3.8. სინონიმია: ტოლად-შერწყმული სინონიმები:

მაშ რისთვის არის მოწყენილ-გაჩუმებული ყოფილი ენა-ტკბილ მოუბარი, მომდერალ-
მოცეკვავე? (ლორთქიფანიძე,1958:95);

ეყუჩა მტკვარსაც: მწყობრად მიაგელვებდა ტალღებს ტალღებზედ ხტომა-სირბილით
მუხლმოდებული (ბარნოვი,1943:262);

დავკრძალოთ იქვე წიგნთა სიმრავლე: ძველნი ეტრატნი; ფირფიტებზედ ნაწერ-ნახატნი;
ნებროთის წიგნნი (ბარნოვი,1943:340);

დაბდაბთ, ნალარათ გრიალ-ტვრციალი (ბარნოვი,1943:347);

მწვანით მოსილი მთა-გორაკები (ლორთქიფანიძე,1958:212);

stir and bustle - ფუსფუსი და ფორიაქი -The quiet lights in the houses were humming out into the
darkness and there was a stir and bustle among the stars (Fitzgerald,1984: 84);

fade and wither- ჭკნობა და ხმოზა - Better pass boldly into that other world, in the full glory of
some passion, than fade and wither dismally with age (Joyce,1982:219);

dissolving and dwindling- დაშლა და გალევა- His own identity was fading out into a grey
impalpable world: the solid world itself, which these dead had one time reared and lived in, was
dissolving and dwindling (Joyce,1982:219);

gleaming, dazzling -მოკაშკაშე, თვალისმომჭრელი - I spent my Saturday nights in New York
because those gleaming, dazzling parties of his were with me so vividly that I could still hear the
music and the laughter, faint and incessant, from his garden and the cars going up and down his
drive (Fitzgerald,1984:129);

trivial and tinkling-უფერული და არამელოდიური - A band started to play on deck, but the
majesty of the city made the march trivial and tinkling (Fitzgerald,1965:27);

დანართი № 3.9. არქაიზმები:

ტაიჭნი ძვირფასად იყვნენ შეკაზმულნი, სხვადასხვა ფერად (ბარნოვი, 1943:235);
დედის სიტყვაზედ ქალს ყაყაჩო აუყვავდა მწყაზარ ღაწვებზე (ბარნოვი, 1943:250);
თავს ევლებოდნენ ღრუბელთ დასები (ბარნოვი, 1943:262);
ტილოს კვართი უსახელო, შალის ვარმანდი, შალისავე თავსარქმელი კალთებიანი, ხამლები
ფეხზედ (ბარნოვი, 1943:265);
მყის განსჭვრეტდა საიდუმლოს, ყოველს დაფარულს განაცხადებდა (ბარნოვი, 1943:308);
დავკრძალოთ იქვე წიგნთა სიმრავლე (ბარნოვი, 1943:340);
მრავალთათვის აღსრულების ჟამი დგებოდა (ბარნოვი, 1943:343);
თეთრივ სარტყელი თითქმის მკერდზედ მარგალიტად უხვად ფრქვეული. მას ზევიდან
მუხლებამდინ სამოსელი ფირუზის ფერი (ბარნოვი, 1943:346);
ქურუმნი ბაბეგს ხელს აღუპყრობდნენ, სვლას უმტკიცებდნენ (ბარნოვი, 1943:347);
ჟამითიჟამად შეირხეოდა, ჟღრიალებდა ეჟვანმრავალი (ბარნოვი, 1943:347);
მთავარქურუმი შედგა ისევ ტრაპეზის წინა, დაამწყალობა მლოცავები და მიუპყრა მეფე-
დედოფალს ტაკუკით ღვინო (ბარნოვი, 1943:235);
ცა იმტვრეოდა შესაზარის ხმით. ეღვრებოდა დედამიწას ზეშთა წყალი ყინვის ლოდებად.
(ბარნოვი, 1943:235);
ქიმერების თავები ირხევიან როგორც შექანებულნი თაველნი (რობაქიძე, 1989:57);
არ არის ხალხის დაურევბა უძლიერესი ორმოცი წლის უდაბნოში ხეტიალისა
(რობაქიძე, 1989:87).

დანართი № 3.10. დიალექტიზმები:

- წელს ციცქამ უფრო ივარგა. აბა ნახე...
- კრახუნა რას შობა?! (რობაქიძე, 1989:139);
- საფერე რას გიშობა?!
- კვიმატიანია...ამ ადგილს არავინ ეკარება (რობაქიძე, 1989:154);
- წელს კიდო არ არი კარქი (რობაქიძე,1989:168);
- გული რაცხას მეუბნება (რობაქიძე,1989:170);
- დარჩით კიდო ერთი დღე (რობაქიძე,1989:171);
- რაა შე უბედურო სულ რომ ჭამ?! (რობაქიძე,1989:280);
- ი კაცი ვინ არი ნეტა?! (რობაქიძე,1989:280);
- ვინაა ნეტა ი კაცი?!(რობაქიძე,1989:280).

„არა, აქ რაღაც ისე ვერ არის, აქ რაღაც სხვა რამეა, თორემ ამოდენა კაცს ისე პატარა სეფისკვერს როგორ შემომბედავდნენ. აქ ვიღაც მასხრად გიგდებს, გოჩმან, მაშ“
(კოტეტიშვილი. 2012:10);

„როგორ, ამოდონა საქმე გამაკეთებინეს და ერთი პატარა ნაჭერი სეფისკვერი მომცეს? მერე ის გამაძლობდა ამოდენა კაცს? არა, არა, ფრთხილად უნდა იყვე, გოჩმან, ფრთხილად“
(კოტეტიშვილი. 2012:10);

„ძმებოჯან! ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენ ძმა გოჩმანასა, რომელიცა რომა პირნათლად ემსახურა სიონის ზარს და რომელიცა რომა დღეს დაქვრივდა!“ (კოტეტიშვილი.2012:16);

„ძმებოჯან! მაშ ეს არის სამართალი? ეს არის კანონი, რომ სამრეკლოდან ზარი ჩამოხსნა, სამრეკლო დაანგრიო, ზარი გადმოაგდო, წაიღო და დაწვა? ოი, დადადადა!“
(კოტეტიშვილი.2012:16):

„ოჰო! ცხოვრება!“ (კოტეტიშვილი.2012:8);

„ძმებოჯან! ეს ღმერთმა გაუმარჯოს იმ ყისმათს, რომელი ყისმათიც რომა კაცს არ დაკარგავს. ...ძნელი ყოფილა ძმებოჯან ყისმათის აცდენა. რომელი ყისმათიც რომა კაცს ასცდება. მაგრამ ყისმათის პოვნას სულ მუდამ გაუკეთებია კაცი. გაუმარჯოს გოჩმანას და იმის ყისმათს!“
(კოტეტიშვილი. 2012:8);

„ძმებოჯან! ვისაც რომა გაუგია ადამიანი, ეს ადამიანი ორგვარია. ზოგი ჯეჰელობაში ჭკვიანათ არის და სიბერეში სულელდება...ჩვენი გოჩმანაც ასე იყო. მესამოცე წელიწადს რომა კაცი დაჭკვიანდება, ის ყველაზე ჭკვიანია“ (კოტეტიშვილი.2012:8).

დანართი № 3.11. უცხოენოვანი სიტყვები:

ძველი რასის ნამდვილი ნიშანი (რობაქიძე, 1989:11);

რასა შეურეველი და ხალასი (რობაქიძე, 1989:214);

ვაჟი აქეთ-იქით იხედება: არავინაა- (ევროპიელს ემინია სხვისი თვალის) (რობაქიძე, 1989:157);

არ არის წინახილვა უუშურდულესი მესიის აღთქმისა (რობაქიძე, 1989:87);

დასავლეთის ქარმა მიაგდო იგი აღმოსავლისაკენ თუ აღმოსავლის ქარმა დასავლისაკენ - ტფილისმა არ იცის (რობაქიძე, 1989:219);

ასსურეთი ახრჩობს ირანის ლომს (Assyria, Aššur) (რობაქიძე,1989:217);

სპლინმორეული მეეზოვე ვარსკვლავებს ითვლის (რობაქიძე,1989:216);

არის რაღაც საიდუმლო ჰებრაელის გამოხედვაში (რობაქიძე,1989:11);

დანართი № 4.1. თარგმანში გამოვლენილი მსგავსებები და განსხვავებები:

მზე მაგრად აცხუნებს. გვერდით ცხენი გარინდულა (რობაქიძე,1989:18);

The sun is scorching. Nearby the horse is dozing; ალიტერაცია [s] კონსონანსი [r];

ასტრალური ლანდები გალურსულნი და თვალეზდანილულნი (რობაქიძე,1989:119).

Astral shadows, silent and with misty sleepy eyes. ორიგინალის ალიტერაცია შენარჩუნდა სხვა

ბგერების [s] [l] ალიტერაციით, გაჩნდა [st] კონსონანსი, დიფთონგ [ai] ასონანსი.

ჟამითიჟამად შეირხეოდა, ჟღერიალებდა ეჟვანმრავალი (ბარნოვი,1943:347);

From time to time it would shake itself, jingling with bells galore. ფუძეგაორკეცებით მიღებული ალიტერაცია და რიტმი ფრაზული ერთეულისა (ჟამითიჟამად) თარგმანშიც გადმოვიდა (From time to time), ასევე გვაქვს [l] ალიტერაცია.

აქ ნახა უკანასკნელად ირანის ჯეირანი - ირაჰშანდა (რობაქიძე,1989: 112);

Here he saw last the gazelle of Iran, Irahshanda. თარგმანში შენარჩუნდა [a] ხმოვნის ასონანსი და [ira] კომპლექსის გამეორება. გვაქვს განსხვავებული ალიტერაციაც [s].

ფარდულეებში ფარჩასა და აბრეშუმს ჰყიდიან (რობაქიძე,1989:133);

They are selling brocade and silk in the stalls. გვაქვს [s] ბგერის ალიტერაცია და [ი] ხმოვნის ასონანსი.

ისმის სპარსული ბაასი (რობაქიძე,1989:171);

The conversation in Persian is heard. მდიდარი ასონანსური და ალიტერაციული ორიგინალიდან თარგმანში სახეზეა მხოლოდ კომპლექს [ʃən] გამეორება.

ქალაქი მაინც ქანაობს (რობაქიძე,1989:219);

The city is still swinging. [s] ბგერის ალიტერაცია, [i] ხმოვნის ასონანსი.

რაც არასდროს, არსად ჯერ არ მომხდარიყო (კოტეტიშვილი.2012:11);

That had never, nowhere happened yet. ბგერა[ðæt - hæd -hæp] ასონანსი, [n] ბგერის ალიტერაცია.

ჩრდილების ჩურჩული და ჩრდილების ლოცვალა დარჩა ძველ ტიფლისში (კოტეტიშვილი. 2012:12);

Only the whisperings of the shadows and the prayers of the shadows were left in old Tiflis. ორიგინალის მდიდარი ალიტერაციული ჟღერადობის ნაცვლად დარჩა [l] ბგერის გამეორება და მრავლობითი რიცხვის სუფიქსით გაფორმებული ზედიზედ ოთხი არსებითი სახელით შექმნილი რიგი.

აცნობეს ნინოს, დედოფალი მობრძანდებო (ბარნოვი, 1943:303);

Nino was informed that the queen was coming. წინადადების რიტმულობა გარკვეულ დონეზე შენარჩუნებულია მსგავსი ფონეტიკური ჟღერადობის კომპლექსების [nino-info] შინაგანი რითმით.

თავადადებული მონადირე იყო როსტომ მეფე, ამაშიაც მას ემსგავსებო მემკვიდრე (გამსახურდია, 1959:126);

King Rostom was known as a fervent hunter and it was hoped his heir would take after his father. როგორც წინა წინადადებაში, ასევე აქაც რიტმულობის კომპენსაცია ხდება ისევ ალიტერაციით: [h][f] და მსგავსი ჟღერადობის სიტყვების შინაგანი რითმით: fervent hunter, ორივეში არის სონორანტი [r] [n] ბგერები.

დანართი №4.2. თარგმანი- მორფოლოგიურად ერთნაირად გაფორმებული წყვილი:

უცაბედი გამოხედვა-და თვალები: ფართონი დიდრონი ნუშისებრ მოხაზულნი. (რობაქიძე, 1989:14)

A sudden glance and the eyes: wide, big, almond-shaped. ასონანსის საშუალებით [a] [ai], კონსონანსი [d].

ასტრალური ლანდები გალურსულნი და თვალებდანისლულნი (რობაქიძე,1989:119);

Astral shadows, silent and with misty sleepy eyes. ბგერების [s] [l] ალიტერაცია, [st] კონსონანსი, [ai] ასონანსი.

არნახული და არგაგონილი კარნავალები (კოტეტიშვილი. 2012:11);

Unseen and unheard carnivals.

გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო (კოტეტიშვილი. 2012:11);

The flow of the rejoicing people, boundless and limitless;

არეულია. ამრეზილი. აღრენილი (რობაქიძე,1989:18);

He is unsettled, unfriendly, unhappy. ბზრიალით, წრიალით, რიალით აფრინდნენ ჰაერში (გამსახურდია,1959:9);

Spining, rotating, shivering they flew into the air; ფერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება რუ (ლორთქიფანიძე, 1958: 212);

Down on the slope, in the grass roots is running the brook. [r] [s] .

ასე დაღონებული და მოშხამული შევიდა თავის სახლში (კოტეტიშვილი.2012:10);

Thus saddened and embittered he entered his house. ზმნისწინებით გაფორმებული მიმღეობები გადაითარგმნა ზედსართავებიდან სუფიქსით [en] და პრეფიქსით [em] ნაწარმეობი წარსული დროის მიმღეობებით.

სასვენებელი ლტოლვილთა და გადახვეწილთა და მუდამ მავალთა (რობაქიძე,1989:120);

The sanctuary of refugees and fugitives and eternal wanderers; [s] [r] [j] [dʒ] [t] [i].

ვერავინ და ვერაფერი ვერ აკავებდა უცნაურ ხალხს ერთ ადგილზე (რობაქიძე,1989:120);

Nobody and nothing could make these strange people stay in one place. ერთგვარი უარყოფითი პრეფიქსი წარმატებით გადაითარგმნა, ხოლო ორიგინალის [ა] ხმოვნის ასონანსი ჩაანაცვლა [ei] ასონანსმა და [st] კონსონანსმა.

დანართი № 4.3.თარგმანი:სიტყვათა თავისუფალი ფორმაცვალეზობა:

მოზრდილი ადგილი ტოტთა კარავ ქვეშ (ბარნოვი,1943:303); A large place below the shadow of the branches. თარგმანში რიტმულობას ამყარებს [l] ბგერის ალიტერაცია და [ou] დიფთონგის ასონანსი.

ამზაილი უმადოდ სჩანდა: ახლიჩა ლუკმა, მწარე ეჭვენა მგზარი საჭმელი (ბარნოვი,1943:327); Amzail seemed not to have an appetite; he ate a bit though, but delicious dish did taste bitter for him. ორიგინალის რიტმულობა შენარჩუნდა თარგმანში [ai] ასონანსით და [d][t] ბგერების ალიტერაციით.

ყვავილები გარდემალათ ახალნორჩ გულში (ბარნოვი,1943:347);

The flowers blossomed in their young hearts. თარგმანში რიტმულობის ექსპრესია ალიტერაციამ გამოხატა [l] .

გაიწევ უნებურ ლამაზისაკენ და ჩვენება ჰქრება სიზმარივით სადღაც ბრბოს ხრიალში (რობაქიძე, 1989:14);

You move unthinkingly towards a beauty and the vision vanishes like a dream amidst the clamour of the crowd. თარგმანში გვაქვს ალიტერაცია [v] [n] [d] [k].

არავითარი კაზმულობა გარეგან. (რობაქიძე,1989:59);

No outer adornment whatsoever. რიტმულობა იქმნება ასონანსის [ou] წყალობით და [t] ბგერის კონსონანსით.

მთვარე ჰფენს ბადეთა ჰვირვალ ქსელებს...(რობაქიძე, 1989:49);

The moon is spreading the transparent nets of cobwebs. ასონანსი [æ] [e] და ალიტერაცია/კონსონანსი [n] [t][sp] ქმნის რიტმულობას.

ოდნავ პირახდა თითქო უნებლიე–და სახე: რბილი მარმარი რომელსაც ძვალის ფერი გადაჰკრავს (რობაქიძე,1989:14);

The slight unveiling as if at random and there you glimpse of the face – a piece of soft marble with the hint of ebony. თარგმანში გვაქვს [ei] ასონანსი, [s] ალიტერაცია და [glimps-pi:s].

დანართი № 4.4. პარონომასია:

ძალა შესწევდა ქადაგის ქადილს (ბარნოვი,143:311);

The preachings of the preacher were influential.

ძულვითა სძულდათ დასავლეთი, სად მფლობელობდა რომი უძღვები (ბარნოვი,143:338);

They hated the West where Rome, the ravenous ruled with the real hatred.

იყო იმათ შორის უსიტყვო სიტყვა სიყვარულისა (ბარნოვი,143:326);

There spoke a wordless speech of love between them. თარგმანში ზუსტად ვერ გადავიდა უსიტყვო სიტყვა მაგრამ ნაცვლად გაჩნდა ახალი პარონომასიული წყვილი ინგლისურენოვან წინადადებაში. spoke და speech-ს საერთო ფუძე აქვთ.

სასიკეთოდ ირჩეოდა განზრახ რჩეულ რაინდთა ჯგუფში (ბარნოვი,143:242);

He was favorably distinct even in the group of distinguished knights.

ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით (ბარნოვი,1943:353);

The woman looked at Nino the preacher with a hard look.

ყვავილებად რთული ქალ-რძალი (ბარნოვი,1943:344);

Festively adorned young women of the families, looking like flowers. აქაც შენარჩუნდა სინტაქსური სტრუქტურა და ალიტერაცია/ კონსონანსი.

დანართი № 4.5. სახელდებითი წინადადებები:

ნაცრისფერი კედლები; მიულაგებელი მაგიდა (ლორთქიფანიძე,1992:118);

The gray walls, the untidy table; [ei].

შეშინებული სახლები. სახლებზე ჩიტებივით შეფრენილი აივნები. მზისგან დამწვარი მოაჯირები (კოტეტიშვილი.2012:11);

Frightened houses. Balconies, perched like birds on these houses. The balcony railings burnt by the sun.

დანართი № 4.6. თარგმანი-ინვერსიული წყობის შენარჩუნება:

ემზადებოდა კეისარი ლაშქარში წასასვლელად (ბარნოვი, 1943:265);

In preparation to join the army was the Ceasar.

და გაუძღვა ნინო ქალი თვის თანამგზავრებს (ბარნოვი, 1943:261);

And led Nino her companions. ამ წინადადების თარგმანი ცხადყოფს, რამდენად კარგად ერგება ინვერსიულ წინადადებას კავშირი და არა როგორც მაკავშირებელი ელემენტი, არამედ როგორც კიდევ ერთი დამატებითი მარცვალი, რაც ხშირ შემთხვევაში ეპიკური თხრობის განწყობას ქმნის.

დაფიქრდა ერთ ხანს იმპერატორი (ბარნოვი, 1943:253);

Thought for a while the Emperor - (ბარნოვი, 1943:250);

Began the Queen to inquire. თარგმანის რიტმულობის ექსპრესიას გამოხატულს ინვერსიით, აძლიერებს [n] [k] ბგერების ალიტერაციაც.

დააფიქრა პონტოელის წერილმა მირიანი (ბარნოვი, 1943:256);

Hanibal's letter from Ponto set Mirian thinking; ამ წინადადებაში ვერ შენარჩუნდა ინვერსია. ჩვენი აზრით, ეს გამოიწვია ფრაზულმა ზმნამ „დააფიქრა“ (set somebody thinking).

ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული (ბარნოვი, 1943:342);

And returned to its bed the river Aragvi, serene once again. აქაც ვარჩიეთ და კავშირით წინადადების დაწყება, რაც გვიკარნახა „ც“ ნაწილაკმა (არაგვიც). აქვე გვაქვს [r] ბგერის ალიტერაცია და [i] ხმოვნის ასონანსიც.

მოადგა სასახლეს მეუდაბნოე (ბარნოვი, 1943:265);

There came a desert monk to the palace. მოძრაობის, მიმართულების გამომხატველმა ზმნამ მოითხოვა წინადადების დაწყება ფუნქციონალური სიტყვით there, რომელიც აქ არ ითარგმნება.

იწყება მუხნარი (გამსახურდია, 1959:11);

There begins the grove of oaks.

გაშავდნენ ხის სილუეტები (გამსახურდია, 1959:11);

Black became the tree silhouettes.

ღია ფანჯარაში შემოდის ნოტიო (ლორთქიფანიძე, 1992:119);

Through the open window is coming the damp;

ასე ბრძანებს პროლეტარიატი (კოტეტიშვილი. 2012:11);

Thus commands the proletariat.

დანართი № 4.7. თარგმანი: მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ინვერსიის შენარჩუნება:

აღმოსავლეთ მხარეს ლოდი ვეება (ბარნოვი,1943:303);

To the west a rock enormous;

ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული (ბარნოვი,1943:342);

And returned to its bed the river Aragvi serene once again; [r] ბგერის ალიტერაცია და [i] ხმოვნის ასონანსი.

მიუყრდა ბრძოლა საზარელი (ბარნოვი,1943:352);

And over was the fight frightening and dreadful; რიტმულობის აქცენტის გადაწევის მიზნით, თავს უფლება მივეციოთ ეპითეტი „საზარელი“ გაგვეორმაგებინა, მით უმეტეს, რომ ნაწარმოებში აღწერილი მართლაც შესაზარი ბრძოლის სურათი ამის საშუალებას იძლევა; ამას ემატება [f] ალიტერაცია [ai] ასონანსი [fait- fait] შინაგანი რითმი.

საღამო აუქმებული (ლორთქიფანიძე,1958:99);

The evening, time to rest.

ჰამადანის თავზე ალიონია მტრედისფერი (რობაქ:1989:28);

Over the Hamadan there hangs the dawn iridescent; ინვერსია შენარჩუნდა და გაჩნდა [h-h-d-d] სიმეტრიული ალიტერაციაც.

მიზგითი ძველი...კოშკები ნგრეული (რობაქიძე,1989:11);

The old mosque... the ruined casles. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის პოსტმოზიცია ვერ შენარჩუნდა, მაგრამ რიტმულობის კომპენსაცია მოხერხდა ჩამოთვლის და მსგავსი სინტაგმების ხარჯზე.

ღამეა მთვარით განათებული (რობაქ:1989:15);

The night lit by the moon. ამჯერად ზუსტად მოხერხდა ინვერსიის შენარჩუნება, თუმცა შესაძლოა გვექონოდა უფრო დაწურული ვარიანტი The moon-lit night, რომელიც ასევე არ არის მოკლებული ექსპრესიას, მაგრამ დედნისეულ ინვერსიას ვერ იმეორებს.

დანართი №4.8. თარგმანი: წინადადების მოდალობა:

ასეთ ნობათს განა კალმით ეუბნებიან პასუხს?! ქალს არ შეუძლია ბარათის დაწერა! ქალს არ შეიძლება ბარათი მისწეროს კაცმა! (ლორთქიფანიძე,1992:110);

They do not usually respond to such a gift with a letter, do they? A woman may not write a card! A man may not write a card to a woman!

არა, შენს სახელს არ დავწერ! ან კი რა საჭიროა? განა თოვლი პირველად შენ სახელს არა სწერს თეთრი ზოლებით? (ლორთქიფანიძე,1992:111);

No, I will not write your name! And do I have to, really? It is your name that the snow writes first in white lines, isn't it?

მზე მზადაა დაჰკაფოს არე. რა შეაჩერებს?! რა გაუძლებს?! (რობაქიძე,1989:124);

The sun is ready to chop the space. Can anything stop it? Can anything resist it?

ვინ არ ახსოვს მას?! არტისტი: ქალი თუ ვაჟი?! რა არ იცის კულისების მესაიდუმლემ?! მესაიდუმლემ?! რომელი კაპრიზი არ ახსოვს და რომელი ტემპერამენტი?! რამდენ არტისტულ გამარჯვების მონაწილე ყოფილა?! (რობაქიძე,1989:214);

Is there anybody who he does not remember?! Any artist, a woman or a man? Is there anything that he, the confidant in the backstage, does not know? Is there any caprice or emotional character that he does not remember? And he has contributed to so many artistic victories!

დანართი №4.9. თარგმანი-უსრული ასპექტის გადატანა:

მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე; ...ადამიანი ადამიანს ეძებს ტყეში; სიკვდილის უშველებელი ფრთა აწევს ამ კაცს სახეზე; თეთრ სილუეტს ვიღაც თალხიანი მისდევს (გამსახურდია, 1959:11-12);

I am treading my dark path alone;...A human being is looking for another human in the forest; A vast wing of death is lying on the face of the man; The white silhouette is followed by somebody dressed in dark clothes.

ღია ფანჯარაში შემოდის ნოტიო;...წვრილათ სწვიმს; სიჩუმეა; მოისმის მხოლოდ წვეთების ჭყაპა-ჭყუბი (ლორთქიფანიძე,1992:119)

Through the open window is coming the damp; It is drizzling; Silence; Only the splish-splash of raindrops is heard.

დრო გადიოდა; წელიწადი წელიწადს მისდევდა; არ ბერდებოდა მხოლოდ ცხოვრება; ცხოვრება ამ დროს საოცარ სასწაულებს ამზადებდა (კოტეტიშვილი.2012:11);

Time was passing; The year was following another year; Only the life was not getting old; The life was preparing incredible miracles all along.

დანართი №4.10. თარგმანი: ქვემდებარის ბოლოკიდური პოზიციის შენარჩუნება:

აჩნდნენ დედოფალი, ხვარამზე, სეფე ქალნი (ბარნოვი,1943:340); Into the sight came the queen,
Kvaramze, maids of honour.

მთისკენ ვიდოდნენ ქადაგი და მის მოწაფენი (ბარნოვი,1943:316);

Towards the mountain headed the preacher and her disciples.

შეწყდა შემდეგ ხმაურობა და ცეცხლთა ფრქვევა არმაზის მხარეს (ბარნოვი,1943:342);

Then ceased noise and fire shooting in the area of Armaz.

შეუწყვეტლად მოდიოდნენ ახლოველნი თუ შორეულნი(ბარნოვი,1943:344);

Ceaseless was the flow of the locals and those of distant visitors. სტრუქტურულად უფრო ზუსტი
თარგმანი იქნებოდა შემდეგი: Ceaselessly were coming both local people and distant visitors.

ნაპრაღში შხუსის, სჩქეფს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958: 212);

The river is rushing, splashing and leaping in the crevice. ეს ამ შემთხვევაში ინგლისურისთვის
უფრო ბუნებრივი წყობაა, თუმცა შეიძლება დედანთან მეტი სიახლოვის მიზნით
სხვაგვარადაც ითარგმნოს: In the crevice rushing, splashing and leaping runs the river ან Rushing,
splashing and leaping runs the river in the crevice.

დანართი №4.11. თარგმანი-სინონიმია:

რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა! (ლორთქიფანიძე, 1992:123);

What a beautiful, what a majestic thing is the sea;

კედლებზე უთვალავი ობობა და უთვალავი ქსელი (რობაქიძე,1943:143);

Numerous spiders and numerous cobwebs on the walls.

ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ახალ წესწყობილებას (კოტეტიშვილი.2012:14);

It was forming a new life, a new order .

რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214);

So much fire and so much burning and so much feasting. And now, there are only ashes and a desert inside him ;

ჩვენს დარდას და ჩვენს გულის ჭირს.; ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს ; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები...(გამსახურდია,1959:7);

Our grief and our heartache, our smiles and our tears, all, all of them will be taken away by the clocks...;

არ მინდა არც შენი სიახლოვე, არც შენი სიყვარული, არც თანაგრძნობა ... (ლორთქიფანიძე,1992:107);

I want neither your closeness, nor your love, nor compassion.

დანართი №4.12. თარგმანი-განკერძობა:

ვერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება რუ (ლორთქიფანიძე,1958: 212);

On the slope, in roots of the grass is running the creek.

ხალხი: უცხო ცეცხლით ამწვარი: მოუსვენარი და დაუდეგარი (რობაქიძე,1989:120);

The people–burnt by the unfamiliar fire: restless and reckless;

არის ამ გრიალში რაღაც უცნაური სათავადე: ზვიადი-ქედმაღალი-უტეხი (რობაქიძე,1989:14);

There is some inexplicable nobleness and royalness in this roaring: proud-arrogant-invincible.

გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო (კოტეტიშვილი.2012:11)

The flow of the rejoicing people, limitless and boundless.

იმის წინ იყო გადაშლილი მთელი ტფილისი, უზარმაზარი, უნაპირო;

Before him was spread the whole of Tiflis, enormous, boundless (კოტეტიშვილი.2012:12);

დაღარული სახეები, ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული (კოტეტიშვილი.2012:12);

Lined faces, adorned with yellow and green.

ძველი ამ დროს მოჭრილი მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი (კოტეტიშვილი.2012:14);

The old stood like a cut oak meanwhile, cold and bare.

თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჭკნარი სახე, თეთრი მთვარესავით მრგვალი და ბრტყელი (გამსახურდია,1959:7);

With my mind's eye I still see the withered face of the aged man, round like a white moon and flat.

გამოცდილი კაცი იყო ქურუმი, მცოდნე (ბარნოვი, 1943:259);

The priest was an experienced man, knowledgable.

ხევში პატარა რუკ - ნაღველივით შავი (რობაქიძე,1989:143);

A small brook in the ravine - black as sorrow.

ხელახლა დგება დღე მეუდრო, შრომის, სიამოვნებისა და სიხარულის (კოტეტიშვილი.2012:10);

There comes another pleaceful day, of labor, delight and joy.

აუარებელი ხალხი უვლიდა გარს ამ ზარს, რომელიც უზარმაზარ ნადირივით ეგდო მიწაზე, დამარცხებული და დამცირებული (კოტეტიშვილი.2012:15);

Numerous people were circling the bell, which was lying like an enormous beast on the ground, defeated and humiliated.

ხელში კრიალოსანი: ქარვის თუ გიშერის. მუსაიფი: ნელი და ჩუმი (რობაქიძე,1989:8);

He is holding the beads of patience in his hand: of amber and jet. Conversation: unhurried and quiet.

გოგო მიჰყვება: აწითლული და აღეწილი (რობაქიძე,1989:243);

The girl is following him: aflame and afire; [e] [f];

ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი
(რობაქიძე,1989:208);

The temple is a virgin itself: a pagan virgin to be slain as a sacrifice [i] [ei] [s]

ქალის თვალებში-ათასი თვალი: ყველა ელაში და ყველა ამღვრეული (რობაქიძე,1989:65);

A thousand eyes in the woman's eyes: all of them squinting and all of them blurred.

დანართი №4.13. თარგმანი- შორისდებული:

„ოჰო! ცხოვრება!“ (კოტეტიშვილი.2012:8); “Oh! The life!”

„დავრეკე, მაშ, დავრეკე, მაშ! ამხელა ქალაქის ზარი რომ ჩამორეკო, ხუმრობა ხომ არ არის, მაშ! ყოჩაღად იყავ, გოჩმანავ, მაშ! ყოჩაღად იყავ, მაშ!“ (კოტეტიშვილი. 2012:12); “There! I rang the ball, yes, I did! There, I can tell you, not a mere joke to be allowed to ring the main bell of town! Sure it is not! So, Gochmana, be brave, yes! Be brave, do!” ქართულ „მაშ“ -ს ცვლის ინგლისური There, sure და yes. ინგლისურ ტექსტს, ჩვენი აზრით დაამძიმებდა „მაშ“-ის მხოლოდ ერთი სიტყვით გადატანა.

„კარები გადამირაზეს! მასხრად მიგდებენ? ჰა, გოჩმან, ფრთხილად, აქ სხვა რამე არ გამოვიდეს? ჰა-ჰა, აბა არ გამასხარავდეს კარგად გაკეთებული საქმე!“ (კოტეტიშვილი.2012:13);

“They locked the door not to let me out! Are they making fun of me or what? Hey, Gochman, be careful, not to mess the things! Hey-hey, a good job ought not to get spoiled!”

“მმეზოჯან! მადლობელი ვარ, მაშ! მადლობელი ვარ, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:8);

“My brothers! I am grateful, yes, I am! I am grateful, I am, yes!

„გადავდივარ, მაშ, გადავდივარ, მაშ! იქ მნათედ დამაყენეს, მაშ! იქ ზარი უნდა ვრეკო, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:14);

“I am moving, yes! to a new place, yes, I am! I have been appointed there as a sexton, yes, sure, I have! I am to ring the bell there. Yes, sure, I am! ქართული „მაშ!“ იმდენად ბევრის მომცველი და ბევრის მეტყველია, რომ ჩვენი აზრით, მის გადათარგმნას ამ შემთხვევაში მთელი სამ ნაწილიანი კომპონენტი დასჭირდა -Yes, sure, I am! რაც სიტყვა-სიტყვით შემდეგს ნიშნავს: „დიახ, რასაკვირველია + დამხმარე ზმნის ნაწილი“, რომლის ნაწილობრივ გამეორებაც ამტკიცებს სათქმელს.

დანართი №4.14. თარგმანი-მეტაფორა:

დანართი №მზეს თმებშიაც დაუტოვებია ცხელი ფოთლები (რობაქიძე, 1989: 64);

The sun has left its hot leaves in her hair as well.

პატარა კაცის სახე იეროგლიფია ხავსგადაკრული (რობაქიძე, 1989: 56);

The little man's face is a moss-covered hieroglyph.

მატასი თითქო მზის მარცვლების აჯეჯილებაა (რობაქიძე, 1989: 171);

Matasi is like blossoming of the sun seeds.

რუსთაველის პროსპექტი მზეშია გამზვართული (რობაქიძე, 1989: 215);

Rustaveli Avenue is spread in the sun.

ტახტზე ქალის ტანია გამზვართული. თვალებზე ორი იის ფოთოლი გადაჰკვრია ჩალურჯებული. (რობაქიძე, 1989: 265);

The woman's body is stretched on the couch. Her closed eyelids are deep blue as if covered with two violet petals.

ნაბიჯები ამ დროს გულს უთუთქავენ მიწას (რობაქიძე, 1989: 267);

This is the time when human steps are scorching the heart of the ground.

არჩიბალდის მარჯვენას რაღაც შერჩა-ცხელი და მშრალი: მატასის ხელის თრთოლვა-ვით ბადეში გაბმული მიმინოსი (რობაქიძე, 1989:252);

Some sensation lingered on Archibald's right hand- hot and dry: the trembling of Matasi's hand, like the trembling of a captured hawk.

სტეპკო ქალის ღიმილს ისუნთქავს ვით ველურ ვარდს...(რობაქიძე, 1989:34);

Stepko is inhaling the woman's smile as if it were a wild rose....

ბალის ირგვლივ ალვისხეები: ტანწერწეტ მცველებად მაღლა ატყორცნილნი (რობაქიძე, 1989: 59);

Poplars around the garden: shot upwards like slender sentinels.

ხევში პატარა რუჰ-ნადველივით შავი. მხოლოდ - კრიალა (რობაქიძე, 1989:143);

A small creek in the ravine - black as sorrow. Only it is crystal clear.

არჩიბალდ სუნთქავს არეს რომელიც მატასიმ შეარხია: სურნელი თუ დასტოვა ველური ყლორტის (რობაქიძე, 1989: 146);

Archibald is inhaling the air which has been shaken by Matasi's presence: has she left the scent of a wild sprout?

ხმა გაიკრიალებს ვით წყალგადავლებული ამეთვისტი (რობაქიძე, 1989:160);

Her voice sounds as clear as a newly rinsed amethyst.

დანართი №4.15. თარგმანი: გაპიროვნება:

აქ-იქ კლდეებში ბუმბერაზ ხეებს ადგილი ეშოვათ და ცალ-ცალკე მოსახლეებივით გაბაღრულიყვნენ (ლორთქიფანიძე,1958:222);

The huge trees had found places here and there in the rocks and had expanded their territories like real settlers;

ეს გუნებაა გალხობილი მესოპოტამიაში. გაბრუებული ბელტი. მიყუჩებული ქვა. მდორე მდინარე. მთვლემარე ჩირგვი. მოწყენილი კენჭი. ფრთებდახრილი ტოტი. განაზული ნიბლია. სველთვალეზიანი უშობელი...(რობაქიძე, 1989:26);

This mood is dissolved in Mesopotamia. A stupefied clod of earth. A stilled stone. A slow river. A dazing bush. A sad pebble. A crestfallen twig. A hushed finch. A wet-eyed calf. აგესლილ მზერას ქაშვეთი მოგირჩენს. ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი (რობაქიძე, 1989:214);

Your embittered gaze will be soothed by Kashveti church. The temple is a virgin itself: a pagan virgin to be slain as a sacrifice.

არაჩვეულებრივი კვნესით დაიგუგუნა ზარმა;

The bell boomed with an extraordinary sigh.

მთელმა ტაძარმა შვებით ამოიგმინა (კოტეტიშვილი.2012:13);

The whole church sighed with relief.

სიონის ზარს, რომელიც ამ ხალხისთვის ზარი კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი იყო. (კოტეტიშვილი.2012:16);

The bell of Sioni church that was not just a bell, but a real brave man.

ბევრი იტირეს დუდუკებმა;(კოტეტიშვილი.2012:13);

Duduks wept a lot.

დუდუკები კი ამ დროს რაღაც უცნაური სევდით ამღერდნენ ((კოტეტიშვილი.2012:16);

And just then duduks began to sing with a feeling of rare sorrow.

„წმ. გრიგოლ ხანძთელის დროს ცხოვრობდა ვინმე ირუბაქიძე. სახელად რადამე. კაცი ახოვანი, ფიცხი, გადამლახველი. ცოლი ჰყავდა ლამაზი. მტრები დაედევნენ ერთხელ. რადამე და მისი ცოლი ცხენებს მიაჭენებენ. ცოლი ორსული იყო. ველარ შესძლო ცხენის ჭენება. „მომკალ“. ეუბნება ვაჟს. „როგორ“ მიუგებს ქალს. „უკეთესია მოვკვდე, ვიდრე მტრებს ხელში ჩავუვარდე“. - „მერე?!“ - „შენ გადარჩები“. ვაჟი ყოყმანობს. შორიდან მოისმის ცხენების თქარათქური. ვაჟი იდრობს ხანჯალს. ჩაჰკრავს. დაჭრილს მდინარეში გადაისვრის. ვაჟი გარბის. მტრები მისდევენ. ვაჟი გადარჩება. გაივლის ხანი. რადამეს მოახსენებენ: სასიკვდილო ჭრილობა არ ყოფილა: ცოლი გადაურჩენიათ მეთევზეთ. რადამე გახარებულია. გამართავს ლხინს შავი ზღვის პირას. ცოლი მოვა. დაინახავს თუ არა შორიდან-რადამე იკვივლებს საშინლად (ხომ გაიმეტებს მაინც ერთხელ!). ბედისწერას გრძნობს. მოახტება თეთრ ტაიქს. გააჭენებს, ცხენით მომავალ ცოლს ბეჭედს გადაუგდებს. ცოლი დაიჭერს. ქმარი ტაიქს ზღვაში შეაგდებს: ინთქება. ცოლი ჯერ გაოცებულია. შემდეგ - თვითონაც გადაჰყვება“...(რობაქიძე, 1989: 88);

“ In the time of Saint Grigol of Khandzta there lived a certain man of the Irubaqidzes family. His first name was Radame. He was tall and stately, short-tempered, strong-willed. He had a pretty wife. Once they were being chased by foes. Radame and his wife are galloping their horses. The woman was pregnant and could gallop no more. “Kill me”, she is asking the man. “How can I do this?” is the man’s reply. “I’d better die than succumb to them”. “And then?!” “You will be saved.” The man is in two minds. From the distance they can hear the clatter of the horses’ hoofs. He draws out the dagger and stabs her. He throws the wounded into the river. The man flees. The foes are following him. Still, he is saved. The time passes. One day Radame is told that the wound did not turn out to be fatal. The wife had been rescued by some fishermen. Radame is rejoicing. He is giving a feast on the shore of the Black Sea. The wife arrives. As he sees her in the distance, Radame gives a dreadful cry (he had once forsaken her, had not he?!) He is aware of the providence. He mounts the white steed and gallops away. He throws the ring to his wife who is arriving on horseback. The wife catches the ring. The husband wades the sea, gets engulfed. The wife, bewildered at first, then follows him into the sea”.

„მოხუცებული ხალხი, ... თვალებში მიმქრალი სიცოცხლე და სათნოება. დაღარული სახეები ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული. ნელი სიარული და სიარულში გაორება. მოხუცებული მუხლების კანკალი და თრევა დანგრეულ ფილაქანზე... ხალხი, როგორც ჩრდილები - ამ ჩრდილების კიდევ ჩრდილები, ასევე მოკაკული და შეშინებული. ჩამქრალი სმენა და

მხედველობა, ჩამქრალი სიცოცხლე. ყველაფერი ბებერი და დრომოჭმული
(კოტეტიშვილი.2012:13);

“The old people...faded vitality and virtue in their eyes. Lined faces adorned in yellow and green. Slow walking and becoming double in walking. Shaking of old knees and shuffling their feet on the cracked and uneven pavement...People like shadows- and still other shadows of these shadows, equally bent and scared. Withered eyesight and hearing, withered life. Everything decrepit and outdated about them”.

დანართი №4.17. თარგმანი- სინონიმია:

ბომალდი იდგა მორთული და მოკაზმული პირადპირადად (ბარ. 1943:265);

The ship stood trim and decorated colourfully .

დიდი მოძრაობა იყო ახალ სასახლეში: ლაშქრის სარდალნი, თემთ თუ ხალხთა წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი, მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი, ქურუმნი (ბარნოვი,1943:265) სინონიმთა სამივე წყვილი ადეკვატურად გადაითარგმნა: ლაშქრის სარდალნი=თემთ თუ ხალხთა წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი =მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი =ქურუმნი;

There was a great stir and bustle at the new palace. All were there: heads of the armies, leaders of communities, stargazers, fortunetellers, vicars, priests.

გამოშრა მიწა, გახმა, დაიშაშრა, დასქდა (ბარნოვი,1943:342) გამოშრა =გახმა, დაიშაშრა =დასქდა.

The ground grew dry, barren, parched, cracked. ამ წინადადებაში არ დარღვეულა არც რიტმულობის ძლიერი ექსპრესია, კიდევ უფრო კარგად გამოხატული წინადადების სინონიმურ წევრთა ჩამოთვლით, განსაკუთრებით, თუ ეს უკავშიროდ ხდება. შემდეგი მაგალითებიც ამის დასტურია:

დუქნები. ფარდულები ...უთვალავი ქსოვილი. ფარჩეული. აბრეშუმეული. ქაშემირი. ... ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები. ...ნოხები...ხალები. ... ფარდაგები. ფლასები. ჭილობები (რობაქიძე,1989 :13)

Inns, sheds...numerous fabrics. Brocade, silk, cashmere...cups, bowls, jugs, pitchers...carpets, rugs, mats, rugs, covers .

სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია (გამსახურდია, 1959:13);

The pillow, the blanket, the sheet, everything is hot.

ჭექა, ქუხილი, ელვა, მეხი ერთმანეთში ირეოდა (ლორთქიფანიძე, 1958:223);

Thunder, storm, lightning, bolts were all sounding at once.

მაგრამ ნაწილობრივ დაიკარგა ექსპრესია შემდეგ უქვემდებარო წინადადებებში, სადაც მთელი წინადადებები სინონიმურ ერთეულებს წარმოადგენს. საჭირო გახდა ნაგულისხმევი ქვემდებარის აღდგენა:

არეულია. ამრეზილი. აღრენილი (რობაქიძე,1989:18);

(He is) upset. Displeased. Irritable ;

ლხინობენ. მღერიან. ლაღობენ (რობაქიძე,1989:70);

They are) feasting, singing, having fun.

დანართი № 4.18. თარგმანი- სინონიმური წყვილი საერთო მსაზღვრელთან ერთად:

რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე, 1989:214); So much fire and so much burning and so much feasting. And now, there are only ashes and a desert inside him; ჩვენს დარდსა და ჩვენს გულის ჭირს.; ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები (გამსახურდია,1959:7) Our grief and our heartache, our smiles and our tears, all, all of them will be taken by the clocks.

დანართი №4.19. თარგმანი- კონტექსტუალური სინონიმები:

ნაპრალში შხუის, სჩქეფს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958: 212) შხუის=სჩქეფს =ხტის;
The river is rushing, splashing and leaping in the crevice.

უყურებს სალი, ძლიერი, ჯანმრთელი მწყემსი ჩამავალ მზეეს; ისმენს ჟღერტულს ჩიტებისას;
შეხარის გამამდარს, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება გაიშხლართოს ღრმა, მშვიდი
ძილისთვის“ (ლორთქიფანიძე,1958:212); The sane, strong, healthy shepherd is staring at the
setting sun; he is listening to the birds chirruping; feeling happy, he is looking proudly at his
nourished, contented flock and slowly he is getting ready to sprawl for a sound, peaceful sleep.

შლიდა და ანგრევდა კაცს შიგნიდან (კოტეტიშვილი. 2012.16); (It) was dismantling and
destroying the man inside.

მაგრამ შხამი კი, მაგრამ მალამო კი უცვლელად, შეუსუტებლად დარჩება
(ლორთქიფანიძე,1992.110);

Yet the poison, yet the relief will remain changeless, undiminished.

მიყრილ-მოყრილი პაპიროსის ნამწვები და ფერფლი (ლორთქიფანიძე,1992.118);

Cigarette stubs and ashes scattered here and there.

მერე მოისმის ფეხის ხმა, გამხმარი შტოების მტკრევა და ტკრციალი (გამსახურდია,1959:11);
Then one can hear the foot sound of smashing and crashing of dry twigs.

წყალი ანკარაა და გრილი (რობაქიძე,1989:139); The water is clear and cool;

რასსა შეურეველი და ხალასი (რობაქიძე,1989:214); The race, non-adulterated and pure .

ყოველი ქვა ტამარის ქალწულია თვითონ: ნელი-ლბილი-ნაზი-თვინიერი
(რობაქიძე,1989:214);

Each stone of the temple is like a virgin: unhurried-soft-tender-loyal .

ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214); Now he is only ashes and a desert.

სასვენებელი ლტოლვილთა და გადახვეწილთა და მუდამ მავალთა (რობაქიძე,1989:120);

The sanctuary of refugees and fugitives and eternal wanderers (Robaqidze.1989,p.120);

იგი ყვავილის ყელივით ნაზია და სიფრიფანა (გამსახურდია,1959:27);

It is delicate and slim like a flower stem.დანართი №4.20. თარგმანი-ანტონიმია:

ძველებურად შედიოდა და გადიოდა მოხუცებული მორწმუნე ხალხი ძველ ტამარში
(კოტეტიშვილი.2012:13); The old faithful people came and went to the old church the way they
used to.

ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბედნიერებას...ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები...(გამსახურდია, 1959:7); Our big joy and our little happiness...everything, everything will be taken by clocks..

„აი, შენც, გლახაკი ხარ, სულითაც და ხორციითაც“; (კოტეტიშვილი.2012:); “Here, you too are a poor man, both in soul and in body”.

წელში წვრილი, ბეჭებში სქელი (ლორთქიფანიძე,1992.123); A narrow waist, broad shoulders. საშინელი სისასტიკე და უმძაფრესი სიტკბო (რობაქიძე, 1989:16); Awful cruelty and intense kindness.

ტფილისი გოგირდის აბანოთი იწყება და გოგირდის აბანოთი თავდება (რობაქიძე, 1989:208); Tiflis begins with a sulphur bathhouse and ends with a bathing house.

თვალებით თითქოს გეუბნება: მე ვიცი და შენ არ იცი-საიდუმლო (რობაქიძე, 1989:11);

As if he is saying with his eyes: I know and you know not-the secret.

ქსელებში გახლართული წარმოუდგენელ ტანჯვასა ვგრძნობ და უტკბეს ნეტარებას (ლორთქიფანიძე,1992:109);

Tangled in the nets of emotions, I feel incredible suffering and sweetest of elations.

დანართი №4.21. თარგმანი- არქაიზმები:

ტაიჭნი ძვირფასად იყვნენ შეკაზმულნი, სხვადასხვა ფერად (ბარნოვი, 1943:235); The steeds were adorned in a most expensive manner, in different colours.

დედის სიტყვაზედ ქალს ყაყაო აუყვავდა მწყაზარ ღაწვებზე (ბარნოვი, 1943:250); At her mother's words poppies bloomed on comely cheeks of the young woman.

თავს ევლებოდნენ ღრუბელთ დასები (ბარნოვი, 1943:262);

The mountain tops were surrounded by the ensambles of the clouds.

მყის განსჭვრეტდა საიდუმლოს, ყოველს დაფარულს განაცხადებდა (ბარნოვი, 1943:308);

He would fathom any secret at once, would unveil all that was shrouded.

დავკრძალოთ იქვე წიგნთა სიმრავლე (ბარნოვი, 1943:340);

Let us bury bountiful books there.

ჟამითიჟამად შეირხეოდა, ჟღრიალებდა ეჟვანმრავალი (ბარნოვი, 1943:347);

From time to time it would shake itself, jingling with bells galore.

ცა იმტვრეოდა შესაზარის ხმით. ეღვრებოდა დედამიწას ზეშთა წყალი ყინვის ლოდებად. (ბარნოვი, 1943:352);

The sky was tearing apart with the most horrible sound. The earth was awashed by the icy rocks water of the upper world.

He went often to her little cottage outside Dublin; often they spent their evenings alone. Little by little, as their thoughts entangled, they spoke of subjects less remote. Her companionship was like a warm soil about an exotic. Many times she allowed the dark to fall upon them, refraining from lighting the lamp. The dark discreet room, their isolation, the music that still vibrated in their ears united them. This union exalted him, wore away the rough edges of his character, emotionalised his mental life. Sometimes he caught himself listening to the sound of his own voice. He thought that in her eyes he would ascend to an angelical stature; and, as he attached the fervent nature of his companion more and more closely to him, he heard the strange impersonal voice which he recognised as his own, insisting on the soul's incurable loneliness. We cannot give ourselves, it said: we are our own. The end of these discourses was that one night during which she had shown every sign of unusual excitement, Mrs. Sinico caught up his hand passionately and pressed it to her cheek (Joyce,1982:124).

პირველი თარგმანი:

კაცი ხშირად სტუმრობდა ქალის პატარა კოტეჯს დუბლინის გარეთ. ხშირად ატარებდნენ საღამოებს მარტონი. ნელ-ნელა, რამდენადაც მათი აზრები ერთმანეთში იხლართებოდა, ნაკლებად შორეულ საგნებზეც ალაპარაკდნენ. მათი კომპანიონობა რთულ ნიადაგს ჰგავდა ეგზოტიკური ყლორტების აღმოსაცენებლად. მრავალჯერ მიუცია ქალს ნება ღამისთვის- დაშვებულიყო მათ თავებზე, ისე, რომ ღამსაც არ უნთიქ. ბნელი, მომცრლ ღთახი, მათი განმარტლება, მუსიკა, ჯერაც რომ ვიბრირებდა მათ ყურებში- ეს ყველაფერი აერთიანებდა ორ ადამიანს, ხოლო ასეთი ერთიანობა ამაღლებდა კაცს, ხასიათის უხეშ კიდეებს უმრგვალებდა და უხვეწდა, ემოციურობას სძენდა მის გონებრივ ცხოვრებას. ზოგჯერ კაცი აფიქსირებდა, რომ საკუთარ ხმას უსმენდა. ფიქრობდა, ქალის თვალში ანგელოსურ სიმაღლემდე ავალო. და რამდენადაც თავისი კომპანიონის მგზნებარე ტუნება უფრო და უფრო ახლოს მიიბა, ჩაესმა კიდეც უცნაურ-უპიროვნო ხმა, რომელშიც თავისივე ხმა ამოიცნო, დაჟინებით რომ მიუთითებდა სულის უსაშველო მარტობაზე. ჩვენ ვერ გავცემთ ჩვენს თავს, ჩვენ ჩვენი საკუთრება ვართო, ამბობდა ეს ხმა. ეს საუბრები იმით დასრულდა, რომ ერთ ღამეს, როდესაც ქალმა აგზნების ყველა ნიშანი გამოავლინა, ბოლოს კაცის ხელს დასწვდა და ლოყაზე მიიკრა (ჯოისი,2014:112-113);

დანართი №4.22. მეორე თარგმანი:

მისტერ დაფი ხშირად დადიოდა ქალთან მის პატარა კოტეჯში, დუბლინის მახლობლად, და არც ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როცა საღამოობით მარტონი რჩებოდნენ.

რაც უფრო მეტად ეთვისებოდნენ ერთმანეთს, მათი საუბარიც მით უფრო ინტიმურ ხასიათს იღებდა. ქალის მეგობრობა მისტერ დაფისთვის იგივე იყო, რაც სათბურის ჰავა ეგზოტიკური მცენარისათვის. ბევრჯერ კიდევ შემოჰკლამებიათ, მაგრამ ქალი ლამპის ანთებას არ ჩქარობდა. ბნელი, მყუდრო ოთახი, მარტოობა, მუსიკა, რომელიც ჯერ კიდევ ჩაესმოდათ ყურში-ყველაფერი ეს მათ ერთმანეთთან აახლოებდა. ეს სიახლოვე ალაფროვანებდა კაცს, ხასიათს უფაქიზიბდა, უფრო მგრძნობიარეს ხდიდა მის შინაგან სამყაროს. ზოგჯერ თავის თავს იმაზეც წაასწრებდა ხოლმე, რომ საკუთარი ხმის ჟღერას უსმენდა. ასე ეგონა, ქალის თვალში თვით ანგელოზის რანგამდე ავმაღლდიო, და რაც უფრო მეტად ეუფლებოდა თავისი ქალბატონის მგზნებარე გულს, მით უფრო ცხადად ჩაესმოდა ყურში უცნაური იდუმალი ხმა, რომელიც საკუთარ ხმად ეჩვენებოდა. ეს ხმა ჯიუტად ჩასმახოდა, უკურნებელიაო მარტოობა სულისა. „ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენი თავის გაცემა“, - ამბობდა ხმა, - მხოლოდ ჩვენსავე თავს ვეკუთვნიით. მათ საუბრებს მოულოდნელად მოელო ბოლო. ერთ საღამოს, მისის სინიკომ, რომელიც უჩვეულო მღელვარებას ამჟღავნებდა, ვნებიანად აიტაცა მისი ხელი და ლოყაზე მიიკრა (ჯოისი, 1984:96).

დანართი №4.23. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

What an end! The whole narrative of her death revolted him and it revolted him to think that he had ever spoken to her of what he held sacred. The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach. Not merely had she degraded herself; she had degraded him. He saw the squalid tract of her vice, miserable and malodorous. His soul's companion! He thought of the hobbling wretches whom he had seen carrying cans and bottles to be filled by the barman. Just God, what an end! (Joyce,1982:1

დანართი №4.23. პირველი თარგმანი:

აი, დასარული! მისი სიკვდილის ამბავმა კაცი ააჯანყა, ააჯანყა იმის გაფიქრებამ, რომ იმ ქალისთვის თავისი საკრალური კუნჭულები გაუმხელია. გაცვეთილმა ფრაზეებმა, თანაგრძნობის უშინაარსო გამოხატულებებმა, კორესპონდენტის ფრთხილმა სიტყვებმა, გათვლილმა იმაზე, რომ მიჩქმალულიყო ბანალური და უღიმღამო სიკვდილის დეტალები, კაცს გულ-მუცელი ამოუტრიალა. ქალმა არა მხოლოდ თავისი თავი დაამდაბლა, არამედ თვით კაციც. მან დაინახა ქალის მანკიერების უბადრუკი ტრაქტი, მყრალი და შესაბრალისი. მისი სულის კომპანიონი! კაცს თვალწინ დაუდგა კოჭლობით მოჩლახუნე ის საბრალოები, კონსერვის ქილები და ბოთლები რომ მიჰქონდათ ბარმენტან ასავსებად. რა დასასრულია, ღმერთო! (ჯოისი, 2014:117.)

დანართი №4.23. მეორე თარგმანი:

როგორი ბოლო ჰქონია! მისი სიკვდილის გარემოებათა ასეთმა აღწერამ ძალიან აღაშფოთა. აღაშფოთა იმაზე ფიქრმა, რომ ოდესღაც ამ ქალს თავისი გულის წმიდათა წმიდა ხვაშიადს ანდობდა. გაცვეთილი ფრაზები, ყალბი თანაგრძნობის სიტყვები, ფრთხილი გამოთქმები რეპორტიორისა, რომელიც აიძულეს დაემალა ამ ვულგარული სიკვდილის დეტალები - ყოველივე ეს გულს ურევდა. ამ ქალმა მარტო თავისი თავი როდი შეურაცხყო, არამედ ისიც, მისტერ დაფიც ლაფში ამოსვარა. ნათლად ხედავდა იმ სამარცხვინო, უწმინდურ გზას, რომლითაც მისმა ბიწიერებამ იარა. ნუთუ ეს ქალი მისი სულის სწორი იყო! ის უბედურები გაახსენდა, ფეხარეულნი ბარბაცით რომ მიათრევენ ცარიელ ბოთლებსა და დოქებს ბარისაკენ. ღმერთო, როგორი ბოლო ჰქონია (ჯოისი,1984:99-100).

დანართი №4.24. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

The shop was very quiet. The proprietor sprawled on the counter reading the Herald and yawning. Now and again a tram was heard swishing along the lonely road outside. As he sat there, living over his life with her and evoking alternately the two images in which he now conceived her, he realised that she was dead, that she had ceased to exist, that she had become a memory. He began to feel ill at ease. He asked himself what else could he have done. He could not have carried on a comedy of deception with her; he could not have lived with her openly. He had done what seemed to him best. How was he to blame? Now that she was gone he understood how lonely her life must have been, sitting night after night alone in that room. His life would be lonely too until he, too, died, ceased to exist, became a memory—if anyone remembered him (Joyce, 1982:128).

პირველი თარგმანი:

პაბში უჩვეულო სიწყნარე იდგა. დახლზე გადმოწოლილი მეპატრონე „ჰერალდს“ კითხულობდა და ამთქნარებდა. დროდადრო ცარიელ ქუჩაზე ტრამვაი ჩაიგრიხინებდა. და როცა ასე იჯდა, მეხსიერებაში ფურცლავდა ამ ქალის გვერდით გატარებულ ცხოვრებას და რიგრიგობით გამოიხმობდა ორ სხვადასხვაგვარ სახებას, როგორადაც ამჟამად მას აღიქვამდა. კაცმა გააცნობიერა, რომ ეს ადამიანი მკვდარი იყო, რომ მან არსებობა შეწყვიტა, რომ მოგონებად იქცა. კაცმა უხერხულობა იგრძნო და თავის თავს ჰკითხა, კიდევ რა შემდეგო მექნაო. გაიძვერობის კომედიას ვერ გააგრძელებდა იმ ქალთან; დაუფარავად ვერ იცხოვრებდა მასთან. მოიქცა ისე, როგორც საუკეთესოდ მიიჩნია. ვინ დაადანაშაულებდა ამაში? ახლა, როდესაც ის აღარ იყო, კაცი მიხვდა, როგორი მარტოხელა უნდა ყოფილიყო ქალის ცხოვრება, ღამიდან ღამემდეგ მარტო რომ იჯდა იმ ოთახში. კაცის ცხოვრებაც მარტოსულისა იქნებოდა, სანამ ისიც მოკვდებოდა, არსებობას შეწყვეტდა, ხსოვნად იქცეოდა.- თუ ვინმეს ახსოვდა საერთოდ (ჯოისი,2014:118).

მეორე თარგმანი:

ბარში სიწყნარე იყო. მეპატრონე დახლს მიყრდნობოდა, „ჰერალდს“ კითხულობდა და თან ამთქნარებდა. დროდადრო ტრამვაი თუ გაიქროლებდა ქუჩაში. ასე იჯდა. იხსენებდა მისის სინიკოსთან ერთად გატარებულ დღეებს და რიგრიგობით იწვევდა გონების თვალწინ იმ ორ ხატებას, რომლითაც ახლა ევლინებოდა ქალი. და უცებ ნათლად შეიგრძნო, რომ ის მოკვდა, არსებობა შეწყვიტა და მოგონებად იქცა. გული დაუძმძმდა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, სხვანაირად როგორ უნდა მოვეცეულიყავო. მეტ თვალთმაქცობას ვეღარ შესძლებდა. მასთან აშკარად ვერ იცხოვრებდა. ისე მოიქცა, როგორც უკეთესად ეჩვენებოდა.

მაშ რაღა იყო მისი დანაშაული? ახლა, როცა მისის სინდულ მკვდარი იყო, დგდ მიხვდა რა აუტანელი უნდა ყოფილიყო ქალის ცხოვრება, რა სიმარტოვე უნდა განეცადა დაუსრულებელი სადამოების განმავლობაში იმ ოთახში გამომწყვდეულს. თვითონაც მარტოობაში გალევს თავის წუთისოფელს, ვიდრე მასავით არ მოკვდება, არ შეწყვეტს არსებობას და მოგონებად არ გადაიქცევა, თუკი მომგონებელი მაინც ეყოლება (ჯოისი,1984:100-101).

დანართი №4.25. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

It was after nine o'clock when he left the shop. The night was cold and gloomy. He entered the Park by the first gate and walked along under the gaunt trees. He walked through the bleak alleys where they had walked four years before. She seemed to be near him in the darkness. At moments he seemed to feel her voice touch his ear, her hand touch his. He stood still to listen. Why had he withheld life from her? Why had he sentenced her to death? He felt his moral nature falling to pieces.

When he gained the crest of the Magazine Hill he halted and looked along the river towards Dublin, the lights of which burned redly and hospitably in the cold night. He looked down the slope and, at the base, in the shadow of the wall of the Park, he saw some human figures lying. Those venal and furtive loves filled him with despair. He gnawed the rectitude of his life; he felt that he had been outcast from life's feast. One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: he had sentenced her to ignominy, a death of shame. He knew that the prostrate creatures down by the wall were watching him and wished him gone. No one wanted him; he was outcast from life's feast. He turned his eyes to the grey gleaming river, winding along towards Dublin. Beyond the river he saw a goods train winding out of Kingsbridge Station, like a worm with a fiery head winding through the darkness, obstinately and laboriously. It passed slowly out of sight; but still he heard in his ears the laborious drone of the engine reiterating the syllables of her name.

He turned back the way he had come, the rhythm of the engine pounding in his ears. He began to doubt the reality of what memory told him. He halted under a tree and allowed the rhythm to die away. He could not feel her near him in the darkness nor her voice touch his ear. He waited for some minutes listening. He could hear nothing: the night was perfectly silent. He listened again: perfectly silent. He felt that he was alone (Joyce, 1982:129).

პირველი თარგმანი:

პაბიდან რომ გამოვიდა, უკვე ცხრას გადაცილებული იყო. ცივი და ბნელი ღამე იწვა. პარკში პირველი კარიბჭიდან შევიდა და აწოწილი ხეების ქვეშ გაისეირნა. იმ დაღვრემილი ხეივანებით იარა, ერთად რომ მოიარეს ოთხი წლის წინ. სიბნელეში ის თითქოს ახლოს იყო. რაღაც მომენტებში კაცი შეიგრძნობდა ქალის ხმას, რომელიც მის ყურს ეხებოდა, ქალის ხელიც ეხებოდა მისას. გაიყურსა და მიაყურადა. რატომ თქვა უარი მასთან თანაცხოვრებაზე? რატომ გაწირა სიკვდილისთვის? იგრძნო, რომ მისი ზნეობრივი არსება ნაწილებად იშლებოდა. მეგუზინ-ჰილის თხემზე ასული შეჩერდა და თვალი გააყოლა დუბლინისაკენ

მომრავ მდინარეს; იქ, ცივ ღამეში, სინათლეები წითლად და სტუმარდმოყვრულად ციმციმებდა. ჩახედა ფერდობს, რომლის ძირას, პარკის კედლის ჩრდილში, ვიღაც ადამიანები იწვნენ. ამ გასაყიდმა და მოპარულმა სიყვარულებმა სასოწარკვეთით აავსო. მან დაღრღნა თავისი ცხვრების სათნუბა; იგრძნო, რომ განდევნილი იყო ცხვრების დღესასწაულიდან. თითქოს შეიყვარა ერთმა ადამიანმა ამქვეყნად, მან კი უარყო მისი ცხოვრება და ბედნიერება, გაწირა უსახელობისთვის, სამარცხვინო სიკვდილისათვის. იცოდა, ამწუთას კედელთან მწოლიარე არსებები მას ხედავდნენ და ერთი სული ჰქონდათ, როდის გაეცლებოდა იქაურობას. არავის უხრდა ის - განდევნილი ცხოვრების დღესასწაულიდან. ისევ გადახედა რუხად მოციმციმე მდინარეს, დუბლინისკენ რომ მიდკლავნებოდა. მდინარის იქით დაინახა სატვირთო მატარებელი, რომელიც კინგს-ბრიჯის სადგურიდან გადიოდა და შეუპოვარი, გამრჯე მატლივით მიარღვევდა წყვიდადს. ნელა გაუჩინარდა. თუმცა, კაცს მაინც ესმოდა მუყაითი გუგუნის ლოკომოტივისა, ქალის სახელის მარცვლებს რომ იმეორებდა.

დაბრუნდა იმავე გზით, რომლითაც მოვიდა. ყურებში ლოკომოტივის რიტმი უცემდა. უკვე ეჭვი შეჰქონდა იმის რეალობაში, რასაც მეხსიერება კარნახობდა. ხის ქვეშ შეჩერდა და რიტმ-პულსაციას ჩაცხრომის საშუალება მისცა. აქ, სიბნელეში, ქალს ვერ გრძნობდა თავის გვერდით და არც მისი ხმა ჩაესმოდა ყურში. საერთოდ არაფერი ესმოდა: ღამე სრულყოფილად ჩუმი იყო. ისევ მიაყურადა: სრულყოფილად ჩუმი. კაცმა იგრძნო, რომ მარტოდმარტო იყო (ჯოისი, 2014, 118-119).

თარგმანის მეორე ვერსია:

უკვე მეთათე საათი იყო, ბარიდან რომ გამოვიდა. ცივი ღამე იყო, მოქუფრული. პარკში შევიდა პირველივე ჰიშკრით და შიშველ ხეებქვეშ ხეტიალს მოჰყვა. დადიოდა გამარცვულ ხეივნებში, სადაც ოთხი წლის წინ ერთად დასეირნობდნენ. სიბნელეში მის სიახლოვეს გრძნობდა. თითქოს ქალის ხმაც სწვდებოდა ყურს, ხელზე მისი ხელის შეხებას გრძნობდა. გაჩერდა და ყური მიუგდო. რატომ წაართვა სიცოცხლე? რატომ მიუსაჯა სიკვდილი? გრძნობდა, რომ ემსხვდებოდა მორალური პრინციპები.

მეგეზინ-ჰილის წვერზე რომ ავიდა, შედგა და მდინარეს გადახედა. მდინარე დუბლინისკენ მიიზღაზნებოდა. ქალაქის სინათლეები თბილად და გულლიად კიაფობდნენ ცივ წყვიდადში. ქვემოთ ჩაიხედა და ბორცვის ძირას, პარკის კედლის ჩრდილში მწოლარე არსებანი შენიშნა. ამ ცოდვილი, ნაპარავი სიყვარულის ხილვამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. საკუთარმა პატიოსნებამ შეზარა. ცხოვრების ფერხულიდან გამევებულად იგრძნო თავი. ერთდერთმა ადამიანმა გაუხსნა გული, შეიყვარა, მან კი იმას სიცოცხლე და

ბედნიერება მოუსწარავა. შერცხვენა, სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა. იცოდა, რომ მიღს, კედლის ჩრდილში გართხმული არსებანი თვალს ადევნებდნენ და მის წასვლას ნატრობდნენ. არავის სჭირდებოდა იგი, ცხოვრების ფერხულიდან გამევეებული იყო. მზერა ისევ რუხ, მოლაპლაპე მდინარისკენ გადაიტანა, დუბლინისკენ რომ მიიკლაკნებოდა. მდინარის გაღმა, საბარგო მატარებელი შენიშნა, კინგს-ბრიჯის სადგურიდან მღმავალი, გეგლნებლდათ, სიბნელეში ცეცხლისთავიანი ჭიაყელა მოცოცავსო, ნელ-ნელა და დაჟინებით. მატარებელი თვალს მიეფარა, მას კი კარგა ხანს ესმოდა კიდევ ორთქლმავლის ქშენა, რომელიც ქალის სახელს იმეორებდა.

იმავე გზით გამობრუნდა უკან, რომლითაც აქ მოვიდა. მატარებლის რიტმული ხმაური ისევ ყურში ედგა. უეცრად ეჭვი შეეპაჩა ყოველივე იმის რეალობაში, რასაც მეხსიერება ინახავდა. ხის ქვეშ შეჩერდა და იქამდე იდგა, ვიდრე რიტმული ხმაური არ მიწყდა. ახლა აღარც ქალის სიახლოვეს გრძნობდა სიბნელეში, აღარც მისი ხმა სწვდებოდა ყურს. რამდენიმე წუთს იცდიდა, ყურგამახვილებული. აღარაფერი გაუგონია. მდუმარებდა ღამე. ისევ მიუგდო ყური-სრული მდუმარება სუფევდა ირგვლივ. და იგრძნო, რომ მარტლდმარტლ იყო ქვეყანაზე (ჯოისი, 1984:101-102).

ტროპული მეტყვევლების ნიმუშები:

ცივი და ბნელი ღამე იწვა; აწოწილი ხეების ქვეშ გაისეირნა; იმ დაღვრემილი ხეივნებით იარა, ერთად რომ მოიარეს ოთხი წლის წინ. სიბნელეში ის თითქოს ახლოს იყო. რაღაც მომენტებში კაცი შეიგრძნობდა ქალის ხმას, რომელიც მის ყურს ეხებოდა, ქალის ხელიც ეხებოდა მისას. გაიყურსა და მიაყურადა. რატომ თქვა უარი მასთან თანაცხოვრებაზე? რატომ გაწირა სიკვდილისთვის? იგრძნო, რომ მისი ზნეობრივი არსება ნაწილებად იშლებოდა; იქ, ცივ ღამეში, სინათლეები წითლად და სტუმართმოყვრულად ციმციმებდა; ამ გასაყიდმა და მოპარულმა სიყვარულებმა სასოწარკვეთით აავსო; იგრძნო, რომ განდევნილი იყო ცხოვრების დღესასწაულიდან. / ცივი ღამე იყო, მოქუფრული; შიშველ ხეებქვეშ ხეტიალს მოჰყვა. დადიოდა გამარცვულ ხეივნებში, სადაც ოთხი წლის წინ ერთად დასეირნობდნენ. ქალაქის სინათლეები თბილად და გულდიად კიაფობდნენ ცივ წყვილადში; ამ ცოდვილი, ნაპარავი სიყვარულის ხილვამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. საკუთარმა პატიოსნებამ შეზარა. ცხოვრების ფერხულიდან გამევეებულად იგრძნო თავი. ერთდერთმა ადამიანმა გაუხსნა გული, შეიყვარა, მან კი იმას სიცოცხლე და ბედნიერება მოუსწარავა. შერცხვენა, სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა; არავის სჭირდებოდა იგი, ცხოვრების ფერხულიდან გამევეებული იყო; მას კი კარგა ხანს ესმოდა კიდევ ორთქლმავლის ქშენა, რომელიც ქალის

სახელს იმეორებდა; ახლა აღარც ქალის სიახლოვეს გრძნობდა სიბნელეში, აღარც მისი ხმა სწვდებოდა ყურს. რამდენიმე წუთს იცდიდა, ყურგამახვილებული. აღარაფერი გაუგონია. მდუმარებდა ღამე. ისევ მიუგდო ყური-სრული მდუმარება სუფევდა ირგვლივ. და იგრძნო, რომ მარტოდმარტო იყო ქვეყანაზე.

He wondered at his riot of emotions of an hour before. From what had it proceeded? From his aunt's supper, from his own foolish speech, from the wine and dancing, the merry-making when saying good-night in the hall, the pleasure of the walk along the river in the snow. Poor Aunt Julia! She, too, would soon be a shade with the shade of Patrick Morkan and his horse. He had caught that haggard look upon her face for a moment when she was singing Arrayed for the Bridal. Soon, perhaps, he would be sitting in that same drawing-room, dressed in black, his silk hat on his knees. The blinds would be drawn down and Aunt Kate would be sitting beside him, crying and blowing her nose and telling him how Julia had died. He would cast about in his mind for some words that might console her, and would find only lame and useless ones. Yes, yes: that would happen very soon.

The air of the room chilled his shoulders. He stretched himself cautiously along under the sheets and lay down beside his wife. One by one, they were all becoming shades. Better pass boldly into that other world, in the full glory of some passion, than fade and wither dismally with age. He thought of how she who lay beside him had locked in her heart for so many years that image of her lover's eyes when he had told her that he did not wish to live.

Generous tears filled Gabriel's eyes. He had never felt like that himself towards any woman, but he knew that such a feeling must be love. The tears gathered more thickly in his eyes and in the partial darkness he imagined he saw the form of a young man standing under a dripping tree. Other forms were near. His soul had approached that region INVERSION where dwell the vast hosts of the dead. He was conscious of, but could not apprehend, their wayward and flickering existence. His own identity was fading out into a grey impalpable world: the solid world itself, which these dead had one time reared and lived in, was dissolving and dwindling.

A few light taps upon the pane made him turn to the window. It had begun to snow again. He watched sleepily the flakes, silver and dark, falling obliquely against the lamplight. The time had come for him to set out on his journey westward. Yes, the newspapers were right: snow was general all over Ireland, It was falling on every part of the dark central plain, on the treeless hills, falling softly upon the Bog of Allen and, farther westward, softly falling into the dark mutinous Shannon waves. It was falling, too, upon every part of the lonely churchyard on the hill where Michael Furey lay buried. It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, on the spears of the little gate, on the barren thorns. His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219);

თარგმანის პირველი ვერსია:

გეიბრიელი გაკვირვებული იხსენებდა თავისი ემოციების ამბოხს ერთი საათის წინ. საიდან მოვიდა ის? დეიდამისის ვახშიმიდან, ნადიმზე წარმოთქმული მისივე ტუტუცური სიტყვიდან, ღვინიდან და ცეკვიდან, ჰოლში დამშვიდობების მხიარულებიდან, მდინარის გაყოლებით თოვლში სიარულის სიამოვნებიდან. საბრალო დეიდა ჯულია! სულ მალე ისიც აჩრდილად იქცეოდა პატრიკ მორკანის და მისი ცხენის აჩრდილთან ერთად. გეიბრიელმა წამით მოიხელთა ღონემიხდილი გამომეტყველება დეიდა ჯულიას სახეზე, როცა ის „საქორწინოდ მორთულს“ მღეროდა. მალე შეიძლება გეიბრიელიც მჯდარიყო იმავე სალუნში, თალხად შემღსილი, მუხლებზე დადებული აბრეშუმის ქუდით. დარაბები ჩამოშვებული იქნებოდა, გვერდით ეჯდებოდა დეიდა კეიტი, რომელიც, ატირებული, წამდაუწყმ მოიხოცავდა ცხვირს და მოუყვებოდა, როგორ გარდაიცვალა ჯულია. გეიბრიელი გონებაში დაუწყებდა ძებნას იმ სიტყვებს, რომლებიც დეიდა კეიტს ანუგეშებდა, და მხოლოდ კოჭლ, უსარგებლო გამოთქმებს იპოვიდა. კი, კი, ეს ძალიან მალე მოხდებოდა.

ოთახში მდგარი ჰაერი ცივად გაუჯდა მხრებში. ფრთხილად შეწვა საბანქემ ცოლის გვერდით. ყველა ისინი სათითაოდ იქცეოდნენ ჩრდილებად. უმჯობესია გაბედული გადაბარება იმ ქვეყნად, რომელიმე სწრაფვის სრულ ბრწყინვალეობაში, ვიდრე ასაკთან ერთად ნაღვლიანად დაჭკნობა და ჩაქრობა. როგორ ატარა გულში თავისი შეყვარებულის თვალების ხატი ამდენ წელიწადს, მას შემდეგ, რაც იმან უთხრა, სიცოცხლე არ მინდაო,- ფიქრობდა გეიბრიელი.

თვალეზე დიდსულოვანი ცრემლები მოადგა. არასოდეს განუცდია რაიმე მსგავსი რომელიმე ქალის მიმართ, მაგრამ იცოდა, რომ ასეთი გრძნობა სიყვარული უნდა ყოფილიყო. კიდევ უფრო მეტი ცრემლი ჩაუგუბდა თვალეებში: ამ ოთახის ბინდში წარმოიდგინა ჭაბუკის ფიგურა წვეთებჩამომდინარე ხის ქვეშ. სხვა ფიგურებიც ახლოს იყვნენ. მისი სული მიუახლოვდა რეგიონს, რომელშიც მკვდრების მრავალრიცხოვანი გუნდები ბინადრობდნენ. გეიბრიელი აცნობიერებდა-თუმცა არ ესმოდა-მათს ახირებულ და მბჟუტავ არსებობას. თვით მისივე არსებაც ქრებოდა ნაცრისფერ ხელშეუხებელ სამყაროში. თვით ეს მყარი სამყაროც-ოდესღაც ამ მკვდრებით აგებულ-დასახლებული - ლღვებოდა და პატარავდებოდა.

რამდენიმე მსუბუქმა გაფაჩუნებამ ფანჯრის მინაზე თავი მოაბრუნებინა. ისევ თოვდა. ძილმორეული გაჰყურებდა ლამპიონის შუქზე ირიბად ვარდნილ ვერცხლისფერ და ჩაბნელებულ ფიფქებს. გეიბრიელს დასავლეთისკენ გამგზავრების დრო მოსვლოდა. ჰო, გაზეთები სიმართლეს იტყობინებოდნენ. მთელი დრლანდიის ტერიტორიაზე თოვდა. ათოვდა ბნელი ცენტრალური ვაკის თითოეულ გოჯს, შიშველ მთა-გორებს, რბილად

ათოვდა ალენის ჭანჭრობს და, კიდევ უფრო დასავლეთით, შანონის ბნელ, მოუსვენარ ტალღებს. ათოვდა მარტოხელა სასაფლაოს იმ ბორცვს, სადაც მაიკლ ფური იწვა. თოვლი სქლად ედო მოღუნულ ჯვრებს და საფლავის ქვებს, პატარა ჭიშკრის წვეტებს, უნაყოფო ეკლებს. გეიბრიელს სული მაშინ გაეთიშა ნელ-ნელა, როცა უსმენდა თოვლს, რომელიც შრიალით ცვიოდა სამყაროში და შრიალით ედებოდა - მათი საბოლოო დასასრულივით - ყველა ცოცხალს და ყველა მკვდარს (ჯოისი, 2014:231-232).

დანართი №4.26. მეორე ვერსია:

გეიბრიელმა გაოცებულმა გაიხსენა, რა ქარიშხალი უბოხოქრებდა სულში ერთი საათის წინ. რამ გამოიწვია ეს ქარიშხალი? დეიდების ვახშამმა, საკუთარმა ბრიყვულმა სადღეგრძელომ, ღვინომ და ცეკვამ, ხუმრობამ და სიცილმა დერეფანში დამშვიდობებისას, მდინარის გაყოლებით თოვლში სიარულისაგან მოგვრილმა სიამოვნებამ? საწყალი დეიდა ჯულია! ისიც სულ მალე იქცევა ჩრდილად, ისევე როგორც პატრიკ მორკანი და მისი ცხენი. რა განაწამები სახე ჰქონდა, რდღესაც იმ „საქორწინო სამოსელს“ მღეროდა. ალბათ სულ მალე მოუწევს იმავე სასტუმრო დარბაზში ჯდომა ძაძებით მოსილს, თავისი აბრეშუმის ცილინდრით მუხლებზე. ფარდები დამშვებული იქნება, დეიდა კედტაც გვერდით იჯდება, ტირილითა და ცხვირის ხოცვით უამბობს, როგორ მიიცვალა დეიდა ჯულია. ამაოდ დაუწყებს ძებნას სანუგეშო სიტყვებს, მხოლოდ უსარგებლო და ფუჭი ფრაზები მოაგონდება. დიახ, ეს სულ მალე მოხდება.

ოთახში გრილოდა და მხრებზე შესცივდა. ფრთხილად ჩაიწია საბანქვეშ. ცოლს გვერდით მიუწვა.

დღეს ერთი, ხვალ სხვა, საბოლოოდ კი ყველანი ჩრდილად იქცევიან. უმჯობესია, ვაჟკაცურად დასტოვდეს საწუთრდ და ვნებით გულადგზნებული წახვიდე იმქვეყნად, ვიდრე წლიდან წლამდე დაჰკნე, საწყალობლად დაჩაჩანაკდე. თურმე რამდენ წელს უტარებია ამ ქალს, ახლა რომ მის გვერდით იწვა, თვალეში თავისი მკვდარი სატრფოსი, თვალეში მაშინდელი, როცა ყმაწვილი სიცოცხლეზე ამბობდა უარს.

დიდსულოვნების ცრემლები ჩაუდგა თვალეში. თვითონ არასოდეს განუცდია მსგავსი რამ, არც ერთ ქალს არ გაუღვიძებია მის გულში ასეთი გრძნობა. მაგრამ დცოდა, სწორედ ეს იყო სიყვარული. ცრემლებმა მზერა დაუბინდა და ამ ბინდში თვალწინ წარმოუდგა ხატება გაწუწული ხის ქვეშ ატუზული ბიჭისა. იქვე სხვა ჩრდილებიც ისახებოდნენ. სული მისი იმ ზღვარს მდებარე, რომლის მიღმა საიქიოს ბინადარნი სუფევდნენ. გრძნობდა, თუმცა ვერ ჩასწვდომოდა მათს რიალსა და ცვალებადობას.

მისი საკუთარი არსება, მისი მეობა მთლიანად გაქრა, განქარდა ამ რუხ, მოუხელთებელ სამყაროში. ხილული, ხელშესახები სამყარო, რომელსაც ეს მიცვალებული ოდესღაც კმნიდნენ და აშენებდნენ, სამყარო, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ, თანდათანობით მქრქალდებოდა, იცრდიცებოდა, და ბოლოს, სულ მთლად უჩინარდებოდა.

მსუბუქმა შრდალმა ფანჯრისკენ მიახედა. ისევ დაიწყო თოვა. თვლემამორეული გასცქეროდა ვერცხლისფერ და მუქ ფიფქებს, ცენტად რომ მოფრინავდნენ ფარნის სინათლეში. მასაც უწია დაღმა სვლის ჟამმა. დიახ, გაზეთები მართალს წერდნენ: მთელს ირლანდიაში თოვდა. თოვდა ჩაბნელებულ ცენტრალურ ვაკეზე, ათოვდა უტყეო ბორცვებს, თოვლი ლბილად ეფინებოდა ალენის ქაობებს, უფრო შირს, დასავლეთით, მსუბუქად ეშვებოდა შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში. ათოვდა ეულ სასაფლაოს პატარა ბორცვზე, სადაც მაიკლ ფარეი განისვენებდა. თოვლი სქლად დასდებოდა წაფერდებულ ჯვრებსა და სამარის ქვებს, დაბალი ჭიშკრის ბოძებს, ეკლიან ბუჩქებს.

სმენას სწვდებოდა მსუბუქი ჩქამი და სული მისი ნელ-ნელა ინთქმებოდა თოვლის შრიალში. თოვლი ათოვდა მთელ დედამიწას, როგორც მოახლოება აღსასრულის ჟამისა; წყნარად ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც (ჯოისი, 1984:205-206).

დანართი №4.26. ტროპული მეტყველება–მეტაფორები:

ემოციების ამბოხს; სულ მალე ისიც აჩრდილად იქცეოდა; ყველა ისინი სათითაოდ იქცეოდნენ ჩრდილებად; უმჯობესია გაბედული გადაბარგება იმ ქვეყნად, რომელიმე სწრაფვის სრულ ბრწყინვალეობაში, ვიდრე ასაკთან ერთად ნაღვლიანად დაჭკნობა და ჩაქრობა; როგორ ატარა გულში თავისი შეყვარებულის თვალების ხატი ამდენ წელიწადს; / რა ქარიშხალი უბობოქრებდა სულში; საბოლოოდ კი ყველანი ჩრდილად იქცევიან; უმჯობესია, ვაჟკაცურად დასტოვო საწუთრო და ვნებით გულადგზნებული წახვიდე იმქვეყნად, ვიდრე წლიდან წლამდე დაჭკნე, საწყალობლად დაჩაჩანაკდე; თურმე რამდენ წელს უტარებია ამ ქალს, ახლა რომ მის გვერდით იწვა, თვალები თავისი მკვდარი სატრფოსი, თვალები მაშინდელი, როცა ყმაწვილი სიცოცხლეზე ამბობდა უარს; დიდსულოვნების ცრემლები ჩაუდგა თვალებში; არც ერთ ქალს არ გაუღვიძებია მის გულში ასეთი გრძნობა; სული მისი იმ ზღვარს მიეახლა, რომლის მიღმა საიქიოს ბინადარნი სუფევდნენ. მისი საკუთარი არსება, მისი მეობა მთლიანად გაქრა, განქარდა; ხილული, ხელშესახები სამყარო, რომელსაც ეს მიცვალებულნი ოდესღაც ქმნიდნენ და აშენებდნენ, სამყარო, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ, თანდათანობით მქრქალდებოდა, იცრიცებოდა, და ბოლოს, სულ მთლად უჩინარდებოდა;

დანართი №4.26. ეპითეტები: ტუტუცური სიტყვიდან; საბრალო დეიდა ჯულია! ღონემიხდილი გამომეტყველება; ჩაბნელებულ ფიფქებს; ბნელი ცენტრალური ვაკის; შიშველ მთა-გორებს; შანონის ბნელ, მოუსვენარ ტალღებს; ათოვდა მარტოხელა სასაფლაოს; / ბრიყვულმა სადღეგრძელომ; საწყალი დეიდა ჯულია! განაწამები სახე; სანუგეშო სიტყვებს; უსარგებლო და ფუჭი ფრაზები; რუხ, მოუხელთებელ სამყაროში; მუქ ფიფქებს; ჩაბნელებულ ცენტრალურ ვაკეზე; უტყეო ბორცვებს; შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში; ეულ სასაფლაოს; მსუბუქი ჩქამი.

დანართი №4.27. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

When we pulled out into the winter night and the real snow, our snow, began to stretch out beside us and twinkle against the windows, and the dim lights of small Wisconsin stations moved by, a sharp wild brace came suddenly into the air. We drew in deep breaths of it as we walked back from dinner through the cold vestibules, unutterably aware of our identity with this country for one strange hour before we melted indistinguishably into it again.

That's my middle west—not the wheat or the prairies or the lost Swede towns but the thrilling, returning trains of my youth and the street lamps and sleigh bells in the frosty dark and the shadows of holly wreaths thrown by lighted windows on the snow. I am part of that, a little solemn with the feel of those long winters, a little complacent from growing up in the Carraway house in a city where dwellings are still called through decades by a family's name (Fitzgerald,1984:126);/

თარგმანის პირველი ვერსია:

როდესაც კარგად ჩამოხნულდებოდა და ჩვენს მატარებელსაც ეღირსებოდა გასვლა, ჩვენებური, გვარიანი თოვლით ირგვლივ ყველაფერი გადაპენტილი იყო ხოლმე, დიდრონი ფანტელები ხილვადობას ამცირებდა და გზად უისკონსინის პატარა სადგურებიდან გამომავალი სინათლეებიც ძლივსღა ბჟუტავდა ფიფქებს მიღმა. ასეთ დროს, ზამთრის სპეტაკი ჰაერი თითქმის მხნელობით ივსებოდა და ავსებდა ყველაფერს. სწორედ ამ ჰაერს ვიყნოსავდით ღრმად, როდესაც ვაგონ-რესტორნიდან კუპეებში დაბრუნებისას დიუ ვაგონები უნდა გამოგვევლო და სადაც ვაცნობიერებდით, რომ ირგვლივ ყველაფერი მშობლიური და შინაურული იყო; თუმცა ასეთი მდგომარეობა დიდი-დიდი ერთ საათს გრძელდებოდა, მერე კი ისევ ვკარგავდით თავს და გარემოს ვერწყმოდით.

იცით, როგორ მახსენდება ჩემი შუა დასავლეთი: არც ხორბლეულით, არც კრეტიებით და არც მიკანტული შვედური დაბებით... ჩემს გონების თვალს სულ სხვა რამ ახარებს – ჩემი სიყრმისკენ მიმავალი ათუხთუხებული მატარებლები, ლამპიონები და ზანზალაკებიანი მარხილები სუსხიან ბინდბუნდში, სარკმელებიდან თოვლზე დაცემული აჩრდილის მაგვარი ჩრდილები...მე კი ამ ყველაფრის ნაწილი ვარ, ოდნავ ვსევდიანდები იმ გრძელი ზამთრების გახსენებაზე, თუმცა თავიც მომწონს, რომ ქარაუეების მშობლიურ სახლში გავიზარდე იმ ქალაქში, სადაც სახლებს ახლაც პატრონის გვარით მოიხსენიებენ (ფიცჯერალდი,2014:170);

დანართი №4.27. თარგმანის მეორე ვერსია:

მატარებელი რომ დაიძვრებოდა და ქმენით შეუტევდა ზამთრის ღამეს, ვაგონის ფანჯრებში ალიციციდებოდა ნამდვილი თოვლით, ჩვენებური თოვლით დაფარული მიდამო. დროდადრო გაიქროლებდა ვისკონსინის პატარა სადგურების მბჟუტავი შუქი; ჰაერი უეცრად გაიმსჭვალეობდა პირველყოფილი სიწმინდითა და სიმსუბუქით. ნასადილევეს, როცა ჩვენს ვაგონებში ვბრუნდებოდით, ცივ ბაქნებზე ხარბად ვსუნთქავდით ცინცხალ ჰაერს და ვგრძნობდით, რომ ამ მხარის ღვიძლი შვილები ვიყავით. ერთხანს ამ უცნაური განცდის მორჩილებაში გახლდით, მაგრამ თანდათან ისევ უკვალდ ვერწყმოდით მშობლიურ წიაღს.

ეს არის ჩემი შუა დასავლეთი - არა ყანები და მინდვრები, ან სადღაც ჩაკარგული შვედური ქალაქები, არამედ აი ეს თრთოლვის მომგვრელი მატარებლები, ჩემს ბავშვობაში სახლისაკენ რომ მიმაქროლებდნენ, ანდა ქუჩის შუქი თუ ცივის ჟღარუნი ყინვიან ღამეში, ან დეკას წნულების ჩრდილი, განათებული ფანჯრებიდან თოვლზე რომ ეფინებოდა. მეც ყოველივე ამის ნაწილი გახლავართ, ოდნავ დაღვრემილი - გრძელი ზამთრების გამო, ოდნავ თავდაჯერებული იმის გამო, რომ კაროუების ოჯახში ალვიზარდე. ალვიზარდე იმ ქალაქში, სადაც საცხოვრებელ სახლს დღესაც, წლების მანძილზე მფლობელის გვართ იხსენიებენ (ფიცჯერალდი, 1985:143).

დანართი №4.27. ლექსიკური გამეორებები:

ასეთ დროს, ზამთრის სპეტაკი ჰაერი თითქოს მხნეობით ივსებოდა და ავსებდა ყველაფერს. სწორედ ამ ჰაერს ვიყნოსავდით ღრმად, როდესაც ვაგონ-რესტორნიდან კუპეებში დაბრუნებისას ღია ვაგონები უნდა გამოგვევლო; იცით, როგორ მახსენდება ჩემი შუა დასავლეთი: არც ხორბლეულით, არც პრერიებით და არც მიკარგული შვედური დაბებით... ჩემს გონების თვალს სულ სხვა რამ ახარებს - ჩემი სიყრმისკენ მიმავალი ათუხთუხებული მატარებლები; თუმცა თავიც მომწონს, რომ ქარაუეების მშობლიურ სახლში გავიზარდე იმ ქალაქში, სადაც სახლებს ახლაც პატრონის გვართ მოიხსენიებენ; / ვაგონის ფანჯრებში ალიციციდებოდა ნამდვილი თოვლით, ჩვენებური თოვლით დაფარული მიდამო; ჰაერი უეცრად გაიმსჭვალეობდა პირველყოფილი სიწმინდითა და სიმსუბუქით. ნასადილევეს, როცა ჩვენს ვაგონებში ვბრუნდებოდით, ცივ ბაქნებზე ხარბად ვსუნთქავდით ცინცხალ ჰაერს; ეს არის ჩემი შუა დასავლეთი - არა ყანები და მინდვრები, ან სადღაც ჩაკარგული შვედური ქალაქები, არამედ აი ეს თრთოლვის მომგვრელი მატარებლები, ჩემს ბავშვობაში სახლისაკენ რომ მიმაქროლებდნენ; ოდნავ თავდაჯერებული იმის გამო, რომ კაროუების ოჯახში

აღვიწარდე. აღვიწარდე იმ ქალაქში, სადაც საცხოვრებელ სახლს დღესაც, წლების მანძილზე
მფლობელის გვართ იხსენიებენ.

დანართი №4.28. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

... Then I wandered down to the beach and sprawled out on the Anderson,

Most of the big shore places were closed now and there were hardly any lights except the shadowy, moving glow of a ferryboat across the Sound. And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world. Its vanished trees, the trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams; for a transitory enchanted moment man must have held his breath in the presence of this continent, compelled into an aesthetic contemplation he neither understood nor desired, face to face for the last time in history with something commensurate to his capacity for wonder.

And as I sat there brooding on the old, unknown world, I thought of Gatsby's wonder when he first picked out the green light at the end of Daisy's dock. He had come a long way to this blue lawn and his dream must have seemed so close that he could hardly fail to grasp it. He did not know that it was already behind him, somewhere back in that vast obscurity beyond the city, where the dark fields of the republic rolled on under the night.

Gatsby believed in the green light, the orgiastic future that year by year recedes before us. It eluded us then, but that's no matter—tomorrow we will run faster, stretch out our arms farther.... And one fine morning—

So we beat on, boats against the current, borne back ceaselessly into the past (Fitzgerald, 1984:129).

თარგმანის პირველი ვერსია:

მერე სანაპიროზე დავეშვი და ქვიშაზე გავიშხლართე.

სანაპირო აგარაკების უმრავლესობა დაცარიელებულიყო და შუქიც არსაიდან გამოდიოდა. წყალზე მხლელდ ყურეში მლტიგტივე ბღრნის მღციმციმე სინათლე ლიცლიცებდა ღდნავ შესამჩნევად. ნელ-ნელა მთვარეც აიწია და არაფრისმთქმელი ნაგებობების კონტურები სრულიად გაინამქრა სივრცეში; ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს იმ კუნძულზე ვიყავი, პირველად ჩამოსულმა ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა რომ იხილეს - ახალი სამყაროს მწვანე, ნორჩი გულმკერდი. მისი ხეების შრიალი კი, გეტსბის კარმიდამოზე რომ ხარობდნენ, ოდესღაც კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ღცნების საგალღბლად ხმიანობდა; ალბათ, ახალი კონტინენტის მნახველი ადამიანი ერთი მომაჯადოებელი წამით გაირინდა, რადგან უნებურად საოცარი სურათი გადაეშალა

თვალწინ, რომელსაც არც მოელოდა და არც ეძებდა, - ისტორიამ ხომ უკანასკნელად დააყენა ადამის ნაშთიერი მასში ჩადებული აღფრთოვანების უნარის შესატყვისი სანახაობის პირისპირ.

მე კვ ვეჯექვ და ვფიქრობდვ, როგორღ აღფრთოვანება დაეუფლებოდა გეტსბის, როდესაც ამ ქვიშაზე სეირნობისას პირველად გაარჩევდა დეიზის სხლთაჲ ნავმისადგომის მწვანე სინათლეს.

მას გრძელი გზის გამძვლა მოუწია ამ მწვანე მდელღებამდე და ისე მიუახლოვდა თავის ღცნებას, რომ ერთი ხელის გაწვდენაზე ეგონა. ის კი არ იცოდა, რომ ღცნება უკან დარჩენილიყო, სადღაც იმ მოქუფრული ქლაქის მიღმა, ღამღამობით რომ ჩანდა ამ ადგილიდან. მისი სანუკვარი ღცნება უკვე ღამის ცის ქვეშ გაწოლილი უკიდეგანო ველ-მინდვრების საკუთრებად ქცეულიყო.

გეტსბის მწვანე სინათლის სჯეროდა, თავაშვებული მომავლის სიმბოლოსი, რომელიც წლითი წლობით გვეცლება ხელიდან.

ღიახ, ეს ყველაფერი ხელიდან დაგვისხლტა, მაგრამ რა უჭირს - ხვალიდან ფეხს ავაჩქარებთ, ხელებს გავიწვდენთ...და ერთ მშვენიერ დღესაც ... ნიჩბებს მთელი ძალით ვუსვამთ, ღინების საწინააღმდეგოდ მიცურავთ და უკანვე ვშვებით შეუჩერებლად ჩვენს წარსულში (ფიცჯერალდი,2014:175-176);

თარგმანის მეორე ვერსია:

მერე ჩავედი სანაპიროზე და სილაში გავიშხლართე.

სანაპიროზე გაშენებული ყველა დიდი აგარაკი უკვე გამოეკეტათ, სინათლე არსადიდან მოჩანდა, ოდნავ ბჟუტავდა მხოლოდ ბორანი, რომელიც სრუტეს გარდიგარდმო სერავდა ხლღმე. მთვარე მაღლა და მაღლა მიცურავდა. თანდათან უჩინარდებოდა შენობები, ვით რაღაც უმნიშვნელო რამ და მე წარმოვიდგინე ეს კუნძული უკაცრიელი, ვით იმ უძველეს დროს, როცა ჰოლანდიელ მეზღვაურთა თვალწინ პირველად გადაიშალა იგი, როგორც ახალი სამყაროს მწვანე, ლორთქო გულმკერდი. აწ გარდასულ ხეთა ჩრდილში, იმ ხეთა ჩრდილში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს, მათ ჩურჩულ-შრიალში, იფურჩქნებოდა საბლღღ და უდიდესი ღცნება ადამიანისა. ამ მიწის ხილვით წამიერად მოხიბლულ ადამიანს, რომელიც, ისტორიაში უკანასკნელად, პირისპირ იდგა რაღაც ისეთთან, რაც შეესაბამებოდა გაოცებისა და აღფრთოვანების მისეულ უნარს, უთუოდ სულთქმა შეეკვროდა და დაემორჩილებოდა მშვენიერების ჭვრეტის მომნუსხავ ძალას, თუმც არც ესმოდა იგი და არც ენატრებოდა.

სანაპიროზე გაშლართული, ოცნებით ვხედავდი ძველ, უცნობ სამყაროს და იმაზე ვფიქრობდი, როგორ გაოცდებოდა გეტსბი, როცა პირველად შენიშნავდა მწვანე შუქს დეიზის ნავმისადგომის კიდეზე. გრძელი გზა გამოიარა, ვიდრე ამ ლურჯ ბაღნარში დაივანებდა. თავისი ოცნება აქ ისე ახლო და ხელშესახები ეჩვენებოდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ თვალსა და ხელს შუა გამოეცლებოდა იგი. როდი ეგონა, თუ ყველაფერი უკვე განვლილი იყო, ჩამოტოვებული ჰქონდა სადღაც უკან, ამ ქალაქის მიღმა განრთხმულ უსასრულო ბნელეთში, სადაც რესპუბლიკის მრუბე მინდვრები ღამეული ცის ქვეშ ლივლივებდნენ.

გეტსბის სწამდა მწვანე შუქისა, სწამდა სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების, რომელიც ყოველ წელს სულ უკან-უკან მიიწევს ჩვენგან, მერე რა მოხდა, თუ ახლა გაგვისხლტა, ხვალ უფრო ჩქარა გავიქცევით, უფრო შორს გავიწვდით ხელეებს... და ერთ მშვენიერ დილას...

ასე ვებრძვით დინებას და აღმა მიგვეყვავს ჩვენი ხომალდი, მაგრამ ცხოვრება მიწყვიტ უკანვე გვრიყავს, წარსულისაკენ (ფიცჯერალდი, 1985:147-148).

დანართი №4.28. ეპითეტები:

მოციმციმე სინათლე; არაფრისმთქმელი ნაგებობების; ახალი სამყარო; კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ოცნება; მომაჯადოებელი წამი; საოცარი სურათი; მწვანე სინათლე; მწვანე მდებლობამდე; სანუკვარი ოცნება; უკიდევანო ველ-მინდვრები; თავაშვებული მომავლის; ერთ მშვენიერ დღესაც; / კუნძული უკაცრიელი; უძველეს დროს; ახალი სამყარო; გარდასულ ხეთა ჩრდილში; საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა; მოხიბლულ ადამიანს; მომნუსხავ ძალას; ძველ, უცნობ სამყაროს; მწვანე შუქს; გრძელი გზა; განრთხმულ უსასრულო ბნელეთში; მრუბე მინდვრები; ღამეული ცის; სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების; ერთ მშვენიერ დილას...;

დანართი №4.28. მეტაფორები:

მისი სანუკვარი ოცნება უკვე ღამის ცის ქვეშ გაწოლილი უკიდევანო ველ-მინდვრების საკუთრებად ქცეულიყო; გეტსბის მწვანე სინათლის სჯეროდა, თავაშვებული მომავლის სიმბოლოსი, რომელიც წლითი წლობით გვეცლება ხელიდან; ეს ყველაფერი ხელიდან დაგვისხლტა, მაგრამ რა უჭირს - ხვალიდან ფეხს ავაჩქარებთ, ხელეებს გავიწვდენთ; ნიჩბებს მთელი ძალით ვუსვამთ, დინების საწინააღმდეგოდ მივცურავთ და უკანვე ვეშვებით

შეუჩერებლად ჩვენს წარსულში; / ახალი სამყაროს მწვანე, ლორთქო გულმკერდი; აწ გარდასულ ხეთა ჩრდილში, იმ ხეთა ჩრდილში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს, მათ ჩურჩულ-შრიალში, იფურჩქნებოდა საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა; ოცნებით ვხედავდი ძველ, უცნობ სამყაროს; გრძელი გზა გამოიარა, ვიდრე ამ ლურჯ ბაღნარში დაივანებდა; თავისი ოცნება აქ ისე ახლო და ხელშესახები ეჩვენებოდა, სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების, რომელიც ყოველ წელს სულ უკან-უკან მიიწევს ჩვენგან; მერე რა მოხდა, თუ ახლა გაგვისხლტა, ხვალ უფრო ჩქარა გავიქცევით, უფრო შორს გავიწვდით ხელეებს; ასე ვებრძვით დინებას და აღმა მიგვეყვავს ჩვენი ხომალდი, მაგრამ ცხოვრება მიწივით უკანვე გვრიავს, წარსულისაკენ.

ლექსიკური გამეორება:

წყალზე მხოლოდ ყურეში მოტივტივე ბორნის მოციმციმე სინათლე ლიცლიცებდა ოდნავ შესამჩნევად; კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ოცნება; მწვანე სინათლე; მიუახლოვდა თავის ოცნებას; ოცნება უკან დარჩენილიყო; მისი სანუკვარი ოცნება; გეტსბის მწვანე სინათლის სჯეროდა; / ოდნავ ბჟუტავდა მხოლოდ ბორანი; საბოლოო და უდიდესი ოცნება; ოცნებით ვხედავდი ძველ, უცნობ სამყაროს; თავისი ოცნება; გეტსბის სწამდა მწვანე შუქისა; აწ გარდასულ ხეთა ჩრდილში, იმ ხეთა ჩრდილში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს;

დანართი №4.29. თარგმანი ინგლისურიდან:

I had fair years to waste, years that I can't honestly regret , in seeking the eternal Carnival by the Sea. Once in the middle twenties I was driving along the High Corniche Road through the twilight with the whole French Riviera twinkling on the sea below. It was not Monte Carlo I was looking at. It was back into the mind of the young man with cardboard soles who had walked the streets of New York. I was him again- for an instant I had the good fortune to share his dreams, I who had no dreams of my own. And there are still times when I creep up on him , surprise him on an autumn morning in New York or a spring night in Carolina when it is so quiet that you can hear a dog barking in the next county. But never again as during that all too short period when he and I were one person, when the fulfilled future and the wistful past were mingled in a single gorgeous moment-when life was literally a dream (Fitzgerald,1965:62).

კიდევ ბლომად წლები უნდა გამეფლანგა, წლები, რომელთაც მართლა არ ვნანობ, ზღვის პირას მარადიული დღესასწაულის ძიებაში. ერთხელაც, ოციანი წლების შუაგულში ხმელთაშუა ზღვის მაღლობი სანაპიროს მოსეხე შებინდებულზე მანქანით მივდიოდი, ქვევით კი მთელი ფრანგული რივიერა წყალში არეკლილი ციმციმებდა. მონტე-კარლოს არ ვუცქერდი მაშინ. ურამედ იმ ახალგაზრდა კაცის გონებაში დავბრუნდი კვლავ, კარდონის ძირიანი ფეხსაცმლით ნიუ-იორკის ქუჩები რომ ჰქონდა შემოვლილი. ესეც იმად ვქექ - წამით ბედმა გამიღიმა და კვლავ მისი ოცნებების მოზიარე გავხდი, მე, რომელსაც უკვე აღარ გამაჩნდა სანუკვარი ოცნებანი. ახლაც, ხანდახან ხდება ხოლმე, რომ ჩუმად მივეპარები მას, გავატყებ შემოდგომის რომელიმე დილით ნიუ იორკში ან გაზაფხულზე ღამით კაროლინაში, როცა ისეთი სიწყნარეა, მეზობელ საგრაფოში ძაღლის ყეფას გაიგებ. მაგრამ ეს ვერ შეედრება იმ რამდენიმე წამს, რაც ზღვის პირას განვიცადე, როცა მე და ის კვლავ ერთი პიროვნება ვიყავით, როცა იმედებით სავსე მძმავალი და უკვე მონატრებული წარსული ერთ დიდებულ წუთად იქცა - როცა სიცოცხლე ნამდვილ ოცნებას ჰგავდა.

One evening

He was found lying on the ground. No one had missed him. No one was looking for him. An old woman found him. To put it vaguely. It happened so long ago. She was straying in search of wild flowers. Yellow only. With no eyes but for these she stumbled on him lying there. He lay face downward and arms outspread. He wore a greatcoat in spite of the time of year. Hidden by the body a long row of buttons fastened it all the way down. Buttons of all shapes and sizes. Worn upright the skirts swept the ground. That seems to hang together. Near the head a hat lay askew on the ground. At once on its brim

and crown. He lay inconspicuous in the greenish coat. To catch an eye searching from afar there was only the white head. May she have seen him somewhere before? Somewhere on his feet before? Not too fast. She was all in black. The hem of her long black skirt trailed in the grass. It was close of day. Should she now move away into the east her shadow would go before. A long black shadow. It was lambing time. But there were no lambs. She could see none. Were a third party to chance that way theirs were the only bodies he would see. First that of the old woman standing. Then on drawing near it lying on the ground. That seems to hang together. The deserted fields. The old woman all in black stockstill. The body stockstill on the ground. Yellow at the end of the black arm. The white hair in the grass. The east foundering in night. Not too fast. The weather. Sky overcast all day till evening. In the west-north-west near the verge already the sun came out at last.

Rain? A few drops if you will. A few drops in the morning if you will. In the present to conclude. It happened so long ago. Cooped indoors all day she comes out with the sun. She makes haste to gain the fields. Surprised to have seen no one on the way she strays feverishly in search of the wild flowers. Feverishly seeing the imminence of night. She remarks with surprise the absence of lambs in great numbers here at this time of year. She is wearing the black she took on when widowed young. It is to reflower the grave she strays in search of the flowers he had loved. But for the need of yellow at the end of the black arm there would be none. There are therefore only as few as possible. This is for her the third surprise since she came out. For they grow in plenty here at this time of year. Her old friend her shadow irks her. So much so that she turns to face the sun. Any flower wide of her course she reaches sidelong. She craves for sundown to end and to stray freely again in the long afterglow. Further to her distress the familiar rustle of her long black skirt in the grass. She moves with half-closed eyes as if drawn on into the glare. She may say to herself it is too much strangeness for a single March or April evening. No one abroad. Not a single lamb. Scarcely a flower. Shadow and

rustle irksome. And to crown all the shock of her foot against a body. Chance. No one had missed him. No one was looking for him. Black and green of the garments touching now. Near the white head the yellow of the few plucked flowers. The old sunlit face. Tableau vivant if you will. In its way. All is silent from now on. For as long as she cannot move. The sun disappears at last and with it all shadow. All shadow here. Slow fade of afterglow. Night without moon or stars. All that seems to hang together. But no more about it.

სახელდებიითი წინადადებები

The deserted fields. The old woman all in black stockstill. The body stockstill on the ground. Yellow at the end of the black arm. The white hair in the grass. The east foundering in night. Not too fast. The weather. Sky overcast all day till evening; No one abroad. Not a single lamb. Scarcely a flower. Shadow and rustle irksome. And to crown all the shock of her foot against a body. Chance; Black and green of the garments touching now. Near the white head the yellow of the few plucked flowers. The old sunlit face. Tableau vivant if you will. In its way; All shadow here. Slow fade of afterglow. Night without moon or stars. All that seems to hang together. But no more about it.

ერთ საღამოს

კაცი მიწაზე მწოლიარე ნახეს. არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას. ერთმა მოხუცმა ქალმა იპოვა. თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს ისე დიდი ხნის წინ მოხდა. ქალი ველური ყვავილების მოსაძებნად დაეხეტებოდა. მარტო ყვითლების. თვალეები მხოლოდ მათთვის ჰქონდა გაფაციცებული, როცა მწოლიარეს გადააწყდა. კაცი პირქვე იწვა მკლავებგაშლილი. გრძელი პალტო ეცვა მიუხედავად სეზონისა. ბოლომდე შეკრული ღილების გრძელი მწკრივით, პირქვე მწოლიარე სხეულს რომ დაეფარა. ღილები- ყველა ზომის და ფორმის. სწორად დაშვებული ქვედაბოლო ქალს მიწაზე ეთრეოდა. ეს უკვე მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს. თავთან ახლოს შლაპა იდო მიწაზე. მიწას ეხებოდა ქუდის ფარფლიცა და გვირგვინიც. შეუმჩნევლად იწვა კაცი მომწვანო პალტოში. ფხიზელი თვალი შორიდან მხოლოდ ჭაღარა თავს შეამჩნევდა. სადმე ადრე ხომ არ შეიძლებოდა ენახა ქალს იგი? სადმე ადრე ფეხზე მოსიარულე? ასე ძალიან ნუ ავჩქარდებით. თავით ფეხამდე შავებში იყო ქალი ჩაცმული. გრძელი შავი კაბის ქობა ბალახზე ეთრეოდა. დღე იწურებოდა. აღმოსავლეთისკენ რომ გადაენაცვლებინა ქალს, ჩრდილი წინ გაუძღვებოდა. გრძელი შავი ჩრდილი. დღლის დრღ იყო. მაგრამ ბატკნები არ ჩანდნენ. ვერც ერთს ვერ ხედავდა. რომ მოხვედრილიყო იმ მხარეს კიდევ მესამე ადამიანი, მხოლოდ ამ ღრ სხეულს შეამჩნევდა. პირველად მოხუც ქალს, ფეხზე მდგომარეს. მერე, უფრო მთახლელებული, მიწაზე მწოლიარეს.

ეს უკვე მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს. მიტოვებული მინდვრები. მოხუცი ქალი მთლად შავებში უძრავად. სხეული მიწაზე უძრავად. ყვითელი ფერი შავი მკლავის ბოლოს. ჭადრაქ თმა ბალახში. აღმოსავლეთი ღამეში იძირება. ასე ძალიან ნუ ავჩქარდებით. ამინდი. ცა მოღუშული მთელი დღე, საღამომდე. დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთით კიდესთან ახლოს, როგორც იქნა მზე გამოვიდა. წვიმა? რამდენიმე წვეთი, თუ ამას წვიმა ჰქვია. რამდენიმე წვეთი დილით, თუ ამას წვიმა ჰქვია. აწმყო დროში დასასრულისთვის. ეს ისე დიდი ხნის წინ მოხდა. გამომწყვდელი მთელი დღე სახლში, ქალი მხესთან ერთად გამოდის გარეთ. ჩქარობს მინდვრების მოვლას. გაკვირვებული, რომ არავინ შეხვდა გზად, ციებ-ციხელებიანივით დაეხეტება ყვითელი ყვავილების მოსაძებნად. ციებ-ციხელებიანივით უმზერს ღამის ჩამოწოლას. გაკვირვებულია, რომ წლის ამ დროს ბლომად ბატკნებს ვერ ხედავს. შავები აცვია და ასეა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა დაქვრივდა. შავი სამოსით უნდა გააღმაზოს ეს საფლავი, საიტკენაც მიიწევს იმ ყვავილების ძიებაში, რომლებიც მის ქმარს უყვარდა. შავად შემოსილ მკლავს ყვითელი ფერი აკლია, მაგრამ ამაოდ; თითქმის არა ჩანს ყვავილები. ამაზე ცოტა რაღა იქნება. ეს ქალისთვის მესამე სიურპრიზია, რაც გარეთ გამოვიდა. რადგან ისინი ბლომად იზრდება ამ ადგილებში წლის ამ დროს. ძველი მეგობარდ, თავისდ ჩრდილდ თავს აბეზრებს. იმდენად, რომ მზისკენ სახით ტრიალდება. გზად შემხვედრ ერთი-ორ ყვავილს გვერდულად ეხება. ნატრობს მზე ძალე ჩავიდეს, რომ მერე მწუხრში თავისუფლად იაროს. ამ გასაჭირს გრძელი შავი ქვედაბოლოს ნაცნობი შარი-შური ემატება ბალახში. ქალი ნახევრად დახუჭული თვალებით მოძრაობს, თითქოსდა მზის კამკამა შეუქსაა მიჯაჭვული. შეიძლება საკუთარ თავს ეუბნება კიდევ, რომ ერთი მარტის თუ აპრილის საღამოსთვის მეტისმეტად ბევრი უცნაურობაა. კაცის შვილი არ ჩანს. არც ერთი ბატკანი. ათასში ერთი ყვავილი. ჩრდილი და შარი-შური გამაღიზიანებელი. და ყველაფერი ამას აგვირგვინებს შოკის განცდა, როცა მისი ფეხი მწოლიარეს შეეხო. შემთხვევა. არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას. მათი სამოსის შავი და მწვანე ახლა ერთმანეთს ეხება. ჭადრაქ თავის ახლოს რამდენიმე მოწყვეტილი ყვავილის სიყვითელე. მზით განათებული, მოხუცებული სახე. ცოცხალი სურათი, თუ გნებავთ. თავისებურად. ამ წუთიდან სიჩუმე ისადგურებს. იქამდე, სანამ ქალი მოძრაობას შესძლებს. ბოლოს და ბოლოს მზე თვალს ეფარება და მასთან ერთად ჩრდილებიც. ყველა ჩრდილი რაც აქაა. მწუხრიც ინავლება. ღამე მთვარისა და ვარსკვლავების გარეშე. ეს უკვე მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს. მაგრამ ამაზე მეტი აღარაფერი.

ლექსიკური საშუალებები:

ბოლომდე შეკრული ღილების გრძელი მწკრივით, პირქვე მწოლიარე სხეულს რომ დაეფარა. ღილები–ყველა ზომის და ფორმის; თავთან ახლოს შლაპა იდო მიწაზე. მიწას ეხებოდა ქუდის ფარფლიცა და გვირგვინიც; აღმოსავლეთისკენ რომ გადაენაცვლებინა ქალს, ჩრდილი წინ გაუძღვებოდა. გრძელი შავი ჩრდილი; მოხუცი ქალი მთლად შავებში უძრავად. სხეული მიწაზე უძრავად; გაკვირვებული, რომ არავინ შეხვდა გზად, ციებ-ცხელებიანივით დაეხეტება ყვითელი ყვავილების მოსაძებნად. ციებ-ცხელებიანივით უმზერს ღამის ჩამოწოლას; ძველი მეგობარი, თავისი ჩრდილი თავს აბეზრებს; ჩრდილი და შარი-შური გამაღიზიანებელი; ბოლოს და ბოლოს მზე თვალს ეფარება და მასთან ერთად ჩრდილებიც. ყველა ჩრდილი რაც აქაა.

დანართი № 4.6. თარგმანი-ინვერსიული წყობის შენარჩუნება:

ემზადებოდა კეისარი ლაშქარში წასასვლელად (ბარნოვი, 1943:265);

In preparation to join the army was the Ceasar. მიუხედავად იმისა, რომ ეს წინადადება გრამატიკულად სწორია, მაინც ცოტა ხელოვნურად გამოიყურება მისი წყობა.

და გაუძღვა ნინო ქალი თვის თანამგზავრებს (ბარნოვი, 1943:261);

And led Nino her companions. ამ წინადადების თარგმანი ცხადყოფს, რამდენად კარგად ერგება ინვერსიულ წინადადებას კავშირი და არა როგორც მაკავშირებელი ელემენტი, არამედ როგორც კიდევ ერთი დამატებითი მარცვალი, რაც ხშირ შემთხვევაში ეპიკური თხრობის განწყობას ქმნის.

დაფიქრდა ერთ ხანს იმპერატორი (ბარნოვი, 1943:253);

(And) thinking sat there the Emperor; თარგმანმა მოითხოვა მიმღეობური კონსტრუქციით აგვეგო წინადადება. Thought for a while the Emperor - ნაკლებად მისაღები იქნებოდა. ასევე საჭიროდ მივიჩნიეთ კავშირი და-ს თავკიდური პოზიცია.

უწყო დედოფალმა გამოკითხვა (ბარნოვი, 1943:250);

Began the Queen to inquire. თარგმანის რიტმულობის ექსპრესიას გამოხატულს ინვერსიით, აძლიერებს [n] [k] ბგერების ალიტერაციაც.

დააფიქრა პონტოელის წერილმა მირიანი (ბარნოვი, 1943:256);

Hanibal's letter from Ponto set Mirian thinking; ამ წინადადებაში ვერ შენარჩუნდა ინვერსია. ჩვენი აზრით, ეს გამოიწვია ფრაზულმა ზმნამ „დააფიქრა“ (set somebody thinking).

ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული (ბარნოვი, 1943:342);

And returned to its bed the river Aragvi, serene once again. აქაც ვარჩიეთ და კავშირით წინადადების დაწყება, რაც გვიკარნახა „ც“ ნაწილაკმა (არაგვიც). აქვე გვაქვს [r] ბგერის ალიტერაცია და [i] ხმოვნის ასონანსიც.

მოადგა სასახლეს მეუდაბნოე (ბარნოვი, 1943:265);

There came a desert monk to the palace. მოძრაობის, მიმართულების გამომხატველმა ზმნამ მოითხოვა წინადადების დაწყება ფუნქციონალური სიტყვით there, რომელიც აქ არ ითარგმნება.

იწყება მუხნარი (გამსახურდია, 1959:11);

There begins the grove of oaks.

გამავდნენ ხის სილუეტები (გამსახურდია,1959:11);

Black became the tree silhouettes.

ღია ფანჯარაში შემოდის ნოტიო (ლორთქიფანიძე,1992:119);

Through the open window is coming the damp;

ასე ბრძანებს პროლეტარიატი (კოტეტიშვილი. 2012:11);

Thus commands the proletariat.

დანართი № 4.7. თარგმანი: მსაზღვრელ-საზღვრულს შორის ინვერსიის შენარჩუნება:

აღმოსავლეთ მხარეს ლოდი ვეება (ბარნოვი,1943:303);

To the west a rock enormous;

ჩადგა არაგვიც თავის ქერქში დაწყნარებული (ბარნოვი,1943:342);

And returned to its bed the river Aragvi serene once again; [r] ბგერის ალიტერაცია და [i] ხმოვნის ასონანსი.

მიყუჩდა ბრძოლა საზარელი (ბარნოვი,1943:352);

And over was the fight frightening and dreadful; რიტმულობის აქცენტის გადაწევის მიზნით, თავს უფლება მივეციტ ეპითეტი „საზარელი“ გაგვეორმაგებინა, მით უმეტეს, რომ ნაწარმოებში აღწერილი მართლაც შესაზარი ბრძოლის სურათი ამის საშუალებას იძლევა; ამას ემატება [f] ალიტერაცია [ai] ასონანსი [fait- frait] შინაგანი რითმი.

საღამო აუქმებული (ლორთქიფანიძე,1958:99);

The evening, time to rest.

ჰამადანის თავზე ალიონია მტრედისფერი (რობაქ:1989:28);

Over the Hamadan there hangs the dawn iridescent; ინვერსია შენარჩუნდა და გაჩნდა [h-h-d-d] სიმეტრიული ალიტერაციაც.

მიზგითი ძველი...კოშკები ნგრეული (რობაქიძე,1989:11);

The old mosque... the ruined casles. მსაზღვრელ-საზღვრულს შორის პოსტმოზიცია ვერ შენარჩუნდა, მაგრამ რიტმულობის კომპენსაცია მოხერხდა ჩამოთვლის და მსგავსი სინტაგმების ხარჯზე.

ღამეა მთვარით განათებული (რობაქ:1989:15);

The night lit by the moon. ამჯერად ზუსტად მოხერხდა ინვერსიის შენარჩუნება, თუმცა შესაძლოა გვექონოდა უფრო დაწურული ვარიანტი The moon-lit night, რომელიც ასევე არ არის მოკლებული ექსპრესიას, მაგრამ დედნისეულ ინვერსიას ვერ იმეორებს.

დანართი №4.8. თარგმანი: წინადადების მოდალობა:

ასეთ ნობათს განა კალმით ეუბნებიან პასუხს?! ქალს არ შეუძლია ბარათის დაწერა!
ქალს არ შეიძლება ბარათი მისწეროს კაცმა! (ლორთქიფანიძე,1992:110);

They do not usually respond to such a gift with a letter, do they? A woman may not write a
card! A man may not write a card to a woman!

არა, შენს სახელს არ დავწერ! ან კი რა საჭიროა? განა თოვლი პირველად შენ სახელს
არა სწერს თეთრი ზოლებით? (ლორთქიფანიძე,1992:111);

No, I will not write your name! And do I have to, really? It is your name that the snow
writes first in white lines, isn't it?

მზე მზადაა დაჰკაფოს არე. რა შეაჩერებს?! რა გაუძლებს?! (რობაქიძე,1989:124);

The sun is ready to chop the space. Can anything stop it? Can anything resist it?

ვინ არ ახსოვს მას?! არტისტი: ქალი თუ ვაჟი?! რა არ იცის კულისების მესაიდუმლემ?!
მესაიდუმლემ?! რომელი კაპრიზი არ ახსოვს და რომელი ტემპერამენტი?! რამდენ
არტისტულ გამარჯვების მონაწილე ყოფილა?! (რობაქიძე,1989:214);

Is there anybody who he does not remember?! Any artist, a woman or a man? Is there
anything that he, the confidant in the backstage, does not know? Is there any caprice or
emotional character that he does not remember? And he has contributed to so many artistic
victories!

დანართი №4.9. თარგმანი-უსრული ასპექტის გადატანა:

მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე; ...ადამიანი ადამიანს ეძებს ტყეში; სიკვდილის უშველებელი ფრთა აწევს ამ კაცს სახეზე; თეთრ სილუეტს ვიღაც თალხიანი მისდევს (გამსახურდია, 1959:11-12);

I am treading my dark path alone;...A human being is looking for another human in the forest; A vast wing of death is lying on the face of the man; The white silhouette is followed by somebody dressed in dark clothes.

ღია ფანჯარაში შემოდის ნოტიო;...წვრილათ სწვიმს; სიჩუმეა; მოისმის მხოლოდ წვეთების ჭყაპა-ჭყუპი (ლორთქიფანიძე,1992:119)

Through the open window is coming the damp; It is drizzling; Silence; Only the splish-splash of raindrops is heard.

დრო გადიოდა; წელიწადი წელიწადს მისდევდა; არ ბერდებოდა მხოლოდ ცხოვრება; ცხოვრება ამ დროს საოცარ სასწაულებს ამზადებდა (კოტეტიშვილი.2012:11);

Time was passing; The year was following another year; Only the life was not getting old; The life was preparing incredible miracles all along.

დანართი №4.10. თარგმანი: ქვემდებარის ბოლოკიდური პოზიციის შენარჩუნება:

აჩნდნენ დედოფალი, ხვარამზე, სეფე ქალნი (ბარნოვი,1943:340); Into the sight came the queen, Kvaramze, maids of honour.

მთისკენ ვიდოდნენ ქადაგი და მის მოწაფენი (ბარნოვი,1943:316);

Towards the mountain headed the preacher and her disciples.

შეწყდა შემდეგ ხმაურობა და ცეცხლთა ფრქვევა არმაზის მხარეს (ბარნოვი,1943:342);

Then ceased noise and fire shooting in the area of Armaz.

შეუწყვეტლად მოდიოდნენ ახლოველნი თუ შორეულნი(ბარნოვი,1943:344);

Ceaseless was the flow of the locals and those of distant visitors. სტრუქტურულად უფრო ზუსტი თარგმანი იქნებოდა შემდეგი: Ceaselessly were coming both local people and distant visitors.

ნაპრალში შხუის, სჩქეფს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958: 212);

The river is rushing, splashing and leaping in the crevice. ეს ამ შემთხვევაში ინგლისურისთვის უფრო ბუნებრივი წყობაა, თუმცა შეიძლება დედანთან მეტი სიახლოვის მიზნით სხვაგვარადაც ითარგმნოს: In the crevice rushing, splashing and leaping runs the river ან Rushing, splashing and leaping runs the river in the crevice.

დანართი №4.11. თარგმანი-სინონიმია:

რა მშვენიერი, რა დიდებული არის ზღვა! (ლორთქიფანიძე, 1992:123);

What a beautiful, what a majestic thing is the sea;

კედლებზე უთვალავი ობობა და უთვალავი ქსელი (რობაქიძე,1943:143);

Numerous spiders and numerous cobwebs on the walls.

ქმნიდა ახალ ცხოვრებას, ახალ წესწყობილებას (კოტეტიშვილი.2012:14);

It was forming a new life, a new order .

რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214);

So much fire and so much burning and so much feasting. And now, there are only ashes and a desert inside him ;

ჩვენს დარდსა და ჩვენს გულის ჭირს.; ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს ; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები...(გამსახურდია,1959:7);

Our grief and our heartache, our smiles and our tears, all, all of them will be taken away by the clocks...;

არ მინდა არც შენი სიახლოვე, არც შენი სიყვარული, არც თანაგრძნობა ... (ლორთქიფანიძე,1992:107);

I want neither your closeness, nor your love, nor compassion.

დანართი №4.12. თარგმანი-განკერძოება:

ფერდობში, ბალახის ძირებში მიძვრება რუ (ლორთქიფანიძე,1958: 212);

On the slope, in roots of the grass is running the creek.

ხალხი: უცხო ცეცხლით ამწვარი: მოუსვენარი და დაუდეგარი (რობაქიძე,1989:120);

The people—burnt by the unfamiliar fire: restless and reckless;

არის ამ გრიალში რაღაც უცნაური სათავადე: ზვიადი-ქედმაღალი-უტეხი (რობაქიძე,1989:14);

There is some inexplicable nobleness and royalness in this roaring: proud-arrogant-invincible.

გახარებული ხალხის დენა, უსაზღვრო და უნაპირო (კოტეტიშვილი.2012:11)

The flow of the rejoicing people, limitless and boundless.

იმის წინ იყო გადამლილი მთელი ტფილისი, უზარმაზარი, უნაპირო;

Before him was spread the whole of Tiflis, enormous, boundless (კოტეტიშვილი.2012:12);

დადარული სახეები, ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული (კოტეტიშვილი.2012:12);

Lined faces, adorned with yellow and green.

ძველი ამ დროს მოჭრილი მუხასავით იდგა, ცივი და შიშველი (კოტეტიშვილი.2012:14);

The old stood like a cut oak meanwhile, cold and bare.

თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჭკნარი სახე, თეთრი მთვარესავით მრგვალი და ბრტყელი (გამსახურდია,1959:7);

With my mind's eye I still see the withered face of the aged man, round like a white moon and flat.

გამოცდილი კაცი იყო ქურუმი, მცოდნე (ბარნოვი, 1943:259);

The priest was an experienced man, knowledgable.

ხევში პატარა რუკ - ნაღველივით შავი (რობაქიძე,1989:143);

A small brook in the ravine - black as sorrow.

ხელახლა დგება დღე მყუდრო, შრომის, სიამოვნებისა და სიხარულის (კოტეტიშვილი.2012:10);

There comes another pleaceful day, of labor, delight and joy.

აუარებელი ხალხი უვლიდა გარს ამ ზარს, რომელიც უზარმაზარ ნადირით ეგდო მიწაზე, დამარცხებული და დამცირებული (კოტეტიშვილი.2012:15);

Numerous people were circling the bell, which was lying like an enormous beast on the ground, defeated and humiliated.

ხელში კრიალოსანი: ქარვის თუ გიშერის. მუსაიფი: ნელი და ჩუმი (რობაქიძე,1989:8);
He is holding the beads of patience in his hand: of amber and jet. Conversation: unhurried and quiet.

გოგო მიჰყვება: აწითლული და ალექილი (რობაქიძე,1989:243);

The girl is following him: aflame and afire; [e] [f];

ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი (რობაქიძე,1989:208);

The temple is a virgin itself: a pagan virgin to be slain as a sacrifice [i] [ei] [s]

ქალის თვალებში-ათასი თვალი: ყველა ელამი და ყველა ამღვრეული (რობაქიძე,1989:65);

A thousand eyes in the woman's eyes: all of them squinting and all of them blurred.

დანართი №4.13. თარგმანი- შორისდებული:

„ოჰო! ცხოვრება!“ (კოტეტიშვილი.2012:8); “Oh! The life!”

„დავრეკე, მაშ, დავრეკე, მაშ! ამხელა ქალაქის ზარი რომ ჩამორეკო, ხუმრობა ხომ არ არის, მაშ! ყოჩაღად იყავ, გოჩმანავ, მაშ! ყოჩაღად იყავ, მაშ!“ (კოტეტიშვილი. 2012:12);
“There! I rang the bell, yes, I did! There, I can tell you, not a mere joke to be allowed to ring the main bell of town! Sure it is not! So, Gochmana, be brave, yes! Be brave, do!” ქართულ „მაშ“ -ს ცვლის ინგლისური There, sure და yes. ინგლისურ ტექსტს, ჩვენი აზრით დაამძიმებდა „მაშ“-ის მხოლოდ ერთი სიტყვით გადატანა.

„კარები გადამირაზეს! მასხრად მიგდებენ? ჰა, გოჩმან, ფრთხილად, აქ სხვა რამე არ გამოვიდეს? ჰა-ჰა, აბა არ გამასხარავდეს კარგად გაკეთებული საქმე!“ (კოტეტიშვილი.2012:13);

“They locked the door not to let me out! Are they making fun of me or what? Hey, Gochman, be careful, not to mess the things! Hey-hey, a good job ought not to get spoiled!”

“ძმებოჯან! მადლობელი ვარ, მაშ! მადლობელი ვარ, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:8);

“My brothers! I am grateful, yes, I am! I am grateful, I am, yes!”

„გადავდივარ, მაშ, გადავდივარ, მაშ! იქ მნათედ დამაყენეს, მაშ! იქ ზარი უნდა ვრეკო, მაშ!“ (კოტეტიშვილი.2012:14);

“I am moving, yes! to a new place, yes, I am! I have been appointed there as a sexton, yes, sure, I have! I am to ring the bell there. Yes, sure, I am! ქართული „მაშ!“ იმდენად ბევრის მომცველი და ბევრის მეტყველია, რომ ჩვენი აზრით, მის გადათარგმნას ამ შემთხვევაში მთელი სამ ნაწილიანი კომპონენტი დასჭირდა -Yes, sure, I am! რაც სიტყვა-სიტყვით შემდეგს ნიშნავს: „დიახ, რასაკვირველია + დამხმარე ზმნის ნაწილი“, რომლის ნაწილობრივ გამეორებაც ამტკიცებს სათქმელს.

დანართი №4.14. თარგმანი-მეტაფორა:

დანართი №მზეს თმებშიაც დაუტოვებია ცხელი ფოთლები (რობაქიძე, 1989: 64);

The sun has left its hot leaves in her hair as well.

პატარა კაცის სახე იეროგლიფია ხავსგადაკრული (რობაქიძე, 1989: 56);

The little man's face is a moss-covered hieroglyph.

მატასი თითქო მზის მარცვლების აჯეჯილებაა (რობაქიძე, 1989: 171);

Matasi is like blossoming of the sun seeds.

რუსთაველის პროსპექტი მზეშია გაშვართული (რობაქიძე, 1989: 215);

Rustaveli Avenue is spread in the sun.

ტახტზე ქალის ტანია გაშვართული. თვალებზე ორი იის ფოთოლი გადაჰკვრია ჩალურჯებული. (რობაქიძე, 1989: 265);

The woman's body is stretched on the couch. Her closed eyelids are deep blue as if covered with two violet petals.

ნაბიჯები ამ დროს გულს უთუთქვენ მიწას (რობაქიძე, 1989: 267);

This is the time when human steps are scorching the heart of the ground.

არჩიბალდის მარჯვენას რაღაც შერჩა-ცხელი და მშრალი: მატასის ხელის თრთოლვა-ვით ბადეში გაბმული მიმინოსი (რობაქიძე, 1989:252);

Some sensation lingered on Archibald's right hand- hot and dry: the trembling of Matasi's hand, like the trembling of a captured hawk.

სტეპკო ქალის ღიმილს ისუნთქავს ვით ველურ ვარდს...(რობაქიძე, 1989:34);

Stepko is inhaling the woman's smile as if it were a wild rose....

გაშლილი იყო იმათ შორის უსიტყვო სიტყვა სიყვარულისა (ბარნოვი,1943:326);

There was a speechless speech of love spread between them / There spoke a wordless speech of love between them.

ბაღის ირგვლივ ალვისხეები: ტანწერწეტ მცველებად მაღლა ატყორცნილნი (რობაქიძე, 1989: 59);

Poplars around the garden: shot upwards like slender sentinels.

ხევში პატარა რუჰ-ნალველივით შავი. მხოლოდ - კრიალა (რობაქიძე, 1989:143);

A small creek in the ravine - black as sorrow. Only it is crystal clear.

კარში გამოიბლერტა ათასი დარდი (კოტეტიშვილი.2012:15);

Thousands of sorrows have been aired in the daylight.

არჩიბალდ სუნთქავს არეს რომელიც მატასიმ შეარხია: სურნელი თუ დასტოვა
ველური ყლორტის (რობაქიძე, 1989: 146);

Archibald is inhaling the air which has been shaken by Matasi's presence: has she left the
scent of a wild sprout?

ხმა გაიკრიალებს ვით წყალგადავლებული ამეთვისტი (რობაქიძე, 1989:160);

Her voice sounds as clear as a newly rinsed amethyst.

დანართი №4.15. თარგმანი: გაპიროვნება:

აქ-იქ კლდეებში ბუმბერაზ ხეებს ადგილი ეშოვათ და ცალ-ცალკე მოსახლეებივით გაბაღულიყვნენ (ლორთქიფანიძე,1958:222);

The huge trees had found places here and there in the rocks and had expanded their territories like real settlers;

ეს გუნებაა გალხობილი მესოპოტამიაში. გაბრუებული ბელტი. მიყუჩებული ქვა. მდორე მდინარე. მთვლემარე ჩირგვი. მოწყენილი კენჭი. ფრთებდახრილი ტოტი. განაბული ნიბლია. სველთვალეებიანი უშობელი...(რობაქიძე, 1989:26);

This mood is dissolved in Mesopotamia. A stupefied clod of earth. A stilled stone. A slow river. A dazing bush. A sad pebble. A crestfallen twig. A hushed finch. A wet-eyed calf. აგესლილ მზერას ქაშვეთი მოგირჩენს. ტაძარი თვითონაც ქალწულია: წარმართი ქალწული სამსხვერპლოდ დასაკლავი (რობაქიძე, 1989:214);

Your embittered gaze will be soothed by Kashveti church. The temple is a virgin itself: a pagan virgin to be slain as a sacrifice.

არაჩვეულებრივი კვნესით დაიგუგუნა ზარმა;

The bell boomed with an extraordinary sigh.

მთელმა ტაძარმა შვებით ამოიგმინა (კოტეტიშვილი.2012:13);

The whole church sighed with relief.

სიონის ზარს, რომელიც ამ ხალხისთვის ზარი კი არა, ნამდვილი ვაჟკაცი იყო. (კოტეტიშვილი.2012:16);

The bell of Sioni church that was not just a bell, but a real brave man.

ბევრი იტირეს დუდუკებმა;(კოტეტიშვილი.2012:13);

Duduks wept a lot.

დუდუკები კი ამ დროს რაღაც უცნაური სევდით ამღერდნენ ((კოტეტიშვილი.2012:16);

And just then duduks began to sing with a feeling of rare sorrow.

დანართი № 4.16. თარგმანი- გრადაცია

„წმ. გრიგოლ ხანძთელის დროს ცხოვრობდა ვინმე ირუბაქიძე. სახელად რადამე. კაცი ახოვანი, ფიცხი, გადამლახველი. ცოლი ჰყავდა ლამაზი. მტრები დაედევნენ ერთხელ. რადამე და მისი ცოლი ცხენებს მიაჭენებენ. ცოლი ორსული იყო. ველარ შესძლო ცხენის ჭენება. „მომკალ“. ეუბნება ვაჟს. „როგორ“ მიუგებს ქალს. „უკეთესია მოვკვდე, ვიდრე მტრებს ხელში ჩავუვარდე“. - „მერე?!“ - „შენ გადარჩები“. ვაჟი ყოყმანობს. შორიდან მოისმის ცხენების თქარათქური. ვაჟი იძრობს ხანჯალს. ჩაჰკრავს. დაჭრილს მდინარეში გადაისვრის. ვაჟი გარბის. მტრები მისდევნენ. ვაჟი გადარჩება. გაივლის ხანი. რადამეს მოახსენებენ: სასიკვდილო ჭრილობა არ ყოფილა: ცოლი გადაურჩენიათ მეთევზეთ. რადამე გახარებულია. გამართავს ლხინს შავი ზღვის პირას. ცოლი მოვა. დაინახავს თუ არა შორიდან-რადამე იკვივლებს საშინლად (ხომ გაიმეტებს მაინც ერთხელ!). ბედისწერას გრძნობს. მოახტება თეთრ ტაიქს. გააჭენებს, ცხენით მომავალ ცოლს ბეჭედს გადაუგდებს. ცოლი დაიჭერს. ქმარი ტაიქს ზღვაში შეაგდებს: ინთქება. ცოლი ჯერ გაოცებულია. შემდეგ - თვითონაც გადაჰყვება“...(რობაქიძე, 1989: 88);

“ In the time of Saint Grigol of Khandzta there lived a certain man of the Irubaqidzes family. His first name was Radame. He was tall and stately, short-tempered, strong-willed. He had a pretty wife. Once they were being chased by foes. Radame and his wife are galloping their horses. The woman was pregnant and could gallop no more. “Kill me”, she is asking the man. “How can I do this?” is the man’s reply. “I’d better die than succumb to them”. “And then?!” “You will be saved.” The man is in two minds. From the distance they can hear the clatter of the horses’ hoofs. He draws out the dagger and stabs her. He throws the wounded into the river. The man flees. The foes are following him. Still, he is saved. The time passes. One day Radame is told that the wound did not turn out to be fatal. The wife had been rescued by some fishermen. Radame is rejoicing. He is giving a feast on the shore of the Black Sea. The wife arrives. As he sees her in the distance, Radame gives a dreadful cry (he had once forsaken her, had not he?!) He is aware of the providence. He mounts the white steed and gallops away. He throws the ring to his wife who is arriving on horseback. The wife catches

the ring. The husband wades the sea, gets engulfed. The wife, bewildered at first, then follows him into the sea”.

„მოხუცებული ხალხი, ... თვალებში მიმქრალი სიცოცხლე და სათნოება. დაღარული სახეები ყვითლად და მწვანედ მოვარაყებული. ნელი სიარული და სიარულში გაორება. მოხუცებული მუხლების კანკალი და თრევა დანგრეულ ფილაქანზე... ხალხი, როგორც ჩრდილები - ამ ჩრდილების კიდეც ჩრდილები, ასევე მოკაკული და შეშინებული. ჩამქრალი სმენა და მხედველობა, ჩამქრალი სიცოცხლე. ყველაფერი ბებერი და დრომოჭმული (კოტეტიშვილი.2012:13);

“The old people...faded vitality and virtue in their eyes. Lined faces adorned in yellow and green. Slow walking and becoming double in walking. Shaking of old knees and shuffling their feet on the cracked and uneven pavement...People like shadows- and still other shadows of these shadows, equally bent and scared. Withered eyesight and hearing, withered life. Everything decrepit and outdated about them”.

დანართი №4.17. თარგმანი- სინონიმია:

ხომალდი იდგა მორთული და მოკაზმული პირადპირადად (ზარ. 1943:265);

The ship stood trim and decorated colourfully .

დიდი მოძრაობა იყო ახალ სასახლეში: ლაშქრის სარდალნი, თემთ თუ ხალხთა წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი, მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი, ქურუმნი (ზარნოვი,1943:265) სინონიმთა სამივე წყვილი ადეკვატურად გადაითარგმნა: ლაშქრის სარდალნი=თემთ თუ ხალხთა წინამძღოლები, ვარსკვლავთ მრიცხველნი =მომავალი ბედის მკითხველნი, მღვდელნი =ქურუმნი;

There was a great stir and bustle at the new palace. All were there: heads of the armies, leaders of communities, stargazers, fortunetellers, vicars, priests.

გამოშრა მიწა, გახმა, დაიშაშრა, დასქდა (ზარნოვი,1943:342) გამოშრა =გახმა, დაიშაშრა =დასქდა.

The ground grew dry, barren, parched, cracked. ამ წინადადებაში არ დარღვეულა არც რიტმულობის ძლიერი ექსპრესია, კიდევ უფრო კარგად გამოხატული წინადადების სინონიმურ წევრთა ჩამოთვლით, განსაკუთრებით, თუ ეს უკავშიროდ ხდება. შემდეგი მაგალითებიც ამის დასტურია:

დუქნები. ფარდულები ...უთვალავი ქსოვილი. ფარჩეული. აბრეშუმეული. ქაშემირი. ... ჭიქები. თასები. დოქები. თუნგები. ...ნოხები...ხალები. ... ფარდაგები. ფლასები. ჭილობები (რობაქიძე,1989 :13)

Inns, sheds...numerous fabrics. Brocade, silk, cashmere...cups, bowls, jugs, pitchers...carpets, rugs, mats, rugs, covers .

სასთუმალი, საბანი, საგები ყველაფერი ცხელია (გამსახურდია, 1959:13);

The pillow, the blanket, the sheet, everything is hot.

ჭექა, ქუხილი, ელვა, მეხი ერთმანეთში ირეოდა (ლორთქიფანიძე, 1958:223);

Thunder, storm, lightning, bolts were all sounding at once.

მაგრამ ნაწილობრივ დაიკარგა ექსპრესია შემდეგ უქვემდებარო წინადადებებში, სადაც მთელი წინადადებები სინონიმურ ერთეულებს წარმოადგენს. საჭირო გახდა ნაგულისხმევი ქვემდებარის აღდგენა:

არეულია. ამრეზილი. აღრენილი (რობაქიძე,1989:18);

(He is) upset. Displeased. Irritable ;

ლხინობენ. მღერიან. ლაღობენ (რობაქიძე,1989:70);

(They are) feasting, singing, having fun.

სწეწავს..გლეჯავს...(რობაქიძე,1989:49);

(She is) ripping, tearing it apart. ამ შემთხვევაში კი მოგვიხდა არა მარტო ქვემდებარის აღდგენა, არამედ სამპირიანი ქართული ზმნა-შემასმენლიდან გამომდინარე, თარგმანში გაჩნდა პირდაპირი დამატებაც.

დანართი № 4.18. თარგმანი- სინონიმური წყვილი საერთო მსაზღვრელთან ერთად:

რამდენი ცეცხლი და რამდენი წვა და რამდენი ლხინი. ეხლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე, 1989:214); So much fire and so much burning and so much feasting. And now, there are only ashes and a desert inside him; ჩვენს დარდსა და ჩვენს გულის ჭირს.; ჩვენს ღიმილსა და ჩვენს ცრემლებს; ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები (გამსახურდია,1959:7) Our grief and our heartache, our smiles and our tears, all, all of them will be taken by the clocks.

დანართი №4.19. თარგმანი- კონტექსტუალური სინონიმები:

ნაპრალში შხუის, სჩქევს და ხტის მდინარე (ლორთქიფანიძე,1958: 212) შხუის=სჩქევს =ხტის; The river is rushing, splashing and leaping in the crevice.

უყურებს საღი, ძლიერი, ჯანმრთელი მწყემსი ჩამავალ მზეს; ისმენს ჟღურტულს ჩიტებისას; შეხარის გამაძღარს, დასვენებულ ფარას და ნელ-ნელა ემზადება გაიშლართოს ღრმა, მშვიდი ძილისთვის“ (ლორთქიფანიძე,1958:212); The sane, strong, healthy shepherd is staring at the setting sun; he is listening to the birds chirruping; feeling happy, he is looking proudly at his nourished, contented flock and slowly he is getting ready to sprawl for a sound, peaceful sleep.

შლიდა და ანგრევდა კაცს შიგნიდან (კოტეტიშვილი. 2012.16); (It) was dismantling and destroying the man inside.

მაგრამ შხამი კი, მაგრამ მალამო კი უცვლელად, შეუსუტებლად დარჩება (ლორთქიფანიძე,1992.110);

Yet the poison, yet the relief will remain changeless, undiminished.

მიყრილ-მოყრილი პაპიროსის ნამწვები და ფერფლი (ლორთქიფანიძე,1992.118);

Cigarette stubs and ashes scattered here and there.

მერე მოისმის ფეხის ხმა, გამხმარი შტოების მტვრევა და ტკრციალი (გამსახურდია,1959:11);

Then one can hear the foot sound of smashing and crashing of dry twigs.

წყალი ანკარაა და გრილი (რობაქიძე,1989:139); The water is clear and cool;

რასსა შეურეველი და ხალასი (რობაქიძე,1989:214); The race, non-adulterated and pure .

ყოველი ქვა ტაძარის ქალწულია თვითონ: ნელი-ლბილი-ნაზი-თვინიერი (რობაქიძე,1989:214);

Each stone of the temple is like a virgin: unhurried-soft-tender-loyal .

ებლა მარტო ფერფლია და უდაბნო (რობაქიძე,1989:214); Now he is only ashes and a desert.

სასვენებელი ლტოლვილთა და გადახვეწილთა და მუდამ მავალთა (რობაქიძე,1989:120);

The sanctuary of refugees and fugitives and eternal wanderers (Robaqidze.1989,p.120);

იგი ყვავილის ყელივით ნაზია და სიფრიფანა (გამსახურდია,1959:27);

It is delicate and slim like a flower stem.

კარგად დაღალულმა და გაოფლიანებულმა მიირბინა გოჩმანამ სიონთან
(კოტეტიშვილი.2012:9);

Quite tired and sweating, Gochmana came running to Sioni Cathedral.

ასე დაღონებული და მოშხამული შევიდა თავის სახლში (კოტეტიშვილი. 2012:10);

Thus saddened and embittered he entered his house.

ყველაფერი სუსტი, ბებერი და უნიათო დაიმსხვრა ამ ბრუნვაში
(კოტეტიშვილი.2012:11);

Everything that was frail, old and lifeless could not survive this turmoil;

ვიწრო და შეკუმშული ფილტვების ხიხინი გამხმარ ყელში. ყელზე დაკეცილი და
დანაოჭებული ტყავები (კოტეტიშვილი.2012:12);

Tweezing of tight and shrunk lungs in the dry throat. Folded and wrinkled flesh on the neck.

„იქ, კი, ჩემო შვილო, მხოლოდ ცხონება არის გლახაკთა, დავრდომილთა და
უძლურთა“ (კოტეტიშვილი. 2012:11); “And there, my child, there is only salvation for the
poor, the diseased and the frail”.

არის ამ გრიალში რაღაც უცნაური სათავადე: ზვიადი-ქედმაღალი-უტეხი
(რობაქიძე,1989:14);

There is some inexplicable royalness in this roaring: proud-arrogant-invincible.

დანართი №4.20. თარგმანი-ანტონიმია:

ძველებურად შედიოდა და გადიოდა მოხუცებული მორწმუნე ხალხი ძველ ტაძარში (კოტეტიშვილი.2012:13); The old faithful people came and went to the old church the way they used to.

ჩვენს დიდ სიხარულსა და პატარა ბედნიერებას...ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები...(გამსახურდია, 1959:7); Our big joy and our little happiness...everything, everything will be taken by clocks..

„აი, შენც, გლახაკი ხარ, სულითაც და ხორციითაც“; (კოტეტიშვილი.2012:); “Here, you too are a poor man, both in soul and in body”.

წელში წვრილი, ბეჭებში სქელი (ლორთქიფანიძე,1992.123); A narrow waist, broad shoulders. საშინელი სისასტიკე და უმძაფრესი სიტკბო (რობაქიძე, 1989:16); Awful cruelty and intense kindness.

ტფილისი გოგირდის აბანოთი იწყება და გოგირდის აბანოთი თავდება (რობაქიძე, 1989:208);

Tiflis begins with a sulphur bathhouse and ends with a bathing house.

თვალეზით თითქოს გეუბნება: მე ვიცი და შენ არ იცი-საიდუმლო (რობაქიძე, 1989:11);

As if he is saying with his eyes: I know and you know not-the secret.

ქსელებში გახლართული წარმოუდგენელ ტანჯვასა ვგრძნობ და უტკბეს ნეტარებას (ლორთქიფანიძე,1992:109);

Tangled in the nets of emotions, I feel incredible suffering and sweetest of elations.

დანართი №4.21. თარგმანი- არქაიზმები:

ტაიჭნი ძვირფასად იყვნენ შეკაზმულნი, სხვადასხვა ფერად (ბარნოვი, 1943:235); The steeds were adorned in a most expensive manner, in different colours.

დედის სიტყვაზედ ქალს ყაყაჩო აუყვავდა მწყაზარ ღაწვებზე (ბარნოვი, 1943:250); At her mother's words poppies bloomed on comely cheeks of the young woman.

თავს ევლებოდნენ ღრუბელთ დასები (ბარნოვი, 1943:262);

The mountain tops were surrounded by the ensambles of the clouds.

მყის განსჭვრეტდა საიდუმლოს, ყოველს დაფარულს განაცხადებდა (ბარნოვი, 1943:308);

He would fathom any secret at once, would unveil all that was shrouded.

დავკრძალოთ იქვე წიგნთა სიმრავლე (ბარნოვი, 1943:340);

Let us bury bountiful books there.

ჟამითიჟამად შეირხეოდა, ჟღრიალებდა ეჟვანმრავალი (ბარნოვი, 1943:347);

From time to time it would shake itself, jingling with bells galore.

ცა იმტვრეოდა შესაზარის ხმით. ეღვრებოდა დედამიწას ზემთა წყალი ყინვის ლოდებად. (ბარნოვი, 1943:352);

The sky was tearing apart with the most horrible sound. The earth was awashed by the icy rocks water of the upper world.

დანართი №4.22. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

He went often to her little cottage outside Dublin; often they spent their evenings alone. Little by little, as their thoughts entangled, they spoke of subjects less remote. Her companionship was like a warm soil about an exotic. Many times she allowed the dark to fall upon them, refraining from lighting the lamp. The dark discreet room, their isolation, the music that still vibrated in their ears united them. This union exalted him, wore away the rough edges of his character, emotionalised his mental life. Sometimes he caught himself listening to the sound of his own voice. He thought that in her eyes he would ascend to an angelical stature; and, as he attached the fervent nature of his companion more and more closely to him, he heard the strange impersonal voice which he recognised as his own, insisting on the soul's incurable loneliness. We cannot give ourselves, it said: we are our own. The end of these discourses was that one night during which she had shown every sign of unusual excitement, Mrs. Sinico caught up his hand passionately and pressed it to her cheek (Joyce,1982:124).

დანართი №4.22. პირველი თარგმანი:

კაცი ხშირად სტუმრობდა ქალის პატარა კოტეჯს დუბლინის გარეთ. ხშირად ატარებდნენ საღამოებს მარტონი. ნელ-ნელა, რამდენადაც მათი აზრები ერთმანეთში იხლართებოდა, ნაკლებად შორეულ საგნებზეც ალაპარაკდნენ. მათი კომპანიონობა რთულ წიადაგს ჰგავდა ეგზოტიკური ყლორტების აღმოსაცენებლად. მრავალჯერ მიუცია ქალს ნება ღამისთვის- დაშვებულიყო მათ თავებზე, ისე, რომ ლამაზად არ აუნთიდა. ბნელი, მომცრლ ოთახი, მათი განმარტლება, მუსიკა, ჯერაც რომ ვიბრირებდა მათ ყურებში- ეს ყველაფერი აერთიანებდა ორ ადამიანს, ხოლო ასეთი ერთიანობა ამალღებდა კაცს, ხასიათის უხემ კიდევს უმრგვალებდა და უხვეწდა, ემოციურობას სძენდა მის გონებრივ ცხოვრებას. ზოგჯერ კაცი აფიქსირებდა, რომ საკუთარ ხმას უსმენდა. ფიქრობდა, ქალის თვალში ანგელოსურ სიმაღლემდე ავალო. და რამდენადაც თავისი კომპანიონის მგზნებარე ბუნება უფრო და უფრო ახლოს მიიბა,

ჩაესმა კიდევ უცნაურ-უპიროვნო ხმა, რომელშიც თავისივე ხმა ამოიციო, დაჟინებით რომ მიუთითებდა სულის უსაშველო მარტოობაზე. ჩვენ ვერ გავცემთ ჩვენს თავს, ჩვენ ჩვენი საკუთრება ვართო, ამბობდა ეს ხმა. ეს საუბრები იმით დასრულდა, რომ ერთ ღამეს, როდესაც ქალმა აგზნების ყველა ნიშანი გამოავლინა, ბოლოს კაცის ხელს დასწვდა და ლოყაზე მიიკრა (ჯოისი,2014:112-113);

დანართი №4.22. მეორე თარგმანი:

მისტერ დაფი ხშირად დადიოდა ქალთან მის პატარა კოტეჯში, დუბლინის მახლობლად, და არც ისე იშვიათი იყო შემთხვევა, როცა საღამომლობით მარტონი რჩებოდნენ.

რაც უფრო მეტად ეთვისებოდნენ ერთმანეთს, მათი საუბარიც მით უფრო ინტიმურ ხასიათს იღებდა. ქალის მეგობრობა მისტერ დაფისთვის იგივე იყო, რაც სათბურის ჰავა ეგზოტიკური მცენარისათვის. ბევრჯერ კიდევ შემოჰკლამებიათ, მაგრამ ქალი ლამპის უნთებას არ ჩქარობდა. ბნელი, მყუდრო ოთახი, მარტოობა, მუსიკა, რომელიც ჯერ კიდევ ჩაესმოდათ ყურში-ყველაფერი ეს მათ ერთმანეთთან ახლოებდა. ეს სიახლოვე აღაფრთოვანებდა კაცს, ხასიათს უფაქიზიბდა, უფრო მგრძნობიარეს ხდიდა მის შინაგან სამყაროს. ზოგჯერ თავის თავს იმაზეც წაასწრებდა ხოლმე, რომ საკუთარი ხმის ჟღერას უსმენდა. ასე ეგონა, ქალის თვალში თვით ანგელოზის რანგამდე ავმალდიო, და რაც უფრო მეტად ეუფლებოდა თავისი ქალბატონის მგზნებარე გულს, მით უფრო ცხადად ჩაესმოდა ყურში უცნაური იდუმალი ხმა, რომელიც საკუთარ ხმად ეჩვენებოდა. ეს ხმა ჯიუტად ჩასძახოდა, უკურნებელიაო მარტოობა სულისა. „ჩვენ არ ძალგვიძს ჩვენი თავის გაცემა“, -ამბობდა ხმა, -მხოლოდ ჩვენსავე თავს ვეკუთვნითო. მათ საუბრებს მოულოდნელად მოელო ბოლო. ერთ საღამოს, მისის სინიკომ, რომელიც უჩვეულო მღელვარებას ამჟღავნებდა, ვნებიანად აიტაცა მისი ხელი და ლოყაზე მიიკრა (ჯოისი, 1984:96).

დანართი №4.23. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

What an end! The whole narrative of her death revolted him and it revolted him to think that he had ever spoken to her of what he held sacred. The threadbare phrases, the inane expressions of sympathy, the cautious words of a reporter won over to conceal the details of a commonplace vulgar death attacked his stomach. Not merely had she degraded herself; she had degraded him. He saw the squalid tract of her vice, miserable and malodorous. His soul's companion! He thought of the hobbling wretches whom he had seen carrying cans and bottles to be filled by the barman. Just God, what an end! (Joyce,1982:128).

დანართი №4.23. პირველი თარგმანი:

აი, დასარული! მისი სიკვდილის ამბავმა კაცი ააჯანყა, ააჯანყა იმის გაფიქრებამ, რომ იმ ქალისთვის თავისი საკრალური კუნჭულები გაუმხელია. გაცვეთილმა ფრაზეებმა, თანაგრძნობის უშინაარსო გამოხატულებებმა, კორესპონდენტის ფრთხილმა სიტყვებმა, გათვლილმა იმაზე, რომ მიჩქმალულიყო ბანალური და უდიმდამო სიკვდილის დეტალები, კაცს გულ-მუცელი ამოუტრიალა. ქალმა არა მხოლოდ თავისი თავი დაამდაბლა, არამედ თვით კაციც. მან დაინახა ქალის მანკიერების უბადრუკი ტრაქტი, მყრალი და შესაბრალისი. მისი სულის კომპანიონი! კაცს თვალწინ დაუდგა კოჭლობით მოჩლახუნე ის საბრალოები, კონსერვის ქილები და ზოთლები რომ მიჰქონდათ ბარმენტან ასავსებად. რა დასასრულია, ღმერთო! (ჯოისი, 2014:117);

დანართი №4.23. მეორე თარგმანი:

როგორი ბოლო ჰქონია! მისი სიკვდილის გარემოებათა ასეთმა აღწერამ ძალიან აღამფოთა, აღამფოთა იმაზე ფიქრმა, რომ ოდესღაც ამ ქალს თავისი გულის წმიდათა წმიდა ხვაშიადს ანდობდა. გაცვეთილი ფრაზები, ყალბი თანაგრძნობის სიტყვები, ფრთხილი გამოთქმები რეპორტიორისა, რომელიც აიძულეს დაემალა ამ

ვულგარული სიკვდილის დეტალები - ყოველივე ეს გულს ურევდა. ამ ქალმა მარტო თავისი თავი როდი შეურაცხყო, არამედ ისიც, მისტერ დაფიც ლაფში ამოსვარა. ნათლად ხედავდა იმ სამარცხვინო, უწმინდურ გზას, რომლითაც მისმა ბიწიერებამ ღარა. ნუთუ ეს ქალი მისი სულის სწორი იყო! ის უბედურები გაახსენდა, ფეხარეულნი ბარბაცით რომ მიათრევენ ცარიელ ბოთლებსა და დოქებს ბარისაკენ. ღმერთო, როგორი ბოლო ჰქონია (ჯოისი,1984:99-100).

დანართი №4.24. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

The shop was very quiet. The proprietor sprawled on the counter reading the Herald and yawning. Now and again a tram was heard swishing along the lonely road outside. As he sat there, living over his life with her and evoking alternately the two images in which he now conceived her, he realised that she was dead, that she had ceased to exist, that she had become a memory. He began to feel ill at ease. He asked himself what else could he have done. He could not have carried on a comedy of deception with her; he could not have lived with her openly. He had done what seemed to him best. How was he to blame? Now that she was gone he understood how lonely her life must have been, sitting night after night alone in that room. His life would be lonely too until he, too, died, ceased to exist, became a memory—if anyone remembered him (Joyce, 1982:128).

დანართი №4.24. პირველი თარგმანი:

პაბში უჩვეულო სიწყნარე იდგა. დახლზე გადმოწოლილი მეპატრონე „ჰერალდს“ კითხულობდა და ამთქნარებდა. დროდადრო ცარიელ ქუჩაზე ტრამვაი ჩაიგრიხინებდა. და როცა ასე იჯდა, მეხსიერებაში ფურცლავდა ამ ქალის გვერდით გატარებულ ცხოვრებას და რიგრიგობით გამოიხმობდა ორ სხვადასხვაგვარ სახებას, როგორადაც ამჟამად მას აღიქვამდა. კაცმა გააცნობიერა, რომ ეს ადამიანი მკვდარი იყო, რომ მან არსებობა შეწყვიტა, რომ მოგონებად იქცა. კაცმა უხერხულობა იგრძნო და თავის თავს ჰკითხა, კიდევ რა შემეძლო მექნაო. გაიძვერობის კომედიას ვერ გააგრძელებდა იმ ქალთან; დაუფარავად ვერ იცხოვრებდა მასთან. მოიქცა ისე, როგორც საუკეთესოდ მიიჩნია. ვინ დაადანაშაულებდა ამაში? ახლა, როდესაც ის აღარ იყო, კაცი მიხვდა, როგორი მარტოხელა უნდა ყოფილიყო ქალის ცხოვრება, ღამიდან ღამემდე მარტო რომ იჯდა იმ ოთახში. კაცის ცხოვრებაც მარტოსულისა იქნებოდა, სანამ ისიც მოკვდებოდა, არსებობას შეწყვეტდა, ხსოვნად იქცეოდა.- თუ ვინმეს ახსოვდა საერთოდ (ჯოისი,2014:118).

დანართი №4.24. მეორე თარგმანი:

ბარში სიწყნარე იყო. მეპატრონე დახლს მიყრდნობოდა, „ჰერალდს“ კითხულობდა და თან ამტყნარებდა. დროდადრო ტრამვაი თუ გაიქროლებდა ქუჩაში. ასე იჯდა. იხსენებდა მისის სინიკოსთან ერთად გატარებულ დღეებს და რიგრიგობით იწვევდა გონების თვალწინ იმ ორ ხატებას, რომლითაც ახლა ევლინებოდა ქალი. და უცებ ნათლად შეიგრძნო, რომ ის მოკვდა, არსებობა შეწყვიტა და მოგონებად იქცა. გული დაუძიმდა. საკუთარ თავს ეკითხებოდა, სხვანაირად როგორ უნდა მოვქცეულიყავიო. მეტ თვალთმაქცობას ვეღარ შესძლებდა. მასთან აშკარად ვერ იცხოვრებდა. ისე მოიქცა, როგორც უკეთესად ეჩვენებოდა. მაშ რაღა იყო მისი დანაშაული? ახლა, როცა მისის სინიკლ მკვდარი იყო, იგი მიხვდა რა აუტანელი უნდა ყოფილიყო ქალის ცხოვრება, რა სიმარტოვე უნდა განეცადა დაუსრულებელი სლამოების განმავლობაში იმ ოთახში გამომწყვდეულს. თვითონაც მარტოობაში გალევს თავის წუთისოფელს, ვიდრე მასავით არ მოკვდება, არ შეწყვეტს არსებობას და მოგონებად არ გადაიქცევა, თუკი მომგონებელი მაინც ეყოლება (ჯოისი, 1984:100-101).

დანართი №4.25. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

It was after nine o'clock when he left the shop. The night was cold and gloomy. He entered the Park by the first gate and walked along under the gaunt trees. He walked through the bleak alleys where they had walked four years before. She seemed to be near him in the darkness. At moments he seemed to feel her voice touch his ear, her hand touch his. He stood still to listen. Why had he withheld life from her? Why had he sentenced her to death? He felt his moral nature falling to pieces.

When he gained the crest of the Magazine Hill he halted and looked along the river towards Dublin, the lights of which burned redly and hospitably in the cold night. He looked down the slope and, at the base, in the shadow of the wall of the Park, he saw some human figures lying. Those venal and furtive loves filled him with despair. He gnawed the rectitude of his life; he felt that he had been outcast from life's feast. One human being had seemed to love him and he had denied her life and happiness: he had sentenced her to ignominy, a death of shame. He knew that the prostrate creatures down by the wall were watching him and wished him gone. No one wanted him; he was outcast from life's feast. He turned his eyes to the grey gleaming river, winding along towards Dublin. Beyond the river he saw a goods train winding out of Kingsbridge Station, like a worm with a fiery head winding through the darkness, obstinately and laboriously. It passed slowly out of sight; but still he heard in his ears the laborious drone of the engine reiterating the syllables of her name.

He turned back the way he had come, the rhythm of the engine pounding in his ears. He began to doubt the reality of what memory told him. He halted under a tree and allowed the rhythm to die away. He could not feel her near him in the darkness nor her voice touch his ear. He waited for some minutes listening. He could hear nothing: the night was perfectly silent. He listened again: perfectly silent. He felt that he was alone (Joyce,1982:129).

დანართი №4.25. პირველი თარგმანი:

პაბიდან რომ გამოვიდა, უკვე ცხრას გადაცილებული იყო. ცივი და ბნელი ღამე იწვა. ჰატში პირველი კარბიჭიდან შევიდა და აწოწილი ხეების ქვეშ გაისეირნა. იმ დაღვრემილი ხეივნებით იარა, ერთად რომ მოიარეს ოთხი წლის წინ. სიბნელეში ის თითქოს ახლოს იყო. რაღაც მომენტებში კაცი შეიგრძნობდა ქალის ხმას, რომელიც მის ყურს ეხებოდა, ქალის ხელიც ეხებოდა მისას. გაიყურსა და მიაყურადა. რატომ თქვა უარი მასთან თანაცხოვრებაზე? რატომ გაწირა სიკვდილისთვის? იგრძნო, რომ მისი ზნეობრივი არსება ნაწილებად იშლებოდა. მეგეზინ-ჰილის თხემზე ასული შეჩერდა და თვალი გააყოლა დუბლინისაკენ მოძრავ მდინარეს; იქ, ცივ ღამეში, სინათლეები წითლად და სტუმართმოყვრულად ციმციმებდა. ჩახედა ფერდობს, რომლის ძირას, პარკის კედლის ჩრდილში, ვიღაც ადამიანები იწვნენ. ამ გასაყიდმა და მოპარულმა სიყვარულებმა სასოწარკვეთით აავსო. მან დაღრღნა თავისი ცხოვრების სათნეება; იგრძნო, რომ განდევნილი იყო ცხოვრების დღესასწაულიდან. თითქოს შეიყვარა ერთმა ადამიანმა ამქვეყნად, მან კი უარყო მისი ცხოვრება და ბედნიერება, გაწირა უსახელობისთვის, სამარცხვინო სიკვდილისათვის. იცოდა, ამწუთას კედელთან მწოლიარე არსებები მას ხედავდნენ და ერთი სული ჰქონდათ, როდის გაეცლებოდა იქაურობას. არავის უხრდა ის - განდევნილი ცხოვრების დღესასწაულიდან. ისევ გადახედა რუხად მოციმციმე მდინარეს, დუბლინისკენ რომ მიდკლაკნებოდა. მდინარის იქით დაინახა სატვირთო მატარებელი, რომელიც კინგს-ბრიჯის სადგურიდან გადიოდა და შეუპოვარი, გამრჯე მატლივით მიარღვევდა წყვიდად. ნელა გაუჩინარდა. თუმცა, კაცს მაინც ესმოდა მუყაითი გუგუნის ლოკომოტივისა, ქალის სახელის მარცვლებს რომ იმეორებდა.

დაბრუნდა იმავე გზით, რომლითაც მოვიდა. ყურებში ლოკომოტივის რიტმი უცემდა. უკვე ეჭვი შეჰქონდა იმის რეალობაში, რასაც მეხსიერება კარნახობდა. ხის ქვეშ შეჩერდა და რიტმ-პულსაციას ჩაცხრომის საშუალება მისცა. აქ, სიბნელეში, ქალს ვერ გრძნობდა თავის გვერდით და არც მისი ხმა ჩაესმოდა ყურში. საერთოდ არაფერი ესმოდა: ღამე სრულყოფილად ჩუმი იყო. ისევ მიაყურადა: სრულყოფილად ჩუმი. კაცმა იგრძნო, რომ მარტოდმარტო იყო (ჯოისი, 2014, 118-119).

დანართი №4.25. თარგმანის მეორე ვერსია:

უკვე მეათე საათი იყო, ბარიდან რომ გამოვიდა. ცივი ღამე იყო, მოქუფრული. პარკში შევიდა უირველივე ჭიშკრით და შიშველ ხეებქვეშ ხეტიალს მოჰყვა. დადიოდა გამარცვულ ხეივნებში, სადაც ოთხი წლის წინ ერთად დასეირნობდნენ. სიბნელეში მის სიახლოვეს გრძნობდა. თითქოს ქალის ხმაც სწვდებოდა ყურს, ხელზე მისი ხელის შეხებას გრძნობდა. გაჩერდა და ყური მიუგდო. რატომ წაართვა სიცოცხლე? რატომ მიუსაჯა სიკვდილი? გრძნობდა, რომ ემსხვრეოდა მორალური პრინციპები.

მეგეზინ-ჰილის წვერზე რომ ავიდა, შედგა და მდინარეს გადახედა. მდინარე დუბლინისკენ მიიზღაზნებოდა. ქალაქის სინათლეები თბილად და გულდიად კიაფობდნენ ცივ წყვდიადში. ქვემოთ ჩაიხედა და ბორცვის ძირას, პარკის კედლის ჩრდილში მწოლარე არსებანი შენიშნა. ამ ცოდვილი, ნაპარავი სიყვარულის ხილვამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. საკუთარმა პატიოსნებამ შეზარა. ცხოვრების ფერხულიდან გამევებულად იგრძნო თავი. ერთდერთმა ადამიანმა გაუხსნა გული, შეიყვარა, მან კი იმას სიცოცხლე და ბედნიერება მოუსწარაფა. შერცხვენა, სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა. იცოდა, რომ ძირს, კედლის ჩრდილში გართხმული არსებანი თვალს ადევნებდნენ და მის წასვლას ნატრობდნენ. არავის სჭირდებოდა იგი, ცხოვრების ფერხულიდან გამევებული იყო. მზერა ისევ რუხ, მოლაპლაპე მდინარისკენ გადაიტანა, დუბლინისკენ რომ მიიკლაკნებოდა. მდინარის გაღმა, საბარგო მატარებელი შენიშნა, კინგს-ბრიჯის სადგურიდან მომავალი, გეგუნებლდათ, სიბნელეში ცუცხლისთავიანი ჭიაყელა მოცოცავსო, ნელ-ნელა და დაჟინებით. მატარებელი თვალს მიეფარა, მას კი კარგა ხანს ესმოდა კიდევ ორთქლმავლის ქმენა, რომელიც ქალის სახელს იმეორებდა.

იმავე გზით გამობრუნდა უკან, რომლითაც აქ მოვიდა. მატარებლის რიტმული ხმაური ისევ ყურში ედგა. უეცრად ექვი შეეპარა ყოველივე იმის რეალობაში, რასაც მესხიერება ინახავდა. ხის ქვეშ შეჩერდა და იქამდე იდგა, ვიდრე რიტმული ხმაური არ მიწყდა. ახლა აღარც ქალის სიახლოვეს გრძნობდა სიბნელეში, აღარც მისი ხმა სწვდებოდა ყურს. რამდენიმე წუთს იცდიდა, ყურგამახვილებული. აღარაფერი გაუგონია. მდუმარებდა ღამე. ისევ მიუგდო ყური-სრული მდუმარება სუფევდა ირგვლივ. და იგრძნო, რომ მარტლდმარტლ იყო ქვეყანაზე (ჯოისი, 1984:101-102).

დანართი № 4.25. თარგმანი-ტროპული მეტყვევლების ნიმუშები:

ცივი და ზნელი ღამე იწვა; აწოწილი ხეების ქვეშ გაისეირნა; იმ დაღვრემილი ხეივნებით იარა, ერთად რომ მოიარეს ოთხი წლის წინ. სიბნელეში ის თითქოს ახლოს იყო. რაღაც მომენტებში კაცი შეიგრძნობდა ქალის ხმას, რომელიც მის ყურს ეხებოდა, ქალის ხელიც ეხებოდა მისას. გაიყურსა და მიაყურადა. რატომ თქვა უარი მასთან თანაცხოვრებაზე? რატომ გაწირა სიკვდილისთვის? იგრძნო, რომ მისი ზნეობრივი არსება ნაწილებად იშლებოდა; იქ, ცივ ღამეში, სინათლეები წითლად და სტუმართმოყვრულად ციმციმებდა; ამ გასაყიდმა და მოპარულმა სიყვარულებმა სასოწარკვეთით აავსო; იგრძნო, რომ განდევნილი იყო ცხოვრების დღესასწაულიდან. თითქოს შეიყვარა ერთმა ადამიანმა ამქვეყნად, მან კი უარყო მისი ცხოვრება და ბედნიერება, გაწირა უსახელობისთვის, სამარცხვინო სიკვდილისათვის; არავის სურდა ის - განდევნილი ცხოვრების დღესასწაულიდან; სატვირთო მატარებელი, რომელიც კინგს-ბრიჯის სადგურიდან გადიოდა და შეუპოვარი, გამრჯე მატლივით მიარღვევდა წყვილად; კაცს მაინც ესმოდა მუყაითი გუგუნის ლოკომოტივისა, ქალის სახელის მარცვლებს რომ იმეორებდა; აქ, სიბნელეში, ქალს ვერ გრძნობდა თავის გვერდით და არც მისი ხმა ჩაესმოდა ყურში. საერთოდ არაფერი ესმოდა: ღამე სრულყოფილად ჩუმი იყო. ისევ მიაყურადა: სრულყოფილად ჩუმი. კაცმა იგრძნო, რომ მარტოდმარტო იყო; / ცივი ღამე იყო, მოქუფრული; შიშველ ხეებქვეშ ხეტიალს მოჰყვა. დადიოდა გამარცვულ ხეივნებში, სადაც ოთხი წლის წინ ერთად დასეირნობდნენ. სიბნელეში მის სიახლოვეს გრძნობდა. თითქოს ქალის ხმაც სწვდებოდა ყურს, ხელზე მისი ხელის შეხებას გრძნობდა. გაჩერდა და ყური მიუგდო. რატომ წაართვა სიცოცხლე? რატომ მიუსაჯა სიკვდილი? გრძნობდა, რომ ემსხვრეოდა მორალური პრინციპები; ქალაქის სინათლეები თბილად და გულლიად კიაფობდნენ ცივ წყვილადში; ამ ცოდვილი, ნაპარავი სიყვარულის ხილვამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. საკუთარმა პატიოსნებამ შეზარა. ცხოვრების ფერხულიდან გაძევებულად იგრძნო თავი. ერთდერთმა ადამიანმა გაუხსნა გული, შეიყვარა, მან კი იმას სიცოცხლე და ბედნიერება მოუსწარაფა. შერცხვენა, სამარცხვინო სიკვდილი მიუსაჯა; არავის სჭირდებოდა იგი, ცხოვრების ფერხულიდან გაძევებული იყო; საბარგო მატარებელი შენიშნა, კინგს-ბრიჯის სადგურიდან მომავალი, გეგონებოდათ,

სიბნელეში ცეცხლისთავიანი ჭიაყელა მოცოცავსო, ნელ-ნელა და დაჟინებით; მას კი კარგა ხანს ესმოდა კიდევ ორთქლმავლის ქშენა, რომელიც ქალის სახელს იმეორებდა; ახლა აღარც ქალის სიახლოვეს გრძნობდა სიბნელეში, აღარც მისი ხმა სწვდებოდა ყურს. რამდენიმე წუთს იცდიდა, ყურგამახვილებული. აღარაფერი გაუგონია. მდუმარება ღამე. ისევ მიუგდო ყური-სრული მდუმარება სუფევდა ირგვლივ. და იგრძნო, რომ მარტოდმარტო იყო ქვეყანაზე.

დანართი № 4.26. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

He wondered at his riot of emotions of an hour before. From what had it proceeded? From his aunt's supper, from his own foolish speech, from the wine and dancing, the merry-making when saying good-night in the hall, the pleasure of the walk along the river in the snow. Poor Aunt Julia! She, too, would soon be a shade with the shade of Patrick Morkan and his horse. He had caught that haggard look upon her face for a moment when she was singing Arrayed for the Bridal. Soon, perhaps, he would be sitting in that same drawing-room, dressed in black, his silk hat on his knees. The blinds would be drawn down and Aunt Kate would be sitting beside him, crying and blowing her nose and telling him how Julia had died. He would cast about in his mind for some words that might console her, and would find only lame and useless ones. Yes, yes: that would happen very soon.

The air of the room chilled his shoulders. He stretched himself cautiously along under the sheets and lay down beside his wife. One by one, they were all becoming shades. Better pass boldly into that other world, in the full glory of some passion, than fade and wither dismally with age. He thought of how she who lay beside him had locked in her heart for so many years that image of her lover's eyes when he had told her that he did not wish to live.

Generous tears filled Gabriel's eyes. He had never felt like that himself towards any woman, but he knew that such a feeling must be love. The tears gathered more thickly in his eyes and in the partial darkness he imagined he saw the form of a young man standing under a dripping tree. Other forms were near. His soul had approached that region INVERSION where dwell the vast hosts of the dead. He was conscious of, but could not apprehend, their wayward and flickering existence. His own identity was fading out into a grey impalpable world: the solid world itself, which these dead had one time reared and lived in, was dissolving and dwindling.

A few light taps upon the pane made him turn to the window. It had begun to snow again. He watched sleepily the flakes, silver and dark, falling obliquely against the lamplight. The time had come for him to set out on his journey westward. Yes, the newspapers were right: snow was general all over IrelAnderson, It was falling on every part of the dark central plain,

on the treeless hills, falling softly upon the Bog of Allen and, farther westward, softly falling into the dark mutinous Shannon waves. It was falling, too, upon every part of the lonely churchyard on the hill where Michael Furey lay buried. It lay thickly drifted on the crooked crosses and headstones, on the spears of the little gate, on the barren thorns. His soul swooned slowly as he heard the snow falling faintly through the universe and faintly falling, like the descent of their last end, upon all the living and the dead (Joyce,1982:219).

დანართი №4.26. თარგმანის პირველი ვერსია:

გეიბრიელი გაკვირვებული იხსენებდა თავისი ემოციების ამბოხს ერთი საათის წინ. საიდან მოვიდა ის? დეიდამისის ვახშმიდან, ნადიმზე წარმოთქმული მისივე ტუტუცური სიტყვიდან, ღვინიდან და ცეკვიდან, ჰოლში დამშვიდობების მხიარულებიდან, მდინარის გაყოლებით თოვლში სიარულის სიამოვნებიდან. საბრალო დეიდა ჯულია! სულ მალე ისიც აჩრდილად იქცეოდა პატრიკ მორკანის და მისი ცხენის აჩრდილთან ერთად. გეიბრიელმა წამით მოიხელთა ღონემიხდილი გამომეტყველება დეიდა ჯულიას სახეზე, როცა ის „საქორწინოდ მორთულს“ მღეროდა. მალე შეიძლება გეიბრიელიც მჯდარიყო იმავე სალონში, თალხად შემღსილი, მუხლებზე დადებული აბრეშუმის ქუდით. დარაბები ჩამოშვებული იქნებოდა, გვერდით ეჯდებოდა დეიდა კეიტი, რომელიც, ატირებული, წამდაუწუმ მოიხოცავდა ცხვირს და მოუყვებოდა, როგორ გარდაიცვალა ჯულია. გეიბრიელი გონებაში დაუწყებდა ძებნას იმ სიტყვებს, რომლებიც დეიდა კეიტს ანუგეშებდა, და მხოლოდ კოჭლ, უსარგებლო გამოთქმებს იპოვიდა. კი, კი, ეს ძალიან მალე მოხდებოდა.

ოთახში მდგარი ჰაერი ცივად გაუჯდა მხრებში. ფრთხილად შეწვა საბანქვეშ ცოლის გვერდით. ყველა ისინი სათითაოდ იქცეოდნენ ჩრდილებად. უმჯობესია გაბედული გადაბარება იმ ქვეყნად, რომელიმე სწრაფვის სრულ ბრწყინვალებაში, ვიდრე ასაკთან ერთად ნაღვლიანად დაჭკნობა და ჩაქრობა. როგორ ატარა გულში თავისი შეყვარებულის თვალების ხატი ამდენ წელიწადს, მას შემდეგ, რაც იმან უთხრა, სიცოცხლე არ მინდაო,- ფიქრობდა გეიბრიელი.

თვალებზე დიდსულოვანი ცრემლები მოადგა. არასოდეს განუცდია რაიმე მსგავსი რომელიმე ქალის მიმართ, მაგრამ იცოდა, რომ ასეთი გრძნობა სიყვარული უნდა ყოფილიყო. კიდევ უფრო მეტი ცრემლი ჩაუგუბდა თვალებში: ამ ოთახის ბინდში წარმოიდგინა ჭაბუკის ფიგურა წვეთებჩამომდინარე ხის ქვეშ. სხვა ფიგურებიც ახლოს იყვნენ. მისი სული მიუახლოვდა რეგიონს, რომელშიც მკვდრების მრავალრიცხოვანი გუნდები ბინადრობდნენ. გეიბრიელი აცნობიერებდა-თუმცა არ ესმოდა-მათს ახირებულ და მბჟუტავ არსებობას. თვით მისივე არსებაც ქრებოდა ნაცრისფერ ხელშეუხებელ სამყაროში. თვით ეს მყარი სამყაროც-ოდესღაც ამ მკვდრებით აგებულ-დასახლებული - ლღვებოდა და პატარავდებოდა.

რამდენიმე მსუბუქმა გაფაჩუნებამ ფანჯრის მინაზე თავი მოაბრუნებინა. ისევ თოვდა. ძილმორეული გაჰყურებდა ლამპიონის შუქზე ირიბად ვარდნილ ვერცხლისფერ და ჩაბნელებულ ფიფქებს. გეიბრიელს დასავლეთისკენ გამგზავრების დრო მოსვლოდა. ჰო, გაზეთები სიმართლეს იტყობინებოდნენ. მთელი დრლანდიის ტერიტორიაზე თოვდა. ათოვდა ბნელი ცენტრალური ვაკის თითოეულ გოჯს, შიშველ მთა-გორებს, რბილად ათოვდა ალენის ჭანჭრობს და, კიდევ უფრო დასავლეთით, შანონის ბნელ, მოუსვენარ ტალღებს. ათოვდა მარტოხელა სასაფლაოს იმ ბორცვს, სადაც მაიკლ ფურეი იწვა. თოვლი სქლად ედო მოღუნულ ჯვრებს და საფლავის ქვებს, პატარა ჭიშკრის წვეტებს, უნაყოფო ეკლებს. გეიბრიელს სული მაშინ გაეთიშა ნელ-ნელა, როცა უსმენდა თოვლს, რომელიც შრიალით ცვიოდა სამყაროში და შრიალით ედებოდა - მათი საბოლოო დასასრულივით - ყველა ცოცხალს და ყველა მკვდარს (ჯოისი,2014:231-232);

დანართი №4.26. მეორე ვერსია:

გეიბრიელმა გაოცებულმა გაიხსენა, რა ქარიშხალი უბოხოქრებდა სულში ერთი საათის წინ. რამ გამოიწვია ეს ქარიშხალი? დეიდების ვახშამმა, საკუთარმა ბრიყვულმა სადღეგრძელომ, ღვინომ და ცეკვამ, ხუმრობამ და სიცილმა დერეფანში დამშვიდობებისას, მდინარის გაყოლებით თოვლში სიარულისაგან მოგვრილმა სიამოვნებამ? საწყალი დეიდა ჯულია! ისიც სულ მალე იქცევა ჩრდილად, ისევე

როგორც პატრიკ მორკანი და მისი ცხენი. რა განაწამები სახე ჰქონდა, რღდესაც იმ „საქორწინო სამოსელს“ მღეროდა. ალბათ სულ მალე მოუწევს იმავე სასტუმრო დარბაზში ჯდომა ძამებით მოსილს, თავისი აბრეშუმის ცილინდრით მუხლებზე. ფარდები დაშვებული იქნება, დეიდა კვიტიც გვერდით იჯდება, ტირილითა და ცხვირის ხოცვით უამბობს, როგორ მიიცვალა დეიდა ჯულია. ამაოდ დაუწყებს ძებნას სანუგეშო სიტყვებს, მხოლოდ უსარგებლო და ფუჭი ფრაზები მოაგონდება. დიახ, ეს სულ მალე მოხდება.

ოთახში გრილოდა და მხრებზე შესცივდა. ფრთხილად ჩაიწია საბანქვეშ. ცოლს გვერდით მიუწვა.

დღეს ერთი, ხვალ სხვა, საბოლოოდ კი ყველანი ჩრდილად იქცევიან. უმჯობესია, ვაჟკაცურად დასტვლ საწუთრო და ვნებით გულაღზნებული წახვიდე იმქვეყნად, ვიდრე წლიდან წლამდე დაჰკნე, საწყალობლად დაჩაჩანაკდე. თურმე რამდენ წელს უტარებია ამ ქალს, ახლა რომ მის გვერდით იწვა, თვალეში თავისი მკვდარი სატრფოსი, თვალეში მაშინდელი, როცა ყმაწვილი სიცოცხლეზე ამბობდა უარს.

დიდსულოვნების ცრემლები ჩაუდგა თვალეში. თვითონ არასოდეს განუცდია მსგავსი რამ, არც ერთ ქალს არ გაუღვიძებია მის გულში ასეთი გრძნობა. მაგრამ იცოდა, სწორედ ეს იყო სიყვარული. ცრემლებმა მზერა დაუბინდა და ამ ბინდში თვალწინ წარმოუდგა ხატება გაწუწული ხის ქვეშ ატუზული ბიჭისა. იქვე სხვა ჩრდილებიც ისახებოდნენ. სულდ მისი იმ ზღვარს მიეახლა, რომლის მიღმა საიქიოს ბინადარნი სუფევდნენ. გრძნობდა, თუმცა ვერ ჩასწვდომოდა მათს რიალსა და ცვალებადობას.

მისი საკუთარი არსება, მისი მეობა მთლიანად გაქრა, განქარდა ამ რუხ, მოუხელთებელ სამყაროში. ხილული, ხელშესახები სამყარო, რომელსაც ეს მიცვალებულნი ოდესღაც ქმნიდნენ და აშენებდნენ, სამყარო, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ, თანდათანობით მქრქალდებოდა, იცრიცებოდა, და ბოლოს, სულ მთლად უჩინარდებოდა.

მსუბუქმა შრიალმა ფანჯრისკენ მიახედა. ისევ დაიწყო თოვა. თვლემამორეული გასცქეროდა ვერცხლისფერ და მუქ ფიფქებს, ცერად რომ მოფრინავდნენ ფარნის სინათლეში. მასაც უწია დაღმა სვლის ჟამმა. დიახ, გაზეთები მართალს წერდნენ: მთელს ირლანდიაში თოვდა. თოვდა ჩაბნელებულ ცენტრალურ ვაკეზე, ათოვდა

უტყეო ბორცვებს, თოვლი ღბილად ეფინებოდა ალენის ჭაობებს, უფრო შდრს, დასავლეთით, მსუბუქად ეშვებოდა შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში. ათოვდა ეულ სასაფლაოს პატარა ბორცვზე, სადაც მაიკლ ფარეი განისვენებდა. თოვლი სქლად დასდებოდა წაფერდებულ ჯვრებსა და სამარის ქვებს, დაბალი ჭიშკრის ბოძებს, ეკლიან ბუჩქებს.

სმენას სწვდებოდა მსუბუქი ჩქამი და სული მისი ნელ-ნელა ინთქმებოდა თოვლის შრიალში. თოვლი ათოვდა მთელ დედამიწას, როგორც მოახლოება აღსასრულის ჟამისა; წყნარად ათოვდათ ცოცხალთაც და მიცვალებულთაც (ჯოისი, 1984:205-206).

დანართი №4.26. ტროპული მეტყველება–მეტაფორები:

ემოციების ამბოხს; სულ მალე ისიც აჩრდილად იქცეოდა; ყველა ისინი სათითაოდ იქცეოდნენ ჩრდილებად; უმჯობესია გაბედული გადაბარება იმ ქვეყნად, რომელიმე სწრაფვის სრულ ბრწყინვალეობაში, ვიდრე ასაკთან ერთად ნაღვლიანად დაჭკნობა და ჩაქრობა; როგორ ატარა გულში თავისი შეყვარებულის თვალების ხატი ამდენ წელიწადს; თვალეზე დიდსულოვანი ცრემლები მოადგა; მისი სული მიუახლოვდა რეგიონს, რომელშიც მკვდრების მრავალრიცხოვანი გუნდები ბინადრობდნენ; ახირებულ და მბჟუტავ არსებობას; თვით მისივე არსებაც ქრებოდა ნაცრისფერ ხელშეუხებელ სამყაროში; თვით ეს მყარი სამყაროც-ოდესღაც ამ მკვდრებით აგებულ-დასახლებული - ღღვებოდა და პატარავდებოდა; / რა ქარიშხალი უბობოქრებდა სულში; საბოლოოდ კი ყველანი ჩრდილად იქცევიან; უმჯობესია, ვაჟკაცურად დასტოვო საწუთრო და ვნებით გულაღზნებული წახვიდე იმქვეყნად, ვიდრე წლიდან წლამდე დაჭკნე, საწყალობლად დაჩაჩანაკდე; თურმე რამდენ წელს უტარებია ამ ქალს, ახლა რომ მის გვერდით იწვა, თვალეები თავისი მკვდარი სატრფოსი, თვალეები მაშინდელი, როცა ყმაწვილი სიცოცხლეზე ამბობდა უარს; დიდსულოვნების ცრემლები ჩაუდგა თვალეებში; არც ერთ ქალს არ გაუღვიძებია მის გულში ასეთი გრძნობა; თვალწინ წარმოუდგა ხატება გაწუწული ხის ქვეშ ატუზული ბიჭისა; სული მისი იმ ზღვარს მიეახლა, რომლის მიღმა საიქიოს ბინადარნი სუფევდნენ. მისი საკუთარი არსება, მისი მეობა მთლიანად გაქრა, განქარდა;

ხილული, ხელშესახები სამყარო, რომელსაც ეს მიცვალებულნი ოდესღაც ქმნიდნენ და აშენებდნენ, სამყარო, სადაც ოდესღაც ცხოვრობდნენ, თანდათანობით მქრქალდებოდა, იცრიცებოდა, და ბოლოს, სულ მთლად უჩინარდებოდა;

დანართი №4.26. ეპითეტები: ტუტუცური სიტყვიდან; საბრალო დეიდა ჯულია! ღონემიხდილი გამომეტყველება; ჩაბნელებულ ფიფქებს; ბნელი ცენტრალური ვაკის; შიშველ მთა-გორებს; შანონის ბნელ, მოუსვენარ ტალღებს; ათოვდა მარტოხელა სასაფლაოს; / ბრიყვულმა სადღეგრძელომ; საწყალი დეიდა ჯულია! განაწამები სახე; სანუგეშო სიტყვებს; უსარგებლო და ფუჭი ფრაზები; რუხ, მოუხელთებელ სამყაროში; მუქ ფიფქებს; ჩაბნელებულ ცენტრალურ ვაკეზე; უტყეო ბორცვებს; შენონის ჩამუქებულ, მშფოთვარე ტალღებში; ეულ სასაფლაოს; მსუბუქი ჩქამი.

დანართი №4.27. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

When we pulled out into the winter night and the real snow, our snow, began to stretch out beside us and twinkle against the windows, and the dim lights of small Wisconsin stations moved by, a sharp wild brace came suddenly into the air. We drew in deep breaths of it as we walked back from dinner through the cold vestibules, unutterably aware of our identity with this country for one strange hour before we melted indistinguishably into it again.

That's my middle west—not the wheat or the prairies or the lost Swede towns but the thrilling, returning trains of my youth and the street lamps and sleigh bells in the frosty dark and the shadows of holly wreaths thrown by lighted windows on the snow. I am part of that, a little solemn with the feel of those long winters, a little complacent from growing up in the Carraway house in a city where dwellings are still called through decades by a family's name (Fitzgerald,1984:126);

დანართი №4.27. თარგმანის პირველი ვერსია:

როდესაც კარგად ჩამოხნულდებოდა და ჩვენს მატარებელსაც ეღირსებოდა გასვლა, ჩვენებური, გვარიანი თოვლით ირგვლივ ყველაფერი გადაპენტილი იყო ხოლმე, დიდრონი ფანტელები ხილვადობას ამცირებდა და გზად უისკონსინის პატარა სადგურებიდან გამომავალი სინათლეებიც ძლივსღა ბჟუტავდა ფიფქებს მიღმა. ასეთ დროს, ზამთრის სპეტაკი ჰაერი თითქმის მხნელობით ივსებოდა და ავსებდა ყველაფერს. სწორედ ამ ჰაერს ვიყნოსავდით ღრმად, როდესაც ვაგონ-რესტორნიდან კუპეებში დაბრუნებისას ღია ვაგონები უნდა გამოგვევლო და საღად ვაცნობიერებდით, რომ ირგვლივ ყველაფერი მშობლიური და შინაურული იყო; თუმცა ასეთი მდგომარეობა დიდი-დიდი ერთ საათს გრძელდებოდა, მერე კი ისევ ვკარგავდით თავს და გარემოს ვერწყმოდით.

იცით, როგორ მახსენდება ჩემი შუა დასავლეთი: არც ხორბლეულით, არც პრერიებით და არც მიკარგული შვედური დაბებით... ჩემს გონების თვალს სულ სხვა რამ ახარებს - ჩემი სიყრმისკენ მიმავალი ათუხთუხებული მატარებლები, ლამპიონები და

ზანზალაკებიანი მარხილები სუსხიან ბინდბუნდში, სარკმელებიდან თოვლზე დაცემული აჩრდილის მაგვარი ჩრდილები...მე კი ამ ყველაფრის ნაწილი ვარ, ოდნავ ვსევდიანდები იმ გრძელი ზამთრების გახსენებაზე, თუმცა თავიც მომწონს, რომ ქარაუეების მშობლიურ სახლში გავიზარდე იმ ქალაქში, სადაც სახლებს ახლაც პატრონის გვართ მოიხსენიებენ (ფიცჯერალდი,2014:170);

დანართი №4.27. თარგმანის მეორე ვერსია:

მატარებელი რომ დაიძვრებოდა და ქშენით შეუტყვდა ზამთრის ღამეს, ვაგონის ფანჯრებში ალიცლიცდებოდა ნამდვილი თოვლით, ჩვენებური თოვლით დაფარული მიდამო. დროდადრო გაიქროლებდა ვისკონსინის პატარა სადგურების მბჟუტავი შუქი; ჰაერი უეცრად გაიმსჭვალებოდა პირველყოფილი სიწმინდითა და სიმსუბუქით. ნასადილევს, როცა ჩვენს ვაგონებში ვბრუნდებოდით, ცივ ბაქნებზე ხარბად ვსუნთქავდით ცინცხალ ჰაერს და ვგრძნობდით, რომ ამ მხარის ღვიძლი შვილები ვიყავით. ერთხანს ამ უცნაური განცდის მორჩილებაში გახლდით, მაგრამ თანდათან ისევ უკვალდ ვერწყმდით მშობლიურ წიაღს.

ეს არის ჩემი შუა დასავლეთი - არა ყანები და მინდვრები, ან სადღაც ჩაკარგული შვედური ქალაქები, არამედ აი ეს თრთოლვის მომგვრელი მატარებლები, ჩემს ბავშვობაში სახლისაკენ რომ მიმაქროლებდნენ, ანდა ქუჩის შუქი თუ ციგის ჟღარუნი ყინვიან ღამეში, ან დეკას წნულების ჩრდილი, განათებული ფანჯრებიდან თოვლზე რომ ეფინებოდა. მეც ყოველივე ამის ნაწილი გახლავართ, ოდნავ დაღვრემილი - გრძელი ზამთრების გამო, ოდნავ თავდაჯერებული იმის გამო, რომ კაროების ოჯახში აღვიზარდე. აღვიზარდე იმ ქალაქში, სადაც საცხოვრებელ სახლს დღესაც, წლების მანძილზე მფლობელის გვართ იხსენიებენ (ფიცჯერალდი,1985:143).

დანართი №4.27. ლექსიკური გამეორებები:

ასეთ დროს, ზამთრის სპეტაკი ჰაერი თითქოს მხნეობით ივსებოდა და ავსებდა ყველაფერს. სწორედ ამ ჰაერს ვიყნოსავდით ღრმად, როდესაც ვაგონ-რესტორნიდან

კუპეებში დაბრუნებისას ღია ვაგონები უნდა გამოგვევლო; იცით, როგორ მახსენდება ჩემი შუა დასავლეთი: არც ხორბლეულით, არც პრერიებით და არც მიკარგული შვედური დაბებით... ჩემს გონების თვალს სულ სხვა რამ ახარებს - ჩემი სიყრმისკენ მიმავალი ათუხთუხებული მატარებლები; თუმცა თავიც მომწონს, რომ ქარაუეების მშობლიურ სახლში გავიზარდე იმ ქალაქში, სადაც სახლებს ახლაც პატრონის გვართ მოიხსენიებენ; / ვაგონის ფანჯრებში ალიციციდებოდა ნამდვილი თოვლით, ჩვენებური თოვლით დაფარული მიდამო; ჰაერი უეცრად გაიმსჭვალეოდა პირველყოფილი სიწმინდითა და სიმსუბუქით. ნასადილევს, როცა ჩვენს ვაგონებში ვბრუნდებოდით, ცივ ბაქნებზე ხარბად ვსუნთქავდით ცინცხალ ჰაერს; ეს არის ჩემი შუა დასავლეთი - არა ყანები და მინდვრები, ან სადღაც ჩაკარგული შვედური ქალაქები, არამედ აი ეს თრთოლვის მომგვრელი მატარებლები, ჩემს ბავშვობაში სახლისაკენ რომ მიმაქროლებდნენ; ოდნავ თავდაჯერებული იმის გამო, რომ კაროუების ოჯახში აღვიზარდე. აღვიზარდე იმ ქალაქში, სადაც საცხოვრებელ სახლს დღესაც, წლების მანძილზე მფლობელის გვართ იხსენიებენ.

დანართი №4.28. თარგმანი: რიტმულობის თვალსაზრისით თარგმანთა შეპირისპირება

... Then I wandered down to the beach and sprawled out on the sAnderson,
Most of the big shore places were closed now and there were hardly any lights except the shadowy, moving glow of a ferryboat across the Sound. And as the moon rose higher the inessential houses began to melt away until gradually I became aware of the old island here that flowered once for Dutch sailors' eyes—a fresh, green breast of the new world. Its vanished trees, the trees that had made way for Gatsby's house, had once pandered in whispers to the last and greatest of all human dreams; for a transitory enchanted moment man must have held his breath in the presence of this continent, compelled into an aesthetic contemplation he neither understood nor desired, face to face for the last time in history with something commensurate to his capacity for wonder.

And as I sat there brooding on the old, unknown world , I thought of Gatsby's wonder when he first picked out the green light at the end of Daisy's dock. He had come a long way to this blue lawn and his dream must have seemed so close that he could hardly fail to grasp it. He did not know that it was already behind him, somewhere back in that vast obscurity beyond the city, where the dark fields of the republic rolled on under the night.

Gatsby believed in the green light, the orgiastic future that year by year recedes before us. It eluded us then, but that's no matter—tomorrow we will run faster, stretch out our arms farther.... And one fine morning—

So we beat on, boats against the current, borne back ceaselessly into the past (Fitzgerald,1984:129).

დანართი №4.28. თარგმანის პირველი ვერსია:

მერე სანაპიროზე დავეშვი და ქვიშაზე გავიშლართე.

სანაპირო აგარაკების უმრავლესობა დაცარიელებულიყო და შუქიც არსადან გამოდიოდა. წყალზე მხლლდ ყურეში მღტივტივე ბღრნის მღვიმციმე სინათლე

ლიცლიცებდა ოდნავ შესამჩნევად. ნელ-ნელა მთვარეც აიწია და არაფრისმთქმელი ნაგებობების კონტურები სრულიად გაინამქრა სივრცეში; ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს იმ კუნძულზე ვიყავი, პირველად ჩამოსულმა ჰოლანდიელმა მეზღვაურებმა რომ იხილეს - ახალი სამყაროს მწვანე ნორჩი გულმკერდი. მისი ხეების შრიალი კი, გეტსბის კარ-მიდამოზე რომ ხარობდნენ, ოდესღაც კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ოცნების საგალობლად ხმიანობდა; ალბათ, ახალი კონტინენტის მნახველი ადამიანი ერთი მომაჯადოებელი წამით გაირინდა, რადგან უნებურად საოცარი სურათი გადაეშალა თვალიდან, რომელსაც არც მოელოდა და არც ეძებდა, - ისტორიამ ხომ უკანასკნელად დააყენა ადამის ნაშიერი მასში ჩადებული აღფრთოვანების უნარის შესატყვისი სანახაობის პირისპირ.

მე კი ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორი აღფრთოვანება დაეუფლებოდა გეტსბის, როდესაც ამ ქვიშაზე სეირნობისას პირველად გარჩევდა დეიზის სახლთან ნავისადგომის მწვანე სინათლეს.

მას გრძელი გზის გამძვავა მლუწია ამ მწვანე მდელოებამდე და ისე მიუახლოვდა თავის ოცნებას, რომ ერთი ხელის გაწვდენაზე ეგონა. ის კი არ იცოდა, რომ ოცნება უკან დარჩენილიყო, სადღაც იმ მოქუფრული ქალაქის მიღმა, დამდამობით რომ ჩანდა ამ ადგილიდან. მისი სანუკვარი ოცნება უკვე დამის ცის ქვეშ გაწოლილი უკიდევანო ველ-მინდვრების საკუთრებად ქცეულიყო.

გეტსბის მწვანე სინათლის სჯეროდა, თავაშვებული მომავლის სიმბოლოსი, რომელიც წლითი წლობით გვეცლება ხელიდან.

დიახ, ეს ყველაფერი ხელიდან დაგვისხლტა, მაგრამ რა უჭირს - ხვალიდან ფეხს ავაჩქარებთ, ხელებს გავიწვდენთ...და ერთ მშვენიერ დღესაც ... ნიჩბებს მთელი ძალით ვუსვამთ, დინების საწინააღმდეგოდ მივცურავთ და უკანვე ვშვებით შეუჩერებლად ჩვენს წარსულში (ფიცჯერალდი, 2014:175-176);

დანართი №4.28. თარგმანის მეორე ვერსია:

მერე ჩავედი სანაპიროზე და სილაში გავიშხლართე.

სანაპიროზე გაშენებული ყველა დიდი აგარაკი უკვე გამოეკეტათ, სინათლე არსაიდან მოჩანდა, ოდნავ ბჟუტავდა მხოლოდ ბორანი, რომელიც სრუტეს

გარდიგარდმო სერავდა ხოლმე. მთვარე მაღლა და მაღლა მიცურავდა. თანდათან უჩინარდებოდა შენობები, ვით რაღაც უმნიშვნელო რამ და მე წარმოვიდგინე ეს კუნძული უკაცრიელი, ვით იმ უძველეს დროს, როცა ჰოლანდიელ მეზღვაურთა თვალწინ პირველად გადაიშალა იგი, როგორც ახალი სამყაროს მწვანე, ლორთქო გულმკერდი. აწ გარდასულ ხეტა ჩრდილში, იმ ხეტა ჩრდილში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს, მათ ჩურჩულ-შრიალში, იფურჩქნებოდა საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა. ამ მიწის ხილვით წამიერად მოხიბლულ ადამიანს, რომელიც, ისტორიაში უკანასკნელად, პირისპირ იდგა რაღაც ისეთთან, რაც შეესაბამებოდა გაოცებისა და აღფრთოვანების მისეულ უნარს, უთუოდ სულთქმა შეეკვროდა და დაემორჩილებოდა მშვენიერების ჭკრეტის მომნუსხავ ძალას, თუმც არც ესმოდა იგი და არც ენატრებოდა.

სანაპიროზე გაშხლართული, ოცნებით ვხედავდი ძველ, უცნობ სამყაროს და იმაზე ვფიქრობდი, როგორ გაოცდებოდა გეტსბი, როცა პირველად შენიშნავდა მწვანე შუქს დეიზის ნავმისადგომის კიდეზე. გრძელი გზა გამოიარა, ვიდრე ამ ლურჯ ბაღნარში დაივანებდა. თავისი ოცნება აქ ისე ახლო და ხელშესახები ეჩვენებოდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ თვალსა და ხელს შუა გამოეცლებოდა იგი. როდი ეგონა, თუ ყველაფერი უკვე განვლილი იყო, ჩამოტოვებული ჰქონდა სადღაც უკან, ამ ქალაქის მიღმა განრთხმულ უსასრულო ბნელეთში, სადაც რესპუბლიკის მრუდე მინდვრები დამეული ცის ქვეშ ლივლივებდნენ.

გეტსბის სწამდა მწვანე შუქისა, სწამდა სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების, რომელიც ყოველ წელს სულ უკან-უკან მიიწევს ჩვენგან, მერე რა მოხდა, თუ ახლა გაგვისხლტა, ხვალ უფრო ჩქარა გავიქცევით, უფრო შორს გავიწვდით ხელეხს... და ერთ მშვენიერ დილას...

ასე ვებრძვით დინებას და აღმა მიგვეყვავს ჩვენი ხომალდი, მაგრამ ცხოვრება მიწყვიტ უკანვე გვრიყავს, წარსულისაკენ (ფიცჯერალდი, 1985:147-148).

დანართი №4.28. ეპითეტები:

მოციმიციმე სინათლე; არაფრისმთქმელი ნაგებობების; ახალი სამყარო; კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ოცნება; მომაჯადოებელი წამი; საოცარი სურათი; მწვანე

სინათლე; მწვანე მდელოებამდე; სანუკვარი ოცნება; უკიდეგანო ველ-მინდვრები; თავაშვებული მომავლის; ერთ მშვენიერ დღესაც; / კუნძული უკაცრიელი; უძველეს დროს; ახალი სამყარო; გარდასულ ხეთა ჩრდილში; საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა; მოხიბლულ ადამიანს; მომნუსხავ ძალას; ძველ, უცნობ სამყაროს; მწვანე შუქს; გრძელი გზა; განრთხმულ უსასრულო ბნელეთში; მრუმე მინდვრები; ღამეული ცის; სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების; ერთ მშვენიერ დილას...;

დანართი №4.28. მეტაფორები:

ნელ-ნელა მთვარეც აიწია და არაფრისმთქმელი ნაგებობების კონტურები სრულიად გაინამქრა სივრცეში; ახალი სამყაროს მწვანე, ნორჩი გულმკერდი; მას გრძელი გზის გამოვლა მოუწია ამ მწვანე მდელოებამდე და ისე მიუახლოვდა თავის ოცნებას, რომ ერთი ხელის გაწვდენაზე ეგონა; ოცნება უკან დარჩენილიყო, სადღაც იმ მოქუფრული ქალაქის მიღმა, ღამღამობით რომ ჩანდა ამ ადგილიდან; მისი სანუკვარი ოცნება უკვე ღამის ცის ქვეშ გაწოლილი უკიდეგანო ველ-მინდვრების საკუთრებად ქცეულიყო; გეტსბის მწვანე სინათლის სჯეროდა, თავაშვებული მომავლის სიმბოლოსი, რომელიც წლითი წლობით გვეცლება ხელიდან; ეს ყველაფერი ხელიდან დაგვისხლტა, მაგრამ რა უჭირს - ხვალიდან ფეხს ავაჩქარებთ, ხელებს გავიწვდენტ; ნიჩბებს მთელი ძალით ვუსვამთ, დინების საწინააღმდეგოდ მივცურავთ და უკანვე ვეშვებით შეუჩერებლად ჩვენს წარსულში; / ახალი სამყაროს მწვანე, ლორთქო გულმკერდი; აწ გარდასულ ხეთა ჩრდილში, იმ ხეთა ჩრდილში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს, მათ ჩურჩულ-შრიალში, იფურჩქნებოდა საბოლოო და უდიდესი ოცნება ადამიანისა; ოცნებით ვხედავდი ძველ, უცნობ სამყაროს; გრძელი გზა გამოიარა, ვიდრე ამ ლურჯ ბაღნარში დაივანებდა; თავისი ოცნება აქ ისე ახლო და ხელშესახები ეჩვენებოდა, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ თვალსა და ხელს შუა გამოეცლებოდა იგი; ყველაფერი უკვე განვლილი იყო, ჩამოტოვებული ჰქონდა სადღაც უკან, ამ ქალაქის მიღმა განრთხმულ უსასრულო ბნელეთში, სადაც რესპუბლიკის მრუმე მინდვრები ღამეული ცის ქვეშ ლივლივებდნენ; სიცოცხლით სავსე მომავალი ბედნიერების, რომელიც ყოველ წელს სულ უკან-უკან მიიწევს ჩვენგან; მერე რა მოხდა, თუ ახლა გაგვისხლტა, ხვალ უფრო ჩქარა გავიქცევით,

უფრო შორს გავიწვდით ხელებს; ასე ვებრძვით დინებას და აღმა მიგვეყვას ჩვენი ხომალდი, მაგრამ ცხოვრება მიწყევს უკანვე გვრიყავს, წარსულისაკენ.

დანართი №4.28. ლექსიკური გამეორება:

წყალზე მხოლოდ ყურეში მოტივტივე ბორნის მოციმციმე სინათლე ლიცლიცებდა
ოდნავ შესამჩნევად; კაცობრიობის უდიდესი და უკანასკნელი ოცნება; მწვანე
სინათლე; მიუახლოვდა თავის ოცნებას; ოცნება უკან დარჩენილიყო; მისი სანუკვარი
ოცნება; გეტსბის მწვანე სინათლის სჯეროდა; / ოდნავ ბჟუტავდა მხოლოდ ბორანი;
საბოლოო და უდიდესი ოცნება; ოცნებით ვხედავდი ძველ, უცნობ სამყაროს; თავისი
ოცნება; გეტსბის სწამდა მწვანე შუქისა; აწ გარდასულ ხეთა ჩრდილში, იმ ხეთა
ჩრდილში, რომელთაც ადგილი დაუთმეს გეტსბის სასახლეს;

დანართი №4.29. თარგმანი ინგლისურიდან:

I had fair years to waste, years that I can't honestly regret , in seeking the eternal Carnival by the Sea. Once in the middle twenties I was driving along the High Corniche Road through the twilight with the whole French Riviera twinkling on the sea below. It was not Monte Carlo I was looking at. It was back into the mind of the young man with cardboard soles who had walked the streets of New York. I was him again- for an instant I had the good fortune to share his dreams, I who had no dreams of my own. And there are still times when I creep up on him , surprise him on an autumn morning in New York or a spring night in Carolina when it is so quiet that you can hear a dog barking in the next county. But never again as during that all too short period when he and I were one person, when the fulfilled future and the wistful past were mingled in a single gorgeous moment-when life was literally a dream (Fitzgerald,1965:62).

კიდევ ბლომად წლები უნდა გამეფლანგა, წლები, რომელთაც მართლა არ ვნანობ, ზღვის პირას მარადიული დღესასწაულის ძიებაში. ერთხელაც, ოციანი წლების შუაგულში ხმელთაშუა ზღვის მაღლობი სანაპიროს მოსეხუე შებინდებულზე მანქანით მივდიოდი, ქვევით კი მთელი ფრანგული რივიერა წყალში არეკლილი ციმციმებდა. მონტე-კარლოს არ ვუცქერდი მაშინ. ურამედ იმ ახალგაზრდა კაცის გონებაში დავბრუნდი კვლავ, კარდონის ძირიანი ფეხსაცმლით ნიუ-იორკის ქუჩები რომ ჰქონდა შემოვლილი. ისევ იმავე ვიქეც - წამით ბედმა გამიღიმა და კვლავ მისი ოცნებების მოზიარე გავხდი, მე, რომელსაც უკვე აღარ გამაჩნდა სასუკვარი ოცნებანი. ახლაც, ხანდახან ხდება ხოლმე, რომ ჩუმიად მივეპარები მას, გავაოცებ შემოდგომის რომელიმე დღით ნიუ იორკში ან გაზაფხულზე ღამით კაროლინაში, როცა ისეთი სიწყნარეა, მეზობელ საგრაფოში ძაღლის ყეფას გაიგებ. მაგრამ ეს ვერ შეედრება იმ რამდენიმე წამს, რაც ზღვის პირას განვიცადე, როცა მე და ის კვლავ ერთი პიროვნება ვიყავით, როცა იმედებით სავსე მომავალი და უკვე მონატრებული წარსული ერთ დიდებულ წუთად იქცა - როცა სიცოცხლე ნამდვილ ოცნებას ჰგავდა.

One evening

He was found lying on the ground. No one had missed him. No one was looking for him. An old woman found him. To put it vaguely. It happened so long ago. She was straying in search of wild flowers. Yellow only. With no eyes but for these she stumbled on him lying there. He lay face downward and arms outspread. He wore a greatcoat in spite of the time of year. Hidden by the body a long row of buttons fastened it all the way down. Buttons of all shapes and sizes. Worn upright the skirts swept the ground. That seems to hang together. Near the head a hat lay askew on the ground. At once on its brim and crown. He lay inconspicuous in the greenish coat. To catch an eye searching from afar there was only the white head. May she have seen him somewhere before? Somewhere on his feet before? Not too fast. She was all in black. The hem of her long black skirt trailed in the grass. It was close of day. Should she now move away into the east her shadow would go before. A long black shadow. It was lambing time. But there were no lambs. She could see none. Were a third party to chance that way theirs were the only bodies he would see. First that of the old woman standing. Then on drawing near it lying on the ground. That seems to hang together. The deserted fields. The old woman all in black stockstill. The body stockstill on the ground. Yellow at the end of the black arm. The white hair in the grass. The east foundering in night. Not too fast. The weather. Sky overcast all day till evening. In the west-north-west near the verge already the sun came out at last.

Rain? A few drops if you will. A few drops in the morning if you will. In the present to conclude. It happened so long ago. Cooped indoors all day she comes out with the sun. She makes haste to gain the fields. Surprised to have seen no one on the way she strays feverishly in search of the wild flowers. Feverishly seeing the imminence of night. She remarks with surprise the absence of lambs in great numbers here at this time of year. She is wearing the black she took on when widowed young. It is to reflower the grave she strays in search of the flowers he had loved. But for the need of yellow at the end of the black arm there would be none. There are therefore only as few as possible. This is for her the third surprise since she came out. For they grow in plenty here at this time of year. Her old friend her shadow irks

her. So much so that she turns to face the sun. Any flower wide of her course she reaches sidelong. She craves for sundown to end and to stray freely again in the long afterglow. Further to her distress the familiar rustle of her long black skirt in the grass. She moves with half-closed eyes as if drawn on into the glare. She may say to herself it is too much strangeness for a single March or April evening. No one abroad. Not a single lamb. Scarcely a flower. Shadow and rustle irksome. And to crown all the shock of her foot against a body. Chance. No one had missed him. No one was looking for him. Black and green of the garments touching now. Near the white head the yellow of the few plucked flowers. The old sunlit face. Tableau vivant if you will. In its way. All is silent from now on. For as long as she cannot move. The sun disappears at last and with it all shadow. All shadow here. Slow fade of afterglow. Night without moon or stars. All that seems to hang together. But no more about it.

სახელდებიითი წინადადებები

The deserted fields. The old woman all in black stockstill. The body stockstill on the ground. Yellow at the end of the black arm. The white hair in the grass. The east foundering in night. Not too fast. The weather. Sky overcast all day till evening; No one abroad. Not a single lamb. Scarcely a flower. Shadow and rustle irksome. And to crown all the shock of her foot against a body. Chance; Black and green of the garments touching now. Near the white head the yellow of the few plucked flowers. The old sunlit face. Tableau vivant if you will. In its way; All shadow here. Slow fade of afterglow. Night without moon or stars. All that seems to hang together. But no more about it.

დანართი №4.30.

ერთ საღამოს

კაცი მიწაზე მწოლიარე ნახეს. არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას. ერთმა მოხუცმა ქალმა იპოვა. თუ შეიძლება ასე ითქვას. ეს ისე დიდი ხნის წინ მოხდა. ქალი ველური ყვავილების მოსაძებნად დაეხეტებოდა. მარტო ყვითლების. თვალები მხოლოდ მათთვის ჰქონდა გაფაციცებული, როცა მწოლიარეს გადააწყდა. კაცი პირქვე იწვა მკლავებგამლილი. გრძელი პალტო ეცვა მიუხედავად სეზონისა. ბოლომდე შეკრული ღილების გრძელი მწკრივით, პირქვე მწოლიარე სხეულს რომ დაეფარა. ღილები- ყველა ზომის და ფორმის. სწორად დაშვებული ქვედაბოლო ქალს მიწაზე ეთრეოდა. ეს უკვე მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს. თავთან ახლოს შლაპა იდო მიწაზე. მიწას ეხებოდა ქუდის ფარფლიცა და გვირგვინიც. შეუმჩნევლად იწვა კაცი მომწვანო პალტოში. ფხიზელი თვალი შორიდან მხოლოდ ჭაღარა თავს შეამჩნევდა. სადმე ადრე ხომ არ შეიძლებოდა ენახა ქალს იგი? სადმე ადრე ფეხზე მოსიარულე? ასე ძალიან ნუ ავჩქარდებით. თავით ფეხამდე შავებში იყო ქალი ჩაცმული. გრძელი შავი კაბის ქობა ბალახზე ეთრეოდა. დღე იწურებოდა. აღმოსავლეთისკენ რომ გადაენაცვლებინა ქალს, ჩრდილი წინ გაუძღვებოდა. გრძელი შავი ჩრდილი. დღის დრო იყო. მაგრამ ბატკნები არ ჩანდნენ. ვერც ერთს ვერ ხედავდა. რომ მოხვედრილიყო იმ მხარეს კიდევ მესამე ადამიანი, მხოლოდ ამ ღრ სხეულს შეამჩნევდა. პირველად მოხუც ქალს, ფეხზე მდგომარეს. მერე, უფრდ მოახლდებული, მიწაზე მწოლიარეს. ეს უკვე მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს. მიტოვებული მინდვრები. მოხუცი ქალი მთლად შავებში უძრავად. სხეული მიწაზე უძრავად. ყვითელი ფერი შავი მკლავის ბოლოს. ჭაღარა თმა ბალახში. აღმოსავლეთი ღამეში იძირება. ასე ძალიან ნუ ავჩქარდებით. ამინდი. ცა მოღუშული მთელი დღე, საღამომდე. დასავლეთ-ჩრდილო-დასავლეთით კიდესთან ახლოს, როგორც იქნა მზე გამოვიდა. წვიმაო? რამდენიმე წვეთი, თუ ამას წვიმა ჰქვია. რამდენიმე წვეთი დილით, თუ ამას წვიმა ჰქვია. აწმყო დროში დასასრულისთვის. ეს ისე დიდი ხნის წინ მოხდა. გამომწყვდეული მთელი დღე სახლში, ქალი მზესთან ერთად გამოდის გარეთ. ჩქარობს მინდვრების მოვლას. გაკვირვებული, რომ არავინ შეხვდა გზად, ციებ-ცხელებიანივით დაეხეტება ყვითელი ყვავილების მოსაძებნად. ციებ-

ცხელებიანივით უმზერს ღამის ჩამოწოლას. გაკვირვებულია, რომ წლის ამ დროს ბლომად ბატკნებს ვერ ხედავს. შავები აცვია და ასეა მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა დაქვრივდა. შავი სამოსით უნდა გააღამაზოს ის საფლავი, საითკენაც მიიწევს იმ ყვავილების ძიებებში, რომლებიც მის ქმარს უყვარდა. შავად შემოსილ მკლავს ყვითელი ფერი აკლია, მაგრამ ამაოდ; თითქმის არა ჩანს ყვავილები. ამაზე ცოტა რაღა იქნება. ეს ქალისთვის მესამე სიურპრიზია, რაც გარეთ გამოვიდა. რადგან ისინი ბლომად იზრდება ამ ადგილებში წლის ამ დროს. ძველი მეგობარი, თავისი ჩრდილი თავს აბეზრებს. იმდენად, რომ მზისკენ სახით ტრიალდება. გზად შემხვედრ ერთ-ორ ყვავილს გვერდულად ეხება. ნატრობს მზე ძალე ჩავიდეს, რომ მერე მწუხრში თავისუფლად იაროს. ამ გასაჭირს გრძელი შავი ქვედაბოლოს ნაცნობი შარი-შური ემატება ბალახში. ქალი ნახევრად დახუჭული თვალებით მოძრაობს, თითქოსდა მზის კამკამა მუქსა და მიჯაჭვული. შეიძლება საკუთარ თავს ეუბნება კიდევ, რომ ერთი მარტის თუ აპრილის საღამოსთვის მეტისმეტად ბევრი უცნაურობაა. კაცის შვილი არ ჩანს. არც ერთი ბატკანი. ათასში ერთი ყვავილი. ჩრდილი და შარი-შური გამაღიზიანებელი. და ყველაფერი ამას აგვირგვინებს შოკის განცდა, როცა მისი ფეხი მწოლიარეს შეეხო. შემთხვევა. არავის არ მოენაკლისებინა იგი. არავინ არ ეძებდა მას. მათი სამოსის შავი და მწვანე ახლა ერთმანეთს ეხება. ჭადარა თავის ახლოს რამდენიმე მოწყვეტილი ყვავილის სიყვითელე. მზით განათებული, მოხუცებული სახე. ცოცხალი სურათი, თუ გნებავთ. თავისებურად. ამ წუთიდან სიჩუმე ისადგურებს. იქამდე, სანამ ქალი მოძრაობას შესძლებს. ბოლოს და ბოლოს მზე თვალს ეფარება და მასთან ერთად ჩრდილებიც. ყველა ჩრდილი რაც აქაა. მწუხრიც ინავლება. ღამე მთვარისა და ვარსკვლავების გარეშე. ეს უკვე მოვლენებს ერთმანეთთან აკავშირებს. მაგრამ ამაზე მეტი აღარაფერი.

ლექსიკური საშუალებები:

ბოლომდე შეკრული ღილების გრძელი მწკრივით, პირქვე მწოლიარე სხეულს რომ დაეფარა. ღილები—ყველა ზომის და ფორმის; თავთან ახლოს შლაპა იდო მიწაზე. მიწას ეხებოდა ქუდის ფარფლიცა და გვირგვინიც; აღმოსავლეთისკენ რომ გადაენაცვლებინა ქალს, ჩრდილი წინ გაუძღვებოდა. გრძელი შავი ჩრდილი; მოხუცი

ქალი მთლად შავებში უძრავად. სხეული მიწაზე უძრავად; გაკვირვებული, რომ არავინ შეხვდა გზად, ციებ-ცხელებიანივით დაეხეტება ყვითელი ყვავილების მოსამებნად. ციებ-ცხელებიანივით უმზერს ღამის ჩამოწოლას; ძველი მეგობარი, თავისი ჩრდილი თავს აბეზრებს; ჩრდილი და შარი-შური გამაღიზიანებელი; ბოლოს და ბოლოს მზე თვალს ეფარება და მასთან ერთად ჩრდილებიც. ყველა ჩრდილი რაც აქაა.